

ვიქტორ ნოსადე
Dr. VICTOR NOSADSE

განკითხვანი ვეფხისტყაოსანისა

ვეფხისტყაოსანის ფართაგებულება

EL SIMBOLISMO DE COLORES
EN EL EPOS HEROICO GEORGIANO
DEL SIGLO 12
POR SHOTA RUSTHAVELI
EL CABALLERO DE LA PIEL DE TIGRE"

THE SYMBOLISM OF COLOURS
IN THE GEORGIAN ROMANTIC EPIC
OF THE 12th CENTURY
BY SHOTHA ROUSTHAVELI
„THE KNIGHT IN THE TIGER'S SKIN"

LE SYMBOLISME DES COULEURS
DANS LE POEME HEROIQUE GEORGIEN
DU 12 SIECLE DE CHOTHA ROUSTHAVELI
„CHEVALIER A LA PEAU DE TIGRE"

DIE FARBENSMBOLIK
IN DEM GEORGISCHEN EPOS
DES 12. JAHRHUNDERTS
VON SCHOTHA RUSTHAVELI
„DER RITTER IM TIGERFELL"

СИМВОЛИЗМ ЦВЕТОВ
В ГРУЗИНСКОЙ ЭПИЧЕСКОЙ ПОЭМЕ 12 ВЕКА
ШОТА РУСТАВЕЛИ
«РЫЦАРЬ В ТИГРОВОЙ ШКУРЕ»

ბუენოს აირესი
Buenos Aires
1953

ფერია მოტრფიალს
ვარდუვაჰილთა მოწვარულს
ქალთა გამაზვნენიერებულს
და თვით მოჰხიზღავს
ჩემს სავარდელ რქულს
ლიდას
ქღვინად

ვ. ნოზაძე

ვეფხისტყაოსანის

ფერთამეტყველება

უწყებულება მკითხველისათვის

საამოცე შემოდგომა გამოსრულდა, და ორ ათეულ წელ გასწორე მოყვარულ-მკითხველის ნაღვაწი: „ბანკიტხვანი ვეფხისტყაოსანისა“, ამ ჟამად ქვენ საზიაროდაც მომიტანია; გარნა საჩივარიც ინდა მოგახსენოთ:

ჩემი მღვივე წადილი იყო: „ბანკიტხვანი ვეფხისტყაოსანისა“ განსაკუთრებული თანისთანობით ამებეჭდა. განზრახული რიგი ამ „განკითხვათა“ შემდეგი იქნებოდა: — ვეფხისტყაოსანის

- 1. მართისმეტყველება
- 2. კარსკელავთმეტყველება
- 3. ქვისმეტყველება
- 4. საზოგადოებათამეტყველება
- 5. ზნეობათამეტყველება
- 6. სიყვარულთამეტყველება
- 7. სიბრძნისმეტყველება
- 8. ფერთამეტყველება
- 9. ბუნებისმეტყველება
- და დაბოლოს, 10. დასკენა: ვეფხისტყაოსანის მსოფლმხედველობა.

სავალალოდ: ხელმოკლეობისა და სხვა დაბრკოლებათა გამოც, აღნიშნული კარგით დაბეჭდვა ვერ განამდილე. და ამიტომ დასაბეჭდად ავირჩიე კარკვიი „ფერთამეტყველება“-ზე, რომელი თავისი რეკლამით დანარჩენზე მცირეა.

მეორე განზრახვაც დამიმარცხდა: ამ „განკითხვათ“ წიგნის სახით ვერ ებეჭდავ, ვინაიდან საამისოდ ხარჯთა გაწევა ყოველ ჩემს ძალას აღემატებოდა. ამ ვითარებამ მაიძულა მათი რეველებად დასტამბვა, — რასაკვირველია, — წიგნის მოყვარულთათვის და ჩემთვისაც, საამო არაა, ოღონდ არც დასაგმობი. ბუენოს აირეს (არგენტინა) 1953 წ.

თუ მალირებ განკითხვასა, აე არა არ მიქნია (531)

ვეფხისტყაოსანის მკითხველს რთული დაბრკოლება ელოდება, რომლის გადალახვა არც ისე იოლი საქმეა, როგორც ეს შეიძლება წარმოედგინოთ.

ამჟამადი მკითხველისათვის, რომელიც თავისი მსოფლქვერეტითა და შეგრძნობით ვეფხისტყაოსანის ხანისაგან ძალიან დაშორებულია, ვეფხისტყაოსანის გაგება ძნელია. ამ სიძნელეს ართულებს კიდევ ის ფრიად შესანიშნავი მოვლენა, რომელი ვეფხისტყაოსანის განუყრელ თვისებას შეადგენს: —

ვეფხისტყაოსანი მუსიკაა. და ეს მუსიკა ისეთი ძლიერი და წარმტაცი; ისეთი ღრმა და მომხიბვლელია; ისეთი უზენაესი და მომაჯადოებელია, რომ ვეფხისტყაოსანის მკითხველს ლექსის აზრი ეპარება და მისი მნიშვნელობა შეუმჩნეველი რჩება. მკითხველი მუსიკას მისდევს; იგი მისგან სავსებით დაპყრობილია და უკვე აღარ ეკითხება თავის თავს, — გაიგო მან წაკითხული თუ არა! მუსიკა ვეფხისტყაოსანისში აზრს ჰფარავს და აზრი იკარგება მუსიკაში. ამიტომ ვეფხისტყაოსანის გასაგები წაკითხვისათვის აუცილებელია: მკითხველმა პირველად ყოვლისა განზრახ მუსიკა დაჩაგროს და მისი ჯადოთი თავი არ დაიტყვეოს.

მეორე პირობა ვეფხისტყაოსანის გაგებისათვის უფრო მძიმეა, ვინაიდან იგი დიდ ცოდნას, მის გამოყენებას და მიყენებას მოითხოვს.

ვეფხისტყაოსანი ქართული ერის შუა საუკუნის უძლიერესი და უდიადესი გამომსახველია ვიწრომხედველი მოკლე კაზმული სიტყვით; იტული მხატვრული თქმა და თითოულად ლი სიტყვა გარდასრული კულტურის მთელ მიუთითებს და ამიტომ ამ დარჯთა წესწავლ ითხოვს. ასე მაგალითად, საკითხი მზისა, რომელ ვეფხისტყაოსანში გამოყენებით უკარგელია.

ლი აქვს მიკუთვნებული; ოღონდ მზის საკითხის გარკვევა ძალაუვნებურად და აუცილებლობით მზის ისტორიის შესწავლას გვაძლავს, და ამნაირად, მთელი მაშინდელი კულტურის მიმოხილვას იწვევს. არც ერთი კულტურა მიუწვდომელ განყენებულ სიმალღეზე არა სდგას; ერთგან დაბადებული აზრი ან წარმომადგომელი მოძღვრება განიფინება და მრავლად გავლენას განიცდის, და ერთი ადგილიდან მეორეში გადადის; ფენათა დამატებითა და სხვა და სხვა ეროვნული შეგრძნობით გადამუშავებით დატვირთული. — მცირეა იმ ერთი რიცხვი, რომელნიც კულტურას საწყისებს იძლეოდნენ; თითუბზე ჩამოითვლება მათი სახელი — ჩინელი, ინდო, სუმერი, ხეთი, ქალდეელი, ეგვიპტელი, ბერძენი..

გავლენის საკითხი თავის თავად ადვილად ასახსნელია, როდესაც ეს გავლენა მეზობელი ხალხისაგან მოდის; უფრო ძნელია და ხანდახან შეუძლებელიც, სადაც ეს მეზობლობა ძალიან დაშორებულია; მაგალითად სკანდინავურ ეპოქაში — ედდა — არის ლექსი, რომელიც მანიქური გალობიდანაა ნასესხები. მანდიქიზმის ბუდე იყო სპარსეთი, კერძოდ კი დეე მცირე აზია; იგი ერთ დროს რომსაც მისწვდა, საიდანაც მანიქეან მქადაგებლებმა კუნძულ ისლანდისადაც მიადრწიეს და იქედან, ცხადია, სკანდინავიაში გავრცელდა მანიქური ლოცვა-გალობა. მაგრამ ხშირად ამგვარი შორეული ნათესაობის გამორკვევა შეტად ძნელი ხდება. ქართული კულტურის განვითარების ისტორიაში ასეთი დაშორების სიძნელეს არ ვეჩხებებით, ვინაიდან თვით შუა საუკუნეთა კულტურის არეში თვითონ საქართველო იყო მოქცეული. — ქართველი ირი თავისი კულტურით პირველ ერთა შორის არ ჩაითვლება, მაგრამ მას უეჭველად ან პირველ ერთა შორის თავისი კულტურით მეორე ადგილი უკავია. მსოფლიო კულტურის განვითარებაში ქართველი ერი მიმწოდებელი არ იყო; მაგრამ იგი ამ კულტურის ერთი პირველ მიმღებთაგანი იყო — კულტურის მიღება და თავის საკუთარ ეროვნულ შეგნებაში მისი მოწვევა და გადამუშავება, კულტურის მიმღებობის უნარი და მისი გავრცელების ნიჭი ყველა ერს არ ახასიათებს, და თუ ქართველი ერი ამ შემთხვევაში მსოფლიო კულტურის მიმყოფელი იყო და არის დღესაც, — ეს მისი მაღალი ეროვნული უნარიანობას ნაყოფია.

ლიად საქართველოში შენიშნავს ცნობილი იმეტიკო, რიპარდ რაიტცენშტაინი: — „უინალობას, თვითმყოფობას უნდა ვეძებოთ ერთეული ერისათვის, — იგია როგორც პიკებისათვის, ისე ერისათვის მართლაც საეჭო, — აუტანელიც ნამდვილი კულტურისათვის, არამედ უნდა მოწინააღმდეგეობა, ძალა,

რომლითაც ერი, მიღებულ კულტურას საკარების მიხედვით შეითვისება, გადაამუშავებს და გააქეთილშობილებსო. 1. იგივე ითქმის, რასაკვირველია, ქართულ კულტურაზეც.

როდესაც ო. ფონ ვენდონი, თავის შრომაში კავკასიის, საქართველოს შესახებ, სპარსეთის კულტურის საკითხს გზა და გზა ეხება, იგი, სხვათა შორის, ამბობს: — კულტურის განვითარებაში ძნელია ცალკეული კულტურის გამოწახვა, რომელიც არა; სოდეს დაკეტულ, ჩახშულ ერთეულს არ წარმოადგენს, ხოლო რამდენადაც კულტურა მალა სდგას, იმდენად იგი უფრო მეტად უცხო ელემენტებს ითვისებს და გადაამუშავებსო. 2. — და ეს კემშარიტი ბაე ქართულ კულტურაზე ვრცელდება.

შუა საუკუნეთა ქართულ მანძილზე, ეს პირველი ლობა და ძალა ეროვნულად კულტურის მიმღებში და გადამუშავებაში ყველაზე მკაფიოდ, მკვერად და უკეთესად ვეფხისტყაოსანის სახით გამოხატა.

მართალია, ზოგი ამტკიცებს, ქართველი ერი მრავალხმოვან მუსიკაზე დაფუძნდა ეროპულ მუსიკაზე; 3. ზოგი გვაჯერებს, საქართველოს კედლითი მხატვრობის მიხედვით ეროპული მხატვრობა განვითარდა; 4. ზოგი სამართლიანად თქვობს: საქართველო ნუროთმოძღვრების დარგში რუსეთზე გავლენას ახდენდა; 5. იგივე გავლენას ქართულ მხატვრობას მიაწერენ (იქვე, გვერდი 136); 6. ტურულ სკულპტურაში, ოქრომჭედლობაში ში, დაჩუქურთმებაში და სხვ., საქართველო გავლენა ჰქონდა ეროპაზეო. 6. და სხვა. მაგრამ ყვე ეს დებულება საბოლოო ძნელია და გადაწყვეტილი არ არის, და თავის თავდაც საქოქმანოა; ხოლ დაემყოფილდეთ. იმ კიდი მნიშვნელობით, რომელიც ქართველ ერს კულტურის საქმეში მიეკრება.

ვეფხისტყაოსანის ხანა, ეს დალოცილი, მადლით აღსავსე, მართლაც სადიდებელი ქართული ისტორიული ცხოვრებაში, თავისი კულტურით უზადოდ გადაჯაჭვულია მსოფლიო კულტურასთან, რომელსაც იგი საესეებით შეიწურავდა შეგნებულად და გაგებულად. მსოფლიო კულტურას ქართული, გზა და გზა მიჰყვებოდა, და მას ქართული გემოვნების მიხედვით ამუშავებდა, იგი ქართულ კალაპოტში გამოჰყავდა, და წმიდა ქართულ ნაყოფსა ჰქმნიდა; სწორედ აქ შელავნდება ერის ნიჭი და შემოქმედების უნარიანობა, რომლის სამაგალითო და ღირსშესანიშნავი, უტოლო შემოქმედება თვით ვეფხისტყაოსანია — მსოფლიო კულტურასთან ქართული კულტურის დაქორწინებას გენიოსური ქმნილება.

ვეფხისტყაოსანი — ქართული ეროვნული სულის

გამედ ვენბაა, და ქართულ ცხოვრებაში მას დიდი აზარი აქვს დადებული. — რათა აღარ განვიმეოროთ უკვე ერთჯერ გამოთქმული შეხედულება ამ საკითხზე ევფხისტყაოსანის ამ მნიშვნელობის აღსანიშნავად, შეუცვლელად ვათავსებ აქვე იმ მოკლე და მცირე დაფასებას, რომელი დაებეჭდე პარიზში ჩემს მიერ გამოცემულ კრებულში „ქართლოსი“, — 1938 წ. მაისი. გვერდი 162.

„პირველი, უკეთესი კითხვით ვისმე ქართველსა ანუ იმერსა, მესხსა, ჰერ-კახსა, რა რჯული ხარ, წამს მოგიგებ — ქართველ... მეორედ, არს ამით ყოელთა წიგნი და ენა ერთი იგივე ფარნაოზ პირველისა მეფისაგან ქმნილი; და კითხვით მათ წინ-თქმულთა კაცთა — „რა ენა და წიგნი უწყი?“ მოგიგებს მყის — „ქართული“, რამეთუ არა იტყვის არცა ჰაჯულსა, ენასა და წიგნსა იმერთასა, ანუ მესხთა, და ჰერ-კახთასა, არამედ ქართულს“...

ასე სწერდა საქართველოს ბატონიშვილი ვახუშტი მეთერთმეტე საუკუნის მეორე ნახევარის დასაწყისში, და ამ ნაწერით მან გამოხატა ერის დამახასიათებელი კავშირნი — ა) ეროვნული შეგნება, განსაკუთრებით წიგნობისა, ანუ ეროვნული ფსიქოლოგიური ერთობა, ბ) ენა, წიგნი, ისტორია.

ერის მთავარი დამახასიათებელთაგანი, რასასთან ერთად, მართლაც არის ერის კულტურა, ამ კულტურის ერთი დარგი — პოეზია და პროზა, ზეპირი და მწერლობითი. ეროვნული მწერლობა არის ის კავშირი, ანუ ელემენტი, რომელსაც ერის შექმნაში უდიდესი მნიშვნელობა მიენიჭება.

გერმანელი დიდი მწერალი გოეთე ამბობს: — ის ბადიანი, რომელსაც პოეზია გულს არ უტოკებს, ნახევრად ბარბაროსიაო. და ეს მართალია. ხოლო როდესაც პოეზია მთელს ერს გულს უტოკებს; როდესაც პოემა მთელს ხალხს იპყრობს და აჯადოებს, — ეს ხალხი უკვე დიდი კულტურის ხალხია.

ერის კულტურის ნიშნობა მართა ბიბლიოთეკათა ქსელითა და წიგნთა რიგებით არ განიზომება. მართალი იყო მარტი, როდესაც ამტკიცებდა, კითხვისა და წერის შესწავლა შეიძლება თვეთა, წელთა განმავლობაში, ხოლო კულტურულად ხდება ხალხი საუკუნეთა მანძილზე. — უმთავრესია ხალხის გონებრივი ვარჯიშობის სიძლიერე. კულტურის მიმღეობის სიფართო, მიღებული კულტურის გავარცხნება და წარმატება, კულტურული წრეებიდან ფართოდ ხალხში გავრცელება, თუნდაც ზეპირი სიტყვით.

ქართველი ერი წარსულს რომ გადაეხედოთ, ცხადი გახდება ჩვენთვის, თუ ევფხისტყაოსანმა რა ეროვნული როლი ითამაშა ქართველი ერის ცხოვრებაში.

სანი ქართულ ხალხურ თქმულებაზეა აგებული. მაგრამ ასეც რომ არ იყოს, ევფხისტყაოსანს „ქართველანას“ თქმულება საფუძვლად არ ედოს, და შოთა რუსთაველის ევფხისტყაოსანს შემდეგში ხალხური ევფხისტყაოსანი არ შთაენთქას. ან რუსთაველს თვით გამოეგონებინოს სხეაგან აღებული ამბავი („ესე ამბავი სპარსული“), მაინც მეტად ღირსშესანიშნავი მოვლენაა, რომ საქართველოში არ არსებობს არც ერთი კუთხე, სადაც ევფხისტყაოსანი გავრცელებული არ იყოს. როგორ და რა გზით გადავიდა იგი ხალხში? რატომ შეითვისა იგი ხალხმა? რა მნიშვნელობა მოიპოვა მან ერის ცხოვრებაში?

პირველად ევფხისტყაოსანი დაბეჭდა ვახტანგ სუქუმდებელმა 1712 წელში; მანამდე ეს წიგნი ხელით იწერებოდა, და მასშაადამე, ძვირი და იშვიათი საშოვნელი იყო; ამ წიგნის შეძენა მხოლოდ მცირე რიცხვს შეეძლო; ოღონდ ევფხისტყაოსანის ღირსება იმითაც გამოიხატა, რომ მან გაარღვია ეს რჩეულთა წრე, და ზეპირი სიტყვით შეიქრა ხალხში და იქ დასადგურდა. ხალხმა მიიღო იგი, შეითვისა, შეიყვარა იგი; და ამით მოხდა უშესანიშნავესი და უმეგალითო ამბავი — ერის მაღალი წრის, მკითველთა ფენის, არისტოკრატის და მდამიო ხალხის, არა-მკითხველთა წრის ერთმანეთზე გადაკედობა, გადაკავშირება, შედუღება — ევფხისტყაოსანი საერთო ეროვნულ სულიერ საღაროდ შეიქმნა, როგორც მაღალი წოდებისათვის, ისე დაბალ წოდებათათვის; იგი მთელი ერის სულიერ გამომსახველად გარდაიქცა, ერთგვარ „დაბადებულ“, ანუ ბიბლიად გახდა. იმ განსხვავებით, რომ შემდეგაც, ძალით გამუსულმანებულ ქართული კუთხის ბიბლიად დარჩა იგი!

არ არის საქართველოში არც ერთი კუთხე, სადაც ევფხისტყაოსანი ზეპირად არ სცოდნოდით და დღესაც არ იცოდენ, — და ამ ზეპირსიტყვიანობით რუსთაველის პოემის თქმულება ჩვენი ქვეყანის თითოეულ კუთხეშია გაბატონებული, მიაი ლექსი, მის ბრძნულ აზრები და ბასრი გამოთქმანი დღესაც ფლობენ.

ზეპირი ევფხისტყაოსანი ხალხის სულიერი საუფრე იყო, ხოლო დაწერილი — სამზითოეო წიგნი, გასათხოვი ანულის უშვენიერესი განძი; და აღარაა გასაკვირი, რომ ევფხისტყაოსანის არ დაფასება კულტურის ნიშნად ითვლებოდა, რასაც რომელი ხალხური ლექსიც ადასტურებს: —

ქალი მყავდა მშვენიერი,
თავმორთული, კოსანი —
გავათხოვე, გავატანე
ჩემი ევფხისტყაოსანი.
წაეკითხათ, ვერა ეგრძნოთ.

თურმე იყვნენ ვიროსანი;

ისევე უკან დავიბრუნე

ჩემი ვეფხისტყაოსანი.

კულტუროსნობის საზომი ვეფხისტყაოსანის გაგება და შეთვისება იყო, მისი შეყვარება, — და ეს გაგება, შეთვისება, შეყვარება გამოსახულია იმ ხალხური სიმღერებით, რომელთა რიცხვი აქამდე ოცდაერთია აღმოჩენილი.

ქირისა თუ ლხინის, ქორწილისა თუ გლოვის, ომი-სა თუ თამაშის შემთხვევაში, რუსთაველის ლექსს ამბობდნენ და აეღერებდნენ, — ამიტომ მართალი იყო არჩილ მეფე (1647 — 1712), როცა თავის ნაწარმოებში — რუსთაველისა და თეიმურაზის გაბაასების დროს — შოთას ათქმევინებდა: —

საქართველო საევე არის,

ჩემი წიგნი ყველგან გაჰქუხს;

ვის ლხინი აქვს მას უბნობენ,

ანუ გული ვისაც უწუხს;

მხიარულად წაიკითხვენ,

მასზე თვალი არვის უწუხს...

რატომ? რის შედეგად გარდაიქვა ვეფხისტყაოსანი ქართველი ერისათვის ასეთ ძვირფას პოემად? რა არის ის აზრები, რომელმაც ყოველი ქართველი მოხიბლა, ერთი მეორეს გადააბა, სულიერად დააძმობილა და ამგვარად მთელი პოემა საქართველოს, მთელი ერის სულიერ წყაროდ ეშვა? რატომ?

იმიტომ, რომ რუსთაველის ვეფხისტყაოსანი არის უმაღლესი ხელოვნებისა და პოეტური სიტყვის გენიოსური მიღწევა; იმიტომ, რომ ვეფხისტყაოსანში რუსთაველი უმღერის სიცოცხლეს, ადამიანს, ბრძოლას; იმიტომ, რომ რუსთაველი უმღერის სიყვარულს; უმღერის მეგობრობას, ვაჟკაცობას, თავდადებას; უმღერის ძმობას, ძმადნაფიცობას, თავგანწირულობას; უმღერის სილამაზეს, შვენიერებას; უმღერის გონებას, სიბრძნეს; უმღერის სიკეთეს, სიმართლეს, სამართლიანობას; უმღერის თანასწორობას, თანასწორუფლებიანობას, სოციალურ პარმონიას; უმღერის სამშობლოს დაცვას; უმღერის დაუნდობელ წუთისოფელს და სხვა და სხვა ამოუწურავ პანგებს გეასმენს იგი, — ეს სიმღერა მწუღარებელი მხატვრული სიტყვითაა, წარმატცი და მომაჯადოვებელი ლექსითაა წათქვამი. რუსთაველი უმღერის ისეთ მოვლენებს, რომელიც უკედავია, ყოველი ხანისა და (აღსკრული დროის გარეშე არსებული, მარადი და დაძვინაურია — სიყვარული და მეგობრობა, სილამაზე და გმირობა, აშართლიანობა და თავდადება, სიკეთე და სოციალური პარმონია, სამშობლო და წუთისოფელი, პოეზია და სიმღერა მუღმივი, მარადიული, გარდაუვალი. ამ იღებზეა აგებული ვეფხისტყაოსანი, და ეს იღებზე, უძლიერესი მხატვრული

ლი სახით გამოქანდაკებული, შეიყვარა ქართველმა ერმა, თავის საკუთარ იღებად აქცია თვითელმა ქართველმა. აქ დაიბადა ერის მსოფლმხედველობა; აქ იშვა ერის მსოფლაგება, მსოფლქვერეტა, და ამგვარად, ვეფხისტყაოსანი გახდა ერის შემქმნელ ერთ კავშირად, ეროვნულ ელემენტად. ვეფხისტყაოსანი ის ეროვნულია წიგნია, ის დამაკავშირებელი და გამაერთიანებელი დულაბია, რომელიც ქართველ ერს მის პოლიტიკურად დაშლილობის ხანაში, სახელმწიფოებრივი დაქუცმაცების ეპოქაში, მტრის კირთებს ქვეშ, საუკუნეთა მანძილზე, ერთ ერად ინახავდა და იცავდა, ვინაიდან „არა იტყვის არცა სჯულსა, ენასა და წიგნსა იმერთასა, ანუ მესხთა და ჰერკახთასა, არამედ ქართულს“..., ვინაიდან ვეფხისტყაოსანი ქართული ეროვნული მეობის სრულყოფის გამომჟღავნების შემოქმედებაა“...

ასე ვწერდი 1938 წელს...

X

ჩემი მიზანი იყო ვეფხისტყაოსანის განკითხვით. ანუ განმარტებითა და გარჩევით ის მთავარი საკითხები ნათელ მეყო, რომელთა თავის მოყრა ერთ დარგში შესაძლებელი გახდებოდა. ჩემ მიერ დასახულ საკითხთა განკითხვისათვის ანუ გარჩევისა და განხილვისათვის ვეფხისტყაოსანის თვით ტექსტის დადგენასა და დამტკიცებას გადამწყვეტი მნიშვნელობა არა ჰქონდა (თუმცა ისიც უნდა აღვნიშნო, რომ ფუქვად მიმაჩნია ტექსტის დადგენის ცდა, სანამ პოემის თვითთული წინადადება საესებით და უეჭველობით გამოჩვენებული არ იქნება!). არც ვეფხისტყაოსანის შემომქმედის საკითხი იყო დიდად საყურადღებო (იგი თვით ვეფხისტყაოსანში მოიპოვება!).

ცნობილია, ვეფხისტყაოსანში ბევრი ჩამატება და დამატებაა, გარნა ეს მოვლენა ჩემი მიზნისათვის მაინც და მაინც ხელს შემშლელი არა ყოფილა, ვინაიდან მსურდა ვეფხისტყაოსანის კულტურის შესწავლა; ამიტომ, თუ რომელიმე ლექსი ყალბია ან ჩამატებული, ან მიმატებული რომელიმე მომღვენო საუკუნეში, მნიშვნელოვანი არაა, რადგან მთლიანად ვეფხისტყაოსანი საქართველოს შუა საუკუნეთა კულტურას გვაჩვენებს და მის ნათესავობას გვიჩვენებს. მიზანიც ესაა, — მას გავეცნოთ. ამ მიზნის მისაღწევად მომიხდა, და ეს საქირი იყო, თითოეული შიარის შესწავლა, რაც უკვე დაწერალებით გამოკვლევას უღრის.

X

ვეფხისტყაოსანის კვლევისათვის უმნიშვნელოვანესია მისი ლექსიკონის გაგება.

სიტყვა ცუცხალი არსებაა, — იგი იბადება, იზრდება და კვდება — შაბ ან ზირი ეცვლება, ან იგი უხმარი ხდება. ამიტომ ვეფხისტყაოსანში

ვის აუცილებელია მის სიტყვათა გაგება. ეს კი შესაძლებელია მხოლოდ თვით ამ სიტყვათა შესწავლით.

საჭიროა თითოეული სიტყვის გამოშიგენა, სინათლეზე გადმოშლა და ცხადად მისი დანახვა.

ყოველ სიტყვას განსაზღვრულ ხანაში თავისი დედა-აზრი აქვს, თავისი შინა-აზრი და შინა-არსი, — ერთ ხანაში ხანდახან იცვლება რგი, მოწინააღმდეგე მნიშვნელობააჲც კი ღებულობს. აუცილებელია მისი ცოდნა.

მაგალითისათვის დავასახელოთ სიტყვა „პატივი“, რომელი ვეფხისტყაოსანში ხშირად იხმარება. ძველად ეს სიტყვა „პატივი“ ნიშნავდა: შვეფხებებაჲანუ „უპატივოდ ყოფნა“, როგორც განმარტავენ მას ს. ს. ორბელიანი; დღეს კი ამ სიტყვას სხვა მნიშვნელობა აქვს: პატივი არის მოწვევა, წვეულებაზე დაძახება, სტუმრად მიწვევა — გაპატივებ = გაწუხებ, მოხვიდეთ ჩემთანო! „პატივის“ ძველი და ახალი მნიშვნელობა, — ერთ შინა-აზრზე და ერთ შინა-არსზე დამყარებული, — ერთმანეთთან ლოდიკურად დაკავშირებულია, ხოლო გარეგნულად განსხვავებული. ასეთივეა სიტყვა „ხრდალი“. ვეფხისტყაოსანში მხრდალი არის ჭაკი ცხენი ან ჭაკი ვირი; ხოლო მას მეორე მნიშვნელობა აქვს: „მშიშარა“, — და ამიტომ ეს სიტყვა შეიცვალა და გახდა სიტყვად „მხთალი“, რომელი სიტყვაც ვეფხისტყაოსანის უგვიანეს ხელნაწერებშიც იხმარება.

მაგრამ ამას გარდა, ზოგ სიტყვას რამოდენიმე მნიშვნელობა აქვს, არსებითი და გადატანითი, შინა-არსითი და გარეგნული, — ასეთია მაგალითად, სიტყვა — „ყმა“, „მონა“, „სოფელი“, და სხვა კიდევ მრავალი. ეს მოვლენაც ცალკე გამოკვლევას მოითხოვს, და საჭირო ხდება პოემის თითოეულ შიგნით თითოეული სიტყვის ცალკეული გამოკვლევა და მისი მნიშვნელობის დადგენა.

უფლებელ ვერ ეყოფთ ვერც იმ სიტყვებს, რომელთაც მცნების მნიშვნელობა აქვს, — არის ეს ფილოსოფიური თუ თეოლოგიური, ან საერთო კულტურის, ასტრონომიის თუ ასტროლოგიის, მეტეოროლოგიის თუ გეოგრაფიის და სხვა დარგიდან... არა ერთი და ორია ვეფხისტყაოსანში ასეთი ტექნიკური ტერმინი, რომელიც დღევანდელი მკითხველისათვის მიუწვდომელია, ვით მაგალითად: «ერთ-არსება», «ერთი», «გონება დღეფარული», «სირა», «სოფელი», «ძალი», «ქრელი», «ლაშქარი», «სპა», «ქაბუკი», და სხვა მრავალი.

ოღონდ, ამას გარდა, ვეფხისტყაოსანში ბევრი უცხო სიტყვაა, რომელიც დღეს აღარ იხმარება და უცნობია; მათი ზუსტი განმარტებაც საჭიროა.

ამგვარია სიტყვა «კატა», რომელი ყველას ან ში-

ნური, ან გარეული ოთხფეხი ცხოველი ჰგონია, და ამიტომ ვეფხისტყაოსანის არც ერთი ლექსიკონის შემადგენელი მის განსამარტებლად თავს არ იწუხებს, — და ნამდვილად კი სიტყვას «კატა» არც შინაურ, და არც გარეულ «კატა»-სთან არაერთიანი კავშირი არა აქვს. — ამნაირივეა სიტყვა «ტურფა», რომელი ყველასათვის ცნობილია, ვით «ლამაზი და შვენიერი, საყვარელი», და თითქმის უცნობია მეორე მისი მნიშვნელობით, რომელი თვით ვეფხისტყაოსანში გვხვდება და მეკლესიართაგან გაუგებელი და ამიტომ განუმარტებელია. — ამნაირია აგრეთვე აიტყვა «გვარი», რომელი «მსგავსად» მიიჩნიათ, — და სხვა კიდევ მრავალ...

და ამ გზით, დაბოლოს, გამოკვლეულ უნდა იქმნას თვით ვეფხისტყაოსანის კულტურა.

ყველა ამგვარ სიტყვა გაგებულ უნდა იქმნას არა მისი დღევანდელი მნიშვნელობით, არამედ მისი ძველი დედა-აზრით და შინა-არსით; მხოლოდ ამნაირად შეიძლება თავიდან აცილება იმ მომაკვდინებელი შეცდომებისა, რაც არა ერთა და ორს მკვლევარს ჩაუდენია...

„სიტყვა“ დაკავშირებულია კულტურისა და ცივილიზაციის ისტორიასთან, და ამგვარად, დაბოლოს ამათი შესწავლა უსაჭიროესი ამოცანაა.

როგორც ხედავთ, ვეფხისტყაოსანის გაგება მეტად რთულ საკითხთ წარმოადგენს და მათი გადაძლევა ოღონდაც მეტად ძნელია.

×

ამ „განკითხვათას“ შედეგად მიღწეულ ღებულებათა დადგენა და დამტკიცება, ვეფხისტყაოსანის მსოფლმხედველობისა და მსოფლშეგრძნობის დალაგება, დაწყოება და მისი საბოლოო გარკვევა, — და ამნაირად, ქართული კულტურის მსოფლიო კულტურასთან გადაკავშირება, და იმ ადგილის მოძებნა, რომელიც მას აქ უნდა მიეკუთვნოს.

დიდი ინგლისელი მგოსანი შელლი, სხვათა შორის, ამბობს: — ჰომეროსი იყო პირველი ეპიურ პოეტთაგანი, და დანტე იყო მეორე: ანუ პოეტი, რომლის თხზულებანი საერთოდ წარმოადგენენ წმიდა და გასაგებ დამოკიდებულებას იმ საუკუნის მეცნიერებასთან, გრძნობებთან და რელიგიასთან იმ ხანისა, როდესაც რგი ცხოვრობდა, და აგრეთვე იმ საუკუნეთა, რომელნიც მას მიჰყვნენო. ¹ შელლის რომ ვეფხისტყაოსანი სცოდნოდა, იგი რუხთაველს, უეკველია, ჰომეროსისა და დანტეს გვერდით დააბრძანებდა...

მსოფლიო მწერლობის განვითარებას თუ თვალს გადავავლებთ, მის საფეხურებზე შემდეგ უდიდეს ძეგლებს ვიხილავთ, რომელთანაც დაკავშირებული არის ადამიანი მთელი თავისი გრძნობებითა და გო-

ნებით, სასიცოცხლო რეტრესებითა და საბრძოლო ნატრიონით: — 1. ბაბილონური ეპოსი — გილგამეშ, 2. ბერძნული ეპოსი — ჰომეროსის ილიადე და ოდისეოს, და ბერძნული ტრადიციები, 3. სპარსული ეპოსი — ფირდაუსის შაჰ-ნამე, 4. ქართული ეპოსი — ვეფხისტყაოსანი, 5. იტალიელი დანტეს — ლეთიური კომედია, 6. ესპანელი სერვანტესის — დონ კიხოტე დე ლა მანჩა, 7. ინგლისელი შექსპირის — ტრადიციები და გერმანელი გოეთეს — ფაუსტი.

აი, აქ უკავია თავისი ადგილი ვეფხისტყაოსანს... ჩემი მუშაობის პირველ ხანაში ხელთა მქონდა მეტად ცუდად დაბეჭდილი და შეცდომებით სავსე ვეფხისტყაოსანი და ამ შერყენილი პოემის მიხედვით გაეწიე მუშაობა, მაგრამ შემდეგ უნივერსიტეტის მიერ გამოცემული (1937 წ.) ტექსტი მოვიპოვე და ამის მიხედვით მომიხდა მთელი ნამუშევარის შესწორება და შაირთა ხელახალი აღნუსხვა. ხოლო არც ქართული სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ გამოცემული ვეფხისტყაოსანი მაკმაყოფილებს — საქართველოში ჯერ იმ აზრამდე არ მისულან, რომ საქროა ვეფხისტყაოსანის მეცნიერული გამოცემა; ამას დიდი მუშაობა სჭარდება — ყველა არსებული ხელნაწერის შედარება და, რაც მთავარია, განსხვავებათა აღნიშვნა, — მაგრამ ასეთი მძიმე მუშაობისათვის, ეტყობა, იქ არავის სცალია.

ეს „განკითხვანი ვეფხისტყაოსანისა“ პოემის კრიტიკული გარჩევაა: — ვეფხისტყაოსანის სხეულის განაწიერებაა, დაწვრილების, ანატომიური ანალიზის პირველი კადნიერი ცდაა; და ვითარცა პირველი ცდა, ვეფხისტყაოსანის რთულ საკითხთა სრული და ყოველმხრივი გაშუქებისათვის, იგი, ცხადია, დიდ სიმძნელეთა და კირთ ვერ ასცდებოდა; და, რასაკვირველია, შეცდომებსაც...

ჩემი ნატვრა იყო — ეს ნამოღვაწეები ღირსეული წვლილი ყოფილიყო, თორემ ვეფხისტყაოსანის საბოლოო სრულ გამოკვლევას მრავალი მეცნიერული თაობა დასჭარდება. ხოლო ეს ჩემი კნინი ნაღვაწი, დღე იყოს ერთ მკითხველს არჩივად, რომელიც ქართული მეცნიერების ტაძარში მოწიწებითა, კრძალვითა და ბოლომდე შემაქვს.

X

ამ რვეულთა აწყობის შეტომათა გასწორება დაიკისრა ბ. ბიტო ანანიაშვილმა, რომელსაც მადლობას მოვახსენებ, და თუ ვინმემ ნაბეჭდში შეცდომები ნახოს, პასუხიც მას მოსთხოვოს...

Hiermit möchte ich Herrn G. A. BEEH meinen besonderen Dank aussprechen, der mir in entgegenkommener Weise die Herstellung des Satzes und damit das Erscheinen vorliegender Arbeit überhaupt ermöglicht hat.

საყურადღებოდ: ფრჩხილებში () ჩასმული ციფრი სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ გამოცემული ვეფხისტყაოსანის შაირთა რიგს მიუთითებს, ხოლო პატარა ციფრი ლიტერატურულ მასალას აღნიშნავს; რომლის სია ბოლოში იქნება მოთავსებული.

წიგნარი

ფერისა და თვალის ურთიერთობა პირველად და ფერს ფრიადი მნიშვნელობა ენიჭება არა მარტო ხელოვნებისა და შეენების არეში, არამედ სარწმუნოებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზზედაც.

ადამიანის თვალთან ერთად ფერი არის პირველშობილი მოვლენა, და ადამიანის მიერ შექმნილი პირველი მითოსის პირველი ამბავი ღმერთთან დაკავშირებით, ფერის ამბავიც არის. ფერი და ნათელი ღმერთთან არის გადაბმული და პირველი ფერი, რომელიც ადამიანმა იცნო, იყო ~~თეთრი და შავი~~, 2 მოწინააღმდეგე დებულება, სარწმუნოებაში და ცხოვრებაში რომ დღესაც მნიშვნელოვანია.

პირველყოფილი კულტურის ხანაში ადამიანი ექვს ან შვიდ ფერს არჩევდა და სთვლიდა, რომელთა სახელია: თეთრი, შავი, წითელი, ლურჯი, ყვითელი, მწვანე და წაბლისფერი. ცისარტყელაში, რომელი ხმელეთისა და ცის შემაერთებელ ხიდად ითვლებოდა, ადამიანის უბრალო თვალი გარკვევით მხოლოდ სამს ფერს ხედავს: მწვანე, ყვითელი და წითელი. მაგრამ ადამიანისათვის უწინარესად, მარტო ორ ფერსა აქონდა მნიშვნელობა — ფერი თეთრი და ფერი შავი. — თეთრია გამოხსენება სინათლისა, დღისა; შავია — სიბნელისა, ღამისა. და ვინაიდან ადამიანისათვის სინათლე და დღე იყო (და არის) დამხმარე, ხელის შემწყობი და კეთილის მყოფი, ამიტომ თეთრია ფერი სიცოცხლისა, ბედნიერებისა, სამოთხისა; ხოლო შავი-ი — ფერი უკუნისა უბედურებებისა, სიკვდილისა, ჯოჯოხეთისა.)

მაზდეანობაში და ზოროასტრიზმში ღმერთი არის თეთრი, ნათელი, ბრწყინვალე.

ებრაელთა სარწმუნოებაში ღმერთი არის ნათელი, თეთრი და ბრწყინვალე.

მითრიაზმში — ღმერთი ნათელია, თეთრი და ბრწყინვალე.

ქრისტიანობაში — ღმერთი ნათელია, თეთრი და ბრწყინვალე.

მაჰმადიანობაში — ღმერთი ნათელია, თეთრი და ბრწყინვალე — ალლაჰ არს სინათლე ცისა და ხმელეთისა.

ძველ რელიგიებში და შემდეგ, ახალ მსოფლიო რელიგიებშიც, რომელიც ადამიანის გრძნობასა და

გონებას დღესაც იპყრობს, თეთრსა და შავ ფერს თანად ადგილი უკავია და ორი მარადი დებულე-ბის საფუძველად არის გადაქცეული — თეთრსა და შავს შორის, ნათელსა და წყვედიადს შორის, სიკეთესა და ბოროტების შორის მუდმივი და დაუსრულებელი ბრძოლაა. ეს ძირითადი შეხედულება კვე-ლა რელიგიის საძირკველადაა ჩადგმული და ეს ორ-მაგობა, დუალიზმი, დაწყებული უუძველესი პირ-ველყოფილი რელიგიიდან — ანამიზმი — დღევან-დელ მსოფლიო რელიგიებამდე, არსებობს, ორი ძა-ლის, კეთილსა და ბოროტის ცნობით.

მაგრამ ამასთანავე, თეთრსა და შავს გარდა, და-ნარჩენმა ფერებმაც მიიღო რელიგიური ხასიათი და ამგვარად, წარმოიშვა, გამომუშავდა რელიგიათა ფერების სიმბოლიზმი.

ძველ ინდოეთში ღმერთი კრიშნა წარმოდგენი-ლი იყო ლურჯი ტანით, მაგრამ მას ეცვა ყვითელი სამოსელი.

ბუდთიზმში ფერთა თითქმის სრულ ფილოსოფი-ას ეხედვიან. რომელიც სულ მცირე განსხვავებით, ქრისტიანობაშიც არის განვითარებული და განმტ-კიცებული. ბუდთიზმის რიტუალში —

1. პირველი რიტუალის ანუ საღვთო სამსახურის წესთა მიზანია მორწმუნე ადამიანის დაწყნარება, დამშვიდება, მისი მავნეთაგან დაცვა (შანტიკა). ამ შანტიკას გამოხატავენ ფერი — თეთრი.

2. მეორე რიტუალის დანიშნულება ბედნიერების, სვეობის გამრავლებაა (პაუსტიკა). ამას გამოსახავს ფერი — ყვითელი.

3. მესამე რიტუალით უნდა განიძევოს ცუდი გავ-ლენა (აბჰიკარკია). ამას სჭირდება ფერი — წითე-ლი.

4. მეოთხე რიტუალმა ადამიანს უნდა მისცეს ძა-ლა, მპყრობელობა, მფლობელობა რაიმეზე (ვაში-კარანა). ამას შეეფერება — შავი.

როგორც ხედავთ, ფერი: თეთრი, ყვითელი, წი-თელი და შავი, ბუდთიზმის რიტუალთა სიმბოლიკას წარმოადგენს; ოღონდ ამას გარდა, ფერებით გამო-იხატებიან აგრეთვე პიროვნებანი, ცხოველნი და სა-გნები. განსაკუთრებით ექვსი არსის სახენი, და ჩვე-ულებრივად ამგვარად:

ღმერთები — თეთრი; ეშმაკები — მწვანე; ადა-მიანები — ყვითელი; პირუტყენი — ლურჯი; მშიე-რი სულნი (პრეტას) — წითელი; ჯოჯოხეთის არ-სებანი — შავი.

ასტროლატრიის ანუ ვარსკვლავთ თაყვანების სა-რწმუნებებაში, რომელიც დასაწყისში ბაბილონურ - ძალდურ სულიერ კუთვნილებას წარმოადგენდა, ფერთა სიმბოლიკას განსაკუთრებული ადგილი მი-ნიჭებული ჰქონდა:

(ღვითელ ღმერთს - მნათობს ანუ ცთომ-ლს (პლა-ნეტა) თავისი საკუთარი ფერი მიეწერებოდა; და თითოული ცა საკუთარი ფერით აღინიშნებოდა. არის შეიდი მნათობი და შე-დი ცა, რომელიც თი-თოულ მნათობს ეკუთვნის. ამიტომ ტაძარი, მნათო-ბისადმი მძღვნილი, მისი კუთვნილი ფერით იღებე-ბოდა, ირთებოდა. ნინევის ცხსაერატორია მნათო-ბთა რაცხვის მიხედვით შვიდ საფეხურიანი იყო და თითო სართული მნათობთა შესაფერი ფერით იღე-ბებოდა.)

ეს ფერთი წარმოდგენა მნათობებისა, ბაბილონ-ში წარმოშობილი დაახლოებით მესამე ათასეულ წელში ქრისტეს წინ. გავ-ცელდა იქედან შემდეგ მთელს მსოფლიოში. ეს მნათობნი და ფერნი ამგვა-რი არიან —

კრონოს (სატურნუს, ზუალ) — შავი

ზევეს (იუპიტერ, დია, მუშთარ) — თეთრი
არეს (არია, მარს, მარის) — წითელი

აფროდიტე (ვენუს, ენერა, ეოსფოროს, ესპეროს, ასპიროზ) — ქრელი

ჰერმეს (ერმი, მერკურუს, ოტარიდ) — მწვანე
მზე (პელიოს, სოლ, შამს) — ოქროსფერი

მთვარე (სელენე, ლუნა, ყამარ) — ვერცხლის ფე-რი. მითოლოგიურად: მთვარეს ჰქონდა აგრეთვე მწვანე ფერიც (ვერცხლოვან - მწვანე).

ამ შეიდი მნათობის ანუ ამასთანავე შეიდი ღმერ-თის ფერი აგრეთვე შეიდი იყო და ამის შედეგად სამლოცველო სახლიც შეიდი ფერით შეღებილი და შე-დ ფერად მორთული. არამც თუ ტაძარნი, არა-მედ სასახლენი და ქალაქთა შეიდი გალაყანი აგრე-თვე შეიდი ფერით იღებებოდა. ძველი სპარსეთ - მიდიის სატახტო ქალაქის (ეებატან) შეიდი გალაყა-ნი და ციხეთა შეიდი სართული შე-დ ფერით იყო გამშენებული. -- სპარსთა წიგნი დაბისტან გადმო-გვემს უამბოდ დაკარგული ასტარისტა-ის თხზუ-ლების მიხედვით ფერთა შემდეგ რიგს —

შავი — სატურნუს (ზუალ)

მწისფერი — იუპიტერ (მუშთარ)

წითელი — მარს (მარის)

ყვითელი — მზე

თეთრი — ვენუს (ასპიროზ)

ლურჯი — მერკურუს (ოტარიდ)

მწვანე — მთვარე

მნათობთა თაყვანისმცემელ, არაბეთის ერთი ტო-მის საბიერ ანუ საბიანთა წარმოდგენა მნათობთა ფერის შესახებ, ზემოთდასახელებული ფერებისაგან მხოლოდ იმით განსხვავდება, რომ იუპიტერ აქ არის მწვანე, ვენუსი — ლურჯია, მერკურუსი — წაბ-ლისფერი და მთვარე — ვერცხლის ფერი.

მოკამმედ ბენ იუსუფ ნიზამი, განთქმული სპარ-

ეული მგობანი (1111/5 - 6 — 1203 - 11 წ), როცა ასანიდთა მეფის, ბარამ გურ-ის სასახლეს აღწერს, რომელიც მნათობთადმი იყო მიძღვნილი, მას შვიდი ფერით ხატავს —

- შავი — სატურნუს (ზუალი)
- სანდალისფერი — იუპიტერ (მუშთარი)
- წითელი — მარს (მარხი)
- ოქროსფერი — მზე
- თეთრი — ვენუს (ასპირიონი)
- ლურჯი — მერკურიუს (ოტარიდი)
- მწვანე — მთვარე. ¹⁰

[თითულ მნათობს თავისი ლითონიეჲ კჳონდა მინიკეზული, მაგალითად: მზეს — ოქრო; მთვარეს — ვერცხლი; ვენუსს — სპილენძი და სხვა. ამგვარათვე იყო ეს განწესრიგება მითრას მისტერიებში და შუა საუკუნეთა აღქეზიაში.] ¹¹

როგორც აღვნიშნეთ, ბაბილონურ - ქალდეური შეხედულება მნათობთა ფერის შესახებ გავრცელდა მთელს მაშინდელ მსოფლიოში და კერძოდ საბერძნეთში, მერმე რომში, სადაც ასტროლოგიამ ეს ფერები აგრეთვე კუდიან ვარსკვლავებზე გადაიტანა, რომელთაც ფორმისა და ფერის მიხედვით, განსაკუთრებული მნიშვნელობა მიეწერებოდა (არისტოტელეს, პლინიუს). ეს ასტროლოგიური მოძღვრება ფერთა შესახებ დამკვიდრდა შემდეგ მუსულმანურ კულტურაში და აქედან შუა საუკუნეთა ევროპაში. — ელემენტებს ანუ კავშირთაჲ აქვთ თავისი ფერი, და ამის მიხედვით ექიმები ბუნების თვისებებსა და თავისებურებათ არკვევდნენ.

ყველა ფერს აქვს ძალა დიდი, როცა იგი აბრეშუმზე ან ლითონზეა გადატანილი; სამოსელი შეღებილია ან ფერი ისეთ საგნებზეა, რომელთაც ციურთან მსგავსება აქვთ, ან თვალთა პატროსანთა ფერებია, ან კიდევ და უმთავრესად, როცა ფერი ცოცხალ არსებათ ეკუთვნის. ამ ფერებს განსაკუთრებული გავლენა აქვთ ადამიანზე და მის ბედზე. ¹²

ცნობილი ასტროლოგი, ანტონიოს ათინელი, ზოლიაკოთაჲ აკავშირებს ფერებთან და მათ დაწერილებით ჩამოსთვლის. ¹³

ინდოეთის სწავლაშიც ფერებს დიდი მნიშვნელობა მიეწერებოდა და იმასაც ამტკიცებდა: თუ ადამიანი რომელ მნათობზეა დაბადებული, ამაზეა დამოკიდებული მისი კანის ფერი. ¹⁴

X

[ფერებს დიდი მნიშვნელობა კჳონდა აგრეთვე ძველ ეგვიპტეში, სადაც ფერთა მთელი სისტემა გამოუმუშავდა, იქნებ ბაბილონისაგან დამოუკიდებლად, სადაც უკვე მეთვრამეტე საუკუნეში ქრისტეს წინ, ფერებს გარკვეული სარწმუნოებრივი გამოხატულება ეძლეოდა. და ფერთა თანამიმდევრობა იქ

შემდეგი იყო: — თეთრი. ყვითელი, მწვანე, ღია წითელი, შავი. ამათგან ტაძრებში იხმარებოდა ერთ რელიგიური ფერი მხოლოდ ოთხი — თეთრი, მწვანე, ღია წითელი და ღია ლურჯი. ნოხები, ფარდები, დროშები თუ ბაირახები ამ ფერისა უნდა ყოფილიყო — წმიდა ფერი.]

[ეგვიპტის ღმერთთა ფერებსაც სათანადო ადგილი ეკავა: — ჰორუსს ხატავდნენ თეთრად და ოზირისს კი — შავად. ოზირისის მოოქრულ ძროხას, ზამთრის დამდეგს, შავ სამოსელს ასურავდნენ და ეს იყო ნიშანი გლოვისა, ზამთრისა და სიბნელისა (ღამის მომატების და დღის მოკლების) გამო. ანუბისს სწირავდნენ თეთრ მამალ ქათამს, და ეს აღნიშნავდა იმ მოვლენას, რომ ზესკნელი არის წმიდა და ნათელი. ბოროტის მოქმედ ღმერთებს წითელი ფერის ცხოველთ სწირავდნენ, ხოლო მდინარე ნილოსის ღმერთთა ლურჯად ითვლებოდა. ჰორუს-აპპალი — ოქროსფერი. მზე ღმერთს ჩამოდენიან ფერი ეკუთვნის: ზაფხულის მზეს — ქერა; ზამთრის მზეს — მთქი ლურჯი; ტიფონი იყო ზაფხულსაჲ კლიერი მზის გამომსახვეი — ცეცხლისფერი, რომელიც გვალეს იწვევს და სწავეს. ¹⁵

[იქვე ეგვიპტეში, თეთრი იყო ფერი დღისა და ცისა, სიცოცხლის სიხარულსა; შავ ან მუქი ლურჯი — ფერი ღამისა, ქვესკნელისა და გარდაცვალებულთა ზედა გლოვისა; ცეცხლისფერი — სიმბურვალე მზისა, და ამასთანავე: ყვითელი; ხოლო ლურჯი — მდინარისა ფერი.] ¹⁶

X

ებრაელთა რელიგიური ფერი იყო — თეთრი, ლურჯი, წითელი (ლალისფერი), ფიცხი წითელი. ასეთი ფერისა იყო ებრაულ ტაძრებში ნოხები, ფარდები, სამღვდლო შესამოსელი.

ებრაელთა სამღვდლო სამოსელი იყო თეთრი — სიწმიდისა და უმანკობის სიმბოლო. ბნელი ლურჯი, ცისფერი — ღვთიური გამოცხადების და რწმენის გამოსახულება. წითელი — მოსანანიებელი სამსხვერპლო სისხლის ნიშანი; ლალისფერი — მიწური უზენაესობის გამოხატვა. ¹⁸ — მოსეს წესთა ძალით ლევიტებს თეთრი სამოსელი უნდა ეტარებინათ... ¹⁷

X

ზარატუშტრას რელიგიაში, აპურა მარდას მსახურთ თეთრი სამოსელი ეცვათ წირვის დროს. ამავე რელიგიის მიხედვით მომავლადეს წყალით გასწმენდნენ და ბამბის თეთრი ქსოვილით შემოსავდნენ, და თეთრ სარტყელს შემოავლებდნენ, რათა იგი ღვთის წინაშე თეთრად წარსდგეს... მკედარის წამასვენებელი ორი კაცო ჩაცმულია თეთრად. ¹⁷

X

ძველი ბერძნები, როგორც არქიტექტურაში, ისე

სკულპტურა-პლასტიკაში ფერებს ხმარობდნენ. ფერების შემწეობით შეღებვის დანიშნულება იყო მეტი ცოცხალი მხიარულების გამოჩენა. ამ მიზნით წითელ, ლურჯ და მწვანე ფერს ხმარობდნენ, იშვიათად რუხსა და იისფერს.¹⁰

X

ძველ ევროპაში დიდად იყო გავრცელებული ფერებით სხეულის შეღებვა, რისთვისაც თავდაპირველად თეთრსა, წითელსა და შავ ფერს ხმარობდნენ. ამ ფერებს ჰქონდა საგრძნელო ძალა, სამისწო, ჯადოქრული ძლიერება და მფარველობითი, დამცველი მნიშვნელობა.

საერთოდ, ევროპულ ძველ ნორდულ წარმართობაში გარკვევით მოსჩანს აზიურ სარწმუნოებათა ნაშთი. ნორდული პოეზიის — რინგ მალ — მიხედვით: ღმერთებს ეძახიან: აზე ანუ ასე-ს, რაც თეთრს ნიშნავს; ხოლო იმ ღმერთებს, რომელთაც ქვეყნის განადგურება უნდა გამოიწვიონ, ეძახიან: ზურტ ან სურტ-ს, რაც შავს ნიშნავს.

X

ქრისტიანობაზე რომ შევაჩერო თქვენი ყურადღება, ნახათ, თუ რაოდენ რთულია ფერთა სიმბოლიზმი.

ქრისტიანული ღმერთი არის ნათელი, ნათელმფენი. ღვთის მსახურნი — ანგელოსნი აგრეთვე ნათელი და თეთრი - სპეტაკი სამოსელის მატარებელი არიან.

ქრისტიანულ მსოფლიოში მხოლოდ მეექვსე საუკუნის შემდეგ ტანისამოსის ფერით სასულიერო კაცი ერის კაცს დაშორდა. აღმოსავლურ ეკლესიაში მეხუთე საუკუნის დამდეგს წირვის სამოსელად თეთრსა და შავ სამოსელს ხმარობდნენ. ხოლო შემდეგ, განაკუთრებული ფერთა სიმბოლიკა დამყარდა და პაპა ინოკენტიუს მესამეს დროს († 1216 წ.) დღესასწაულნი და დღენი ოთხ მთავარ ფერად გაიყო: თეთრი, წითელი, მწვანე, შავი. მერმე ამ ფერთ მიემატა იისფერი, რომელიც შავი ფერის სხვაობაა.

ეკლესიაში გამოქმუნდა ლიტურგიის ანუ წირვის დროს სახმარი შესამოსელის ფერები: —

თეთრი — სინათლის, სიწმიდის, უმანკოების, წმინდანობის, ზრწყინვალე სიხარულის, ბედნიერების და ფერისცვალების, ნათლისღების ფერი.

წითელი — ცეცხლის, სისხლისფერი, მგზნებარე, შთანთქმელი სიყვარულის, რომელსაც სულიწმინდა მორწმუნის გულში აღაგზნებს; იგია თავდადებული, მძლე სიყვარული, რომელიც ამქვეყნიურ უძვირფასეს სიკეთეს ანუ სიცოცხლეს მარტირული ანუ მოწამებრივი სიკვდილით ასრულებს და მკვდრთათი იმარჯვებს.

მწვანე — იმედის ნიშანი.

იისფერი — ნაცრისფერას თანაბარი — მონანიებითი სულის და ქვეშაირი მონანიების ნიშანი.

შავი — გარდაცვლილი სიცოცხლისა და ჩაკეული სიხარულის, სიკვდილის და სამარის, ღრმა გლოვისა და მოთქმის ფერი.²⁰

მუქი ლურჯი შესამოსელი არის ცოდვის მონანიებისა და გლოვის ფერი და იგი იხმარება მარხვაში. შავი არის ფერი ღრმა გლოვისა და იგი იხმარება წითელ პარასკევს და გარდამოხსნის წირვაში. წითელი არის წმიდანის სისხლისფერი და იხმარება მოციქულთა, მარტილთა (წანებულთა) და სამების დღესასწაულზე. მწვანე მარად ნეტარებაზე, ცხოვნებაზე იმედის ფერი და ამ ფერის შესამოსელი იხმარება სამებისა და კიფანის შემდეგ. დანარჩენ შემთხვევაში იხმარება თეთრი სამოსელი, უძველესი და ზოგადი ლიტურგიული ფერი, სიწმიდისა და განწმედის გამოხატულება.

რელიგიის მსახურთა თეთრი სამღვდლოების გარდა, არსებობს შავი სასულიერო წოდება, ბერონაზონთა. ისინი შავი ფერის ანუ მისი შემკეული ფერის სამოსელს ატარებენ. აღმოსავლეთის ეკლესიაში შავი ფერი წმიდა ბასილის მიმდევრებმა შემოიღეს, ხოლო დასავლეთში, ბენედიქტიანებმა ანუ წმიდა ბენედიქტეს (480 — 543 წ.) მიმყოლებმა. ცისტერციანნი (წმიდა რობერ მოლემის მიერ დაარსებული ორდენი ცისტერციუმში, 1098 წ.) რუხ სამოსელს ატარებენ. დაახლოებით 400 წ. კონსტანტინოპოლის ეპისკოპოსები შავ სამოსელს იცვამდნენ, ხოლო ნოვაციანთა სექტამ (დაარსებული 251 წ. რომელიც მღვდლის ნოვაციუსის მიერ) თეთრ სამოსელს შეინარჩუნებენ. უკანასკნელად ფრანცისკანნი (წმიდა ფრანცისკუს ასისიზის მიერ დაარსებული ორდენი 1223 წ.) წაბლისფერ სამოსელს ატარებენ. ეს ფერი სიმდაბლისა და მორჩილების ნიშნად ითვლება. სალოცავად წასულნი ანუ მომლოცველნი (პილიგორები) შავს ან რუხს სამოსელს იცვამენ ხოლმე.²¹

ძოწვეული, ძოწისფერი და მეწამული, ორივე წითელი სხვა და სხვა იერით, ევროპაში შემოიღეს ბიზანტიური მაგალითის მიხედვით. ბიზანტიაში მათ მღვდელმთავარნი და იმპერატორები ატარებდნენ ქრისტიანულ მწერლობაშიც ფერთა განსაკუთრებული სიმბოლიზმი დამყარდა.

მწვანე არის გაზაფხულის, აღდგომის სიმბოლო; იგი რწმენასა და უკვდავებას გამოსახავს.

ლაქვარდი — იმედი და სიყვარული ღვთისა.

წითელი - ალისფერი — ქველობა და სათნოება; სისხლისღვრა მარტივობაში.

ძოწი — წითელი, ბროწეულისფერი — სიმბოლო მეფობისა, სამართლიანობისა.

მეწამული (სისხლისფერი) — მოგონება მარტივლითა; ძალა რჯულისათვის თავდადებულთა; სათნოება; ქველობა; უმადლესი სამღვდელთა პირის მეცნიერება.

თეთრი — სიხარული, მშვიდობა, სათნოება; მოთმენა, უმწიკვლობა, ქალწულობა; სარწმუნოებისა და ღვთის პატივი.

პიაკინტი, პაერფერი, მოლურჯო — ქრისტიანული სიბრძნე, სურვილი ციურ მიდრეკილებისა, სინიდისის უბრალეობა და სიბრტყე.

ვარდისფერი — მარტივლი, მისტიური ხილვა ძალისა.

ზაფრანისფერი — სიმბოლო მზიარებელთა.

სითეთრე და შროშანი თეთრი — ქალწულობა და უდანაშაულობა ცხოვრებაში.

რუხი — სევდა, ურვა, კმუნვა

იისფერი — მონაწილეობა

შავი — სინანული და გლოვა. 22.

ქრისტიანულ მხატვრობაშიც, უეპველია, ფერებს სიმბოლიური დანიშნულება აქვს. არამც თუ სამოსელთა ფერებს, არამედ ცხენთა ფერებსაც თავისი განსაკუთრებული მნიშვნელობა მიეწერება, როგორც ამას გვაცნობებს ღიუნოსი ანუ დიონისიოს არეოპაგიტა (მეხუთე-მეექვსე საუკუნე), განთქმული ღვთისმეტყველი. — ცხენი არის მორჩილებისა და გამგონობის სიმბოლო; თეთრი ცხენი — ანგელოსთა ბრწყინვალეობას გამოხატავს; წაბლა წარმოადგენს ღვთიურ საიდუმლოთა წყვილადს; მწითური კი — გვაგონებს ცეცხლის მშთანთქმელ სიფიცხეს; შავთეთრი უკიდურესობათა დაზავებას ასურათებს და სხვა. 23.

ძველთა-ძველ სარწმუნოებაში ღვთის მსახურნი საერთოდ თეთრ სამოსელს იცვამდნენ. ამ მოვლენაზე გარკვევით მიუთითებს სტრაბო (66 წ. ქრისტეს წინ, 24 წ. ქრ. შემდეგ). ბაბილუნურ - აკადური ხანის ღვთისმსახურნი წირვის დროს იცვამდნენ თეთრი ტილოს სამოსელს, ხოლო განმარტებული მსხვერპლის დროს კი წითელი სამოსელით იმოსებოდნენ. აი, აქედან არის ამ ფერთა მნიშვნელობა მომდევნო, შემდეგ და ახალ რელიგიებში დამკვიდრებული. 24.

X

ფერებს სახელმწიფო ცხოვრებაში და პოლიტიკურ ურთიერთობაშიც თავისი განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. ძველთა და ახალთა დროში და რომის გავლენით, პროვინციულ ქალაქებში, ბიზანტიაში საერთოდ და კერძოდ, სატახტო ქალაქ კონსტანტინოპოლში, ოთხი ფერი ბატონობდა. მზისადმი მიძღვნილ, ცირცენიუსის ნაშრომში საზოგადოებისა და მეეტლეთა სამოსელის ფერი იყო ოთხნაირი — თეთრი, წითელი, მწვანე და ლურჯი. დო-

მიციანუსის დროს (81 — 96 წ. ქრისტეს შემდეგ) მიემატა კიდევ ორი ფერი — ოქროსი და წითელი, მეწამული. კასიოდორუს მაგნუს ამ ფერებს სიმბოლიურ მნიშვნელობას მიაწერს და ოთხ ფერს, წელწადის ოთხი დროით ანუ არეთი განმარტავს. — იგივე ოთხი ფერი დამკვიდრებული იყო კონსტანტინოპოლშიც, სადაც მარულასა და ეტლთა შეჯობაში ოთხი სხვა და სხვა პარტია მონაწილეობას ღებულობდა, და ეს პაპოდრომის პარტიები სახელმწიფო ცხოვრებაზე დიდ გავლენას ახდენდნენ. — მონლოლებმა ერთ დროს ვეებერთელა რმპერია შექმნეს და ეს სახელმწიფო ოთხი კდით განიერკობოდა. მონლოლთა წარმოდგენით, მთელი მსოფლიო ხუთ ფერად განიყოფოდა: 1) სამხრეთი — წითელი; 2) ჩრდილოეთი — შავი; 3) აღმოსავლეთი — ლურჯი; 4) დასავლეთი — თეთრი; 5) შუა-ცა — იისფერი. 25. ყურულტაის საარჩევნო ოთხ დღეს, როდესაც ჩინგის ხანის მემკვიდრეს ირჩევდნენ ხოლმე, პირველ დღეს გამოსხადდებოდნენ თეთრი სამოსელით; მეორე დღეს — წითლად შემოსილნი; მესამე დღეს — ლურჯად; მეოთხე დღეს ამომრჩეველთ ეცვათ სტავრის სამოსელი, რომელზეც მსოფლიოს ოთხივე ფერის ნაკრები იყო ჩაქსოვილი, როგორც სიმბოლო მონლოლთა ბატონობისა მთელს მსოფლიოში (იქვე, გვერდი 227).

X

სახალხო სამოსელის ფერსაც თავისი გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა.

ჰუგო ფონ ტრიმბერგ, რომელიც მეცამეტე საუკუნის გერმანიაში ცხოვრობდა, თავის საზნეო ლექსებში, რომლითაც მაშინდელ გერმან ხალხთა ცხოვრების სარკვეა მოცემული, ამბობს: — ენისა და ტანისამოსის მიხედვით ერთ ქვეყენას, ერთ ხალხს მეორესაგან გაარჩევო. სამოსელის მიხედვით ერთი ხალხის მეორესაგან გარჩევას და გამოცნობას უკვე შეშვიდე საუკუნეში, ესპანეთის სევილლას ეპისკოპოსმა ისიდორუს-მა თავის თხზულებაში (ორიგენეს 19, 23) ერთი თავი მიუძღვნა.

ყარგად ცნობილია ის მოვლენა, რომ გაბატონებული ერები დაპყრობილ ან დაჩაგრულ ერებს განსაკუთრებული ფერის სამოსელს სავალდებულოდ უხდინდნენ. პირველად ხალიფა-ომარ-მა (640 წ.) შემოიღო ყვითელი ნიშანის სავალდებულოდ დაკრება ზედატანის სამოსელზე — ებრაელთათვის. ხალიფა პარუნ ალ-რამიდმა, ომარ (უმარ) მეორის წაბადვით, აუკრძალა ქრისტიანებს ისეთი ტანსაცმელი ეტარებინათ, როგორიც მაჰმადიანებს ეცვათ მუთავაკილმა არა-მაჰმადიანთათვის სამოსელის ყვითელი ფერი დააწესა. და ფატიმიდმა ჰაკიმმა, რომელი აბასიდებს ებრძოდა, არა-მაჰმადიანთათვის ტურბა-

ნის (თავსარქველის) შავი ფერი სავალდებულოდ გახადა, რადგან ეს ფერი — შავი — აბასილითა ფერი იყო. ერთხანს ქრისტიანებს აკრძალული ჰქონდათ წითელი ფერის სამოსელის ტარება; მერმე, საკედილის შიშით, თეთრი ფერის სამოსელის ჩაცმა აუკრძალეს მათ. ეგვიპტეში და სირიაში, ქრისტიანებს შეეძლოთ — ლურჯი, ებრაელებს — ყვითელი ფერის და სამარას ანუ სამარიტანელთ (რელიგიური სექტა, რომელიც წმიდა წერაღად მხოლოდ პენტატეუხ - ს, ანუ მოსეს ხუთ წიგნს აღიარებდა), შეეძლოთ წითელი ქუდი და წითელი სამოსელი ეტარებინათ. და სხვა მრავალი ასეთი წესი იყო მუსულმანურ სხვა და სხვა მხარეში. ²⁶.

როგორც ვხედავთ, ამით გამოისახულია ეროვნული განსხვავება რელიგიური თვალსაზრისით, ვინაიდან წარსულში რელიგია ეროვნულობასაც ნიშნავდა.

სამოსელის ფერის სავალდებულო ფერს და ნიშანს შემდეგ რომში წაბაძეს. და უკვე 1206 წელს, ეს წესი საფრანგეთში არსებობდა, ხოლო პაპა ინოკენტიუს III-ის დროს ლატერანული საბჭოს დადგენილებით (1215 წ.) ყვითელი ნიშანი სავალდებულო გაუხადეს ებრაელებსა და მაჰმადიანებსაც, რათა ისინი ქრისტიანებს არ შეეროდნენ. მაშინ, არა-ქრისტიანთათვის საფრანგეთში იყო ყვითელი ფერი, აგრეთვე — გერმანიაში; ინგლისში კი თეთრი და მერმე — ყვითელი. ²⁷. ხოლო რომანულ ქვეყნებში, ებრაელებს უნდა დაეკერებინათ დიდი ყვითელი რგოლი. ყვითელი თავისახურავე სავალდებულო იყო აგრეთვე როსიკიებისათვის უკვე მეცამეტე საუკუნეიდან. — მაგრამ ყვითელი ფერი ევროპაში ყოველთვის არ იყო ასე გასაიციხი და დასაგმობი. წინააღმდეგობა მანდილოსანთა შორის ფართოდ იყო გავრცელებული ყვითელი ფერის სამოსელის ტარება, განსაკუთრებით ჯვაროსანთა ღმებებს დაწყების შემდეგ (1098 წ.), როდესაც ჯვაროსნებმა ევროპაში შემოიტანეს მრავალი აბრეშუმი. მაგრამ რადგან აბრეშუმი საკმაო არ იყო, ამიტომ დაიწყეს ადგილობრივი, ევროპიული ქსოვილების ყვითლად შეღებვა. შესაღები მასალა კი იყო ზაფრანა, რომელიც აგრეთვე აზიიდან მოდიოდა; ასე რომ მისმა ფასმა მეტად აიწია და ამან ეკონომიური კრიზისიც გამოიწვია. მონტალონელი ერთი ბერი წუწუნებს, ქალებმა ზაფრანა გააძვირესო. და რომ ყვითელი ფერის ასე ფართოდ ხმარება მოეპოოთ, კანონმდებლებმა ყვითელი ფერის ტარება სავალდებულოდ გაუხადეს საძულველ ხალხს — ებრაელებსა და როსიკიებს, რათა ქრისტიანი ქალები ყვითელი სამოსელის ხმარებისაგან გადაეჩვიათ. ამავდარი ზომა სხვა დროშიაც და სხვაგანაც გვხვდება. გენერალმა მურავიოვმა პოლონეთის აჯანყების შემდეგ (1864 წელს) დააწესა

— მხოლოდ როსიკიებს უნდა ეტარებინათ შავი ტანისამოსი. ამის მიზეზი ის იყო, რომ პოლონელი ქალები აჯანყების დამარცხების შემდეგ, შავ სამოსელს ატარებდნენ, და ამით ერთგვარ პროტესტსაც აცხადებდნენ დამპყრობელი რუსეთის წინააღმდეგ. გენერალმა მურავიოვმა მიზანს შიდაწია. ²⁸.

X

სამოსელსა და სამოსელის ფერთა საკუთარი მნიშვნელობა ჰქონდა. ტანთაცმელ - თავსარქველის ანუ საერთოდ შესამოსელთა ფერთა საზოგადოებრივი კლასები და წოდებანი გამოიხატებოდნენ. ფერის ანეთი მნიშვნელობა ძველთა-ძველია და მის წარმოშობას რელიგიურ - სოციალური საფუძველი უძევს. ძველ სემიტურ ქვეყნებში, ინდოევროპიულ ანუ არიულ ხალხთა შორის ეროვნული და სოციალური განსხვავება სამოსელთა და ფერთა სხვაობით გამოიხატებოდა და ეს ფერთა რასიული, წოდებრივი - კლასობრივი და რელიგიური სიმბოლიკა ევროპიული კულტურის განვითარების შუა საუკუნეთა დასრულებამდე მნიშვნელოვანი იყო.

სამოსელის ჩაცმის, ტარების მიხედვით განსხვავდებოდა წოდება, ქონება, ხელობა, და ამას შუა საუკუნეთა გასწვრივ ერთგვარი კანონის ხასიათი მიეცა. ²⁹.

სოციალ - ეკონომიურ ცხოვრებაში ფერთა სიმბოლიკა ბატონობდა, როგორც აქს სხვათა შორის, ერთი ლექსიც გვიჩვენებს, რომელ შეეცარიაში და გერმანიაში იყო გავრცელებული და იქ ყველანა მღეროდნენ. წითელი ფერი — ყასაბი; ლურჯი — მღებარი; შავი — ბუხრისმწმენდელი; ყვითელი — მთრიმლავე (დაბალი); მწვანე — მონადირე; თეთრი — მეწისქვილე. ამ ფერებით ხასიათდებოდნენ აღნიშნული ხელოსნები.

ფერთა სიმბოლიკას უკავია მეტად შესამჩნევად ადგილი კლასობრივსა და წოდებრივ ცხოვრებაში. ძველ ნორდულ თქმულებათა — რინგს მალ — მიხედვით, პირველად ღმერთმა ჰეითალ-მა დაამყარა წოდებანი და მათ შორის განსხვავება. შუა საუკუნეთა გერმანულ უფლებათა წიგნი — ზაკენშპიგელ —, რომელიც დაახლოებით 1235 წელსაა შედგენილი, წოდებათა განსხვავებას ადასტურებს და რინგს მალ-ის შეხედულებას ფერთა შესახებ იზიარებს. ამ შეხედულების თანახმად, პირველი არათავისუფალი ადამიანი იყო არა მარტო სხეულით გონჯი, არამედ შავიც. თავისუფალი წოდების პირველი ადამიანი კი იყო ქერა, წითელი. კეთილშობილთა აქვთ ქერა თმა და ნათელი ანუ თეთრი სახე.

ამგვარად, ხალხი იყოფა სამ მთავარ წოდებად და მათი ფერია: შავი, წითელი, თეთრი. თეთრია — სილამაზის იგივეობა. წითელი და თეთრი ერთად —

სილამაზის მალალი გამოხატულება. შავი — სიმა-
ხინჯის ფერია. — ირლანდულ, იტალიურ, გერმა-
ნულ და სხვათა თქმულებებში თუ ზღაპრებში ეს
შეხედულება მრავალჯერაა დადასტურებული, ხო-
ლო ბიბლიაში (ქება ქებათა) პირდაპირაა ნათქვამი:
ჩემი მეგობარი არის თეთრი და წითელი, გამორჩე-
ული მრავალ ათასთა შორის, მისი თავი ხალასი ოქ-
როაო. პროფ. ვ. ეაკერნაგელის რწმენით, ამას სა-
ფუძველი უსათუოდ რასიულ განსხვავებაში უნდა
ქჷნოდო. 28.

სოციალური უთანასწორობისა და წოდებათა
სხვადასხვაობის გამოსაჩენად ფერთა სიმბოლიკა სა-
მოსელის ანუ ჩაცმულობის წესსაც ამტკიცებს. რინგ
მალ-ის მიხედვით, ძველ გერმანულ ქვეყნებში არა-
თაეისფალი ხალხნი ბნელი ფერის სამოსს ატარებ-
დნენ, თავისუფალნი კი — წითელი ფერისას; კე-
თილშობილთ ეცვათ ნათელი, ღია ფერის სამოსე-
ლი. მეთორმეტე საუკუნის ერთი ლეჷი ამ წოდებ-
რივ მტკიცე ჩვეულების დაწესებას კარლს დიდს
(742 — 814) მიაწერს, ოღონდ ეს ისტორიულ სი-
ნამდვილეს არ შეეფერება. წოდებრივ სამოსელთა
ფერების დასაწყისი უცნობია. ახლანდელი ფრანგუ-
ლი «გრიზეტ», რომელი უწინ დაბალ წოდების ქა-
ლიშვილს ნიშნავდა, წარმომდგარია სიტყვისაგან
«გრიზ», რაც რუხს ნიშნავს. როგორც საეკლესიო
სიმბოლიკაში: მტკიცე ლურჯი და შავი, წაბლისფე-
რი და რაბი — საერთოდ ერთი და იმავე მნიშვნელო-
საა. საეკლესიო ენებზეც ლურჯი (ბლავ) აგრეთ-
ვე შავს ნიშნავს. ამიტომ მდაბიოს, უბრალო ხალხს
მეფელო ბნელი ლურჯი ფერის სამოსელის ტარება.
რუხი, ბნელი ლურჯი და შავი ფერი დღესაც არის
დარჩენილი ევროპის ქვეყანათა სახალხო ტანისამო-
ლის ფერად. (იქვე, 28.).

აღსანიშნავია ამასთანავე ის საგულისხმო მოვლე-
ნაც, რომ არსებობდა ტანისამოსის სრულიად გარკ-
ვეული ფორმა დაბალი ანუ მდაბიო ხალხისათვის.
ამის შესახებ ერთი მოგვიანო კანონი გამოცემულია
ბავარიის 1604 წელს. ამ კანონის ძალით, გლეხებს
უნდა ჩაეცვათ ეგრედწოდებული გლეხური შარვა-
ლი (ბაუერჰოზე). რათა ეს ზომა სავსებით გაეტარე-
ბინათ ბავარიის საჷერცოგოში განსაკუთრებული
მეთვალყურენი დანიშნეს და მკერაეთ დაემუქრნენ,
თუ ისინი გლეხებისათვის სხეანაირ შარვალს შეე-
რავდნენ, მათ დიდი ჯარიმა უნდა გადაეხადათ.

მალალი წოდების ტანისამოსის ფორმა სავსებით
განსხვავდებოდა დაბალი წოდების ტანისამოსისა-
გან — და აგრეთვე ფერთაც. რასაკვირველია, ევ-
როპაში ინდოეთისებური კატური მკაცრი დაყო-
ფა არ არსებობდა, და აღნიშნული წესი სასტიკი
კანონი არ იყო, კრამ მაინც ეს შეხედულება

სამოსელთა სხვაობისა და ფერთა შესახებ მტკიცე
იყო.

როგორც აღვნიშნე, მალალი წოდების ხალხს
ღია ფერის სამოსელს ხმარობდა და უმთავრესად
ქრელს. არისტოკრატის ფერი იყო — თეთრი და
წითელი. უფრო გაერცელებული იყო ორფერიათა
სამოსელი, ნახევარ-ნახევარი, ან გადაკლობილი
ფერებით, თეთრი და წითელი ნაქრებით. საკარის
კაცო პოეზია მდიდარია ლეჷსებით (და ამგვარი ქა-
რთულშიც მოიპოვება), რომელშიც გმირთა, ქალ-
თა და ვაჟთა ტანსაცმელია აღწერილი.

თეთრი ფერი იყო უმაღლეს ხელისუფალთა, მე-
ფეთა, დიდებულთა, თავადთა ფერი. თეთრი სამო-
სელი, თეთრი ცხენი, თეთრი ძაღლი, თეთრი ჯო-
ხი, მაგიდის თეთრი საფარი, საწოლის თეთრი სა-
ფარი, თეთრი ჷურჯველი და სხვა, მალალი წოდების
აღამიანს შეეძლო ჷქონებოდა.

შემდეგ, თვითველ ფეოდალს თავისი საკუთარ
ფერი ჷქონდა, რომელიც საკარისკაცო პოეზიაში
ცნობილია. მაგალითად, ულრიჷ ფონ ლიჷტენშტა-
ინი (1200 — 1276), რაინდი, (შტაირიში რიტტერ)
დამწერი ქალთა მსახურებისა (ფრაუნენდინსტ), და-
მთელი მისი ამაღა თეთრი ფერის ტანისამოსს იც-
ვამდა. წვეულებაში, თუ მასპინძელს ჷქონდა თეთ-
რი ფერის სამოსელი წესად, ჯველა მისი სტუმარ
თეთრად უნდა ყოფილიყო ჩაცმული.

წითელი ფერის სამოსელი ევროპიელმა მეფეებ-
მა ბიზანტიური და რომაული მაგალითით შემოი-
ღეს. გერმანული ჩვეულებითაც წითელი ფერი იყო
მეფეთა და უმაღლეს პირთა სამოსელის ფერი, რო-
მელი აგრეთვე ომისა და ლაშქრობის ფერადაც
ითვლებოდა. და ომი - ლაშქრობა ხომ წოდებრივი
ხელობა იყო!

საომარ საქურველს ეკუთვნოდა აგრეთვე ფარი.
როგორც ტაციტუსი (55 — 117) მოწმობს, გერმა-
ნელები თავის ფარს უმთავრესად წითლად ღებავ-
დნენ. წითელი ფარი გემის ანძაზე ომისათვის მზად
ყოფნას, ან ომში წასვლას ნიშნავდა, როგორც ედ-
დას (ძველი ირლანდული სამწერლობო მრავალი
ძეგლი, შეკრებილი დაახლოებით 1200 წელს) ერ-
თი სიმღერა ამბობს.

ფერთა ამ სიმბოლიკიდან წარმომოპილია ჷე-
რალდიის ნიშნები და დროშა (ალამი, ბაირალი),
რომელი სხვა და სხვა ფერით იღებებოდა, ან ნაი-
რი ნაქრით, იკრებოდა, და თვითველს ხელის-
უფალის საბატონოს წარმოადგენდა.

ჯვაროსანთა ომებში ხანაში (1096 — 1291)
ფერი ჯვარისა, რომელსაც ევროპიელი რაინდები
ატარებდნენ, სხვა და სხვა იყო. ფრანგებს თავიდან
იკერათ წითელი ჯვარი, შემდეგ კი — თეთრი. იტა-

ლიელებს ჰქონდათ ლურჯი ჯვარი; გერმანელებს — ნარინჯისფერი, ან შავი; ინგლისელებს — ყვითელი. ³⁰ ჯვარის ფერი ეროვნული სხვაობის ნიშანიც იყო.

ფერი დამახასიათებელია არა მარტო რელიგიის, ეროვნებისა და სოციალ-პოლიტიკური ცხოვრებისათვის, არამედ აგრეთვე ესთეტიკისა, ზნეჩვეულებათა და ყოფაქცევათათვის.

X

საერთოდ, ცხოვრებაში, ადამიანის რწმენით, თეთრი გამოსახავს კარგ დროს, კარგ დროებას, ბედნიერებას, კეთილ ცხოვრებას, ხოლო შავი კი — შავ დროს, ცუდ დროებას, უბედურებას, დუხჭირ ცხოვრებას; ამიტომ არიან ნაბელუნგთა სიმღერაში (გერმანული ზაგა = თქმულება), გუნტერ და ზიგფრიდ თეთრ ტანისამოსში და თეთრ ცხენზე, ხოლო ჰაგენე და დანკვარტი — შავით სამოსელით და შავ ცხენზე.

შავი არის გლოვის ფერი. გლოვის დროს შავის ტარება ხალხური რელიგიიდანაა წარმოშობილი შავს იცვამდნენ მთელს ტანზე, იფარავდნენ სახეს შავით და თავზე კიდევ ნაცარს იყრიდნენ. — ამ წესის მიზეზი იყო არა გულის ტკივილი და მწუხარება გარდაცვალებულზე, არამედ თავისი საკუთარი თავის გადარჩენისა და თავისი სოცოხლის დაცვა. ამ ჩვეულებას აზრი იყო: ცოცხლად დარჩენაღოთ მკვდარის სულისაგან თავი დაემალათ, რათა ამ-შავებში დამალულნი მას ვეღარ ეცნო და მათთვის ენება ვეღარ მიეყენებინა! უუძველესი ჩვეულება სულთა რწმენიდან წარმოშობილი, ყველგან ხომ დღევანდლამდე არსებობს, ცხადია, შესხვაფერებული, — დღეს ევროპაში შავს მარტო მკლავზე ატარებენ.

ისტორიკოსი პლუტარხოს (40 — 120) მოგვითხრობს, — კიმბერთა დედაკაცები, მათ მამაკაცთა ომში დამარცხების შემდეგ, შავით იმოსებოდნენო. შავი ფერი ომისა და ბრძოლის ხერხადაც იხმარებოდა. ტაციტუსი (35 — 117) გვამცნებს: გერმანელთა ერთი ტომის მეომარნი ბრძოლის წინ ტანს შავად იღებავდნენ, ხელთ ეკირათ შავი ფარი, და ჩხუბს ღამით იწყებდნენო. სხვა ხალხებიც იღებავდნენ ტანს შავად სწორედ ამ მიზნით. — კაიუს იულიუს კეისარს გვამცნობს, — ბრიტეზო-სინგლასში ტანს შავად იღებავდნენ და ბრძოლაში საშინელ შთაბეჭდილებას იწყებდნენო. — შემდეგშიც, უნგრეთის მეფის მათიას კორეინუს-ის ჯარისკ 1474 წელს შავ ჯარად იხსენება და ოცდაათწლოვან ომის დროს (1618 — 1648) არსებობდა ბავარიული მხედრობა, რომელს შავი ტანისამოსი ჰქონდა, შავი ცხენები ჰყავდა და ფარზე კიდევ შა-

ვი ქალა გამონატული. პრუსიის მეფეს ფრიდრიხს (1740 — 1786) ჰყავდა მკვდარის-თავის-ქაანი ჰუსარების ჯარი (ტოტენკომფენუსსარჩერეგ მენტ). ³¹

შავი ვით გლოვის ნიშანი გეხედება აგრეთვე დელი ატტიკის — ცროვნული გმირის, თესვოს თქმულებაში. ასევე ტრიტან და იზოლტა-ში, ს დაც გემზე შავი აფრა აუშვეს გლოვის ნიშნად. ი ივე სიმბოლო განმეორებული აქვს ედმონ როსტა (1863 — 1918) თავის შესანიშნავ «ლა პრენს; ლუანტენ»ში, რომელი შუა საუკუნეთა ერთი გმირსანი, ტრუბადურ აკეიტენ ჟოფრ, ანუ ჟოფრუ რუდელ, ბლასი თავადის (მე-12 საუკუნე) სიყვარულის ამბავია აღწერილი.

მაგრამ ამასთანავე, თეთრიც იყო კიდევ გლოვი ნიშანი, ოღონდ შავთან ერთად, — მაგალითად შავი სამოსელი და თეთრი თავახურავი. ასეთ ფერებს ატარებდნენ მხოლოდ ქვრივნი და ისეთი ქალები, რომელთ თავისი ღრმა გლოვის ჩვენება სურდათ. მაგრამ ამ შემთხვევაში, ქმარის სიკვდილი შემდეგ, თეთრი იყო ქვრივის უმანკობისა და უბრწოების გამოსახულება. საფრანგეთის ქვრივ დედოფალს ჩვეულებრივ «თეთრი» (ბლანშ) ეწოდებოდა.

~~გერმანული~~ ~~ლენინი~~

წითელი ფერი არის შავი ფერის მოწინააღმდეგე, გლოვის მოპირდაპირე — ლხინი და მზიარულა. ბრიტები გლოვის დროს ფუტკართა სკას შავი შემოსავდნენ და ქორწილის, ან ბავშვის დაბადებისას კი — წითელით. და ასევე იყო ყველა ქალაქში: გლოვის დროს ქალაქი შავით იმოსებოდა, ხოლო სიხარულის ეამს წითლად ირთვებოდა და იკახმებოდა.

წითელ ფერს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ხმელთაშუაზღვის არეთა კულტურაში დკერძოდ დასაფლავების წესებში. მკვდარის განსავენებელი ქურქელი, ხისა თუ ქვისა, შიგნით წითლად იყო შეღებილი; წითლად იღებებოდა აგრეთვე მკვდარის სამოსელიც, თვით მკვდარის სხეულიც მთლიანად. ეს წესი არსებობდა ძველ საბერძნეთში, იტალია - საფრანგეთ - გერმანია - სამხრეთ რუსიაში. სადაც იმ ხანად სკვითები ცხოვრობდნენ, და ამას გარდა მკირე აზიაშიც, სადაც საამისო ნიშნებია აღმოჩენილი. მკვდარს ამ წითელი ფერით უნდა მინიჭებოდა სიხარული, და რაც შეიძლება იგაუქირებებოდა და უმტკივნეულოდ გადასულიყო შავს ქვეყანაში, საიდანაც იგი მერმე მკვდრეთით უნდა აღმდგარიყო. რაც წითელია (სისხლი — სოცოხლე), ის შავად იქცევა (სიკვდილი), ხოლო რაც შავია და მკვდარი. იცნებ წითელი (და

ქალი) უნდა გახდეს, — წითელმა ფერმა, მზის
რმა ბნელ ქვესკნელში მკვდართ ზედა უნდა შე-
სუბუქოს.

წითლად იყო შეღებილი ბერძნული და რომაე-
რ ლმერთები — იუნო, იუპიტერ, პან, ილენე, სა-
რ, სილვანუს და სხვანი. თვით ფალოსიც წით-
ლად უნდა ყოფილიყო შეღებილი.

წითელი ხომ სისხლის სიმდიდრის, და მაშასადა-
ე, სიმრთელის, ჯანმრთელობის მაჩვენებელია, და
წორედ ეს აღნიშნებოდა ამ წითლად შეღებვით,
ოცა ლმერთებს წითლად შეკობდნენ. და აქედანაა
არმომდგარი აგრეთვე მსხვერპლი, საკლავი, სის-
ლოვანი შეწირვანი. ²²

სახეზე იხედება თეთრი და წითელი ფერა. წითე-
ლი სისხლის გამოხედვია, და ამიტომ იგი სიცოცხ-
ლისა და მზიარულების ნიშანია. მაგრამ წითელი
ფერი ჩნდება აგრეთვე სირცხვილისა და გაჯავრე-
ვის შემთხვევაშიაც, ოღონდ ასეთი წითელი მხო-
ლოდ გარდამავალია. ამიტომ წითელი ფერი ადა-
მიანის განწყობილებისა, ანუ გუნების გამოხატუ-
ლებაა. ეალთერის (1160 — 1227) ლექსებში სი-
არული და სირცხვლი წითელი ფერთაა გადმო-
ცემული. რაიმარ დეს ალტენ-ის მინე - ლექსში
წითელი არის სიყვარულისა და სიხარულის გამო-
იხულება. მაგრამ წითელი როდესაც თავის ფერსა
ქარგავს, ფითრდება ანუ ყვითლდება, მაშინ ფით-
რი ან ყვითელი, შიშისა, სიცოცხლის წართმევისა
და სიკვდილის ნიშანია.

მაგრამ წითელს მიეცა კიდევ ერთი მნიშვნელო-
ბა, რომელი მას არ შეეფერება. წითელი ფერა გავ-
და სიყალბისა და ცბურებისა ნიშნად. დაახლოებით
1300 წელს რამენსდორფმა დახატა ქრისტეს გამცე-
ნი იულა წითელი თმითა და წითელი წვერულავით-
ია. ამით მან გადმოიტანა მხატვრობაში ხალხური
წარმოდგენა წითელზე. წითელი ფერი რომ ცბიე-
რებისა და ორგულობის ნიშანია, ეს შეხედულება
ხირველად არის ვაჰოთქმული გერმანულ რომანში
— რუოლოებ — (1023 წ.) —: არ ენდო წითელ-
თმიან კაცსო! და მეთორმეტე საუკუნედან ეს თქმა
გავრცელდა მთელს ევროპიულ მწერლობაში. ამ-
თან დაკავშირებით წარმოიშვა პოეზიაში წითე-
ლი ფერი ვითარცა ბოროტებისა — გამომსახველი
(ფრაიდანკ, კონრად), გარნა წითელი ფერის ასეთი
მნიშვნელობა ყველასათვის მისაღები არ შეიქმნა,
რადგან წითელი ფერი, როგორც ზემოდ აღვნიშ-
ნეთ, თავისუფალი წოდების სიმბოლო იყო.

იოსებ აგრიკოლას (1492 — 1566) ნათქვამში,
და გოტფრიდ ფონ სტრამბურგ-ის († 1220 წელს)
განთქმულ ტრისტან-ში. და აგრეთვე ცნობილ ნი-
ბელუნგ-თა სრმლერ ნიბელუნგენლიდ წითელი,

ყვითელი — სიყვარულის, სიხარულის, შიშისა და
სიკვდილის სიმბოლოდ არის გამოყენებული. საერ-
თოდ, ამ ორ ფერს — წითელსა და ყვითელს —
შუა საუკუნეთა ევროპის მგონებები ერთი მეორეს
უპირისპირებენ ადამიანის განწყობილებას, გუნე-
ბის, სახის ფერის, სილამაზის დასახატავად. ²⁴

X
ადამიანის გუნებასაც აქვს თავისი სიმბოლოა.
კაცის ხასიათს ფერებით აღნიშნავენ ხოლმე, და
ეს დღემდეა დარჩენილი. ამ სიმბოლოთა მიხედვით,
ფლეგმატიკოსი, ანუ ადამიანი, რომელსაც არ
გააჩნია ალგუნების, ალტაცების, ალელვების, ალტ-
ყენის უნარო, მძიმე სისხლისაა, — ხასიათდება
ფეთრი ფერით.

მელანქოლიკი, ანუ ადამიანი მკმუნავი, სევდიან-
ნი, ნაღვლიანი, მარად შეწუხებული, — მღორე
სისხლისაა — შავი ფერით.

სანგვინიკი, ანუ ადამიანი მზიარული, ფიცხი, ცხა-
რი, ჩქარი სისხლისაა — წითელი ფერით.

ქოლერიკი, ანუ ადამიანი გულმწყრომი, მრისხა-
ნი, გულფიცხი, მშფოთი, ცხელი სისხლის — ყვი-
თელი ფერით.

ადამიანის ბუნების აღსაწერად გამოყენებული
ფერთა სიმბოლიკა ვრცელდება კიდევ სილამაზის
დახატვაზე, და საერთოდ ფერებს ესთეთიკაში დი-
დი ღირსეული ადგილი უჭირავს.

კონრად ფონ მეგენბერგი უკვე ლაპარაკობს არა
მარტო ადამიანის გუნების ფერებით დახასიათება-
ზე, არამედ კიდევ სილამაზის ფერებით აღწერის
შესახებაც. ჰაინრიხ ფონ ველდეკე (დაახლოებით
1180 წ.) თავის ეპიურ ნაწარმოებში «ენეიტა», —
კონრად (მე-12 საუკუნის პირველი ნახევარი) თა-
ვის «ტროანელთა ომ»-ში, — ჩვეულებრივ მინე -
სიმღერებში (მინეზანგ — მეთორმეტე და მეცამე-
ტე საუკუნის. საკარისკაცო - სატრფიალო პოეზია
გერმანიაში, ტრუბადურების პოეზია ჩრდილო-სა-
ფრანგეთში, ტრუვერთა პოეზია სამხრეთ საფრან-
გეთში, მე-11 და მე-12 საუკუნე), ვოლფრამ ფონ
ემენბახ - ის (მე-12 საუკუნე) «პარცივალ»-ში, და
სხვ. სილამაზის აღწერილობა მარტო ფერებით
არის გადმოცემული მე-13 საუკუნის ერთი უცხო-
ბი გერმანელი პოეტი, — და უკიდრიმ ფონ შპეერ
(1591 — 1635) სასიძოს ასე აქებს —: სპილოს
თეთრ ძვალს წითელი ფერი გადაჰკრავსო.

ძველ ბერძნთა გენიის ჰომეროს-ის (დაახლოე-
ბით 700 წელი ქრისტეს წინ) «ილიადა»-ში და
ძველ ლათინ მწერალთა ნაწარმოებში ქალის სი-
ლამაზე ასეა შექებული: სპილოს ძვალი სისხლის
ფერად არის შეღებილი. — ამგვარი შედარება

სილამაზის დასახსიათებლად თეთრ და წითელ ფერთან ერთად, უფრო გავრცელებული იყო ევროპის შუა საუკუნეთა მწერლობაში, ვიდრე კლასიკურ ხანაში.

სილამაზის უმთავრესი გამოხატულება იყო — თეთრი და წითელი ფერის ერთად ზოხნება: — თეთრი ფერი სახისა და წითელი — ლაწეთა, ანუ ლოყებისა და ბაგეთა, ანუ ტუჩთა.

სილამაზის ფერთა შემოქმედი იყო — ღმერთი. ამიტომ, როცა პირველად ქალებმა ხელოვნური გალამაზებისათვის ფერებით სახის შეღებვას მიმართეს, და ამნაირად გრემლობა (მაკიაჟი) ანუ სახეზე ფერუმარლის წაცხება ჩვეულებრივი გახდა, ამან აღშფოთება გამოიწვია დასაწყისიდანვე, ხოლო მერმე, მგონები სილამაზის აღწერისას, ამბობდნენ ხოლმე — ამ ქალის ფერი (წითელი და თეთრი) ხელოვნური არ იყო, არამედ ბუნებრივიო. გერმანიაში ქალებს უფრო თეთრი ფერა სჭირდებოდა, რადგან ისინი წითური არიან, ხოლო რომანულ ქვეყნებში ესაჭიროებოდათ უფრო წითელი, რადგან იქაური ქალები უფრო შეგვერემანები არიან. ამგვარად, თეთრი არის სილამაზის ფერი, ხოლო თეთრი და წითელი ერთად — მაღალი სილამაზის ფერი.

თეთრი და წითელი ფერის მოწინააღმდეგეა — შავი. შავი არის სიმახინჯის, აგრეთვე სიბილწის, ბინძურის გამომსახველი და ცუდი, ამასთანავე — ბოროტი. ჭაბიათის გამომჩვენებელი. შუა საუკუნეთა გერმანელისათვის და ანგლო-საკსონელისათვის არაბი და სირიელი, როგორც შავი თუ შეგვერემანი, ულამაზობის გამოხატულებაა. — და თქმა: — ჩემი საყვარელი არაა შავი, ნიშნავდა: ჩემი საყვარელი ლამაზია!

მაგრამ შავი ფერი, მოხსენებული წითელთან და თეთრთან ერთად, სილამაზის დასახსიათებლად, სილამაზის უძლიერეს გამოხატულებას ნიშნავს.

X

ევროპის შუა საუკუნეთა პოეზიაში, ხშირად იხმარება შავი ფერი თმის აღსაწერად, თუმცა გერმანული საქარისკაცო პოეზია, და რინგს მალ, უფრო ჭკრა თმის აძლევს — ფპირატესობას, და თმას. აღარებს ოქროს ან აბრეშუმს, როგორც მაგალითად, გოტფრიდ ფონ სტრასბურგ, დიტრიჰ ფონ ბერნ, გუდრუნ (გერმანული საგმრო ეპოსი, დაახლოებით 1200 წ.), კონრად (მე-12 საუკუნის პირველი ნახევარი), ჰერბრტ ფონ ფრიცლარ და სხვა. ხოლო ვირნ ფონ გრაფენბურგ (მე-12 — 13 საუკ.) და ულრიჰ ფონ ლოპტენშტაინი (1200 — 1276) შავი თმის მაგიერ თმის წაბლისფერობას აღნიშნა-

ვენ. შავი აქ ყველგან შეცვლილია სილამაზის აღწერაში წაბლისფერით.

თეთრს, წითელს, შავს ანუ წაბლისფერს გაჭდა, საპატივო მნიშვნელობა მიენიჭა სხვა ფერსაც, რომელიც აგრეთვე ფერთა სიმბოლიკის საგნად გახდა. ყვითელი და მწვანე ფერი შერის გამოსახულებაა, ამტომ ხალხისა და პოეზიის წარმოდგენით, ეშმაკი წითელი სხულით ან მწვანე მოსახსამით აღიწინებოდა, როგორც იგი პერადის მიერ არის დახატული.

შუა საუკუნეთა პოეზიაში, ფერები: თეთრი, წითელი, შავი, — საკუთარ სიმბოლიკას გვაძლევს. თეთრი არის საუკუნო ნეტარება; წითელი — სილღა; შავი — ბოროტება (მარგარეტ ფონ დუინ, ფიშარტ, გესტა რომანოტუმ და სხვა).

დანტეს (1265 — 1321) თავის შენიერ «უღლთა განსაწმედელა»-ში (თავი 29), სიყვარული ატარებს ცეცხლივით წითელი ფერს სამოსელს; მწვანე — იმედის ფერია; თეთრი — რწმენისა; მწვანული (სისხლის ფერი) — სბრძნე - სამართლიანობა - ზომიერება.

X

ადამიანთა ურთიერთობის, მამაკაცთა და დედაკაცთა დამოკიდებულების გამოსახატავად ფერებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ევროპის შუა საუკუნეთა მანძილზე, თითქმის მის დასასრულამდე.

თუ რა ფერის ტანისამოსს ატარებდა მამაკაცი და დედაკაცი, ამ ფერით იგი თავის გრძნობებს გამოამჟღავნებდა. — ამგვარად, გრძნობათა გარეგნული გამომამჟღავნებელი და სულიერი ვითარების გამომჩვენებელი იყო — ტანისამოსის ფერი. მე-15 საუკუნის, ყველიერის საღამოს ერთი პიესა — «დი ზიბენ ფარბ» — გადმოგვცემს, რომ მწვანე არის მიწნე-საგან (ტრფობისაგან) თავისუფლება

წითელი — გზნებაზე სიყვარული

ლურჯი — ერთგულება

შავი — სიყვარულით ტანჯვაზე სევდა

თეთრი — იმედით აღსავსე სიყვარული

წაბლისფერი — დაკავშირებულობა მიწნე-სთან (სიყვარულ-ტრფობისთან). ასეთი არის თვით ამ პიესაში სიყვარულს ფერები.

სამოსელთა ფერი პირდაპირ გახდა საჯარო განცხადებად, და აღნიშნულ ფერთა გარდა, სხვა ფერებსაც თავისი მნიშვნელობა ჰქონდა: —

მწვანე და ლურჯი სამოსელი — დასაწყისი სიყვარულის სიმბოლიკისა

თეთრი და ლურჯი — ერთგულება და სიყვარულზე კარგი მოგონება

თეთრი და მწვანე — სიყვარული წმიდა და მვენნიერი ქალისადმი.

თეთრი და შავი — კარგი მოგონება ტანჯვაში შავი და მწვანე — სევდა სიყვარულზე

შავი და ლურჯი — ურყევი ერთგულება წითელი და მწვანე — მწველი, დამდაგავი, გა-

კარვარებული სიყვარული ყვითელი და ლურჯი — სახელის მოხვეჭისათვის ჰზად ყოფნა.

შესაძლებელიაო, ამბობს მენგის, ფერთა სამოსელის ეს ჩვეულება პირველად გაჩნდა მეცამეტე სა-

უკუნის ფრანგულ რაინდულ წრეებში და იქედან გავრცელდა იგი გერმანულ რაინდულ ფენებშიო.³²

ევროპის შუა საუკუნეთა პოეზია უწინააღეს ექვს ფერს აქცევდა ყურადღებას, ოღონდ ფერთა რიგ ლექსებში ერთი და რიგვე არაა; არც ფერთა მნიშვნელობა არის ერთნაირად მტკიცედ დაცული. ეს რაინდული პოეზია შემდეგ ფერთა სურათს გვიჩვენებს: —

სამოსელთა ფერის მნიშვნელობა	ფერის მნიშვნელობა სიყვარულში:
წაბლის ფერი — პატივი	ხეაშიადი
მწვანე — სიყვარულის დასაწყისი	იგივე
თეთრი — იმედი	იგივე
წითელი — აღზნებული სიყვარული	იგივე
ყვითელი — აღსრულებული სიყვარული.	არაა
ლურჯი — ერთგულება	იგივე
რუხი — გაქირვებული ვითარება	არაა

ამ საკითხის დიდ მკოდნე, ვ. ზეელმანის თქმით, ამ ფერთა სიმბოლიკას მიხენ-ს (სიყვარული) სამსახურში ანუ სარაინდო მეტყველებაში, საფუძველი ფრანგულმა საკარისკაცო პოეზიამ ჩაუყარა, და შემდეგ იგი შეითვისა და განავითარა გერმანულ-მა რიტერულმა (საქაბუკო) პოეზიამო.³⁴

ფერებს ჰქონდა აგრეთვე თავიი მნიშვნელობა სახალხო მედიცინაში, მკითხაობა - მისნობაში, მავნე და კეთილ სულთა რწმენაში, პირუტყვთა ბალანის განმარტებაში, ყვავილთა დათესვაში დროის მიხედვით, ყვავილთა ფერების ენაში, და სხვა და სხვა.³⁵

X

ამგვარად, ფერთა დიდი სიმბოლიზში დიდად მნიშვნელოვანი იყო სახელმწიფოებრივი, პოლიტიკური, რელიგიური, სოციალური და ეკონომიური ცხოვრებაში და მწერლობაში.

ფერთა სიმბოლიკას დიდი ადგილი ეკავა მხატვრობაში.

ფერთა სიმბოლიკით ხასიათდებოდა ადამიანის

ბუნება.

ფერთა სიმბოლიკით აღინიშნებოდა სიყვარული. ფერთა სიმბოლიკას ადამიანთა ყოველდღიურ ცხოვრებაშიც სათანადო ადგილი ჰქონდა მიკუთვნებული.

ფერთა სიმბოლიკა ძველი დროისა და შუა საუკუნეთა კულტურული განძია, ოღონდ დღეს მას ისეთი შეგრძნობა, გაგება და ღირსება აღარა აქვს, როგორც წარსულში. მაგრამ დიდმა გოეთემ თავისი ყურადღება შეაჩერა ფერებზე, ზოგჯერ გამოიყენა იგი თავის უკვდავ თხზულებებში, და ფერთა საკითხს ერთი შევნიერი ნარკვევიც მიუძღვნა, რომელშიც, სხვათა შორის, იგი ფერთა სიმბოლიზისა ეხება. მისი დასკვნები ფერების სიმბოლიკის შესახებ დიდად არ განსხვავდება აქ აღწერილი სიმბოლიკისაგან. გოეთე ამბობს: —

ბუნებასთან ახლო მყოფ ადამიანებს, უხემ თუ ველურ ხალხებს, ბავშვებს, დიდი მიდრეკილება აქვთ ფერსი ფერებისადმი, და განსაკუთრებით — ყვითელ — წითლისადმი. მათ აქვთ მიდრეკილება აგრეთვე ჭრელისადმი (მუხლი 835). ევროპის სამხრეთი ხალხები ატარებენ ძალიან ცოცხალი, ფიცხი ფერების სამოსელს (მუხლი 836). ერების ტანსაცმელზე და მორთულობაზე ერთგვარი ტექნიკური მოხერხებულობა და სარგებლობა დიდ გავლენას ახდენს. გერმანელები, მაგალითად, ატარებენ ლურჯ ტანისამოსს, ვინაიდან ლურჯი მტკიცე და ხანგრძლივი ფერია (მუხ. 837). ფერნი, რომელნი განწყობილებას იწვევენ, ჰქმნიან აგრეთვე, და ახასიათებენ სულიერ განწყობილებასაც. ცოცხალ და ფიცხ, მკვირცხლ ერებს, როგორც მაგალითად ფრანგებს — ფიცხი და მაგარი ფერები უყვართ. ზომიერ ხალხებს, ინგლისელებსა და გერმანელებს, უფრო უყვართ ჩალისფერი ან ყვითელი ტყავის - ფერი, რომელთან ერთად მუქ ლურჯს ატარებენ. ერებს, რომელნიც ღირსებასა და პატივს მისდევენ, ურჩევნიათ წითელი ფერი მოსასხამისა (მ. 538). სამოსელის ფერი აგრეთვე პიროვნების ხასიათსაც გამოხატავს. თითოული ფერი და ფერთა შეზავება გამოხატავს ურთიერთობას სახის ფერთან, ხნოვანებასთან და წოდება - მდგომარეობასთან (მ. 839). ახალგაზრდა ქლებს ურჩევნიათ ვარდისფერი და ზღვისფერი მწვანე; მოხუცებულთ — იისფერი და ნაცრისფერი; შავგვრემანთ აქვთ მიდრეკილება ლურჯისადმი და კაპრაშისადმი (ყვითელ - წითელ) და ყველა სამართლიანად. რომელნი კეთილარნი დიდად გატაცებული იყვნენ ძოწეულით (ბოწეული ღის ფერისა). ჩინეთის იმპერატორის სამოსელს ფერი ნარინჯისფერია. ციტრონის (ლიმონის) ფერს ტანისანაზი შეეძლოთ ეტარებინათ იმპერა-

სიმბოლიკა

ტორის მსახურთაჲ და მას სასულიერო პირნიც ხმა-
რობდნენ (მ. 840). შავი ფერი სამოსელისა ვენეცი-
ელი კეთილშობილისათვის რესპუბლიკური თანა-
სწორობის აღმნიშვნელი იყო (მ. 843). საერთოდ
შეიძლება ითქვას, ასეთ სამოსელთ და ნიშნებს (უ-
ნიფორმი, ლივრეე, კოკარდა და სხვა) პარამონიუ-
ლი ფერები არ უნდა ჰქონოდა. ფორმას უნდა
ჰქონოდა ხასიათი და პატივი (842). როგორც თი-
თოული, ისე შენაერთი ფერების გრძნობადი და
ზნეობადი გავლენისაგან ესთეტიური გავლენა გა-
მომდინარეობდა (მუხლი 848).¹⁰

ასეთი არის გოეთეს - დროინდელი (1749 —
1832) ევროპიული საზრისი, შეგრძნობა და ათეი-
სება ფერთა.

ვეფხისტყაოსანი მეტად მდიდარია ფერთა ჩვენე-
ბით. აქ დახასიათებული ევროპიული სიმბოლიზმი
ფერთა და ვეფხისტყაოსანის ფერთამეტყველება
არ განსხვავდება.

როგორც სინათლე, ისე ფერები; ვეფხისტყაოსა-
ნში დიდი სიუხვითაა მოფენილი ეს შესანიშნავი
რომანი დიდი მრავალფეროვნებით არის მოქარ-
გულ - მოკაზმულა, მოართული, როგორც თვით
ფერთა, ისე ვარდ - ყვავილთა და თვალთა პატიო-
სანთა ფერების წერით. ამ მხრივ ცნობ-მსოცვარე
მკითხველთათვის, რომელთა შორის მეც ჩემს თავს
ვთვლი, საყურადღებოა ყველაფერი და ამ ყველა-
ფერთა შორის თვით ფერის საკითხიც.

ხვეულებრივი ადამიანი ყოველდღიურად მრავალ
ფერსა ხედავს, მაგრამ იგი მათ ვერ აითვისებს,
ვერ შეაღარებს, ვერ დაასანულებს. ამ-სათვის საჭი-
როა ფერთა კულტურაში გაწრთვნა, მხატვრული
გემოსა და ფერთა ასახულობის შეგნების განვითარება,
— მით უმეტეს მხატვართათვის, რომელნი
ფერებითა სწერენ, — და მწერალთათვის, რომელნი
ფერებით აღწერენ.

როგორ ფერებს ვხედებით ვეფხისტყაოსანში?
რისთვის და რასთან დაკავშირებით?

უეჭველია, ვეფხისტყაოსანის ქართველ მკითხ-
ველთ დიდად განვითარებული ჰქონდათ ფერთა
შეგრძნობა, ვინაიდან მრავალნაირი ფერი და ფე-
რადობა აქ ჩვეულებრივ იხმარება.

სხვა და სხვა ფერი ვეფხისტყაოსანში დასახელე-
ბულია აჯგერ მინცი, და თუ ამას თვალთა პატი-
ოსანთა და ვარდ - ყვავილთა ფერებსა მიუთმა-
ტებთ, თვალ წინ გაიშლება უშუალოდ შესანიშნავი, და
სხვა რომელიმე მწერალისაგან მიუღწეველი, ფერ-
თა წარმტაცი ზურათი, სულ, მრგვალად, სამასჯერ
ფერთა აღნიშვნით. რასთან არის დაკავშირებული
და როგორია მნიშვნელობა ამ ფერთა და ფერადო-
ბისა? აი, ეს არის ამ ნარკვევის ამოცანა...

ქარი პირველი

I.

ვეფხისტყაოსანის ფერი

1. მნიშვნელობა სიტყვისა «ფერი»

ა. ფერი — წითლობა

დიდებული ქართველი ლექსიკოგრაფოსი სულ-
ხან საბა ორბელიანი სიტყვას «ფერი» ასე განმარ-
ტავს: ფერი — თეთრი, წითელი, შავი და მისთანა.
— ამ განმარტებით აღნიშნულია ცალკეული ფე-
რი და არა განყენებითი, ცნებითი სახელი.

ვეფხისტყაოსანში სიტყვას «ფერი» თავისი გარ-
კეული, მაგრამ რამოდენიმე მნიშვნელობა აქვს,
და ამ სიტყვას ახანა არც ისე იოლია. სიტყვა «ფე-
რი» აქ იხმარება ძალიან ხშირად უარყოფით და
შემასუსტებელ ცნებასთან ერთად, და ეს გარემო-
ება პატარა საშუალებას იძლევა დაეაქენათ, თუ
სიტყვას «ფერი» რა მნიშვნელობა აქვს.

როდესაც აეთანდლი თინათინს ველარ უქვერტ-
და ანუ უქვეროდა, თვითონ ფერნაკლული ხდე-
ბოდა —

რა მოპშორდის, ვერ მქვერტელმან ვარდი შექმნის
ფერნაკლულად (61)

ხოლო როდესაც გადაწყდა თინათინის მეფედ
დასმა, აეთანდილს ეს ამბავი ეამა, რადგან ოც,
ვით სასპეტი, მეფე თინათინს ხშირად ინახულებ-
და და —

ნუ თუ მით ეპოვო წამალი მე ჩემი, ფერ-გამქრქა-
ლისა (42)

როცა ვაზირმა და აეთანდილმა მეფე როსტევა-
ნი მოწყენითა და დაღრეჯით ნახეს —

თქვეს თუ: «რა უმძიმს მეფესა, ანუ რად ფერი
ჰკრთომია? (57)

ოდეს როსტევანი უცხო გმირის (ტარიელის) და-
ნახვის შემდეგ სასანლეს მიბრუნდა, იმის გამო შე-
წუხებული, რომ მან ამ უცხოს ამბავი ვერ გაიგო,
მოლარემ თინათინს —

მან მოახსენა: «დაღრეჯით ზის, სკირსო ფერ-შეც-
ვილობა (102)

და ამ სამწუხარო ამბავის გამო თინათინიც «ფერ
მკრთალი» ხდება.

როდესაც აეთანდილი პირველად ტარიელის სა-
ძებნელად გაემგზავრა და თავის ლაშქარს გაეპა-
რა —

იგი პირ-მზე ველარ პოვსა, პირი მათი იფერ -



მკრთალეს (173)

ტარიელი როცა ავთანდილს თავის თავგადასავალს უამბობს, მას გული შეუწუხდება, ხოლო იგი ქერმე —

ხე წამოჯდა ფერ - მიხდილი, აყოლებდა თვალთა რეტად (500)

ამ თავის მოთხრობაში ტარიელი იხსენებს იმ გაქართლებს პასუხს, რომელი მან ნესტანს მოახსენა, და ამბობს —

რა შეგოდე, რა მაქმნია უცნობოსა, ფერ - ნამკრთალსა? (524)

ავთანდილი, ტარიელთან პირველად შეხვედრის შემდეგ არაბეთს რომ ბრუნდება, ამბობს: ტარიელი არისო «ფერ-ნამკრთალი», «ფერ-ნაკლული»-ო. და ასე ამგვარად, ეს სიტყვა «ფერია» იხმარება სხვა და სხვა გამოთქმით: «ფერი ჰკრთა», «ფერსა აკლებს», «ფერ - შეცვლილი», «ფერ-მიხდილი», «ფერითა მკრთალამან», «ფერთა კრთოლა»... ყველა ამ სიტყვას უარყოფითი მნიშვნელობა აქვს, და ფერის მიხედვით, ფერის კლებითა და ფერის კრთობით, ის აზრი გამოითქმის, რომ რაღაც საღს, ჯანმრთელს, დადებითს, ლამაზს, შეენიერს ძალა აკლდება, ფუჭდება და სიცოცხლის უნარი უსუსტდება. ასეთი განმარტება რომ სწორია, ეს სხვა ლექსებიდანაც სჩანს —

უფერო ქმნილი მინახვან ვარდნი და ისი იანი (233)
მუნ პირი მსგავსი ვარდისა, მაგრა აწ ფერ - ნაკლულისა (696)

ერთ მწევანვილსა თრთელისაგან პირსა ფერი აკლდებოდა (717)

მაგრა ვარდსა უმზეობა გაახმობს და ფერსა აკლებს (830)

ვპოვე ვარდი მოყვითანო, შუქ-მკრთალი და ფერ - მიხდილი (997)

პირსა დაიღვა, დაეცა ვარდმან ფერითა მკრთალამან (1340)

აქ ყველგან ვარდის ფერის ანუ წითელის კლებაა, შემცირება, მიზღომილობა, ანუ სიყვითლე და უსიცოცხლობა. მაშასადამე, თავისთავად, სიტყვა «ფერია» წითელს, წითლობას გამოხატავს.

სულ სხვა საკითხთან დაკავშირებით, პროფ. ივ. ჯავახიშვილი სიტყვის «ფერია» შესახებ შემდეგს ამბობს —

«ფერი ქართულად მარტო ფერადს კი არ ჰნიშნავს, არამედ კონკრეტულად წითელ ფერადაც იგულისხმება. ეს უცილობელად მტკიცდება იმ სიტყვით: ფერ - უმარლითაც, რომელიც ქალის სახის წითელს და თეთრად, შესაფერადებლად განკუთვნილი საღებავს ეწოდება. უმარლი, როგორც ცნობილია, თეთრ საღებავის სახელია, ფერი კი

წითლისა; საგულისხმოა, რომ ქანურადაც ფერე ფერადსაც და პირისახის შესაფერადებლად განკუთვნილ წითელ საღებავს ჰნიშნავს»-ო. 37.

ამგვარად, ვეფხისტყაოსანის «ფერია» ნიშნავს — წითელი, სიწითლე, წითლობა. და რომ ეს განმარტება ზუსტია, ეს თვით ამ პოემიდან კიდევ ზედმეტად მტკიცდება —

ვარდმან ფერი განაწათლა... (867)

მუნ ვარდსა ფერი აშვენებს ბროლისა გამკვირვალისა (1352)

აქედან სჩანს: ფერი თავის ჩვეულებრივ სახეს ლებულობს და ეს ჩვეულებრივი სახე კი არის: შვენება, რომელიც ვარდთა ფერია ანუ ვარდის სიწითლე —

კვლაცა იტყვის: ანუ დაეკნობ შევენებასა ვარდთა ფერსა (1191)

მაშასადამე, სიტყვა «ფერია» ვეფხისტყაოსანში სიწითლის, ესე იგი, სისხლისფერის ანუ ჯანმრთელობის, სილამაზის გამომსახველია. «ფერია» ანუ წითლობა სიცოცხლის, სიხარულის, სიამოვნების, ლხინის, ბედნიერების აღმნუსხველია.

ვეფხისტყაოსანში მოცემული ეს მნიშვნელობა «ფერია»-სა ძალიან წააგავს იმ შეხედულებას, რომელი სხოლასტიურ ფილოსოფიაში იყო განვითარებული. ლინკოლნის (ინგლისი) ეპისკოპოსი, რობერტ გროსტესტე († 1253 წ.) თავის ფილოსოფიურ თხზულებაში ნათელის შესახებ (დე ლუცე) სწერს —

ყველაფერი ნათელისაგანაა შექმნილი, რომელი თვითონ ყველა მიმართულებით მრავლდება... ამავე დროს, ნათელი არის როგორც ნიეთიერი საფუძველი გრძობისა და ხილვისათვის სულისა სხეულის მეოხებით; დაბოლოვ, იგი არის როგორც ნათელი განხორციელებული (ლუქს ინკორპორადა); ამავე დროს ფერი და ამით სილამაზე და შევენება ყველაფერი ნილულისა-ო. 38.

ბ. ფერი — ფერადობა, ფერთა ნაირობა

სიტყვას «ფერია» ამავე ვარდა ვ.ტ.-ში აქვს ჩვეულებრივი, ბუნებითი მნიშვნელობა. — მით გამოითქმის სხვადასხვანაირობა და სიმრავლე ფერთა. ანუ როგორც თვით ვეფხისტყაოსანშია —

ჩვენ, კაცთა, მოგვეცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავი ფერითა- (1)

გვარად უცხონი ყვაილნი, ფერითა მეტად ზევრი-თა (1061)

ზამთარ და ზაფხულ სწორად გვაქვს ყვაილი ფერად - ფერადი (1066)

ამით დასურათებულია ბუნების მრავალფერო-

ნობა ანუ ფერადობა, სხე და სხეა ფერობა.
მაგრამ ამას გარდა ფერადობა შექმნილია კიდეც
ადამიანის ხელითაც, იგია ხელოვნური —

ზღვასა შევედ-თ ტვირთულნი ლარითა მრავალ -
ფერითა (1033)
კელა უცხო ფერთა ქურქელთა სხდის უცხო -
ხო სიქები (1551)

აქ საგნებია მრავალფეროვანი. ბუნება, საგნები,
ყველა თავის ფერს ატარებს და ეს ფერი. ზოგი ბუნებრივია, ზოგი ხელობრივი.

ბ. ფერი — სხვადასხვაობა

ვეფხისტყაოსანში კიდეც არის ფერის სხეა მნიშვნელობა, რომელი სხეა და სხვაობას აღნიშნავს —
კელა ეუბნების აეთანდრლ სიტყეითა მრავალ ფერითა

მრავალ ფერი სიტყეა აქ არის სხეა და სხეა სიტყეა.

დ. ფერი — ლამაზობა

ფერი ვით სილაპაჴის გამომხატველი —
მისივე ჰმეტობს ყოველსა სული და ტურფა ფერობა (37)

მერმე აგვაესენ მრავლითა ტურფა ფერითა ძღვენითა

ს. ზ. ორბელიანის განმარტებით, ტურფა არის უცხო რა ლამაზი. მაშასადამე, ტურფა ფერი არის აქ უცხო-რამდ ლამაზი ფერი. და ვინაიდან «უცხო» სხეა ქვეყნისა და იშვიათს, შეერიერს ნიშნავს, ამიტომ ტურფა ფერი განსაკუთრებული სილაპაჴის აღმნიშვნელია.

სიტყეა ჰაერ-ფერი ნახმარია აეთანდილის შეახებ —
აეთანდილ მჰერეტთა აშვენებს ტურფითა ჰაერ-ფერთა (1009)

ჰაერ - ფერი მაღალი სილაპაჴის გამომხატველი არის, რადგან ჰაეროვანი არის ლამაზი და ჰაეროვნება — კეთილმობდომილი სახეეობა, ხატკეთილობა, როგორც ამბობს ს. ს. ორბელიანი.

მ. ფერი — მსგავსება და განსხვავება

აეთანდილი როს წესმადინს თავის მაგიერ სამეფოს პატრონად სტოვებს, ამაზე მას შერმადინი უპასუხებს —

რა გმარა ექმნა პატრონობა? რამც გიფერე, რამც გიგვანე? (161)

ანუ: როგორ ექმნა შენ მაგიერ პატრონობა, როგორ შეგეფერო, დაგემგსავსო (გეფერე), როგორ გამოგემგვანო (გიგვანე).

ტარიელი ნესტანსა სწერს —
მე ლმერთმან იგი ანუ მომცეს, რაც არა შენი ფე-

რია (381)

ანუ: ლმერთმა ნუ მომცეს ის, რაც შენ არ შეგეფერება, შენ არ გეკადრებაო.

გამარჯუებული მეფე ფარსადან დამარცხებულ მეფე რამაზს —

ჟამიერად უბრძანებდის საუბარსა მათსა ფერსა (469)

ანუ: თავის დროზე უმართაედა მას საუბარს, «მათსა ფერსა», მათ შესაფერისს, მათ საკადრისსო.

ნესტანი როს ტარიელს ცოლქმრობის გეგმას ურდგენს, ამბობს —

ხელთა მოგცეს თაეა ჩემი, შეგეფაოლდეს ერთგან სხდომა (545)

ანუ: გავხდები შენი მეუღლე, ერთგან (ერთად) სხდომა სამეფო ტახტზე შეგეფერება, მოგვიხდება, გვეკადრებაო.

აეთანდილი ვაზირს ეწვია და —
მოიუბნეს; ვაზირმან ქმნა ჰამა-სმანი მათნი ფერნი (770)

ანუ: მოილაპაჴაკეს; მე-მე ვაზირმა აეთანდილს გაუმართა მისი შესაფერისი, საკადრისი ჰამა-სმაო.

ოდეს აეთანდილი ტარიელთან მჯორედ მიემგზავრება, თავის ადგილას შერმადინს სტოვებს. იგი კელაე უარზეა და ამაზე მას აეთანდილი ეუბნება —

ვის მივანდო სახლი ჩემი, შენგან კიდე ვინმეც შეფერა (785)

ანუ: ვის მივანდო სახლი ჩემი, ჩემი სამეფო, შენს გარდა ვინ შემეფერება, ვინ შემგავსება, ვინ მეკადრებაო.

ასმათი აეთანდილს ეუბნება, ტარიელი მოსძებნეო —

თულა მონახე, მონახე, ქმენ რაცა შენა ფერია (954)

ანუ: თუ მონახე, მონახე, ჰქმენ რაც შენ შეგეფერება, გეკადრებაო.

როცა აეთანდილმა ფატმანის სასიყვარულო წერილი მიიღო —

თქვა: «ყვავი ვარდსა რას აქნევა, ანუ რა მისი ფერია (1090)

ყვავს ვარდი რად უნდა, მას იგი არ შეეფერება.

და დაბოლოს, აეთანდილი, მის მიერ მოკლული ჰამანგირის შესახებ ფატმანს ეუბნება —

ნულარ იშიშვი იმაგან, აწ იგი მკვდართა ფერია (1211)

ანუ: მისი ნულარ გეშინია, აწი იგი მკვდართა ფერია, მოკლული, ან ვითარცა მკვდარი მავსება დამსგავსებულიო.

მსგავსებისა და შესაფერისობის მნიშვნელობით, სიტყეა «ფერი» ე.ტ.ის შესავალშივე იხმარება —
სამთა ფერთა საქებელთა ლამის ლექსთა უნდა

სამი ფერის, ანუ ერთმანეთის შესაფერისს, ერთმანეთის თანაბარებას და საკადრისის, ანუ ავთანდილ, ტარიელ, ფრიდონისათვის, რომელნიც საქებნი არიან, ახლავე ოღონდაც (ლამის) საჭიროა ლექსთა ელენა ანუ ლექსთა გამოჩინება, თქმაო.

სიტყვებს «გოფერე», «შენი ფერია», «მათსა ფერსა», «შეგვეტროდეს», «მათნი ფერნი», «მეფერა», «მისი ფერია», «მათთა ფერთა» — აზრად აქვს ფერების, მსგავსების, სწორობის და იგივეობის, და ამას გარდა — შეკადრების, შებეღვის, კადრების მნიშვნელობა.

ფერება ანუ შეფერება არის ფერთა შეწყობა, ჰარმონია ფერთა. მაგრამ ამასთანავე არსებობს წინააღმდეგობა ფერთა, რაც აღნიშნული ლექსებით გამოცხადებულია —

ავთანდილი და შერმადინ — რამც გეფერე (დაპირისპირება);

ტარიელ და ნესტან — რაც არა შენი ფერია (დაპირისპირება);

ტარიელ და ნესტან — შეგვეტროდეს (თანაბრობა);

ავთანდილი და შერმადინ — რამც მეფერა (თანაბრობა.)

შერმადინ ავთანდილს ვერ შეეფერება, ვინაიდან მისი სხვა და სხვა ფერის, სხვა და სხვა მდგომარეობის არიან, სხვა და სხვა სოციალურ საფეხურზე მდგომი არიან. ტარიელი და ნესტანი დაპირისპირებულ მდგომარეობაში არ იქნებიან, თუ ნესტანს რაც არ შეეფერება, ის ტარიელს მიეცემა. ამიტომ ტარიელი ამბობს, ღმერთმა იგი ნუ მომცეს, რაც ნესტანს შესაფერი, საკადრისი არ იქნებაო. რადგან ტარიელი და ნესტანი ერთი წრის, ერთი აღზრდის, ერთი გემოვნების, ერთი ფერისა არიან.

ავთანდილს კი სურს, შერმადინი თავის თანაბარ გაიხადოს, და ამით იგი შერმადინის შედარებით დაბალ სოციალ - პოლიტიკურ მდგომარეობას ამეღებებს. ყველა და ვარდი ხომ სავსებით მოწინააღმდეგენი არიან, რადგან სხვა და სხვა ფერის, სხვა და სხვა ესთეთური მოვლენა არიან.

სრული იგივეობა და თანაბრობა არის შემდეგ შემთხვევაში, როდესაც ერთი და იმავე წრის ხალხი ერთმანეთს ხედება —

ფარადან და რამაზ — ერთსა ფერსა (თანაბრობა);

ავთანდილ და ვაზირი — მათნი ფერნი (თანაბრობა);

ავთანდილ და ტარიელ — შენი ფერია (თანაბრობა).

მეფე ფარსადანი მეფე რამაზს მისი ფერის, ანუ

მეფური ღირსების საუბარს უმართავს; ვაზირი სოციალური სპასპეტ ავთანდილს მისი ფერის სმაჰმას უწყობს, რასაც მისი ღირსება მოითხოვს; ავთანდილმა უნდა კმნას საქმე, რაც მას შეეფერება, რაც მის რაინდობას ეკადრება. — ყველგან აქ ფერი ეკუთვნის პიროვნებას და ამ პიროვნების მოქმედება, ანუ მისი ურთაერთობა და დამოკიდებულობა საგანთან თუ მოვლენასთან, მისი ფერითაა გამოწვეული, ესე იგი, მისი პირადული და სოციალური ღირსება - მდგომარეობით.

მ. ფერი — წოდებრივი ნიშანი

შეგვიძლია ის დასკვნაც გამოვიტანოთ, რომ ფერი არის კიდევ სოციალური ცხოვრების, წოდებათა სიმბოლოც? ყოველ შემთხვევაში, იგი ქართულ ენაში უნდა ყოფილიყო, და მის გამოძახებას ეფუხისტყუასანშიც ვპოვებთ, როგორც ეს ქვემოთ იქნება გამორკვეული (იხილეთ თავი — შავი ფერი). ხოლო თვით სიტყვა «ფერია», როგორც «კადრება», «შეკადრება», «შებეღვა», «შემმართება», თავის თავად სოციალური ერთარების გამოხატულება არის, ვინაიდან ამ სიტყვისა «კადრება» აზრი არის უფროს-უმცროსობის, სოციალურ ფენათა სხვაობა და არა მარტო ზრდილობითი წესი.

ზ. ფერი — არსი

სიტყვა «ფერი» გამოხატავს კიდევ არსს, არსებობას. ყოველ საგანს, ყოველ მყოფს, თუ მოვლენას, თავისი ფერი აქვს. — ფილოსოფოს პითაგორასათვის, და პითაგორიანთათვის, ფერი იყო საგანის კუთვნილება, თვით საგანის საკუთრება, მისი არსი. ამგვარადვე ფიქრობდნენ სტოელნიც. და არაბულ ფილოსოფიაში — ნაზზამ და ჰაშამ ამავე შეხედულებისა იყვნენ, და ამტკიცებდნენ, რომ ფერი, გემო და სუნი არსებანი არიანო, მოძღვრება, რომელი სტოას სწავლას სავსებით შეეფერება.⁴⁰

და ქართულ ენაში სწორედ ამგვარი მნიშვნელობისაა «ფერი». უცნაური სიტყვა «არაფერი», «ყველაფერი», «სხვაფერ», «ამფერი» და სხვა. ქართული სიტყვა «არაფერი» გერმანულად არის — «ნიჰტს», და განყენებითი მნიშვნელობით — «დას ნიჰტს»; ან «დას ნიჰტზაინ»; ფრანგულად — «რიან», და განყენებით — «ნეან»; ინგლისურად — «ნათინგ» და «ნონ ეგზისტენს» ანუ არ - არსებობა. შაშასადამე, ყველა ეს ცნება «არ - არსებობა», ქართულში არის «არა - ფერი», «არა - რა», არა - მყოფობა, ნული.

ამგვარად: ქართული «ფერი» არის არსი, არსება, თვით საგანი, ან მოვლენა.

ვეფხისტყაოსანშიც არის ფერი, ვით არსება, ანუ არსი. ტარიელის შესახებ ნათქვამია —

ხმა შაქრის ფერად გაუხდა ვაძღსა, ხშირ - ხშირად პოზილსა (1335)

ტარიელის ხმა გახდა შაქრის ფერი. არის აქ «ფერი» «მსგავსი»? არა გვერნია. შაქრის ფერი აქ შაქრის მსგავსი კი არაა, არამედ შაქრის არსი, შაქრის არსი, «გემო», არის სიტყბო. ამიტომ ტარიელის ხმა გახდა ტკბილი.

დასკვნა:

ამნაირად: ვეფხისტყაოსანში სიტყვას «ფერი» რამოდენიმე მნიშვნელობა აქვს:

- 1) ლინგვისტურა — ფერი: წითლობა, სიწითლე, წითელი
- 2) ფილოსოფიური — ფერი: არსი
- 3) ფიზიოლოგიური — ფერი: ჯანმრთელობა
- 4) ესთეტიური — ფერი: სილამაზე, თვითსილამაზე.
- 5) სოციალური — ფერი: წოდების აღმნიშვნელი: კადრება.
- 6) მხატვრული — ფერი: ფერადობა, ბიბინი
- 7) ფერი: სხვადასხვაობა
- 8) ფერი: მსგავსობა.

II. ფერნი ვეფხისტყაოსანში

1. შავი

შავი არის მწუხარების, სევდის, გლოვის, უბედურობის ფერი.

ა. შავი — მწუხარება

შავს ეძახის თავის თავს ასმათი, ოღონდ მის სიშავეს მხოლოდ სიმბოლური მნიშვნელობა აქვს. როდესაც დაეარმა ნესტანს სცემო, მოგვითხრობს ასმათი, მერ —

ქალმან შავმან ვერა არგო, ვერცა წყლულნი დაუშუნა (579)

ქალი შავი აქ არის ასმათი — მწუხარე და უბედური, ოდეს იგი თავის გაზრდილის, ნესტანის ცემას უტყუროდა და მას ვერა არგებდა, ვერ შეელოდა.

ბ. შავი — სამოსელი

ასმათი დიდად დამწუხარებული და მგლოვიარე იყო ნესტანის დაკარგვისა გამო, და ამიტომ იგი შავ ტანისამოსს ატარებდა —

ქვაბისა კარსა გამოდგა ქალი ჯუბითა შავითა (221)
ხოლო მერმე ეს ჯუბა-სამოსელი უკვე მოხსენე-

ბული აღარაა, და მარტივად ფერი დასახელებული —

გათენდა, ქალი გამოდგა, მოსილი მოთვე ფერთა (225)

ეს ფერი, როგორც წინა ლექსიდან სჩანს, არის შავი, გლოვის ნიშანი.

ფერი შავი, ვით სამგლოვიარო გამოყენებულია სამოსელის დასახსნათებლად, ოღონდ აღნიშნული არაა: შავი სამოსელი ეცეო. ტარიელის შესახებ ნათქვამია, როდესაც მან უკვე ერთი წელიწადი მამის სიკვდილი იგლოვა —

ებზძანა: «შვილო ტარიელ, ნუ ხარ შავითა ღებული (335)

ანუ: შავად შეღებილი სამოსელი ნულარ გაცეო, გლოვა დაასრულეო. და —

ასი ებოძა საკურქლე, ებზძანა ახდა შავისა (336)

ანუ: შავი, სამგლოვიარო სამოსელის გახდა ებზძანა შეფე ფარსადანსაო.

ასმათის შესახებ კიდევია ნათქვამი —

დიდხან იტარეს ყმაძან და მან ქალმან შაოსანა-მან (266)

შავი აცვია ინდოეთიდან მომავალ ქაზანს —

კაცები და სახედრები ერთობ იყო შაოსანი (1579) და ტარიელი მათ ეკითხება —

უბრძანა: «ვინ ხართ, შავითა რად ტანი შეგიგლე-სია?» (1580)

და აქ ნესტან - ტარიელი ფარსადანს სიკვდილს შეიტყობენ; გლოვის გამო, ამბობენ მექარავენნიო ინდოეთშიო —

მუნა მყოფსა ყველაკააა შეეკერა, ჩვენცა შავი (1596)

ხოლო, შემდეგ, როდესაც ნესტანი დედას ნახავს და მას მიუტირებს, ეუბნება —

წითელ - ყვითლითა დაგაგდე, აწ შაოსანაა გხედო (1628)

და ბოლოს —

დედოფალმან შეიმოსა, შავი ძაძა აიხადა.

დიდებულთა შესამოსი მხიარული დაუმზადა

(1635)

შავი ძაძის ახდა გლოვის დასრულებათა, ხოლო მხიარული სამოსელს, ანუ ფერადის ჩაცმა უკვე ლხინის ნიშანია.

X

სიტყვას «დაშაეება» ს. ს. ორბელიანის განმარტებით, ორი მნიშვნელობა აქვს: 1) საქმის წახდენა, 2) ხეიბრად გახდომა, ანუ დასახრჩობა. პირველი მნიშვნელობით ეს სიტყვა ვტ. ში იხმარება, როდესაც ვაზირი სოგრატი თავის შესახებ ამბობს —

ვა; კარგი თავი უებრო, დაეკარგე, დაეაშავითა

(763)

ანუ: «შავად» მომივიდა, «გამიშავდა» უებრო, კარგი თავი, სიციხლეთო. სწორედ «სიშავ-ს» მნიშვნელობით ეს სიტყვა ქართულ ბიბლიაშიც იხმარება, სახელდობრ —

მათე 5, 38 ნუცა თავსა შენსა ჰფუცავ, რამეთუ ვერ ძალ გიძს ერთ-სა თმისა განსპეტაკებად, გრნა დაშავებად

თმის განსპეტაკება = თმის გათეთრება; დაშავება = გაშავება, შავად გახდომა.

ბ. შავი — რიდე

ტარიელმა როდესაც ხატაეთი დაიპყრო, მან იქ სხვა ძვირფას ნივთთა შორის, იპოვნა რიდე, ანუ წამოსასხამი, რომლის ფერი იყო შავი. შემდეგ, ეს რიდე მან ნესტანს მიუძღვნა, და ნესტანი მას განუყრელად ატარებდა; და როდესაც იგი ტარიელს ქაჯეთის ციხიდან წერილსა სწერს, ამბობს — ესენი ჩემთვის მის გამო ტურფანი სანახავნია, თუცა თუ ფერად ბედისა ჩემისა მსგავსად შავნია (1291)

შავი რიდე უბედობის გამომსახველია.

ღ. შავი — ბედი

როდესაც განრსებულმა მეფე როსტევანმა ვაზირი გაჰკიცხა —

ვაზირი გაწბილებული მიეა ბედითა შავითა (769)

წინა ლექსში, ბედი ნესტანისა შავად არის დახატული (1291). — შავი ბედის შესახებ ლაპარაკობს აგრეთვე ფატმანი, რომელი იმ ამბავით იყო შეწუხებული, რომ მელიქ-სურხავმა, გულანშაროს ხელმწიფემ მისგან ნესტანი მოითხოვა, და ამის შედეგად ნესტანს —

ვჰკადრე: ამზეო, ბედმან შავმან ვით მიმუხთლა, ჰხედავ სრულად (1174)

თავის თავად ცხადია, შავი ბედი — დიდი უბედურებაა.

მ. შავი — გული

ვეფხისტყაოსანში «შავი გული» ბოროტი კი არ არის, არამედ მწუხარე და მგლოვიარე. ავთანდილი როცა მნათობებს ვედრებით მიმართავს, სხვათა შორის, იგი ზუალს ეხვეწება —

გული შავად შემალეზე, სიბნელესა მიმეც ხშირსა (958)

გულის შავად შეღებვა — მწუხარების ნიშანია (იხილეთ ჩემი ნარკვევი: «ვეფხისტყაოსანის ვარსკვლავთმეტყველება»).

ფატმანმა როდესაც ნესტანი მეფე სურხავთან გასტუმრა, მამინ —

მიე, მას წელსა შეეარტყ, შეე - გული ვისთვის კვდებოდა (1777)

ნესტანი თავის წერილში ტარიელისადმი ამბობს —

გულო, შეე - გულო, დაბმულხარ, ნუ აეხსნები, აწ ები! (1293)

გულის სიშავე. ამ სამივე შემთხვევაში, მხოლოდ მწუხარებისა, სევდიასა და ქმუნვის გამოხატვა არის.

პ. შავი — ცხენი

ტარიელის ცხენის ფერი «შავი» შემთხვევითი არ არის: აქ ცხენის სიშავე სიმბოლოურია, და იგი ტარიელის სულიერ განწყობილებას, ანუ გლოვასა და დიდ მწუხარებას გამოხატავს, რე როგორც ეს არის განთქმულ, გერმანულ ნიბელუნგ - თა ეპოსში, სადაც ჰაგენე და დანკვარტი შავი სამოსელში არიან და მათ შავი ცხენები ჰყავთ.

ტარიელს — შავი ცხენი ზადავითა ჰყუა ლომსა და ვითა გმირსა (84)

ტარიელის ცხენის ფერი — შავი მეორდება ცხრაჯერ, და იგი ტარიელის ცხენისათვის ისე დამახასიათებელია, რომ თვით სიტყვისა «ცხენი» ნაცულად იხმარება მხოლოდ სიტყვა «შავი» —

შავსა აუღუა ლაგამი, სწმენდდა რიდისა წვერი-თა (225)

ნახა, შავი შამშთა პარსა დგას სადავე უკუყრილი (866)

ტარიელ შავსა ზედან ხის ტანითა მით წერწეტი-თა (1409) ...

ამგვარად, ტარიელის ცხენის ფერი — შავი, სავსებით ტარიელის სულიერ განწყობილებასა და ნესტანზე გლოვას გამოხატავს.

ზ. შავი — ქვა

ნესტანი ფატმანსა სწერს — აცნობე ტარიელს, ნუ მოვა ქაჯეთის ციხის ასაღებად ეს შეუძლებელია და თუ —

მას მკედარსა ენახავ, მოვკვდები მე სიკვდილითა ოხითა (1290)

ამიტომ დააჯერე იგი; ხოლო თუ — არ დაგმორჩილდეს, დამქოლე შავისა ქვითა ყორითა (1290)

დაქოლე ანუ ქვის სროლითა და მიყრით სიკვდილი უძველესი სასჯელია, თითქმის ყველგან გავრცელებული; ყორე არის ქვითა გროვა ანუ ქვის ლობე. მაგრამ რა არის შავი ქვა? საქართველოში დღესაც არსებობს წყველა: «ვინა შენ-და შავი ქვა»!

საოდან მოდის ეს წყველა, და რა არის ეს შავი ქვა? აა მგონია, შავი ქვა იყოს აქ კიათურის შავი ქვა ანუ მანგან.

ს. ს. ორბელიანს აქვს თავის ლექსკონში ერთი სიტყვა: «ცის - ნატეხა» ამგვარად განმარტებული — ქვა შავი, ქვიშის მსგავსი; — და მიუთითებს ისუ ნავესზე, ბიბლიაში —

ისუ ნავესი 6, 2 მას უამსა შინა ჰრქვა უფალმან ისუს: იქმნენ შენ დანაკნი ქვისანი, ქვისაგან ცის ნატეხისანი, და დაჯედ და წინა დასციეთ ძეთა ისრაელისათა

ისუ ნავესი 6, 8 და შექმნა ისუ დანაკნი ცის ნატეხისანი და წინა დასციეთა ძეთა ისრაელისათა...

ესე იგი: გააკეთე შენ პატარა დანა ან მახვილი (დანაკნი) ქვისაგან; ეს დანა ცის ნატეხისანი უნდა იყოსო; — ეერობიულ ენებზე ნათარგმნ ბიბლიაში აქ ნახმარია უბრალოდ სიტყვა: «მქრელი დანა», ხოლო მარტო გერმანულშია «ქვის დანა», მაგრამ აღნიშნული აღარაა «შავი ქვა» დანაო.

არის ეს «შავი ქვა» ცეცხლთამფრქვევი მთისაგან გადმონადენი ლავა; თუ არის იგი ბაზალტი, ან მეტეორთა ნამსხვრევი, — არ ვიცი. — ყოველ შემთხვევაში, როგორც სჩანს, წინ-საცევეთლად ამ «შავი ქვისა»-გან დანა კეთდებოდა. რააკვირველია, ასეთი დანა მეტად მქრელი უნდა ყოფილიყო. — იქნებ ამით აიხსნება თქმა: «შავი ქვის მიყრა», ვინაოდან ეს «შავი ქვა» მქრელი იყო და ადამიანს უფილად ჰკლავდა! და ქვით სიკვდილი, «ჩაქოლვა» ხომ ჩვეულებრივი სასჯელი იყო.

უძველეს დროში არაბთა რელიგია იყო ქვის თაყვანისცემა, ქვის კულტუსი. კააბაში არსებული «შავი ქვა» იყო იდოლი ანუ კერპი, დანარჩენ 360 სხვა კერპთან ერთად. ეს «შავი ქვა» შემდეგ მაკმადმა წმიდა საგნად აღიარა და მას მუჟულმანურ წესში დიდი საპატიო ადგილი უჭირავს. ეს პატარა «შავი ქვა» თვით კააბაშია (აქედან: კუბ) მოქცეული, და ეს გადაფარებულია შავი ფარლით (ტუბა), რომელიც ყოველწლიურად იცვლება. ამ «შავ ქვას» ჰქვია ალ-ჰაჯარ ალ-ასვად. ¹⁵ ოლონდ ამ «შავ ქვას» ეფხისტყაოსანის «შავ ქვა»-სთან არავითარი კავშირი არა აქვს.

ქვის მიყრა, საერთოდ, ძველთა ძველი წესია და ხმ მოქმედებით ბოროტთა სულთა გაძევებას ცდილობდნენ; უადრეს ხანაში, ქვის სროლით ეშმაკთ განაძევებდნენ, — უგვიანეს ხანაში, ეს წესი იხმარება, მაკმადის დამტკიცებით, მეკააში, სადაც მაკმადიანი მლოცველნი შვიდ კენქს ისურაინ კააბასთან ახლოს, და ამას ეწოდება — რაჯმ. ¹⁶

რაჯმის დანიშნულებაა ბოროტ სულთა გაძევება. ოლონდ ამ წესში «შავ ქვა»-ზე ლაპარაკიც არაა.

შეიძლება ვიფიქროთ: «შავი ქვის მიყრა» ... ადელად ბოროტი სულის მოკვლას ნიშნავდეს. მაგრამ ამ საკითხს დაუებრუნდებით «ჩაქოლვა»-ის საკითხს განხილვის დროს.

ც. შავი — მონა - ზანგი

ნესტანის გადასაქარგავად დაეარმა მონებს მოუწოდა და —

წარმოდგნეს ორნი მონანი, პირითა მით ქაჯებოთა (580)

და რომ ეს მონები შავი იყვნენ. ამას ფრედონი გვატყობინებს —

ამოძრუნეს ორნი მონანი, შავნი მართ ვითა ფისანი (636)

და შემდეგ ამას ფატმანიც ადასტურებს —

ორთა კაცთა, ტანად შავთა, თვით პირიცა ედგა შავი (1129)

გადმოსვენს ქალი ნესტანიო. ეფხისტყაოსანში განგება არჩეული ეს ორი შავი მონა, რომელთაც დავალებული აქვს შავი საქმის შესრულება — ნესტანის გადაქარგვა. ამ მხატვრული ხერხით ძლიერდება ნესტანის უბედურება და მკითხველთა შორის განსაკუთრებულ თანაგრძობას იწვევს იგი: ნესტანი შავ ადამიანთა ხელში!

ამას გარდა, შავი ფერი აქ რასიული ნიშანია და მით დახატულია ზანგი ანუ ნეგრი. შავი ფერი ეტში ზანგებსა და მონებს ეკუთვნის, რასიულად და სოციალურად მდაბიოდ მამჩნეულ ხალხს, რომელიც მოდგმით შავი არის და ხამიტურ რასას ეკუთვნის. ეს შავი მონები და ზანგები ეტში ცხრაჯერ არიან მოხსენებული, ვით მაგალითად — შემოვიდა მის წინაშე თინათინის მონა-ზანგი (120) აქა მათ ზანგთა მონათა მზე მოიყვანეს ნავითა (1023)

სურათზე ფერთა დაპირისპირებით გამახვილებულია ორი წინააღმდეგობა: მზე - ნესტანი და შავი ზანგები! მაგრამ მთავარი ის არის, რომ ყველგან აქ შავი რასიულობის, მოდგმის აღმნიშვნელია.

ძ. შავი — სიმახინჯე

როგორც ჩვენ უკვე «წინარი»-დან ვიცით, შავი არის არა-სილამაზისა და სიმახინჯის ფერი. ამ შეხედულებას თვით ეტ-ი გვიდასტურებს. შავ მონებს ეტში ქაჯური, ანუ შესაშინებელი სახე აქვთ. და არიან, ცხადია, მახინჯი —

წარმოდგეს ორნი მონანი, პირითა მით ქაჯებოთა (580)

ამოძრუნეს ორნი მონანი შავნი მართ ვითა ფისანი (626)

მოპგვარა მონა გრძნეული შავი, მართ ვითა ყო-
რანი (1268)

ფატმანი, ვითარცა ვაქარის ცოლი, არისტოკრა-
ტიას არ ეკუთვნის; ამიტომ იგი თეთრი კი არ არ-
ის, არამედ სხვა ფერისაა. იგი არაა შავი, და მაშა-
სადამე, მახინჯთა წრეს არ მიეწერება, ოღონდ სა-
ნაცულოდ იგი არის შავ-გრემანი. ეს ფერი კი თეთ-
რზე დაბლა სდგას ღირსებით, ხოლო უფრო მაღლა
ვიდრე შავი. შავგრემანს აქ საშუალო ადგილი უქ-
ავია (იხილეთ აქვე — თავი: სილამაზე).

ფატმანის შესახებ ნათქვამია, იგი იყო —
ნაკეთად კარგი, შავ - გრემანი, პირ - მსუქანი, არ -
პირხმელი (1077)

ი. შავი — გრძნეული

შავ მონებს სხვა შავი საქმეც აქვთ დაკისრებუ-
ლი, — ისინი არიან აგრეთვე შავი საქმის მკოდ-
ნენი, არიან ჯადოსანნი, გრძნეულნი, ნეგრომანტი-
ის ხელოვანნი. — ბერძნული სიტყვიანაგან ნეგრო-
მანტია წარმოსდგება ევროპიული ნიგრომანტია,
ანუ შავი ხელოვნება, ეშმაკის ხელოვნება, ჯადოს-
ნობა, მისნობა, მკითხაობა. სამღვთო წერილს ეწო-
დება თეთრი წიგნი; შავი წიგნია ჯადოსნობის შე-
სახები წიგნი. და სწორედ ამ შავ ხელოვანს ეხედუ-
ბით, როდესაც ფატმანი ავთანდილს აცნობებს —
მე ორნი შავნი მონანი მყვანან სავესნი გრძნები-
თა (1238)

და აქ ავთანდილი ფატმანსა სთხოვს, გაგზავნოს
მან თავისი გრძნეული მონა-შავი ქაჯეთს ნესტან-
თან, ამბავის გასაგებად. ფატმანმა —
მოპგვარა მონა გრძნეული შავი, მართ ვითა ყო-
რანი (1268)

ყორანთან ამ შავი მონის შედარება სავესებით და-
მადატურებელია ამ მონის შავი საქმიანობისა და
შავი მოქმედებისა, რასაც შავ ხელოვნებას უწო-
ლებენ. ცნობილია: ქრისტიანული ხელოვნება და
პოეზია სულიწმიდას ტრედის სახით ხატავს, ხოლო
ყორანი არის ეშმაკის განსახიერება.

რით გამოიხატა ფატმანის შავი მონის შავი მოქ-
მედება ანუ გრძნეულება; —
მან გრძნეულმა მოლი რამე წამოსხა ზედა ტანსა,
მასვე წამსვე დიკარგა, გარდაფრინდა ბანის -ბან-
სა (1276)

წაეცა, ვითა ისარი კაცისა მშვილდ-ფიცხელისა.
რა ქაჯეთს შეჰხდა, ქმნილ იყო ოდენ ბინდ-ბანდი
ბნელისა,
უჩინოდ შევლო ს-მრავლე მოყმისა, კართა მცე-
ლისა,
მას მვნესა ჰკადრა ამბავი მისისა სასურველი-
სა (1277)

გრძნეულმა მონამ არა - ბუნებრივი სისწრაფით
გადალახა ქაჯეთის სივრცე, უჩინრად ციხეში შე-
ვიდა, დაუნახავად ვანმესაგან ნესტანთან მივიდა —
ციხისა კარნი დახშულნი შევლნა მართ ვითა ღიანი
შევიდა ზანგი პირ - შავი, თმა - გრძელი, ტან -
ნაბღრანი (1278)

ამგვარად, ფატმანის შავი მონები არიან აგრეთ-
ვე გრძნეულნი, ანუ შავი ხელოვნების, ნეგრომან-
ტიის მკოდნენი.

იბ. შავი — სილამაზის ნიშანი

«წინარე»-ში დაწვრილებით ვიბაასეთ, თუ შავ
ფერს რა მნიშვნელობა აქვს, როდესაც იგი თეთრ-
თან არის დაკავშირებული. ჩვენ გავიგეთ: — შავი
თეთრთან ერთად არის სილამაზის ნიშანი. და სწო-
რედ ამ მნიშვნელობითაც არის გამოყენებული შა-
ვი ფერი ეტ.-ში, სადაც შავი წარბ-წამწამ-თვალნი
გმირთა სილამაზის ანუ შეენებითი იდეალის და-
ხატვაშია გამოყენებული. ეს საკითხი ცალკეა გარ-
ჩეული აქვე; იხილეთ თავი — სილამაზე.

იბ. მური

ს. ს. ორბელიანის განმარტებით, სიტყვა «მური»
სომხურია, კვამლისაგან გაშავებულსა ჰქვია, ქარ-
თულად ფარილს უწოდებენო. შეემურა — მური
შეეცხო.

ეტ.-ში სიტყვა «მური» იხმარება ცეცხლთან
აღთან დაკავშირებით, და ამით დასურათებულ
გრძნობათა სიმწვავე და მწუხარება, ვითარმედ
მერმე ცეცხლი დაუესია, აღარა მწვაეს გულსა მუ-
რად (154)
მე თუ ვიტყვი, დამწვაეს ცეცხლი ცხელი, შეიქს
ალად, მურად (300)

მაგრამ ამას გარდა, სიტყვა «მური» არა ერთ-
ჯერ გამოყენებულა თავისი ბუნების მიხედვით,
ვით ფერი შავი, — მწუხარებისა და ვაების გამო-
სახატავად. — ტარიელი თავის შესახებ ამბობს —
მერმე ავდეგ სევდაანი, მიღამებდა გულსა მური
(592)

ანუ: ტარიელის გული სევდისაგან შავდებოდა.

ამგვარადვე ფატმანიც ამბობს —
მარტო დაერჩი, სევდა რამე შემომექცა გულსა მუ-
რად (1127)

ანუ: სევდა შავად დამიბრუნდა გულსო.
ორივე შემთხვევაში «მური» არის შავი ფერი,
ნახმარი სევდისა და მწუხარების აღსანიშნადად.

იბ. ბნელი

გლოვის აღსანიშნავად სიტყვისა «შავი» სანაცუ-

ლოდ გამოყენებულია სიტყვა «ბნელი». — აეთან-
დლილი როსტევეანს თავის ანდერძში უწერს, ჩემი წა-
სვლესა გამოო —

ნუ სკმუნავთ ჩემთვის მეფენი, ნუ ხართ მოსილნი
ბნელითა (807)

ანუ: შავი სამოსელით ნუ შეიმოსებით, სამგლო-
ვიაროს ნუ ჩაიცვამთო. მაგრამ აეთანდლის გაპარ-
ვის გამო ყველა შეწუხებულია და —

თქვენა: «ბნელი გემართებს დღე - კრულთა, რათგან
მზე მიგვიდრკა ცისა (825)

ბნელი გემართებს — ეს გლოვის ნიშანია: მგლო-
ვიარე ბნელ ოთახში იჯდა ხოლმე, როგორც მგა-
ლითად ტარაელი მამის სიკვდილის შემდეგ —

მე წელიწადსა ბნელსა ეჯე საწუთრო - გატუდე-
ბული (335)

წინა ლექსში — ბნელი გემართებს — ნიშნავს:
ბნელი ანუ შავი სამოსელი ვატაროთო. აქ სამო-
სელზე უნდა იყოს საუბარი, ვინაიდან იქვე ნათქვა-
მია, როდესაც როსტევეანმა —

მერმე ბრძანა: «მხიარულსა ნუ ჩაიცმენ ჩემნი სპა-
ნი (829)

ესე იგი: ბნელი სამოსელი, ანუ შავი ატარონო.
არამც თუ სამოსელია გლოვის ნიშნად, არამედ
მზე და მთვარეც კი ბნელი ხდება; ნესტანი გადაი-
კარგა და ტარიელც დაიკარგა; ამიტომ —

იგიცა წახდა, ინდოეთს გახდა მთვარე და მზე ბნე-
ლად (1586)

და დაბოლოს, ბნელ-ქმნილი უკვე მკედარიცაა,
— ამას ნესტანი მამის გარდაცვალებაზე ამბობს —
ჩემთვის ბნელ-ქმნილო მამაო... (1592)

სიტყვა «ბნელი» იხმარება აგრეთვე გულის შე-
სახებას; ფატმანი აეთანდლის წასვლის გამო ამ-
ბობს —

ხოეშორეების ნათელსა, გული ამისთვის ბნელდე-
ბის (1313)

ამგეარად: ბნელი = შავი = გლოვის ნიშანია.

იღ. ლები

ს. ს. ორბელიანის ლექსიკონში არის ორი სიტყ-
ვა «ლები»: 1) ლები — ქვეშაფენი, საწოლზე
ქვეშსაგებელი, და 2) ლები — არჯასპი, მიწალები.
პირველი სიტყვა «ლები» დღესაც ჩვეულებრივად
ხმარებაშია, ხოლო მეორე «ლები» შესწავლასა და
გამორკვევას მოითხოვს. — ამ საკითხის შესახებ
პროფ. ივანე ჯავახიშვილი ამბობს — ⁴¹.

«მიწის თვისების ერთიერთ სახელად მიწალებიც
იხმარებოდა. ს. ორბელიანის განმარტებით, ეს სა-
ხელი არჯასპის სინონიმია: მაგრამ, მისი აზრით,
«არჯასპი» სომხურია, ქართულად მიწალები ჰქვი-
ან, შესაძლებელია»-ო. ამავე ავტორის ნაშრომის მე-

ორე, ბრედაქციაში დამატებულია: «შავი საღებ-
ვი მიწაა»-ო. ხოლო იმავე ბრედაქციის მიწალები
დანართ განმარტებაში სწერია: «მიწა საპონია» არ-
ღო (ლექსიკონი).

«მიწალები ძველი ქართული ტერმინია და ორი
ნაწილსა, მიწი - სა და ლეზა - საგან, შესდგებ
რომელთაგან მეორე ლურჯსა ნიშნავდა. მაშასად
მე, მიწალები თავდაპირველად და ძველ ხანაში შა-
ვისა - კი არა, არამედ ლურჯი მიწის აღმნიშვნე-
ლი უნდა ყოფილიყო»-ო.

სამწუხაროდ, პროფ. ივანე ჯავახიშვილი არ ასა-
ბუთებს, სად ან ვისგან იხმარება ეს სიტყვა «ლები»
მნიშვნელობით «ლურჯი».

ს. ს. ორბელიანის განმარტებით, «ლები» არის
შავი ფერი; პროფ. ივანე ჯავახიშვილის თქმით,
«ლები» არის ლურჯი ფერი; ამასვე ეთანხმება
პროფ. იუსტინე აბულაძე (ეტ. ი., 1937). — ცემი-
საგან დალურჯებული ხორცის კანი, ნაცემი ადგი-
ლით.

რა მნიშვნელობით იხმარება სიტყვა «ლენა»;
ნესტანს დაეარმა სცემა. ამის გამო ნათქვამია —
დაალება, დაალურჯა, მედგარად პირნი მოიქეშ-
ნა (579)

დაალურჯა — აქ არის ცემისაგან გალურჯება;
მედგარი — პროფ. ი. აბულაძის განმარტებით არი-
— თავგამოდებული, თავგამომეტებული; თავგამო-
დებით, სასტიკად, შარხანდ. ეტ., 1937). ამგვარი
განმარტება ამ სიტყვისა არის მხოლოდ დღევანდე-
ლი გაგებით და შემტდარია იგი.

ს. ს. ორბელიანის განმარტებით, მედგარი არის
1) მკონარე, მოუძღვრებული; 2) გულში მარად
ძვირის დამმარხველი; 3) მზაკარი, რომელმან ხე-
რხითა დასცეს მოკუნალი ანუ მოქიდავე. ამ გან-
მარტებათაგან ეფენსტყაოსანში გამოსაყენე-
მხოლოდ მეორე — გულში ძვირის დამმარ-
ანუ გულით ბოროტი. მართლაც, ეს სიტყვა «
გარი» ძველ მწერლობაში იხმარება მნიშვნელო-
— ბოროტი, გაცოფებული, — როგორც ეს სწ
მაგალითად, იოანე და ევთიმის ცხოვრებაში,
დაც ნათქვამია — «ხოლო მედგარმან მან აღი-
მტერისა მიერი იგი აღძვრა თვისი»-ო. აქ, საბი-
ნის ახსნით, მედგარი არს გაცოფებული. აღტაც-
ლი ეშმაკისაგანო. ⁴².

მაშასადამე, აღნიშნულ ლექსში სიტყვა «მედგა-
რი» არის ბოროტი, გაცოფებული — დაეარმა ნეს-
ტანს სცემა გაბოროტებით, გაცოფებულად, და თა-
ვისი პირნი მოიქეშნა ანუ მწყრალი, შრისხანე გაუ-
ხდაო (ქუში — მწყრალი). — რაღა არის «დაა-
ბა»? სიტყვა «დაალება» რომ უბრალოდ დალუ-
ჯება ყოფილიყო, მაშინ ეს ლექსი ადგილი იქნ-

და — დაალუჯა, დაალუჯა. მედგრად (ბორო-
ტად) პირნი გაამრისხანა (მოიქუშნა).

დალებება არ არის დალურჯება, აწამედ უფრო
შეტი — დალურჯებულის გაშავება. სწორედ, და-
ლურჯებული როცა გაშავდება, ამას უნდა ეწოდე-
ოდეს «დალებება». ეს გამოთქმა «დალებება» იხ-
რება, მაგალითად, წყამება ყრმათა წმიდათა
კრათა ძმათა კოლაელთააჲ-ში (მეცხრე საუკუ-
ნის ხელნაწერი), სადაც ნათქვამია: —

გამოიტაცნეს ყრმანი იგი მძლავრობით სახლე-
ბისაგან ქრისტიანეთაჲსა დიდითა შეაურაცხებითა
და რისხვითა, გულის წყრომითა და გინებითა, და
მოიყვანეს სახლად თვისსა. ხოლო მათ ჰძმარნეს თა-
ვნი მათნი და დალებნეს ხორცინი მათნი ფიცხელი-
თა მით ცემითაჲ-ო.

ამ ცხრა ძმას კოლაელთ თავე დაუბზარეს და მე-
ტად ფიცხელი ცემით დაალებნეს. — უეპველია,
ეს «დალებება» უბრალოდ ხორცთა გალურჯებას
არ გამოიწვევდა, არამედ ხორცთა გაშავება უნდა
ყოფილიყო მისი შედეგი.

აღნიშნული განმარტებით უკვე აღვიღო ასახს-
ნელია სიტყვა «ლები», რომელიც ვტ.-ში გვხვდება,
როდესაც შერმადინი აეთანდილის დიდებულთ და
ხასთ პატრონის წასვლას აცნობებს; მაშინ ამ ამბა-
კით ყველა დარჩა გულ-დაწყლულებული და —
თავსა იცემდეს, არ იყო გული უცრემლო, ულე-
ბი (175)

ხომ არ შეიძლება ეს «ულეზი» ასე განმარტოთ?
— არ იყო გული უცრემლო, გაულურჯებული?
უეპველია: «ულეზი» არის «არა-შავი». მაშასადამე:
არ იყო გული უცრემლო, არ იყო გული, რომელი
შავი არ გამხდარიყო. ესე იგი: დიდად არ შეწუ-
ხებულიყო. დამგლოვიანებულიყო.

არ იღო ასმათს შესჩივის —
არა იცო: უწამლო არს ლეზი ესე ლეზული (303)
ეს: რატომ არ იცი, რომ არ არის წამალი ამ
«ლები»-სათვის ესე იგი, «შავი გულისათვის»,
მელიც არის «ლებული», ესე იგი, «ლებული»
უ გაშავებულია სვედისაგანო. ლექსის აზრია —
ესი გული შავი სვედისაგან შეპყრობილი!
რომ აქ «შავი გულია» და არა «ლურჯი გული»,
ეს გვიდატურებს ყველა ლექსი, სადაც კი გული
შავი ლეზული შავად (შაირი 958, 1177, 1293, 1305,
1313). გულგან აქ, გული არის ან შავი, ან ბნელი,
და სხვათა შემთხვევაში — ლურჯი. (იხილეთ
ზევლად, თავი: შავი — გული).

როდესაც ტარიელი ხატაელებთან ომის შემდეგ
გამაჯვებული მიბრუნდა, მას სასახლეში დიდი
ღიათ შეხვდნენ და თვით —

ღოფალი საჯღობაჲგ ადგა, წინა მომეგება,

ვითა შეილი გარდამყოცნა, ლაწვი ვაძღი დამილე-
ბა (481)

ანუ: წითელ ლოყაზე (ლაწვი ვარდა) დედოფალ-
მა ტარიელს ისე მაგრად აკოცა, რომ მისი წითელი
შავად გარდაიქცაო. აქ: წითელი დაპირისპირებუ-
ლია შავთან, რაც ბუნებრივია: წითელი < შავი.

ტარიელი მკვდარივით ეგდო და —
ორგნით ჩანს ლეზი მჯილისა, მართ გულსა გარდ-
ნაკარისა (498)

აქ გარკვევითაა იმ მოელენაზე მითითებული,
რომ ტარიელის გული (აქ: მკერდი) მჯილით, ანუ
მუშტით ნაკარე, ნაცემი იყო, მძიმედ დანაშავები,
ცემისაგან გაშავებულიო.

შემდეგ კი, როდესაც აეთანდილი თინათინს შო-
რდება, ამის გამო ნათქვამია —

ყმა წაეიდა სვედიანი, მკერდას იცემს, ამაღ ილებს
(713)

აეთანდილი თინათინთან დაშორების გამო მე-
ტად დამწუხრებულია; იგი მკერდას იცემს და ამაღ,
ანუ ამგვარად მკერდას ილებს ანუ ალებებსო. ძლი-
ერი და სატიკი ცემისაგან იგი მკერდს აშავებსო.

რომ «ლები» შავია, ამას საბოლოოდ ადასტუ-
რებს თვით აეთანდილის ნათქვამი, როდესაც იგი
შერმადინს ეუბნება —

აწ გაპარვაა წამალი ამა გულსა ლეზისა (778)

ისე, ვით ტარიელი ამბობს (უწამლო არს ლეზი
ესე ლეზულიო), აეთანდილიც ამგვარადვე: გულის
ლეზის შესახებ. აეთანდილის გული არის ლეზი,
ანუ შავი (და არა ლურჯი!), მწუხარება - სვედისა-
გან შავი, მგლოვიარე, — და მისი წამალი არის გა-
პარვა, ანუ ტარიელთან მისვლაო.

აეთანდილის შესახებ ნათქვამია —

არ შეუძლია ლახვარსა დაჩენა სამსა ლეზისა (1026)

ესე იგი: ლახვარს არ შეუძლია სამს ლეზს ან-
სამს შავ გულს (ტარიელ, აეთანდილ ფრიდონის
გულს) ლახვარი დააჩენდეს, დააწყლულოს, დასკრა-
სო. «ლები» აქაც იხმარება შავი გულის მნიშვნე-
ლობით.

ამგვარად, ვეფხისტყაოსანის მიხედვით მართა-
ლი არის ს. ს. ორბელიანის განმარტება — ლეზი
არის შავი.

როგორც ვნახეთ: ზოგ შემთხვევაში «ლები» არ-
ის ცემისაგან შავი, ზოგ შემთხვევაში კი — «ლე-
ბი» არის სულიერი ტანჯვისა და გლოვისაგან: შა-
ვი, — და ეს მხოლოდ გულს ეხება. მაშასადამე:
სიტყვა «ლები» ანუ «შავი» არის ხორციელი, და
სულიერი ტკივილის გამოსახულება.

ი. თხი

ფისი ანუ ფისა, ს. ს. ორბელიანის განმარტებით,

ეს ნაღობი, კუპრი, მეტად შავი სითხე. ვა «ფი»-ე ვტ.-ში იხმარება სწორედ ფენიშნაეად, და ამით დახატული არიან ის რომელთ ნესტანის გადაკარგვა დაევა. ფრიდონმა ეს ზანგები ზღვის პირას შორი-კან იხილა და ტარიელს უამბობს — მოძრენეს ორნი მონანი, შავნი მართ ვითა ფისანი (626)

შემდეგ, ტარიელი მელიქსურხავს უთელის, ფატმანს შეატყობინე, ნახოს ნესტანი, — ვინ მზესაცა უნათლეთა, აბრე ვითა ბროლი ფისა (1431)

ნესტანი უფრო ნათელია, ვიდრე მზე; ისე ვით ბროლი უფრო ნათელია, ვიდრე ფისო. ფისი არის სიშავისა და უღამაზობის გამოხატულება.

2. თეთრი

თეთრი ფერი ეტ.-ში ხშირადაა მოხსენებული, — უმთავრესად სილამაზის აღწერასთან დაკავშირებით. თეთრნი: კბილნი, სახე, ყელი, ხელი, ელვა და სხვა, ოღონდ ამ მნიშვნელობით ეს ფერი განხილულია შემდეგ თავში — სილამაზე.

ა. თეთრი — ცხენი

ორჯერ მოხსენებულია ავთანდილის თეთრი ცხენი და მისი სითეთრის აღნიშვნა შემთხვევითი არ არის. ისე, ვით ნიბელუნგ-თა ეპოსში, ზიგფრედის ცხენი არის თეთრი, ქართულ ეპოსშიც — ავთანდილის ცხენიც არის თეთრი. — მეფესა გასვლად აწვევდა, მოდგა თეთრ — ტაიჭოსანი (72)

ავთანდილი მხიარულია, ბედნიერი, ჯერ კიდევ ტარიელის მეგობრობისათვის არ-დამწვარი და არ-ატირებული; ამიტომ მისი ცხენი — თეთრია.

როცა ტარიელი და ავთანდილი ქებას ბრუნდებიან; ასმათს უკვირს მათი მხიარული განწყობილება, რადგან მან ჯერ არ იცოდა ნესტანის მონახვის ამბავი და — შეჰხედნა, იცნა ტარიელ, თანა ყმა ქარმაგოსანი (1355)

ქარმაგ ანუ ჩარმაგ სპარსული სიტყვაა და ნიშნავს თეთრ ცხენს, ანუ უფრო ზუსტად: ჩარმაგი არის ოთხფეხი თეთრი ფერისა, შავად დაწინწკლული. პირველ ლექსში (შაირი 72) ავთანდილის ცხენი — თეთრი; აქ კი მისი ცხენი არის — თეთრი, დაწინწკლული. ამ მოვლენასაც თავისი სიმნიშვნელობა აქვს: — ხაზმა ავთანდილი დაეხე იყ და ბედნიერი — ამას გამო-

ხატავს: თეთრი ცხენი: ტარიელთან გაცნობის შემდეგ და მისი ქიპრის მოზიარე, თუმცა ამავე დროს იმედიანი თ-ნათინის სიყვარულით, რგი მაინც დამწუხრებულია ნესტანის დაკარგვით; ამიტომ მისი ცხენი არის თეთრი, ოღონდ შავ წინწკლებიანი.

ტარიელისა და ავთანდილის ცხენთა ფერების დაპირისპირება ეტ.-ში ტარიელისა და ავთანდილის სხვა და სხვა სულიერი ვითარების გამომსახველია. შავი — მწუხარება და გლოვა; თეთრი — იმედი და ლხინი.

ბ. ზეზი

როდესაც ავთანდილი უცნობ გმირს. ტარიელს, გამოეკიდა, მან ცხენი გაქჷსლა ღეზითა, ვითა ვა-ვაზი გაფრინდა, ვითა მთვარე მზის შესაყრელად გაეურდა, იმ მზის შესახვედრად, რომელი სინათლითა ზეზითა ყოო — ან მთვარე. მზისა შემყრელი, მზე სინათლითა ზე-ზითა (214)

ზეზი არის ძვირფასი. ნაზი ქაოელი, რომელიც თეთრი ბრწყინვალე ფერისაა, ოღონდ მოყვითალო იერით. — ამგვარად, მზე აქ არის უბრწყინვალესი სინათლით მოხილი, რაც დიდებულებასა და შეენებანს გამოხატავს, თავისი სისპეტაკით ანუ ბრწყინვალე სითეთრით. (იხილეთ აქვე თავი — ზეზი).

3. წითელი

ა. წითელი — წითელი

წითელი ფერის ზეგაელენა აღმარანზე არის ერთად ერთი, ვით მისი ბუნება, ამბობს გოეთე თავის «ფარბენლექრე»-ში. იგი იძლევა შთაბეჭდილებას სიღარბიანლე და ღირსებისა, აგრეთვე მოწყალეობისა და სიტუროფისა. მოხუცებულობის ღირსება და ახალგაზრდობის აღერსიანობა ერთი ამ ფერით გამოიხატება. (მუხლი 796). მმართველთა, ხელისუფალთა მოშურნეობის შესახებ პუბერის (დოწეულის) მიმართ, ისტორია ზოგ რამეს გვასწავლის. ამ ფერით გარემოცულობა ყოველთვის დარბაღლური და ბრწყინვალეა. (მ. 797). წითელი არის საერთოდ სიხარულისა, ლხინისა, იმედისა და ზეციური ფერი, ფერი ძლიერთა ამა ქვეყანისა.]

წითელი ეტ.-ში ხშირადაა აღნიშნული. ვით შედარება. რასაკვირველია, დახოცილ ცხოველთ — ველნი წითლად შეედებნეს, ნადირთაგან სისხლი ისხეს (77)

ან ომში მოკლულ ან დახოცილ მონათაგან, როგორც ავთანდილი ტარიელს ეკუთვნება — შენ ველნი წითლად შეედებნეს სიხულად სისხლისა

მი-დენით (287)

მაგრამ არის კიდევ სიმბოლოური სისხლდენა ანუ ცრემლთა ღერა და ლაწეთა გლეჯა —

მეგრძა წითლად უღებავდა სისხლი ლაწეთა ნაწეული (570)

სისხლსა ღვარშან შეღება წითლად გიშრისა ტევრები (1336)

ანუ: სისხლის მონადენმა შეღება წითლად გიშრის (შავი ქარვის) ხშირი და სქელი (ტევი) წამწამებო.

ამნაირად, წითელი == სისხლი == გაწითლება ვ. ტ.-ში არა ერთჯერაა ნახმარია. მაგრამ არის კიდევ სხვა რამ, რაც წითელი ფერითაა აღნიშნული —

მოედანს დავდგი კარვები წითლისა ატლასებისა (552)

დაუდგეს ტახტი ოქროსა, წითლისა მალრიბულისა (1188)

კვლა ერთი ტახტი ოქროსა, წითლისა მართ ხალასისა (1438)

ვტ.-ში ოთხჯერა წითელია და თითოულს მათგანს თავისი მნიშვნელობა აქვს.

ბ. სისხლის ფერი

სისხლს ფერია ცრემლი, რომელი ვტ.-ს გმირებსა სდით —

არ მარტო უნდა გაქრილი ცრემლისა სისხლსა ფერებად? (784)

მოეხვია და ატირდა ცრემლითა სისხლთა ფერითა (808)

სისხლი და ცრემლი თვალთაგან სდის... (1624)

აქ ყველგან წითელი, სისხლს ფერი არის ვაუბის, მწუხარების გამოსახულება (იხილეთ წიგნი: «ზნეობათმეტყველება»).

თავის თავად: ტირალი და სისხლის ცრემლებით ტირალი, პირთა ხოკვა და ლოყების დაკაწვრა, სისხლის ღენა არის მსხვერპლის მიტანა ანუ შესაწირავი მკვდარსათვის, — ამასთანავე დიდი გლოვის ნიშანი.

ცრემლებს სისხლთან შედარება და სისხლის ცრემლები აღმოსავლურ მწერლობაში გავრცელებული იყო და ფარდაუსი. განთქმული სპარსელი მწერალი (941 — 1020) თავის მეფეთა წიგნში, არა

თავი ასახელებს სისხლის ცრემლებს, როგორც მკალითად: სისხლის ცრემლებით ტირადა. 42. მას სისხლის ფერი ხშირად აქვს გამოყენებული სწითლისა, და ამგვარად სილამაზის დასასურათებულად: ლაწენი არიან სისხლის ფერი (იქვე, წიგნი 1. გვ. 229).

სპარსელი მგოსანი მანაური ლალს ადარებს სისხლის ცრემლს, რომელი შეყვარებულს თვალთაგან ღ წივებზე გადმოხვევია.

დიდი სპარსელი მგოსანი ნიზამი (1141

აგრეთვე ხმარობს ამ გამოთქმას: სისხლი

ნი. 41. ხოსროეს ნარგისთაგან ანუ: თვალთ

ლის ცრემლნი სდიოდნენ (იქვე, გვ. 201):

ნი — მდინარე სისხლსა და სხვა. (იქვე, გვ. 4.

როგორც ვნახეთ, ვტ.-შიც სისხლის ფერი ცრემლთა, და მაშასადამე, მწუხარებისა და სევდის დასახატავადაა გამოყენებული.

ბ. ძოწის ფერი

ძოწის ფერი არის წითელი ფერი, ბროწეულის ყვავილის ფერად ძოწთან შედარება ვეფხისტყაოსანში ხმაზეებულია ტუჩთა სიწითლის გამოსახატავად, და სისხლის ფერის აღსანიშნავად.

ტარელთან საუბარის დროს აეთანდილი — მისთვის სძვრიდა სისაუბროდ მათ ბაგეთა ძოწის ფერთა (893)

ეთანდილმა ლაწეები გაიხეთქა და — მუხით წყარონი გამოჩნდეს, ძოწსა ვამსგავსე ფერითა (1342)

გახეთქილი ლალიდან, ანუ წითელი ლოყებიდან გამოჩნდნენ ძოწისა ფერი წყარონი, ანუ სისხლიო. (იხილეთ აქვე, თავი: ქსოვილნი და სამოსელნი. ძოწი და ძოწეული).

დ. არღვენის ფერი

არღვენის ფერი მოხსენებულია ლაწეთა სიწითლის დასასურათებლად. — არღვენი არის წითელი ფერის ყვავილი (იხილეთ ამავე წიგნში, თავი «ვარდ - ყვავილნი»).

სამთავე ლაწეთა ალაშნი არღვენის ფერად ალაშნეს (943)

ანუ: ტარიელ, ასმათ, აეთანდილის ლოყების ალაშნი, ანუ დროშანი, ანუ ლაწეთა ფერი არღვენის ფერად = წითლად ალაშნეს = დაასველესო; ესე იგი: გამომშვიდობებისას სახე დაიკაწრეს და სისხლით შეიღებეს ლოყებიო.

არღვენის ფერი აქ არის მწუხარების ფერი.

ე. ლალის ფერი

ლალი არის თვალი პატროსანი, კეთილშობილი ქვა, რომლის ფერია წითელი, მუქი წითელი, რუბინი.

ეთანდილის შესახებ ნათქვამია — ქარი, ველთა მონაქროლი, ლალის ფერი ა ვარდასა ზრვიდა (860)

ანუ: ელიდან მონაქროლი ქარი აეთანდილის ფერს, წითელ ვარდს, ანუ პირისა

ხადა, ჰყინავდო. აქადალმე ათ დღე მჩხელ ნაკეთად

ლალი (973)

ეუბნებიან ავთანდილს ფრიდონის მოყმენი, ხოლო ფატმან და უსენ ნესტანს ეკითხებიან — რას შეუქმნიხარ ზაფრანად შენ, ფერად მსგავსი ლალისა (1157)

ანუ: ნესტან რატომ გაყე-თლებულხარ ზაფრანის ფერად, რომელიც უწინ ლალი იყავო.

როცა ტარიელს გული შეუწუხდა. მის მოსაბრუნებლად მას ავთანდილმა შეკრძებულ სიხლი დაასხა, გაღურგებულ ტარიელი ამით მოსულაიერდა და მას ლალის ფერი ანუ წითელი ფერი მიეცა —

აქ ყველგან: ლალს ფერი არის ადამიანის სახის ფერი, მის ლაწეთა სიღამაზის აღმნიშვნელი, და ამ მიზნით იგი ხუთჯერა ნახმარი.

3. ყვითელი

ა. ყვითელი — ყვითელი

[ყვითელი — სინათლესთან უახლოესი ფერიათ, ამბობს გოეთე (ფაბენლეჰე, მუხლი 755). ყვითელი თავისი დიდი სიწმინდითა და სისუფთავით, მუდამ ნათელ ბუნებას ატარებს და მხარულ, გამამხნეველ, მშვიდობიან აღმტყველ თვისებას შეიცავს (მ. 766). ამ ხარისხით, ეით გარემო, ან სიმოსელი, ეით ფარდა ან ნობა, ყვითელი ფერი არის საამო. ძლიერ ყვითელს (ოქრო ან ატლასი) აქვს შეენიერი და კეთილშობილი გველნი (მ. 767). მისი მოქმედება არის სიბოხა და უბრუნელობის, მყუდროს შთაბეჭდილება (მ. 768). მაგრამ როცა ყვითელი თავისი სიწმინდისა და ნათელის მდგომარეობაში საამო და გასახარებელია, და თავის სრულ ძალაში როცა იგი საყვებით, ძლიერ ყვითელია, მას ლხინება და კეთილშობილება აქვს. ხოლო გასერილი, გახუნებული ან შემსიკრებული ყვითელი ფერი, პირობით, მეტად მგრძობიარე და არა-სასიამოვნო გველენის მომხდენია (მ. 770). ამ შემთხვევაში ყვითელი ფერი არის სიბილწის, ზიზღის, უსიამოვნების გამომხატველი (მუხლი 771).]

ძლიერი, სუფთა, წმინდა ყვითელი ფერი ეტ-ში არის იაგუნდისა და ნარინჯის ფერი. ხოლო ქარევა, სვეტი, ამარტა ცუდი ყვითელი ფერია და ამ ფერებით სნეულის ცუდი, ავადი სახე აღინიშნება.

ჭირმა და ვაებამ, კაეშანმა და წუხილმა ბროლი (თეთრსახე) და ლალისფერი (წითელლოყვება) ავთანდილი ქარევაზე უფრო ყვითელი გახადა — ბროლი და ლალი გასრულეარ ქარევისა უყვითელ-სადრე (139)

ანი ტარიელს ეკითხება —
ქმნა მოყვითანოდ... (599)
წლილიც ტარიელზე —

ესოვე ეარდი, მოყე:თანო, შექმერთალი და ფერი - მ-ხლილი (997)

ყვითელია აგრეთვე იაგუნდი, მაგრამ იგი მრთელია ანუ ნამდვილი, და მეტად ხალასი ანუ მეტად წმინდა, სუფთა სიყე-თლისა —

იაგუნდისა მრთელისა, ყვითლისა, მეტად ხალასისა (1438)

აქ ორგეარი ყვითელი ფერი გვაქვს — ცუდი ყვითელი, რომი, არა-წმინდა, ანუ ფერმიხდილობის, შექმთმერთალობის, დააეადებისა; და ყვითელი საამო, კეთილი და პატიოსანი = ყვითელი იაგუნდი — ძვირფასი თვალი. (იხილეთ ამავე წიგნში — «თვალნი პატიოსანნი»).

ბ. ნარინჯის ფერი

ნესტანს სახელმწ-ფო ნადიმზე ნარინჯის ფერი-სამოსელი ქონდა —

მას მზესა ტანსა ემოსნეს ნარინჯის - ფერნი ჯუ-ბანი (480)

ნარინჯი არის ორანე, ფორთოხალი. იგია სუფთა ყვითელი, კეთილშობილი, არატოკრატული ფერი; ჩინეთის იმპერატორთა, მაღალ ხელისუფალთა, ბუდისტთა და ლამისტთა რელიგიის მსახურთა შესაშოსელის ფერია. — ნესტანი მეფის ასულია, და ტახტის მემკვიდრე, და ეს ფერი მისი სახელმწიფო და პოლიტიკური მდგომარეობის, მისი სოციალური უმაღლესობის ფერია.

მ. ქარევის ფერი

ავთანდილი თავისი თავის შესახებ ამბობს — ბროლი და ლალი გასრულეარ ქარევისა უყვითელ-სადრე (139)

ტარიელისა და ავთანდილის შესახებ ნათქვამია — იაგუნდნი ქარევის ფერნი, სრტყეა - ბრძენნი, ცნობა შმაგნი (668)

იაგუნდი აქ ყვითელი, — გულის წუხილის მარევენებელია.

ღ. ზაფრანის ფერი

ზაფრანა სუნნელი მცენარეა, ყვითელი. მას აქ ედარება სახე შეწუხებული და ფერდაკარგული — ზაფრანის ფერად შეცვალა ბროლი ცრემლისა ბანამან (358)

ვარდი სრულად შექმნილიყო ზაფრანად... (500)
ქაცვი ლერწამმან, ზაფრანა იმსგავსოს ფერად მინამან (689)

რას შეუქმნიხარ ზაფრანად შენ, ფერად მსგავსი ლალისა (1157)

შეცვალა ვარდი ზაფრანად... (1278)

ვარდი შექმნილია ზაფრანად... (1590)

ზაფრანის ფერი — ყვითელი — სნეულებისა და ჯავრის, წუხილის ფერია.

მ. სპეტი

ს. ს. ორბელიანის განმარტებით, სპეტი არის უმარლი, ხოლო პროფ. ი. აბულაძის თქმით, სპეტი ერთგვარი ფერმკრთალი ყვავილია, რომელსაც იმერეთში ფერუმარლას ეძახიანო. (ვტ. 1914). (იხილეთ — ვეარდ - ყვავილით, ამავე წიგნში).

ტარიელი ზაფრანისავეთ და ვითა სპეტად გაყვითლებული, ანუ ფერმიხდილი, დაანეულებული იყო —

ზე წამოჯდა ფერმიხდილი, აყოლებდა თვალსა რეტად, ვარდი სრულად შექმნილიყო ზაფრანად და ვითა სპეტად (590)

სპეტი — სიყვითლისა და სნეულების ნიშანია.

მ. ამარტის ფერი

ამარტა — თვალი პატროსანია და ყვითელი ფერისაა. —

ამარტის ფერად შეცვალა ბროლი ცრემლისა ბანამან (266)

ანუ: ტარიელის სახე თეთრი = ბოლი, ცრემლთა ფრქვევამ და მით სახის დაბანეამ ამარტის ფერად შესცვალა, ანუ გააყვითლა.

ამარტის ფერი — სნეულების, მწუხარების ნიშანია.

ზ. ხავის ფერი

ხავი არის ცუდი ყვითელი დაბალი ბალახი, რომელი ხშირად და სქელად იზრდება ნოტიო ადგილებში, ტყეში, ღრეში და სხვ. იგი ეკუთვნის კრიპტოგამათა გვარს და 4.000 სახეს შეიცავს.

ხავი ვტ.-ში პირველად ნახმარია ზმნის სახით, როდესაც ხატაელნი აეთანდრის მოუთხოობენ, — უცხო მოყმემ ძმა დაგვიპრა, მოგვიმტკიენე — სატირელნი მოგვეტირენ, ლაწენი შენცა დაიმხავენ (198)

ანუ: ჩვენს მწუხარებაში მონაწილეობა მიიღე, მოგვიტირე და შენი ლაწენც (ლოყებიც), როგორც ჩვენ. ისე დაიმხავე, ანუ. ხავსად აქციე, გააყვითლე მწუხარებითაო. — ხავის ფერი, ცუდი ყვითელი ფერი. აქ არის მწუხარების ფერი.

სიტყვა ხავის შემდეგ ნახმარია სიმრავლის, ბევრის აღნიშნავად, და ნათქვამია, ქოჩილშიო — ხოლხა და ცხეარი დაკლული არს უმრავლესი ხავესისა (1550)

შემდეგ კი სიტყვით ხავი აღნიშნულია ისევ ცუ-

დი ყვითელი ფერი. — როდესაც ნესტანმა მამის სიყვითელი შეიტყო --

თმა გაიგლიჯა, გაყარა, ლაწეი ცრემლითა აესია, ვარდი შექმნილა ზაფრანად, ლალი მართ ვითა ხავესია (1590)

ნესტანის სახე = ვარდი = წითელი ზაფრანავე ბურად გაყვითლებულა; ნესტანის ლოყები = ლალი, ვით ხავეი = ყვითელი გამხდაა.

ხავესის ფერი არის ცუდი ფერისა, ვაებო გამოხატეული.

4. ლურჯი

ბ. ლურჯი — ლურჯი

თუ ყვითელი თავის თავში მარად სინათლეს ატარებს, ამბობს გოეთე, — ლურჯი მუდამ ერთგვარსობნელის მატარებელია (მუხლი 778) და როგორც ზემოდ აღნიშნული იყო ყველგან ლურჯი შეიქმნა მონაცვლეა. ლურჯი სიცოცხის გრძნობას იწვევს დასძენს მუშე გოეთე (მუხლი 782).

ლურჯი ფერი დაახლებულია ვტ.-ში პირველად, როდესაც სიყვარულით შეპყრობილმა ტარელმა იტრა —

ბროლი და ლალი შეექმენ მე ულურჯესი ლილია (399)

დაეარმა როცა ნესტანს სცემა, მან იგი — დაალება, დაალურჯა, მედგრად პირნი მოიქმნა (579)

რა დეარ გაძლა ცემითა, მ-სინთა დალურჯებითა (580)

მერმე, როცა ტარიელი გულწაპული დაეცა და აეთანდრელმა იგი მოაბრუნა, ამის გამო ნათქვამია — ლურჯად ჩანს შექი მთეარისა, მზისაგან შექნაკრთომისა (1346)

დალურჯება აქ ცემისა. ფიზიკური ტკივილისა, და სულიერი დავარდნის ფერია.

ბ. ლავეარდის ფერი

სიტყვა «ლავეარდი» სპარსულია (ლავეარდ) და ცის ლურჯ ფერს ნიშნავს.

ვტ.-ში ლავეარდი სახის ფერს ედარება. როდესაც ქაჯეთის ციხეში ნესტანს უცბად ფატმანის მონა-გრძნეული ეწვია —

იგი მზე დაკრთა, ევონა სამისო ჩამე ზიანი, შეცვალა ვარდი ზაფრანად, ლავეარდის ფერად იანი (1278)

ნესტანს შეეშინდა და შიშისაგან მისი ვარდი = სახე გაყვითლდა = ზაფრანად გადაიქცა, ხოლო შეენება მისი გაულავეარდდა, გაულურჯდა, ანუ მისი სახე მწუხარე შეიქმნაო.

ლავეარდი — შიშის, მწუხარების ფერია

ბ. იის ფერი

როდესაც მეფე სურხაიის სასახლედან ნესტანის გაიპარა, ამ ამბავმა მეფეზე ისეთი ცული შთაბეჭდილება მოახდინა, რომ დიდი მწუხარება და გლოვა შეიქმნა სასახლეში —

მას აქეთ იგლოეს ხელმწიფე და ყოვლნი მისნი ხლებულნი; დახედენ დარბაზის ერთა, შეელენ ის - ფრითა ღებულნი (1203)

ანუ: დარბაზის ერთი, მეფესთან ხლებულნი, მასთან ერთად ნესტანის გაპარეას გლოვობენ, და დახედეთ, მეფესთან ისინი გლოვის ნიშნად, ის ფრითა ღებულნი. ანუ იის ფერად შეღებილი ტანისამოსით შედიანო. — ეს გამოთქმა «ის-ფერი» ს. ს. ორბელიანსაც მოეპოვება ლექსიკონში. როდესაც იგი ძვირფასი ქვის სახელს «ამეთვისტომი» = ამეთისტომი, განმარტავს, ამბობს — წითელი და ის ფერია; იაგუნდას ჰგავსო; ესე იგი: ამეთვისტომი არაა წითელი და იის ფერი ანუ ლურჯი.

როგორც «წინარა»-ში აღნიშნა, შავი და ლურჯი ფერი გლოვის ნიშანია. — გერმანულ ქვეყნებში სამგლოვიარო ფერად ლურჯი ფერი იხმარებოდა, განსაკუთრებით იის ფერი (ეიოლეტფარბე). დაახლოებით 1500 წლებში დამკვიდრდა საბოლოოდ სამგლოვიარო შავი ფერი.⁴⁷ — ლურჯ ფერს, ვითარცა სამგლოვიაროს, ისლამშიაც თავისი ამგვარი მნიშვნელობა ჰქონდა. ხარყა იყო სამოსელი, რომელსაც სუფიები ატარებდნენ; ამ სამოსელის ფერი იყო ლურჯი, გლოვის ფერი, როგორც ამბობს კლ. ჰუარტ.⁴⁸

შავი და ლურჯი ფერი, ვით გლოვის ფერი მოხსენებულია აგრეთვე ფირდაუსის მეფეთა წიგნში. — ირეჯის მოკვლის გამო ნათქვამია: არაბული ცხენებიც ლურჯად შეღებეს გლოვის ნიშნადო.⁴⁹ მგლოვიარენი ლურჯი ფერას სამოსელს იცვამენ; (იქვე, გვერდი 33); გლოვისათვის იცვამენ ლურჯსა და შავ სამოსელს; (იქვე, წიგნი, მე-2, გვ. 435); სამგლოვიაროდ ყველას ეცვა იის ფერი და ლურჯი სამოსელიო (წიგ. 4, გვ. 689) და სხვა. — ლურჯი ფერი ნიშანის პოემებშიც მწუხარების და გლოვის ფერია.⁵⁰

ამგვარად, ეფთხისტუაოსანშიც: იის ფერი არის მწუხარებისა და გლოვის ფერი.

ღ. ლილისფერი

ლილის ფერი ლურჯია, ხოლო მას აქვს ერთგვარი სიფიცხე, ვისეაობა, ოღონდ სიმხიარულის გარეშე.

ნესტანთან პირველი შეხვედრის შემდეგ, ტარიელი მეტად დამწუხარებული —

ბროლი და ლალი შევიქმენ მე ულურჯესი ლილისა (399)

ლილა არის ღრმა და ცივი ფერი, სევდისა, მწუხარებისა და გლოვის ფერი.

3. მწვანე

მწვანე ფერით ე.ტ.-ში აღნიშნულია ტანსაცმელის ფერი, ველი ან მინდორი. ნესტანი მწვანე სამოსელს ატარებს —

ფარდაგსა შიგან მჯდომარე შესამოსლითა მწვანითა (408)

მითვე მწვანითა უებრო მიწოლით ტახტსა მჯდომელი (521)

თავსა რიდითა შავითა, ქვეშეთ მოსილი მწვანითა (1131)

ამ მწვანე სამოსელს ნესტანი არ იშორებს, ისე ვით შავ რიდეს. თუ შავი რიდე მისი უბედობის სიმბოლოა, — მწვანე არაა ნესტანის მარადი ქალწულობის, ახალგაზრდობის, სიყვარულის დაწყების, მისი ერთგულების და იმედის ფერი.

აღნიშნულია ბუნების სიმწვანეც —

მოწურვილ იყო ზაფხული, ქვეყნით ამოსლვა მწვანისა (1329)

მოდო და დავსხდეთ, მეფეო, ამოა კორდი მწვანისა (1518)

მწვანე არის ფერა მარადისობისა ბუნებაში.

6. ფერად - ფერადი

ა. თეთრ - ძოწეული

ცალკეულ ფერთა გარდა, ე.ტ.-ში ფერადნიც აღინიშნებიან. ქორწილში ფრიდონს ნესტანისა და ტარიელისათვის —

მათ ქალკმათათვის საჯდომი დაედგა თეთრძოწეული (1463)

ანუ: სამეფო ტახტი გადაფარებული იყო თეთრი და ძოწეული (ბროწეულის ყვავილის ფერი) ქსოვილებით. — თეთრძოწეული ერთად, არის სიხიარულის, სიყვარულის, მეფობისა და დიდებულობის გამოსახულობა, — და აქ ეს ფერი ვითარებას სავსებით შეეფერება.

ბ. შავ - თეთრი

ნესტანის პოვნის შესახებ ცნობით გახარებული ტარიელი აეთანდღილს მადლობას ეუბნება და —

ნესტანის, თვალნი აპართის, შავ - თეთრი
ელვა კრთებოდა (1252)

ქ. სააკვირველია, ნაგულისხმევა, შავ თვალთა-
კან თეთრი ეღვის გამოკრთომა ანუ გამოცემა. ანუ
შეთისაგან თეთრ სხავთა (ელვა = შუქი) ხედვა.

ფერთა სიმბოლიკაში შავ - თეთრი არის გარდა-
სრულ ტანჯვათა და ჭირთა შემდეგ კარგი მოგო-
ნება.

ბ. შავი - მწვანე

ნესტანი შავს რიდესა და მწვანე კაბას ერთად
ატარებს —

თავსა რიდიტა შავითა, ქვეშეთ მოსილი მწვა-
ნითა (1131)

შავი — გლოვის ნიშანია და მწვანე — იმედისა,
ხოლო ერთად — სიყვარულზე სევდა.

დ. წითელ - შავი

ეტ.ში სამხედრო დროშა არის წითელ - შავი,
რაც იშვიათთა ფერთა შეგუების მიხედვით.

როცა ტარიელი ხატაეთზე საომრად გაემზადა —
აემართე დროშა მეფისა, აღმითა წითელ -
შავითა (404)

აქედან სიანს: ინდოეთის დროშა წითელ-შავი ყო-
ფილა! — სიტყვა «დროშა» ავესტას ენაზე არის —
დრაფშა; ფეპლეურზე (ფალაური) — დრაფშ; სომ-
ხურად — დრაფშ. ⁸². ს. ს. ორბელიანის განმარტე-
ბით, დროშა არის მწყობრთ (რაზშთა) ნიშანი (ლარ-
თაგან) ფერად-ფერადი, გუნდ-გუნდთა საცნობელი.
სიტყვა «ალამი» არის სპარსული და ნიშნავს: სტან-
დარტი, ასაფრთხილებელ ნიშანს. ⁸². ს. ორბელიანის
განმარტებით, ალამი არის სპარსულად დროშა, ქარ-
თულად — სამხრე ზორტი, გინა ნიშანი დროშისა,
შუბთა და მისთანათა. მაშასადამე: ინდოეთის მეფის
სტანდარტი არის წითელ - შავი.

წითელ - შავი არის ომისა და სიკვდილის ნიშანი.
ეს წითელ-შავი დროშა არსად არა გვხვდება. უმ-
ბაიადების (ომბაიდთა) დროშა იყო თეთრი; აბასიდ-
თა კი შავი, რომელსაც თეთრი ასოებით ეწერა: მაშ-
მად არს მოციქული ღმრთისა. ხალიფათა მოწინააღ-
მდეგე ალის დროშა იყო მწვანე. ხალიფა აბდალ-
ლამ - ალ - მამუნ-მა შესცვალა აბასიდთა დროშა
ალის მიმდევართა ანუ ალიდების მწვანე დროშით
817 წელს. ტუნისის სულტანის დროშები იყო: თეთ-
რი, ყვითელი, მწვანე. თურქოსმალთა დროშა ლაშ-
ქარში იყო სხვა და სხვა: წითელი, ყვითელი, მწვა-
ნე, თეთრი; წითელი და თეთრი, მწვანე და თეთრი.
ინდოეთში კი მაჰმადიანთა მიერ მიღებული ფერი
არის მწვანე, რომელიც შემოიღო სულთან შა ბან-მა
773 წელს პიჯრას შემდეგ. ⁸⁴

თუ დადებულ ძველის ფორდაუსის გამოქვეულ
შაპ-ნამე-ს მივმართავთ, აქ ხშირად შევხვდებით სხვა
და სხვა ფერის დროშას, ოღონდ აქ დროშის ფერი:
წითელ - შავი — არ არის. ირანის სამხედრო დრო-
შას ერქვა «კაეიანი დირეფშ»; იგი შესდგებოდა წი-
თელი, ყვითელი და იისფერი ნაქრებრსაგან. ⁸⁴, —
სპილოებს მიჰქონდათ თავის ზურგზე დროშანი (ირ-
ანული) შევნიერ ფერთა: წითელ- ყვითელ, იისფე-
რი (იქვე, გვ. 305). ერთ შემთხვევაში აღწერილია
ლაშქართა დროშები — იისფერი, რომელზეც გამო-
ხატულია მზე და მთვარე — ირანის მეფისა; დრო-
შა სპილოს სურათით — გმირი თუსისა; ოქროსფე-
რი დროშა, ლომის სურათით — გმირი გუდერძისა;
დროშა გველეშაპის სურათით და წვერზე ოქროსთა-
ვიანი ლომით — რუსტემისა; შავი დროშა, მგელის
სურათით — გმირი გივ-სა; ოქროსფერი დროშა —
ფერიმურზისა; დროშა მთვარითურთ, ყვითელი, წი-
თელი, იისფერი და ყველა ფერი დროშები, და ვეც-
ხლის ფერი მთვარით — გმირი გუჰარეზისა (იხ. წ. 2
გვ. 133 — 139); რუსტემის დროშა არის იისფერი:
აფრასიაბისა — შავი (იხ. წიგნი 2. გვ. 459); ზაქრამ
ჩუბინეს დროშა იყო ლაქეარდოვანი, გველეშაპის
სურათით (წ. 7. გვ. 348).

როდესაც კვი ხოსრავემა ნახა აღღუმი თავისი ლა-
შქარისა, მის წინ გაიარეს მხედართა რაზმებმა თა-
ვისი დროშებით:

ფერიბურზის დროშაზე მზე იყო გამოხატული;
გუდერძის დროშაზე — ლომი, რომლის ბჯალეშ-
შია კომბალი და ხრმალი; ჩიდურ-ის დროშაზე —
ლომი; გივის დროშა — შავი, მგელის სურათით;
რუჰამის დროშაზე — ვეფხი; კუსტემის დროშა-
ზე — მთვარე; აჩეჩის დროშაზე — ვეფხი, ბჯა-
ლებ გაშლილი; ფერქადის დროშაზე — შეელი; გუ-
რამქის დროშაზე — ტახი; ძენგესის დროშაზე —
მეფური არწივი; რუსტემის შველის. ფარაშურზის
დროშაზე — შეიდათვიანი გველეშაპი (იხ. წ. 2. გვ.
591); ფეშანგის დროშა არის შავი (წ. 4. გვ. 55); გა-
ჰის გაპანელის დროშა არის შავი (წ. 3. გვ. 193)
და სხვა და სხვა.

ვეფხისტყაოსნის დროშა არ არის აბუ ჰინდური.
არც ირანული (სპარსული), არც არაბული. და საერ-
თოდ იგი ისტორიული დროშა არაა, და მხოლოდ
სიმბოლიურია. ფერთ: წითელ - შავი — სიხლის
ღერა და სიკვდილი აღინიშნება.

მ. წითელ - ყვითელი

ნესტან - ტარიელისათვის ფორდონის მიერ და-
ღმული იყო ტახტი —

წითელ - ყვითლთა თვალთა ზედა კეკლე-
თად ფრქვეული (1463)

აღ უკვე არა ქსოვილი, არამედ თვალი პატიოსანია წითელი და ყვითელი ფერით აღნიშნული.

წითელი და ყვითელი ფერი ერთად, არის ბედნიერების, მეფობის და უზენაესობის გამომხატველი. ამას ადასტურებს სხვა, წინაუკმო შემთხვევა, როდესაც ნესტანი მგლოვიარე დედას ეუბნება —

წითელ - ყვითლითა დაგაგდე, აწ შაოსანსა გხედაო (1628)

3. წითელ - მწვანე

ქაშნაგირის სასახლე წითელი და მწვანე ქვით იყო აგებული —

ზღვის პირსა სახლი ნაგები დგა ქვითა წითელ - მწვანითა (1112)

წითელისა და მწვანის ერთად მოთავსება არის სიყვარულისა და იმედის, მარადისობის ნიშანი.

4. ყვითელ - შავი

მესამე ტახტი, რომელიც ფრიდონმა გაპარტა, იყო ავთანდილისათვის დანიშნული —

... ყვითელი და შავი ერთგან რეული (1463)

ანუ: ავთანდილისათვის დამზადებული ტახტი გადაფარებულია ერთად (ერთგან) შერეული ყვითელი და შავი ქსოვილით.

ყვითელი აქ ავთანდილის მაღალ მდგომარეობას, მის მეფობას გვიჩვენებს. ან: სიხარულს ნესტანისა და ტარიელის გაბედნიერების შესახებ; ხოლო შავით გამოხატულია მისი სევდა და თინათინზე მწუხარება, რომელი მას განუწყურლად თან ახლავს.

5. ლურჯ - მწვანე

როდესაც ავთანდილი თავის მეგობრებთან ერთად არაბეთს ბრუნდება, მას იქ თავისი ხალხი შეეგებება. არაბულ სოფლებში და ციხეებში —

მუნ შიგან მყოფსა ემოა ტანსა ლურჯი და მწვანე (1503)

და თუ რატომ ლურჯი და მწვანე ემოსათ, ამას იქვე ვტყობილობთ —

ავთანდილისთვის ყველაი ცრემლითა. არს ნაბანები (1503)

ლურჯი გლოვის ფერია; მწვანე — იმედისა. სოფლისა და ციხეთა ხალხის ლურჯი სამოსელი გამოხატავს ავთანდილზე მწუხარებას, ხოლო მწვანე კი იმედს მისი დაბრუნების შესახებ.

7. მნათობთა ფერი

«შვიდ მნათობთა» ლექსში მნათობთა ფერებსაც თავისი საკუთარი მნიშვნელობა აქვს. ზოგი ფერი

მნათობისა თვით ლექსშია დასახელებული, ან ნაჩვენები, ხოლო ზოგი კი იგულისხმება.

1. მზე. მისი ფერი დასახელებული არაა, მაგრამ ეს ფერი ყოველთვის სილამაზესთანაა შედარებული და მით დახატულია მრთელი, ჯანმრთელის მხარული და სასიამო მზისფერი.

2. ზუალი (სატურნუს, კრონოს). ზუალის ფერია შავი და მას ავთანდილი გარკვევით გუაგნობებს — გული შავად შემიღებე, სიბნელესა მიმეც ხშირსა (958)

3. მუშთარი (იუპიტერ). ამ მნათობის ფერი ამ ლექსში აღნიშნული არაა და არც მისი ნიშანია მოცემული.

4. მარხი (მარს). მისი ფერი ნაჩვენებია მისივე ბუნებით, რომელიც სისხლისღერას იწვევს და ყველაფერს წითლად ღებავს —

მოდო, მარხო, უწყალოდ დამქერ ლახერთა შენითა,

შეცამღებე და შემუხარე წითლად სისხლისა ღენითა (960)

5. ასპიროზი (ვენუს, ვენერა). მისი ფერი ვეფხისტყაოსანში ნაჩვენებია არაა.

6. ოტარიდ (მერკურიუს). არც მისი ფერია აღნიშნული.

7. მთვარე. მისი ფერი დასახელებული არაა, მაგრამ ნაჩვენებია იგი, რამდენადაც ამ ლექსში სიტყვა მთვარის სიმკვლევე - გაესებაზეა —

მო, მთვარეო, შემობრალე, ვილევი და შენებრ ვმკლდები (963)

მკვლე მთვარე ცუდი ყვითელი ფერია, ხოლო სავესე მთვარის ფერი — ჯანმრთელობისა და სილამაზის აღმნიშვნელად ითვლება. ⁸⁵

8. ვეფხისტყაოსანის ფერთა სიმბოლოზში

ვეფხისტყაოსანში ფერი მრავალია. აქაა ფერთა ფერადობის სიმდიდრე, შეენების საუნჯე — და ეს გვიჩვენებს, თუ ვეფხისტყაოსანის საზოგადოება რამდენად მაღლა იდგა ფერთა ცნობისა და შეგრძნობის საკითხში.

ვეფხისტყაოსანში ჩვენს თვალ წინ იშლება ფერთა სიმბოლოზში, რომელსაც სხვა და სხვა, ნაირნაირი მნიშვნელობა ეძლევა. — აქ ჩვენ არა გვაქვს რელიგიურ ფერთა სიმბოლოზში, მაგრამ არის სახელმწიფოებრივი, პოლიტიკურ - სოციალური, ეროვნულ - რასიული ფერთი და ესთეტიური სიმბოლოცა.

ინდოეთის დრო შა წითელ - შავია — ომისა და სიკვდილის სიმბოლო, ანუ ძლიერებისა და მძლეთა მძლეობის მაჩვენებელი.

ვეფხისტყაოსანის გმირები ფერთა თეთრ - წითელ - შავნი არიან. ეს ფერები მხოლოდ მაღალ წოდებას,

არისტოკრატის ახასიათებს.

საზოგადოების შუა ფენის წარმომადგენელი —
ვაჰარა-წოდების წარმომადგენელი — ფატმანი
არის შავგრემანი.

მღაბიორთა ანუ დაბალი ფენის წარმომადგენელი
არის შავი (მონა-ზანგა); შავი აქ რასიულობისა და
ეროვნულობის აღმნაშენელიც არის. და ამას გარდა
უღამაზობისა და უმწირობის გამომხატველიც.

უფუხისტყაოსანში ფერთა სიმბოლიკა ნახმარია
აგრეთვე სილამაზის აღსაწერად (იხილეთ ამავე წიგ-
ნში — «სილამაზე»).

ვეფხისტყაოსანში სამოსელის ფერთა სიმბოლიკა
წოდებრივ სხვაობას ასახავს (იხილ. აქვე კარი მე-
ორე: «ქსოვილნი და სამოსელნი»).

შავი. მგლოვიარე ტარიელს შავი აცვია. ასმათი
ნესტანის გადაკარგვის გამო შავ სამოსელს ატარებს
მწუხარების ნიშნად. შავია ნესტანის რიდე, რომლის
ფერი ნესტანის შავ ზედს გამოსახავს. შავად არის
აღნიშნული გულიც, რომელიც სევდასა და წუხილს
შეუბყრია. შავია ტარიელის ცხენიც და ეს ფერი მის
სულიერ ვითარებას შეესაბამება, და სხვა.

თეთრი. თეთრის სიმბოლიკით ვტ.-ში დახატუ-
ლია სილამაზე და ბრწყინვალება. ეს აქ მარტო არი-
სტოკრატის ეკუთვნის. თეთრია ავთანდილის ცხე-
ნი და აქ თეთრი ფერი ავთანდილის სულიერ სიმშ-
ვიდესა და ბედნიერებას გამოსახავს.

ზეზისფერი. ეს ფერი სისპეტაკე - ბრწყინვალე-
ბასა, დიდებულებას და შვენებას ასახავს.

წითელი. წითელის სიმბოლიკა სხვა და სხვა
ფერს შეიცავს. წითელი არის ხელისუფლების ფერი,
მეფური, ქონება-სიმდიდრის აღმნიშვნელი.

სისხლისფერი გადმოგვცემს მხოლოდ მწუხარებას
სისხლისფერის მსგავს ცრემლთა აღნიშვნით.

ძოწისფერი სამეფოა, ძლიერებისა, დიდებისა. იგი
აგრეთვე სილამაზის ფერიცაა.

ლალისფერი სილამაზეს ასურათებს.

არღვენისფერი გამოყენებულია, ვით სისხლის ფე-
რი, ვაების აღსაწერად.

ყვითელი. ყვითელი ფერი რამოდენიმე იერისაა.

ნარინჯისფერი მეფური და არისტოკრატულია.

ქარვისფერი მწუხარებისა და სევდის ფერია.

ზაფრანისფერი წუხილისა და ჭირის ფერია.

სპეტისფერი კავშირისა და დარდის ფერია.

ამარტისფერი ჭირისა, კმუნვისა და ურვის ფერია.

ამავარად, ვტ.-ში ნამდვილი, ხალასი ყვითელი ფე-

რი არის მეფური, ხოლო ცუდი ყვითელი ფერი კი:
ჭირისა, მწუხარებისა და სევდის ფერია.

ღურჯი. ამ ფერის სამი გვარია აღნიშნული.

ღურჯი არის გლოვისა და ნაღვლის ფერი.

ამასთანავე, ღურჯი არის ხიზრკაცისა და ერთგუ-

ლების ფერიც. იგი არის არა - თავისუფალ ხალა-
სამოსელის ფერიც.

ლაუვარდისფერი შეკრთობის, შეშინების, კაქ-
ბის დაკარგვის ფერია.

ლილისფერი შიშის, წუხილის, გრძობათა და კარ-
გვის ფერია.

იისფერი არის გლოვის ფერიც.

მწვანე არის ფერა ახლად ჩანერგული სიყვარუ-
ლისა, იმედისა, მარადიულობისა.

თეთრ-ძოწიული მეფობისა და ღვინის ფერია.

შავი და მწვანე სიყვარულის სევდის ნიშანია.

შავ-თეთრი კარგი მოგონებაა გარდასრულ ჭირთა
შესახებ.

წითელი და შავი ომისა და სიკვდილის ნიშანია.

წითელ-ყვითელი უზენაესობის და ღვინის გამო-
სახვაა.

წითელ-მწვანე სიყვარულისა და იმედის გამოხა-
ტულებაა.

ყვითელ-შავი დიდებისა და მწუხარების დასახვაა.

ღურჯი და მწვანე გლოვის, ერთგულებისა და
იმედის დასურათებაა.

ფერთა მთელი ეს სიმბოლიზში ხელოვნების ისე-
თი მიწეწეწილობით და სიმდიდრით არის გამოყენე-
ბული ვტ.-ში, რომელს ეერც ერთი სხვა ნაწარმო-
ები ვერ შეეძარება. ვეფხისტყაოსანში ფერწერათი
შემოქმედების მადლიანი ხელია, უმაღლესი შთაგო-
ნებისა და ძლიერად შემასრულებელი მხატვარისა,
რომელსაც პოეზიის დარგში შეტოქე არ მოეპოვება.
ეს მხატვარი მარტოდ სდგას შუა საუკუნეთა მსოფ-
ლიო მწერლობის კალმით ფერწერითი ხელოვნების
უუმაღლეს მწვერვალზე.

პარი მმორაი

ვეფხისტყაოსანის

ქსოვილნი და სამოსელნი

I. ქსოვილნი და სამოსელნი.

საპართოდ

ვეფხისტყაოსანის დროში ქსოვილთა დამზადე-
ბისა და ვაჭრობის საქმეში აღმოსავლეთს (ორი-
ენტს) უდავო პირველი ადგილი ეკავა და სამარეწ-
ველო უპირატესობაც მის ხელში იყო. ევროპა იმ
ხანად ამ მხრივ მეტად ჩამორჩენილი იყო და მხო-
ლოდ მყიდველი საქონელისა, რომელსაც აღმოსავ-
ლეთი, შორეული გზით, ევრედ წოდებულ, აბრე-
შუმის გზით, მას უნაწილებდა. აზია იყო, ვეფხის-

ტყაოსანის ენა რომ ვიხმაროთ, საქონელ - სრული, მდიდარი. და ეს სიმდიდრე ვეფხისტყაოსანშიც ღალადებს. ქსოვილთა უბრალო აღნიშვნა და ჩამოთვლა იმ მართლა დიდ საუნჯეს გვაჩვენებს, რომლითაც აზია განთქმული იყო შუა საუკუნეთა განმავლობაში.

დღეს ქართველმა ის სახელებიც კი აღარ იცის, რომლითაც ძვირფასი ქსოვილი იყო წოდებული, — და ამ სახელთაგან ორიოდ სიტყვა თუა დარჩენილი ხმარებაში, მაშინ როდესაც ვტ.-ის თანადროული მკითხველა ამ ქსოვილთ იცნობდა, ხმარობდა, იცვამდა და ატარებდა.

სამრეწველო ისტორიაში ცნობილია, — ყველა საქონელი თუ ტექნიკური დამზადება იმ ქვეყანის ენაზე ატარებს სახელს, სადაც იგი პირველად გამოიგონეს და გააკეთეს. ეს სახელი, დამამზადებელი მხარედან გადადის, ვაჭრობის მეოხებით, სხვა ქვეყანაშიც, საქონელთან ერთად და მეტად შორეულ კუთხეებსაც კი წვდება, ხშირად დამახინჯებული გამოთქმითაც.

ევროპიულ მწერლობაში მე-12 და მე-13 საუკუნისა ხშირად არის მოხსენებული ჰინაური ანუ პურეში ნინევესა, ბაღდადისა, ალექსანდრიისა, ადრამანტიისა, ასსაგაუკისა, ალამანსურა, პელპიუნტე, მეურიენტა, ეციდემონის, და სხვა და სხვა ადგილი თუ ქალაქის სახელი, ხშირად გამოთქმით შერყენილი, და დღეს გაუგებარი, — და თვით ქსოვილთა სახელები: ბლიატ (პლიატ) სიკლატ (კიკლატ), პალმატ, პფავინ, ტრიმლატ, ფელელ, ირას, ტიმიტ, და სხვა და სხვა, ⁵⁵ა. რომელთა სახელთ ევროპიელნი ამ ჟამად აღარ იცნობენ ისე ვითარცა დღევანდელი ქართველებისათვის გაუგებარია ვტ.-ის ქსოვილთა სახელები.

შუა საუკუნეთა მანძილზე ძვირფას ქსოვილთა მაწარმოებელი იყო ჩინეთი, ინდოეთი და სპარსეთი უმთავრესად, — ამიტომაც ვეფხისტყაოსანის ძვირფას ქსოვილთა სახელებიც იქიდანაა შემოსული. უფრო კი სპარსულ - არაბული, რადგან სპარსელ და არაბ ვაჭართა მეშვეობით ეცნობოდა შორეულსა და შუა აღმოსავლეთს საქართველო და ევროპაც.

ვითარცა თვალნი პატროსანნი, აგრეთვე ქსოვილიც აღმოსავლეთ და შუა აზიიდან მოდიოდა და თავისი სახელი თან მოჰქონდა, როგორც ამ ჟამად ევროპიულ საქონელს თავისი საკუთარი სახელი, პირიქით, თან მიაქვს აზიაში.

×

ძვირფას ქსოვილთა შორის ვტ.-ში მოხსენებული — ოქსინო, ორხაული, სტავრა, ნახლი, შარდი და სხვა, — განსაკუთრებული დანიშნულებისა არიან,

— მით არის მეფის, დიდბულის, მდიდარის სასახლე მორთული; ამ ძვირფას ქსოვილთ მხოლოდ შეძლებული პირნი ხმარობდნენ და ატარებდნენ. თავის თავად ცხადია, ეს შესანიშნავი ხელოვნების საქონელი ფართო გაერცვლებისათვის არც იყო დანიშნული, იგი ხელმიუწვდომელი იყო, და ესთეტიური თვალსაზრისით მდაპირათათვის გაუგებარაც. ასეთი ფუფუნებითი საქონელის შექმნისათვის საქირა იყო არა მარტო სიმდიდრე, არა მარტო განცხრომის წადილი, რომელიც თავის თავად ძალაუფლებასა და სიმდიდრეს გამოხატავს, არამედ გემოვნების განვითარებაც, ესთეტიური აღზრდაც.

×

უქველია, ქართველი მკითხველი საზოგადოება ვტ.-სა ძვირფას ქსოვილთ კარგად იცნობდა, ვინაიდან მაშინდელი ქართველობა შუა და წინა აზიის ეკონომიურ და კულტურულ წრეში ტრიალებდა, და ვითარცა იმდროინდელი ბიზანტია, მასთან მკიდროდ იყო გადაკავშირებული. მხოლოდ ამით აიხსნება ის, პირველი შეხედვით გაუგებარი მოვლენა. რომ ვტ.-ში მრავალი უცხო ძვირფას ქსოვილთა სახელია, და არამც თუ მარტო ვით სახმარ საქონელთა, არამედ პოეტური შედარებებისათვისაც კი ხშირად გამოყენებული. ეს სახელები მიგვითითებენ ვტ.-ის საზოგადოების სიმდიდრე, — შევენების გემოზე, და უმაღლეს სოციალურ განვითარებაზე.

×

აღამიანის სამოსელის განვითარებისა და სოციალური მნიშვნელობის შესახებ ითქმის, რომ სამოსელი უწინარეს ყოვლისა თავდაცვისათვის იხმარებოდა. იგი სიცივესაგან და უამინდობისაგან დაფარვას ემსახურებოდა. ხოლო დროთა განმავლობაში სამოსელი ეროვნული და სოციალური ხასიათის მატარებელი შეიქმნა. თითოულ ერს და თითოულ ერში კიდევ თითოულ წოდებას თავისი საკუთარი სამოსელი დაუწესდა და განსაკუთრებული ფორმა დადგინდა საზოგადოების ყველა ფენისათვის. ტანისამოსის განსაკუთრებული ფორმა გამოწვეული იყო წოდებრივობის სხვადასხვაობის გამოჩინებისათვის, როგორც ეს უკვე აღინიშნა წინაარა-ში (იხილეთ აქვე, გვერდი 13). განსაკუთრებული სამოსელი ახასიათებდა პიროვნების არა მარტო კლასობრივ წევრობას, პიროვნების კუთვნილობას რომელიმე წოდებისადმი, რომელიმე ხელობისადმი, არამედ ერისადმი და გარკვეულ რელიგიისადმი.

ეროვნებანი და ხალხები ძველად ტანისამოსის ფორმით განირჩეოდნენ. ეს წესი იმდენად დამკვიდრებული იყო, რომ მეოცე საუკუნეშიც მას თავისი სახე არ დაუკარგავს ევროპაში, სადაც ე.წ. ევროპიულმა უწინა სამოსელმა ასპარეზი დაიპყრო და ევ-

როპას მრავალფერობა წაართვა, ევროპელი ერთ კალაპოტში ჩასტენა, — აქაც კი, სოფლებში, პროვინციებში, დღემდე დარჩენილი ადგილობრივი, პროვინციული სამოსელი, რომელი თითოეულ მხარეს ერთი მეორესაგან ანსხვავებდა.

×

ეროვნული სამოსელი იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ იგი, მტკიცე ჩვეულებისა გარდა, კანონმდებლობის საკითხიც იყო. მაგალითად, ოსმალეთის (თურქეთის) სახელმწიფო კანონები სამოსელის ფორმას არა ერთხელ ეხებოდა, და ამის შენახებ პროფ. კ. ბროკელმან ამბობს: —

უძველესი კულტურის საფეხურზე ტანისამოსი არსებითი დამატებაა მისი, როგორც ესაა დღეს სამხედრო ფორმა. ტანისამოსი განასხვავებს არა მარტო წოდებებს, არამედ ეროვნებებსაც. ⁵⁶

სამოსელის განასხვავება დაფუძნებული იყო ხელისუფლების, წოდების, სიმდიდრის, ხელობის ნიადაგზე. თუ მაგალითისთვის გერმანიის ისტორიას დავა სახელებს და ჰეინეს მოუქსმენტს, აღმოჩნდება, რომ უძველესი გერმანული დროიდან, ადამიანის მდგომარეობა იცნობოდა სამოსელის მიხედვით, დაწყებული მათხოვარიდან და გათავებული მეფით. ერთი წრის, ერთი ხელობის, ერთი წოდების ხალხი ერთნაირ სამოსელს იცვამდა და ცხენისათვისაც კი ერთნაირი მოკაზმულობა ჰქონდათ. ეს იყო ძველი ჩვეულება, რომელი შემდეგში კანონთა და განკარგულებათა საგანი გახდა. იმ ხანაში, როდესაც კულტურა ფართოდ გაიშალა და მასთან ერთად საზოგადოებაში მრავალგვარი დანაწილება მოხდა, ამ დანაწილებაში საზოგადოების მაღალი ფენა მის კუთვნილს და ძვირფას სამოსელს ატარებდა, რომელიც მას მდებიურისაგან განასხვავებდა. მდებიონი კი ცდილობდნენ სამოსელის ეს განსხვავება შეემციებინათ, ჩაცმულობის წაბაძვით, მაგრამ კანონები ამ მოვლენას ებრძოდა, განსაკუთრებით მოქალაქეებს, დიდ ვაჭრებს, რომელთაც ქონებრივად შეეძლოთ, და სურდათ ძვირფასი სამოსელი ეტარებინათ.

თითოეულ წოდებას, თითოეულ ხელოსანს რომ თავისი საკუთარი სამოსელი უნდა ეტარებინა, ამის შესახებ კანონებიც კი გამოიცა ჯერ იტალიაში და საფრანგეთში მეცამეტე საუკუნეში და მერმე გერმანულ ქვეყნებში მე-14 საუკუნის შუა ხანაში. ასეთ კანონებს აქვეყნებდნენ მეფენი, თავადნი, ქალაქის პატრონნი. — მეფეა, თავადს, დიდებულს, ხელოსანს, მონადირეს, რაინდს, გლეხს, მგზავრს და ყველას თავისი კუთვნილი სამოსელი უნდა ეტარებინა. ასე წარმოიშვა ევროპაში იმპერატორის, კურფიურსტის, პერცოვის, მარკგრაფის, ჰაბსბურგის, (ანუ რიტერის, კავალერის) და სხვათა სამოსი. აღნიშნული

ზემოდ კანონმდებლობა მხოლოდ ადასტურებდა ამ მოვლენას. ⁵⁷

ასევე იყო დედაკაცთა ჩაცმულობის ჩვეულება. შიკ. მოსასხამი და ზეწვიანი სამოსელი ეკუთვნოდა მხოლოდ მაღალი წრის დედაკაცთ და იგივე სამოსელი სხვა წრის დედაკაცთათვის აკრძალული იყო. (იქვე, გვერდი 315).

ძვირფას ბეწვეულად შუა საუკუნეთა მანძილზე ითვლებოდა — სიამაჟური, კვერნა, თახვი, ვეფხი, რუხი თრითინა და სხვა... საზოგადოებრივი წესის მიხედვით, არისტოკრატთა გარდა, არავის არ ჰქონდა ნება, თუგინდ ნივთიერადაც შესძლებოდა, ამგვარი ბეწვეული ეტარებინა. (იქვე).

ასეთივე წოდებრივი მნიშვნელობისა იყო ფერიც, რომლის შესახებ ზემოდ ვიბაასეთ (იხილეთ აქვე გვ. 14). სამოსელის ფერიც, ამბობს ე. კროულე, ⁵⁸ ესთეტიურ, ფსიქოლოგიურ და ბიოლოგიურ მრავალ საკითხს არდგენს. სამოსელი თავისი კუთვნილი ფერით თითოეულ სოციალურ მოვლენას და თვითოეულ საზოგადოებრივ ხარისხს გამოხატავდა. იგი ასახავდა ოჯახის, ქალაქის, პროვინციის, მხარის, ტომობრივსა და ეროვნულ ხარისხს (იქვე, გვ. 67).

და ამასვე ამბობს დრ. ე. გოეტკინგერიც — რაც ქსოვილსა, მის ფერსა და სამკაულთ შენებას, — ყველაფერი ეს განასხვავებს ერთი მეორესაგან წოდებებს. ⁵⁹

×

ვეფხისტყაოსანის მკითხველი გარეგნული შეხედვით მუსლიმანურ ქვეყნებში იმყოფება და იქ ისლამურ ხალხებსა ხედავს. არსად ამ პოემაში ამ ხალხთა აღწერილობა არ არის, არსად ამ ხალხთა ზნე - ჩვეულებებს არ გვიხატავენ, მხოლოდ გაკვირვებით, აქა - რქამა თუ იმ მოვლენას ვხედავთ, და მათ შორის ჩაცმულობისა ანუ სამოსელის ამბავსაც ვხვდებით.

პირველად არაბნი, უდაბნოს ხალხი, უბრალოდ იცვამდნენ, მაგრამ დიდ დაპყრობათა შემდეგ, როდესაც ვეებერთელა იმპერია შეიქმნა ინდოეთიდან ესპანეთამდე, არაბებმა უფრო რთული და უფრო ძვირფასი სამოსელი დაპყრობილთაგან გადაიღეს, და მათი წაბაძვით შესანიშნავ ქსოვილებში გაეხვივნენ, თვალმარგალიტებით შეიმკვნენ. — თვით ისლამის დამაარსებელი მაჰმად აბრეშუმის სამოსელს უარყოფდა და თავისიანებს უბრალო ბამბისა და ტილოს სამოსელს ურჩევდა — ვისაც აბრეშუმში აცვია ამ ქვეყნად, იგი, რასაკვირველია, აბრეშუმს ველარ ჩაიცვამს მომავალ ცხოვრებაში, ამბობდა იგი; ვისაც აქ აბრეშუმში აქვს, მას არ ექნება წილი მომავალ ცხოვრებაში. ⁶⁰

მაგრამ განებივრებული არაბნი ამგვარ ქადაგებას ყურს არ უპყრობდნენ. შემდეგ კი ჩაცმულობის შე-

სახებ თითოეული თეოლოგიური სკოლა ისლამში თავის საკუთარ მოძღვრებას ანვითარებდა და იცავდა (იქვე, გვ. 6). რაც სამოსელის ფერს ეხება, — ყველაზე მიღებული იყო: თეთრი და შავი; თეთრი — იმიტომ, რომ «ღმერთს უყვარს თეთრი სამოსელი და მან შექმნა სამოსზე თეთრი» (იქვე, გვ. 6). შავი კიდევ იმიტომ, რომ მეკას დაპყრობის დღეს მაჰმადს ეცვა შავი ჯობბა (ვეფხისტყაოსანის «ჯუბბა») და ეხურა ტურბანი შავი; შიიტები (უმთავრესად სპარსელები) შავს უარპყოფენ და მას ეშმაკის ფერად სთვლიან. წითელი ფერი და ყვითელი, უცნობი მიზეზის გამო, არა — კანონიერია. მაგრამ მკვლევარი დოზი ფიქრობს: წითელი დაგმონილია, ვითარცა სისხლის ფერი, და ყვითელი, ეით შურისა და სიძულვილის ფერი (იქვე, გვ. 7); ამის მიუხედავად, მუსულმანები წითელ და ყვითელ სამოსელსაც ატარებენ; მწვანე ფერის სამოსელს მხოლოდ შერიფები ანუ მაჰმადის ჩამომავალნი (იქვე, გვ. 9).

X

ვეფხისტყაოსანი არისტოკრატიული პოემა და მასში უმთავრესად მაღალი წოდების სამოსელსა და მის ფერსა ეხედავთ. აქ საქმე რაინდულ საზოგადოებასთან, და ამას გარდა, ვაჭრულ წრესთან გვაქვს, მხოლოდ ერთჯერაა მოხსენებული მდაბაურთა სამოსელი.

თუმცა ვეფხისტყაოსანი საერთოდ ძუნწია აღწერილობით, განსაკუთრებით საყოფაცხოვრებო აღწერით, მაინც იმ ცოტადენი ცნობით, რომელიც იქ მოიპოვება, საშუალება არ იქარგება ეტ.-ის საზოგადოებრივი და სოციალური ფენები გავარჩიოთ ქსოვილთა, სამოსელთა და ფერთა მიხედვით.

II. ვეფხისტყაოსანის მსოვნილი .

1. ტურფა

ს. ს. ორბელიანის განმარტებით, ტურფა არის უცხო რამ ლამაზი. ყველა სხვა ლექსიკონში ეს განმარტება განმეორებულია სხვა და სხვა იერით. პროფესორ იუს. აბულაძის განმარტებით, ტურფა არის სპარსულ - არაბული სიტყვა — ლამაზი, თვალად საამო, კოხტა-ნაზი (ეტ. 1914 წ.). არც ერთი ეს განმარტება და მისი შესავსი დამაკმაყოფილებელი და საკმაო არაა.

სიტყვას «ტურფა» ძველ ქართულ ენაში და თვით ვეფხისტყაოსანშიც ორი გარკვეული მნიშვნელობა აქვს, ერთი მეორესაგან გამოიძინარე. ამ სიტყვისა «ტურფა» პირველადი მნიშვნელობა არის ის სახელი, რომელიც საზოგადოდ ქსოვილთ ეწოდება.

ძვირფას ქსოვილებს, ოქრომკედით ნაქსოვთ, ძვე-

ლად ტურფა ეწოდებოდა. «. ამ უცხო და ძვირფას ქსოვილთა, ოქრომკედით ნაკერთა ეს ზოგადი სახელი «ტურფა», უეპველია, სილამაზისა და შენენის გამომთქმელი და მაჩვენებელი შეიქმნა. და ბოლოს. ეს სიტყვა დედაკაცის სილამაზისა და საერთოდ: საყვარელის სახელადაც გადაიქცა.

ეტ.-ში სიტყვას «ტურფა» ორი მნიშვნელობა აქვს
1. ტურფა — ქსოვილი, ოქრომკედით ნაქსოვი. და
2. ტურფა — ლამაზი. შეენიერი. საყვარელი.

სიტყვას «ტურფა» ეტ.-ში თავიდანვე ეხედებოთ: ტარიელს ლამაზად. კარგად უნდა ხსენებო —

მით შევეწვიენთ ტარიელს, ტურფადცა უნდა ხსენება (6)

და. რასაკვირველია. —

მიჯნურსა თვალად სიტურფე ჰმართებს. მართ ვითა მზეობა (23)

ანუ: მიჯნურს (შეყვარებულს) თვალად, შესახედობით სიტურფე ანუ სილამაზე ჰმართებს (სქირდება), ისე ეით მზეობა ანუ მზესავით სილამაზო. მაგრამ ეს მიჯნურობა არის ძნელი რამ —

მიჯნურობა არის ტურფა, საცოდნელად ძნელი გვარი (24)

ჩვეულებრივ ამ ლექსს ასე სთარგმნიან: მიჯნურობა არის ლამაზი რამ, რომლის ცოდნა ძნელი რამ არისო. ასეთი განმარტება საკლებით მცდარია. ამ ლექსის ნამდვილი შინაარსი შემდეგია: — მიჯნურობა არის ტურფა ანუ ძვირფასი ოქროქსოვილი, რომელიც საცოდნელად ძნელი გვარისაა ანუ მისი ცოდნა, ცოდნა მისი ქსოვის წესისა, მისი ქსელისა ძნელად გასაგები არისო.

შემდეგ უკვე «ტურფა» არის ლამაზი და ესაა ბალი —

რა ვარდმან ზისი ყვაილი გაახმოს. დაამქნაროსა, იგი წაეა და სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსა (35)

გამხმარი და დამქნარი ვარდის —

მისივე ჰმეტაღს ყოველსა სული და ტურფა ფერობა (37)

ავთანდილი როდესაც პირველად თინათინთან მიდის, ნათქვამია —

ამოა ქვერეტა ტურფისა, სიახლე საყვარელი-სა (121)

ტურფა ანუ ლამაზი აქ არის თინათინი.

ავთანდილის შესახებ ნათქვამია —

ბროლისა ვარდსა სტურფობდეს გიშრისა მუნ საყენია (193)

ბროლის ევლს ანუ ავთანდილის თეთრ სახეს ამშვენებდა (სტურფობდეს) გიშრისა ანუ შავი ქარვის საყენიო. სიტყვა «საყენი» ქართულ ბიბლიაში იხ-

მარება —

ესაია 80,17 ივლტოდინ მრავალნი, ვიდრემდის დაშთეს ვითარცა საყე მთასა ზედა, და ვითარცა ნიშანი ქონებული ბორცესა ზედა

სიტყვა «საყე» სხვა ენათა ბიბლიაში ნათარგმნია სიტყვით «ჯოხი, სარი», რუსულად — ვეხი. ს. ს. ორბელიანის განმარტებით, საყე არის ხალა; ხალა არის გრძელი წვრილი ჯოხი. — წარმოშობით ეს სიტყვა «საყე» არის სპარსული და ნათარგმნია იგი ფრანგულად სიტყვით «ტიე»⁵⁰. «ტიე» არის სარი, წვრილი ჯოხი ჩარქობილი ნიშანად, ან მცენარის დასამაგრებელად. — მაშასადამე, გიშრისა საყენია ნიშნავს: წვრილი შავი სარნი, ანუ გრძელი შავი წაშწამნი.

ტარიელი სნეულა იყო და —

შოგან ვწე დადთა დარბაზთა ტურფითა საგებელითა (349)

ამ ლექსის ჩვეულებრივი განმარტებაა: ტარიელი იწუა კარგ, ლამაზ ლოგინშიო. ხენეშია ასეთი განმარტება. ნამდვილად ეს ლექსი ასეთია: ტარიელი იწუა დიდ დარბაზში ტურფითა საგებელითა ანუ მისი საწოლი-ლოგინი იყო ძვირფასი ქსოვილისაგანო. აქ ტურფა საგებელი არის არა კარგი ან ლამაზი ლოგინი, არამედ ძვირფასი ქსოვილთაგან გაკეთებული საწოლი.

ტარიელს ხატეთას მეფე ძღვენს უგზავნის —

წინა ტურფათა ტაიჭთა ძღვნად ჩემთვის მოხიდეიდესა (439)

ტურფა ტაიჭნი არიან ლამაზი ცხენები.

გამარჯვებულ ტარიელს ფარსადან მეფე მოედანზე მღგარი მიეგება, სადაც მას —

ედგნეს ტურფანი კარაენი მოედანს ჩამოღგომილსა (466)

აქ ტურფა, ლამაზი კარაენი კი არ არიან, არამედ ძვირფასი ქსოვილთაგან გაკეთებული კარაენი, როგორც ეს მეორე შემთხვევაში უკვე სახელდობრია ნათქვამი —

მოედანს დავღვი კარეები წითლისა ატლასებისა (552)

ტარიელი როცა სასახლეში მივიდა, ფარსადანს — გაეხარნეს მისლვა ჩემი ტურფისა და ლამაზისა (474)

ამბობს ტარიელი თავის თავზე; აქ ფარსადანი მას შემოსუას უპირებს, ოლონდ მერმე ეუბნება —

არ შეგმოსთ, მაგა კაბათა არ აგხდით, — ტურფად გშენიან (486)

ხოლო როცა ნესტანმა და ტარიელმა ერთმანეთი ღხინის დროს იხილეს, ამის შესახებ ტარიელს ასმათი ეუბნება —

დღეს ერთმანერთი გინახავს და ტურფად მო-

გწონებია (492)

ტარიელისადმი ნესტანის წერილში —

ეწერა: «ენახე სიტურფე წყალ-ჯავარისა შენისა (493)

ესე იგი: შენ გნახე, ენახე სიტურფე ანუ სილამაზე წყალისაო; — წყალი აქ არის თვალმარგალიტთა ღირსების გამოხატულება, წმიდა წყალისა, ლამაზი წყალისაო; — ხოლო ჯავარი არის მარგალიტი; ანუ — მარგალიტის წმიდა წყალის სილამაზე ვიხილეო! (იხილეთ ამავე წიგნში: «მარგალიტი», «ჯავარი»).

და ტარიელი ამას შემდეგ ნესტანსა სწერს —

ხელმან შენნი განვიცადენ სინატიფე - სიტურფენი (503)

ანუ: გაგიყებულმა (ხელმან) განვიცადე (ენახე) შენი სინატიფე (მოხდომილობა, ნაგებობა ლამაზი) და სიტურფენი, ანუ შეენებანიო.

ნესტანს ტარიელის მიერ ნაჩუქარი რიდე ანუ მოსახსნამი, მოხვეული ტურფად ანუ ლამაზად უხდებდა, როგორც მოუთხრობს ტარიელს ასმათი —

შენეულიეე რიდენი ებურნეს, ტურფად კშევენოდეს (577)

ფრიდონის ქალაქი არის მშვენიერი ანუ ტურფა, ოლონდ პატარა=მცირე —

მივედით მისსა ქალაქსა ტურფასა, მაგრა მცი რესა (611)

და აქ მე, ამბობს ტარიელი, ფრიდონს თვითონ მოვეწონე და ვეტურფე ანუ ლამაზად ვეჩვენეო მას, რომელსაც შემთხვევით გადავუყარე, წაეაწყდიო — კვლა მოვეწონე, ვეტურფე მე მისი გარდნაკიდარი (612)

და აქ —

მივედით, ენახეთ ქალაქი მისი ტურფა და მდიდარი (612)

ტარიელს მონები ეუბნებიან, ეერ მოგშორდებით, თქვენთან დაერჩებით, რათა —

თქვენ გიპყრეტდეთ საქერეტელსა შეენიერსა, სატურფალსა ((652)

თინათინის შესახებ ნათქვამია —

მუნ ბროლი და ვარდ-გიშერი გაეტურფა სიანაზესა (685)

ანუ: თინათინის სახე — თეთრი და ბრწყინვალე ვიო ბროლი, ლაწენი (ლოყები) ანუ ვარდნი, და წარბ-წაშწამნი შავი (გიშერი) სინაზეს გაეტურფა, გაელა-მაზებინაო.

ავთანდილი ტარიელს ეუბნება —

თვალთა ტურფა საქერეტელი უცხო რამედ ეშვენების (793)

ანუ: თვალებს ლამაზი სანახაეი უცხო რამედ ეშვენება, მოეწონებაო.

ავთანდილის მოთქმა-ტირილის შესახებ ნათქვამი

არის —

რას უბნობდის, რას მოსტყმიდის, რას ტურფასა, რაზომ გეარსა (842)

ანუ: ავთანდილის ტარილი - მოთქმა არის ლამაზი. ვარდსა ჰკითხეს: «ეგზომ ტურფა ჩამა შეგქმნა ტანად, პირად ...»

ოდეს ტურფა გაიფდეს, არღარა ღირს არცა ჩირად (878)

პირველ სტრიქონში სიტყვა «ტურფა» ნიშნავს — ლამაზი, თვალად საამო, კონტანაზი. ეს სიტყვა ყვავილ ვარდს ეხება.

მეორე სტრიქონში სიტყვა «ტურფა» არის ძვირფასი ქსოვილი. თუ ძვირფასი ქსოვილი გაიფდნენ, ანუ გამრავლდნენ, მაშინ ისინი არც ჩირად ანუ ხმელი ხილის ფასად ეღირებიანო. — აქ გამოთქმულია ეკონომიური კანონი, რომლის მიხედვით: საქონელის სიზღავლე, ანუ სიიაფე მისი ფასის დაცემას იწვევს. ეს ეკონომიური კანონი აქ განსაკუთრებით ეხება ძვირფას ქსოვილთ, რომელთა სახელი არის «ტურფა».

ავთანდილი ტარიელს ეუბნება, შენ გამოქვაბულში დარჩიო —

მაგა ქცევითა ტურფითა, ანაგებითა ნაგითა (935)

ანუ: ტურფა ქცევა — ლამაზი ყოფაქცევა; ანაგებითა ნაგითა = აგებული შენობით, ანუ მოხდენილად აგებული შენობით, ანუ ტანითო.

მენავეებმა ავთანდილს —

მათ მოახსენეს: «ტურფათო სახით და ანაგებითა (970)

ანუ: ავთანდილი არის სახით ლამაზი = ტურფა, და ანაგებით ანუ ტანით ტურფა, ლამაზი.

ფრიდონისას —

ავთანდილ მკერეტთა აშვენებს ტურფითა აერ-ფერითა (1009)

ავთანდილი მაყურებლებს ამშვენებს, ანუ მათ მოსწონთ იგი ტურფა = ლამაზი აერ-ფერითა. აერი არის ჰაერი. ჰაეროვნება არის კეთილმოხლომილობა; ჰაეროვანი = ლამაზი (ს. ს. ორბელიანი). აერ-ფერი არის ჰაეროვნობის მსგავსი ანუ მოხდენილი, ლამაზი.

ფრიდონის სასახლეში —

მონანი ტურფად მოსილნი წესითა იყვნეს ჩულითა (1010)

ანუ: მონანი ლამაზად = ტურფად იყვნენ ჩაქმული როგორი (რული) წესითო.

ფრიდონთან ნადიმზე —

მოიღებდიან ჰურკელსა, ტურფასა ახალ ახალსა (1012)

ავთანდილის შესახებ ნათქვამია —

ვერცა მათ თქვეს ნაომრობა, როგორ ტურფად დაუშვენდა (1048)

ჰკადრეს ქება უსაზომო მას ტურფასა საქებელსა (1049)

ქალაქი გულანშარო ლამაზია ანუ ტურფა და მისი სიტურფე იმგეარია, რომ ვერც კი ავიწერთო — მის ქვეყანისა სიტურფე რა გაგაგონო მე, ჩითა (1061)

გულანშარო ნათესადგურია და საჯარო ქალაქი; ამიტომ ეს ქალაქი საყვარელი მრავალი ტურფითა. ტურფა ამ ლექსში არის ძვირფასი, ოქროქსოვილი საქონელი —

თვით გულანშაროს ქალაქი, სავსე ტურფითა მრავლითა (1065)

და სწორედ ამ ქალაქში, ზღვაზე მავალი გემებით მოდის ყველა ტურფა ანუ ყველა ძვირფასი ქსოვილი, ოქრომკედის ქსოვილებით —

აქ მოდის ტურფა ყველაი ნავითა ზღვა-ზღვა მავლითა (1065)

მამასადამე: ქალაქი გულანშარო არის სავსე ტურფითა ანუ ძვირფასი ქსოვილებითა. ამ ქალაქში ზღვის გზით მოდის ტურფა მრავალი ანუ ბევრი ძვირფასი ქსოვილი. ხოლო როდესაც ამ ქალაქს ძვირფას საქონელს შემოზიდვენ, მომტანმა ეაქრებმა თავისი უტურფესი ანუ ულამაზესი საქონელი პირველად ყოვლისა ვაქართუფროსს უნდა აჩვენონ —

პირველ მათ ჰმართებს ჩვენება ყოვლისა უტურფესისა (1068)

შეიძლება აქ სიტყვა «უტურფესი» საუკეთესო ძვირფას ქსოვილსაც აღნიშნავს!

და ამ საუკეთესო ქსოვილთ ვაქართ-უხუცესი გადასდებს მეფისათვის ანუ სეფედ დასხმენ და საქონელის ფასს ეაქრება იქვე დაუთვლიან —

უტურფესსა სეფედ დასხმენ, ფასსა მუნვე დაუთვლიან (1069)

ავთანდილმა ფატმანს ძვირფასი ქსოვილი უძღვნა —

ყმამან უძღვნა ძღვენი ტურფა, მრმღებლთა თქვეს თუ: «ვარგა» (1078)

წესისამებრ, ავთანდილმა ვით ვაქართა უფროსმა გულანშაროს ვაქართ - უხუცესს, ამ შემთხვევაში, მის შემცვლელ ფატმანს —

დილასა ღარი ყველაი უჩვენა, გაახსნევიანა, ტურფანი სეფედ გარდახსნა, ფასიცა დაათუ-

ლევინა (1079)

ტურფანი ანუ ოქროქსოვილი და სავსე ტურფითა ძვირფასი ქსოვილი დაახსნა, ფატმანს უჩვენა; მან ეს ტურფანი სეფედ გარდახსნა, ანუ მეფისათვის გადასდო და სათანადო ფასიც მიითვალა.

ქვემოთ უკვე ტურფა არის ლამაზი —

ავთანდილის შესახებ ნათქვამია —

ადგა და ლახტი აიღო, რა ტურფა რამე მხნე არსა (1109)

ფატმანი ავთანდილს ჰაშნავირის სახლის შესახებ ეუბნება —

ქვეშეთყე სრითა ტურფითა, კვლა ზედა ბანის ბანითა, დიდროვანითა ტურფითა, მრაველითა თანის-თანითა (1112)

ფატმანი თავის სახლის შესახებაც ამბობს —

იქ ბაღსა შიგან ტურფანი სახლნი, ნატიფად გებულნი (1126)

ორივე შემთხვევაში: სრა ანუ სასახლე და სახლი არის ტურფა ანუ ლამაზი, აგებული მოხდენილად (ნატიფი — თლილი ქვით, გინა სახე ამოჭრილად, გინა მოხდომილი. ს. ს. ორბელიანი).

ნესტანს შესახებ ფატმანი ამბობს —

მზესა სიტურფით ეყოფის, იყოს მისითა გვანითა (1131)

ანუ: მზე რომ ნესტანს ჰგავდეს, ეს მას სიტურფედ ანუ სილამაზედ ეყოფაო. და განაგრძობს —

რა გიამბო მახი ქება, რა სიტურფე, რა ნაზობა (1136).

მან ტურფამან სახლსა ჩემსა ეგრე დაყო ხანი დიდი (1150)

შევე, ვნახე აგი ტურფა მტირალად და ცრემლდასხმულად (1174)

ავთანდილმა ნესტანის ამბავი რომ გაიგო —

შესწირა ღმერთსა მადლობა ტურფამან და ნაბადამან (1244)

ავთანდილს ფატმანმა აბანოს შემდეგ, უძღვნა — მრავალი ფერი სურნელი, ტურფა პერანგი, წმიდეები (1255)

აქ ტურფა პერანგი არის არა ლამაზი პერანგი, არამედ ძვირფასი ქსოვილისა.

ფატმანი ნესტანსა სწერს —

სიტყვა-მქვევრო და წყლიანო, ტურფაო, ლამაზ - ენაო (1270)

ნესტანი ფატმანსა სწერს, რიღენი —

ესენი ჩემთვის მის გამო ტურფანი სანახანია (1291)

ანუ: ტარიელის გამო ეს რიღენი, მისი ნაჩუქარი, ლამაზად სანახავი არიანო.

ავთანდილი მონებს ასაჩუქრებს —

მისცა მართ სავეს ხომალდი, რიცხვი ტურფათა ლარისა (1317)

ტურფა ლარი აქ არის ძვირფასი ქსოვილი ლარი, ოქროქსოვილი ლარი.

ბულბულნი ვარღზე ლამაზი ხმითა მღერიან — მაგრა მაზედა ბულბულნი ტურფასა ხმაჲა

და ტარიელ - ავთანდილიც —

ორნივე ტურფად იმღერდეს, ვით იაღონი მგოსანი (1355)

ფრიდონის სახლი არის ტურფად, ლამაზად ნაგები —

ფრიდონის სახლსა გარდახდეს ორნივე, ტურფად გებულსა (1383)

ტარიელმა და ავთანდილმა ფრიდონს აბჯარი ანუ სამხედრო სამოსელი უძღვენეს და თან —

უთხრეს: ჯეგრ ვამად არა გვაქვს სხვა შენთვის არმალანია,

მაგრა ტურფანი მრავალნი ქვე სადმე გვისხენ სხვანია (1384)

ანუ: ახლა ჩვენ სხვა საჩუქარი (არმალანი) მეტი არა გვაქვს, მაგრამ სხვა მრავალი ტურფა გვაქვს სადმე ანუ ქვაბშიცო, — და როგორც ვნახავთ, ეს ტურფანი არიან ძვირფასი ქსოვილი.

სამაგიეროდ ფრიდონმა სტუმრები —

აბანოს ბანა, ააენა შესამოსლისა ძღვენობათა,

დამოსნა ტურფა-ტურფითა, ერთმანერთისა მჯობითა (1385)

ფრიდონმა ტარიელსა და ავთანდილს უძღვნა შემოსელი ანუ ტანისამოსი; მან ისინი დამოსა ტურფა - ტურფითა ანუ ლამაზი და ძვირფასი ქსოვილებითო. ტურფა - ტურფითა არის ლამაზი ძვირფასი ქსოვილი.

ნესტანი თავის განმათავისუფლებელთ —

მზე მიეგება პირითა ტურფითა, მოცინართათა (1423)

ზღვათა მეფე გმირთა შესახებდრად მიდის; იგი ნესტან-ტარიელის ქორწილს გამართავს, ამიტომ — მას მოაქვს, რიცხვი ტურფათა, არს სიღიადე სათისა (1433)

ასეთია ეს ლექსი უნივერსიტეტის მიერ გამოცემულ ეტ.-ში; ხოლო ი. აბულაძის მიერ 1914 წ. დაბეჭდილში კი არის —

მას მოაქვს (მოაქვს) რიცხვი ტურფათა; არს სიღიადე სათისა (1358)

ეს უკანასკნელი ლექსი უფრო სწორია და აი რატომ: ზღვათა მეფეს თან მოაქვს რიცხვი ტურფათა, ანუ მრავალი ძვირფასი, ოქროქსოვილი და არა სიმრავლე (სიღიადე) სათისა. სათი არის უბრალოდ ქვავი გიშერი! და მასთან არის დაპირისპირებული ძვირფასი ოქროქსოვილი = ტურფა.

პირველი ლექსის (1433) თარგმანი კი ასეთი იქნებოდა: მას მოაქვს მრავალი ტურფა ანუ ძვირფასი ქსოვილი და არის (არს) სიღიადე (სიმრავლე) სათისა, ანუ ქვავი გიშერიაო! ეს, რასაკვირველია, შეუსა-

ბამობაა, პოეტური თვალსაზრისით, და აგრეთვე ამ ქორწილში მოტანილ ძღვენთა მიხედვითაც.

შემდეგ კი ტურფა არის ლამაზი —

ტარიელ მადლსა გარდინის ტურფა სიტყ-
ვითა, ენითა (1441)

იგი მადლობას ეუბნება მეფე სურხავს, რომელ-
მან მექორწილენი —

მერმე აგავსენ მრავლითა უცხოთა ტურფა
ძღვენითა (1441)

აქ: უცხო ანუ სხვა ქვეყანის ტურფა ძღვენი არის ძვირფას ქსოვილთა ძღვენი, რომელი, როგორც ზე-
მოდ ენახეთ, ზღვის მეფემ თან მოიტანა.

ხმათა შეხმატებლებაც ლამაზია, ტურფა —

დაბდაბისა და ქოსისა ხმა ტურფად შენათხ-
ზარია (1460)

შემდეგ, ორ შემთხვევაში ტურფა ნიშნავს, არას ძვირფასი ქსოვილი. — ქვაბს მისვლისას, ტარიელი ავთანდილსა და ფრიდონს მხლებლებითურთ, დასა-
ჩუქრებას პირდება და მათ ეუბნება —

მე რომე გიძღვნი ტურფათა, აქით ლარისა
ჭრელობა (1496)

ანუ: მე რომ თქვენ მოგიძღვნით ტურფათ ანუ ძვირ-
ფას ქსოვილთ, რომელიც აქ არის ლარი, თქვენ შე-
აქებთ მათ ჭრელობას ანუ ნაქარგობას, მათ დასუ-
რათებას ნემსკერილობითო (იხილეთ აქვე თავი 2.:
«ჭრელი»). და მართლაც ტარიელმა მათ ყველას —

უბოძა ტურფა მრავალი მათ მათი შესადა-
რები (1499)

ტარიელმა მათ უბოძა მრავალი ტურფა ანუ მრავალი ქსოვილი, რომელი მათ შეეფერებოდა, მათი საკადრისი იყო, — როგორც წინა ლექსიდან ვიცით, — ეს ტურფა ანუ ძვირფასი ქსოვილი იყო ლარი ჭრელი ანუ სურათოვანად ნაქარგი. და ალბათ ფერადოვანიც.

—მეფე როსტევეანს ტარიელი მოეწონა —

გაეკვირვა მეფე მისსა თვალადობა - სიტურ-
ფესა (1516)

ყველანი დაბოლოს თინათინთან მიდიან და —

არ მიხედომის სიტურფე, არს მათგან მიუმხ-
ვდარები (1539)

ანუ: მათი სიტურფე = სილამაზე ძნელია მისახვედ-
რად, გასაგებად, იმდენად მათი შეენება არის უმაღ-
ლესი, და ამას თვითონაც ვერ ხედდებიან ისინი, მა-
თაც არ ესმითო!

არაბთა მეფე როსტევეან ტარიელს ეუბნება —

შენი მზე საქვერტლად სატურფალია (1554)

რამაზ მეფის დარაჯებმა ტარიელს —

მათ მოახსენეს: «ტურფაო»... (1602)

ტარიელმა ავთანდილს

როსტენისთვია წაატანა საძღვნოდ ტურ-

ფა ჯუბაჩები (1658)

ტურფა ჯუბაჩება აქ ძვირფასი ქსოვილია.

დასრულდა სიტყვისა «ტურფა» დაწერილებითი განხილვა. აღმოჩნდა, რომ ვტ.-ში სიტყვას «ტურ-
ფა» ორი გარკვეული მნიშვნელობა აქვს: 1. ტურფა = ძვირფასი ქსოვილი; და 2. ტურფა = ლამაზი.

მაგრამ არაერთი ეჭვი რომ არ დარჩეს ტურფა — ქსოვილის შესახებ, დასამოწმებლად ზედმეტ სა-
ბუთს მოვიტანთ. — ამირანდარეჯანიანში ჩხმარება სიტყვა «ტურფა» ძვირფასი ქსოვილის აღსანიშნა-
ვად, როგორც მაგალითად: —

ერთი ისეთი რამე ტურფა გიძღვნა, რომელ კა-
ცისა თვალთაგან ეგეთნი არა ნახულიყოს რაო... —
უძღვნა დიადნი, რომლისა მოთვლა არ ეგების, რა-
ცა ფერი სტაერა არას და სხვანი უცხონი ოქროქსო-
ვილნი, ყოვლისაგან ოცოცი უძღვნა (გვერდი 44).

უბრძანა მეჭურჭლეთა მუნით დედოფალმან და
მოიღეს სამოცისა საჭურჭლეთა კლიტენი და უბოძა
ამირ დარეჯანის ძეს... დაეწყყეთ მონახუა. მიე-
დით, ენახეთ იგი საჭურჭლენი. თავმან თქვენმან, მე
არსად მინახავს ეგზომი ტურფათა სიმრავლე და
მშენიერება (იქვე, გვ. 56)

მეჭურჭლეთა გამოიღონ შესამოსელნი და საბოძ-
ვარნი ყოველთათვის... და დაემოსეს ტანსა შესა-
მოსლები ტურფანი (იქვე, გვ. 57).

ყველგან აქ ტურფა არის ოქროქსოვილი, საერ-
თოდ: ძვირფასი ქსოვილი.

z

2. ჭრელი

სიტყვას «ჭრელი» ასე განმარტავენ — ტყუილი; ფერადი, მრავალ ფერი, ნაირ-ნაირი; ჭრელობა — მრავალფერობა, ფერთა სიმრავლე, ფეროვნება ტურ-
ფა-ფერობა (ვტ. 1937). — ყველა ეს განმარტება დამყარებულია ს. ს. ორბელიანის ახსნაზე, რომელი გვატყობინებს — ჭრელი სხვა და სხვა ფერი არისო.

ამ სიტყვისა «ჭრელი» გაგება დღესაც ამგვარია, ოღონდ სათუო არაა, მას სხვა და სხვა მნიშვნე-
ლობა ჰქონდა და აქვს. ამ საკითხს გამოვკვება სკირ-
დება.

1. სიტყვა «ჭრელი», — ამბობს ივანე ჯავახი-
შვილი, — იხმარებოდა არქიტექტურაში: «კედლებს
მოლესავდნენ, შემდეგ მოხატავდნენ... მოჭიქავდნენ
... და დააჭრელებდნენ ხოლმე ამისათვის განსაკუთ-
რებული მხატვრები»...⁶¹.

მოჭიქვა აქ არის მოზაიკის გაკეთება, ხოლო დაჭ-
რელება არის სურათთა გამოყვანა ამ მოზაიკით. მა-
შასაღამე, ჭრელი აქ არის ჭიქებით სურათთა გამო-
სახვა.

2. სიტყვა «ჭრელი» ქართული მუსიკალური ტერ-
მინიცაა. ყოველი საგალობელის თითოეულ კილოს

საკუთარი წოდება ჰქონდა მიჩემებული ძველადვე, და საერთოდ ჰრელებად იწოდებიანო, — ამბობს პ. კარბელაშვილი. ⁸²

და მართლაც, ამისა დასამტკიცებელი საბუთი არა ერთი და ორი. მაგალითად: «მცირე უწყება ქართველთა მწერალთათვის», რომელსაც თეიმურაზ ბატონიშვილს მიაწერენ, გეაუწყებს სხვა და სხვა პირობა შესახებ — ამდენი და ამდენი ჰრელი იცოდაო, და ეს «ჰრელი» ყველგან აქ გალობას ეხება, და კილოს აღნიშნავს: — გერასიმე მღვდელ-მონაზონი «ფრიად განსწავლული გალობასა შინა, რომელმან უწყოდა ვიდრე ხუთასი უკვე ჰრელი, რომელსა თქვენ უწოდთ კონცერტსა»-ო. ან: — ლეონტი სოლაყაშვილი იყო... «მაგლობობასა შინა პირველ მაგლობელი, რომელმან უწყოდა ვიდრე ხუთასამდინ ჰრელი და სხვანი გალობანი»-ო. ან კიდევ — ისაქ ხუცესი კანდელაკი... «რომელმანცა იცოდა ვიდრე ათასამდისინ ჰრელი; ამან მრავალთა ასწავლა გალობანი»-ო. ⁸³

3. სიტყვა «ჰრელი» ჩვეულებრივი ახლანდელი გაგებით — სხვა და სხვა ფერი, მრავალი ფერი, ფერადი, — ბიბლიაშიც გვხვდება: —

შესაქმე 80,41 და შობდენ ცხოვარნი მოთეთროთა და ჰრელთა და ნაცრის ფერად სხურებულთა

შესაქმე 80,42 ყოვლად ჰრელი კრავთა შორის

შესაქმე 81,8-12 ჰრელნი იყენენ სასყიდელ შენთა, და შობად ყოველნი ცხოვარნი ჰრელთა თხათა მოთეთრონი და ჰრელნი... ჰრელთა (თხათა) და სხ. ყველგან აქ სიტყვა «ჰრელი» არის მრავალ ფერი, სხვა და სხვა ფერი, ფერადი.

4. სიტყვა «ჰრელი» გადატანითი მნიშვნელობით, ვით სხვადასხვა ფერობა, მრავალ ფერობა ნიშნავს — სხვა და სხვა ნაირად თქმას, ტყუილს, როგორც იგი თვით ეტ-შია გამოყენებული.

5. მაგრამ მთავარი მნიშვნელობა სიტყვისა «ჰრელი» არის სხვა და მას ბიბლიაში ვხვდებით და იქედან მის რაობას ვტყობილობთ.

გამოსლვათა 86,86 და ჰქმენ ეზოჲ იაკინთისაგან და ძოწეულისა, და მეწამულისაგან, ძახილისა, და ზეზისაგან შესთულისა, ქმნული ჰრელად

გამოსლვათა 27,16 და მეწამულისა ძახილისა და ზეზისაგან სთულისა, ჰრელეზული ნემსითა

გამოსლვათა 28,8 და ჰქმენ სამხრე იგი ზეზისაგან ძახილისა ქმნულად ქსოილად ჰრელად

გამოსლვათა 28,15 და ჰქმნე საკითხავი იგი საზღელთა ქმნულად ჰრელეზულად

გამოსლვათა 28,40 და სარტყელი ჰქმნე ჰრელ-ჰრულად

გამოსლვათა 83,88 და აღაყენა იგინი სიბრძნისა... და საქმედ ქსოვასა ჰრელად ქსოვად

გამოსლვათა 86,16 ქმნილი ქსოილად ჰრელად ჰრელად ქმნულებიჲსა ებრ მისისა სამხართასა
გამოსლვათა 86,32 ქმნულად ჰრელეზულად
გამოსლვათა 86,87 და ზეზისაგან შესთულისა ქმნულად ჰრელად

გამოსლვათა 87,12 და დასახურველი ბქიაჲ მის ეზოსა ქმნული ჰრელეზულად

გამოსლვათა 87,27 რომელი ხუროთ ჰოდერებდა ქსოილსა მას, დანემსულსა და ჰრელსა ქსოვად
ისუ ძე ნავესი 7,21 ეიხილე ნატყენავსა მას შინა ნაქსოვი ერთი ჰრელი

ისო ზირაქი 45,12 სამოსლითა წმადითა ოქროჲსა და იაკინთისა და პორფირითა, ქმნილი ჰრელ ქმნულსა

ეზეკიელი 16,10 და შეგმოსე შენ ჰრელეზნი
ეზეკიელი 16,18 და ჰრელნი ჰქმნაურითა შეგასხენ
ეზეკიელი 16,10 და მოილე შესამოსელი შენი ჰრელი და გარე შექმოსე მათ

ეზეკიელი 28,15 მარტყმულნი ჰრელეზითა წელთა ზედა მათთა

ეზეკიელი 26,16 შესამოსელნი მათნი ჰრელნი
ეზეკიელი 27,4 მომღებელ სავაქროსა იაკინთსა და ჰრელთა და საუნჯეთა რჩეულთა

ეზეკიელი 27,7 ბასონი ჰრელეზსა თანა ეგვიპტით იქმნეს შენდა სარეცელად, შესამოსად შენდა დიდება.

ეზეკიელი 27,18 პორფირი და ბისონი დაჰრელეზულნი

ს. ს. ორბელიანი თავის ლექსიკონში განმარტავს სიტყვას «ბადე» და ამბობს — ბადედ ითქმის აგრეთვე თავსაბურავი ანუ ყელმოსახვევი (სამოსელი) ჰრელად ნემსული, რომელსა მაქმანი ეწოდება-ო. — მასვე აქვს მეორე სიტყვა — ზუფი — და მას ასე ხსნის — ლარია უჰრელო, ლელიანი-ო.

რა არის ჰრელი, ჰრელეზული, ჰრელად, ჰრელეზულად, ჰრელეზნი?

უწინარეს ყოვლისა, ამ სიტყვათა მნიშვნელობას მიგვახვედრებს თვით შემდეგი გამოთქმა — ჰრელეზული ნემსითა, ქსოილი ჰრელად, ქსოვასა ჰრელსა. მაშასადამე, ჰრელი, ჰრელეზული, ჰრელეზი დაკავშირებულია ნემსთან და ქსოვასთან. მაგრამ სხვა ენათა ბიბლიას რომ მივმართოთ, საკითხი მეტად იოლი გამოსარკვევი იქნება.

ბიბლიაში «ჰრელს» ებრაულ ენაზე ეწოდება — რიყმაჰ, ან მააშეჰ როყემ = მუშაობა ჰრელზე; ბერძნულად — პოიკილია, პოიკილტა; ლათინურად — სკუტულატა, დისკოლორ, პლუმბარიუს; არაბულ ენაზე — რაყამა; და აქედან იტალიური — რიკამარე და ესპანური — რეკამარე. «ჰრელი» არის ნემსით გამოყენა ქსოვილთა ზედაპირზე შემკობილო-

ბათა, ორნამენტთა და სურათთა; ჩვეულებრივ ეს მონაქსოვი ფერად-ფერადი იყო. 63ა.

ბიბლიის ყველა თარგმანში სიტყვას «ქრელი, ქრელებული, დაქრელებული, ქრელები» მხოლოდ ერთი მნიშვნელობა აქვს: ინგლისურად — ნიიღლუორკ; ფრანგულად — ბროდერი; გერმანულად — ვირკენ; რუსულად — უზორჩატაა რაბოტა, უზორ. ქართულად ყველაფერი ეს არის — ნემსით ნამუშავარი, ნემსით ნაქსოვი, მოქარგული, ნემსით სურათების გამოყვანა ქსოვილზე, ნაქარგი სახეები, მოქარგული სურათები ქსოვილზე. და ვინაიდან ქსოვილნი სხვა და სხვა ფერისა იყვნენ და ამასთანავე ეს სურათები სხვა და სხვა ფერის ძაფით იყო ხოლმე ამოქარგული — ამიტომ სიტყვა «ქრელი» სურათთა და ფერთა სხვადასხვაობას გამოხატავდა; ამიტომაც არქიტექტურაში იგი მოზაიკასაც დაერქვა; და მუსიკაშიც კილოთა სხვადასხვაობა «ქრელად» იწოდება. ეს სხვადასხვაობა კიდევ გადატანითი აზრით, უკვე ლებულობს მნიშვნელობას «ტყუილი».

ამგვარად, «ქრელი» და «ქრელობა» არის ნიიღლუორკ, ბროდერი, ვირკენ, უზორ, სახეთა და სურათთა ნემსით ქსოვილზე, რასაკერაეელია ძვირფას ქსოვილზე ამოყვანა და ამგვარად, ქსოვილი მონემსული სურათოვანი.

×

სიტყვა «ქრელი» ეტ.ში ჩამოდენჯერმე იხმარება; პირველად, როდესაც ავთანდილი თინათინმა დაიბარა —

ავთანდილს მიჰხედა მოსმენა საქმისა სანატრელისა, აღდა და კაბა ჩაიცვა, მჯობი ყოვლისა ქრელისა (121)

ჩვეულებრივ, ეტ.-ის ყველა ლექსიკონში ეს სიტყვა «ქრელი» ასეა ახსნილი — ფერადი, მრავალ ფერი, ნაირნაირი. აქ ლაპარაკია არა ფერად-ფერად კაბაზე, არამედ ქრელზე ანუ ძვირფას მონემსულ-მოქარგულ ქსოვილზე. რომელიც დიდად ძვირფას სამოსელად ითვლებოდა. მაშასადამე, ნათქვამია — ავთანდილმა ისეთი კაბა ჩაიცვა, რომელიც ყველა ქრელს სჯობდა. ქრელობის ხელობა განსაკუთრებულად ჩინეთში იყო გავრცელებული, და ჩინური ქრელი დიდად ფასობდა. ეს ქრელი ჩვეულებრივად ფერადი იყო, სურათოვანი ფერადი ქსოვილი.

როდესაც ავთანდილი შერმადინს ედავება და მართო წასვლას აპირებს —

ყმამან უთხრა: «მომისმინე, მართლად გითხრობ არა ქრელად (162)

აქ სიტყვას «ქრელი» გადატანითი მნიშვნელობა აქვს და ნიშნავს — მართლად გეუბნები, არა სხვა და სხვა ნაირად, არ გატყუებო.

ამავე მნიშვნელობით ხმარობს ამ სიტყვა ტარელიც —

რადმცა რა ვქადრე მეფესა თხრობა რასაცა ქრელისა (1489)

ტარიელი თავის ჰეგობრებს ქებას მიიწვეეს — მე მივალ. სადა ეყოფილვარ, მქირდა სადამდის ხელობა...

მე რომე გიძღვნი ტურფათა, აქოთ ლარისა ქრელობა (1496)

ამ ლექსს ასე განმარტავენ — მე რომ ლამაზ და საამო ლარს გიძღვართ, შეაქებთ მის ფერად-ფერადობასო. ეს განმარტება შემცდარია. პირველად ყოვლისა, ტურფა არ არის აქ ლამაზი და საამო ან ნაზი და კობტა, არამედ ზოგადი სახელი ძვირფას ოქროქსოვილთა. ქრელი კიდევ აქ არ არის ფერადობა. არამედ იგია ნემსით ნაქარგობა. მაშასადამე, ამ ლექსში ნათქვამია — მე რომ თქვენ ოქროქსოვილებს (ტურფას) გიძღვნი, შეაქებთ ლარის ანუ ქსოვილ აბრეშუმის ქრელობასო ესე იგი ეს ოქროქსოვილი არის სურათოვანი, ნემსით მოქარგულიო. ეს მონემსული ქსოვილი, უეჭველია, ფერადი იყო, როგორც ეს მიღებული იყო აღმოსავლეთში.

დასკვნა: ეფენისტყაოსანის «ქრელი» არის ბროდერი, ნიიღლუორკ, უზორჩატაია რაბოტა, უზორ, სურათოვანი ფერადი მოქარგულობა, ნემსითი ნამუშევარი ქსოვილთა შესამკობად და დასასურათებელად.

3. ფარდაგი

ფარდაგი და ფარდა სპარსული სიტყვაა. ს. ს. ორბელიანის განმარტებით, ფარდაგი კედლის შესამოსი; სარკმელთ ანუ ფანჯარათ ჩამოსათარებელს ჰქვია კოზიმიტი, ხოლო კრეტსაბმელი არის უდიდესი ფარდაგი კართა წამოსაკიდარიო.

ფარდაგი არის, საერთოდ, კარისა, სარკმელისა და კედლის ჩამოსათარებელი. სწორედ ეს მნიშვნელობა აქვს ამ სიტყვას ეფენისტყაოსან-შიც —

კარსა ზედა მოჰფარვიდა ფარდაგები ოქსინოსა (341)

აქ ფარდაგი, ანუ კართა საფარი არის ოქსინოს ქსოვილისა.

როდესაც მეფე ფარსადანი ნესტანის სანახავად მივიდა, ამბობს ტარიელი —

მე გარე ვლეგ და მეფემან შევლო ფარდაგი კარისა (343)

როდესაც მეფემ ანათს უთხრა, ტარიელს სანადირევი გამოართვიო —

ასმათ ფარდაგსა აზიდნა, გარე ვლეგ მოფარდაგულსა (344)

შემდეგ, ნესტანის სანახავად ასმათმა ტარიელს —

ამიგდო ქალმან ფარდაგი მძიმე, თავისა ხელი-
თა (394)

აქ პირველად ტარიელმა ნესტანი პირისპირ იხი-
ლა, მაგრა მათ საუბარი ვერ გააწყვეს და ტარიელი
წაივია —
ასმათ გამოწყევა, წამოვე, ფარდაგი გამოვია-
რე (396)

შემდეგ ტარიელი ნესტანს კვლავ ნახულობს; იგი
იყო —
ფარდაგსა შიგან მკვდომარე შესამოსლითა
მწვანითა (408)

მერმე კიდევ ასმათმა ტარიელი —
შინა კოშკად შემიყვანა, ფარდაგსაცა ამიზიდ-
ნა (520)

და აქ, გაჯავრებული ნესტანი —
იყო არ ნათლად ნათელი, ფარდაგსა შემომდ-
გომელი (521)

როგორც ვხედავთ, ყველგან აქ ფარდაგი არის
კართა ჩამოსათარებელი, და იგი უეჭველად ძვირ-
ფასი და ფერადი ნაქსოვია, როგორც ეს უკვე იყო
აღნიშნული — ფარდაგები ოქსინოსი!

4. ნოხი

სიტყვა «ნოხი» არის სპარსული. ს. ს. ორბელიანი
ამ სიტყვას ასე განმარტავს — გრძელი ორზოვა (ვი-
წრო) ხალიჩა, სხვათა ენაა, ქართულად ძოლო ჰქვი-
ანო. და ძოლო არის მცირე ორზოვაო. ორზოვა კი
არის ხაოიანი საფენი ანუ ტერი. ტერი არის ქვეშ-
საფენელი და საგებელი, და ესაა ზოგადი სახელა-
ყველა ქვეშსაფენელისა. ნოხი, მგოსან გრიშაშვილის
თქმითაც არის ხაოიანი საფენი, ორპირად ნაქსოვი.
ჩვეულებრივ ნოხი ფერადოვანი ნაქსოვია და შა-
ვალსურათოვანიც.
ვეფხისტყაოსანში ნოხი დასახელებულია, როდუ-
საც ტარიელთან ასმათი შედის —
შევე, დავჯე ტახტსა ზედა, ქალი მოდგა ნოხთა
პირსა (373)

და მერმე, როცა ტარიელი ნესტანთან შედის —
შევე, წავდეგ ნოხთა პირსა, მე დამიწყო ცეცალ
მან შრეტად (404)

როგორც პირველ, ისე მეორე შემთხვევაში, შეპო-
სული ჩერდება ნოხის პირას, მაშასადამე, მოშორე-
ბით. ესაა შეხვედრის წესი, რომელიც მოწინააღმდეგე-
ბით და მოკრძალებას აღნიშნავს.
ავთანდილმა ფატმანი —
გვერდსა დაისვა, ბალიში მისცა მისისა ნოხი-
სა (1260)

ს. ს. ორბელიანის განმარტებით, ბალიში არის თავ
სადები; და ასე ვეძახით მას დღესაც; ოღონდ ვტ.-ის
«ბალიში» თავსადები არაა, არამედ საჯდომია. ეს

სიტყვა «ბალიში» არის სპარსული და დღევანდელ
სპარსულში მას იგივე მნიშვნელობა აქვს, როგორც
ქართულში: ბალიში არი სასთუმალი, თავქვეშ და-
საგები, და იგი ნათარგმნია ფრანგულად: ორეჟე. «
როგორც ვთქვით, ვტ.-ის ბალიში არის საჯდომი ან
სკამი, შეეკერილი ქსოვილთაგან, სხვა და სხვა ფერი
ნაქერისაგან და გავსებული მატყლითა ან სხვა რა-
მე მასალით. ასეთი ბალიში საჯდომად დღესაც რ-
მარება აღმოსავლეთში და აფრიკაში.

ბალიში, ვითარცა საჯდომი ვეფხისტყაოსანში იხ-
მარება, როდესაც ტარიელ ნესტანთან —

შევე, წავდეგ ნოხთა პირსა...
მაშინ ნესტანმა ასმათს —
უბრძანა თუ: «პოახსენე, ასმათ, დაჯდე, ამირ-
ბარსა!» (410)

და ასმათმა —
მან ბალიში დამართებით დადეგ მას მზედ სა-
ქებარსა,

დავეჯე, მივეც გულსა ლხინი... (410)
ასმათმა ტარიელს დასაჯდომად ბალიში დაუდეგა
მას მზედ საქებარის ანუ ნესტანის პირდაპირ (დამ-
ართებით) და ტარიელი დაჯდა.

დღევანდელი სიტყვისათვის «ბალიში» ძველად
ორი სხვა და სხვა ს-ტყვა იხმარებოდა: 1. სასთუ-
მალი, რომელიც ს. ს. ორბელიანის განმარტებით,
არის თავსადები ფიცარი. მაგრამ არა მგონია რომ
ტარიელი ფიცარი ედევთ თავ ქვეშ; ალბათ მასზე
ლბილი რამ იდეა. ეს სასთუმალი ვტ.-შიც გვხვდება,
და მის შესახებ ტარიელი ამბობს —

შეხვდენე, ვნახე სასთუმალს მუსაფი გაშლით
მდებარე (530)

სასთუმალი აქ არის თავსადები ფიცარი, რომელ-
ზედაც უეჭველია, ლბილი რამ იდეა, და მასზე იყო
გაშლილი წიგნი ყურანი ანუ მუსაფი.

შემდეგ, ფატმანი ამბობს ნესტანის შესახებ —
მკლავი მისი სასთუმალად მიიღვის და მიწვრს
მითა (1148)

აქ გვაქვს 2. მეორე თავსადები — სასთუნალი,
რომელსაც ს. ს. ორბელიანი ასე განმარტავს — ბამ-
ბის ბალიში, ბამბის თავსადები.

ამგვარად, ვტ.-ის ბალიში არის საჯდომი; სასთუ-
მალი — თავსადები; სასთული — ბამბის თავქვეშ-
სადები.

ჩვეულებრივ ნოხიც და ბალიშიც ძვირფასი ქსო-
ვილი იყო და ყოველთვის ფერადი და სურათოვანი.

5. ოქსინო

ს. ს. ორბელიანის განმარტებით, ოქსინო არის ოქ-
როქსოილი ხვედი, გინა მისი ფარდაგი მოსათარებლად

გავი.

ბ. იუსტინე აბულაძე თავის ლექსაკონში, რომელი დართული აქვს წაქ-ნამეს ქართულ ეერსიებს, ამ სიტყვას «ოქსინო» ასე განმარტავს — ძვირფასი ფარჩა. 65. ხოლო უნივერსიტეტის მიერ გამოცემულ ვტ.—ში იგივე ი. აბულაძე ამავე სიტყვას ასე განმარტავს — ერთგვარი ფერადი ხავერდი! მაშ რაღა არის ოქსინო?

ოქსინო აქ იხმარება, პირველად, ფარდაგად, როგორც ეს თვით ვტ.—დან სჩანს: «კარსა ზედა მოფარვიდა ფარდაგები ოქსინოთა», ან კიდევ: «სრა ედგა მოფარდაგული ოქსინოთა და შარდითა». აქედან აშკარაა, რომ ოქსინო გამოყენებულია ფარდაგად.

რას წარმოადგენს ეს ოქსინო? — რუსულ ძველ მწერლობაში ეს ოქსინო მოხსენებულია სახელით: აქსამიტ. ეს არის, როგორც ს. ს. ორბელიანიც განმარტავს ოქროქსოვილი ხავედი. ხოლო მისი სახელი წარმოშობილია იმ ქვეყანის სახელისაგან, რომელს ოქსუს ერქვა. — ოქსუს ძველად იყო სახელი მდინარისა, რომელს ახლა ეწოდება ამუ - დარია, დასავლეთ თურქესტანში (ტურკისტან); საერთოდ, მთელ ამ მხარეს ოქსუს ერქვა. ქსოვილი ოქსინო სწორედ ამ ქვეყანაში დამზადებული ოქროქსოვილი ხავედიან სახელი არის.

ვეფხისტყაოსანში ოქსინო მოხსენებულია ხუთ - ჯერ. ნესტანის სახლის შესახებ ნათქვამია —

სრა ედგა მოფარდაგული ოქსინოთა და შარდითა (331)

კარსა ზედა მოფარვიდა ფარდაგები ოქსინოთა (341)

ხოლო ფრიდონის სასახლეში —

ტარიელ დაჯდა საჯდომსა, ოქსინო - გარღაგებულსა (1393)

ანუ: სამეფო ტახტზე ოქსინო იყო გარდაფარებული. და გამარჯვებულ გმირებს დაბჯუნებისას — ფერხთა საფენლად ოქსინო მართ მათგან არს ნაქონები (1462).

შემდეგ, ქორწილას დროს, ფრიდონისას — აივსო სახლი სტავრითა და ოქსინოთა ღბალითა (1467)

ამგვარად, ოქსინო, ანუ ოქსუს ქვეყანაში (დასავლეთ თურქესტანში) დამზადებული ოქროქსოვილი ხავედი ვტ.—ში გამოყენებულია ფარდაგად, ფეხსაფენად და ტახტზე გადასაფარებლად, და ვითარცა ძვირფასი ქსოვილი, რასაკვირველია, ძღვენადაც.

6. ორხაული

სიტყვა «ორხაული» ვტ.—ში ნახმარია მხოლოდ ერთჯერ. ტარიელმა ხატათში ნახა, სხვა ქსოვილთა შორის, რიდე ანუ წამოსასხამი, რომლის შეკა-

ხებ იგი აქობს —

ეჭა შევიგენ, რა იყო, ანუ ნაქმარი რაულაუ. ეისცა ეუჩენი, უკვირდის, ღმთისაგან ზქვის სასწაულად;

არცა ლარულად ჰგებოდა მას ქსელი. არ ორხაულად,

სიმტკიცე ჰგვანდის ნაქედსა; ვთქვი ცეცხლსა შენართულად (46!)

ანუ: ვერ გავიგე, როგორ იყო იგი რიდე გაკეთებული; ვისაც ეუჩენე, ყველას გაუკვირდა, და ცვიოს სასწაულად თქვეს. რადგან ქსოვილი მისი. ქსელი, ანუ ნაქსოვარი, კანკა, იყო გაკეთებული არა ისე, როგორც ქსოვენ ლაპს ან ორხაულს; როდეს სიბუკიცე, მისი სიმაგრე ნაქედსა ჰგავდა, და ამტომ ჰგონა ცეცხლ - შენართულად ანუ ცეცხლში გამაღნობილ და გამოქვიდილად.

ს. ს. ორბელიანის აზრით, ორხოვა, ორხუა არის ხაოიანი საფენი ანუ ნოხ-. მგოსან იოსებ გრიშაშვილის განმარტებით, ორხოვა ანუ ორხაული არაა ხაოიანი საფენი; ხალაჩა ორპირად ნაქსოვი. 66.

მაშასადამე, რიდე არც ლარულად და არც ორხაულად არ იყო ნაქოვი. ეს სიტყვა აქ მართო შედარებისათვის არის ნახმარი და ამით აღნიშნული არას წესი ქსოვისა. რა არის ორხაული?

ორხა არის გეოგრაფიული და პოლიტიკური სახელი. ორხა, ორხა იყო ინდოეთის ერთ-ერთი სათავადო, შუა ინდოეთში; ამ მხარის მიწა - წყალი უდრის 5.400 კვადრატ კილომეტრს, 333.000 მცხოვრებით. ორხაული ქსოვილი უნდა იყოს სწორედ ამ ქვეყანაში — ორხა — დამზადებული ქსოვილი, ორპირად ნაქოვი ხალიჩა, ანუ ხაოიანი საფენი.

7. სტავრა

ფაქლავურ (ფალავურ) ენაზე სტავრა არის სქელი, მკვრივი, მტკიცე. 67. ახალ სპარსულში — უსტუვარ: სომხურში — სტუარ. — ს. ს. ორბელიანის განმარტებით, სტავრა არის სირმის ანუ ოქროს ძაფით ნაქსოვი. — (სირმა არის ოქროს ძაფი; სირმა გაბრტყელებული და გატყეცილი არის სხეპლა; ხოლო სხეპლა ძაფზე შესთული ანუ შექსოვილი, არის ოქრომკედი. ს. ს. ორბელიანი).

—სტავრა, მაშასადამე, არის ოქრომკედი ქსოვილი. და ამგვარად, სქელი, მკვრივი და მტკიცე.

გამარჯვებულმა ტარიელმა ინდოეთს ხარკად დაადო —

კვლა ხატაური მრავალი, სხვა სტავრა, სხვა აღლასია (471)

ავთანდილი არაბებს მოუთხრობს ტარიელის ღმსახებ —

ვეფხისა ტყავი აცვია, ცუდად უჩნს სტავრა -
ნახლები (690)

ავთანდილმა ვაზირ სოგრატს მიუძღვნა —
სამასი სტავრა - ატლასი უხვმან, ნიადაგ მიუმი-
ცდარომან (771)

ხოლო ფატმანი ამბობს, ნესტანი რომ დამემალა,
ამიტომ —
ჩამოვჭხურე მჩავეალკეცა სტავრა მძიმე, არ სუ-
ბუქი (1143)

და ქორწილში —
მუნ იღვის გორა ლარისა, სტავრისა და ატლასისა (1438)

და დაბოლოს, ფრიდონის სასახლეში, ქორწილის
ღრის —
აივსო სახლი სტავრითა და ოქსინოთა ლბალი-
თა (1467)

სტავრა ქართულ ისტორიულ წყაროშიც იხსენიება
— ქართლის ცხოვრებაში სწერია: გამარჯვებულაა
ქართული ლაშქარა და მის ხელმძღვანელს, დავით
სოსლანს «განუხვენეს კარნი ქალაქისანი და მიუფენ-
დეს სტავრასა კართადმი სრასასა სულტნისა»-ო.⁶⁸
მასთანადამე, სტავრა არის მკვრივი, სქელი ოქრო-
ქსოვილი, რომელიც ფარდაგად და საფენად იხმარ-
ებოდა.

ბ. ხატაური

სიტყვა «ხატაური» ვტ.-ში ნახსენებია მხოლოდ
ორჯერ. როცა ტარიელმა ხატაეთს ხარკი დაადო,
ნათქვამია —

ხარაჯა დასდევს, შეჭკვეთეს დრაჰკანი ასჯერ
აააა,
კვლა ხატაური ნრავალი, სხვა სტავრა, სხვა ატ-
ლასია (471)

როცა ავთანდილი ვაზირს ეწვია, მას —
ფერხთა ქვეშე ხატაურსა უფენენ და მიწად
უქმან (730)

ხატაური პირველ შემთხვევაში არის ხარკად და-
დებული რაღაც ძვირფასი რამ. მეორე ლექსიდან
ვტყობილობთ, რომ ხატაური არის რაღაც ქსოვილი,
რომელსაც ავთანდილს ფეხ ქვეშ უგებენ სასაარე-
ლოდ, მიწად უქმნიან.

ხატაეთი, ხატაი, კატაი, კიტაი — ძველი სახელია
ჩინეთის ერთი დიდა და კულტურული სახელმწიფოა-
ნი (ამის შესახებ იხალეთ თავი — ვტ.-ის ქვეყნები
და ერები).

ხატაური არის ხატაეთში დამზადებული ძვირფა-
სი ქსოვილი.

გ. ატლასი

სიტყვა «ატლასი» სპარსულია (და არაბული)⁶⁴.

გვერდი 193. მისი თარგმანია ფრანგულად — სატენ,
სატინა. მისი მნიშვნელობაა — სწორი, არაბოიანი.
ფრანგულმა სიტყვამ «სატინა» მე-16 საუკუნედან
შესცვალა და მოსპო სიტყვა «ატლასი». ⁶⁵ ატლასი
არის აბრეშუმისაგან («აბრეშუმი» სპარსულია, იგია
ქართულად — ქიქნაური) დამზადებული ქსოვილი.
მას აქვს განსაკუთრებული ელვარე საპირე. საპირეს
ეს ელვარება გამოწვეულია ერთი მხრივ თვით აბ-
რეშუმისაგან; მეორე მხრივ — განსაკუთრებული
მისი ნაქსივით. ეს სიტყვა «ატლასი» საქართველო-
ში დღესაც იხმარება და აბრეშუმის ქსოვილს ეწო-
დება. — ს. ს. ორბელიანი ამბობს — ატლასი ნაჭ-
სოვიაო, და მიუთითებს სიტყვაზე «ლარი». მასთან-
დამე, ლარი და ატლასი ერთი და იგივე არის, მისი
შეხედულებით.

ხატაეთს ტარიელმა დააკისრა ხარკად ატლასის გა-
მოღება (შაირი 471) და სასიძოს შესახებდრადო, ამ-
ბობს ტარიელი —

მოედანს დავდვი კარეები წითლისა ატლასე-
ბისა (552)

ავთანდილი ვაზირ სოგრატს ძღვნად ატლასს უგ-
ზავნის (შ. 771). ფრიდონისას ავთანდილი რომ მი-
ვიდა —

გათენდა, ბანეს ავთანდილ, რიცხვი ძეს მუნ
ატლასისა (1013)

ქორწილში, სხვა ქსოვლებთან ერთად გორაა ატ-
ლასისა (შ. 1438). -- არაბეთში მეფე როცა ქორ-
წილს გარდაიხდის, ყველას ძღვენით აავსებენ და —
გაბედითდა წასაღებად ატლასი და ოქრო მყარ-
რი (1553)

10. შარდი

ვტ.-ში სიტყვა «შარდი» ნახმარია მხოლოდ ერთ-
ჯერ. ნესტანსო —

სრა ედგა მოფარდაგული ოქსინოთა და შარ-
დითა (331)

სიტყვისა შესახებ «შარდი» ს. ს. ორბელიანი ამ-
ბობს: შადი — ნაქსოვია; რომელთამე მწერალით
შარდად აღუწერიათ უმეტრებით-ო.

არა მგონია, ამ შემთხვევაში, ჩვენი დიდი ლექსი-
კოგრაფოსი მართალი იყოს; იგი ფიქრობს, «შარდი»
დამახინჯებულია და უნდა იყოს «შადი»-ო. ოლონდ
ს. ს. ორბელიანი მართალია ერთი მხრივ: ზოგ ვტ.-
ში მართლაც იხმარება სიტყვა «შადი» და არა «შარ-
დი», როგორც მაგალითად ი. აბულაძის მიერ გაცა-
ცემულ ვტ.-ში —

სრა ედგა მოფარდაგული ოქსინოთა შადითა,
ვტ. 1914 (შ. 276)

ხოლო უნივერსიტეტის მიერ გამოცემულ ვტ.-ში —

სრა ედგა მოფარდაგული ოქსინოთა და შარდითა (331)

მაშ რომელია ეს სიტყვა? «შადი» თუ «შარდი»? თუ რითმას მივხედავთ, შაირს შეეფერება სიტყვა «შარდი», რადგან ყველა სიტყვაში ასო რ არის, და რითმა უფრო მეტყველია: — შარდითა — შარდი — ვარდითა — ნარდითა — განაზარდითა.

თუ პირველ სიტყვას ასოს რ გამოაკლებთ, რაიზა ზიანდება და ნაკლებ ხმოვანი გამოდის. მაგრამ ეს მხოლოდ გარეგანი მოსაზრებაა. ნამდვილად კი არც ს. ს. ორბელიანი და არც სხვა ვინმე არ ასახულებს, თუ ეს «შადი» სადაურია და როგორია. ს. ს. ორბელიანი და მისი მიყოლით სხვანიც ამბობენ — შადი თუ შარდი ძვირფასია ქსოვილიაო; ხოლო უნივერსიტეტის გამოცემაში ი. აბულაძე ამბობს: შარდი — ძვირფასი ნაქსოვი, ან წმინდა, უძვირფასესი, შადური (ტილო).

ბ. სარგის კაცობაზე ფიქრობს (ვტ. 1927 წ.): შარდი არის კუნძული სარდინია. ძვირფასი ნაქსოვი; სარდონული.

ოლონდ ისმის საკითხი: აკეთებდნენ თუ არა კუნძულ სარდინიაზე ძვირფას ქსოვილთ? ამის შესახებ არა ვიცით რა.

სპარსეთს კუნძულ სარდინიასთან, რამდენადაც ვიცოც, ურთიერთობა არა ჰქონია; ამიტომ საფიქრებელია, რომ სპარსული სახელი «შარდი», რომელსაც ბ. სარგის კაცობაზე ამ კუნძულს მიაკუთვნებს, არა ამ კუნძულის სახელია, არამედ ქალაქი სარდისა, რომლის სახელი ეგვიპტურ ენაზეც ასოთი «შ» გამოითქმის.

ქალაქ სარდის მრეწველობა, როგორც ნათქვამია ენციკლოპედია ბრიტანიკაში, იყო ქსოვილთა დამზადება, მათი შეღებვა, და ამას გარდა ფერად ფარდავთა და ნოხთა კეთება. ეს ქალაქი იყო დიდი სავაჭრო წერტილი, რომელსაც შუა საუკუნეთა დამდეგს, კონსტანტინოპოლის შემდეგ მეორე ადგილი ეკავა ახლო აღმოსავლეთში-ო. 69.ა.

ქართული შაჰნაჰე-ს ლექსიკონში (თბილისი, 1934 წ.) იგივე ი. აბულაძე ამბობს: შადი, შარდი არის სპარსული — შარბ — წმიდა ძვირფასი ტილო-ო.

რასაკვირველია, პროფ. ი. აბულაძის განმარტება სწორი არ არის; შარდი ან შადი რომ ტილო ყოფილიყო, თუგინდ ძვირფასიც, იგი ნესტანის სასახლეში ფარდავად არ იქმნებოდა გამოყენებული.

ვტ.-ის ინგლისურ თარგმანში ამ სიტყვას «შარდი» მარჯორ უორდროპი გადმოგვცემს სიტყვით «ბროკატი» (შაირი 320); ბროკატი არის მძიმე ოქროქსოვილი აბრეშუმში, ყვავილებით და ორნამენტებით მოჭრელებულ ანუ დაჭრელებული. და სწორედ ეს «ბროკატი» ანუ «შარდი» იხმარებოდა ფარდავად.

მაგრამ სადაურია ეს სიტყვა შარდი?

სახელი «სარდეს, სარდის, სარდონ, შარდინა» — ყველა ეს სიტყვა აღნიშნავს ერთ ქალაქს, რომელი ძველად დიდად განთქმული იყო.

სარდის, სარდეს ძველად იყო დიდი და შეენიერი ქალაქი მცირე აზიისა; იგი იყო ლიდიის სამეფოს სატახტო ქალაქი, მდინარე პაკტოლისა და ჰერმუსის შესართავთან. ეს ქალაქი იყო უძველესი და უუმდიდრესი, და მას მთელი მცირე აზია მოწიწებოდა პატივსაცემად. 548 წელს ქრისტეს წინ სპარსეთის ბატონმა კიროსმა დაამარცხა განთქმული თავისი სომდიდრით ლიდიის მეფე კრესოსი და ქალაქი აიღო; ამას შემდეგ სარდისას ვაჭრობა - მრეწველობა დაეცა. 504 წელს იგი ათინელებმა აიღეს და ამას მოჰყვა მედელთა ომი, რომლის დროს ქალაქი განადგურდა; შემდეგ ეს ქალაქი მოჰყვა რომის იმპერიაში და მისი მრეწველობა კვლავ აღსდგა. კეისარმა ტიბერიუსმა (14 — 37 წწ.) სარდი, უკვე მიწისძვრისაგან დაზიანებული, აღადგინა და პადრიანმა (17 — 137 წწ.) იგი გაამშენებინა. ეს ქალაქი ცნობილი იყო ქსოვილთა წარმოებით და ამ ქალაქის მსოფრეთ მატყლია ქსოვილთა ხელოვნების გამოგონებლად სთვლიდნენ მთელს აღმოსავლეთში. ეს ქალაქი სარდი საბოლოოდ დაანგრია თემურ ლენგმა 1402 წელს. 70.

სხვა ძველ ცნობათა მიხედვით, სარდის ვაჭრობდა განსაკუთრებით მატყლეულთა ნაქსოვებით. ძველი გადმოცემით, ქსოვილთა შეღებვა გამოიგონეს ქალაქ სარდისში, და თვით ქალაქი იყო განმანაწილებელი ნაქსოვთა, რომელთა ნედლ მასალას მას ფრიგიის ცხვართა ფარა აწოდებდა. ძველ ბერძნულ მწერლობაში ხშირად არის შექმნილი სარდის ქსოვილთა შეღებვის სიკარგე. 72.

ეგვიპტურ ენაზე ქალაქს (სარდეს, სარდი) ერქვა შარდინა. 71.

ვინაიდან აღმოსავლეთის ენებში ასო ს და ასო შ ხშირად ერთიმეორეს ეცვლება, უნდა ვიფიქროთ, რომ შარდი და სარდი ერთი და იგივე სახელი არის.

მაშასადამე, «შარდი» არის სწორედ ამ ქალაქში სარდი ანუ შარდი დამზადებული ძვირფასი ქსოვილი, ოქროქსოვილი ფერადსურათოვანი, ანუ ბროკატი.

11. ზეზი

სიტყვამ «ზეზი» დიდი გაუგებრობა გამოიწვია.

ს. ს. ორბელიანის განმარტებით, «ზეზი» ესე არს ორფერი ძაფი, თუ ძაფი და სირმა ერთად შესთული.

პროფ. ი. აბულაძის ახანის მიხედვით, ზეზი — უბრწყინვალესი სამოსელი, პურპურით შეღებულის

Handwritten signature and text at the bottom of the page.

უძვირფასესი ფარჩეულისა და ოქროქსოვილისაგან. (ეტ., 1914). იმავე ე. აბულადის თქმით — ზეზი არის ბისონი, პორფირი. (ეტ., 1937 წ.)

აღ. ბარამიძის მიერ გამოცემულ ვახტანგ შეფის ლექსებსა და პოემებში (თბილისი, 1947) ზეზი განმარტებულია, ვით ოქროქსოვილი სამოსელია.

კონსტანტინე ჭიჭინაძის მიერ გამოცემულ ეტ.-ში სიტყვას ზეზი დიდი უბედურება დაემართა. იგი განმარტებულია ასე: ზეზი — იგივე, რაც ზესი ესე იგი მაღალი, ზეციური (გვ. 342). ასეთი ბრძვეული ახსნა ჯერ თავში არავის მოხვლია.

პროფ. ნ. მარის განმარტებით, ზეზი არის ბისონი. საჭიროა აღარაა სხვა განმარტებათა მოტანა, — ესეც საკმაოა იმ არეულობის დასახასიათებლად, რომელი ამ «ზეზი»-ს გამო მოხდა.

ს. ს. ორბელიანი თავის ლექსიკონში ბისონის შესახებ ამბობს:

ბისონი (ბალახი). ესე არს სახე მწვანისისა რასამე, რომლისა მიერ შეღებილსა სამოსელსა ბისონად უწოდენ; არს ფერი ბისონისა ელვარე და ნაკვერცხლის ფერი (3, 23 ესაია).

ბისონი — სამეფო სამოსელი; (ნახე პორფირი, შეადარე ვეისინი = ვესინი = ვეისინი = ზეზი).

პორფირი — სისხლის ფერი. პორფირი და ბისონი = სისხლისფერობა.

მაშასადამე: საბაჲ აზრით: ბისონი არის პორფირი. ბისონი არის ზეზი. ანუ — ბისონი და პორფირი არის ერთი და იგივე სამოსელი, ერთი და იგივე ფერისა; ანუ: ბისონი, პორფირი და ზეზი ერთი ფერის ნაქსოვია და ეს ფერია — წითელი, ელვარე ნაკვერცხლის, ან სისხლის ფერი.

ს. ს. ორბელიანს ზეზის შესახებ ცალკეც აქვს საუბარი, და შემდეგა —
ვეისინი = ზეზი = ბისონი.

ზეზი ესე არს ორჯერი ძაფი, თუ ძაფი და სირმა ერთად შესთული (ვეისინი); ოქროს თმა ესე არს ოქროს ძაფი, რომელსა სპარსნი სირმას უწოდებენ და რა თმა იგი გასტეკო და ბრტყელ იქმნას, ჰქვია სხეპლა, რომელსა სპარსნი მუყაიშს უწოდენ. ხოლო სხეპლა რა ძაფს შეასთვია, ოქრომკედი იგი არს; უკეთუ ოქროს თმა ძაფსა შეასთო, ზეზი არს.

ასეთია ს. ს. ორბელიანის განმარტება ამ სიტყვათა. შესაძლებელია, საბას ხანაში, ყველა ეს განმარტება სწორად მიიჩნდათ და აქ ჩამოთვლილი ქსოვილი ასე გაეგებოდათ, — მაგრამ არც არსებობდა, და არც ვეფხისტყაოსანში, არც ერთი განმარტება სწორი არაა, ვინაიდან ბისონი არ არის პორფირი, და ზეზი არ არის პორფირი, ანუ ბისონი სხვა ქსოვილია და სხვა ფერისაა, ხოლო ზეზი სხვა ნაქსოვია და სხვა ფერისა. — ყველა ამ განმარტებაში ერთა

თია მხოლოდ სწორია: ბისონი არის ზეზი. მაგრამ უკვე სწორი არაა წარმოდგენა არც ქსოვილზე და არც მის ფერზე.

როგორც ენახეთ, ქართულ ლექსიკონებში სიტყვისა «ზეზი» შესახებ დიდი აღრევება: ზეზი ყოფილა თურმე — ბისონი, პორფირი, ოქროქსოვილი სამოსელი, უბრწყინვალესი პორფირი, ფარჩეული და ამას გარდა: მაღალი, ზეციური! როგორ შეიძლება ყველაფერი ეს ზეზი იყოს? მაშ რა არის ზეზი?

ამ საკითხის, ანუ ზეზის რაობის გამორკვევა არც ისე ძნელია, რომ «ვეკლევარნი» მას სათანადოდ მოქცეოდნენ — საჭირო იყო მხოლოდ ქართული ბიბლიისათვის მიემართათ და იგი სხვა ენათა ბიბლიისათვის შეედარებინათ. მართლაც, ქართულ ბიბლიაში სიტყვა «ზეზი» არა ერთჯერ და ორჯერ არის მოხსენებული —

გამოსლვათა 28,1 (ეკზოდუს, ისხოდ) — და კარავი იგი ჰქმენ ათ ეზოედად, ზეზისაგან ძახილისა (ძახილი — დაგრეხილი)

ბერძნულ ბიბლიაში ზეზი არის ბისოს;

ლათინურ ბიბლიაში — ბისუს

ფრანგულ ბიბლიაში — ფენ ლენ (ნაზი ტილო);

გერმანულ ბიბლიაში — კოესტლოჰე ვაისსე ლაინვანდ; (ძვირფასი თეთრი ტილო);

ინგლისურ ბიბლიაში — ფაინ ლაინენ (ნაზი ტილო);

რუსულ ბიბლიაში — ვისსონ;

სომხურ ბიბლიაში — ბეჰელა;

სირიულ ბიბლიაში — ჰეზლო, ჰაზლო;

არაბულ ბიბლიაში — ბოს.

გამოსლვათა 20,31 ზეზისაგან სთულისა

გამოსლვათა 28,81 და ზეზისაგან შესთულისა

გამოსლვათა 27,9 (10) კრეტსაბმელი ეზოსა მის ზეზისაგან ძახილისა

და ასე ამგვარად ეს სიტყვა «ზეზი» განმეორებულია გამოსლვათა წიგნის შემდეგ თავებში: — 27, 16; 27,18; 28,5; 28,6(5); 28,8; 28,15; 28,33; 28,40; 31,4; 35,6; 35,25; 35,35; 36,9; 36,10; 37,2; 36,11; 36,15; 36,32; 37,4; 36,37; 37,6; 37,11; 37,12; 37, 27; 39,8.

ბერძნულსა და ლათინურ ბიბლიაში, ყველგან აქ სიტყვა «ზეზი» ნათარგმნია სიტყვით «ბისუს»; ხოლო ფრანგულში, ინგლისურში, გერმანულში და ესპანურში ფენ ლენ, ფაინ ლაინენ, ვაისსერ ლაინვანდ = ნაზი ტილო = სპეტაკი ტილო.

ნეშტა 16,7 ხოლო დავით იყო მოსილი სამოსლითა ბისონითა... ხოლო დავითზე იყო ეფუდლი ბისონისა

ეს სიტყვა «ბისონი», რომელიც არის «ზეზი», ნახმარია გამოსლვათა წიგნში 26,4.

მეორე ნეშტთა 2,; და 8,18 (14) ქართული ბიბლიის თარგმანი არა ან კუდი, ან შეცდომებით დაბეჭდილი, და ამიტომ სახელთა გამორკვევა შეუძლებელია.

ოგავნი სოლომონისნი 31,22; ესაია 8,28; 10,10; ეზეკიელი 10,10; 27,7; 27,16 — ყველგან აქ სიტყვა «ზეზი» სანაკლოდ ნახმარია სიტყვა «ბისონი». იგივე მოვლენა ახალდაქმნაში: ლუკა 16,10; გამოცხადება იოანესი (აპოკალიპსისი) 18,12; 18, 10; 10,14 — ყველგან აქ სიტყვა «ბისონი» იხმარება.

სხვა ენათა ბიბლიასთან შედარება სავსებით გვარწმუნებს, და აღარავითარი ეჭვი არაა, რომ ბისონი და ზეზი ქართული ბიბლიაში ერთი და იგივე ქსოვილია.

გამოსარკვევია, თუ რა არის ეს «ზეზი» ანუ «ბისონი»?

ზეზი ანუ ბისონი მზადდებოდა სელისაგან. სელი არის ქართული საბელი იმ სამეურნეო მცენარისა, რომლისაგანაც, გადამუშავების შემდეგ, ძაფა ღებულობდნენ, და ამ ძაფისაგან ქსოვილთ აკეთებდნენ. ეს სიტყვა სელა ქართულ ბიბლიაში არა ერთჯერ იხმარება (გამოსლვათა 9,31; 28,43; ლევიტელთა 6,10; 16,4; და სხვა). და მისი შესატყვისია — ბერძნულად — ტო ლინონ (ტილო), ლათინურად — ლინუმ; ფრანგულად — ლენ; ინგლისურად — ლაინენ; გერმანულად — ლაინენ (ლაინვანდ); რუსულად — ლენ (ლიონ).

სელისა და ზეზ-ბისონის საკითხს დაწერილებით ეხება ე. ლეეკ და ამბობს: ⁷³ —

ლენ (ქართული: სელი) ებრაულად პესეტ (პეშეტ, პიშტაჰ; ბერძნულად — ლინონ; ლათინურად — ლინუმ. ესა მცენარე, რომლისაგან ძაფის გაკეთების შემდეგ, ქსოვილთ აკეთებდნენ. ამ ძაფისაგან ქსოვილი სხვა და სხვა სახისა იყო და სამგვარი სახელის მატარებელიც: 1) ბად, 2) შეშ და 3) ბაუშ.

1. ნაქსოვი ბად იყო სელისა და ჩეულებრივი; მას მღვდელნი ატარებდნენ.

2. შეშ პირველად ნახსენებია იოსების ამბავში — ფარაონთან წარდგენისას მოდარბაზეს შეშის სამოსელი უნდა ემოდ. წმიდა საგნები, შესავალი ფარდა მოქსოვილი უნდა ყოფილიყო შეშ-საგინ. სამოსელი ამრამისა და აარონისა, საერთოდ მღვდელთმთავართა წმიდა შესამოსელი შეშ იყო, აგრეთვე შესაწირავიც.

შეშ იყო, არსებითად მოქსოვილი იმავე სელისაგან, ვით ბად. ამიტომ ერთსა და იმავე სამღვდელო სამოსელს ხან ბად-ს და ხან შეშ-ს უწოდებდნენ.

ქართულ ბიბლიაში კი, როგორც ენაზეთ, მხოლოდ ორი სახელია გამოყენებული: ზეზი და ბისონი.

სახელი «ბად» და სახელი «შეშ» ხალღურ ენაზე

იყო: ბუძ, და ეს სიტყვა შემდეგში უფრო გავრცელდა. ყველგან «კანონთა წიგნში», — ამბობს მაამონიდე, — შეშ ან ბად ნიშნავს პიშტიმ და ეს არის «ბისუს». ოლონდ ავტორნი ვერ შეთანხმებულან, თუ რა განსხვავებაა შათ შორისო. ვიეთნი ფიქრობენ, — ბად არის უბრალო ტლო, ხოლო შეშ — ნაზი ტლო, ბრწყინვალე თეთრი ფერითო. ზოგნი კიდევ ფიქრობენ, — შათ სახელთა განსხვავება ქსოვის სხვაობისაგან მოდისო. ბად არის ერთი ძაფით ნაქსოვი, ხოლო შეშ არის ექვსი ნაგრები ძაფით ნაქსოვი, ამიტომ არის ბიბლიაში ხშირად ნათქვამი — გრებილი, ძახილიო. თვით სიტყვა შეშ წარმოშობილი უნდა იყოს იმ ძირისაგან, რომელი თეთრ ბრწყინვალეობას აღნიშნავსო. — ვიეთნი ამბობენ, — შეშ არის ეგვიპტური ნაქსოვი, ხოლო ბად — პალესტინურ - სირიული, რომელსაც შემდეგ ბუს, ბისონი დაერქვაო.

აღსანიშნავია, რომ ეგვიპტური შეშ იყო განსაკუთრებული ნაზი ტლო.⁷⁴ გვერდი 259 - 260.

სადაურია ეს სიტყვა «ზეზი»? როგორც უკვე ვიცით, ზეზი ებრაულ ენაზე არის — შეშ; ეგვიპტურ ენაზე — შეს. ადვილი შესაძლებელია, რომ ქართული «ზეზი» სწორედ ამ სიტყვისაგან იყოს წარმოშობილი, ან ნასესხები. პროფ. ნიკო მარი ამბობს — ზეპეზი ანუ ზეზი არის სიტყვა, რომლისაგანაც შემდეგ წარმოიშვა სიტყვა «ზეზი», უკვე შემოკლებული გამოთქმითო; იგი ბისონი არისო.⁷⁴

შეინ და ბლეკის «ენსიკლოპედია ბიბლიკა»-ში ამ ბისონის შესახებ ნათქვამია — ბისონის შესახებ ერთ დროს დიდი გაურკვეველობა იყო, მაგრამ, ბოლოს, ფილოლოგები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ბისონი არის ნაზი, თეთრი ტლოო.⁷² გვერდი 2799.

«დერ გროსსე ბროკაუზ»-ის უკანასკნელ გამოცემაში ბისონის ანუ ზისოს, ბისუს გამო შემდეგია ნათქვამი: —

ბისონი არის გამჭვირვალე ქსოვილი სხვა და სხვა სინაზისა, თეთრ - მოყვითალო სელის ძაფით ნაქსოვი. უბრალო ხარისხს ეკუთვნის ის ნაზი ტლო - ქსოვილი, რომელში ძველი ეგვიპტელნი მუმიებს ახვევდნენო. საუკეთესო და უნაზესი, და ამასთანავე უძვირფასესი ტლო მზადდებოდა იმ ნაზი ძაფისაგან, რასაც ღებულობდნენ სატილო მცენარეთაგან, რომელნიც მხოლოდ მდინარე ნილოსის შესართავებში იზრდებოდნენო. ქსოვილის სინაზის გამო, მიცვალებულის სახეზე გადაფარებული ეს ტლო სახის მოყვანილობას კარგად აჩვენებდა. არისტოკრატიის დედაკაცი ამ ტლოს თაეზე მოსახურად ხმარობდნენ, და მოსასხამდაც. ბისონის ბაზარი იყო ქალაქი ალექსანდრია, ხოლო მას შემდეგ რაც ინდოეთიდან და სპარსეთიდან ბამბის ძაფით დამზად

დებული ბერი ქაოვილი შემოვიდა, ბისონის მზადება შემცირდა, იშვიათი გახდა ბისონი, და მეთუთხმეტე საუკუნეში იგი სრულებით მოიხსრო. 73.

ბისონისა და ზეზის საკითხის შესწავლამ დაგვიარწმუნა, რომ ზეზი ანუ ბისონი არის — თეთრი ნაზი ტილო, რომელსაც მცირე სიყვითლეს იერი გადაჰკრავს, და არის ბრწყინვალე. ეს ბრწყინვალეა ბისონისა ანუ ზეზისა თვით ბრელიაშია აღნიშნული:

გამოცხადება 10,14 და მხედრობანი... შემოსილნი ბისონითა სპეტაკითა და ბრწყინვალითა...

დასკვნა: — ბისონი არის ზეზი, ზეზი არის ნაზი თეთრი ტილო, ბრწყინვალე, რომელსაც ამ ბრწყინვალეობას სისპეტაკე ანუ სითეთრე და გადაკრული ყვითელი იერი აძლევს.

ეს გამოკვლევა საჭირო იყო, რათა ვეფხისტყაოსანში მხოლოდ ერთჯერ ხმარებული სიტყვა «ზეზი» გაგვეგო და მას გარშემო დაგროვილი მძიმე შეცდომები გაგვეფანტა.

ავთანდილი ხატავლთ გამოემშვიდობა და ჯერ უცნობ ტარიელს გაედევნა —

ესე უთხრა და წავიდა, ცხენი გაქუსლა დეზითა ვითა გაუაზი გაფრინდა, არ გაშვებული ხეზითა, ან მთვარე, მზისა შემყრელი, მზე ხინათლითა ზეზითა (214)

ანუ: ავთანდილმა ცხენი გააქუნა, მას დეზი ჰკრა; გაფრინდა, ვითა გაუაზი ანუ შევარდენი, რომელიც გაშვებული არ იყო ზეზით (ზეზი — მკედის უსხოთა და გრძელთა ეწოდების. ს. ს. ორბელიანი). წავიდა სწრაფად ვით მთვარე, მთვარე მზის შესაყრელად ანუ შესახედრად; იმ მზისა, რომელი უბრწყინვალესი სინათლით არის მოსილი, თეთრ-მოყვითანო ბწყინვალეებით არის შემკული, როგორც ზეზიო. —

12. ლარი

ს. ს. ორბელიანის განმარტებით, ლარი არის ყუმაში, კუმაში, ფარჩა. ამ განმარტებას ყველა მისდევს.

სპარსული ენის — ყომაშ, პარჩე — ფრანგულად ნათარგმნია სიტყვით «ეტოფ», რაც საერთოდ ქსოვილს აღნიშნავს. 84. მაგრამ ვეფხისტყაოსანში სიტყვას «ლარი» ორგვარი მნიშვნელობა აქვს: 1) ლარი არის ქსოვილი, 2) ლარი არის ნივთიულობა, საგანძური, ხაზინა.

არის ვტ.-ის ლარი უბრალო ქსოვილი, ჩვეულებრივი ნაქსოვი, თუ იგი ძვირფასი ქსოვილია? ან საიდან მოდის ეს სახელი ლარი?

ვტ.-ის ლარი ჩვეულებრივი ბამბის, ან სელის ქსოვილი არაა. ამ ლარის სახელი წარმომდგარი უნდა იყოს იმ მხარედან, რომელსაც ლარი ერქვა. ამ შემთხვევაში ჩვენ ორი გეოგრაფიული სახელი მოგ-

ვეპოვება — 1. ლარისტანი სპარსეთის ერთი მხარეა, რომლის დაბა-ქალაქს ლარი ჰქვია. ანუ ერბელოს თქმით — ლარ, ქალაქი და მისი სახელით, მხარე, იმყოფებოდა ხეზისტანსა და კერმანს შორის, სპარსეთის ერთი მხარე. იგი, ლარი, ხუთის დღის სავალითაა დაშორებული ბენდერ-აბასიდან და ორმუხდიდან, სპარსეთის ყურგდან. 76.

2. მეორე მხარე «ლარი» (ლაპრი) არსებობს ბელუჯისტანში. — შესაძლებელია, რომ სახელი «ლარი» ქსოვილთა სწორედ ერთ-ერთი ამ მხარას სახელი იყოს.

ვტ.ში ლარს პირველად ვხვდებით, როდესაც თინათინი მეფედ ტახტზე აიყვანეს და მან დიდი საბოძეარი ანუ საჩუქარი გასცა —

ლარსა ჰხეცტლიან ლაშქარნი, მართ ვითა მეკობრენია (54)

ანუ: ლაშქარნი, მეომარნი ლარს ისე ხეცტდნენ, ვით მძარცველები, მეკობრენიო. აქ ლარი არ შეიძლება იყოს უბრალოდ ქსოვილი, არამედ განძეულობა, ნივთები ძვირფასი.

როცა ფრიდონ და ავთანდილ ერთმანეთის გამოემშვიდობნენ, ამ გაცოდების დროს —

მოატყდეს მოქალაქენი, ლარსა ეინ ჰყილდა, თუ ხილსა ((1021)

აქ ლარი უეჭველობით არის ქსოვილი. ავთანდილი ოდეს ზღვის პირას ეგვიპტედან წამოსულ ვაჭრებს გადაეყარა —

ქედსა გარდადგეს, აქლემნი აუჩნდეს ლარ - კიდებულნი (1028)

და ზღვის პირად მომლოდინე ვაჭრებმა ავთანდილს მოახსენეს —

საქონელ - სრულნი, მდიდარნი, არ ლარნი გვაქვან ნაქარნი (1031)

ჩვეულებრივი განმარტებით «ნაქარნი» არის დაჭრილი; ანუ: ლარი არაა ნაქერ-ნაქერიო, მთლიანი არისო.

ბ. ს. კაკაბაძე ამბობს: ნაქარი არის — ქილობი; ნაქა — ქილობი, ქილობისაგან გაკეთებულიო.

ს. ორბელიანის განმარტებით, ქილობი არის ქილთაგან წნული. ეს ქილი კი არის ფოთოლი და ღერი სხვა და სხვა მცენარეთა, რომელთაგან ქილობს დაწნავენ.

აღნიშნული განმარტებით, ლექსი ასეთია: —

ლარნი ჩენი ნაქარნი ანუ ქილობისა არ არიანო. ეს სრულებით არ ეთანხმება ს. ს. ორბელიანისა და მის მიმყოლთა განმარტებას ლარის შესახებ. თვით

ს. ს. ორბელიანი ამბობს, ლარი ფარჩააო. ვაქარნი ავთანდილთან ერთად —

ზღვასა შევედით ტვირთულნი ლარითა. მრავალ ფერიოთა (1033)

როგორც აქ ვხედავთ, ეს ვაჭარნი ეგვიპტედან არიან წამოსული და ეს ლარი მათ გადააქვთ შორეულ მანძილზე. — მარტო ეს გარემოება ამტკიცებს, რომ ლარი არ არის უბრალო ქსოვილი, არამედ ძვირფასი ქსოვილი, რადგან გადაზიდვის ხარჯებს ანაზღაურებდა და მოგება იძლეოდა ამ ხანად მხოლოდ ძვირფასი ქსოვილი.

მაგრამ ქსოვილი ვეფხისტყაოსანის პატრონემურ საზოგადოებაში (იხ. ლეთ ჩემი წიგნი — ვტ. ის საზოგადოება) მარტო გასაყიდი საქონელი არ იყო. ქსოვილთა ჰქონდათ სხვა დანიშნულებაც — ისინი იხმარებოდნენ ვით საბოძვარი, საჩუქარი, ძღვენი.

ავთანდილმა თავის მოახლე მონებს —

მისცა მართ სავეს ხომალდი, რიცხვი ტურფათა ლარისა (1317)

ტურფა ლარი აქ არის ძვირფასი ქსოვილი (იხ. ზემოდ, გვერდი 39).

სურხან მეფემ ტარიელს მიუძღვნა მრავალი საჩუქარი და მათ შორის —

მუნ იღვა გორა ლარისა, სტაერისა და ატლასისა (1438)

მეფე სურხავე მეფე ტარიელს უბრალო ქსოვილთ ხომ არ მიუძღენიდა? ლარი აქ არის ძვირფასი ქსოვილი. ასეთივე ამბავია ფრიდონისას, ქორწილში — ქორწილი ქმნეს და გამრავლდა ძღვენობა ლარისა ლბილისა (1464)

ლბილი ლარი ჩვეულებრივი ქსოვილი არ შეიძლება იყოს; იგი ძვირფასი ქსოვილია.

ტარიელი თავის ძღვენს აქებს და ამბობს —

მე რომე გიძღვენი ტურფათა, აქოთ ლარისა ჰრელობა (1496)

ანუ: მე რომ მოგიძღვენი ძვირფასი ქსოვილთ ესე იგი ტურფათ, მაშინ შეაქვებ ამ ლარის ჰრელობას ანუ მის სურათოვან მოქარგულობასო. (იხ. ზემოდ, გვ. 43).

და ვინაიდან ლარი იყო ძვირფასი ქსოვილი, აბრეშუმის ქსოვილი, ფარჩა, ამიტომ იგი ომისა, ლაშქრობისა და შეკობრობის ანუ ავაზაკობის საგანიც იყო.

როცა ფრიდონი და ტარიელი ბიძა-წულის ქალაქს აიღებენ, იქ ლარს პოულობენ და ტარიელი ავთანდილს უამბობს —

მომკალ, თუ ლარი დაპლიოთ ან აკიდებით, ან ტენით (618)

ხოლო ქაჯეთის თავადი ანუ ლაშქარის უფროსი როშაქ განსაკუთრებული მიზნითაა წამოსული ქაჯეთიდან — იმეკობროს ანუ იაეაზაკოს. გასძარცვოს ქარაევანი —

ღია ვლევწეთ ქარაევანი, ლარი ჩვენე გარდმოვდევი (1224)

ავთანდილიც, როცა იგი მეკობ. ა. ა. ამარცხებს, მათ სჯონებს წარულებს, როგორც თავის ნააღვეს ანუ ნადავლს, შემდეგ იგი მას გაასაჩუქრებს — თქვენ მოგცე ლარი ყველაი მე, ჩემი ნააღვაგი (1315)

მაშასადამე, ლარი არის ქსოვილი მხარე ლარით; ლარი არის ძვირფასი ქსოვილი, აბრეშუმი ნაქსოვი.

III. ვეფხისტყაოსანის სამოსალნი

1. კაბა

კაბა არის არაბული სიტყვა. ს. ს. ორბელიანის განმარტებით, კაბა არის სამოსელი. და ამ განმარტებას ვეფხისტყაოს. ყველა ლექსიკონი იმეორებს. ასეთი განმარტება სრულებით არაფერს გვეუბნება. თანამედროვე ქართულში «კაბა» დედაკაცთა ტანსაცმელს, წელქვემოდ ფართო სამოსსა ჰქვია. ძველად კაბა მამაკაცთა სამოსელსაც ერქვა და ამ კაბას აღმოაჩელებთ საქართველოში თვით რევოლუციამდე იცემდნენ. ასე რომ კაბა დიდად ცნობილი იყო საქართველოში, და როგორც ვნახავთ, არსებობდა განსაკუთრებული ქართული კაბა.

კაბას ვით სამოსელს არაბნი უუძველესი დროიდან ატარებდნენ; თვით მაჰმადს ეცვა იგი; ემირნი, ლაშქარნი, სულთანნი კაბას იცემდნენ, განსაკუთრებით, ჩერქეზული დინასტიის ხანაში.

კაბა იყო ან თეთრი, ან წითელი, ან ლურჯი ფერისა; უფრო ხშირად მისი ქსოვილი იყო ატლასისა, ხოლო ხანდახან მას სარჩულად ბეწვეული ჰქონდა. ორ საუკუნეზე მეტია, რაც კაბას არაბნი აღარ იცემენ, და ვინაიდან იგი მათთვის ჩვეულებრივი ტანსაცმელი იყო, ამიტომ მისი აღწერა, რაობა არავის დაუტოვებია. ამის გამო, უცნობია თუ როგორი იყო არაბული კაბა. მაგრამ ცნობილია სპარსული და ქართული კაბა. ეს სპარსული და ქართული კაბა აღწერა ფრანგმა მოგზაურმა ვაჰარმა შეველიე შარდენმა (1643 — 1713 წ.), რომელიც როგორც ქართველოში, ისე სპარსეთში იმყოფებოდა.

სამწუხაროდ, კაბის ნაწილთა სახელები ქართულად არ ვიცით და ამიტომ შარდენის აღწერა კაბისა, კარგად ვერ იქმნება გადმოცემული —

შარდენი სწერს: — სამოსელი, რომელსაც ეძახიან — კაბაჲ, არის ფართო ვით დედაკაცთა კოტიონი, მაგრამ ძალიან ვიწრო ზემოდ, რომელიც გადადის ორჯერ მუცელზე და მიბმულია მკლავებს ქვემოდ: პირველი მონვევა მარცხენა მკლავზე, და მეორე, რომელიც ქვეშ არის, მარჯვენა მკლავის ქვეშ.

სახელურნი მისი არიან ვიწრო და გრძელი, ვიდრე უნდა იყოს, და ამიტომ მათ ჰკეცვენ ზემო მკლავზე, და ჰკრავენ ღილებით მაჯაზე. ცხენოსანნი ატარებენ კაბას ქართულადაც; ეს ქართული კაბა სხვანაირსაგან მით განსხვავდება, რომ იგი გახსნილია მუცელზე, აქვს ღილები და სირმები, თუმცა ეს ზედატანი სამოსი შემოკრულია ზუსტად წელზე, მას მაინც ქვემოდან ორი ან სამი სარტყელით ამაგრებენ, რომელიც დაკეცილია ორმაგად და არის ოთხის თითის სიფართოისა, მდიდრული და წმიდა, რაც იმას იწვევს, რომ სამოსი მუცელზე ჯიბეს აკეთებ-სო. 77.

ტარიელის შესახებ თავიდანვე ნათქვამია —
მას ტანსა კაბა ემოსა, გარე — თმა ვეფხის
ტყავისა (85)

ავთანდილიც —
აღმა და კაბა ჩაიცვა, მკობი ყოვლისა კრელი-
სა (121)

ავთანდილის კაბა ისეთი იყო, რომ იგი ყოველ-
გვარ კრელს ანუ ძვირფას ქსოვილს სურათოვანს
სჯობნიდაო.

ხატაეთიდან გამარჯვებულად დაბრუნებულს ტა-
რიელს მეფე ფარსადან დასაჩუქრებას უპირებს, მაგ-
რამ ტარიელს ისეთი ლამაზი კაბა აცვია, რომ მეფე
მას ეუბნება —

არ შეგმოსთ, მაგა კაბათა არ გაგხდით, —
ტურფად გშენიან (486)

ტარიელი თავის შესახებ ამბობს —
ჩემთა მკვერტელთა მოეცვა ქალაქი, შუკა და
ბანი.

ომ-გარდახდილსა მშვენიოდეს მე ენიანნი კაბა-
ნი (478)

ენიანი კაბა აქ უნდა იყოს გრძელ სახელოებიანი
კაბა.

ტარიელი ავთანდილს უხსნის, თუ რატომ ატა-
ვებს იგი ვეფხის ტყავს —

რომე ვეფხი შენიერი სახედ მისად დამისახავს,
ამად მიყვარს ტყავი მისი, კაბად ჩემად მომინა-
ხავს (657)

და ამ კაბას მას ასმათი უკერავს
ფატმანთან სტუმრობისას ავთანდილს —

ღიაცმან უძღვნა მრავალი კაბა, ყაბაჩა, რიდე-
ბი (1255)

ზღვათა მეფემ ავთანდილსა და ფრიდონს მიუძღ-
ვნა —

თვითო კაბა თვალიანი, უცხო ფერთა შუქთა
მფენი (1440)

ანუ: კაბა იყო შემკული ძვირფასი ქვებით, რომელი
უცხო ფერთა მფენდაო.

ამგვარად, ვეფხისტყაოსანში კაბა არის მამაკაცთა

სამოსელი, რომელიც ყოველი ქართველისათვის
კარგად ცნობილი იყო.

2. ჯუბა

ჯუბებეჰ, ჯიბბაჰ, ჯობბაჰ, ჯუბა არაბული სახე-
ლებია ვეფხისტყაოსანის «ჯუბი»-სა. ჩვეულებრივ
იხმარება სახელი — ჯუბა (ესპანურად — ხუპა, ჩუ-
პა; იტალიურად — ჯუპა, ჯუოპე; ფრანგულად —
ჟაჟუ, ჟაჟუპონ).

ჯუბა არის სამოსელი, რომელსაც ხმარობს რო-
გორც მამაკაცი, ისე დედაცა. ეს სამოსელი მზად-
დებოდა უმთავრესად ბაბიისაგან, მაგრამ ხშირი იყო
ტილოსა და აბრეშუმის, ძვირფასი ქსოვილის ჯუ-
ბაც. ეს ტანსაცმელი არის უფრო გრძელი უკანი-
დან, ვიდრე წინიდან; აქვს ფართო სახელურები და
არა აქვს საყელო; იგი არის გრძელი სამოსი, ან კო-
ქებამდე, ან მუხლებამდე. ჯუბა იყო ყოველგვარი
ფერის სამოსი, და მას ახლაც ატარებენ უზბეკები,
ხივაშიო, გადმოგვცემს დოზი. 78.

ს. ს. ორბელიანის განმარტებით, ჯუბა არის სა-
მოსელი პერანგივით. ჯუბაჩა — მოკლე ჯუბა.

როდესაც ავთანდილმა ტარიელის ბინა - გამოქვა-
ბული, ქვაბი მიაგნო და გაბრუნებული ტარიელი
ნახა, მან შეამჩნია —

ქვაბისა კარსა გამოდგა ქალი ჯუბითა შავი-
თა (221)

ეს იყო ასმათი, რომელსაც ნესტანის დაკარგვის
გამო, სამგლოვიაროდ, შავი ჯუბა ეცვა.

პირველად როცა ნესტანი სასახლის საზოგადოე-
ბაში გამოიყვანეს, ნადიმზე დასასწრებლად —

მას მზესა ტანსა ემოსნეს ნარინჯის ფერნი ჯუ-
ბანი (480)

ნარინჯის ფერი მეფურის სამოსელის ფერია და
დიდებულობის ამსახველი.

ნესტანის საქმრომ მას მრავალი საჩუქარი მიუძღ-
ვნა —

კაცი მოვიდა; ავესო ჯუბაჩითა და რიდი-
თა 515)

ჯუბა არის აგრეთვე მამაკაცის სამოსელიც —
ავთანდილ ტანსა ჯუბანი ჩაიცვნა, დაჯდა სკა-
მითა (1062)

და მებაღე ფატმანს ახარებს, მასო —
ჰშენის ჯუბა და მოხვევა ძოწეულისა რიდი-
სა (1073)

და, დაბოლოს, ინდოეთის მეფე ტარიელმა ავ-
თანდილს —

როსტვენისთვის წაატანა საძღვნოდ ტურფა
ჯუბაჩები (1558)

ამგვარად, ჯუბა არის სამოსელი, რომელს მამა და
დედაცანი ატარებენ.

ს. ს. ორბელიანის განმარტებით, ყაბაჩა არის ლაბადა, რომელსაც სპარსთა ქალნი ატარებენ, შერმო-სენ მოკლესა გარეგნივ. ლაბადა არის წამოსასხამი, მოსახური

ტარიელმა ხატათის დაპყრობისას —
ერთგან ენახე საყვირველი ყაბაჩა და ერთი რი-
დე (460)

ეს ყაბაჩა ანუ წამოსასხამი და რიდე ტარიელმა ნე-სტანს მიუძღვნა და ეს მათ განუწყრელად ატარებს. ფატმანი აეთანდილს უამბობს, ნესტანიო —

მიწყვი იყვის რადითა და მით ერთითა ყაბაჩი-
თა 1148)

ანუ: ყოველთვის (მაწყვი) მას ყაბაჩა - მოსასხამი
და რიდე თან ჰქონდაო.

ხელმწიფე მელიქ-სურხავემა ქორწილში —
ნესტანს - დარეჯანს ყაბაჩა უძღვნა შემკული
თვალითა (1439)

ნესტანმა თინათინს საჩუქრად გაუგზავნა —
ქალმან ქალსა გაუგზავნა ყაბაჩა და ერთი რი-
დე (1659)

მაგრამ ყაბაჩა ნახსენებია აგრეთვე ვით მამაკაცის
წამოსასხამი. ფატმანის საჩუქართა შორის, რომე-
ლი აეთანდილისათვის იყო მიძღვნილი, არის ყაბა-
ჩაც. აეთანდილსო —

ღიაცმან უძღვნა მრავალი, კაბა, ყაბაჩა, რიდე-
ბი (1255)

მაშასადამე, ყაბაჩა იყო მამა და დედაცათა წა-
მოსასხმელი.

4. ნახლი

ს. ს. ორბელიანის განმარტებით, ნახლი ძვირფასი
ნაქსოვია. პროფ. ი. აბულაძე ამის მიხედვით განმარ-
ტავს: ნახლი — ძვირფასი ნაქსოვი (ფარჩა); აბრე-
შუმის ქსოვილი (ვტ. 1937). მაგრამ ამასთანავე ამ
სიტყვის სხვა მნიშვნელობასაც ვხვდებით.

ცნობილია, ისლამის მიმდევარი თავის ლოცვას
წარმოსთქვამს, როდესაც იგი მცირე ნოხზე სდგას.
ეს არის სამლოცველო ნოხი — აჯჯადა, ან ზუმრა,
ან ჰასირი. ასეთ ნოხად იხმარება აგრეთვე ბისატ, რო-
მელიც დაშვადებულია ჯარად ალ - ნახლ (ისაგან),
ანუ პალმის ფოთოლთაგან წნულისაგან. 70.

თუ პალმის ფოთოლთაგან დაწნული ნოხი ძვირ-
ფასად ითვლებოდა, შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ ვტ.
ის ნახლი იგი არის, რადგან ნახლი იქ დასახელე-
ბულია ძვირფას ქსოვილ — სტაერასთან ერთად —
აეთანდილი ამბობს ტარიელის შესახებ —

ვეფხისა ტყავი აცვი, ცუდად უჩნს სტაერა -
ნახლები (690)

მეორედ ეს სიტყვა ნახმარია, როცა ინდოეთის
დედოფალმა —

უბრძანა: ზგლოვა გახსენით, ქოს - წინწილასა
ქართით;
დიდი ზათქი და ზეიმი გავიდეს ჩვენი კართით;
ნახლები თქვენი ოქროსა სარტყელით მოიკა-
რითო (1633)

აქედან აშკარაა: ნახლი არის სამოსელი და ძვირ-
ფასი ქსოვილი, ოღონდ არ ვიცით, როგორია იგი, და
ამიტომ ს. ს. ორბელიანის განმარტებით უნდა დაე-
კმაყოფილდეთ ჯერჯერობით.

5. ზარქაში

სიტყვა «ზარქაში» ვტ.-ში მხოლოდ ერთჯერ იხ-
მარება, — როდესაც ფრიდონი და მასთან დაშვებ-
რებული ტარიელი ფრიდონის ქალაქს მივიდნენ —
ყველასა ტანსა ემოსა ზარქაში განაზიდა-
რი (612)

ს. ს. ორბელიანის განმარტებით, ზარქაში არის
ვაჭარი, რომელიც ოქროსა და ვერცხლს გაზიდავს
და შემოზიდავს: — ოქროსა და ვერცხლის გაზიდუ-
ლსა და გამზიდველს ჰქვიან, სხეპლასა და სარმათაო.

პროფ. ი. აბულაძე ამ სიტყვას ასე განმარტავს —
ზარქაში (სპარსული — ზარქაშ) — ოქრო-ქსოვი-
ლი; ოქრომკედი, ოქროს ფარჩეულობა (ტვ 1914
და 1937).

პროფ. ივანე ჯაეახიშვილის თქმით, — ზარქაშს
ოქროქსოვილებს ეძახდნენო. 80.

უეჭველია, ზარქაში ოქროქსოვილია საერთოდ.
რალა სიტყვა «განაზიდარი»?

პროფ. ი. აბულაძე ამ სიტყვას ასე ხსნის — განა-
წევი, განზიდული.

ბ. სარგის კაკაბაძის აზრით, — განაზიდარი წარ-
მომდგარია სპარსული სიტყვისაგან და ქართულად
არის — ლამაზი, შეწინიერიო (ვტ. 927).

აღნიშნული ლექსის ახსნა, მაშასადამე, ორგვარია
— 1. ყველას ტანსა ემოსა ოქროქსოვილი განაწევი
ან განზიდულიო. ეს ახსნა კი არა, დაბნელებაა მნიშ-
ვნელობისა. 2. ყველასა ტანსა ემოსა ოქროქსოვილი
ლამაზი, შეწინიერიო! არც ეს განმარტება არის დამა-
კმაყოფილებელად დასაბუთებული.

სიტყვა «ზარქაში» ნიშნავს: ოქროქსოვილი. ხო-
ლო «ზარქაში განაზიდარი» ჯერჯერობით განუ-
მარტებელი რჩება.

6. ყარყუმი

სიტყვა «ყარყუმი» ვტ.-ში გამოყენებულია მხო-
ლოდ ერთჯერ და ნათქვამია, თინათინსო —

გამრცეილსა ტანსა ემოსნეს ყარყუმნ: უსამი-
რონი (123)

ს. ს. ორბელიანის განმარტებით, ყარყუმი — თეთრი ბეწვია კულშაჟი ქრცინეასავეითო. პროფ. ი. აბულაძის ახსნით, — ყარყუმი არის წარმოშობილი სპარსული სიტყვისაგან ყაყუმ, რაც არის ბეწვიანი ცხოველი, ამ ცხოველის ქურქი, თეთრ - ბეწვეული, თეთრი სამოსელი (შაჰნამე-ს ქართული ვერსიების ლექსიკონი, გვ. 839), ან მისივე განმარტებით, — ქურქბეწვიანი ცხოველი; ამ ცხოველის ქურქი; თეთრ-ბეწვეული (ვტ.) ამ განმარტებებიდან, პირადად ვერაფერს ვგებულობ.

სიტყვა «ყარყუმი» იხმარება აგრეთვე ჩახრუხაძის «თამარიანი»-ში —

ყარყუმს და არამს
მით ზედა არანს
როსტომ ებრძოლა

თვით შეძლებულად (თამარიანი 12,44)

პროფ. ნ. შარი ამბობს — აქ სიტყვა «ყარყუმი», როგორც ლექსიდან სჩანს, არის გეოგრაფიული სახელი. ამასთან დაკავშირებით, ნ. შარი ამბობს: — ქართულში ყარყუმი ნიშნავს გორნოსტაი-ს, და იგი არაბული სიტყვააო. სპარსულის ლექსიკოგრაფოსნი (ვულლერს) განმარტავენ, — ყარყუმი არის აგრეთვე «ერთგვარი ტანსაცმელი, რომელსაც ქსოვენ ირავში და არაბეთში»-ო. ეს ქსოვილი ნამდვილად კეთდება ქალაქში, რომელსაც ყაყუმ ჰქვიაო. ამ სპარსულ პატარა ქალაქს არაბი გეოგრაფოსნი რამოდენჯერმე იხსენიებენო. ⁸¹.

როგორ გავერკვეთ ამ «ყარყუმი»-ს საკითხში?

ჯერ გავიმეოროთ თვით ლექსი —

გაძრცვილსა ტანსა ემოსნეს ყარყუმნი უსაპი-
რონი (123)

ამ ლექსში თითოული სიტყვა მძაფრ ყურადღებას მოითხოვს.

რა არის «გაძრცვილი»?

«გაძრცვილი» ჩვეულებრივად ნიშნავს — შიშველი, ტიტველი. და ვტ.-ას ლექსიკონებში სწორედ ასეა ეს სიტყვა განმარტებული, როგორც მაგალითად უნივერსიტეტის მიერ გამოცემულ (1937 წ.) ვტ.-ში: გაძრცვილი — ტანგახდილი, შიშველი.

მაშასადამე, ჩვეულებრივ განმარტებათა მიხედვით გამოდის, რომ თინათინს შიშველ ტანზე ეცვა ყარყუმიო.

ასეთი რამ მართლა წარმოუდგენელია არა მარტო არაბეთში, სადაურიც თინათინია, არამედ ქრისტიანულ ქვეყნებშიც. არც ერთ ისლამურ ქვეყანაში და არც ქრისტიანულში, შიშველ ტანზე წაშოსასხამს არ მოიხურავდნენ, ყარყუმს არ ატარებდნენ.

სიტყვისა «გაძრცვილსა» განმარტებაში გვშველის ს. ს. ორბელიანი, რომელს აქვს ერთი სიტყვა პოტანილი, და რომლისაგან უნდა ვაწარმოოთ თვით ეს

სიტყვა «გაძრცვილი». იგი ამბობს: «გამოსაძრცველობა» — სხეულთ შემკობა. გამოძრცვა — გამო-საძრცველობასთან ნახე. —

მაშასადამე, გამოსაძრცველობა არის ტანას შემკობა, რასაკვირველია, ძვირფასი სამკაულებითა და თვალმარგალიტებით. აი, ამ სიტყვისაგან «გამოსაძრცველობა» არის წარმომდგარი ვტ.-ის სიტყვა «გაძრცვილი». — ესე იგი, ლექსში ნათქვამია: — თინათინს, რომლის ტანი შემკული იყო სამკაულებით, თვალ-მარგალიტებით, ემოსა ყარყუმნიო.

მაშ რაღა არის ყარყუმი? ერთი განმარტებით, იგი არის ბეწვეული, მეორე განმარტებით, სპარსულ ქალაქში ყაყუმ (კაყუმ) — დამზადებული ქსოვილი.

ამ საკითხის გამორკვევას, თუ რაა «ყარყუმი», აძნელებს კიდევ სიტყვა «უსაპირონი». — ს. ს. ორბელიანის ახსნით, საპირე — ორკეცა ზედათს საპირე და ქვედათს — სარჩული ეწოდებისო. მაშასადამე, ორკეცი ქსოვილის ზედა ნაწილს, ანუ პირს ჰქვია საპირე, ქვედა ნაწილს კი: სარჩული. ამის მიხედვით, თუ საპირე არის ქსოვილის ზედაპირი (და იგი არის), მაშინ ყარყუმი, თუ იგი ბეწვეულია, მოკლებულია საპირეს. როგორ შეიძლება, თუ ყარყუმი ბეწვეულია, მას საპირე არა ჰქონდეს? ან რად უნდა ბეწვეულს საპირე? თუ ყარყუმი სპარსეთის რომელიღაც ქალაქში დამზადებული ქსოვილია, როგორაა შესაძლებელი «უსაპირო» იყოს? ყველაფერი ეს გაუგებარია!

წამოკრილი საკითხის გამოსარკვევად ცნობილ არაბისტ დოზი-ს უნდა მივმართოთ, რომელსაც შევლდენილი აქვს არაბთა შორის ხმარებოო სამოსელთა სახელების ლექსიკონი.

ეს სიტყვა «ყარყუმი» (ყარყუმ, ყაყუმ) უსათუოდ ჰერმელინს (ერმინ) ნიშნავსო, ამბობს დოზი. და მას მოაქვს იბნ - ბატუტაჰ-ის (დაიბადა 1303 წელს) მოწმობა, რომელი თავის «მოგზაურობაში» ამბობს — ის, რასაც ყარყუმს (ყაყუმს) ეძახიან, არის საუკეთესო ბეწვეული და ასეთი ტყავი, ქურქი ინდოეთში ათასი დინარი ღირსო. ეს ბეწვეული არის მეტად-მეტად თეთრი, სპეტაკი, და მას ამზადებენ იმ პატარა ცხოველის ტყავისაგან, რომელი ტანით მცირეა და გრძელი კუდი აქვსო. მის ტყავს, როგორც არის იგი ზუნებრივად, მოსასხამში გამოაყარებენო.

და თვით დოზი დაასკვნის: — ეს აღწერა-იმ ცხოველისა, რომელსაც ჩვენ ერმინს ვუწოდებთ, საკმაოდ ზუსტი არისო. ⁷⁹ გვერდი 359.

ერმინ, ჰერმელინ ქართულად არის დ. ჩუბინოვის რუსულ - ქართული ლექსიკონის მიხედვით — გორნოსტაი = ყარყუმი, ყარყუმი, ქაქუმი; ასეთივე თარგმანი განმეორებული აქვს იუსტინე აბულაძესაც რუსულ - ქართულ ლექსიკონში (1927 წ.) და პროფ.

გ. ახვლედიანს თავის ლექსიკონში (1931 წ.). ესე იგი ყარყუმში არის რუსული ენის «გორნოსტაი».

ცნობილი მკვლევარის დოზის ცნობით ვიცი, რომ ჩინეთის დიდებულნი და დიდკაცნი მოხუცადნენ მხოლოდ ისეთ ბეწვეულს, რომელიც მიბმული იყო მათ მანტიაზე, კისერის გარშემო. სპარსელი და ორივე ირავის ვაჟები ამგვარადვე სამურსა (ცე-ბელინ) და ყარყუმს ხმარობდნენ. აქედან გასაგები ხდება, თუ რანი არიან ყარყუმნი უსაპირონი.

«ყარყუმნი უსაპირონი» არიან გორნოსტაის ტყავ-თაგან შეკერილი მოსასხამი. ამ მოსასხამს გორნოსტაების ტყავნი ანუ ყარყუმნი შიგნიდან კი არა ჰქონდა გამოკერილი, ესე იგი, ბეწვეული მოსასხამს სარჩულად კი არ ედო, არამედ, ეს მოსასხამი გარედან მოკული იყო გორნოსტაის ანუ ყარყუმთა ბეწვეულით. და მაშასადამე, «ყარყუმნი უსაპირონი» იყვნენ, საპირედ თვით ყარყუმნი იყო.

ვით ძველნი მწერალნი იტყოდნენ: პირველავე სიტყვასა მოვიდეთ. დავუბრუნდეთ ეტრის ლექსს — გაძრცივლსა ტანაა ემოსნეს ყარყუმნი უსაპირონი (123)

ამ ლექსის განმარტება შემდეგია —

თინათინსო, სამკაულებით მორთულ (გაძრცივლსა) ტანზე ემოსა მეფური წამოსასხამი ანუ მანტია, რომელიც დამზადებული იყო ყარყუმთაგან და ეს წამოსასხამი იყო უსაპირო, ანუ გარედან იყო მხოლოდ ბეწვეული ყარყუმისაო, ყარყუმნი იყვნენ არა სარჩულად, არამედ თვით საპირედ.

მართლაც სამურა (ცებელინ) და ყარყუმნი იხმარებოდა და ახლაც იხმარება მოსასხამისათვის, ან ქურქისათვის. ამგვარა მოსასხამი მეფეთა სამოსელი იყო და ხელისუფლების სიმბოლო.

სამეფო, დიდკაცოა მოსასხამი მზადდებოდა, ან სამურის (ცობელ, სიასანური, სეხელ) ბეწვეულისაგან, ან თაყვის (ბიბერ, თახვი, კასტორ) ტყავისაგან, ან ჰერმელინის (ყარყუმნი, კარკუმი, გორნოსტაი) ბეწვეულისაგან.

რასაკვირველია, ამ ძვირფასი მოსასხამის ქონება ყველას არ შეეძლო, და არც ამისი უფლება იყო, რადგან ასეთი ბეწვეულის ტარება მხოლოდ უმაღლესი წრისათვის იყო ნებადართული. ევროპაში, მაგალითად, როგორც ამბობს გოეტციენგერ, აღნიშნული ბეწვეულის ტარება შუა საუკუნეთა დასასრულამდე არა - კეთილმოხილთათვის ანუ უგვაროთათვის აკრძალული იყო და მისი ტარებისათვის თვით ჰაბსბურგთა ანუ რიტტერ - რიცაროთათვის განსაკუთრებული წესები იყო დადგენილი-ო. ⁸²

«ყარყუმნი» არის გორნოსტაისაგან დამზადებული სამეფო მოსასხამი, — მეფობის სიმბოლო.

7. ძოწი და ძოწეული

სიტყვისა «ძოწი» და «ძოწეული» ახსნა თითქმის ყველა ლექსიკონში ერთნაირა. და ეს ერთნაირი განმარტება გადმოდას ს. ს. ორბელიანის ლექსიკონიდან.

ს. ს. ორბელიანი ამბობს — ძოწი არის მსგავსა რამე მდელსა ჯენუას (ჯენუის) ზღვასა შინა, ვითარცა შელის რქანი, ბროწეულის ყვავილის ფერი, არამედ შავი და თეთრიც იპოვების. რა სიღრმით (ზღვიდან) ამოიღებია, უმაგრეს იქმნების ყოვლთა ქვათა. კრიალესენად (კრიალოსანი) მრავალ სახმარ არს (კოროლიონ). ძოწეული — ძოწის ფერი.

მაშასადამე, ს. ს. ორბელიანის თქმით, ძოწი არის კორალიონ, ანუ კორალი, რომელსაც აგრეთვე მარჯანი, წითელი მარჯანი ეწოდება.

დ. ჩუბინაშვილი თავის რუსულ - ქართულ ლექსიკონში (1903 წ.) ამბობს — პურპური — მეწამული; ჯიგრის ფერი. კორალ — მარჯანი, ძოწი.

პროფ. ნიკო მარის განმარტებით, ძოწი არის — კორალ. ძოწეული — კორალლოვია, რუბინოვია, ბაგრაძიანია. ⁸³

პროფ. ი. აბულაძის ახსნით, ძოწი არის წითელი ლალი, თვალი პატროსანი; აქედან ძოწეული. (შაპინამეს ქართული ვერსიები. თბილისი, 1916. გვერდი 842). მაგრამ იგივე ი. აბულაძე, უნივერსიტეტის მიერ გამოცემულ ეტრ-ში ამავე სიტყვას «ძოწი» ასე განმარტავს: ძოწი — წითელი მარჯანი.

ბ. სარგის კაკაბაძე ფიქრობს, ძოწი წითელი მარჯანი არისო (მის მიერ გამოცემული ეტრ, თბილისი, 1927 წ.).

პროფ. ა. შანიძის, ალ. ბარამიძის და ილია აბულაძის მიერ გამოცემულ ქრისტომატიკაში — ძველი ქართული მწერლობა — (თბილისი, 1946 წ.) ეს სიტყვა «ძოწი» ასეა განმარტებული — წითელი მარჯანი.

მარჯორ უორდროპი, მის მიერ ინგლისურად ნათარგმნ ეტრ-ში ძოწის ნათარგმნის სიტყვით «კორალ» (შაირი 465, 520, 837, 932 და სხვა).

პროფ. რიჰარდ მეკელიანს თავის ქართულ - გერმანულ ლექსიკონში სიტყვა «ძოწი» ასე აქვს გადართარგმნილი, ძოწი — პურპური (ბერლინი, 1928 წ.).

მაშ რა არის ძოწი? არის იგი თვალი პატროსანი კორალი ანუ მარჯანი? არის იგი ლალი? არის იგი რუბინი? არის იგი მეწამული? არის იგი პურპური? კორალი ანუ მარჯანი? არის იგი მარჯანი, მეწამული (წითელი კორალი (წითელი მარჯანი), მეწამული (წითელი კორალი (წითელი მარჯანი), რუბინი (წითელი ფერი), ლალი (წითელი ფერი), რუბინი (წითელი ფერი), პურპური (წითელი ფერის), ყველა წითელ ფერს გამოხატავს და ეს საკითხი სადავო არაა.

სადავო არის, თუ რა არის თვით «ძოწი» და «ძოწეული»!

საკითხის გამოსარკვევად ქართულ ბიბლიას უნდა მივუბრუნდეთ, და იგი სხვა ენათა ბიბლიას შევადაროთ.

ქართულ ბიბლიაში სიტყვას «ძოწეული» ეხვედებით არა ერთჯერ —

გამოსლვათა 25,4 იაკინთე და ძოწეული, და მეწამული მრჩობლი და ბისონი, ძახილი თმამ თხასამ თუ ამ ადგილს სხვა ენათა ბიბლიის ამავე ადგილს შევადარებთ, ენახათ —

ბერძნულად არის იაკინთე — კიანოა; ძოწეული — პორფირა; მეწამული — კოკინოს; ბისონი — ბისოს. (მრჩობლი = ორმაგი; ძახილი = დაგრებილი; ძახა = მეორე ძაფის შესთვა. სთვა = ძაფთ გრება. ს. ს. ორბელიანი).

ლათინურად არის იაკინთე — პიაკინტემ; ძოწეული — პურპურა; მეწამული — კოკინუს; ბისონი — ბისუს.

ფრანგულად არის იაკინთე — (პ)იასინტი; ძოწეული — პურპრ (პურპურა); მეწამული — ეკარლატი; ბისონი — ფენ ლენ (ნაზი ტილო)

გერმანულად არის იაკინთე — ბლაუერ პურპურ (ლურჯი პურპურა); ძოწეული — როტერ პურპურ (წითელი პურპურა); მეწამული — შარლაპ; ბისონი — კოესტლიპე ვაისე ლაინვანდ (ძვირფასი თეთრი ტილო)

ინგლისურად არის იაკინთე — ბლავუ (ლურჯა); ძოწეული — პურპლ (პურპურა); მეწამული — სკარლეტი; ბისონი — ფაინ ლაინენ (ნაზი ტილო); რუსულად არის იაკინთე — გოლუბოი; ძოწეული — პურპუროვი; მეწამული — ჩერვლენი; ბისონი — ვისონ

სომხურად არის ძოწეული — წირანი; მეწამული — ოსკენედ; ბისონი — ბეკელო

სირიულად არის ძოწეული — არგუნო; მეწამული — ზლურითო; ბისონი — ბუსო

(სომხურისა და სირიულის შესახებ ცნობის მოწოდებისათვის მამა მიქელ თარხნიშვილს მადლობას მივუძღვნებ).

არაბულად არის იაკინთე — ესმანჯონ; ძოწეული — ენეუვან (ენჯუვან); მეწამული — კურმეზ (სპარსულ - ქართული — ყირმიზ = წითელი); ბისონი — ბოს

გამოსლვათა 26,1 და კარაიე ჰქმენ ათ ეზოდად ზეზისაგან ძახილისა, და იაკინთისა, და ძოწეულისა და მეწამულისა, გრეხილისა, ქერობინად საქმიათა ქსოილთა ჰქმენ იგი

ბერძნულად არის ზეზი — ბისონ; იაკინთე —

კიანონ; ძოწეული — კიანონ; მეწამული — კოკინოს

ლათინურად არის ზეზი — ბისუს; იაკინთე — პიაკინტემ; ძოწეული — პურპურა; მეწამული — კოკინუს

ფრანგულად არის ზეზი — ფენ ლენ (ნაზი ტილო); იაკინთე — იასინტი; ძოწეული — პურპრ და მეწამული — ეკარლატი

გერმანულად არის ზეზი — ვაისე ლაინვანდ (თეთრი ტილო); იაკინთე — ბლაუერ პურპურ (ლურჯი პურპურა); ძოწეული — როტერ პურპურ (წითელი პურპურა); მეწამული — შარლაპ

ინგლისურად არის ზეზი — ფაინ ლაინენ (ნაზი ტილო); იაკინთე — ბლავუ (ლურჯი); ძოწეული — პურპლ (პურპურა); მეწამული — სკარლეტი

რუსულად არის ზეზი — ვისონ; იაკინთე — გოლუბოა; ძოწეული — პურპუროვი; მეწამული — ჩერვლენი

გამოსლვათა 26,81 და ჰქმენ კრეტსაბმელი იაკინთისაგან და ძოწეულისა და მეწამულისა ძახილისა, ზეზისაგან სთულასა

(კრეტსაბმელი = კარის ფარდაგი, ფარდა. ს. ს. ორბელიანი).

იაკინთე — ბერძნულად: კიანონ; ლათინურად — პიაკინტემ; გერმანულად — ბლაუერ პურპურ; ფრანგულად — იასინტი; ინგლისურად — ბლავუ; რუსულად — გოლუბოა

ძოწეული: ბერძნულად — პორფირის; ლათინურად — პურპურა; გერმანულად — როტერ პურპურ; ფრანგულად — პურპრ; ინგლისურად — პურპლ; რუსულად — პურპუროვი

მეწამული: ბერძნულად — კოკინოს; ლათინურად — კოკინუს; გერმანულად — შარლაპ; ფრანგულად — ეკარლატი; ინგლისურად — სკარლეტი; რუსულად — ჩერვლენი

ზეზი არის ბერძნულად — ბისონ; ლათინურად — ბისუს; გერმანულად — ვაისე ლაინვანდ (თეთრი ტილო); ფრანგულად — ფენ ლენ; ინგლისურად — ფაინ ლაინენ; რუსულად — ვისონ

(ძახილი არის გერმანულად ' გეცვიგნტი დაგრეხილი; ინგლისურად — ტეიდა; ფრანგულად — რეტორ; რუსულად — კრუჩენი; სთული — ძაფი შეგრეხილი; სთვა — ძაფთ გრება).

გამოსლვათა 26,86 და ჰქმენ ეზო იაკინთისაგან, და ძოწეულისა, და მეწამულისაგან, ძახილისა, და ზეზისაგან შესთულასა, ქმნული კრელად

ძოწეული: ბერძნულად — პორფირა; ლათინურად — პურპურა; გერმანულად — როტერ პურპურ; ფრანგულად — პურპრ; ინგლისურად — პურპლ; რუსულად — პურპუროვი

ასე და ამგვარად, გამოსლევთა წიგნში ძოწეული დასახელებულია შემდეგ თავ - მუხლში — 27,9; 27,16; 28,5(6); 28,8; 28,15; 28,33; 31,4; 35,6; 35,25; 35,35; 36,8(9); 36,11; 36,15; 36,29; 36,32; 36,35; 36,37; 39,9.

ყველგან აქ სიტყვისათვის «ძოწეული» იხმარება ბერძნულად — პორფირის; ლათინურად — პურპურა; გერმანულად — როტერ პურპურ; ფრანგულად — პურპრ; ინგლისურად — პურპლ; რუსულად — პურპუროვი.

მაშასადამე: ძოწეული არის პორფირა ანუ პურპურა.

ჩუნდა აღინიშნოს, რომ ქართული ბიბლიის გამოსლევთა წიგნის შემდეგ თავ-მუხლში: 36,11; 36,15; 36,29; 36,32 — დასახელებულია «ძოწეული», ოღონდ არც ბერძნულ, ლათინურ, გერმანულ, ფრანგულ, ინგლისურ და არც რუსულში აქ ეს სიტყვა არ იხმარება. ქართული ბიბლიის ეს ადგილები ან ცუდი თარგმანია, ან შერყენილია.

ქართული ბიბლიის მეორე წიგნში ნეშტთა (პარალიპომენონ, კრონიკ), თავში 2,7; 2,14; 8,14 სიტყვისა ნაცვლად «ძოწეული» ნახმარია სიტყვა «პორფირი», მაშინ როცა დანარჩენ ენათა ბიბლიაში ისევ ჩვენთვის უკვე ნაცნობი სახელებია გამოყენებული: ბერძნულად — პორფირის; ლათინურად — პურპურა; გერმანულად — როტერ პურპურ; ფრანგულად — პურპრ; ინგლისურად — პურპლ; რუსულად — პურპუროვი.

შემდეგ, სიტყვა «ძოწეული» იხმარება წიგნში რიცხვთა 4,8; 4,18; 4,14 და მერმე: მსაჯულთა 8, 28 სამოსლისა ძოწეულისა; აქ ბერძნულ ბიბლიაშია — პორფირი; ლათინურში — პურპურა; გერმანულში — პურპურ; ფრანგულში — ეკარლატ; ინგლისურში — პურპლ; რუსულში — პურპუროვი.

იგავნი სოლომონისანი 31,22 ხოლო ბისონისაგან და პორფირისა თავისა თვისისა სამოსელი

ბერძნულად — პორფირა; ლათინურად — პურპურა; გერმანულად — პურპურ; ფრანგულად — ეკარლატ; ინგლისურად — პურპლ; რუსულად — პურპურ

ქება ქებათა 4,8 ვითარცა საბელი ძოწეული ბაგენი შენნი

ძოწეული — გერმანულად — შარლახ; ფრანგულად — ეკარლატ; ინგლისურად — სკარლეტ; რუსულად — ალაა (წითელი).

ძოწეული დასახელებულია აგრეთვე ესაიას წიგნში 1,18(19); 8,28; 10,9.

ძოწეული მოხსენებულია კიდევ იერემიას წიგნში 4,80; 10,9; გოდება იერემიასი 4,5. ეზეკიელი 27,7; და ეზეკიელი 27,18 — ორივე მუხლში იხმარება სი-

ტყვა «პორფირი» «ძოწეული» ნაცვლად.

ამგვარად, ქართულ ბიბლიაში, მის ძველ აღთქმაში, თითქმის ყველგან იხმარება უმთავრესად სიტყვა «ძოწეული» და იგი არის სხვა ენათა ბიბლიაში — პორფირი ანუ პურპურა.

ახალ აღთქმაში სიტყვა «ძოწეული» ნახმარია: — ლუკა 18,10 კაცი გინმე იყო მდიდარი, და იმოსებოდა ძოწეულითა და ბისონითა

ძოწეული: ბერძნულად — პორფირა; ლათინურად — პურპურა; გერმანულად — პურპურ; ფრანგულად — პურპრ; ინგლისურად — პურპლ; რუსულად — პორფირა.

მარკოსი 15,17 და შეკმოსეს მას ძოწეული მარკოსი 16,20 განსძარცვეს მას ძოწეული იოანე 10,2 სამოთხელი ძოწეულისა შეკმოსეს მას იოანე 10,5 ძოწეული სამოსელი

საქმენი მოციქულთა 10,14 და დედაკაცი ერთი... ძოწეულის მოფარდული (მოვაქრე)

ყველგან აქ: ძოწეული არის ბერძნულად — პორფირა; ლათინურად — პურპურა; გერმანულად — პურპურ; ფრანგულად — პურპრ; ინგლისურად — პურპლ; რუსულად — ბაგრამანიცა

გამოცხადება იოანესი (აპოკალიპსის) 17,4 ღედაკაცსა მას ემოსა პორფირი და ძოწეული

აქ ისე სჩანს, თითქო «პორფირი» და «ძოწეული» სხვა და სხვა ფერის ქსოვილი იყოს. სხვა ენათა ბიბლიაში ეს სიტყვა «პორფირი» ნათარგმნია სიტყვით: პურპურა, — ხოლო «ძოწეული» ნათარგმნია სიტყვით — კოკკინოს, კოკკინუს, შარლახ, ეკარლატ, სკარლეტ, ბაგრამანიცა. — იგივე მოკლენა განმეორებულია ამავე წიგნის 18,12; 18,16. ხოლო შემდეგ თავში 10,8 სწერია: და მიეცა მას შეიმოსოს ძოწეული წმიდა და ბრწყინვალე, რამეთუ ძოწეული სიმართლენი წმიდანი არიან

ამ ადგილზე, უეჭველია, შეცდომაა, ან თარგმანის ან ბეჭდვითი, რადგან არც ერთ ბიბლიაში აქ პურპურა არა არის, არამედ დასახელებულია «ბისონი».

იქ, სადაც «პორფირი» და «ძოწეული» ერთადაა დასახელებული (და ამისი მაგალითი გვაქვს იოანეს გამოცხადებაში), თარგმანი არის ცუდი. იოანეს გამოცხადების მთარგმნელმა არ იცოდა, (იქნებ ტყუილად ვდებ მას ბრალს და ესაა გადაწერითი, ან ბეჭდვითი შეცდომა?), რომ ქართული «ძოწეული» სწორედ ბერძნული «პორფირა» იყო. ჩემი მტკიცების სისწორე ცხადდება ევროპიულ ენათა ბიბლიის თარგმნით: სიტყვა «პორფირი» ყველგან ნათარგმნია სიტყვით «პურპურა», ხოლო სიტყვისა «ძოწეული» ნაცვლად იხმარება სიტყვა: «შარლახ, ეკარლატ, სკარლეტ», რაც, როგორც ზემოდ ენახეთ და დარწმუნდით, არის ქართული «მეწამული».

მაშასადამე, გამორკვეულად უნდა ჩაითვალოს და უდავოდ უნდა აღიარდეს, რომ «ძოწეული! არის აპურპურა» ანუ «პორფირა».

X

ახლა გამოსარკვევა, თუ რა არის ეს პურპურა. ერთი უძველესი ბერძნული თქმულება გავიხსენოთ, რომელს ანტუან გოგე გვაცნობებს. 84.

პერკულესი მოხიბლა ტიროსმა. ამ დიაცის ძაღლმა ერთ დღეს ზღვის ნაპირზე ერთგვარი ლოკოკინა ანუ ლოფორთქინა ვატკლიცა და შეთქვიფა; ტიროსის ძაღლს მთელი პირი წითლად შეეღება, და ეს ტიროსმა შეამჩნია. მას ეს წითელი ფერი (პურპურა) ისე მოეწონა, რომ პერკულესს უთხრა: — თუ შენ ამ პურპურით შეღებულ სამოსელს არ მომართმევ, თვალთ ალარ დამენახო. პერკულესმა შეაგროვა ზღვის ლოკოკინები ანუ ლოფორთქინანი, გამოიღო მათგან წითელი წვენი, შეღება მით სამოსელი და იგი თავის სატრფოს მიაჩრთა.

ამ თქმულებიდან ირკვევა, რომ პურპურა არის წვენი, რომელს ზღვის ლოკოკინისაგან ანუ ლოფორთქინისაგან ანუ ლოქოროსაგან ღებულობდნენ. ეს წითელი ფერი პურპურა ანუ პორფირა, ანუ ქართული ძოწი იყო ის საღებავი, რომლითაც სამოსელს ღებავდნენ და ამ სამოსელს პურპურა ანუ ძოწეული ეწოდებოდა. ეს იყო ძვირფასი ქსოვილი, რომლის ტარება მხოლოდ განსაკუთრებულ პირთ შეეძლოთ. პომპროსის გმირები პურპურას იცვამდნენ; პურპურას ატარებდნენ ებრაელთა მღვდელმთავარნი და წმიდა საგნებს პურპურას გადაფარებდნენ ხოლმე; ბაბილონელთა ღმერთთა კერპებს პურპურით მოსავდნენ, და ეს წესი სხვა წარმართ ხალხთა შორისაც იყო გავრცელებული; ფინიკიელთა მეფემ, როდესაც მას პირველად პურპურა მიაჩრთვეს, იგი სამეფო სამოსელად აღიარა. პომპროსის ცნობითაც, პურპურას ხმარობდნენ მხოლოდ დიდი კაცები და მეუფენი; პლუტარხოსის გადმოცემით, ალექსანდრე მაკედონელმა როცა სპარსეთის მეფის საუნჯე ხელთ იგდო, მან იქ დიდძალი პურპურა ნახაო. და სხვა და სხვა. (იქვე, გვ. 87 და მიმდევნო).

რა გვარი იყო ეს ზღვის ლოკოკინა ანუ ლოფორთქინა, რომლისაგან მიღებული წვენით ქსოვილთ ღებავდნენ? — თუ ბერძნულ ლექსიკონში ჩავეხედავთ, ვნახავთ: — პორფირა არის ლოფორთქინა, რომლისაგან წითელ საღებავს ღებულობდნენ. ესაა სახელი ზღვის განსაკუთრებული ლოკოკინისა, ევროპიულ ენებში შეუღლია, ვით პურპურა, პურპრ, პურპლ, პორფირა. სიტყვა პორფირეოს არის — შეღებილი წითლად. პორფირის — სამოსელი, წითლად შეღებილი. პორფიროგენეტოს — დაბადებული პორფირაში. 85. რპერატორის ახლად დაბადე-

ბულ შეიღოს პორფირაში ახვევდნენ ხოლმე; ეს იყო მეფობის ნიშანი.

მაშასადამე, პორფირა ანუ წოდებული არის სამოსელი, რომელიც ზღვის ლოკოკინის გვარის — პურპურიდაც ანუ პორფირასაგან მიღებული წითელი წვენით ღებავდნენ.

X

ჩვენ უკვე ვიცით ქართულ და უცხო ენებზე ნათარგმნი ბიბლიის შემადგენელ წიგნებში მოხსენებული სახელები სამოსელთა და მათ ფერთა. საკიროა ახლა გავივოთ მათი რაობა.

ჩვენთვის საინტერესო საკითხთა შესახებ ინგლისურ «ენსიკლოპედია ბიბლიკა»-ში ვკითხულობთ შემდეგს — 86.

ძველ აღთქმაში პურპურის ორი ფერია მოხსენებული: 1) არმაგან, და 2) ტეკელეთ.

არმაგან (მუქი წითელი) ნათარგმნია ინგლისურად სიტყვით — პურპლ (პურპურა); ტეკელეთ — ბლაუ (იისფერი ლურჯი). ეს ორი სახელი ბიბლიაში ხშირად ერთად გვხვდება. — პურპურის ანუ ძოწეულის წვენის კეთება ფინიკიაში უწინდელი შორეული ხანისა უნდა იყოს; ძველთა გადმოცემით: ამ წითელი ფერის გამოგონებულად ფინიკიელებს სთვლიდნენ. ამ წითელ ფერს ფინიკიელნი ღებულობდნენ წითელი ფერის მომცემ განსაკუთრებულ ზღვის ლოკოკინათაგან, სახელით, მურეკს, რომელთა ნაჭუჭების ნაშთს ქალაქ ტვიროსის მიდამოებში ახლაც პოველობენ, და ქალაქ სიდონის განათხარში მონახეს ის საწნახელი, რომელშიაც ამ წითელ ფერს ამზადებდნენ. ამ ლოფორთქინათა ცხოვრებას არე იყო სამხრეთი იტალიის ნაპირები, ლაკონია, ეურუს; მცირე აზიაში — კარია; აფრიკაში — კუნძულ მენენიკს, გაეტულიან ნაპირნი და თვით ფინიკია. 87. ის ადგილები ზღვისა, სადაც წითელი ფერის მომცემ ლოფორთქინას იჭერდნენ.

გაპაციკირი არაა, ნათქვამია იქვე (გვერდი 3983), რომ ამ ძვირფას საღებავზე დიდი მოთხოვნილება იყო საკურთხეველთა და წმიდა საგანთა შემკულობისათვის; პურპურას ანუ ძოწეულს ატარებდნენ მღვდელნი ყველა სარწმუნოებისა: ჰიერაპოლისის მსახურნი სირიაში; ზევესისა — მაგნესიაში; პერკულესისა — ტარრუსში, და რომაელნი აუგურნი.

ლურჯ პურპურას უფრო წმიდა საგნებისათვის ხმარობდნენ (იქვე, წიგნი მესამე, გვ. 3984).

ახალ აღთქმაში უფრო იხმარება სიტყვა «პორფირა», რაც იგივე პურპურა ანუ მეწამული არის (იქვე, გვერდი 869).

სკარლეტ ანუ მეწამული, ებრაულად არის შან, სიტყვა, რომელი წარმოშობილი უნდა იყოს არაბული სიტყვისაგან «სანა», რაც ნიშნავს — ბრწყინვა-

ლე, ელვარე; ასირული — «შინიტუ», წითლად შეღებილი სამოსელი. მისი ბერძნული სახელია — კოკკინოს; ეს სახელი კოკკინოს წარმომდგარია ერთი მწერის სახელისაგან, რომელსაც ჰქვია კოკკუს. სიტყვისა «სკარლეტ» შესატყვისია მეორე ინგლისური სიტყვა «კრიმსონ». კრიმსონ და სკარლეტ შეღებილი არიან იმ ფერით, რომელსაც ამზადებდნენ დედალი მწერის (კოკკუს ილიციის) ტანისაგან. კოკკუს ილიციის არის ჰომოპტეროსული მწერი, რომელი კოკკიდაეს-ის ოჯახს მიეკუთვნება; ამ დედალი მწერის ტანთ აგროვებდნენ, ახმობდნენ და მერმე საღებავ ფერს მისგან ამზადებდნენ, და მას ერქვა კოკინეალ, ლაკ და კრიმსონ ან სკარლეტ, მაგრამ უფრო მიღებული იყო სახელი კოკკინოს, რომელიც წითელი ფერის საღებავს აღნიშნავდა ძველ აღთქმაშიო. — ძველ მწერლობაში ხშირად სიტყვისა მაგიერ «კოკკუს» იხმარებოდა სიტყვა «კერმეს» (სკარლეტ), შემდეგ ხანაში კი ხმარობდნენ აგრეთვე სიტყვას «კარმილ», რომელიც წარმოშობილი უნდა იყოს სპარსულისაგან «ყირმ» (კირმ) და უნდა ენათესაებოდეს სიტყვას «კრიმსონ», კარმინ. უფრო სწორი უნდა იყოს ის მოსაზრება, რომ არაბული და სპარსული სიტყვა ყირმუზ (გაქართულებული — ყირმიზი) ამ სიტყვებს საფუძვლად უნდა ედოსო — კარმესინუს და კრიმსონ. — ყველა ეს სიტყვა ნიშნავს — წითელი. (იქვე, წიგნი 1. გვ. 956).

მაშასადამე: ძოწეული არის პორფირა ანუ პურპურა. ძოწეული არის სამოსელი, რომელიც ლოფორთქინისაგან მიღებული წვენით იღებება. მაშასადამე, ძოწი არის ის წითელი ფერი, რომელსაც სხვა და სხვა ლოფორთქინა, მაგრამ ერთი ოჯახია — პურპურიდაეს — იძლევა.

როგორც ვნახეთ, ქართულ ბიბლიაში სიტყვით «ძოწეული» ნათარგმნია უმრავლეს შემთხვევაში სიტყვიანი «კრიმსონ» და «სკარლეტ» ერთნაირად, და მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში სიტყვებით — ძოწეული და პორფირა.

რამდენადაც ცნობილია, ძოწეულის ანუ პორფირის კეთება ფინიკიელებმა შემოიღეს, ანუ როგორც ამბობს ბოდრიარ: პურპურა თავის გამოჩენას ფინიკიელთ უნდა უმადლოდესო. ⁸⁷.

ეგვიპტეში, ბაბილონში, ებრაელთა ქვეყნებში, ასირიაში, საბერძნეთში (პელადა), რომში, სხვაგან პურპურა იყო მღვდელმთავართა, მეფეთა და დიდებულთა სამოსელი.

ქსოვადი მრეწველობა ანუ ტექსტილის ინდუსტრია, — ამბობს აკადემიკოსი ფრანს კაუმონ, — ყველაზე უმნიშვნელოვანესი იყო ეგვიპტის სამეფო-

ში, ლავიდების ხანაში (363 — 47 წ.წ. ქრისტეს წინ) ეგვიპტეში უუძველესი და უხსოვარი დროიდან იკოდნენ სთვა და ქსოვა ტილოსი. ეგვიპტელების მღვდელთა სამოსელა იყო თეთრი და მქსოველნი განთქმული ნაზი სვლისაგან ტილოს კეთებას მისდევდნენ. მაგრამ მატყლით ქსოვაც განვითარებული იყო და ამისათვის აშენებდნენ ცხვართა დიდ ფარას სირიის ნაწილშიდაცო. ეგვიპტური ქარხნები იძლეოდნენ არა მარტო ჩვეულებრივ ქსოვილთ, არამედ ფუფუნების ქსოვილთაც, რომელთა ფერი მრავალი იყო, და მუდამ სცილობდნენ ფერთა მრავალწაირობას მიეღწიათო. ყველაზე უფრო მოწონებული და საძებარი იყო ამ ფერთა შორის პურპურისა, რომელსაც იძლეოდა ფინიკური ლოფორთქინები (პორფირობაფიან, პორფიროპოლას); ალექსანდრიაში შემოიღეს სხვა და სხვა ფერით ერთი ქსოვილას შეღებვა და მრავალფერობა; ამგვარ ქსოვილს (პოლიმიტა) ეტოქებოდა ნემსით კერილი და სახეებით და სურათებით ნაქარგი ქსოვილიო (ზოოგრაფოს ეპლოვმარიოვს) ⁸⁸.

იგივე მრეწველობა განვითარებული იყო შემდეგ, ბიზანტიაშიც.

ბიზანტიაში უკვე მეხუთე საუკუნედან არსებობდა ამქარი მღებართა, რომელთაც ეწოდებოდათ მურღეგული, კონხილიღეგული. თვით ამ სახელთაგან სჩანს, რომ ესენი იყვნენ მღებავნი და მუშევი ძოწეულის დამზადებას საქმეში. მათი მუშაობის და ხელოსნობის შესახებ განსაკუთრებული კანონებიც ქვეყნდებოდა. ძველთაგან, — ამბობს პროფ. ლუი ბრეაერ, ძოწის წვენს ღებულობდნენ ლოკოკინისაგან მურეკს, რომელთაც აგროვებდნენ ლაკონიის და სირიის სანაპიროებზე ზღვაში; ეს იყო ნამდვილი საღებავი ძოწეულისა; მაგრამ ამასთანავე ხმარობდნენ წვენს მცენარეთაგან მიღებულსაც და კონხინელს, რომელიც აღმოსავლეთიდან შემოჰქონდათ; მეათე საუკუნეში მღებრობამ თავის უმადლეს წერტილს მიაღწია და ნამდვილ ხელოვნებად გარდაიქცა, — ამზადებდნენ არა მარტო ძირითად ფერებს, არამედ მათ იერთაც; მაგალითად, ვარდის ფერის ოთხ იერს; ჰმაძვდნენ ხილთა ფერს — ატამისა, მსხალისა, უმწიფარი ვაშლისა, ლიმონისა და სხვა. ფერი იყო ხან ღრმა, ცოცხალი, ფიცხი, ხან ნახევარ მქრქალი. ⁸⁹.

ებრაელთა კოლონია, რომელიც ცხოვრობდა თებესში (საბერძნეთი) ნეთორმეტე საუკუნეში კიდევ განაგრძობდა ძოწით მღებრობას, მაგრამ შემდეგ ინდიგოს საღებავებმა და მათმა იაფობამ ეს ძვირფასი მრეწველობა გაანადგურაო, — ამბობს ჯონ კიტტო. ⁹⁰.

მაშასადამე, გამორკვეულად უნდა ჩაითვალოს —

ძოწი არის ზღვის ლოკოკინისაგან ანუ ლოფორთქინასაგან მიღებული წვენიის ფერი — წითელი.

ამ ლოკოკინათა სახელი არა ერთია. — მურექს, პურპრ, მურეკს ბრანდარის, მურექს ტრუნკულუს, კონხლიო და სხვა. ⁸¹.

X

დაუებრუნდეთ იმ სახელს, რომელსაც ჩვენი დიდი ლექსიკოგრაფოსა ს. ს. ორბელიანი აღნიშნავს. იგი ამბობს: — ძოწი კორალი არისო. — უეჭველია, სახელი კორალი მან ლათინ ბერებისაგან ისწავლა, რომელნიც მაშინ საქართველოში იმყოფებოდნენ, და ამით ის შეცდომა ჩაიდინა, რომ ძოწი კორალად გამოაცხადა.

ს. ს. ორბელიანი ამბობს — კოროლიონ — ფრანგულად კორალო, ძოწსა ჰქვიან. ძოწეული — ძოწის ფერი. ძოწი — კორალიონ.

იგი, როგორც უკვე მოვიხსენეთ, განმარტავს — «ძოწი არს მსგავსი რამე მდელოსა ჯენუას ზღვასა შინა, ვითარცა შელის რქანი, ბროწეულის ყვავილის ფერი, არამედ შავი და თეთრიც იპოვების. რა სიღრმით ამოიღების, უმაგრეს იქმნების ყოელთა ქვათასა-ო (კორალიონ)».

ამ კორალის შესახებ ლაპარაკობს აგრეთვე არაბი აჰმედ-ბენ-აჟუსუფ ალ-ტიფაჟი (მეცამეტე საუკუნე), რომელსაც ეკუთვნის თხზულება თვალთა პატაოსანთა შესახებ —

«კორალი არის მცენარე, რომელი ნებთა ღმრთოსათა, დიდება მის სახელს, იზრდება ზღვაში. როდესაც მას ზღვიდან ამოიღებენ, იგი ქვადება... და წითელ ფერს ღებულაბს»-ო. ^{81.ა}.

ევროპიულ ენათა სიტყვა — კორალე, კორალ, კორაჟ — წარმომდგარია ბერძნულისაგან — კორალიონ. ეს კორალი მოიპოვება ზღვაში, შტოთა თუ რტოთა სახით, და ამიტომ უკანასკნელ ხანამდე, იგი მცენარე ეგონათ. მხოლოდ მეთერამეტე საუკუნის დასასრულს და მე-19 საუკუნეში საბოლოოდ დამტკიცდა, რომ კორალი არის ერთი ცახე ცხოველი, კალკერის ბუნებისა. ეს მცირე ცხოველნი ერთად ცხოვრობენ და მათი თავყრილობისაგან შტოთა მსგავსი ნაგებობანი ჩნდებიან. კორალის ფერია: წითელი, ვარდის ფერი და თეთრი. იგი მოიპოვება უმთავრესად ზღვის ისეთ ადგილებში, სადაც წყალი არის მშვიდი და წყნარი, იტალიის ნაპირებთან, და განსაკუთრებით ალკირის სანაპიროებზე და აგრეთვე წყნარ ოკეანეში. ზღვაში ჩაყურყუმალებით მეთევზეთ ანუ კორალის მომპოვებელთ ამოაქვთ იგი. ნაპირზე გამოტანისათანავე კორალი ხმება და ქვად იქცევა. კორალი ცნობილი იყო ძველ დროშიც და მას შემკობილობისათვის ხმარობდნენ, აგრეთვე გამოყენების მიზნითაც — ავი თვალის წინააღმდეგ. ⁸².

სიტყვა «კორალ» ნახსენებია ებრაულ, ბერძნულ, ლათინურ და ახალ ევროპიულ ენათა ბიბლიაში. იობის 28,17 (18) და ეზეკიელის წიგნში 27, 16. იობი 28,17 აღმატებული და მარგალიტი არა მოიხსენოს

აქ სიტყვა «კორალი» არ არის, მაშინ როცა აქ ბერძნულად არის — კორალიონ; ინგლისურად — კორალ, ფრანგულად — კორაი, გერმანულად — კორალდე, რუსულად — კორალდ.

ხოლო ქართულ ბიბლიაში სიტყვა «კორალ» ნათარგმნია სიტყვით «აღმატებული».

უსათუოდ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქართული თარგმანი სიტყვისა «კორალ» სიტყვით «აღმატებული» ზედმიწევნით სწორია და ზუსტი. ებრაული სიტყვა «რამმოთ» სიტყვისათვის «კორალ» ნიშნავს: «ამაღლებული» (აღმატებული). ⁸³.

ეზეკიელი 27,160 ყველა ენის ბიბლიაში აქ დასახელებულია «კორალი», ხოლო ქართულ ბიბლიაში ეს სიტყვა «კორალი» არ მოიპოვება, არც სიტყვა «აღმატებული». ამ ადგილის ქართული თარგმანია შემდეგი: ვაქართა შენტა სიმრავლისაგან შემყოფისა შენისა შტახსი და პორფირი და ბისონი დაჭრელებულნი თარშით, და რამოთი და ხორხორით მოსცენეს საფარდულსა შენსა...

შტახსი არის სმარაგდონი, სმარაგდ; პორფირი — ძოწეული; ბისონი — ზეზი; რამოთ — კორალ; და ხორხორი ნათარგმნია სხვა და სხვა ნაირად — ფრანგულად — აგატ; გერმანულად — კრისტალდე; ინგლისურად — აგატ; რუსულად — რუბინ.

აქ ჩვენთვის საინტერესოა, რომ ეზეკიელის წიგნის ქართველი მთარგმნელი სიტყვას «კორალ» კი არ თარგმნის, როგორც იობის წიგნის მთარგმნელი სიტყვით «აღმატებული», არამედ სიტყვებს გადაუთარგმნელად ებრაულ სიტყვას «რამმოთ».

თვით ებრაულ წიგნში ეზეკიელისა სიტყვისათვის «კორალ» იხმარება სიტყვა «რამმოთ». ⁸⁴.

ბერძნულ ბიბლიაში შტახსი არის — სმარაგდონ; პორფირი — პორფირი; ბისონი — ბისონ; რამმოთ — კორალიონ; და ხორხორი — ახატენ (აგატ).

აქედან დასკვნა: ქართულ ბიბლიაში სიტყვა «კორალ» ნათარგმნია სიტყვით «აღმატებული» და ნახმარია ებრაული სიტყვა «რამმოთ». ქართული ბიბლიის მთარგმნელნი შესანიშნავად იცნობდნენ ქართულ სიტყვას «ძოწი» და რომ «კორალი» «ძოწი» ყოფილიყო, უეჭველია: ამ სიტყვას ამ თარგმანში გამოიყენებდნენ.

აქედან კიდევ დასკვნა: ს. ს. ორბელიანი სცდებოდა, როცა ამბობს — ძოწი კორალი არისო.

X

ს. ს. ორბელიანი რამ გაუგებრობით «ძოწს» და

აქვე «კორალი», იქედანაც სჩანს, რომ მას კარგად სცოდნია, თუ რისაგან მზადდებოდა ძოწის ფერი. მან კარგად იცის, რომ პორფირი იღებება ლოფორ-თქინის წვენით, რადგან იგი შემდეგ განმარტებას იძლევა —

ლოფორთქინა — ლოკოკინა, ლოქორა; — ლოქორა — ზღვის ლოფორთქინი.

კონქლიო — მსგავსი არს ლოფორთქინისა, რომლისა სისხლით იტყვიან პორფირის შეღებვასა

კონქლიო — კონხლიო

კონქეთი — იგივე კონქილიო

კონხლიო — იგივე კონქლიო

კოხლიო — კონხლიო

კოხლიო — ცხოელია, რომლისა სისხლითა მეწამელად (მეწამული — სისხლის ფერი, არღვენის ფერა) შეღებენ პორფირის ფერად.

პორფირი — სისხლის ფერი

ომიდი — კონხლიოსავეთ არის.

ეს სიტყვა კონხლიო ბერძნულ - ფრანგულ ლექსიკონში ნათარგმნია ასე -- კოხლიოს — ესკარგო, ლიმასონ (ლოკოკინა, ლოქორა).

მაშასადამე, ს. ს. ორბელიანს სცოდნია, რომ პორფირი (ძოწეული) შეღებილია სისხლით ლოკოკინისა, რომელსაც ეწოდება კონხლიო.

მაგრამ საქარაა აქვე აღინიშნოს შემდეგი: —

ძოწეული იღებება არა ლოფორთქინის სისხლით, როგორც ეს ჩვეულებრივ პგონიათ, არამედ იმ განსაკუთრებული წვენით, რომელს ეს ლოკოკინა ზღვისა ამზადებს იმ მცირე ხერელში, რომელიც მოთავსებულია თავსა და ლეიძლს შორის. აქ არის მეტად მცირე ოდნობის საღებავი წვენი ან 1) ლურჯი, ლილის ფერისა, ან 2) წითელი მღვივე. ვინაიდან თითო ლოფორთქინა მეტად ცოტა წვენს იძლევა, ამიტომ ეს წვენი დიდად ფასობდა და მით შეღებილი სამოსელიც ძალიან ძვირი იყო. რომში, მაგალითად, ერთ დროს, ძოწეული წონით ვერცხლზე იცელებოდა, ესე იგი, ქსოვილი ძოწეულის ფასი იყო მისი წონის ვერცხლი. ⁹⁵.

X

რომ აღარავითარი ექვი აღარ დარჩეს და ვიწამოთ, რომ ძოწეული არის პურპურა და იგი შეღებილია ლოფორთქინისაგან მიღებული წითელი წვენით, თვით ს. ს. ორბელიანს მოვიშველიებ.

როდესაც ს. ს. ორბელიანი სიტყვას «კოხლიო» განმარტავს და ამბობს: — ცხოელია, რომლისა სისხლისაგან მეწამულად (წითლად) შეღებენ პორფირის ფერად-ო, იგი ამასთანავე იქვე წმიდა გიორგის ქართველის ცხოვრებაზე მიუთითებს.

საქარო იყო ამ მითითებული წყაროს მოძებნა. ის დაბეჭდილია საბინინას მიერ «საქართველოს სამოთ-

ხეა-ში (პეტერბურგი, 1882 წ.). ამ წიგნში მოთავსებულია მთლიანად «წმიდა გიორგის ქართველის ცხოვრება», რომლის ხელნაწერი 1066 — 1068 წელს მიეკუთვნება. — აღნიშნული წიგნის მე - 487 სურია შემდეგი:

«კოხლიოს სისხლი ღებავს პორფირსა, და მარგალიტსა იქმას ზამბიკი ზღვისა, ესრეთ იქმნების ქვა, და აბრეშუმსა გამოიღებს მატლი უნდო და პინა ზღვისა უცხო სახესა გამოიღებს, ესე მრავალ სასყიდლისა საფასენი უნდოთაგან ნიეთთა გამოელენა-ო.

განვარჩიოთ ეს წინადადება. ს. ს. ორბელიანის განმარტებით — კოხლიო არის ზღვის ლოკოკინა, რომლის «სისხლით» პორფირსა ღებავენ. ზამბაკი არის — სადაფოეანი, სადაფქარა. სადაფი არის მარგალიტის კეტყავი. პინა ხეა, ზღვაში ღვა, კეთილ ხილს გამოისხამს. უნდო — არად სახმარი.

მაშასადამე: ზემოდ მოტანილი წინადადების ახსნა შემდეგია: — კოხლიო ანუ ზღვის ლოკოკინის სისხლი ღებავს პორფირსა ანუ ძოწეულსა; მარგალიტსა ჰქმნის ზამბიკი ანუ კეტყავიანი ლოკოკინა და ეს მარგალიტი იქმნება ქვად; აბრეშუმს აკეთებს უნდო ანუ არად-სახმარი მატლი, და ზღვის ხე უცხო სახეს ანუ უცხო სახის ხილს იძლევაო; ეს უნდო ანუ არად-სახმარი ნიეთნი (კოხლიო, ზამბიკი, მატლი და პინა) მრავალი საფასესს ანუ ძვირად შესაძენ ნიეთთ იძლევიანო.

ამგვარად, აშკარაა: გიორგი ხუცეს მონაზონმა 1066 — 1068 წლებში იცოდა, რომ პორფირს ანუ ძოწეულს ღებავდნენ ზღვის ლოკოკინისაგან მიღებული «სისხლით» (ნამდვილად «წვენით»).

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ კონხლიოს (ლოთინური: კონხილიუმ) შესახებ, როგორც ამბობს ჯონ კიტრო, დავაა: ვიეთნი ფიქრობენ, რომ ამ გვარის ლოკოკინა ლურჯ წვენს გაიღებდა; და ზოგა კი იმ აზრისაა, იგი წითელ წვენს იძლევიდა-ო. ⁹⁶. ეს დავა აქ საინტერესო არაა. ქართველი მწერალი გიორგი ხუცეს მონაზონი მეთერთმეტე საუკუნეში ფიქრობდა, რომ კონხლიოსაგან წითელ, პურპურის საღებავს ღებულობდნენო.

ს. ს. ორბელიანის ყველა აღნიშნული განმარტებიდანაც სჩანს, მას სცოდნია, რომ პორფირი, და მაშასადამე, ძოწეული ზღვის ლოკოკინის ანუ ლოფორთქინის წვენით იღებებოდა, — და ამიტომ გაუგებარია მისი განმარტება, როცა იგი ამბობს: — ძოწი კორალი არისო. ამ გაუგებრობიდან დანარჩენი სხვა გაუგებრობა წარმოიშვა და დღეს გაბატონებულია ის განმარტება, რომელიც ს. ს. ორბელიანმა შეცდომით დაგვრტოვა, — მგონია, მისი ეს შეცდომა წარმომდგარა უნდა იყოს იმ ლათინ ბერთა ახსნით, რომელთაც თვითონ არ იცოდნენ, თუ ‘ა

იყო ძოწი და კორალი, — ასეთი განმარტება ჰან შეიძლება იტალიაში ყოფნის დროს მოიპოვა.

ამგვარად: საბოლოოდ დადგენილად უნდა ჩაითვალოს შემდეგი: —

ძოწი არის წითელი ფერი ზღვის ლოკოკინის = ჭლოფორთქინის წვენისა.

ძოწი არის ბროწეულის ყვავილის ფერი = წითელი.

ძოწეული არის ლოფორთქინისაგან მოპოვებული წითელი წვენისაგან შეღებილი ქსოვილი.

ძოწეული არის სამოსელი პორფირი = პურპურა.

ძოწეული არის აგრეთვე, ზოგადად, წითელი = ბროწეულის ყვავილის ფერი.

X

ქართულ ძველ მწერლობაში, როგორც საერო, ისე სასულიეროში სიტყვა «ძოწი» და «ძოწეული» ხშირად იხმარება. მაგალითად: «ამირან დარეჯენიან»-ში, «ვისრამიან»-ში, ქართულ სასულიერო საგლობლებში მიქელ მოდრეკილისა (მეათე საუკუნეში) და გვიანი შუა საუკუნეთა მწერლობაშიც (მეფერამეტე საუკუნე). ბესიკი ამბობს — ძოწ - ლალ - ბაგეო, დამდაგეო, სულთ წამარებო...

სპარსულ ენაზე კორალს ეწოდება — მარჯან, ხოლო ყერმეზ არის ნათარგმნი ფრანგულად სიტყვი «ეკარლატ» და «პურპრა» ანუ პურპურა ანუ ძოწეული. ⁶⁴ გვერდი 46, 68, 169.

ძოწთან შედარება აღმოსავლეთის მწერლობაში დიდად გაერკვლებული იყო. ამ სიტყვისათვის აქ იხმარებოდა «ყერმეზ» უმთავრესად.

სპარსელი დიდი მწერალი ფირდაუსი (941 — 1020 წ.) თავის შესანიშნავ «შაჰ-ნამე»-ში ხშირად შედარებისათვის «პურპურა»-ს ხმარობს (ფრანგული თარგმანის მიხედვით, ე. მოჰლისა, პარიზი, წიგნი 1. გვ. 229): გმირი დანტანის ბაგენი იყვნენ ვით პურპური; ასული არის პურპურის ტუჩებით; ზაალის ბაგენი არიან პურპურნი, და სხვა.

სპარსელი მგოსანი მუიზში (გარდაიცვალა 1150 წ.) ბაგეს პურპურს აღარებს. ესპანელი არაბი მგოსანი ზაიდუნი დაწევებს პურპურას აღარებს და განთქმული ნიშამი (1141 — 1203 წწ.) ლეინოს პურპურას ამსაგებს. ⁶⁷ და სხვა.

X

მაშასადამე, გამოიჩვენა, რომ ძოწი არ ყოფილა არც კორალი; არც წითელი მარჯანი, არც წითელი ლალი, არც რუბინი, და არც სხვა რაიმე. ძოწი არის ზღვის ლოკოკინისაგან მიღებული წვენის წითელი ფერი. თვით სიტყვა «ძოწი» კი «წითელ» ფერს, ანუ სახელდებით — ბროწეულის ყვავილის ფერს, ანუ

მღვივე ნაკვერცხალის ფერს ნიშნავს. ძოწეული არის ლოფორთქინას წითელი წვენით შეღებილი სამოსელი ბროწეულის ყვავილის ფერისა; იგი არის პორფირა = პურპურა, მეფეთა და დიდუკეთა სამოსელი; იგი დიდებულობის სიმბოლოა.

X

ამდენი კვლევითი ხეტილის შემდეგ ვეფხისტყაოსანს მივუბრუნდეთ, სადაც სიტყვა «ძოწი» და «ძოწეული» დასახელებულია ვით სამოსელი და ნახმარია პოეტური შედარებისათვის.

ავთანდილზე ნათქვამია, მოვიდაო —

ძოწეულითა მოსილი, პირად ბროლ - ბადანზოსანი (72)

ანუ: ავთანდილი მოსილი იყო ძოწეულით; პირად იყო თეთრი, ვით ბროლი, და დაწვებით — ბადანზური ლალის ფერი ანუ წითელი.

თინათინი —

დაღრეჯით იყო მჯდომარე ძოწეულითა რიდი (124)

ანუ: თინათინი იყო მოწყენილად (დაღრეჯილი) მჯდომარე და მას ჰქონდა რიდე ანუ მოსასხამი ძოწეულისა.

ნესტანი ტარიელს ეუბნება, თუ სასიძო მოვა, იგი მე შემირთავსო და —

ერთმანერთსა გავეყარნეთ, ძოწეულნი გაგვადლასდენ (540)

ერთმანეთს დაეშორდებით და წითელი სამოსელი ანუ სამხიარულო, ფლასად (სამგლოვიარო), შავ სამოსელად შეგვეცვლებათ.

ავთანდილის შესახებ მონა ფატმანს მოახსენებს —
ჰშენის ჯუბა და მოხვევა ძოწეულისა რილისა (073)

აქ აღსანიშნავია შემდეგი: ძოწეულის რიდეს ანუ წამოსასხამს ატარებს ეკპართა უფროსი, რომელი ამ შემთხვევაში არის ავთანდილი. აქედან ცხადია, თუ ეკპართ ხელმძღვანელს რა დიდი პატივი ჰქონდა ვეფხისტყაოსანის საზოგადოებაში.

სამოსელს გარდა, ძოწეული იხმარება კიდევ სამეფო ტახტზე გადასაფარებელადაც. ფრიდონს ნესტან-ტარიელის პატივისცემისათვის —

მათ ქალ-ყმათათვის საჯდომი დაედგა თეთრ-ძოწეული (1463)

ყველა ამ შემთხვევაში ძოწეული არის დიდებულობის და ლხინის სიმბოლო.

X

ვეფხისტყაოსანის ფერთა მეტყველება. გაგრძელება მე-65 გვერდზე.

8. ძოწი

ცნობილია, ებრაელთა მღვდელმთავარის სამკერდის ათორმეტ (12) ძვირფას ქვათა შორის არ არის დასახელებული «რამმოთ» ანუ «კორალი».

მე-4 საუკუნეში, ეპისკოპოს ეპიფანე კვიპრელის მიერ თვალთა პატროსანთა აღწერილობაში, რომელი ქართულად მეათე საუკუნეში ითარგმნა, დასახელებულია მეათე ქვად — ძოწეული.

ათორმეტ (12) ქვათა შორის, მეათე ქვას ებრაულად ეწოდება «თარშიშ». ბერძნულ ბიბლიაში ეს სახელი გადმოცემულია სიტყვით «ხრიზოლითოს»; ლათინურ ბიბლიაში — «ხრიზოლიტუს»; ქართულ ბიბლიაში ეს «თარშიშ» ანუ «ხრიზოლითოს» ნათარგმნი სიტყვით «ოქრო ქვა».

«ოქრო ქვა», ს. ს. ორბელიანის განმარტებით, — ესე არს ყვითელი იაგუნდი და თილია, (რომელი არს ხრვიზოლინთოს). ხრვიზოლინთოს — ოქრო ქვა, ყვითელი იაგუნდი და თილია.

აქ დასახელებული «თილია», რომლის განმარტებას ს. ს. ორბელიანი ცალკე აღარ იძლევა, არის სპარსული სიტყვა: «თელაა» (ტელაა), რაც ნიშნავს: «ოქრო». 108. გვერდი 105.

ცხადია, ებრაული «თარშიშ» და ბერძნულ-ლათინური «ხრიზოლითოს» არის ქართული «ოქრო ქვა».

როგორი ქვა არის ეს «ოქრო ქვა»? ინგლისურ «ენსაიკლოპედია ბიბლიკა»-ში და ფრანგულ «დიკსიონერ დე ლა ბიბლ»-ში ამ ქვის შესახებ ნათქვამი არის: «თარშიშ» (იგივე «ხრიზოლით») არის წმიდა ყვითელი ქვა. 98.

მაშასადამე, ქართული ბიბლიის თარგმანი ქვის სახელისა «თარშიშ», არის ზედმიწევნით სწორი: — «ოქრო ქვა», რომელი არის წმიდა ყვითელი ფერისა. მაგრამ ამას გარდა, ეს სიტყვა «ოქრო ქვა» არის სიტყვა-სიტყვით ნათარგმნი ბერძნული სიტყვისაგან «ხრიზოლითოს», რომელი ნიშნავს: «ოქრო ქვა».

ამგვარად, სრულიად გამორკვეულად უნდა ჩაითვალოს, რომ ებრაელ მღვდელმთავარის სამკერდის ათორმეტ ქვათა შორის მოხსენებული მეათე ძვირფასი ქვა არის «თარშიშ» = «ხრიზოლითოს» = «ოქრო ქვა». იგია წმიდა ყვითელი ფერისა ვითარცა ოქრო არის წმიდა ყვითელი ფერისა.

ეს კინი მიმოხილვა საჭირო იყო იმის გამოსარკვევად, თუ როგორი არის კვიპრელი ეპისკოპოსის თხუთღულების ქართულ თარგმანში მეათე ქვის სახელი. ეს უკვე აქვე ზემოდ იყო აღნიშნული. ქართველმა მთარგმნელმა მეათე საუკუნეში სიტყვა «ხრიზოლითოს» თარგმნა სიტყვით «ძოწეული».

აქედან ცხადია, სიტყვა «ხრიზოლითოს» ანუ «ოქ-

რო ქვა», ანუ წმიდა ყვითელი ფერის ქვის სახელი ნათარგმნია სიტყვით «ძოწეული», ანუ წითელი ფერის ქვის სახელით.

მაშასადამე: მეათე საუკუნის ქართველ მთარგმნელს «ძოწეული» მიაჩნდა 1) ან «ყვითელ ფერად», ან 2) მას არ ესმოდა, თუ რა იყო «ხრიზოლითოს», რომლის ნამდვილი, სიტყვა-სიტყვითი მნიშვნელობა არის «ოქრო ქვა», — სწორად ნათარგმნი ქართულ ბიბლიაში სახელით: «ოქრო ქვა», ან 3) სიტყვა «ძოწეული» იმ ხანად (მეათე საუკუნეში) ყვითელ ფერს აღნიშნავდა, ოღონდ ეს შეუძლებელია, რადგან ქართული ბიბლიის ნაწილები სწორედ იმ ხანად ითარგმნებოდა, და იქ კი ყველგან «ძოწეული» არის წითელი ფერის აღმნიშვნელი, ან 4) მას ფერთა სახელები არეული აქვს.

აქედან მხოლოდ ერთი დასკვნაა: კვიპრელი ეპისკოპოს ეპიფანეს თხუთღულების თარგმანში, მეათე ქვის სახელი «თარშიშ» ქართულად სწორად არაა გადმოცემული, — ეს «თარშიშ» = «ხრიზოლითოს» არ არის «ძოწეული».

როგორც ვიცით, ს. ს. ორბელიანის განმარტებით, «ძოწი» არის «კორალი»? «ძოწეული» არის «კორალის ფერი».

საერთოდ ბიბლიაში სახელი «კორალ» ნახსენებია სამჯერ, ხოლო ქართულად ნათარგმნია ორჯერ: 1) სიტყვით «აღმატებული», 2) დატოვებულია უთარგმნელად ებრაული სიტყვა «რამმოთ».

«ძოწი» რომ «კორალი» ყოფილიყო, შეუძლებელია იგი აღნიშნულ ადგილებზე (იოზი 28,17 და ეზეკიელი 27,16) მოხსენებული არ ყოფილიყო, ვინაიდან ეს სიტყვა «ძოწი» უკვე ცნობილი იყო.

ქართულ მწერლობაში, სასულიეროსა და საეროშიც ყველგან სიტყვა «ძოწი» და «ძოწეული» იხმარება წითელი ფერის აღსანიშნავად.

საკითხი არის: «ძოწი» არის თუ არა «კორალი»? ამავე წიგნის მესამე თავში, მუხლი 7., «ძოწეული»-ს შესახებ არ დამიკლია ცდა დამემტკიცებინა, რომ «ძოწი» არ არის «კორალი», და საერთოდ იმ დასკვნას დეადექი, რომ «ძოწი» ქვა კი არ არის, არამედ წითელი ფერია.

ს. ს. ორბელიანს აღნიშნული აქვს ერთი საინტერესო სიტყვა: «შეშაკეცი».

სამწუხაროდ, მას ამ სიტყვის შესახებ «შეშაკეცი» მითითება სხვა რომელიმე საბუთზე არა აქვს, რათა ამ გზით მისი მნიშვნელობა გამორკვეულიყო. ამ «შეშაკეცი»-ს შესახებ ს. ს. ორბელიანი ამბობს — შეშაკეცი — ძოწი და მისთანა.

ყველამ იცის, რა არის «კეცი». იგი არის მიწისა-

გან დამზადებული საქუჩკლე (კეცი — მიწა საქუ-
ჩკლე. ს. ს. ორბ.).

«კეცტყაევი», ს. ს. ორბელიანის განმარტებით, კუ-
თა, ოსტრაკუთა, სადაფთა, პინასთა და მისთანათა
(ქერქთა) სახელი არს. «კეცტყაევი» არის აგრეთვე
«კეცტყაევიანი». «კეცტყაევიანი» = კეცტყაევიანი არი-
ან, რომელნი კეცტყაევითა შემოსილ არიან (ოსტრა-
კუ, კუ და სხვანი ამგვარნი); ხოლო ჩვილკეცი არი-
ან: კირჩხიბი, კიბორჩხალი, ლოკოკინა, ასთაკვი და
მისთანანი ადვილ შესამუსკრაობისათვის (გატეხისათ-
ვისო). ყველა ეს მაგარ-ზურგანი ცხოველი გაა-
დან შემოსილია კეცტყაევით და აქედანაა ყველა
ენაზე, და ქართულზეც, მათი ზოგადი სახელი წარ-
მოშობილი — კეცტყაევიანი ანუ ჩერეპკოკოევი ანუ
კრუსტასევიანი. 9.

ს. ს. ორბელიანის განმარტებით, ზუმილი არის —
ტევეთიდი, სელქანი, მალაკნი, სიპიანი და მისთანანი
კეცტყაევიანი, არიან უსისხლო და სულიერნი, ვი-
თარცა სადაფი, ხამანწკა და მისთანანი მრავალრი-
გნი. — «ტევეთიდი» არის ბერძნულად: ტევედის, რუ-
სულად — კარაკტიკა; «სელქანი» არის ბერძნუ-
ლად: სელახოს, რუსულად — ხრიაშჩევი; «მალა-
კი» არის ბერძნულად: მალაკია, რუსულად — ნე-
პოზონოჩნიე; «სიპიანი» — პინას ჰგავს. მოგრძია
და ჩვილკეცი (ს. ს. ორბ.). იგია ბერძნულად: სეპია,
რუსულად — სეპია; «ოსტრაკუ» არის ბერძნულად:
ოსტრაკონ, რუსულად — უსტრიკა; «პინასი» არი-
ს ბერძნულად: პინას, რუსულად — რაკოვინა;
«ასთაკვი» არის ბერძნულად: ასთაკოს, რუსულად
— ომარ, «ზღვის კიბო» («დღუმიანი კიბორჩხალი»; ს.
ს. ორბელიანის განმარტებით) და სხვა და სხვა.

ამ «კეცტყაევი» რუსულად ეწოდება — ჩერეპკო-
კოენი, ხოლო კეცტყაევიანი — ჩერეპკოკოევი; —
ჩვილკეცი კი — მაგაკოკოენი. (ნემესიოს ემესე-
ლი ბუნებისათვის კაცისა; თარგმანი იოვანე პეტ-
რიწის მიერ. გამოცემული ს. რ. გორგაძის მიერ).

კეცტყაევიანი ანუ კეცტყაევიანი გერმანულად არიან —
კრუსტენტირე; ფრანგულად — კრუსტასე; ესპა-
ნურად — კრუსტასეოს; ინგლისურად — კრუსტ-
ტასეან; რუსულად — ჩერეპკოკოევი. სწავლას ამ
სხვა და სხვა კეცტყაევიანი ცხოველთა შესახებ ჰქვია:
კონქილოლოგია ანუ სწავლა კონქილიოთა შესახებ.

ამ კონქილიოს კარგად ვიცნობთ (იხილეთ წინ,
გვერდი 63). კონქილიოს ანუ კონხილიოს წვენი-
საგან პურპურას ანუ ძოწეულს ღებავდნენ. ესე იგი
კონქილოლოგია არის სწავლა ზღვის სხვა და სხვა
ლოკოკინის შესახებ, საერთოდ, და კერძოდ კი —
კონხილიოთა შესახებაც.

ს. ს. ორბელიანი ამბობს: «შეშაკეცი (არის) ძო-
წი და მისთანანი»-ო.

როდესაც ს. ს. ორბელიანი ზღვის თევზთა თუ
ლოკოკინათა სახელებს განმარტავს, მიუთითებს იგი
ნემესიოს ემესელის თხზულებაზე: «ბუნებისათვის
კაცისა», რომლის ქართული თარგმანი შესრულე-
ბულია მეთერთმეტე - მეორამეტე საუკუნეში იო-
ვანე პეტრიწის მიერ და მეცნიერულად გამოცემუ-
ლია ს. რ. გორგაძის მიერ 1914 წელს.

ნემესიოს ემესელი აღნიშნულ ცხოველთა შესახებ
ამბობს: ისინი კეთილმორთულად არიან, «რამეთუ
პინასნი და აკალიფადნი, ვითარ გრძნობადნი ხენი,
შემზადნა (ღმერთმან), რამეთუ ძიროვან ყენა იგი-
ნი შორის ზღვისა, მსგავსად ნერგათასა (მცენარე-
თა), და, ვითარ შეშაჲ, კეცი გარეშემოსდვა მათ და
ვითარ ნერგნი შექმნნა იგინი»... უსენი არიან «უმ-
რავლესნი კეცტყაევიანთანი»-ო. (ნემესიოს ემესელი
— ბუნებისათვის კაცისა. გვერდი 9).

აი, აქედან ვტყობილობთ, თუ საიდან გაჩნდა ს.
ს. ორბელიანის ლექსიკონში ცნება «შეშაკეცი»-
ლოკოკინებს ანუ კრუსტასეებს შემოქმედმა «ვითარ
შეშაჲ, კეცი გარეშემოსდვა»-ო!, ამბობს ნემესიოს
ემესელი, ხოლო ს. ს. ორბელიანმა ეს სახელი «შე-
შაკეცი» ძოწისა და მისთანა»-თაც უწოდა.

«შეშაკეცი» რომ «კორალი» იყოს, ესე იგი გაშე-
შებული სამოსელით, კეცტყაევიანი, მაშინ ს. ს. ორ-
ბელიანს არ შეეძლო დაეწერა «შეშაკეცი (არის)
ძოწი და მისთანა»-ო, რადგან ძოწი თუ კორალია,
კორალის მსგავსი რამ და «მისთანანი», რომელსც
ზღვიდან გამოღებისას შეშდება და ქვედდება, სხვა
არაფერი არის! აქედან სჩანს, რომ «შეშაკეცი» არის
იგივე ზუმილი; ზუმილი არის იგივე კეცტყაევიანი
ანუ კეცტყაევი ანუ შეშაკეცი ცხოველი.

აქედან დასკვნა: შეშაკეცი ეწოდება კეცტყაევი-
ანი კეცტყაევიანი ცხოველთა, რომელთა შორის არიან
ისეთი, რომელნი წითელ საღებავს იძლევიან, რო-
გორც მაგალითად: კონხილიო. ამ წითელი საღებავის
სახელია «ძოწი», რომელი «შეშაკეცს» ანუ «ძოწი-
სა და მისთანან»-თ ერქვა. ამიტომ «ძოწი» არ არის
«კორალი». «ძოწი» არის წითელი ფერი ლოკოკი-
ნის მიერ მოცემული წვენი-სა, და უფი; ამგვარად,
ძვირფას ქვათა რიგს არ ეკუთვნის.

სხვათა შორის, ევფხისტყაოსანში აღნიშნულ და
გამოყენებულ ძვირფას ქვათა ყველა სახელი არის
არაბულ - სპარსული; სახელი ძოწი არც სპარსულ,
არც არაბულ, არც სომხურ და არც სირიულ ენაში
არ იხმარება. ყველგან «კორალს» მარჯვანი ჰქვია.
ყველა ამ საბუთის ძალით სიტყვა «ძოწი» გამოე-
რიცხე თვალთა პატიოსანთა შემადგენელობიდან და
მოვათავსე იგი ფერთა დარგში.

«ძოწი», ვით «კორალი» მარტო ს. ს. ორბელიანს
აქვს განმარტებული; თუ აღმოჩნდება უფრო აღ-

რინდელი საბუთი ამ დებულების დასამტკიცებელი, მაშინ, რასაკვირველია, ყოველი ჯიუტობის გარეშე, ჩემს დებულებას: — «ძოწი არ არის კორალი» — უარყოფ.

X

სიტყვა «ძოწი» ვტ.-ში გამოყენებულია წითელი ფერის აღსანიშნავად და ამით კი სილამაზის დასახატავად.

ნესტანის შესახებ ნათქვამია —

მუნ ვარდას შუა შეენოდა ძოწ - მარგალიტნი ტყუბანი (480)

ანუ: ლაწეთა შორის (ვარდას შუა) შეენოდა მას ძოწი (ბავენი = ტუჩები), წითელი, და მარგალიტნი ანუ კბილნი ტყუბ-ტყუბნიო (თეთრად ელვარე კბილნი).

და შემდეგაც, ნესტანის ტუჩები ძოწთან არის შედარებული —

ენახე, ძოწსა მარგალიტი გარე ტურფა მ.ოე- მაზრა (536)

ანუ: ენახე, წითელ ტუჩებს (ძოწსა) კბილნი ელვარენი (მარგალიტი) გარედან ტურფად (ლამაზად) მოეზლუდა, მოეხეია, მოესხა (მოემაზრაო) ესე ევა, ნესტანის ტუჩები ლამაზად ერტყა მის ელვარე კბილებსო.

აეთანდლის ტუჩი ძოწია, როცა იგი ტარიელს ესაუბრება —

მისთვის სძვრიდა სასაუბროდ მათ ბავეთა ძოწის ფერთა (მ93)

ძოწთან არის შედარებული აეთანდლის ღძილე- ბიცი, რომელშიც ბროლი (კბილები) ჩასმულია —

ბავეთათ ვარდას ანათობს ბროლი ძოწისა ძირითა (953)

თინათინის ტუჩებიც ძოწია —

ვინ მარგალიტსა გარეშე მოსცავს ძოწისა ბავითა (961)

ანუ: ნესტანის კბილებს (მარგალიტს) გარეშემო არ ტყია (მოსცავს) წითელი (ძოწის) ტუჩებითა (ბავენი).

ნესტანის ბავეთა შესახებ კვლავ არის განმეორებული შედარება ძოწთან —

შუა ძოწსა და აყიყსა სჰვირს მარგალიტი ტყუბები (1146)

ანუ: ნესტანის ერთ ტუჩსა, რომელიც არის ძოწის ფერი და მეორე ტუჩს შორის, რომელიც არი აყიყის ფერი = წითელი, გამოჰკრთის (სჰვირს) ტყუბ-ტყუბნი, ერთი მეორეზე მისხმული მარგალიტი ანუ კბილებით.

აქ ყურადღებას იპყრობს ორი სახელის: «ძოწი» და «აყიყი» ერთად მოთავსება, — და ეს მოვლენა საბუთს იძლევა საფიქრებელად, რომ «ძოწი» იქნებ იყოს ძვირფასი ქვა, რადგან იგი ძვირფას ქვასთან

«აყიყი» ერთად არის მოთავსებული; ოღონდ ისიც შესაძლებელია, «ძოწი» აქ მხოლოდ ფერს აღნიშნავდეს.

აეთანდლის ბავეთა შესახებ იგივე შედარება მეორდება —

მათ მარგალიტი უჩვენის, ძოწისა კარმან ლამან (1324)

ანუ: კბილები (მარგალიტი) უჩვენა ძოწისა კარმან, ესე იგი გახსნილმა წითელმა ტუჩებმაო, ანუ მან გაიღმაო.

როდესაც აეთანდილმა სხვა შემთხვევაშიც გაიღმა, მან ძოწი გააპო ანუ ტუჩები გახსნა და მის კბილთაგან ელვა ანუ შუქი გამოჰკრთაო —

გალიმდის, ძოწი გააპის, კბილთაგან ელვა ჰკრთებოდა (1337)

და დაბოლოს «ძოწი» არის სისხლთან შედარებული —

მუნით წყარონი გამოჩნდეს, ძოწსა ვამსგავსე ფერთა (1342)

ანუ: ლაწებიდან წყარო გამოჩნდა, ესე იგი, სისხლი გამოვიდა, და იგი ფერთა ძოწს დაეამსგავსეო.

ამით ამოიწურება სიტყვისა «ძოწი» და «ძოწეული» ხმარება ვეფხისტყაოსანში.

სიტყვა «ძოწეული» გამოყენებულია წითელი სამოსელის საჩვენებლად, და ამით დიდებულობისა და ლხინის დასახატავად; ხოლო სიტყვა «ძოწი» — წითლობის შეენების აღსანიშნავად, ვით სიმბოლო სილამაზისა.

0. პორფირი

ს. ს. ორბელიანის განმარტებით, პორფირი არის სისხლის ფერობა. მეფეთა და მღვდელ - მთავართა სამოსლად იგი მოასწავებს, რათა დასთხოონ სისხლი მათი, ვითარცა ქრისტემ ერისთავისაო.

პორფირი არის პურპურა; იგი არის ბროწეულის ყვავილის ან მღვივე ნაკვერცხლის ფერი. იგი აუო მეფეთა, დიდებულთა და მღვდელმთავართა მისამოსელი. პორფირას ანუ პურპურას ატარებდნენ, რასაკვირველია, უძველეს ხანაშიც, — ხოლო ქრისტიანობის დროს, ამ სამოსელმა ის მნიშვნელობაც მიიღო, რომლის შესახებ ს. ს. ორბელიანი ლაპარაკობს.

ვეფხისტყაოსანში სიტყვა «პორფირი» მოხსენებულია მხოლოდ ორჯერ. პირველად მეფე თინათინის შესახებ ნათქვამია —

სკიპტროსან - გვირგვინოსანსა ჰშენოდა ცმა პორფირისა (1540)

თინათინს ვითარცა მეფეს, რასაკვირველია, ეცვა პორფირი = პურპურა, ნიშანი მეფობისა და დიდ-

ბულოზისა. სკიპტრა არის სამეფო ჯოხი; გვირგვინი არის აგრეთვე სამეფო თავსარქველი. მაშასადამე: სკიპტრა, გვირგვინი და პორფირი — სამივე არის სამეფო ნიშანი, — მხოლოდ ქრისტიანულ ქვეყნებში ხმარებული.

როსტევეანმა ნესტანსა და ტარიელს მიუძღვნა — თვითო სკიპტრა და პორფირი და გვირგვინები თვალისა (1557)

ამ განსაკუთრებული ძღვენით, არაბეთის მეფე როსტევეანი ტახტ დაკარგულ ნესტანსა და ტარიელს ინდოეთის მეფე - დედოფლად აღიარებს წინდაწა, და შემდეგ იგი თავისი ლაშქართაც ეხმარება, რათა ტარიელმა ინდოეთი შემოსეული მტერისაგან განათავისუფლოს და ინდოეთის ტახტზე ნესტანთან ერთად აბრძანდეს.

სიტყვა «პორფირი» და «სკიპტრა» ძველ მწერლობაშიც არა ერთხელაა გამოყენებული, მაგალ.:

გვირგვინოსანსა,
პორფიროსანსა
უხდების პყრობა
სკიპტრისა ხელსა

(აბდულ-მესია 41,1)

წყნარი და მკრძალი

მოყმეთა ძალი,

მეფეთა სკიპტრა,

პორფირთა მცმელი

(თამარიანი VII, 25)

ამგვარად, პორფირი არის სამეფო სამოსელი; იგი არის პურპურა ანუ ძაწეული — მეფობის დიდებულობის გამომსახველი და მაჩვენებელი.

10. რიდე

ს. ს. ორბელიანის განმარტებით, რიდე არს თავსახვევი ინდოთა, სპარსთა და არაბთა ქუდისა წილ საბურავიო. ესე იგი რიდეა მუსულმანური ტურბანი. ს. ს. ორბელიანის განმარტება სიტყვისა «რიდე» სწორი არაა. რიდეს ვტ.-ში მაჰაკაცნი და დედაკაცნი ატარებენ, ხოლო «თავსახვევი ინდოთა, სპარსთა და არაბთა ქუდისა წილ საბურავი» ანუ ტურბანი მხოლოდ მამაკაცთა ქუდია და მას დედაკაცნი არსად არ ატარებენ.

ცნობილი არაბისტი¹ დოზი ამბობს: მუსულმანურ ქვეყნებში ტურბანს დედაკაცნი არასოდეს არ ატარებენ; იგი მხოლოდ მამაკაცთა სარქველია; საფლავის ქვაზე მუსულმანნი ტურბანის სახეს ამოსჭრიან. ან გამოსჭრიან და ამით აღვილად მისახედრია, თუ აქ და აქ მამაკაცთა დასაფლავებელიო. ტურბანს ჰქვია აგრეთვე: ტარბუშ, შაშ, სას, შტას. 78. გვ. 250, 311.

პროფ. ი. აბულაძის განმარტებით, რიდე არის პირსაბურავი, ანუ ჩადრი, თავპირდასამალავი ფარჩის მოსახვევი (ვტ. 1914 და 1937 წ.) ანუ როგორც განმარტავს იგი ქართული «შაჰ-ნაშე»-ს ლექსიკონში: პირსაფარი, პირბადე, ჩადრი (გამოც. 1934 წ.).

არაბისტი დოზის თქმით, ჩადრი არის მოსახური, რომელი თვალთ გარდა მთელს ტანსა ჰფარავს (იქვე გვ. 218). სახის დაფარვის, მობურვის, ჩადრის ტარების საკითხი დაკავშირებულია მაჰმადიანობის საბუნებო წერილთან «ყურან» 24,30 —, სადაც ნათქვამია: დედაკაცებმა უცხო მამაკაცთა წინაშე თავისი სილამაზე არ უნდა გამოაჩინონო, გარდა იმისა, რაც აუცილებელად დასაინახი არააო. აქედან დაასკვნა ისლამის ზოგმა მეცნიერმა: დედაკაცები ვალდებული არიან სახე დაიფარონო. ზოგი კი ამტკიცებდა: დედაკაცი ვალდებული არიან სახის გარდა ხელებიც დაიფარონო. მაგრამ «ყურან»-ზე დაყრდნობით, ამბობს პროფ. რიჰარდ ჰარტმან, არ შეიძლება დამტკიცდეს ჩადრის ტარების აუცილებლობა, ოღონდ ამ ჩვეულებამ ჯერ კიდევ ისლამის წინახანაში მტკიცედ ფეხი მოიკიდა და მაჰმადიანური წინეობის წესად გადაიქცა, თუმცა ბედუინები და სოფლის დედაკაცნი ამ წესს მაინც და მაინც არ მისდევნენო.¹⁰⁰

მუსულმანთა ჩვეულება, რომლის ძალით დედაკაცმა თავისი სახე და საერთოდ ყოველგვარი სიშორეული (გარდა ხელთა) უნდა დაიფაროს, ძველთა - ძველია. თვით არაბი დღევანდელი მეცნიერნი-ამტკიცებენ: პირისახის დამალვა, ჩადრის ტარება არაბული გამოგონება არ არის. მათი სიტყვით, ჩადრის ტარება არაბებმა სპარსელთაგან და ბიზანტიელთაგან გადმოიღეს, რომელთა შორის ჩადრის ტარება ერთგვარი მოდა იყო. პირველად ჩადრს იხურავდნენ ხალიფას ქალები ბაღდადის სასახლეში, და მათი წაბადებით შემდეგ ყველა დედაკაცის სახლში გავრცელდაო.¹⁰¹ მეორე ცნობით, ჩადრა ძველთა - ძველი არაბული ჩვეულებაა და მაჰმადმა (მუჰამედ) (570 — 632 წწ.) ეს ძველი ჩვეულება მხოლოდ დადასტურა და შემდეგ იგი გაუთხოვარ ქალთათვისაც სავალდებულო გახადაო. მაგრამ აღსანიშნავია, ჩადრის ტარებას ხელი არ შეუშლია დედაკაცთათვის პირველ ხანაში მაინც თავისუფალი ყოფილიყვნენ და პოლიტიკურ ცხოვრებაში ერთგვარი გავლენაც ჰქონრათ. მხოლოდ აბასიდთა ხალიფობის ხანაში (750 — 1258 წწ.) საბოლოოდ დამკვიდრდა ჩადრა და დაწესდა ჰარემი ანუ სადედო და ამ ხანაში ქალი დამდაბლებული და დაჩაგრული შეიქმნაო.¹⁰²

ასეთი იყო თუ არა ჩადრის წარმოშობა ჩვენთვის სულ ერთია. ყოველ შემთხვევაში, თვით არაბ მე-

ცნიერთა გამოკვლევითაც, ჩადრი მოდაში ჯერ კიდევ აღრეა შემოღებული და ეს დაამტკიცა ყუჩანან-მატ, სადაც ნათქვამია: —

აქნობე მორწმუნეთ: მათ უნდა დახარონ თვალნი და დაიკვან კდება; ეს უწმიდესია მათთვის; ალლაჰმა უწყის, რას შერებინან ისინი. — და ეტყოდე მორწმუნე (დედაკაცთ): მათ უნდა დახარონ თვალნი და დაიკვან კდება და არ გამოაჩინონ თავისი მიმზიდველობა, გარდა იმისა, რაცა სჩანს. და უნდა დაიბურონ მათ თავისი მკერდი და აჩვენონ მათი შვენება მხოლოდ თავიანთ ქმრებს და თავიანთ მამებს, ან სიმამრებს ან მათ შვილებს ან მათ ქმართა შვილებს ან ძმებს ან ძმის შვილებს ან დისწულებს ან მათ ქალებს ან მათ მონაქალებს ან მათ მამაკაც მხლებელთ, რომელთაც სქესობრივი მისწრაფება არ აქვთ, რომელნიც დედაკაცის სიშიშვლეს ყურადღებას არ აქცევენ... (სურე 24, 31-31).

ვეფხისტყაოსანის დედაკაცი თავის პირისახეს არ მალავენ, სახეს ჩადრში არ ახვევენ; პირიქით, ისინი ბრწყინავენ თავისი სილამაზით ყველას წინაშე და თავისი შვენებით გამაძლარ თვალთაც კი აბრმავენ. არც თინათინი, არც ნესტანი, არც ფატმანი და არც სხვა ვინმე, თუმცა ისინი გარეგნულად მუსულმანები არიან ვითომ, — მაჰმადიანურ ურყევ წესს არ მისდევენ, რომლის ძალით დედაკაცმა თავისი სახე უნდა ჩადრში გაახვიოს და დამალოს.

ვეფხისტყაოსანში მოხსენებული რიდე, ამგვარად, არ არის ჩადრი.

ჩადრს სხვა და სხვა სახელი ერქვა დროისა, მხარეთა და მოდის მიხედვით და ამ სახელთა შორის «რიდე» არა გვხვდება: — იაჩმაკ, კემლის, მილპაფაჰ, ბორკოს, ბოროკაჰ, ხიშარ. ამ ჩადრიდან მხოლოდ თვალნი მოსჩანან. 78. გვ. 64, 303. — დიდს ჩადრს, რომლითაც დედაკაცი მთელს ტანს იფარავდნენ ერქვა: — მოლაჰაჰ, მელაიე, მილაიეჰ, ჰამარაჰ, ტაჰრა (იქვე, გვ. 410); ხოლო ტარაჰაჰ არის ბეჭებზე საფარი, მოსასხამი (იქვე, გვ. 254).

პროფ. ნ. მარჩის თქმით, რიდე არის არაბული სიტყვა და ნიშნავს: — ქსოვილის ნაჭერი, როგორც პლედი, რომელიც ზემოტანის სამოსელია; მანტია, პლაში. ქართულში ეს სიტყვა გაგებული აქვთ, ვით ეუალიო, ჩადრი. 103. პროფ. ნ. მარჩი სიტყვას «რიდე» რუსულად სთარგმნის სიტყვით «მანტია». მაგრამ არც ეს განმარტება არის საეხებით სწორი.

მანტია ანუ მანტო ჩვეულებრივი მოსასხამი იყო ყველა ხალხში ძველად: ბაბილონელნი, ეგვიპტელნი, ელინნი (ბერძენები), რომაელნი, ფრანკები და სხ. და მას სხვა და სხვა სახელი ეწოდებოდა. — შუა საუკუნეთა განმავლობაში, რიტტერ - შევალეი - კავალერო - რიცარ - ქაბუკი ანუ მოყმე მანტოს ანუ

წამოსასხამს ატარებდა; იგი იყო ფართო მოსასხამი ზურგისათვის ან მუხლებამდე ან კოკებამდე. ფერით ამ ხანაში იგი იყო წითელი, პურპურისა ანუ ძოწეული. ეს იყო მეფეთა, დიდებულთა და რიცართა, ქაბუკ - მოყმეთა წამოსასხამი, და ამგვარად, პატივი და ღირსების ნიშანიც. სასახლის დედაკაცი და დიდებულთა ქალნი მანტოს იხურავდნენ. ეს იყო გრძელი ან მოკლე უსახელო მოსასხამი. 104.

ეს ევროპული მანტო ანუ მანტია რიდეს ძალიან წააგავს, ოღონდ ეტ. -ის რიდე თავზედაც არის მოხვეული, და ეს დიდი განსხვავებაა. ამიტომ გვეფხია, რიდე მანტია არ არის.

საიდან წარმოსდგა სიტყვა «რიდე»? ეს სიტყვა არაბულია. ისლამის უმთავრესი წმიდა ადგილის — მეკა — მომლოცველნი ვალდებული არიან მოლოცვის მთელი წესრიგი აღასრულონ, სხვათა შორის მეტად რთული. ამ წესთა შორის არის შემდეგიც — კაბის გარეშემომღვლი მლოცველი შიშველი უნდა იყოს. მას მხოლოდ მოხურული აქვს ორი ქსოვილი: 1) ერთი თეძოებზე, რომელს ჰქვია «იზარ», და 2) მეორე — ბეჭებზე და მას ჰქვია «რიდა». 100. გვერდი 72. დღევანდელ არაბულში რიდეს სახელია «რედაჰ». — ანუ როგორც თბილისს გამოცემულ (1909 წ.) «სბორნიკ მატერიალოგ»-ში არის ნათქვამი — მლოცველნი ჩხიდან სამოსელს და იხურავენ ახალს, რომელიც ორი ნაჭერისაგან შესდგება: 1) რიდა — ბეჭებზე, მხრებზე დასაფარებელი, და 2) იზარ — თეძოთა დასაფარებელი. 100. ოღონდ რა კავშირი აქვს მომლოცველთა ამ «რიდა»-ს ეტ. -ის რიდესთან? უეჭველია, ეს სახელი რიდა ანუ რიდე საერთოდ იხმარებოდა ხალხშიც მოსასხამის სახელადაც და აქედან იგი ალბათ სხვაგანაც გავრცელდა, მაგრამ მას მარტო ზურგზე მოსაფარებელის სახე არ უნდა ჰქონოდა. მაინც საინტერესოა გამოვარკვიოთ, არსებობდა თუ არა «რიდე»-ს მსგავსი რამე.

ევროპაში დედაკაცთა თავის სარქმელთა შორის, ჰირველ და უძველეს ადგილზეა თავსაფარი (დასკოპტუხ) ანუ თავის მაუდი, რომელს თავზე იხურავდნენ (დას ჰაუბტუჰ); იგია ოთხკუთხიანი, რომელს თავზე იდებდნენ, ჩათა თავი და კისერი მზისა, წვიმისა და სიცივისაგან დაეფარათ. იგი დღეს ჩვეულებრივია სოფლის მცხოვრებ დედაკაცთათვის მრავალი სახითა და ფერით. როდის შემოიღეს იგი, ამისი თქმა ძნელია. მას ეხედვით, ამბობს კარლ ვაინჰოლდ, თუმცა ძალიან ძველი უნდა იყოს იგი, ანგიბერტის ლექსში კარლოს დიდის შესახებ (742 — 814 წწ.), რომელში პრინცესის გიზალა აღწერილია პურპურის ძაფით დასთული შლაიერიით. კარლ დეს კაჰლენის (რომაელი კაიზერი, 875 — 877 წ.) ბიბლიაში დახატულ მაღალი წოდების დედაკაცი

მორთული არიან შლაიერიტ, რომელი მათ თავზე თავისუფლად ახურაეთ და ბეჭებზე ღრმად ჩამოფარებული აქვთ. იგი არის თეთრი, ოქროსფერი და ფით ნაქარგი. გერმანელი და იტალიელი დედაკაცნი ოტტონთა მეფეთა ხანაში (936 — 1218 წ.წ.) შლაიერსა და ასაკრავს ატარებდნენ, მოგზაურობის დროს, როგორც ამას მოწმობს კრემონას ეპისკოპოსის ლეუტპრანტის საელი მოხსენებაში მეფე ოტო პარველისადმი (936 — 973 წ.წ.). მეათე და მე-11 საუკუნის ემალებზე ეხედავთ ვიწრო თავსაქრავთ, რომელი თავზე დახურული, ბოლოებით საქმარაა ძირს ჩამოშვებული. მე-12 საუკუნის დასასრულს სხვა და სხვა სახის შლაიერს ეპოულობთ. ჩვეულებრივ თავსაფარი თავიდან თავისუფლად გადადიოდა, ეცემოდა მხრებზე და ეშვებოდა წელისაკენ საქმარა გრძელად. ბოლოს გვხვდება ტურბანის მსგავსი შეშოსახვევი თავისა, რომლის ორივე ბოლო ორ გრძელ ნაკეეთად ზურგზე ეცემოდა. ორივე აქ აღწერილი შლაიერი მე-13 და მე-14 საუკუნეში იხმარებოდა ჩვეულებრივად და იგი შემდეგ ხანაშიც დარჩა. ამ აღწერით სჩანს, რომ შლაიერი თავზე დადებულია, და იგი შუბლიდან თავზე ერთი და იმავე სიფართით თანაბრად იღვა, და აქედან მოხდენილი ნაკეცებით ბეჭებზე და ზურგზე ეშვებოდა. ეს მეტად მოხერხებული და ლამაზი მოსახურავი ხმარებაში დარჩა შუა საუკუნეთა დასასრულამდე. — მეორე გვარი შლაიერი იყო ისეთი, რომელი ყელზედაც შემოახვეოდა. ეს ყელზე შემოსახვევი, მისი ქვემო ნაწილი უნდა ყოფილიყო. იგი თავზე იხურებოდა და აგრეთვე მთელს ყელს და დაწვებსაც გარემოცავდა. ამგვარი შლაიერი მრავალ გვარი იყო, ხოლო კაროლინგების ხანაში გავრცელდა თავსაფარი, რომელი ბეჭებსაც სწვდებოდა და რომლითაც სახს დაფარავც შეიძლებოდა. ამას ეძახდნენ: — რიზა, ლინც, ვიმპალ, შლაიერ. ეს თავსაფარი სხვა და სხვა ძვირფასი ნაქსოვი და ნაირი ფერისა, მტკიცე ჩეულებში იყო მე-15 საუკუნის დასასრულამდე. ¹⁰⁰

ევროპაში გავრცელებული რომელი თავსაფარი უფრო უდგება ვეფხისტყაოსანის «რიდე»-ს თავისი სახითა და გამოყენებით? აქ ყველა თავსაფარი ანუ შლაიერი არის იმავე დროს ზურგის საფარიც, ისე როგორც არის ეტ.-ის რიდე. და ვინაიდან ცნობილია, რომ ევროპაში «მოდა» მიდიოდა მაშინ აზიიდან, კერძოდ მცირე აზიიდან, ამიტომ ეს ევროპიული შლაიერი და ლინც, ვიმპალ, რიზა რიდეს მსგავსი იყო. — ვეფხისტყაოსანის რიდე არის თავსაფარი, რომელი თავიდან ბეჭებზე გადადის, ესე იგი, რიდე მოიხურება ერთსა და იმავე დროს თავზეც და ჩამოეშვება ზურგზეც

პირველად ვეფხისტყაოსანში რიდეს ეხვდებით,

და იგი არის მამაკაცს თავსარქველ - მოსახანში. ავთანდილსო —

პირ - ოქრო რიდე ეხვია, ჰშვენოდა ქარქაშოსანი (72)

ს. ს. ორბელიანის განმარტებით, პირ-ოქრო არის მძიმე ოქროქსოილი. ოქროქსოილი იგივეა რაც ოქრომკედლით ქსოვილი.

მაშასადამე, ავთანდილს ოქროქსოვილი რიდე ეხვია; და შვენოდა ქარქაშოსანი. (ქარქაში არის სპარსული სიტყვა, არაბულ-ესპანურ, ფრანგულ, ინგლისურ ენაში შესული: კარკას, კარკუა, კარკოის, და ნიშნავს საიარეს, ისართა ბუდეა, კაპარქა — (ესე არს ხრმჯისა, დანისა და მისთანათა ჩასადებელით, ამბობს ს. ს. ორბელიანი).

თინათინის შესახებ ნათქვამია, მასო —

ებურნეს მოშლით რიდენი, ფასისა თქმად საქირონი (123)

ანუ: მოშლით, თავისუფლად ეხვია რიდე, რომლის ფასის თქმა ძნელი იყო.

შემდეგ ისევ თინათინის რიდეს ეხვდებით —

დაღრეჯეთ იყო მჯდომარე ძოწეულითა რიდითა (124)

რიდეს განსაკუთრებული მნიშვნელობა მიეკუთვნება ტარიელისა და ნესტანის ცხოვრებაში. პირველად, ხატაეთში დამზადებული რიდე, — ტარიელის სამხედრო მონაპოვარი —, რომლის შესახებ იგი ავთანდილს უამბობს —

ვერა შევიგენ რა იყო, ანუ ნაქმარი რაულად, ვისცა ვუჩენენ, უკვრდის, ღმრთისაგან თქვეს

სასწაულად, არცა ლარულად ჰგებოდა მას ქაელი, არ ორხაულად, სიმტკიცე ჰგვანდის ნაჭედსა; ვთქვი ცეცხლსა შენართაულად (461)

და მეორედ ტარიელი კიდევ ამბობს —

ერთგან ვნახე საკვირველი ყაბაჩა და ერთი რიდე;

თუცა ჰნახენ, სახელისა ცოდნასაცა ინატრიდე (460)

აი, ეს რიდე, თვით ნესტანის თხოვნით, თუმცა ის მისთვის იყო მაინც დანიშნული, ტარიელმა მას მიუძღვნა. როდესაც ხატაეთიდან დაბრუნებული ტარიელი ქალაქს შევიდა, მას ეს რიდე ეხვია, რომელი რიდენი რამე მეშოვნეს ქალაქსა ხატაელთასა (479)

და ნესტანმა იხილა იგი რიდე, და ტარიელს შეუთვალა —

იგი მე მომცენ რიდენი, რომელნი წელან გშვედეს,

რა მნახო, შენცა გიამოს, შენეულითა მშვენო-

ანუ: მაჩუქე შენი რიდე, რომელი ამას წინად შენ გშენოდა; როცა მე შენი რიდეთი მნახავ, შენც გე-
ამება, ეინაიდან როგორც შენეული ანუ შენ მიერ
ნაქონები, მეც დამშვენდება. — სამაგეროდ, ნეს-
ტანმა ტარიელს გაუგზავნა მკლავსაბაში, სამკაუ-
რი ანუ სამხრე. რასაკვირველია, ტარიელმა ნესტანს
რიდე მიართვა და აქ ვტყობილობთ, რომ ეს რიდე
შავი ფერისა ყოფილა —

მკლავსა შეეიბი მაშინვე, მოვიხსენ რიდე თა-
ვისა,
იგი უცხო და ღარიბი მტკიცისა რასმე შეი-
სა (502)

აჰა რიდე, რომე მთხოვე... (505)

რიდე იმდენად მნიშვნელოვანი და ძვირფასი იყო,
რომ იგი ძღვენთა შორის მოიხსენება. ნესტანისათ-
ვის ხეარაზმიდან —

კაცი მოვიდა; აევსო ჯუბაჩითა და რიდი-
თა (515)

როდესაც თავისი გათხოვების შესახებ გადაწყვე-
ტილება ნესტანმა გაიგო, მან ტარიელი დაიბარა,
რომელს იგი მწყურალად დახედა, და ტარიელი მო-
გეითხრობს, ნესტანსო —

ებურა მოშლით პირ - ოქრო რიდე, მე მივეც
რომელი (521)

ანუ: თავისუფლად მოხურული ჰქონდა პირ-ოქრო,
ოქროთი ნაქსოვი რიდე, რომელი ფერად შავი იყო.
ასმათი ტარიელს უამბობს, ნესტანს როცა დავარი
სცემდა, —

შენეულივე რიდენი ებურნეს, ტურფად ჰშვე-
ნოდეს (577)

შემდეგ, რიდეზეა ლაპარაკი, როცა აეთანდილმა
ფრიდონსა და მისიანებს ტარიელის თაგადასავა-
ლდ უამბო; ფრიდონი აეთანდილთან ერთად ატირ-
და, და მათთან ერთად —

ლაშქართა შიგან შეიქმნა ხმა ტირილისა დი-
ლისა,
ზოგათგან ხოკა პირისა, ზოგათგან სრევა რი-
დისა (1006)

ანუ: ლაქშარნიც დიდი ხმით ატირდნენ; ზოგი პირს
იხოკავდა; ზოგი რიდეს სრევედა, ხევდა, გლოვის ნი-
შანადო. როგორც ეხედავთ, აქ რიდის მქონე არის
ლაშქარი.

რიდეს ატარებს ეპკრულად გამოწყობილი აეთან-
დილი; მას

ჰშვენის ჯუბა და მოხვეენა ძოწეულისა რი-
დისა (1073)

ფატმანი ამბობს, ნავროზობას ანუ საახალწლო
დღესასწაულს, ბალში —
ვიმღერდი და ვვაწვილობდა, ეიცვალეზი რი-

ფატმანმა დაინახა, ზანგებმა რომ კილობანიდან
გადმოსევს ქალი —

თავსა რიდითა შავითა, ქვეშეთ მოსილი მწუანი-
თა (1131)

ფატმანთან ყოფნის დროს ნესტანი —
მიწყვი იყვის რიდითა და მით ერთითა ყაბა-
ჩითა (1148)

და ფატმანი გაკვირვებულია რიდე - ყაბაჩის თვისე-
ბით —

სილბო ჰქონდა ნაქსოვისა და სიმტკიცე ნაქე-
დისა (1149)

ეს იგივე დახასიათებაა, რომელი ტარიელმა გაგ-
ვაცნო. — აეთანდილს ფატმანმა —

ღიაქმან უძღვნა მრავალი კაბა, ყაბაჩა, რიდე-
ბი (1255)

აქაც რიდე მამაკაცთა მორთულობას ეკუთვნის.

რა უნდა გაუგზავნა ჰაჯეთის ციხეში მყოფ ნეს-
ტანს ტარიელისათვის იმის ნიშნად, რომ იგი ცოც-
ხალია? ცხადია, რიდეს ნაქერი. ნესტანი ფატმანსა
სწერს —

მისეულთავე რიდეთა ნაკვეთი გამიგზავნია
(1291)

და თეითონ კი ტარიელსა სწერს —

აჰა, ინიშენ ნიშანი შენეულისა რიდისა (1309)
და —

რა დასწერა, გარდაჰკვეთა მათ რიდეთა ერთი
წვერი (1310)

და იგი წერილთან ერთად ტარიელს გაუგზავნა იმის
საბუთად, რომ ის ცოცხალია; — და როგორც აღ-
მოჩნდა, ეს საქირო იყო, რადგან ტარიელი არც კი
იჯერებდა აეთანდილის ნაამბობს ნესტანის პოვნის
შესახებ, სანამ მან არ —

გამოიღო რიდე მისი (1339).

და ტარიელმა —

წიგნი და კიდე რიდისა იცნა და გაცაშალა მან
(1340)

და წაუვიდა გული.

დაბოლოს, რიდე მოიხსენება ვით ძვირფასი საჩუ-
ქარი, რომელი ნესტანმა თინათინს გაუგზავნა —

ქალსა ქალმან გაუგზავნა ყაბაჩა და ერთი რიდე,
რომე ჩაქმა - დახურეასა ვინ ღირს იყო მათგან
კიდე (1659)

როგორც ვნახეთ: რიდეს იხურავს მამაკაცი და
დღდაკაცი. იგი არის თავსახურავი, რომელი ბეჭე-
ბდაც გადადის, და ევროპიულ ლინც, — ვიშპალ,
— რიზა, -- შლაიერა-ი არის.

X

არსებობს რაიმე დღევანდელ არაბულ ქვეყნებში
ვტ.-ის «რიდე»-ს მსგავსი? არსებობს. ეს არის ვრცე-

ლი თავსაფარი, რომელი შუბლიდან, თავზე გადაე-
ლით, ზურგზე ფართო ნაკეცებით ეცემა. იგი ისე
ფართოა, რომ მით სასის დაბურვაც შეიძლება. ამ-
გვარ თავსაფარს ჰქვია «შეში», და მოსასხამთა შო-
რის, იგი არაბულ სამოსელთა აღმწერელს, დოზის
აღნიშნული აქვს სახელით «შაშ», ოღონდ მას დე-
დაკაცი არ ატარებენ, რადგან მათთვის სახის და-
ბურვა სავალდებულოა.

11. საბურავი

ს. ს. ორბელიანის განმარტებით, საბურავი არის,
რაც ზევიდან დაბურვოდეს, ანუ დასაფარავი, ზედ
დასაფარებელი. ეს სიტყვა ვტ.ში ორჯერ იხმარება.
ფატმანის შესახებ ნათქვამია —

ღია ეღვა სასალუქო დასაბურავ - ჩასაცმე-
ლი (1077)

ანუ: ბევრი (ღია) ჰქონდა (ეღვა) მორთულობა (სა-
სალუქო) ანუ საკობტაოდ ჩასაცმელი და დასაბურა-
ვიო. დასაბურავი აქ არის ტანზე შემოსახვევი და სა-
ხის დასაფარავი ქსოვილი, ჩადრი.

ფატმანი ნესტანის შესახებ ამბობს, მასო —

არად უნდრს საბურავი, არცა წოლა საგებლი-
თა (1148)

საბურავი აქ არის საბურველი ანუ ზედ დასაფა-
რებელი საბანი.

ამგვარად: 1) საბურავი არის ჩადრი; 2) საბურავი
არის საბანი.

12. აჯილა

ს. ს. ორბელიანის განმარტებით, «აჯილა» არის
ქალთ მოსაფარებელი, წამოსასხამი, თეთრი ზეწარი.
იოსებ გრიშაშვილის განმარტებით, «აჯილოსანი»
არის თეთრ-ჩადრიანი მანდილოსანი. გაზეთში «ივე-
რია», ქართველ მანდილოსანთა მიერ ხმარებული
ჩადრი ასეა აწერილი: «ფართო, სრული იმდენად,
რომ მთლად მანდილოსანი დაჰფაროს, ოთხკუთხი;
ორთავ მხარეს სარტყელში ჩაიკეცავდნენ, თავს წა-
მოიხურავდნენ ისე, რომ თეალები-ღა გამოჰჩნდებო-
და. ფეხებს ჰფარავდა. ჩადრი — იგივე აჯილა. აჯი-
ლოსანი — ჩადრით მოსილი». («ივერია», 1904 წ.
N. 103).

ასმათის შესახებ მონა ტარიელს ეუბნება —

თქვენსა ამბავსა იკითხავს აჯილოსანი ქა-
ლია (490)

როდესაც ფატმანმა ნესტანი ნელიქ-სურხავის სა-
ხახლეში გაისტუმრა, ნესტანმა —

მთხოვა, გარე აჯილითა მოიბურა ტანი, პი-
რი (1176)

უქველია, ვტ.ის აჯილა არის ქალთა მოსაბუ-

რავი, ტანისა და პირისა ერთად. ამას გარდა, თუმ-
ცა აქ გარკვევით არაა აღნიშნული, აჯილა თეთრი
უნდა ყოფილიყო, როგორც იგი საერთოდ თეთრი
იყო — ნიშანი მორცხვობისა და კდემისა, სიწმიდისა.

13. ზეწარი

ს. ს. ორბელიანის განმარტებით, — საგებელის,
ლოგინის ყოელგვარ გარდასაფარებელს ზეწარი
ეწოდება, და აგრეთვე ქალთა მოსახურავს ზეწარი
ჰქვიათ.

ვტ.-ში სიტყვა «ზეწარი» ქალთა მოსახურავის
მნიშვნელობით გვხვდება.

ასმათის შესახებ მონა ტარიელს მოახსენებს —

ზეწარითა მოუბურავს პირი, ბრძენთა საქება-
რი (370)

მაღულად ტარიელთან მოსულ ასმათს ტანზე და
სახეზე მოფარებული აქვს ზეწარი, რაც დამალვისა
და მორცხვობის ნიშანია. ამას გარდა, ეს თქმა «პი-
რი, ბრძენთა საქებარი», მაშინ როცა ეს მონა მას
ვერ ხედავდა, არის ზრდილობის წესი — მოსულ
ქალზე მხოლოდ ჰება უნდა თქმულიყო!

ზეწარი ვტ.-ში გამოყენებულია აგრეთვე მკვდარ-
თა შესახვევადაც (იხილეთ აქვე, თავი 19).

ამ სიტყვას «ზეწარი» ვხვდებით ქართულ ბიბლი-
აშიც, ოღონდ სხვა მნიშვნელობით —

გამოცხადება იოანესი 1,13 და შორის შეიღთა
მათ სასანთლეთა მჰკსავესი ძისა კაცისა, შემოსილი
ზეწრითა და ერტყა ძუძუთა თანა მისთა სარტყელი
ოქროსა.

ზეწარი აქ არის «პოდირი» ანუ გრძელი სამოსე-
ლი ებრაელ მეფეთა და მღვდელმთავართა.

14. პერანგი

სიტყვა «პერანგი» სპარსულია — პერჰან, ან, მე-
ორე გამოთქმით — ფირაჰენ. და ფრანგულად იგი
ნათარგმნი არის სიტყვით «შმიზ», რაც იმას ნიშნავს,
რასაც დღეს პერანგს ვეძახით⁸¹. გვერდი 36. (აქვე
მსურს ჩემი უღრმესი მადლობა გამოუეცხადო ბ. ნ
ანტუან კომპანიონს, თეირანში, ფრანგულ - სპარ-
სული ლექსიკონის მოძღვენისათვის).

ავთანდილის შესახებ ნათქვამია —

ავთანდილ ჯდა მარტო საწოლს, ეცვა ოდენ
მართ პერანგი (120)

ფატმანმა ავთანდილს უძღვნა —

მრავალი ფერი სურნელი, ტურფა პერანგი, წმი-
დები (1255)

ტურფა პერანგი არის აქ არა ლამაზი პერანგი,
არამედ ძვირფასი ქსოვილის პერანგი. როგორც უკ-
ვე აღვნიშნე, «ტურფა» არის ზოგადი სახელი ძვირ-

ფას ქსოვილთა (იხილეთ უკან, გვერდი 39). ეს სიტყვა ამავე მნიშვნელობით მეთერთმეტე - მეთორმეტე საუკუნის ქართულ მწერლობაში იხმარებოდა, როგორც მაგალითად —

ოქროსა სწონდის,
ტურფები ჰქონდის
ფერად ფერადი
მრავალი გვარი

(თამარიანი, VI, 17)

ტურფა აქ არის ძვირფასი ქსოვილი. როცა ტარიელი და აეთანდილი ქებას მიბრუნდნენ, ასმათმა ისინი —

მაშინვე იცნა, ავარდა მოშლილი, პერანგოსანი (1355)

15. ხამი

აქამდე ჩვენ განვიხილეთ მალალი წოდების, არისტოკრატიის სამოსელნი და ქსოვილნი, მაგრამ ამით გარდა ეტ.-ში აგრეთვე დაბოროთა და ვაქართა სამოსელსაც ვხედავთ.

სიტყვა «ხამ» არაბულ - სპარსულია. ახალ სპარსულში ეს სიტყვა ნიშნავს: უხეში, უბრალო. ⁸⁴

ხამი არის ბამბის ქსოვილი, უბრალო და უხეში ნაქსოვი ბამბისა სამოსელი. ⁸⁵ ანუ როგორც ს. ს. ორბელიანი ამბობს — სხეილი სამოსელი.

ფატმანი უამბობს აეთანდილს, თუ როგორ გაიგო მან ნესტანის ტყვეობის ამბავი, — მან მოისმინა ერთი მონისა და მგზავრთა საუბარი —

მოვიდა სითმე ღარიბი, მონა მოყვისთა სამითა,
მონა, მონურად მოსილი, სხვანი მგზავრულებ
ხამითა (1217)

ანუ: საიდლანაც მოვიდა უცხო (ღარიბი) მონა ხამი ამხანაგით (მოყვისთა), და მონა იყო მონურად ჩაცმული, ხოლო დანარჩენნი, მგზავრულად, ხამითაო.

მონას ეცვა მონური სამოსელი, ესე იგი დაწესებული და რკვეული ფორმა, ხოლო როგორია იგი ეს უცნობია; დანაჩენთ კი: ხამი აცვიათ.

ამ ლექსით დახასიათებულია პატრონყმური საზოგადოების ერთი სახე: მონებს აქვთ თავისი საკუთარი სამოსელი, მონური ფორმა; უბრალო მგზავრებს კი — ხამი.

16. სამოსელი ჰაბუკური და ვაქრული

ჰაბუკთ ანუ რიტტერებს (კავალერო, რიცარ) თავისი საკუთარი სამოსელი ჰქონდათ, საკუთარი ფორმა, რომელი მათ სხვათაგან განასხვავებდა. ვაქრებსაც ამგვარადვე.

როგორ იცნენ აეთანდილი ზღვის პირად მდგომმა ვაქრებმა? როდესაც აეთანდილი მათ წააწყდა, მე-

ქარაენნი მას მდაბლად მიესალმნენ —

უხამ იყო ქარაენისა უხუცესი, კაცი ზრძენი.
მოახსენა ხობა სრული, დალოცა და უქმნა
ზნენი.

ჰკადრეს: ზხმელთა სინათლეო, შენ ამოხვე ჩვენი მლხენი,
ჩაშოხვე და მოგახსენოთ ამბავი და საქმე ჩვენი (1030)

აეთანდილი ვაქრებმა იცნენ მისი გარეგნობით, ბიძი ჩაცმულობით, მისი აღჭურვილობით. აეთანდილს ეცვა დიდაცური, ჰაბუკური სამოსელი და რომ ეს ასეა, ამას ჩვენ ეწმუნდებით, როცა აეთანდილი გადასწყვეტს თავისი სამოსელი გამოიკვალოს, — და აქ ვაქრულ სამოსელსაც ვხედავთ.

აეთანდილი ვაქრებს ეუბნება: მე გაეცხდი ჩემს სამოსელს და ვაქრულს ჩაეცვამო —

«ეჟამდის ჩემსა ნუ იტყვიოთ არ თქვენსა პატრონობასა;

«თვით თავადია ჩვენი», თქვით, «ნუ მიხმობთ ჰაბუკობასა;

მე საეპროსა ჩაეცვამ, დაეწყებ ჩუბაჩობასა... (1058)

უსენმა აეთანდილს ხობა მოახსენა ანუ ქება უთხრა; და ქება კი მხოლოდ მალალი წრის კაცს მიეკუთვნება (იხილეთ თავი — ხობა, ეტ.-ს საზოგადოებათმეტყველება), აგრეთვე დალოცვაც. ესლა აეთანდილი თავისი საჰაბუკო სამოსელს იხდის და ვაქრულს იცვამს, რათა ამით თავი დაემალოს და გულანშაროს ვაქართა წრეში იოლად შეეღვას. აქედან სჩანს, რომ ჰაბუკური სამოსელი და აღკაზმულობა დაწესებული ფორმა იყო.

როდესაც აეთანდილმა ფატმანისაგან ნესტანის თავგადასავალი შეიტყო, მან გადასწყვიტა თავისი ვინაობა გაემჟღავნებინა, და თუ აქამდე მას ვაქრული სამოსელი ჰქონდა, ესლა თავისი საკუთარი ჰაბუკური უნდა ჩაეცვა —

აეთანდილ თქვა: «საქმე ჩემი გავაცხადო ამა დღესა!»

სამოსისა ვაქრულისა ცმა აქამდის დაეწესა;

მას დღეს ყოველი საჰაბუკო შეიმოსა ტანსა მხნესა,

მოემატა დაშენება, დაემსგავსა ლომი მზესა (1256)

რასაკვირველია, ფატმანი ვაქრულად გამოწყობილ აეთანდილს ვაქართა უხუცესად იცნობდა, და როდესაც იგი ჰაბუკურად ჩაცმული —

ფატმან ნახა, გაუკვირდა ვაქრულისა უმოსულად (1257)

მაშასადამე, ეტ.-ით ვტყობილობთ: 1) მონას აქვს თავისი საკუთარი სამოსელი; 2) უბრალო ხალხს —

ხამის სამოსელი; 3) ჰაბუკს — ჰაბუკური სამოსელი ანუ რიტტერული, კავალერული სამოსელი; და 4) ვაჰარს — ვაჰარული.

ამგვარად: ვტ.-ში სამოსელს წოდებრივი მნიშვნელობა აქვს, ვითარცა ეს ევროპაში იყო.

17. ძაძა

როგორც უკვე აღნიშნა (იხილეთ უკან, გვერდი 15, სექტი 1), შავი სამოსელის ტარება გლოვის ნიშანად უუძველესი წესია, რომელსაც მიზნად ჰქონდა მკვდარის სულისაგან თავის დამალვა, რათა მას ცოცხალისათვის ზიანი რამ არ მიეყენებინა. ამ შავ სამოსელთა პირველ რიგს ძაძა ეკუთვნის.

ს. ს. ორბელიანის განმარტებით, ძაძა არის ღაზლის შალი. ღაზლი = მატყლის მკედი სხვილი. მკედი = მოსხო ძაფი. შალი = მატყლის ნაქსოვი.

მაშასადამე: ძაძა არის მატყლის სხვილი ძაფისაგან მოქსოვილი, რომლის ფერი, რასაკვირველია, — შავია. ესაა ჩვეულებრივი შავი სამოსელი, რომელს გლოვის შემთხვევაში იცემენ, ხანდახან წელთა განმავლობაში.

ინდოეთის დედოფალს, მეფე ფარსადანს გარდაცვალების შემდეგ, ძაძა ეცვა (და აღბათ სასახლის ყველა ხალხსაც), ხოლო როდესაც ნესტანი და ტარიელი ინდოეთს მიბრუნდნენ, მაშინ —

დედოფალმან შეიმოსა, შავი ძაძა აიხადა;

დიდებულთა შესამოსი მხიარული დაუმზადა (1635)

დასრულდა გლოვა: გაიხადეს შავი ძაძა, — და მხიარული, ანუ ფერადი სამოსელი ჩაიკვეს. ძაძა გლოვის ნიშანია.

17. ფლასი

ფლასი სპარსული სიტყვაა და ნიშნავს: სამგლოვიარო სამოსელი, სხვილი შალისაგან შეკერილი. ს. ს. ორბელიანის განმარტებით, ფლასი არის ბალნის ძაძა.

ვტ.-ში სიტყვას «ფლასი» პირველად ხმარობს ავთანდილი, როცა იგი თავის ვაზილს, შერმადინს ემშვიდობება, ოდეს იგი ტარიელის საძებრად მიგზავნება —

აქათ სამ წელ არ მოვიდე, მაშინ გმარაუბს გლოვა, ფლასი (164)

ნესტანი ტარიელს უხსნის: თუ სასიძო შემოუშვი და მას მე შემართეს, მაშინო —

ერთმანერთსა გავეყარნეთ, ძოწეულნი გავგიფლასდენ (540)

ერთმანეთს დაეშორდებით, წითელი ფერის სამოსელი (ძოწეული) ანუ სიხარულსა და სიყვარულის

ნიშანი, ფლასად შეგვეცვლება, და შავად გაგვიხდებო.

როდესაც მეფე როსტევანმა ავთანდილის გაპარვა გაიგო, მისი წასვლა მან დიდად იგლოვა და შემდეგ

რა ანდერძი წაიკითხეს, კვლა იტირეს დიდი ხანი;

მერმე ბრძანა: «მხიარულსა ნუ ჩაიკმენ ჩემნი სპანი (829)

მხიარულის ანუ ფერადი სამოსელის ჩაცმის აკრძალვა არის გლოვის გამოცხადება და რასაკვირველია, შავი სამოსელის ტარებაა.

ფატმანი ავთანდილს მოუთხოვრებს ქაშნაგირთან თავისი სიყვარულის შესახებ და ამბობს —

ჩვენ გვიყვარდა ერთმანერთი, არ მაცვია თუცა ფლასი (1205)

ანუ: თუმცა ქმარი მყავს და სამგლოვიარო არ მაცვია (ფლასი), მაინც გვიყვარდა ერთმანეთით.

ფარსადან მეფის გარდაცვალებისა გამო ინდოეთში არიან —

ერთობ ფლასითა მოსილნი (1622)

და ტარიელმა —

რა ნახა ხასნი, ვაზირნი ფლასითა დამოსილნია (1624)

თვითონაც დიდად ატირდა, ხოლო მერმე კი —

დედოფალმან შეიმოსა, შავი ძაძა აიხადა; დიდებულთა შესამოსი მხიარული დაუმზადა....

ეს სიტყვა «ფლასი» «თამარიანი»-შიც იხმარება — იოსრის მგოდებმან

ფლასულმა ისო

(თამარიანი X, 33)

18. სუდარი

სიტყვა «სუდარი» არის ლათინური სიტყვისაგან: «სუდარიუმი». ძველი რომაელი ამ სახელს ცხვირსახოცს უწოდებდა. განთქმული იყო ესპანეთში. (ქალაქ სეიტაბის) დამზადებული სუდარიუმი.

ქრისტიანული თქმულება მოგვითხრობს, ამ სუდარიუმი იესო ქრისტემ ოფლი მოიწმინდა და ამ ცხვირსახოცზე მისი სურათი დარჩაო. ამ სუდარიუმს ეწოდება: ვერონიკას პარსახოცი. შემდეგ ეს სუდარიუმი გაიწმინდა იმ ტილოსთან, რომელშიც ჯვარცმული იესო ქრისტე გაახვიეს და დაფლეს. სწორედ ამ ტილოზე დარჩა მისი სახის სურათი. შემდეგ სიტყვა «სუდარიუმი» გადაიქცა ზოგად სახელად იმ ტილოსა, რომელში მკვდარს ახვედნენ ხოლმე ჩვეულებრივად. 107.

სიტყვა «სუდარიუმი» სამი მნიშვნელობით იხმარება: ცხვირსახოცი თუ ხელსახოცი საერთოდ, 2)

გარდაცვალებულთა თავის შესახვევი და 3) დასაკრძალავთა მთელი ტანის შესახვევი.

ეს სიტყვა «სუდარი» ქართულ ბიბლიაშიც არის გამოყენებული

ლუკა 19, 20 აპა ვეცხლი შენი, რომელი მაქენდა დაკრძალული სუდარსა.

აქ სუდარი არის ხელსახოცა.

იოანე 11,44 და პირი მისი დაბურვილ იყო სუდარითა.

აქ და ქვემოდაც, სუდარი არის მკვდარის თავის შესახვევი —

იოანე 20,6 შევიდა საფლავად, და იხილნა ტილონი იგი მდებარენი (რომელშიც შეხვეული იყო გვამი იესო ქრისტესი).

იოანე 20,7 და სუდარი იგი, რომელი იყო თავსა მისსა, არა ტილოთა მდებარე, არამედ თვისაგან შეკეცილი ერთსა ადგილსა.

იგივე სიტყვა «სუდარი» იხმარება ეტ.-ში, სადაც ნათქვამია: ეპ, საწუთრო ბოლოს თავს ასუდარებს, ანუ მკვდარს გახდის, ანუ სუდარით თავს შეუკრავს და ზეწარში შეახვევს —

ეპ, საწუთრო ბოლოდ თავსა ასუდარებს, ახეწარებს (716)

სუდარი აქ არის მკვდარის თავის შესახვევი, ხოლო ზეწარი კი — შესახვევი ტანისა.

აეთანდრელი ამბობს —

ეველარ შემსუდრონ დაზრდილთა და ეერცა მისანდობელმან (802)

— ამ ლექსში კი სუდარა მთელი ტანის შესახვევი უნდა იყოს.

სუდარი ს. ს. ორბელიანის განმარტებით, არის მკვდართ სახვეველი, ზეწარი მსუდრავი. ზეწარი კი არის ყოელთა გარდასაფარებელთა საგებელთა და აკვანთასა და მისთანათა... ზეწარად ითქმის ოდესმე სუდარიცა.

ამგვარად, ცხოვრებაში და ეფესხისტყაოსანშიც: ადამიანის მხიარული სამოსელი ძაძითა და სუდარით ცელდება...

III. შეთელილინი

შეთელილი არის ყოველი საგანი, რომელი მზადდება მოთელვის, გათელვის წესით; შეთელვას ანუ მოთელვას უხდენენ მატყლს ან ბალანს და ამ გზით დამზადებული საქონელი არის «შეთელილი». ამგვარი საშუალებითაა გაკეთებული ნაბადი, თქნაზადი (კეთილი ნაბადი), ფიჩვი (მატყლის ფარდაგი), ხირაული (თხელი ფიჩვი), ტაბასტო (ლები), საბანი, კილიკი (ფლასი ბალნისა) და სხვა. ასე გაგვიმარტავს ს. ს. ორბელიანი ამ სახელთ; და ამით გარდა:

ქეჩა, ჩული (სახურავი ცხენთა და ძაღლთა), თოქალთო, — ზოგადად ჩინჩლიანი ანუ ბოქკოიანი საგნები შეთელილი არიან.

1. ნაბადი

ნაბადი არის მოსასხამი შეთელილი მატყლისაგან. იგი არის უუძველესი მოსასხამი, რომელიც ადამიანს დაუმზადებია თავის წარსულში. თვით სიტყვა «ნაბადი» სპარსულია: «ნამად», რაც რუსულად ნათარგმნია სიტყვით «ეოილოკ». 108. (ესარგებლობ შემთხვევით, გულითადი მადლობა გამოუუცხადო ქალბატონ ქსენია სასანიას, თიერანში, ჩემთვის სპარსული ლექსკონის მოწოდებისათვის).

სიტყვა «ნაბადი» ეტ.-ში იხმარება, როდესაც ტარიელი თავის ბედზე სჩივის და ამბობს —

აწ ლხინთა ნაცელად სოფლსა ჩალა მაქეს და ნაბადია (304)

ანუ: ლხინთა მაგიერ ეხლა სოფლის ჩალა მაქეს საგებელად, და ნაბადი დასახურავად.

ფატმანის მიერ ქაჯეთს გაგზავნილი გრძნეული მონა ნესტანთან —

შევიდა ზანგი პირ-შავი, თმა-გრძელი, ტან - ნაბდიანი (1278)

მონა არის შავი; მისი ნაბადიც არის შავი. გრძნეულს, ნეგრომანტიის ხელოვანს სწორედ შავი ფერი შეეფერება.

2. მოლი

«მოლი»-ს შესახებ ლაპარაკია, როდესაც ფატმანი თავის გრძნეულ მონას ქაჯეთს აგზავნის, წერილით ხელში ნესტანისათვის —

მან გრძნეულმან მოლი რამე წამოისხა ზედა ტანსა (1276)

ეს სიტყვა «მოლი» ს. ს. ორბელიანს აღნიშნული არა აქვს. მას განმარტავს ბატონიშვილი თეიმურაზი და ამბობს: — მოლი არის მწვანე წამოსასხამი ნაბადითო. ეს განმარტება განმეორებული აქვს პროფესორ ი. აბულაძეს (ეტ. 1914 წ.) და მასვე კვლავ განმეორებული სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ გამოცემულ ეტ.-ში (1937 წ.) — მოლი — მწვანე (!) ბალახიანი ადგილი; მწვანე რამე, მწვანე წამოსასხამი.

პროფ. ჩუბინაშვილი ფიქრობდა: მოლი არის შავი წამოსასხამო (იხილეთ ინგლისური თარგმანი ეტ.-ისა, მარჯორი უორდროპის მიერ. გვერდი 203; შენიშვნა 4).

სიტყვისა «მოლი» მნიშვნელობა მოცემულია თვითონ ეტ.-ში, სადაც იქვეა განმარტებული, — ნესტანთანო —

შევიდა ზანგი პირ - შავი, თმა - გრძელი, ტან -

ოლონდ ასე არ ფიქრობს პროფ. კორნელი კეკელიძე, რომელიც ამ საკითხის შესახებ სწერს —

«თეიმურაზს ბატონიშვილს ეფეხისტყაოსანის კომენტარიებში აღუნიშნავს, რომ «მოლი» არის ნაბღის მსგავსი მწვანე წამოსასხამიო (აქედან ეს განმარტება რხ. ს. კაკაბაძის მეორე გამოცემაში). ამ სიტყვის განმარტება არ მოეპოვება არც ვახტანგს, პოემის პირველ გამოცემელსა და კომენტატორს, არც სულხან საბა ორბელიანს; როგორც გამოძიკვიეს, წამოსასხამის მნიშვნელობით ამგვარი რამე არც სპარსულ - არაბულშია. აქედან ცხადია, თეიმურაზს ასეთი მნიშვნელობა ამ სიტყვისათვის მიუცია კონტექსტის მიხედვით: ქაჯმა ტანზე წამოსახა «მოლი», მაშასადამე «მოლი» რალაც წამოსასხამია ნაბღის მსგავსი (მით უმეტეს, რომ მომდევნო სტროფში ქაჯი წოდებულია «ტან - ნაბღიანად»), მხოლოდ მწვანე ფერის, რადგანაც ქართულში «მოლი» ნიშნავს ახალ ბალახს, მწვანეს და მით შემოსილ მინდორს. (ამ უკანასკნელი მნიშვნელობით თეიმურაზი ამ სიტყვას ვერ მიიღებდა, რადგანაც ბალახის მით უფრო მინდორის, წამოსახა ტანზე ქაჯსაც არ შეუძლია) (!?). მაგრამ თეიმურაზი შემცდარია: «მოლი» არ შეიძლება «წამოსასხამს» ნიშნავდეს, ისიც მწვანე ფერისას, ვინაიდან ფატმანის ქაჯი, პოეტის ტუნდენციით, ყოველგან და ყოველთვის არის «შავი» (1099), «შავი მართ ვითა ყორანი» (1126), «ზანგი პირ-შავი» (1135). მე ვფიქრობ, რომ თავდაპირველ ტექსტში იყო არა «მოლი» (გრამატიკული დამატება), არამედ «მოლიდ» (შეკვეცილი ფორმა მოთხრობითი ქვემდებარისა): «მან გრძნეულმან მოლიდ რამე წამოსახა ზედა ტანსა», ესე იგი: მან გრძნეულმა მოლიდმა, ტანზე რალაც წამოსახა. შემდეგი დროის უვიცმა გადამწერლებმა, რომელთაც ვერც «მოლიდ» სიტყვის მნიშვნელობა შეიგნეს, ვერც მისი შემცვლელი ტაეპის კონსტრუქციას აუღდეს ალლო, «მოლიდ»-ისაგან, ნებსით თუ უნებლიეთ, გამოიყვანეს «მოლი», წამოსასხამის მნიშვნელობით-ო, დაასკენის პროფ. კორ. კეკელიძე. 100.

მაშასადამე, პროფ. კორ. კეკელიძის აზრით «მოლი» ყოფილა «მოლიდ», რაც არის იგივე «მულიდ» ანუ მუსულმანურ სექტათა ისტორიაში დიდად ცნობილი ისმავლიტიანთა სექტის წევრი, ანუ ასასენი.

«მულიდი», განმარტავს ს. ს. ორბელიანი, არის პარავით კაცის მკვლელი. (ასასენი).

ეს სიტყვა «მოლიდი» გვხვდება იოანე შავთელის პოემაში: «აბდულ-მესია» (მე-11 და მე-12 საუკუნე):

თქვენგან ქურუმთა
მყის აქ ურუმთა
მოლიდთა ცუდპყვეს

პროფ. ნ. მარჩი ამ სიტყვას «მოლიდი» ასე განმარტავს: «მოლიდი» (არაბული სიტყვა) — სარწმუნოებისაგან გამდგარი, განდგომილი, ერეტოკოსი, წარმართი. ¹⁰¹ გვერდი რჩ. — ეს განმარტება საესებით სწორია.

მართლაც: «ქვეყანა აღმუთისა»-ში (სპარსეთში) მეთერთმეტე საუკუნეში დაარსდა ისლამური სექტა, რომელიც დამოუკიდებელ, პატარა, ოლონდ მეთად ძლიერ სახელმწიფოდ გადაიქცა. და თავის საბრძოლო იარაღად ხმარობდა თავის წევრებს, რომელთაც მოწინააღმდეგეთა მოკვლა ევალებოდათ და არა მიპარვით მარტო, არამედ პირდაპირი მისვლითა და მოწამლვითაც. ამ მუსულმანურმა სექტამ თავზარი დასცა მთელს მუსულმანურ ქვეყნებს და ევროპაში იგი ცნობილი იყო «ასასენ-თა» (მკვლელთა) სახელით. ამ სექტას მეტად წარმატები ისტორია აქვს, მხოლოდ, სამწუხაროდ, მისი მოთხრობა შორს წაგვიყვანდა.

პროფ. კორ. კეკელიძის განმარტება გრამატიკულადაც რომ მისაღები იყოს, ესე იგი, ლექსი ასეთი ყოფილიყო: მან გრძნეულმან მოლიდ რამე წამოსახა ზედა ტანსა — და უნდა ყოფილიყო კი: მან მოლიდმან —, ასეთი განმარტება თავის თავად მაინც მიუღებელია. რატომ? მხოლოდ იმტომ, რომ ფატმანს არ შეეძლო «მოლიდი» ჰყოლოდა.

მოლიდთა ანუ მულიდთა ორგანიზაცია იყო სახელმწიფოებრივი, სამხედრო - პოლიტიკური და უმთავრესად რელიგიური, და ეს მოლიდნი მხოლოდ აღამუთის ძღვეამოსილ და განუსაზღვრელი ხელის უფლების მბრძანებელს ემორჩილებოდნენ, ბრმად და განუკითხავად, მოსმენითა და შეუკითხავად, და სწორედ მეთორმეტე საუკუნეში მათი ძლიერება უღიდესი იყო; იმ ხანად მათი თვითმპყრობელი და განუსაზღვრელი მბრძანებელი იყო არაბი შეიხი აღჯიბალ. შემდეგ, მონღოლებმა ეს სასტიკი სექტადიდ ბრძოლათა და დიდ მსხვერპლთა გაწევით გაანადგურეს მეცამეტე საუკუნის მეორე ნახევარში.

პროფ. კორ. კეკელიძეს თვითონ მოაქვს ამონაწერი «ქართლის ცხოვრები»-დან (მარჩამ დედოფალისა, გვ. 624) — «აღმუთელნი არიან კაცისა მკვლელნი მიპარვითა, რომელთა მულიდად უწოდებენ»-ო.

ეს «მულიდები» არც ქაჯები ყოფილან, არც გრძნეულნი. და ფატმანს ეს «მულიდი» არაფრად არ სჭირდებოდა, კიდევ მისი ყოლა რომ შესძლებოდა. ფატმანის შავი მონა - ზანგი არის გრძნეული, და არა «მიპარვით მკვლელი». აღამუთელნი მულიდნი კი გრძნეულნი არა ყოფილან, ისინი თა-

ვის მბრძანებლის სიტყვას მონურად ემორჩილებოდნენ და მისი შესრულებებისათვის თავსა სწირავდნენ, და ამაში იყო სწორედ მათი ძალა.

პროფ. კორ. კეკელიძის განმარტება სიტყვისა «მოლი» სრულებით არაა დამაჯერებელი, ვინც კი მულიდთა სახელმწიფოს ცოტათო მაინც იცნობს, — მაგრამ ამას გარდა, თვით ვტ.-ში ეს სიტყვა «მოლი» განმარტებულია იქვე, — ეს შავი მონა, ზანგი, რომელმაც «მოლი რამე» წამოიხსა, იყო ტან-ნაბდიანი. ამ სიტყვით «ტან-ნაბდიანი» გარკვეულია სიტყვა «მოლი», რომელიც არის «ნაბადი».

რომ «მოლი» არის «ნაბადი» და არა «მულიდი», ამას სხვა საბუთიც ამტკიცებს.

სერაპიონ საბასევილი იყო მეთუთსმეტე - მეთექვსმეტე საუკუნის ცნობილი მთარგმნელი პოეტი. იგი იყო ფირდაუსის «მეფეთა წიგნი»-ს (შაპ-ნამე) ერთი ნაწილის მთარგმნელი, და კარგი მთარგმნელი. მას ეკუთვნის : «აქა ამბაეი დასაწყისი როსტომისა და ზურაბისა».

როსტომი (რუსტემ) სანადიროდ გავიდა; ნანადირევით მან ისადილა, მერმე —

რაშსა მისცა საძოვარი, ხმალ-კაპარჯი ეღვა წინა;

მან დაიგო მოლი ქვეშა, — არსად უჩნდა მტერი ვინა, —

სასათულად უნაგირი, დაწეა, ამოდ დაიძინა.

აი, სად გვხვდება სიტყვა «მოლი». 110.

მაშასადამე, როსტომმა დასაწოლად მოლი ქვეშ დაიგო, ხოლო სასათულად კი მიიღო უნაგირი.

რა არის ეს «მოლი»? ნადირობისას როსტომი ხომ ლებს არ წაიღებდა?! დასაწოლად «მწვანე ბალახს» ხომ არ მოთიბავდა და მას დაიკვებდა?! რასაკვირველია, «მოლი» აქ არის ნაბადი, რომელი ნადირობაშიც თან მიაქვთ ხოლმე.

ცხადია, ეს სიტყვა «მოლი» არსებულა, და მას «ნაბადი»-ს მნიშვნელობა ჰქონია.

პროფ. კორ. კეკელიძე ამაოდ ედაეება ბატონი-შვილ თეიმურაზს, რომელიც ფიქრობდა, რომ «მოლი» მწვანე წამოსასხამი არისო. შესაძლებელია ეს წამოსასხამი მწვანე არ იყო, — ისიც შეუძლებელი არ არის, რომ ვტ.-ის «მოლი» მწვანე იყო, რადგან ამ ფერს «შავს ხელოვნებაში» თავისი მნიშვნელობა აქვს.

მწვანე ფერი მოგეობაში, ჯადოსნობაში, გრძელულობაში იხმარებოდა, მაგალითად: —

კუდიანობის ყრილობისას, ვალპურგიის ღამეს, პირველ მაისს, მწვანე ხეს რგავდნენ და მწვანე ტოტებით ხელში როკავდნენ. ეშმაკიც ხომ ხშირადაა მწვანე ფერით წარმოდგენილი; მეცხრე საუკუნეში ეშმაკს ხატავდნენ, ვით ბოროტ ანგელოზს, შიშვე-

ლი კაცის სახით, ფრთებითა და მწვანე ფერით. 111.

ამ განმარტებათა მიუხედავად, მგონია, დ. ჩუბინაშვილის ნათქვამი, რომ აქ შავი ნაბადიაო, უფრო სწორი უნდა იყოს, ვიდრე ბატონიშვილი თეიმურაზისა, რომელიც აქ მწვანე ნაბადს გულისხმობს. მართალია, მწვანე ფერი ეშმაკის ფერიცაა, მაგრამ ეშმაკის ფერია აგრეთვე შავი ფერიც, — და საერთოდ შავი ფერი «შავს ხელოვნებაში» ანუ ნეგრომანტიაში ჩვეულებრივია, — და რადგან ნაბადიც შავი ფერისაა ჩვეულებრივად, ამიტომ ვტ.-ის მოლი ანუ ნაბადი, რომელი გრძნეულ მონას, «შავი ხელოვნების» წარმომადგენელს ეხურა, შავი უნდა ყოფილიყო. მაშასადამე, სიტყვით «მოლი», რომელიც ჩვენ ვტ.-ში გვხვდება, ნაგულისხმევია წამოსასხამი ანუ ერთგვარი ნაბადი. მაშ რად დასჭირდა პროფესორ კორ. კეკელიძეს სიტყვისა «მოლი» სიტყვად «მოლიდ» გადაკეთება?

პროფ. კორ. კეკელიძემ სიტყვა «მოლი» «მოლიდად» გადააკეთა, რათა დამტკიცებინა, რომ ეფუხისტყაოსანის ქაჯეთი ალამუთის ქვეყანა იყო, და «მოლი», «მოლიდი» (მულიდი) მისი მცხოვრებიო.

X

საქართველოში ეფუხისტყაოსანის გარშემო ერთი მეტად ცუდი ჩვეულება მყარდება — თვითელი «მკვლევარი» სცილობს ეფუხისტყაოსანზე რაღაც განსაკვირებელი რაიმე თქვას და ისეთი დებულეება გამოაცხადოს, რომელი მკითხველს გააბრუებს. ასეთი იყო პროფ. ნ. მარჩის, სარგის კაკაბაძის, პაულე ინგოროყვას და სხვათა «თამაში». მათ რიცხვს ზემოთა კიდევ პროფ. კორ. კეკელიძე და მანაც მოიწადინა უსათუოდ თავისებურება გამოეჩინა და ახალი, მოულოდნელი, თავბრულდამხვევი სწავლა შეექმნა ეფუხისტყაოსანის შესახებ.

აბა, რა საკადრისია! პროფესორმა მიმართა არა - მეცნიერულ გზას: აიღო ერთად ერთი სიტყვა «მოლი» და გადააკეთა იგი სიტყვად «მოლიდ» (თანაც ჩაწიხლა ვტ.-ის გადაწვენი ამ სიტყვის დამახინჯებისათვის, გაუგებლობისათვის!) და ამ ერთი სიტყვის გადაკეთებით მთელი მტკიცება მოაწყო ვტ.-ის შესახებ, — ნამდვილად კი თვითონ გახდა ყალბის მქმნელი — და განაცხადა შემდეგი: —

«დასკენები ჩვენ ისტორიულ ლიტერატურულ ექსკურსიისას ასეთია:

«1. პოეტი რუსთაველი, სახელით შოთა, არის ავტორი არა ეფუხისტყაოსანისა, არამედ მისი დამატებისა მხოლოდ. აქედან, დამატებიდან, მისი სახელი გაუგებრობის წყალობით, გადაუტანიათ პოემის პროლოგში და მთელი თხზულებისათვის მიუკუთვნებიათ.

«2. ზოგიერთი იდეოლოგიური ფაქტის მიხედვით,

პოემა არ უნდა იყოს დაწერილი თამარის დროს; მისი ისტორიული ორიენტაცია მონღოლთა ბატონობის დასაწყისისაკენაა მიმართული. მართლაც, პოემაში, ქაჯების სახით, ლაპარაკია ასასინ-მოლიდთა შესახებ; იმაში თავი უჩენია უკანასკნელთა ცხოვრების, ზნე-ჩვეულების და მსოფლმხედველობის საკმაო ვრცელ აღწერილობას, რაც შესაძლებელ იქმნებოდა მხოლოდ მონღოლთა პერიოდში. სხვათა შორის, ქაჯეთის ციხის აღება სამი ძმად ნათიცი გმირის მიერ დაწერილია ალამუთის ციხე-ქალაქის მონღოლთა, ქართველთა და სპარსთა ჯარების მიერ აღების უშუალო შთაბეჭდილების ქვეშ.

«1. ნიშანდობლივ პოემა დაწერილია ალამუთის აღების შემდეგ, საქართველოს ორ სამეფოდ გაყოფამდე, მაშასადამე, 1256 — 1258 წლებში, დავით ლაშას ძის «საკუმარებლად» ან გასართობად, მასთან დაახლოებული პოეტის მიერ.

«5. ეკონომიურ - სოციალ - პოლიტიკური და კულტურული მდგომარეობა საქართველოს, მე-13 საუკუნის ნახევარში არაფერს შეუძლებელს არ წარმოადგენს იმისათვის, რომ ამ დროს დაწერილიყო ვეფხისტყაოსანისებური ნაწარმოები.

«6. ავტორი პოემისა, გამოსული დიდ ფეოდალთა კლასიდან არის დავითისათვის თავდადებული «ფილოსოფოსი და რიტორი» სარგი თმოგველი». — ასე ბრძანებს პროფ. კორ. კეკელიძე. 190.

უველა ეს დებულება ზღაპარია!

განა შესაძლებელია მკვლევარმა თხუზულებამო ერთად ერთი სიტყვა იპოვოს, იგი გადაამახინჯოს, და შემდეგ მკტად მნიშვნელოვანი დასკვნები მოგვართვას? ეს არის ბოროტი თამაში და არა მეცნიერული ძიება. ეს არის უპასუხისმგებლობა, დასაგმობი, ვინაიდან მხოლოდ ზიანის მომტანი.

3. ხარგა და მაზრები

სიტყვა «ხარგა» ვტ.-ში მხოლოდ ერთჯერ იხმარება, როდესაც ტარიელი ამბობს, ხატაელნი —

მოციქულნი დაეაყენენ, ხარგა დაედგი, არ მაზრები,

მეტად ამოდ ვუალერსე, ერთგან დაწვენეს ვით მაყრები (431)

ს. ს. ორბელიანის განმარტებით, ხარგა არის ბალანთ კარავი. ბალანთა კარავი არის, მაშასადამე, შეთელილ ბალანთაგან გაკეთებული სადგომი.

პროფ. ი. აბულაძე ამბობს, ხარგა არის პავილიონი, საგანგებოდ მოწყობილი კარავი დიდკაცის მისაღებად (!). (ვტ. 1937 წ.)

სარგის კაკაბაძის განმარტებით, ხარგა არის სპარსული სიტყვა (ხარგაჰ) და ნიშნავს: ნაბდის კარავი. ეს განმარტება ს. ს. ორბელიანისას საეხებით უდგე-

ბა და სწორია თავის თავად.

სიტყვა «ხარგა» იხმარება ქართულ ბიბლიაში, სახელდობრ მაკაბელთა მეორე წიგნში (12,12): —

იუდამ არაბებს «აღუთქვა მშვიდობის დაპყრობად მათ თანა, ხოლო (არაბებმა) აღიღეს მარჯვენა წარვიდეს ხარგასა შინა თვისსა»-ო.

არა მგონია, იმ ხანად არაბებს პავილიონები ჰქონოდათ და დიდ კაცთა მისაღებად დიდი კარები მოეწყობათ! ხარგა აქაც არის ნაბდის კარავი, რომელი ჩვეულებრივი იყო და ეხლაც ხმარებაშია.

ტარიელის მიერ დადგმული ხარგა ანუ ნაბდის კარავი ხატაელ ელჩთა მოსასვენებლად აღბათ საკმარის დიდი იქნებოდა, თუცა თვითონვე ამბობს, — ვიწროდ იწვენენ, ვით მაყრებო.

რაც მეორე სახელს შეეხება: «მაზრები» ეს ლექსში ასეა — «ხარგა დაედგი, არ მაზრები»-ო.

ს. კაკაბაძე სიტყვას «მაზრები» უარპყოფს და მას ჰგონია, რომ აქ არის სიტყვა «მზირები» ანუ არაბულ - სპარსული «მზირი», რაც «ზოლებიანი მატერია»-ს ნიშნავს.

მაგრამ ყოველ შემთხვევაში: 1) სიტყვა «მზირები» შაირის მუსიკას არღვევს; 2) რა დასაწუნი უნდა ყოფილიყო «ზოლებიანი მატერია»? პირიქით, ეს «ზოლებიანი მატერია» უფრო ძვირფასი უნდა ყოფილიყო, ვიდრე ბალნის კარავი. ამ ლექსში «ხარგა» დაპირისპირებულია «მაზრებთან»: «ხარგა» დაედგი, არ «მაზრები»-ო! მაშასადამე, ხარგა უფრო უკეთესი რამ იყო, ვიდრე მაზრები.

პროფ. ი. აბულაძის განმარტებით, მაზრა არის: ფაცხა, ალაჩუხი (ვტ. 1937 წ.). ანუ მისივე თქმით, სპარსული «მარზ» — ზღუდე, (ან სომხური — მაზრა) — მწყემსებისათვის თავშესაფარი, უბრალო კარავი, მწყემსების დასადგომი სამწყესურში (ვტ. 1914 წ.).

ხარგა — ნაბდის კარავი; მოპირდაპირე და დასაწუნი — ფაცხა, უბრალო კარავი. ლექსის აზრით ეს განმარტება თითქო უდგება სიტყვის განმარტებას, ოღონდ საკითხავია, — როგორ გახდა სპარსული სიტყვა «მარზ», სომხურ - ქართული «მაზრა», რომელი «ზღუდეს» აღნიშნავს, ხოლო თეიმურაზ ბატონიშვილის განმარტებით: «საზღვარი», ქვეყანა, მხარე, — რაც აღმინისტრატულ ერთეულს ასახავს, — როგორ გახდა «მწყემსების თავშესაფარად, უბრალო კარავად»? — ეს გაუგებარია.

აღნიშნულ ლექსში თუ იყო სიტყვა «მზირი», ამ შემთხვევაში, იგი არა «ზოლებიანი მატერიას» აღნიშნავს, არამედ არის სიტყვა «მზირი», მნიშვნელობით: გუშაგი, მცველი. ხარგა დაედგი და დამცველნი არ მიეუყენეო, ოღონდ ეს ხომ უპატივობა და უყურადღებობა იქნებოდა ტარიელის მიერ მო-

ციქულთა მიმართ! — გარდა ამისა, რომ სიტყვა «მზრებელი» ლექსის მუსიკას აბრკოლებს, იგი არც ზრდილობის მეტყველია და ტარიელს ამას ვერ შეეწყალებო. მაშ რა არის ეს «მზრებელი»?

აქ უნდა იყოს ან სიტყვა «არამზრება» (მრავლობით: არამზრებელი), რომლის მნიშვნელობა არ ვიცი, ან უნდა იყოს მეორე სიტყვა: «მზარა», რომელი ს. ს. ორბელიანის ახსნით, არის ზედ წამოსასხმელი.

ამ განმარტებით, ლექსი ასეთი იქნება: — ხარგა დაეგდგი, და არა მზარების ანუ მზრებით წამოხურული კარავიო, ესე იგი, ნაჩქარეად, სახელდახელოდ მზარათაგან შეკოწიწებული კარავიო.

თუ ეს ახსნა მისაღებია, მაშინ «ხარგა» არის, როგორც გამოიკვეა, ბალნის, ნაზღის კარავი, ხოლო «მზარები» არის მზარათაგან დადგმული კარავი.

ეს სიტყვა «მზარა» ნახმარია სხვა შაირშიც —

ვნახე, ძოწსა მარგალიტი გარე ტურთა მოემზრება (536)

ანუ: წითელ ტურებს (ძოწსა) მარგალიტი (კბილები) გარედან ლამაზად (ტურთად) მოესურა, მოერტყა, მოეხეიო.

«მომზრება» აქ არის მოხურვა, მოხვევა, მოსხმა.

IV. სარტყველი და სარტყველი

1. ქული

ქული ანუ თავსარქმელი მოხსენებულია ეტ.-ში მხოლოდ ერთჯერ: ტარიელისათვის —

ვეფხის ტყაისა ქულივე იყო სარქმელი თავისა (85)

ძველად ქულის ტარება მხოლოდ მაღალი წრის ხალხს შეეძლო. ევროპაში, მაგალითად, ქული გვიან გაერცელდა, კაროლინგების ხანაში (კაროლინგები — ფრანკული გეარა, რომელი ფრანკთა სახელმწიფოში მეფობდა 752 წლიდან).

ქულია არა მარტო თავის საფარი და დასაცავი, არამედ უძველესი დროიდან მეფეთა, ხელისუფალთა და სასულიერო პირთა მალღობისა და ძლიერების ნიშანი. ამიტომ იყო დამკვიდრებული წესი, რომლის მიხედვით მაღალი პირის წინაშე დაბალი პირი უქულოდ იდგა, ან უქულოდ მას ახლდა. ქულის მოხდა მორჩილების გამოსახვა იყო. შიშველი თავით დგომა უფროსის წინაშე ხელისუფლებისა და უპირატესობის აღიარება იყო. «რუოდლიბ»-ში მოხსენებულია, მცირე მეფე როცა დიდი მეფისაგან გამოგზავნილ წერილს ან მოციქულს ისმენდა, ქულს იხდიდაო. დღეს, რასაკვირველია, ქულის მოხდა მხოლოდ პატივისცემის გამოსახვაა მისალმების დროს.

X

ქულის სიმბოლიზმთან დაკავშირებით, განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა მეფე როსტევეანისა და მისი სპასპეტის, აეთანდილის ნადირობაში შეჯიბრს, ნაძლევის სახით —

ნაძლევიცა გააჩინეს, ამა პირსა დაასკენიდეს: ვეინცა იყოს უარესი, თაე - შიშველი სამ დღე ელიდეს (69)

ანუ: რომელიც ნადირობაში დამარცხდეს, იგი სამი დღის განმავლობაში უქულოდ უნდა იყოსო. აქედან ცხადია, თავშიშველი სიარული მაღალი წოდების პირისათვის სამარცხეინო და დასადამბლებელი იყო. ამის მაგალითს ჩვენს დროშიც ვხედავთ, სახელდობრ ვაჟა-ფშაველას პოემაში: «გოგოთურ და აფშინა», სადაც გოგოთურ აფშინას ეხევეება: — ქულ-მოხდილს ნუ მატარებ და ამით სირცხელს ნუ მაქმევო —

სუ, თუ ღმერთი გწამ, აფშინავ,

სირცხელს ნუ მაქმევ, ძმობასა,

ქულ-მოხდილს ქვეყნად ნუ შეეღვე,

პირში ნუ მიმცემ გმობასა...

ამგეარად, ქული არის ღირსებისა და პატივის ნიშანი.

2. ხლა

ს. ს. ორბელიანის განმარტებით, «ხლა» არის არაბული, და ნიშნავს: შავი ხელმანდილი. ხოლო ს. კაკაბაძე გეასწავლის, «ხლა» სპარსულია და «ტალახს» ნიშნავსო!

ეთანდილი ფრიდონს ტარიელის თავგადასავალს უამბობს და დასძენს —

მას მუდამ ძველი ცეცხლი სწეავს, არ - ახალ არ - ახლებია;

ვა ქმართებს მისსა გაყრილსა, შავი ხლა თავსა ჰხლებია (998)

ანუ: ტარიელი ისევ ნესტანის სიყვარულის ცეცხლით იწვის, და ეს ცეცხლი სიყვარულისა (არ-ახალ) არაა ახალი შეხებულნი - მოდებული (არ - ახლებია), მას ეს ცეცხლი ძველად შეხებულნი აქვსო. ვას ძახილი სჭირდება (ქმართებს) მისგან გაყრილს, რომელს შავი ხლა ანუ შავი მანდილი, თავსაფარი თავზე ხლებული ანუ თავზე ნაქონი, მოხვეული აქვს სამგლოვიაროდო.

ამგეარად, «ხლა» არის მანდილი, თავსაფარი, ხოლო «შავი ხლა» მწუხარებისა და გლოვის ნიშანი არის.

3. ხარტყველი

სარტყველისა და სამხრეს ამბავი სამოსელთან არის დაკავშირებული. სამოსელის ტანზე შესაკავებელად სარტყველი აუცილებელი საგანი იყო, და იგი უკვე

პირველყოფილ ადამიანს აქვს. სარტყელს სხვა და სხვა მასალიდან აკეთებდნენ, და მას ატარებდა როგორც მამაკაცი, ისე დედაკაცი.

ვითარცა სამოსელი, ისე სარტყელიც კაცის სოციალური მდგომარეობის გამომხატველი გახდა, და სარტყელის რაობა და მისი მორთულობა უკვე კაცის საზოგადოებრივ ვითარებას აჩვენებდა. მეფეთა, დიდებულთა, დიდკაცთა სარტყელი იყო შეღებილი, უფრო ხშირად წითელი ფერით, მორთული ძვირფასი ქვებით, შემკული ოქრო-ვერცხლითი ხელოვნებითი სამკაულებით და სხვა.

სარტყელს ჰქონდა აგრეთვე დიდი მნიშვნელობა დედაკაცთათვის, რომელნიც მას ატარებდნენ, რათა ორსულნი სწება-ავთვალისაგან დაცული ყოფილიყვნენ. ეს ჩვეულება თითქმის ყველგან იყო გავრცელებული, აზიაში და ევროპაშიც. ამგვარად, სარტყელს ჯადოსნური მნიშვნელობაც ჰქონდა, ოღონდ ამას გარდა მას რელიგიური მნიშვნელობაც ჰქონდა.

რელიგიური მნიშვნელობის სარტყელს სხვა და სხვა გვარად აკეთებდნენ; პირველ ხანაში ეს სარტყელი იყო მოკლე და წელზე მას ერთჯერ იხვევდნენ; შემდეგ იგი დააგრძელეს და მას წელზე რამოდენჯერმე შემოიხვევდნენ; შემდეგ სარტყელს მხარზედაც ატარებდნენ, — პირველად, მარჯვენაზე, მერმე კი — მარცხენა მხარზე. ქრისტიანულ ეკლესიაში სარტყელი არის უმთავრესად სამხრე — ორარიუმ და პალლეუმ. დიაკონი ატარებს სამხრე-სარტყელს მარჯვენა მხარზე, ხოლო მღვდელი კი მკერდზე. რომის ეკლესიის მამამთავარის (პაპა) სარტყელი განსაკუთრებულია, და მის გვარს მხოლოდ პაპა ატარებს — სუბსინგულუმ. 112.

სარტყელს ჰქონდა კიდევ სამხედრო მნიშვნელობა. სარტყელი მეომარის აუცილებელი საგანი იყო, ვინაიდან იგი იარაღის სატარებელად საქარო იყო; ამიტომ სარტყელის დაკარგვა ან მოხსნა დიდ სასირცხვო საქმედ იყო მიმჩნეული, და მეომარი ამით ათვალწუნებული ხდებოდა. ამით აიხსნება ის მოვლენა, რომ მეომარის დასჯისათვის წესად იყო მიღებული მისთვის სარტყელის მოხსნა (სინგულუმ დეპონერე), ხოლო საბერძნეთში სარტყელის დაკარგვა ფულის დაკარგვასაც ნიშნავდა, ვინაიდან ფულს ქრისთ სარტყელში გარკობილად ატარებდნენ (ზონამ პერდერე).

ბრაჰმანთა რელიგიაში სარტყელის სახელია — კრინგატრ. მაზდეიზმში — აიეიონჰანა; ახალ სპარსულ ენაზე — კოსტი, კუსტი, ან ევანჯინ. 113. ბიბლიაში — ეზორ; სომხურ ეკლესიაში — კოდი; რომში ცინკტუს (სინტუს); ბერძნულში — ზონე (კინობითი სახელი — ზონარიონ, ზონიონ; ქართუ-

ლი — ზონარი) და მას შემდეგი მნიშვნელობა აქვს: სარტყელი — 1) ყველაფერი, რაც წელზეა შემორტყმული, 2) თვითონ ის ალაგი, სადაც სარტყელია შემორტყმული (წელი), 3) დიაცის საშვილე, 4) საფულე და ფული, რომელს სარტყელით ატარებ, 5) ჯავშანი, საცავე წელისა; და აქედან, სამხედრო ბეგარა, 6) სფეროში — ზონა, მხარე, 7) არქიტექტურაში — ფრიზი, კორნიში, 8) ენუსის სარტყელი, 9) მოხსნა სარტყელისა ნიშნავს ქალწულობის დაკარგვას, ან დედად გახდომას და სხვა. 114.

სიტყვა «სარტყელი» (ქამარ — ბესტა) ხშირად აქვს მოხსენებული ფირდაუსს (940 — 1020 წწ.) თავის «შაჰ-ნამე»-ში, სადაც იგი არის ნიშანი: მეფობისა, ომად მზად ყოფნისა, სამსახურისა და ამას გარდა მონობისა.

X

ნესტანს გულანშაროს სასახლეში —

შეარტყენ წელსა სარტყელი, დაუდებელი ფასისა (1013)

აქ სარტყელი, დაუდებელი ფასის სარტყელი არის მეფობის ნიშანი.

ფრიღონსა და მის სტუმრებს —

გამოეგება მრავალი ოქროს სარტყელითა მონები (1462)

აქ ოქროს სარტყელი აღნიშნავს მონების სამსახურად მზად ყოფნას. და ეს მონები უბრალო მონები არ არიან, არამედ სასახლის კაცნი.

ინდოეთის დედოფალი თავის მხლებელთ ეუბნება, ნესტანისა და ტარიელის დაბრუნებით გახარებული —

დიდი ზათქი და ზეიმი გავიდეს ჩვენით კართო; ნახლები თქვენი ოქროსა სარტყელით მოიკართო (1633)

ანუ ძვირფას ქსოვილზე (ნახლი) ოქროს სარტყელი შემოიკართო, სამსახურისა და მორჩილების ნიშნადო. — «ამირან - დარეჯანიან»-შიც არის ასეთივე გამოთქმა — «ხადუმნი და მონანი, ოქროს სარტყელ შერტყმულნი ურიცხვია»...

ამგვარად, სარტყელი ეტ.-ში არის მეფობის ნიშანი და სამსახურად მზადყოფნის მაჩვენებელი.

X

სიტყვისა «ნახლი» შესახებ დამატებითი ცნობა უნდა აღვნიშნო.

როდესაც «ნახლი»-ს საკითხს ვარჩევდი, სხვათა შორის, მოცაზრება გამოვთქვი: შეიძლება «ნახლი» ჰალმის ფოთელთაგან წნული რამ არის-თქო. მაგრამ გადაჭრით ვერ მივიღე იგი; და ამიტომ დავასკყენი: ნახლი არის სამოსელი და ძვირფასი ქსოვილი, ოღონდ არ ვიცი, როგორია იგი, და ამიტომ ს. ს. ორბელიანის განმარტებით უნდა დავკმაყოფილდეთ

ჯერ-ჯერობით-თქო. — ს. ს. ორბელიანის განმარტება სიტყვისა «ნახლი» არის: ნახლი — ძვირფასი ნაქსოვი. (იხილეთ აქვე, თავი 4, გვერდი 55).

სპარსულ ლექსიკონში ეს სიტყვა «ნახლი» მოიპოვება, და იგი ნათარგმნია სიტყვით «პალმა». 108. გვ. 310. — ამგვარად, ჩემი მოსაზრება გამართლდა, და ეხლა შეიძლება გადაწყვეტით ითქვას, რომ ნახლი არის პალმის ფოთლის ძაფისაგან დამზადებული ძვირფასი ქსოვილი.

4. სამხრე

ომიდან დაბრუნებულს ტარიელს ნესტანი შეუთვლის — ესე სამკლავე შეიბი, ჩემი საჩუქარია და ჩემდა სამახსოვროდო. შემდეგ ტარიელი ამ სამკლავეს აეთანდილს უჩვენებს —

თქვა: «მე მაქვს სამხრე, რომელი კვლა წინას მკლავსა მას ების!»
იგი მოიხსნა, მოილო, თელით არ დაიფასებინს (497)

ეს სამხრე ანუ სამკლავე, რომელს უწინ ნესტანი ატარებდა, ეხლა ტარიელის განუშორებელი და საყვარელი საგანია. ამით სარგებლობს აეთანდილი და მას ეკითხება, როდესაც იგი ქებას აღარ მიჰყვება —
ეგე სამხრე მისეული, შენ გაჩნია ვისგან წყლული,

რაგვარ გიყვარს, რაგვარ გიღირს?... (895)
ტარიელი ამ სამხრეს დიდად აფასებს და აეთანდილი მას უპასუხებს —
სჯობს ასმათისა არ-ლევა მაგა სამხრისა ლევასა (897)

ანუ: სჯობია ასმათს არ შეეღიო, იგი არ მიატოვო; უფრო იოლად ეგ სამხრე დასთმო. აქ ეტყობილობთ პირველად, თუ რა არის ნესტანის მიერ ნაჩუქარი სამხრე —

სამხრე გაბია ოქროსა, ოქრომკედლისა დნობილი (898)

მაშასადამე, ტარიელის სამხრე ყოფილა, ოქროსი, და ოქრომკედლის მიერ დნობილი, გამოდნობილი, და შემკული.

ტარიელი ატარებს თავისი სატრფოს მიერ ნაჩუქარ სამხრეს და ეს.მისი ჩვეულება იმ ზნეჩვეულებას გვაგონებს, რომელი ევროპის შუა საუკუნეთა რიტტერულ ანუ რიტარულ, კაბუკურ ცხოვრებას ახასიათებდა. ევროპაში იმ ხანად, რიტტერები, შევალერები, კავალერები, ნაითები ატარებდნენ ხოლმე თავისი სატრფოს რაიმე საგანს — პერანგი, სახელური, თავსაფარი, სამკლავე და სხვა. 100.

სიტყვას «მენდილი», «მანდილი» არაბულად სამი მნიშვნელობა აქვს: 1) ტურბანი, 2) ქსოვილი სარტკელი და 3) ხელსახოცი; მაჰმადი ხმარობდა მანდილს ოფლის მოსახოცადო; ვინმე ასული სტიროდა და სახეს მანდილით იწმენდაო, და სხვ. 78. გვ. 414. აეთანდილის მანდილიც ხელსახოცია, ვინაიდან ამ სიტყვას მანდილი წინ ქართული სიტყვა «ხელ» მიუძღვის.

ს. ს. ორბელიანის განმარტებით, ხელმანდილი არის ხელსახოცი.

X

როდესაც ტარიელი როსტევეანის წინაშე შუამდგომლობს: აეთანდილს თინათინი მისცეს ცოლად, — ტარიელი ამბობს —

ამის მეტსა არას გკადრებ, არ მოკლესა, არცა გრძელსა (1523)

ამას შემდეგ მან —

ამოილო ხელმანდილი, მოინასკეა ზედან ყელსა,
ადგა, მუხლნი მიუყარნა, იაჯების ვითა მზრდელსა (1523)

ანუ: ტარიელმა ამოილო ხელმანდილი და იგი ყელზე გამოიბა, გამოინასკეა, — მერმე ადგა; შემდეგ დაიჩოქა (მუხლნი მიუყარნა) როსტევეანის წინაშე და ეხეწება (იაჯების) მას, ვით გამზრდელსაო.

საერთოდ მობმა კისერზე საბელისა, წნელისა, ხელმანდილისა, მათი გამონასკეა, არის დამორჩილებისა და მორჩილების ნიშანი. ეს უუძველესი წესია, რომელი თითქმის ყველგან იყო გავრცელებული, და სხვა შემთხვევაში თვით ეტ.-ში არის მოხსენებული (შაირი 422).

აეთანდილი თავის თავს დარცხვენითად გრძნობდა გაპარვის გამო და ამას გარდა ფრთხილობდა იმის გამოც, რომ ტარიელს მეფისათვის თინათინი უნდა ეთხოვა აეთანდილის საცოლოდ. მეფე როსტევეანს ეს ამბავი გაეხარდა და როცა ტარიელმა და ფრიდონმა აეთანდილი როსტევეანთან მიიყვანეს, აეთანდილს —

ხელთა ჰქონდა ხელმანდილი, პირსა მითა იფარვიდა (1530)

ხელმანდილი აქ არის ხელსახოცი, როგორც ძველად ჩვეულებაში იყო, დიდი და ფართო. ხელმანდილით სახის დაფარვა კდემის ნიშანია.

*

V. ქსოვილთა და სამოსელთა

სიმბოლოზები

ფერთა რა სიმბოლიკაა ვეფხისტყაოსანში მოხსენებულ ქსოვილთა და სამოსელთა?

პირველად ყოვლისა, ვტ.-ის სასახლე, ვითარცა იმდროინდელი აზიური ტურფა სასახლე, მდიდარია მორთულბით. ვტ.-ში ნაჩვენებია ძვირფასი ხელოვნების ნაყოფი, რომელსაც დღესაც დიდი და მაღალი შევნიშებით და ფასითი ღირებულება აქვს. ოქსინო, ორხაული, სტავრა, შარდი, და სხვა, დამამშვენებელია სახლთა და მაჩვენებელი სიმდიდრისა. ყველა ეს ნაქსოვი არის ხელითი და ხელოვნებითი, დაუდებელი ფასისა, და რასაკვირველია, იგი მხოლოდ სასახლეს ეკუთვნის.

ნესტანის ბინა შესანიშნავად და მდიდრულადაა მორთული, მოფარდაგული ოქსინოთა და შარდითა. ტახტი, თეთრ-ძოწეულით გადაფარებული, ფრიდონმა ნესტან-ტაჩიელს დაუდგა. ფრიდონისავე ტახტი არის ოქსინო გადაფარებული. ფეხთა საფენად ხატაურსა და ოქსინოს ხმარობენ. აეთანდილი ვეზირს საჩუქრად სტავრასა და ატლასს უგზავნის, და სხვა და სხვა. ამავე სიმდიდრის გამომხატველი არის ძვირფასი ქვებით შემკული სამოსელი. მელიქ - სურხავმა აეთანდილსა და ფრიდონს უძღვნა თითო ყაბა თვალისანი. ნესტანმა ბიილო თვალით შემკული ყაბაჩა. ფრიდონის ტახტზე იყო გადაფარებული თეთრ-ძოწეული, რომელი წითელ-ყვითლითა თვალითა იყო ფრქვეული და სხვა. ყველგან აქ თვალწინ გვაქვს დიდი სიმდიდრე, მაგრამ არ ვიცით, თუ რა ფერისა იყო ოქსინო, ხატაური, ნახლი, სტავრა...

ცნობილია, ნოხები და ფარდაგები უფრო ხშირად ქრელადია, ფერადი, ნაირი ფერებით შემკული და წინირადე სიმბოლიური და სტილიზებული სურათებით მორთული. იგულისხმება, ვეფხისტყაოსანში ჩამოთვლილი ყველა ძვირფასი ქსოვილი, ვით კაზმვა-მორთვისათვის განწყესებული, მხიარული ფერებით უნდა ყოფილიყო შემკული.

×

სამაგიეროდ თვალისათვის საცხადოა სამოსელი, რომელიც ვტ.-ში ფერთათა ნაჩვენებია. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს უმთავრესად იმ სამოსელთან, რომლის მატარებელია არისტოკრატია, და მათთანავე, ეს სამოსელი თავისი მნიშვნელობით, წოდებრივიც არის, და ამას გარდა, მისი სიმბოლიკა სულიერ განწყობილებასა და გრძნობათა მოძრაობასაც გამომხატავს.

თინათინს მოსხმული აქვს ყარყუმნი — ძვირფასი ტყაეი გორნოსტაისა, თეთრ-ბეწვიანი, — მეფეთა სამოსელი. თეთრი — სიწმიდის, სიბრძნის, სამართაობის, მეფური ფერია.

მეფურია წითელი ფერი — ძოწეული და პორფირი. თინათინი, აეთანდილი, ნესტანი ძოწეულს ატარებენ.

წითელი მეფურია, — ლხინის აღმნიშვნელი და სიხარულის გამომაჩვენებელი — სიძეს წითელი ატლასის კარავს უდგამენ.

მეფურია ზეზი და მისი სპეტაკი ფერი, ყვითელით გადაკრული, მზის მეფობის სიმბოლოა და ნესტანის ყვითელი ანუ ნარინჯის ჯუბა მისი მეფური ღირსების გამომხატველია.

ნესტანის მწვანე სამოსელი ფერია გაზაფხულისა, ნიშანია ახლად დანერგული სიყვარულისა, იმედისა. ხოლო შავი რიდე, ძაძა, ხლა, ფლასი — უბედურობისა და გლოვის ნიშანია.

ყველაფერი თავდება ზეწართა და სუდართა...

×

ყაბა, ჯუბა, ყაბაჩა, ძვირფასი ნაკეთობით, მდიდართა სამოსელია. მეფეს, ჭაბუკს, ვაჭარს თავისი საკუთარი სამოსელი აქვთ. — საკუთარი სამოსელი აქვთ მონებსა და ხალხს, მდაბიო ხალხს.

ამ სამოსელთა ფერთა მიხედვით, — თეთრი, წითელი და ყვითელი ფერი არისტოკრატიული ფერია. და ამგვარად, წოდებრივი.

ამის საწინააღმდეგოდ: შავი, ლურჯი და რუხი — დაბალ ხალხთა, მდაბიორთა სამოსელის ფერია.

შავი, როგორც კანის ფერი რასიულ-ეროვნულად მდაბიო ხალხის ფერია.

ამავე ფერებს ვხედავთ აგრეთვე ევროპის შუა საუკუნეთა მწერლობაში.

×

ქართული და ევროპიული გემოვნება შუა საუკუნეთა მანძილზე ერთნაირია. ეს ერთნაირობა, რასაკვირველია, ურთიერთი გავლენით არ აიხსნება. ფერთა კულტურას საერთო ფესვები აქვს იმ საშოში, სადაც შეედრება ელინური და ისლამური კულტურა, ოღონდ ამ საშოდან ნაშობი ქართული და ევროპიული კულტურა თავისი განვითარების გზაზე ერთმანეთს არა ხედებოდა და არ ეჯვარდინებოდა — ქართული კულტურა თავისი ნიჭითა და შინაგანი უნარით ბუნებრივად იკაფავდა გზას, რომელიც აღმოსავლურ და დასავლურთან ნათესაურნი იყო.

თვალ-მარბალიტნი

I. თვალი და თვალნი პატიოსანნი

თვალთა და თვალთა პატიოსანთა ფერების მნიშვნელობა ვეფხისტყაოსანში იგაგეა, რაც თვით ფერთა და ამ ფერთა ქაოვილ - სამოსელზე და სხვა საგნებზე გადატანითი მნიშვნელობით, — გამოწაკლინა მხოლოდ ფერი შავი, რომელი ადამიანთა თვალთა ფერისათვის ხშირია და ბუნებრივად სხვა მნიშვნელობისაა, ვიდრე გლოვის სიძობლო.

ადამიანთა თვალთა ფერების შორის, რასაკვირველია, წითელი არა გვხვდება, მაგრამ სამაგიეროდ, არის მრავალი ნაირობა ფერთა, რომელსაც თავისი საკუთარი მნიშვნელობა აქვს, და ადამიანის ბუნების დამახასიათებლად ითვლება დღესაც, როგორც ხალხურ რწმენაში, ისე მწერლობაში.

ქართულ ქალთა სილამაზის თაყვანისმცემელი, ფრედრიკ ბოდენშტაედტი (1819 — 1892 წწ.), რომელიც თვალთა ფერის სიმბოლიკას ეხება, ამბობს: — მრავალი მწერალი და ჩვეულებრივი ხალხიც, როცა თვალთა ფერებს ახასიათებენ, შემდეგ დასკვნებს ღებულობენო — ლურჯი თვალეები გამოხატავენ ერთგულებას; წაბლის ფერი — ვერაგულ, ანც ხასიათს; რუხი — ხერხიანობას და ეშვაკობას; შავი თვალეების გაველება და გაკრთოლევა, ვითარცა ღეთის გზა უცნაურია და გაუგებარი; მწვანე თვალეები — კატისებური და არა სასიამოვნო, და სხვა და სხვა; ოღონდ ადამიანის თვალთა ფერთა ახსნა რაიმე წესს არ ემორჩილება, და სხვაგვარ განმარტებასაც ვეცნობითო. 115.

X

ვეფხისტყაოსანში ეხედავთ მხოლოდ შავ თვალეებს მთელი მათი ბრწყინვალეებითა და ღეთიური გზის გაურკვეველობით, — ბოდენშტაედტის გამოთქმა რომ ეიხმართო. მაგრამ მთავარი მნიშვნელობა ვეფხისტყაოსანში მაინც თვალთა პატიოსანთ, ანუ, ძვირფას ქეებს მიენიჭება, რომელთაც აზიისა და ევროპის ცხოვრებაში, და მწერლობაში, განსაკუთრებული ადგილი ჰქონდა დაკავებული.

თვალთა პატიოსანთა ანუ ძვირფას ქეათა სამშობლოდ წარსულ ხანებში აზიისა და აფრიკის მხარენი ითვლებოდნენ, მაგრამ მაშინ ევროპაში ამ ქეეუნებს ნაკლებ იცნობდნენ და შუა საუკუნეთა მანძილზე ზღაპრულ მხარეთაყ კი ასახელებდნენ, საიდანაც ვითომც ეს ძვირფასი ქეები გამოჰქონდათ.

ეგეპტე, ინდოეთი, კიპროსი, არაბები, ჰაიდენ - ლანდ, კავკასია, აგაუკ, კურიანდ, კუსარტ და სხვა ზღაპრული მხარენი აღმოსავლეთისა სჩანან სამშობლოდ ძვირფას ქეათა, რომელთაც პოეტები თავის გმირთა მშვენიერ ქალთა შორის მდიდრულად ფლანგავენდნენ აღწერილობაში. 116.

X

ნახევრად ზღაპრულს, უუძველეს ბერძენ პოეტს ორფოსს მიაწერენ პომას ძვირფას ქეათა შესახებ — პერი ლითონ. ამ ლექსით აღწერილია თვალთა პატიოსანთა ბუნება და მათი მკურნალობითი თვისება. 117.

პლინიუსი (პირველ საუკუნეში) ფიქრობდა, ძველი თქმულებების თანახმად, თითქო თვალნი პატიოსანნი კავკასიის კლდეებშიაო. 118.

კვარული ეპისკოპოსი ეპიფანე (მეოთხე საუკუნე) ამტკიცებდა თავის თხუზულებაში თვალთა პატიოსანთა შესახებ, — რომელი მეათე საუკუნეში ქართულად ითარგმნა, — თვალი იაკინთე მოიპოვება სამზღვართა ქართლისათა და გორგანეთს და ქვეყანასა მას კასთაო. 119.

ამითაიხსნება, ევროპიელი მწერალნი რომ კეკასრას თვალთა სამშობლოდ ასახელებენ.

X

თვალნი პატიოსანნი უძველესი დროიდან ყველა ხალხში სანუკვარი იყო. ძვირფასი ქეანი იყენენ არა მარტო სიმდიდრისა და ძლიერების გამოხატელებნი, არამედ შვენების გრძნობათა დამკამყოფილებელნი, ესთეტიურ გრძნობათათვის წარმტაცი. მათი მოპოვება და შეძენა მხოლოდ მდღართ და ძლიერთ შეეძლოთ; ამიტომ ბწყინავენ სასახლენი და ტაძარნი, სამოსელნი და გვირგვინნი. არა ერთი და ორი აღწერილობაა ძველი დროიდან, მოვიტანთ მხოლოდ ერთს — დედოფალი ლუტგარდის და კარლოს დიდის (742 — 814 წწ.) ასულნი ბრწყინავენ ოქროთი და პატიოსანნი თვლებით. დედოფალი ატარებს მეწამულის ფერს ასაკრავს ყვრიმალზე და ოქროს გვირგვინს; კაბა მისი არის ნაზი, ორმაგი, მეწამულისა; მოსახსამი შეკრულია ოქროს საბელით; კისერზე ნაპერწკლობენ თვალნი პატიოსანნი. და სხვა.

დიდი იყო მოწონება და გატაცება ძვირფასი ქეებით, მათი შვენებისა გამო, მაგრამ ამ თვალხმის, ანუ თვალთ მოწონების გარდა, მათ მაგიური და მკურნალობითი მნიშვნელობა მიეწერებოდა, რომლის მიხედვით, თითოულ ქეას თავისი იდუმალი გავლენა ჰქონდა, — და მთელს დასავლეთ ევროპაში, გერმანულსა და რომანულ ქვეყნებში, — ამ მხარე მართლა მოჯადოება ბატონობდა, უუძველია, აღმოსავლეთის გავლენათ. 120.

X

უკვე ძველად ძველ ბერძნულ - ორფეოსულ ლირიკაში თვალნი პატიოსანნი შექებული არიან ვით მკურნალობის საშუალებანი, როგორც ხორცისათვის ისე სულისათვის. თვალნი პატიოსანნი სამკურნალო ძალას ღმერთებისაგან ღებულობენ და არიან მათ სურვილთა გამამუღავნებელიო. პლინიუსი აღნიშნავს დემოკრიტოს, ზახალიას, ზოროასტერის და სხვათა მიხედვით, — მრავალ ძვირფას ქვას ანუ თვალს, რომელთაც მკურნალობითი და სასწაულებრივი მნიშვნელობა აქვთ, თუმცა თვითონ ამ შეხედულებას არ იზიარებს. ეს მოგვეური, ჯადოსნური თვალნი პატიოსანნი დაკავშირებული იყვნენ ასტროლოგიასთან და მათი თვისებანი აღწერილი არიან კირანდიეთა წიგნში. ასტროლოგიური სიმბოლონი უნდა თვით ძვირფას ქვაზე ყოფილიყვნენ გამოხატული, და ამგვარად, თვალნი პატიოსანნი ცხოველთა, ადამიანთა და ღმერთთა სურათებს ღებულობდნენ. მთელი ეს მწერლობა ამ საკითხის შესახებ გადავიდა არაბულ ლიტერატურაში პტოლემეოსის და არისტოტელის წიგნებთან ერთად, ძვირფას ქვათა შესახებ. 121.

პირველად, მეცხრე საუკუნის მეორე ნახევარში ოთარიდ ბენ მუჰამედ ალ ზაზიბ ანუ ალ-კატიბ-მა, არაბმა აღქმისტმა შეადგინა შრომა ქვათა და კერძოდ თვალთა პატიოსანთა შესახებ. ამგვარი არაბული თხზულება უუძველესია არაბულ მწერლობაში, რომელიც დღემდეა აღმოჩენილი. 122.

ძვირფას ქვებს ეგვიპტეში ადამიანზე გავლენას მიაწერდნენ; მათ შეეძლოთ ბედის ან უბედობის მოტანა. 123.

ინდოეთში გაერცელებულ შეხედულებათა მიხედვით, ყვითელი - წითელი და შავი ფერის ქვებს გაურბიან ბოროტი, მავნე სულები. რომ შავი და ყვითელის ფერის ბოროტ სულებს ეშინიათ, ამ შეხედულებიდან ის ჩვეულება განმტკიცდა, რომ ჰინდონი, ახლად დაქორწილებულთ, ტურმელინით ამკობენ (ტურმელინ — შავი ქვა).

წითელი ფერი იაპონიაში არის სხვა და სხვა სნეულების მომარჩენელი და სხვა და სხვა. 124.

ასტროლოგიური სწავლის მიხედვით, თითოულ მნათობს თავისი საკუთარი თვალი პატიოსანი მიეჩნებოდა: —

- სატურნუს — ტურკუაზ
- იუპიტერ — კორნალინი
- მარს — ემროდი
- მზე — საფირი
- ვენუს — ამეთისტი
- მთვარე — კრისტალი

მნათობთ გარდა თითოულ ზოდიაქოს თავისი საკუთარი ძვირფასი ქვა აქვს მიძღვნილი (დღესაც, ასტროლოგიაში): —

- ვერძი — ამეთისტი
- კურო — ლაქვარდი
- მარჩბი — ხრიზოლიტი და ბროლი
- კირჩხიბი — სმარაგდი
- ლომი — ალმასი
- ქალწული — წითელი იასპის
- სასწორი — იასპის
- ღრიანკალი — ტოპაზი
- მშვილდოსანი — მუქი საფირი
- თხისრქა — ონიქსი და ქალკედონი
- მერწყული — საფირონი და ტოპაზი
- თევზნი — თეთრი ხრიზოლიტი

თითოულ თვალს თავისი თვე ჰქონდა მიჩნეხებული და თუ რა თვეში იყავი დაბადებული, იმ თვის თვალი უნდა გეტარებინა; ამ თვალს უფრო მეტი მნიშვნელობა ჰქონდა, თუ მასზე თვით მისი ზოდიაქო რქებოდა გამოსახული. 125.

ქრისტიანულ რწმენაში და მწერლობაშიც თვალთა პატიოსანთ აგრეთვე თავისი საკუთარი მნიშვნელობა ჰქონდა: —

იასპის — მკერივი და მაგარი, ხშირად მწვანე ფერით, — რწმენის სიმბოლო; წმიდა პეტრეს გამომსახველი.

საფირი — ქრისტიანული იმედი, საესავობა; წმიდა პავლეს გამომხატველი.

ხალკედონური აკატი — წყალობა, სათნოება; წმიდა იაკობის გამომსახველი.

სმარაგდ (ემროდ) — მარადიულობა, ფიცხი რწმენა; მისტიურად — ქალწულობა, კიდან ჩამოვარდნილი ყვაილი; ევანგელისტ იოვანეს გამომხატველი.

კარბუნკულუს (ანთრაქი) — ქველობა, მორცხვობა ონიქსი — უბრალობა, გულწრფელობა და შეუღახვი ქეშმარიტება.

სარდონიკსი — ქველმოქმედება მრავალნაირი, სულიერი სიმდიდრე მრავალგვარი.

გრენატ — იგივე, ვით სარდონიკსი.

სარდი — მღვივე რწმენა და მისთვის თაედადება რუბენის გამომხატველი.

ხრიზოლიტ — სიფხიზლე, სიბრძნე. მათეს გამომხატველი.

ბერილი — წმიდა დოგმა და მეცნიერება; მრავალ ეამიერი სიცოცხლე, ძალა და წმიდა გმირობა. თომას გამომსახველი.

ტოპაზი — სიკეთენი, სიბრძნე, უმწიკველობა; სვიმონის გამომხატველი.

ტრიზოპასი — მოციქული თადევოსის გამომხატველი.

ახატი — შხამის მომსპობი; სიწმიდე; პატრიარქ ისახარის გამომხატველი.

პიატინტი — გონიერება, თვინიერება. პავლეს გამომხატველი.

ლიგურიუს — წმიდა იერონიმოსის აზრით იგივე, რაც პიატინტი. ნეტარება, ზიარება; სვიმონ ხანანელის გამომხატველი.

ამეთისტ — თავმდაბლობა, სიუხვე, თავგანწირულობა; მათეს გამომხატველი.

ალმასი — ბუნებრივი ძალა ქრისტიანის გულში. და სხვა და სხვა. 128.

როგორც ვხედავთ, თითოულ ფერს თავისი მნიშვნელობა ჰქონდა და ყველა ამ ქებით შემკულია საეკლესიო ქურქელი, შესამოსელი, ხატი და სხვა.

ეს რელიგიური სიმბოლიზმი თვალთა პატიოსანთა, რასაკვირველია, ასტროლოგიური სიმბოლიზმიდან არის წარმოშობილი. ასტროლოგიის მიხედვით; თითო თვალი პატიოსანი დაჯილდოებულია განსაკუთრებული ციური ძალით, — ყოველი მიწიური საგანი, რომელიც ეარსკვლავსა ჰგავს, ან ფერით, ან წერტილებით, ან ქიმებით, ან სინათლით, ან თვისებით, არის წარმომდგარი ციდან, და ამიტომ ციური ძალის მატარებელი. ზღვის ეარსკვლავი, ეარსკვლავიანი ყვავილი, მარგალიტი, ძვირფასი ქვები, მეტეორიტი, — ყველა ეს ციური ძალითაა აღჭურვილი. ამიტომ სჯეროდათ, რომ ღვთიური ძალა აქვთ მეტალებს, მცენარეებს და ძვირფას ქვებსო. ეს, უწინარეს აღმოსავლეთში გავრცელებული რწმენა, მერმე მთელს ევროპას მოედო. და სხვა. 127

მეთორმეტე საუკუნის ერთ გერმანულ გრძელ ლექსში — ვან დე ელდევე გჰესტატენ — აწერილი არიან თვალნი პატიოსანნი, და უცნობ პოეტს ჩამოთვლილი აქვს 32 ძვირფასი ქვა და თითოული ქვის სამკურნალო ძალა. 128.

გავგივრძელდა ძვირფას ქვათა შესახები ამბავი, და თავისთავად ეს არც იმდენად საჭირო იყო ჩვენთვის, რადგან ვეფხისტყაოსანში არც ერთი შემთხვევა არ არის, რომ თვალი პატიოსანი ან რელიგიურად, ან ასტროლოგიურად, ან ჯადოსნურ — თილისმურად გამოყენებული ყოფილიყოს, იმის მიუხედავად, რომ თვალნი პატიოსანნი 250ჯერ მეტად არის დასახელებული.

საქართველოში, როგორც ამბობს მოსე ჯანაშვილი, თამარ მეფის დროს ცნობილი იყო ორმოცდათექვსმეტი (56) ძვირფასი ქვაო. 118. გვ. 83.

ეს რიცხვი გვემტირება. საქართველო თვალთა პატიოსანთა საშობლო ქვეყნების მეზობელი იყო და შეუძლებელია ამ თვალთა მეტი რიცხვი მაშინ არა

სცოდნოდათ! ევროპაში ალბერტუს მაგნუს ალბერ, გრაფ ფონ ბოლშტედტ (1193 — 1280 წ.) თავის შრომაში — ლიბერ დე ნატურა რერუმ — და კონრად ფონ მეგენბერგ († 1347 წ.), რომელსაც წინა დასახელებული წიგნიდანა აქვს ცნობები ნასესხები, ოთხმოცდარ თვალს ასახელებენ. თუ კი მე-12 და მე-13 საუკუნის ევროპა 82 პატიოსანთ თვალთ იცნობდა, დაუჯერებელია, საქართველოში მაშინ მხოლოდ 56 ქვის მეტი არ სცოდნოდათ!

X

თვალთა საკითხის გამორკვევის დროს მხედველობაში მისაღებია ის მოვლენა, რომ ძველად ძვირფას ქვებს ფერით ახასიათებდნენ, და ხშირად ფერთა და სახელთა აღრევასაც ჰქონდა ადგილი; ან ერთი ზოგადი სახელით ჩვეულებრივ ერთი ფერის სხვა და სხვა იერი იგულისხმებოდა.

X

ძვირფასი თვალნი მამალ-ღედლად განიყოფებოდნენ; მამალი იყო — მაგარი, ღრმა, ფიცხი ფერის ქვა, ხოლო ღედალი — იმავე ფერის სუსტი, ნაზი ფერი, — ეს გარემოებაც ქვათა სახელთა შეცოთმებს იწვევდა ხოლმე. ქვეყანათა მიხედვითაც, სხვა და სხვა სახელი იხმარებოდა ერთი და იმავე ქვისათვის და მისი თარგმანიც ამიტომ ხშირად სწორი არ იყო.

მოვიტანოთ ერთი მაგალითი —

სრულიად გამორკვეულია: ტოპაზიონი — ტოპაზიონ, ტოპაზიუს, — არის ყვითელი ქვა. მაგრამ ძველად ამ საკითხის შესახებ დიდი გაურკვეველობა იყო თავიდანვე.

ძვირფას ქვათა შესახებ არაბულ ხელნაწერთა მკვლევარი, ფრანგი კლემან მაჟულე ამის გამო სწერს შემდეგს: —

ტოპაზიონს არის ყვითელი ქვა, მაგრამ კვიპრელი ეპისკოპოსი ეპიფანე ამბობს: ტოპაზიონი არის წითელი, და უფრო წითელი, და უფრო ნათელი, ვიდრე კარბუნკულუს, ანუ ანთრაქსიო.

ორფეოსის თვალთა აღწერაში, ტოპაზიონს მომწვანე ფერი მიეწერება; პლინიუსის აზრითაც, ტოპაზიონი არის ლამაზი მწვანე ქვა. 91 ა. გვერდი 60.

X

პროფ. ედ. ჟანეტაზ, ძველთა სწავლის საბუთით, ძვირფას ქვებს ფერთა მიხედვით ამგვარად ანაწილებს: —

წითელი ფერის ქვანი:

ანთრაქსი — მღვივე ნაკვერცხალის ფერი

სარდიონი — მუჭი წითელი

ლუნკურიონი — ბაცი წითელი

ანტრასიტის — ალის ფერი
 ლიხნიტის — ლამფარის სინათლის ფერი
 ხალკედონური — მიშქვრალი ნაკვერცხალის ფერი
 სარდა — მოწითანო
 სარდონიქსი — წითელ - თეთრი
 გრენატი — ბროწუელის ფერი
 რუბინი — იაკუტი წითელი
 სპინელი — უფრო წითელი ეიდრე იაკუტი წითელი
 ზალაის, ბალე — წითელი, რომელსაც მცირედ ლუ-
 რჯი იერი გადაპკრავს...

ლურჯი ფერის ქვანი:

ალმასი ლურჯი — მეტად იშვიათი, ცისფერი ღრმა
 ფერი, აზური
 საფირონი — ლურჯი, არა - გამჟებრვალე
 კიანოს — ცის ფერი ქვა
 იასპი ლურჯი — სპარსული ცის ფერი, მუქი ლურ-
 ჯი, იაკინთე ლურჯი
 ლაპის ლაზული — არაბული ლაზუდ, სპარსული
 ლაზური, ლაჯვარდ...

იის ფერი ქვანი:

ჰრასინტი — იის ფერი ლურჯი, იაკინთე
 ამეთისტი (ამეთისტონ) — ღვინის ფერი, მწიფე
 ყურძენის ფერი, მოლურჯო...

მწვანე ფერის ქვანი:

ემროდ (სმარაგდ) — მდინარის წყალის ფერი
 ბერილ — ზღვის წყალის ფერი
 ტოპაზი — ღვინის ფერი, რომელი წითელი არაა
 პრასი — პრასის ფერისა
 იასპი — პლანიუსის თქმით, მწვანე ან სხვა ფერი,
 ეხლანდელი აგატი
 მალახიტი — მკერივი მწვანე ფერი...

ყვითელი ფერის ქვანი:

ხრიზოლიტი — ოქროს ფერი
 ქსანტეს — (ქსანტეს ბერძნულად — ყვითელი);
 იყო აგრეთვე ყვითელ-მომწვანო, ეხლანდელი ხრი-
 ზობერილ...

შავი ფერის ქვანი: —

მაგნეტიტი, ოლივიტი, შავი ალმასი, სპინელი პლეო-
 ნასტი, ტურმელინი (ტურმალინი) ეტ (ე), პორ-
 ფირი შავი, აგატი და სხვა და სხვა. 120.

X

როგორც ამ ეამად, ისე წარსულშიც, თვალნი პა-
 ტიოსანნი ორ მთავარ ჯგუფად განიყოფებოდნენ —
 1) პირველი ხარისხის, ანუ სრული ძვირფასი ქვა.
 ამგვარი ქვანი თავსდებოდნენ საერთო სახელის ქვეშ

— სპეკალი, ანუ სოქალი, ს. ს. ორბელიანის განმარ-
 ტებით, სოქალი ანუ სპეკალი არის: ალმასი, იაგუნ-
 დი, ლალი, და სხვა ამნაირი ქვა. 2) აღრალების
 ქვა არის მეორე ხარისხოვანი ქვა: ბროლი, ქარვა,
 ლაჯვარდი, ამარტა და სხვა...

ჩვენი დროის მეცნიერება ძვირფას ქვებს განყოფს
 ორ ჯგუფად: 1) ქვანი კეთილშობილნი: ალმასი
 (დიამანტი) კორუნდი (რუბინი და საფირონი), ბე-
 რილ (სმარაგდონი და აკვამარინი), სპინელი, ხრი-
 ზობერილ, ხრიზოლიტი, ტოპაზ, სიკონ (ჰიასინტი),
 ოპალ, ავკლას, ფენაიტი, ტურმალინი, კორდირიტი,
 ანდალუზი, კუნციტი, ჰიდენიტი, ბროლი (ბერგკრის-
 ტალი) და სხვა. 2) ნახევრად კეთილშობილნი ქვანი:
 ხალკედონი, კარნეოლი, ახატი, ონიქსი, სარდონიქსი, ჰე-
 ლიოტროპი, ლაზური, ტურეკის (ტურკუაზი), იასპის
 (რამა), რკოდონიტი, მალახიტი, იადე (ჯედ ეე), ობ-
 სიდიანი, ბერნშტაინი (ქარვა), გაგატი და სხვა. 130.

II. თვალნი

თვალის არსებობა, ამბობს გოეთე, სინათლის წყა-
 ლობაა; თვალისა და სინათლის ნათესაოვობას ვერა-
 ვინ უარჰყოფს; თვალში ზინადრობს დასვენებული
 სინათლე, რომელი შინაგანი ან გარეგანი გამოწვე-
 ვით მოქმედებას იწყებს. ამიტომ შესანიშნავია ერ-
 თი ძველი მისტრიკოსის სიტყვა —

არ ყოფილიყო თვალი მზიური, როგორ შე-
 გვეძლო სინათლის ხილვა? 131...

ეს შესანიშნავი აზრი, პლატონის მიერ გამოთქმუ-
 ლი, გამოაწახნაგა პლოტინოსმა ისე, როგორც ეს
 გოეთეს აქვს განმეორებული.

აღსანიშნავია, ქართულ ენაში სიტყვა «თვალი»
 ხშირად არის გადატანილი სხვა საგნებზე და მოე-
 ლენებზე, ვითარცა: — ბორბალის თვალი, წყაროს
 თვალი, სასწორის თვალი, წინდის თვალი, ურე-
 მის თვალი, ერქვანთ თვალად მზის თვალი, ეტლის
 თვალი, თვალი — მდინარეთა შესართავი, თვალდ
 ჯაქვისა, თვალი ბადისა, თვალი მძივისა, თვალი ბე-
 კედისა, თვალი უფლისა, თვალის ჩასვლა ანუ მზის
 ჩასვლა ყურძენში, დაკავშირებული მზის თვალთან,
 გონების თვალი, სულის თვალი და სხვა.

ქართულ ენაში და ვეფხისტყაოსანშიც სიტყვას
 «თვალი» სხვა და სხვა მნიშვნელობა აქვს, ხოლო
 აქედან ჩვენთვის საგულისხმოა მხოლოდ ორი: 1)
 თვალი ვით მხედველობითი ორგანო 2) თვალი ვით
 ძვირფასი ქვა. თვალი პატიოსანი ფრანგულად არის
 ძვირფასი ქვა; გერმანულად — კეთილშობილი ქვა;
 რუსულად — დრაგოცენნიჲ კამენი; ქართულად —
 თვალი პატიოსანი! არ ვიცი, რომელ ენაზე ეწოდე-
 ბა კიდევ ეს სახელი ძვირფას ქვებს! მართლაც, ეს

მინერალური წიგნი, ძვირფასი ქვანი თავიანთი ხედვითა და ბრწყინვალეობით, ცეცხლითა და ფერით, კამკამითა და ჩინებით ოლონდაც ადამიანის თვალთ წააგავენ, და იმ ხალხმა, რომელმა მათ თვალი პატრიოსანი დაარქვა, სიტყვის შექმნის დიდი ხელოვნება გამოიჩინა.

ეს სიტყვა «თვალი პატრიოსანი» ქართულ ბიბლიაში და მაშასადამე არც მის დედანში არა გვხვდება, — აქ ყველგან ნახმარია სიტყვა: «ქვანი ძვირფასნი» ან «ქვანი პატრიოსანი»: —

მესამე მეფეთა 10,10 დედოფალმა საბამ სოლომონ მეფეს მიართვა «ქვანი ძვირფასნი»

მესამე მეფეთა 10,12 «ქვანი ძვირფასნი»
პირველი ნეშტთა 20,2 ყოველთა პატრიოსანთა ქვათა

მეორე ნეშტთა 8,8 და შეამკო ტაძარი ქეთა ძვირფასითა დიდებულთა

მეორე ნეშტთა 81,27 ვეცხლი, და ოქრო, და ქვანი პატრიოსანი

ესთერი 6,8 ქვათა ძვირფასთა

მგონია: ეს შესანიშნავი სახელი «თვალნი პატრიოსანი» ქართულ ენას მიეკუთვნება, — ყოველ შემთხვევაში იგი ევროპიულ ენებს არა აქვს, და არც არაბულ - სპარსულში მოიძებნება.

X

ადამიანის თვალსა და თვალს პატრიოსანს ეფხისტყაოსანში დიდი ადგილი უჭირავს, ვინაიდან იგი ხშირად სხვა და სხვა მნიშვნელობით იხმარება.

— თვალი ვით ხედვითი ორგანო, გასაკვირი არაა, ეტ.-ში ხშირად იყოს დასახელებული, და მართლაც, თუ არა ვცდები, იგი 64ჯერაა ნახმარი.

1. თვალი

ტარიელმა —

თვალნი მოარნა ყოველგან, ნახა ლაშქართა ჯარია (92)

ნესტანი სწერს —

ციხეს ვზი ეგზომ მალალსა, თვალნი ძლივ გარსწვდებიან (1300)

და სხვა.

2. ხინათლე

თვალთან გადაბმულობით, ეტ.-ში არის შესანიშნავი გამოთქმები, რომელი აქ აღუნიშნელი არ უნდა დარჩეს. ეს გამოთქმები დღესაც ხალხურია და ჩვეულებრივ იხმარება. ტარიელი ნეტანს ეუბნება —

შენ სინათლედ თვალთა ჩემთა მიჩნედ მზეებრ სანახველად (415)

ნესტანი მამის სიკვდილის შესახებ ამბობს —

ჩემთვის ბნელ-ქმნილო მაშაო, ნათლო თვალთა ჩემთაო (1592)

6. თვალი რეტი

თვალი რეტი არის თვალი გარეტიანებული, აზრ დაკარგული, უგონო თვალი. მაშასადამე, თვალი — გონების გამოხედვაა.

როდესაც მონა ტარიელს იხილავს, მისი შეენებით მეო —

თვალნი მზეებრ გამირეტლეს, გული მეტად შემძრწუნდა (90)

როცა აეთანდრილი თინათინს მოშორდა —

უაუღმავე იხედვიდა, თვალთა რეტად აყოლებდა (138)

ყველგან აქ თვალი ნაჩვენებია, ვით გონების გამოხატეული, მეტყველი, ან პარიჭით, უაზრო და რეტეანი.

4. თვალთ გაცდა

როდესაც ქაჯეთის ლაშქარმა ნესტანი ღამით გზაში დაიკირეს, ამ ამბავს მოლაშქრე ასე გადმოგვცემს —

პირ - მზე რამე ცხენოსანი გაეცადეთ თვალთ ჩვენთ (1224)

აქ თვალი არის ხილვა და განცდა, ერთად.

5. თვალი მლაღავი

იგივე მოლაშქრე ამბობს ნესტანის შესახებ —

ვითა ასპიტი, მქერეტელთა მისთა თვალთა მლაღავი (1231)

ანუ: როგორც გველი, თვალთ იტაცებდა თავისი ძალითო (იხილეთ თავი «გველი»).

6. თვალის წუხილი

როდესაც ფრიდონი აეთანდრილს გამოეთხოვა, მის გასაცილებელად მოქალაქენიც გამოვიდნენ და —

იტყოდეს: «მზესა მოეშორდით, მო, თვალნი მიცნეთ წუხილსა (1021)

აქ თვალი სულიერი განცთვის, წუხილის გამომხატეულია.

7. თვალი შეგნება, გონება

ასმათს აეთანდრილი უსაყვედურებს, ტარიელმა არ შეასრულა დაპირება და ქვაბში არ მომიცადაო და ამის გამო ამბობს —

სხვა მოყვარე თვალსა ჩემსა გაკიცხულა, გაბასრულა (862)

თვალი აქ შეგნებას, გონებას წარმოადგენს, და ეს გამოთქმა დღესაც იხმარება: ჩემს თვალში შენ დაპკარგე...

გარდმომჩქედდა (872)
ცრემლნი მოსწურნა თვალთაგან, ცრემლნი
მოაცნობილა (872) და სხვა.

8. თვალი ღმრთისანი

ღმერთთა ყოვლად მხედი. მისი თვალი ყოველივეს სწვდება და ეს გამოთქმა თვალი ღმრთისა — ბიბლიაშიც არა ერთჯერ იხმარება.

უსენი ნესტანის შესახებ ამბობს —

თუ ხორციელი არისცა, თვალნიცა მრისხვენ
ღმრთისანი (1155)

ტარიელმა და აეთანდილმა რის ქებაში იარალი აღმოაჩინეს, ეს კარგ ნიშანად ჩასთვალეს, კარგი ბედითა ვართო —

ღმერთმან მოგვხედნა თვალითა, ზეგარდმო მონახედითა (1371)

9. წამი

თვალი არის აგრეთვე დროის საზომიც: თვალის გახსნა და დახურვა ერთ წამად ირიცხება —

არსადა ხანი არ დაჰყვეს, ერთი თვალისა წამისა (218)

ეს სოფელი, სააქაო —

წამია კაცთა თვალისა და წამწამისა მსწრობელი (1668)

10. თვალის მოწყვედა

ტარიელი ნესტანთან ერთად ნადიმზეა და იგი შემდეგ გვიამბობს —

მალეით ვუქვერეტდი, მიქვერეტდა, სხვად არად მეუბნებოდა.

თვალნი მოვსწყვიდინი, სიცოცხლე ამითა შეარმებოდა (482)

თვალის მოწყვეტა — თვალის მოშორება ტარიელისათვის სიცოცხლის გამწარება იყო.

როდესაც თინათინი ნესტანს გამოემშვიდობა —

ქვე დამდგომმან წარმავალსა ვერ მოსწყვიდნა ყოლა თვალნი (1573)

ანუ: დარჩენილმა წარმავალს სრულიად (ყოლა) ვერ მოაშორა (ვერ მოსწყვიდნა) თვალნიო.

11. თვალნი — ცრემლთა საგუბარი

ძალიან ხშირად იხმარება «ცრემლი» თვალთან დაკავშირებით, რასაკვირველია, მგონი 35ჯერ.

მე რა მნახა, ცხენსა შეჯდა, თვალთა ცრემლნი მოიხოცა (110)

მათ თვალთა ცრემლნი სდიოდეს, მინდორთა მოსალამენი (218)

თვალთათ, ვითა საგუბარი, ცხელი ცრემლი

12. თვალი — ნარგისი

ნარგისი არის ყვავილი. სიტყვა «ნარგისი» და თვალი ერთი და იგივე მნიშვნელობით იხმარება. თვალი ნარგისია და შეიძლება თვალის ნაცვლად მართო ნარგისია მოხსენებული —

ცრემლნი ცხელნი ახველებდეს ნარგისთაგან
ვარდთა ზრულსა (152)

დამწყვიდე დენა ცრემლისა, ნარგისთა ნაგუბარისა (1353)...

(ახილეთ აქვე: «ვარდ-ყვავილნი»).

13. თვალად

თვალად ანუ თვალადი ს. ს. ორბელიანის განმარტებით, არის კარგ სახილავი. ეს გამოთქმა «თვალად» დღესაც იხმარება და იგი ვტ.-ში შეიძლება გამოყენებული —

მიჯნურსა თვალად სიტუტყფე ჰმართებს, მართ ვითა მზეობა (23)

მოვიწიფე, დავემსგავსე მზესა თვალად, ლომსა ნაკეთად (319)

ფატმან-ხათუნ თვალად მარჯვე, არ ყმაწვილი, მაგრა მზმელი (1077)

უებროსა ზნედ და თვალად, შეენიერსა პირსა, ტანსა (1186)

და სხვა.

14. წყაროს თვალი

როდესაც ტარიელი და აეთანდილი ერთმანეთს სცილდებიან, რასაკვირველია —

თვალთა, ვითა წყაროს თვალი, ცრემლი ველთა მოადინეს. (949)

15. ჰვრეტა

სიტყვას «ჰვრეტა» ვტ.-ში არა მართო შეხედვის, მზერის, ნახვის, ყურების მნიშვნელობა აქვს, არამედ განცდისაც. ჰვრეტა არის შინაგანი შეხედვაც, თვალთა განცდა, გადაბმული სულიერ განცდასთან. ეს სიტყვა «ჰვრეტა» ამ მნიშვნელობით ვტ.-ში ძალიან ხშირად იხმარება.

16. თვალი პატიოსანი

თვალი პატიოსანი ძვირფასი ქვაა არა მართო იმის

გამო, რომ იგი ბუნებაში ძნელად მოსაპოვარია და მის მიღებას დიდი შრომა სჭირდება, არამედ იმის გამოც, რომ მისი გათლისათვის დიდი ხელოსნობა და ხელოვნებაა საჭირო. თვალი პატიოსანი ძვირფასი მინერალია არა მარტო ზემოდ აღნიშნული მიწებისა გამო, არამედ უფრო იმიტომ რომ ასეთ ქვას ახასიათებს ბრწყინვა - კრიალი, ელვარება და ცეცხლი, ფერი და სიმტკიცე, სიმკვრივე და წყალი.

წყალი ძვირფასი ქვის გამკვირვალობასა და სიწმიდეს, სისუფთავესა და ელვარებას ეწოდება: ამბობენ: წმიდა წყალისა არისო!

ამიტომ სიმდიდრის გამოჩენისათვის, სილამაზისათვის და მხატვრული გემოვნებისათვის თვალნი პატიოსანნი ყოველ დროში და ყოველ ხალხში სანუკუარი და სანდომი იყვნენ და არიან დღესაც.

ყველგან, — საქართველოში და სხვაგანაც, — თვალნი პატიოსანნი უხეად იყვნენ ხმარებაში, და საეკლესიო შესამოსელთა, სამეფო სამოსელთა, გვირგვინ - ტახტთა და ხატთა და ბოლო თვით ადამიანთა შემკულობანი იყვნენ.

ვეფხისტყაოსანის საზოგადოება ძლიერ მდიდარია ძვირფასი ქვებით, რომლითაც ერთი მეორეს უხეად ასაჩუქრებს, ოღონდ ამ რომანში თვალნი პატიოსანნი უფრო პოეტური მიზნებისათვის არიან გამოყენებული, ვით აღწერა და სიმბოლიკა.

აშკარაა, ქართული საზოგადოებისათვის ამ თვალთა სახელნი და თვისებანი ჩვეულებრივად ნაცნობი იყვნენ, თორემ ყველა ეს პოეტური აღწერა და შედარება, სიმბოლიკაში გაუგებარი იქნებოდა მკითხველისათვის, როგორც ეს არის დღეს.

ვეფხისტყაოსანის საზოგადოება და ამ პოემის მკითხველნი თავისი განვითარებითა და გემოვნებით ძალიან მაღლა იდგა; ამით აიხსნება ვტ.ში ასე ხშირად თვალთა პატიოსანთა დასახელება.

17. თვალი ანუ თვალი პატიოსანი

სიტყვა «თვალი» ვტ.-ში ხშირად იხმარება თვით «თვალთა პატიოსანთა» ნაცვლად. ამგვარად, მგონი, ეს სიტყვა ოცჯერ მეტადაა ნახმარი და რასაკვირველია, სიმდიდრის აღსანიშნავად, სილამაზესთან ერთად. «თვალი» ამ მხრივ სიუხვისა და საჩუქარის ნიეთია, და ამგვარად პოლიტიკური იარაღიც.

მეფემან გასცა მრავალი თვალი, ღარიბად ქებულნი (368)

ინდოეთის მეფემ გაასაჩუქრა ბევრი თვალი პატიოსანი, ღარიბად (უცხო, იშვიათი) ნაქებიო.

ტარიელმა —

ასმათს მივართვი რჩეული თვალი ოქროსა ჯამითა (385)

ქორწილში —

მუნ იღვა რიყე თვალისა, ხელ-წმიდად განათალისა (1366)

ამგვარივე გამოთქმა აქვს იოვანე შავთელსაც თავის ნაწარმოებში —

რიყე თვალისა

წინ ნათალისა,

წყალნი მგზნებარობს

შიგან ალითა

(აბდულუმესია 43,3)

რიყე არის წყლის პირას ქვენარი (ს. ს. ორბელი.) ანუ მდინარის ნაპირზე, დიდი და მცირე მრავლად დაყრილი ქვა; ამგვარადვე: დათლილი ქვანი, ხელ-წმიდად განათალი თვალნი, ვით რიყე ეყარაო. რასაკვირველია, აქ პოეტური გადაჭარბებაა, სიმრავლის აღსანიშნავად.

თვალი ყველაი დათლილი, იაგუნდი და ლალე-ბი (1426)

თვალ-მარგალიტი ავილე, რაც ოდენ ამეღებობდა (1177)

თვალი იხმარება არა მარტო სამკაულად ყელისა, გულმკერდისა, მკლავისა, არამედ სამოსელისათვისაც, გვირგვინებისა და საგნებისათვისაც —

მოიღეს, ტანსა ჩააცევს შესამოსელი ქალისა, მას ზედა შუქი მრავალი ჩნდა მნათობისა თვალისა (1187)

ნესტან-დარეჯანს ყაბაჩა უძღვნა შემკული თვალთა (1439)

თითო კაბა თვალისანი, უცხო ფერთა შუქთ მათენი (1440)

სამეფო ტახტის გადასათარიც თვალებით არის შებნეული —

წითელ - ყვითლითა თვალთა ზედა კეკლუცად ფრქვეული (1463)

ცხადია, გვირგვინებიც თვალისა არიან —

თვითო სკიპტრა და პორფირი და გვირგვინები თვალისა ((1557)

და საჩუქრად —

ათასი თვალი, ნაშობი რომანულისა დედისა (1558)

საერთოდ ცნობილია, ძველი ზღაპრების მიხედვით, რომ ძვირფას ქვებს ფრინველნი სდებენო რომანული დედა ანუ დედალი არას რომანული ქათამი, რომელი თვალთ პატიოსანთ სდებდაო, როგორც განმარტავს ბატონიშვილი თეიმურაზი. ასეთ ცნობას, გამოძიებათა მიუხედავად, ევრსად შევხვდით.

ინდოეთიდან ნესტანმა არაბეთში ნესტანს გაუგზავნა —

ერთი თვალი, — წამლებელმა ვერა თქვას თუ

ცუდად ვზიდე —

ღამე მზებერ განანათლის, ჩნდის, სადაცა შემხედვიდე (1659)

ხოლო როსტევეანს გაუგზავნეს —

კვლა ჭურჭელი თვალთა თლილთა, ... (1658)

ვეფხისტყაოსანის ეს სიმღიდრე, გადაქარბებულცი, გასაკვირი არაა, — ჩვენ ვიმყოფებით მეფეთა, მთავარსარდალთა და დიდებულთა წრეში, ამას გარდა დიდ-ვაქარათაც ეხედავთ აქ.

18. თამარის დროს

თამარ მეფის ხანაში საქართველოს ლაშქრობამ ქვეყანას დიდი სიმდიდრე შესძინა და ისეთი განძიც გააცნო, რომელიც იმ დრომდე ქართული საზოგადოებისათვის შეიძლება მხოლოდ განაგონი იყო; ნადავლნი, ხარკნი და ძღვენნი საქართველოს მაშინ არ აკლდა —

იწყევს «ძღვენთა მოღებად ოქროსა და სამკაულსა, და ჭურჭელთა მრავალ - სახეთა, თვალთა პატროსანთა და მარგალიტთა უსასყიდლოთა, ჯაჭვთა, მუზარადთა, ხრმალთა გამოცდილთა, ნაქსოეთა ფერად - ფერადთა, ოქრო - ქსოვილთა და შესამოსელთა მრავალ - სასყიდლიანთა, ცხენთა და ჯორთა, მანიაკთა ოქროსათა უსასყიდლოთა თვალმარგალიტიანთა, სუნნელთა მრავალ - ფერთა და ალვის ხეთა სპილენძებითა ტვირთულად. იწყევს ანაკოფის ციხით ვიდრე ციხედმდე გულიტანისა, სეფენი აზნაურთანი აღივსნეს ტყვიითა რჩეულითა, და ყოველი საგანძური ოქროთა ვითა მიწათა, და ჰინდოურიითა ქვითა და პატროსანთა მარგალიტთა მიერ ურიცხვითა»... (ქართლის ცხოვრება, გვ. 309) ან კიდევ —

«აწ კვალად აღივსნეს ყოველნი საგანძურნი სამეფონი ოქროთა და ჭურჭლითა ოქროსათა, რამეთუ მიწისა მსგავსად შეასხმიდეს ოქროსა, ხოლო თვალსა და მარგალიტსა წყვით (აწონით) დადებდეს, ხოლო ოქრო - ქსოვილთა ბერძულთა და სხვათა ძვირად საპოვნელთა, ვითარცა ცუდთა სამოსელთა ურცხელთა დაჰყრიდეს. ხოლო ვეცხლის ჭურჭელთა არღა - რა აქენდა პატივი პალატსა შინა მეფისასა: რამეთუ ყოველ ოქროსა და ბროლისა წინა - გებულ იყო, ინდოურთა ქვეათაგან შემკობილი, რომლითა აღავსნა ყოველი ეკლესიანი, რომელთა მიანიქა სამსახურებელად სიწმიდეთა საიდუმლოთასა, და აღავსნა გულნი ყოველთა მთხოვნელთანი, და განაძღნა ყოველნი გლახაკნი და აღუესო წიაღნი მათნი»... (ქართლის ცხოვრება, გვ. 323).

როდესაც ქართველებმა ქალაქი არდაველი აიღეს —

«აღივსნეს სიმდიდრითა აურაცხელითა თვალთა

და მარგალიტითა, ოქროთა და ვეცხლითა, ჭურჭელითა ოქროსა და ვეცხლისათა, შესამოსელითა და ყოველითა სიმდიდრითა... აღივსო ყოველი ქვეყანა სიმდიდრითა ოქროთა, ვეცხლითა, თვალთა მარგალიტთა»... (იქვე, გვ. 514, 515).

და თავრიზის აღებისას ისეთი რამ იხილეს, რომ გაკვირდნენ კიდევ —

«ოქრო და ვეცხლი, სხვა მრავალი თვალი პატროსანი, მარგალიტი ძვირფასისანი; განკვირდეს ყოველნი წარჩინებულნი ქართველთანი, ზაქარიაცა და ივანე მხარგრძელნი»... (იქვე, გვ. 519).

ჩრდილოეთ სპარსეთში გამარჯვებული ქართული ლაშქარი დიდი ნადავლით უკან მობრუნდა, და —

«დაჯდა მეფე (თამარ) ტახტსა სამეფოსა, შეუძღვა ამირსპასალარი და შევიდნეს თავადნი და დასხდეს წესისაებრ, და მოიღეს არმაღანი (ძღვენი) ურიცხვი და დადევს მეფეს წინაშე. განკვირდა მეფე, რომელ არაეის ქართველთაგანსა ენახა ეზომნი სიმდიდრე და აურაცხელნი თვალნი და მარგალიტნი» (იქვე, გვერდი 525).

ვეფხისტყაოსანშიც სწორედ ასეთს სიმდიდრესა ვხედავთ...

III. თვალნი პატროსანნი

1. ჯავარი

სიტყვა «ჯავარი» არის სპარსულ - არაბულად — ჯუერ, ჯავპარ.

ფრანგი მკვლევარი არაბულ ხელნაწერთა მინერალოგიის შესახებ, ამბობს —

მარგალიტს არაბულად სხვა და სხვა სახელი აქვს. ერთი მათგანი — ჯავარ (ჯუერ) ზოგადი მნიშვნელობისაა, და ეწოდება საერთოდ ძვირფას ქვებს ანუ სამკაულებს, და მინერალურ საგნებსაც, ხოლო ფილოსოფიურ ენაზე იგი არის არსი, სულსტანცია.

არაბი ტეიფაში, (მეცამეტე საუკუნეში), რომელს თვალთა პატროსანთა აღწერა ეკუთვნის, ჯავარის შესახებ ამბობს —

ჯავარ არის ზოგადი სახელი ზუღობებიდან ამოღებული ყველა ძვირფასი ქვისა, და ამავე სახელს უწოდებენ განსაკუთრებით მარგალიტსაც, ამ უკანასკნელის დიდი ღირებულების გამო. ¹⁸².

სპარსულში «ჯავაერ» ნიშნავს ფრანგულად — «ბიჭუ» ⁸¹. გვერდი 21. ინგლისურად — «ჯაქუველ». ⁸². რუსულად — (აღნიშნულია გამოთქმით: «ჯევაჰერ») — «დრაგოცენნოსტი». ¹⁰⁸. გვ. 87.

ს. ს. ორბელიანის განმარტებით, «ჯავარი» არის: წყალფერი, მოხდომილობა. — და ეს, ამგავრად,

დაკავშირებულია ძვირფას ქვასთან, ვინაიდან «წყალი» და «წყალფერობა» თვალთა პატიოსანთა სიწმიდისა და მოხდომილობის გამოხატულებათ.

მაშასადამე, «ჯავარი» არის თვალთა პატიოსანთა ზოგადი სახელი, ხოლო მას მარგალიტსაც უწოდებენ, ჩვეულებრივად.

არაბულ ფილოსოფიაში სიტყვა «ჯავარი» არის არსი, სუბსტანცია; და იგი იხმარება უმთავრესად არისტოტელიანურ ნეოპლატონიანთა შორის: — კაცი არის განუყოფელი ჯავარი (სუბსტანცია).¹³³ (ამის შესახებ იხილეთ თავი: — კაცი სრული).

x

ვეფხისტყაოსანში სიტყვა «ჯავარი» გამოყენებულია ძვირფასის, სილამაზის, შეენების და ელვარების დასასურათებლად.

როსტევენი თავისი პსულის შესახებ ამბობს —

ჩემი ლხინი და ჯავარი, ჩემი სოფლისა წყალი (104)

ანუ: თინათინი არის ჩემი ლხინი (მხიარულება, სიხარული); იგი არს ჯავარი ჩემი, ანუ ჩემი თვალი პატიოსანი, ჩემი ძვირფასი არსებაო. და იგი არის: ჩემი სოფლის წყალიო.

რა არის ეს «სოფლისა წყალი», რომელ ცნებასაც «თამარიან»-შიც ვხვდებით?

«წყალი» არის პატივის, ღირსების, სახელის, დიდების სიმბოლო.

რომ ეს განმარტება სწორია, ამას სპარსელი დიდი პოეტის, ნიზამის ერთი გამოთქმა გვიდასტურებს. თავის შესანიშნავ «საიდუმლოთა განძ»-ში ნიზამი ამბობს —

გულის ნაყოფი, სულისათვის ბოძებული, სად, როგორ გახდებოდა წყალად, რომელსაც პურზე სცვლიან?

პროფ. ე. ბარტელსამ ლექს ასე განმარტავს: — თუ გულის ნაყოფს ანუ სიტყვას სცვლიან პურზე, ესე იგი, სიტყვას ჰყიდნი ნივთიერ სიკეთეზე, მაშინ ასეთ სიტყვას არ შეიძლება შერჩეს პატიოსნება, ის გათასირდებაო. «წყალი» ნიშნავს — პატიოსნება, ღირსება.⁹⁷ გვერდი 37. შენიშვნა 41. გვერდი 646.

იგივე ნიშანი თავის პოემაში «ისკენდერ ნამე» ამბობს: —

მომეც წყალი და ქვა საპასუხოდ, და ჩემს ქვას წყალში გადავადებ საკუთარი ხელით.

ამის გამო პროფ. ე. ბერტელის შენიშვნავს:

ქვა არის სიმშვიდე, სიმაგრე, სიმტკიცე; წყალი არის — პატივი, ღირსება, სახელი, დიდება. და, ამგვარად, ამ ლექსას განმარტება შემდეგია: — თუ შენ ჩემს პატივსა და ღირსებას დაიცავ, მე შეურაცხოვას დავივიწყებ და ყველაფერი მოგვარდებაო. (იქვე, შენიშვნა 60. გვერდი 676).

ამნიარად, გამორკვეულია სიტყვისა «წყალი» მნიშვნელობა. «წყალი» არის პატივი, ღირსება, სახელი, დიდება.

ამგვარად, ეტ.-ის ლექსში «სოფლისა წყალი» და «მრავალ - წყალი» არის სოფლის, ქვეყნის დიდება და მრავალ-სახელოვანება, მრავალ-დიდება.

ნესტანი ტარიელს სიყვარულის წერილსა სწერს და ტარიელი მოგვითხრობს —

ეწერა: ვენახე სიტურფე წყალ - ჯავარისა შენისა (493)

«წყალი» აქ არის ძვირფასი ქვის სრული სიწმიდე და ბრწყინვალება. «წყალ - ჯავარი» არის ძვირფასი ქვა სუფთა და ელვარე, მოკრიალე სიწმიდით პატიოსანი თვალისა.

ავთანდილის შესახებ ნათქვამია —

ყმა სოფლისა ხასიათი, ჯავარ - სრული, მრავალ - წყალი (693)

«ხასიათი» ს. ს. ორბელიანის განმარტებით ნიშნავს: ნიშატი. ნიშატი არის ბუნებითი ძალი, რომელსა არაბნი ხასიათს უწოდებენო.

«ხასიათი» სპარსულ ენაზე არის: «თვისება» და «ღირსება», ითარგმნება აგრეთვე სიტყვით «ხარაქტერი».¹⁰⁸ გვერდი 120, 679.

მაშასადამე: «სოფლისა ხასიათი» არის — სოფლის ანუ ქვეყნის ღირსება, დიდება.

«ჯავარ - სრული» არის ძვირფასი ქვა სრული თავისი შეენებით.

«მრავალ - წყალი» არის დიდად ღირსეული და დიდად სახელოვანი.

წარსული ავთანდილის შესახებ როსტევენი მოთქვამს: —

ველარ გიქერეტ ნაბურთალსა, ტანსა მქვერსა, ჯავარ - სრულსა (823)

ანუ: ველარ განახე ნაბურთალს, ბურთობიდან (პოლოს თამაშიდან) დაბრუნებულს (იხილეთ თავი — «ბურთობა» = «პოლო»); ველარ ვნახავ ტანსა მოხდენილსა და ლამაზს (მქვერსა); ველარ ვნახავ ჯავარ - სრულსა ავთანდილს, რომელი არის ჩემთვის თვალი პატიოსანი სრული შეენებითო.

ამგვარად: ვეფხისტყაოსანის «ჯავარი» არის ძვირფასი ქვის სილამაზის გამოშსახველი, მისი ყოველგვარი ღირსებით.

ეს სიტყვა «ჯავარი», «წყალ-ჯავარი» და «სოფლისა წყალი» ვეფხისტყაოსანზე აღრე გამოყენებულია იოვანე შავთელის პოემაში «აბდულ - მესია» და ჩახრუხაძის «თამარიან»-ში არა ერთჯერ —

დასწავას სრულობით

ჯავარ - სრულობით

მზეთა: სახმილად

ეშყი ეგზისა

რიყე თვალისა
წინ ნათალისა,
წყალნი მგზნებარობს

შიგან ალითა (43,2)

ამავე მნიშვნელობით, ვით თვალი პატიოსანი და მისი შვენება, სიტყვა «ჯავარი» ხშირად იხმარება «თამარიან»-შიც —

სტურფობს ჯავარი
მშვიდსა და წრფელსა
და ლმობიერსა

(თამარიანი 1,56)

ფერით ამო მზე
გონებად მომზე

წყალ-ჯავარ ქცეად (V,36)

მეფე მთავართა
მფლობი ჯავართა
სოფლისა წყალთა

დამაშვენალი (VIII,5)

რომელსა მშვიდნი

ვერ გსწრობენ შვიდნი (მნათობნი)
წყალ-ჯავარისა

დაშვენებანი (IX,20)

ჯავარ მოწყალე...

(X,27)

გაქვსთ არსთა წყალი (VII,3)

მეფე მთავართა
მფლობი ჯავართა
სოფლისა წყალთა

დამაშვენალი (VIII, 5)

ანუ ცნა ურად

ან უცნაურად

სოფლისა წყალთა

დამშვენებარე (X,6)

ყველა ეს შესანიშნავი გამოთქმა: «ჯავარი», «ჯავარ-სრული», «ჯავარ-წყალი», «სოფლისა წყალი», «მრავალ - წყლიანი» და სხვა ამდაგვარი, უეჭველია, სპარსული მწერლობიდან მოდის, და კერძოდ «შაჰ - ნამე»-დან, სადაც ყველა ეს გამოთქმა იხმარება (ქართული ვერსიის მიხედვით), ვით მაგალითად: «არ გიქვერტღე წყალ - ჯავარსა» (შაირი 2990), «წყალ-ჯავარსა» (შაირი 3123) და სხვა.

2. ლალი

ა. ლალი — რუბინ

სიტყვა «ლალი» სპარსულ - არაბულია. ⁶² და სპარსულად ნიშნავს: «წითელი». ევროპიულ ენებზე ამ ძვირფას ქვას ჰქვია რუბი, რუბინი, რომელი

სახელიც წარმოსდგება ლათინური სიტყვისაგან — რუბეუს — წითელი.

ლალს ეწოდება აგრეთვე კარმინ, რაც არის კარმეზინ ანუ წითელი ფერის საღებავი, რომელსაც კომინელისაგან ლებულობენ (ახილეთ აქვე გვერდი 61). ¹⁰⁸ გვ. 118.

ლალს ეწოდება აგრეთვე წითელი საფირონი.

ევროპიული სახელი «რუბინ» ნათარგმნია სპარსულად სიტყვით «იაკუტე» და «იაკუტე სორხ» ანუ წითელი იაგუნდი. ¹⁰⁸ გვერდი 190.

ლალი პირველ ხარისხოვან ძვირფას ქვად ითვლებოდა და იგი მთელს აღმოსავლეთში განთქმული იყო.

ლალის სხვა და სხვა სახე არსებობს; ყველაზე უფრო ძვირფასია სეილონისა და ბურმის (ბირმანის) ლალი, რომელი ტრედის სისხლის ფერია. სიამის ლალი უფრო მუქია და ნაკლებ ძვირფასად ითვლება. ჩვეულებრივ ლალი არის ნათელი წითელი.

მწერლობაში ლალი არის სიმბოლო წითლობისა და სილამაზისა.

† ასტროლოგიურად: ლალის ღირსებაა: დაიციას პატრონი ორგული მეგობრობისაგან.

ბ. ლალი მწერლობაში

პოეზიაში ლალს მეტად საპატიო ანდგილი უჭირავს და მისი სამშობლო სპარსული პოეზია არის, თირდაუსის (941 — 1012 წ.) «შაჰნამე»-ში ზნობილად არის ნახსენები ლალი, რომლითაც წითელი ფერია გამოხატული დაწვითა და ბაგეთა აღსანიშნავად, მაგალითად — არნევაზის ბაგენი = ლალნი (წიგნი 1. გვ. 105); ირეჯის ასულის დაწვნი = ლალნი (იქვე, გვ. 165); ასული = ლალის ტუჩებით (გვ. 253); შვეაერთოთ (ასული) რუდამეჰის ლალის ბაგენი ზაალის ლალის ბაგესთან (გვ. 257) და სხვა. ომარ ხაიფაიმა (1017 — 1123 წ.) ტუჩებს ლალს ადარებს —

ოჰ, ბაგენო ლალნო, სურნელოვანო თმანო...

მგოსანი მუიზხ (გარდაიცივალა 1150 წ.) ტუჩებს ლალს ადარებს.

მგოსანი ანვარი (გარდაიცივალა 1189 წ.) ლალს ტუჩებს ადარებს.

ნიზამიც ამგვარადვე: — ორი ლალია ბაგენი ასული შირინისა; ვაჟი ხოსროს ბაგენიც ლალნი არიან და ყველაფერი მისი, ლალის ბრწყინვალეობა; ასულთა ლალნი ბრწყინავენ და სხვა და სხვა.

ამავე მოვლენას ეხედავთ ვეფხისტყაოსანშიდაც, სადაც ლალი ხშირად არის გამოყენებული წითელი ფერის, და მაშასადამე, სილამაზის აღსანიშნავად.

ტარიელი თავის შესახებ ამბობს—

მუნ პირი ჩემი გაბროლდა და ლაწვი გამელა-
ლოდა (380)

ჩემი გაყვითლებული პირი, სიხარულისა გამო,
გაბროლდა, და ლაწვი ლალად გადამექცა ანუ გა-
მწითლდაო.

შეწუხებულმა ტარიელმა —

პირსა იცა, გაიხეთქა ლაწვი, ვარდი აიხეწა,
ლალი ქარვად გარდაიქცა, ბროლი სრულად
დაილეწა (659)

ტარიელმა პირისახეზე ხელი დარტყა, ლაწვი გა-
იხეთქა, ვარდი ანუ წითელი ფერი აიხეწა, აიფხიკა,
ლალი ანუ გახეთქილი სახე ქარვად გადაექცა ანუ
გაუყვითლდა და თეთრი ბრწყინვალე სახე ანუ
ბროლი სრულად დაეღეწაო.

დ. ლალი — პირისახე

ავთანდილის შესახებ ნათქვამია —

ქარი, ველთა მონაქროლი, ლალის ფერსა ვარ-
დსა ზრვიდა (860)

ლალის ფერი ვარდი აქ არის წითელი ვარდი,
რომელთანაც ავთანდილის სახეა შედარებული.

ლალი ეტ.-ში დასახელებულია (თუ არ ვცდები),
34ჯერ, და უმრავლეს შემთხვევაში იგი გამოყენე-
ბულია სილამაზის დასახატავად, ხოლო 14ჯერ არის
იგი საერთოდ ეით თვალი პატიოსანი და ნივთი მო-
ხსენებული.

მ. ლალი — ნივთი

მეფესთან სადარბაზოდ —

უსენმა ტაბაკს დააწყო მარგალიტი და ლალები
(1164)

ნესტანს —

დაადგეს თავსა გვირგვინი ერთობილისა ლა-
ლისა (1187)

ნესტანმა —

მოიხადა გვირგვინიცა გამქვირვალი, ერთობ
ლალი (1195)

ქორწილში —

ტარიელს სძლენიან უცხონი თვალნი ლალისა
ქვისანი (1560) და სხვა.

ამგვარად, ლალი არის თვალი პატიოსანი — რუ-
ბინ, ნათელი წითელი. და იგი გამოყენებულია სი-
წითლის აღსანიშნავად, და ამით: სილამაზის საჩვენე-
ლებლად, და ამას გარდა სიმდიდრის გამომხატვე-
ლად.

ა. ბადახში და ბადახში

ბადახში ანუ ბადახში არის სახელი ერთი მხარი-
სა ავღანისტანში, ჩრდილო - დასავლეთით ჰინდუ -
კუშის მთისა და მდინარე ამუ - დარაის შორის. მი-
სი მთავარი ქალაქია — ფაიზაბად. ავღანისტანის
ამ კუთხის სახელი: «ბადახში = ბადახში» დაერქვა
იმ ძვირფას ქვას, რომელსაც ეწოდება წითელი რუ-
ბინი, ანუ რუბინუს სპინელლუს.

კლემან მძულლე «ბადახში»-ს შესახებ ამბობს —
სიტყვა «ბადახშანი» არ არის სწორი გამოთქმა;
ამ სიტყვას მხოლოდ უცხოელნი ხმარობენ; ნამდვი-
ლი მისი გამოთქმაა — ბადახშანი, ბადახში. 122. გვ.
116.

ენობილია, ვეფხისტყაოსანის ზოგ ხელნაწერში,
და დაბეჭდილშიც, ხან იხმარება სიტყვა «ბადახში»,
ხან კი — «ბადახში». ხან კიდევ ორივე სიტყვა
ერთადაა ნახმარი. როგორც ვხედავთ, ის ვეფხის-
ტყაოსანი, რომელში იხმარება სიტყვა «ბადახში»,
არის სწორი ამ სიტყვის გამოთქმით.

უნივერსიტეტის მიერ გამოცემულ ვეფხისტყაო-
სანში ყველგან იხმარება გამოთქმა «ბადახში», და
ამიტომ იძულებული ვარ ამ დანაბეჭდს მივსდო.

სახელისაგან «ბადახში» დამახინჯებულად წარ-
მოშობილია ევროპიული სახელი ბადახშისა — ბა-
ლე (ბალაის) და მას ეწოდება — რუბინ ბალე (რუ-
ბინ ბალაის). ჩვენს დროის მეცნიერულ ენაზე «ბა-
დახშს» ჰქვია სპინელ რუბინს ანუ რუბინუს სპი-
ნელლუს, ანუ უბრალოდ — სპინელ, შპინელ. (იქ-
ვე, გვერდი 110). ბადახში არის მღვივე წითელი
ფერისა.

ბ. ბადახში — ნივთი

სახელი «ბადახში» ეტ.-ში გამოყენებულია უმთავ-
რესად შედარებისათვის, ხოლო ვითარცა ნივთი მა-
ინც არის რამოდენჯერმე მოხსენებული.

ტარიელი აღწერს ნესტანის საჯდომს - სატარე-
ბელს ანუ კუბოს —

სადა დგა კუბო შემკული ბადახშითა და ლა-
ლითა (394)

ზღვათა მეფემ ნესტანს უძღვნა შესამოსელი, შე-
მკული თვალითა —

იაგუნდითა წითლითა, ბადახშითა და ლალითა
(1439)

როსტევეანის სასახლეში, ქორწილის დროს —

შეყრიტ ძეს გორი ოქროთა და ბადახშისა თლი-
ლისა (1552)

ბადახში ვით წითელი ფერი გამოყენებული არის პირისახის დასახატავად — იგი არის ყველგან, ვით წითლობა, ჯანმრთელობისა და შეენების გამოსახულება.

ავთანდილის შესახებ ნათქვამია —
ძოწეულითა მოსილი, პირად ბროლ - ბადახ-
შოსანი (72)

აქ პირისახე დახატულია თეთრი ბრწყინვალე ფე-
რით (ბროლი) და წითელი ფერით (ბადახში).

ავთანდილს —
ვის ბადახში არა ჰგევანდეს ... (177)

ბადახშიც ვერ შეეცოლება ავთანდილის სილამა-
ჯესო.

ტარიელი ნესტანზე ამბობს —
აწ საწუთროსა გამყარა პირმან ბროლ - ბადახ-
შეულმან (333)

ტარიელი კიდევ ამბობს ნესტანის შესახებ —
მეძნელებოდა სიშორე მისი ბროლ - ბადახშ -
მინისა (419)

ნესტანის პირისახე არის შემდეგი ფერებით შემ-
კული: თეთრი (ბროლი), წითელი (ბადახში) და სა-
ერთოდ იგია: ფერადი (მინა = ემალი).

თინათ-ნის —
ბროლ - ბადახშსა აშვენებდა თმა გიშერი, წარ-
ბი ტევერი (694)

აქ უკვე მთლიანად დახატულია სილამაზის ნაშ-
ნები: თეთრი ბრწყინვალე (ბროლი), წითელი (ბა-
დახში) და შავი (თმა გიშერი).

ავთანდილის შესახებ ნათქვამია —
ბროლ - ბადახშსა აშვენებდა ზოგან მინა, ზო-
გან სათი ((1011)

აქაც სილამაზის სრული სურათია დახატული ფე-
რებით: 1) თეთრი (ბროლი), 2) წითელი (ბადახში),
3) შერეული ფერადი (მინა = ემალი) და 4) შავი
(სათი). ავთანდილი —

შემოვიდა ლაწვი — ვარდი, ბროლ - ბადახში,
მინა, სათი (1074)

აქაც სილამაზის ფერადობითი სრული სურათია:
1) წითელი (ვარდი), 2) თეთრი (ბროლი), 3) წითე-
ლი (ბადახში), 4) ფერადი (ემალი) და შავი (სათი).
და დაბოლოს, ნესტანის შესახებ ნათქვამია —

მუნ ბადახშსა აშვენებდეს სინატიფე, სინაზენი
(1493)

ნესტანის სახეს (ბადახში) ამშვენებდა სინატიფე
ანუ მოხდენილობა, შეენიერად გამოქანდაკება, და
სინაზეო.

ამგვარად, ყველა ამ ლექსში «ბადახში» არის სი-
ლამაზის მაჩვენებელი.

ზოგ შემთხვევაში განსაკუთრებითა და სახელ-
ლობრ ბადახშით დახატული არიან ლაწენი ანუ ლა-
ყები. — ვეფხისტყაოსნის შესავალშივეა ნათქვამი:
მეფისა, მზის თამარისა, ლაწე - ბადახშ - თმა
- გიშერისა (3)

ტარიელმა და მისმა მეუღლემ —
ბროლ - ბადახში გააღვაწეს და გიშერი აწამწა-
მეს (1541)

ბროლი და ბადახში ლაწედ გადააქციეს და წამ-
წამები გიშერადო.

ნესტანის შესახებ ამბობენ —
კბილ - მარგალიტი, ტან - ალვა, ლაწე - ბადახშ,
ყორან - თმიანი (1583)

ამგვარად, ბადახში იხმარება აგრეთვე ლაწეთა
ფერის დასახატავადც, — სილამაზის საჩვენებე-
ლად.

ბადახშს იხსენიებს აგრეთვე იოვანე შავთელიც —
ბადახშნით ხელყვანეს
შექმნულობანი
(აბღულ -მესია 39,4)

4. იაგუნდი

ა. იაგუნდი

არაბულ - სპარსული სახელი ძვირფასი ქვისა: —
იაყუტ, იაკუთ, იაკუნდ, იახუნტ (132. გვერდი -190,
193) წარმომდგარია ბერძნული სახელისაგან: «ია-
კინთოს»; ქართულად — «იაკინთე» და «იაგუნდი».

სახელით: «იაკინთოს», როგორც ამბობს მამულ-
ლე. ბერძენთა და ლათინთა შორის სხვა და სხვა
ძვირფასი ქვა იწოდებოდა, ხოლო არაბთა შორის
იგი განსაკუთრებული ფერის ქვებს ერქვაო. 182.
გვერდი 30.

თვალთა პატიოსანთა აღმწერელი არაბი ტეიფა-
ში (მე-13 საუკუნის პირველი ნახევარი) იაკუტის
ანუ იაგუნდის შესახებ ამბობს, — არსებობს შემ-
დეგი ნაირი იაგუნდებრი —

1) იაგუნდი წითელი (რომელი არის რუბინი
წითელი); (სპარსულად იაკუტ სორხ). 108. გვ. 541.

2) იაგუნდი ყვითელი (რომელი არის ტოპაზი, ტო-
პაზიონი).

3) იაგუნდი ლურჯი (რომელი არის საფირონი,
საფირი). (სპარსულად — იაგუდე კებულ).

4) იაგუნდი თეთრი (რომელი არის კორანდონი
წმიდა ანუ საფირონი წყლიანი).

ამათ გარდა სპარსელი ყაზვინი ასახელებს —

5) იაგუნდი მწვანე (რომელი არის საფირონი მწვა-

ნე)... და სხვაგან მოხსენებულა კიდევ —

6) იაგუნდი ზეთის ფერი («ზაითი», «ზეითა») (იქვე, გვერდი 30).

იაგუნდის ჯგუფს ჩვენი დროის მეცნიერების ენაზე ეწოდება: კორინდონ ანუ კორუნდ.

იაგუნდი მოიპოვება სეილონზე, ბურმაში, ინდოეთში.

იაგუნდი თავისი სიმკვრივე - სიმტკაცითა, ლაპაზი ფერთა და ელვარებით დიდად საყვარელი ქვაცა იყო.

იაგუნდს თვლიდნენ ქვეშარიტებისა და სიმართლის სიმბოლოდ.

ბ. იაგუნდი წითელი

ეტ.-ში იაგუნდი 10ჯერაა დასახელებული, და უმთავრესად ვითარცა ძვირფასი ქვა, და მხოლოდ ორ შემთხვევაში სახის ფერის აღსანიშნადად.

ტარიელმა და ავთანდილმა —

ყელი ყელსა გარდაქედეს, ერთმანერთსა აუტირდეს, ქარვად შექმნეს იაგუნდნი მათნი, თუცა ლალად ლირდეს (282)

ანუ: იაგუნდნი მათნი (ღაწეები წითელი), რომელნი ლალად ლირდეს, ქარვად შექმნეს, გააყითლესო.

აქედან ჩანს, ლალი უფრო ძვირფასად ითვლებოდა, ვიდრე იაგუნდი წითელი.

იაგუნდი ამ ლექსში გარკვეულია ფერთ «წითელი» და მაშასადამე, სილამაზის ფერია.

წითელი იაგუნდის სახელია: «რუბინი წითელი» (რუბი რუე); კრასნაი მიახონტ.

რუსულ - სპარსულ ლექსიკონში, რომელიც შარაფედდინ - კახრემანის მიერ არის შედგენილი, (თეირანი, 1932 წ.), იაგუნდი წითელი (იაგუნდ გერმეზ) ნათარგმნია რუსულად სახელით: «პიროპ». 108. გვერდი 347.

პიროპოს ანუ პიროპ ეკუთვნის გრანატთა (გრანატ) ჯგუფს, და დიდად განთქმული იყო თავისი ლამაზი წითელი ელვარე ფერთ. თვით სიტყვა «პიროპ» ნიშნავს: «ცეცხლი».

არა მგონია, შარაფედდინის თარგმანი სწორი იყოს, რადგან იაგუნდი არა გრანატის, არამედ კორუნდთა ჯგუფს ეკუთვნის.

მელიქ-სურხავემა —

ნესტან - დარეჯანს ყაბაჩა, უძღვნა შემკული თვალთა, იაგუნდითა წითლითა, ბადახშითა და ლალითა (1439)

წითელი იაგუნდი არა ერთჯერ არის ძველ ქართულ მწერლობაში ნახსენები და იგი თვით ქართლის ცხოვრებაშიც გვხვდება —

გვირგვინთა ზურმუხტისა და იაგუნდისა ძაწეულისა (ანუ წითელისა), რომელი იგი გამოიტანა მამან ჩვენმან ეახტანგ მეფემ პინდოთითო. (გ. 202) ამგვარად, ეტ.-ში იაგუნდი წითელი გამოყენებულია სილამაზისა და სიმდიდრის საჩვენებლად.

ნ. აყიყი

სახელი «აყიყი» ეტ.-ში მოხსენებულა მხოლოდ ერთჯერ, და პოეტური შედარებისათვის.

ფატმანი ნესტანის შესახებ ამბობს —

შუა ძოწსა და აყიყსა სქეირს მარგალიტ ტყუბები (1146)

ორ წითელ ფერს შორის (ძოწი და აყიყი) ტყუბი მარგალიტი ანუ მარგალიტით ელვარე და ერთად, ლამაზად მიწყობილი კბილნი მოსჩანანო.

ს. ს. ორბელიანს ეს სიტყვა «აყიყი» მოხსენებულა არა აქვს. პროფ. ი. აბულაძე (ეტ. 1914 წ.) ამბობს: აყიყი არის არაბული აკიკაპ, (მრავლ. რიციხით — აკიკი); ერთგვარი ძვირფასი ქვაა, წითელი ფერის, წითელი მარჯანი, წითელი ფარღული; ყოველგვარი წითელი სამკაული (შეხედეთ! ჩამდენი ჩამ ყოფილა «აყიყი!»). ქართული «შაპ-ნამე»-ს ლექსიკონში იგეგ ი. აბულაძე ამბობს: აყიყი — ძვირფასი ქვა. უნივერსიტეტის მიერ გამოცემულ ეტ.-ში ამავე სიტყვას ასე განმარტავს: აყიყი — ძვირფასი წითელი ქვა. აყიყი — აყიყის ფერი, ე. ი. მოკირე-ბული წითელის ფერისა.

ბ. სარგის კაკაბაძის განმარტებით (ეტ. 1927 წ.), აყიყი არის ერთგვარი წითელი ქვა წითელი მარჯანი (თანაც რომ სპარსული წარწერით ამ ქვას სახელი აქვს აღნიშნული).

როგორღა გავიგოთ, თუ რა არის აყიყი? თურმე ის ძვირფასი ქვა ყოფილა! წითელი მარჯანიც ანუ კორალიც ყოფილა! წითელი ფარღულიც კი ყოფილა! (ფარღული — მარგალიტის ყელსაბამი. ს. ს. ორბ.). ყოველგვარი წითელი სამკაულიც ყოფილა!

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ეტ.-ის ლექსიკონის შემადგენელნი დიდად ზერეულდ და დიდად უპასუხისმგებლოდ ექცეოდნენ ამ მეტად რთულსა და ძნელ საქმეს!..

რა არის «აყიყი»? ეს სიტყვა არის არაბული (და სპარსულიც) და იგი გვხვდება ბიბლიაში თავისი ევროპიული სახელით: გამოსლევათა 28,17 ჩხმარება სიტყვა «სარდიონი»; ბერძნულში — სარდიონ; ლათინურში — სარდიუს; ინგლისურში = სარდაუს; გერმანულში = სარდერ; ფრანგულში — სარდუან; რუსულში = რუბინ (ცული თარგმანია).

ბიბლიის ლიტერატურულ ენციკლოპედიაში, რომელიც გამოცემულია 1893 წელს, ლონდონში, ჯონ

კრტოს მიერ, სწერია —

სარდიუსი არის ძვირფასი ქვა, რომელიც ჩამული იყო ებრაელთა მღვდელმთავარის სამკერდეზე, და იგი მოხსენებულია ბიბლიაში (გამოსლვათა 28,17; 39,10). სარდიუს ანუ სარდიონს ამ ეამად ეწოდება კარნელიან, იმ ფერის მიხედვით, რომელიც უმ ზორცის ფერს ემსგავსება. ებრაული სახელი ამ ქვისა (ოღემ) წარმოშობილია სიტყვისაგან, რომელიც «წითელს» აღნიშნავს.

სარდიონი ანუ კარნელიან არის ძვირფასი ქვა, რომელიც ხალკედონურ ოჯახს ეკუთვნის. ძველები ამ ქვას სარდიონს უწოდებდნენ, რადგან სარდის იყო სამეფო ლიდის სატანტო ქალაქი, სადაც ამ ქვის ხმარება დაიწყეს. ოღონდ ბაბილონური სარდიონი უფრო ძვირფასი იყო. ებრაელები იცნობდნენ და ლებულობდნენ ამ ქვას არაბებისაგან. არაბეთში, სახელდობრ, იემენში მოიპოვებოდა ძალიან ნაზი წითელი კარნელიან, რომელსაც არაბნი უწოდებდნენ «ელ-აკიკ» (აყიყ). ⁸⁶. გვერდი 713.

მეორე ცნობაც შეინ და ბლეკის ბიბლიურია ენსკლოპედიიდან: —

იემენში მოიპოვებოდა ძალიან კარგი მუქი წითელი სარდიონი, რომელსაც ეწოდება არაბულად — ელ - აკიკ (აყიყ). ⁸⁸. წიგნი მე-4. გვერდი 4287.

სპარსელები ამ აყიყს უწოდებენ — აყიყე ყერბეზ. ¹⁰⁸. გვერდი 118.

ამგვარად: გამორკვეულია — აყიყი არის არაბული სახელი სარდიონისა ანუ კარნელიანისა. აყიყის ფერია: ნაზი, უმი ხორცისა.

თვით სიტყვა «კარნელიან», «კარნეოლ», «კორნალინ» ლათინურია და ნიშავს: «ხორცისებური», ხორცის ფერისა.

კარნეოლი (კარნელიან, კორნალინ) ხალკედონურ (კალსედუნ, ხალკედონის) კვარცს ეკუთვნის; როდესაც ეს ხალკედონური არის წითელი, მას ეწოდება: სარდ, სარდუან (სარდიონ) ანუ კორნალინ; ხოლო როცა მას თეთრი არშია აქვს შემოვლებული, მას ჰქვია: სარდონიკს. ¹³⁴.

აყიყი მოიპოვება არაბეთ, სპარსეთ, ინდოეთ, სეილონ და იაპონიაში. ამ ეამად საუკეთესო აყიყი იაპონიიდან მოაქვთ.

როგორც ენახეთ, ვტ.-ში აყიყი გამოყენებულია ტუჩის სიწითლისა და სილამაზის დასახატადად.

6. ღამე მზებერ გაანათლოს...

ა. ზღაპრული თვალ

ნესტანმა თინათინს, აეთანდილის ხელით, საჩუქარი წარუგზავნა —

ერთი თვალი, — წამლებელმა ვერა თქვას თუ

ცუდად ეზიდე, —

ღამე მზებერ გაანათლოს, ჩნდის, სადაცა შეხედვიდე (1659)

წამლებელი ამ უცნაური თვალისა ვერ იტყოდა, თითქო ცუდი რამე მამაქვს, რადგან ეს თვალი ღამე მზესავით ანათებდა და ჩანდა შეხედვისასო.

რა არის და როგორია ეს თვალი, რომელია და სადაურია იგი, რომელი მზესავით ანათლებს? არის იგი ნამდვილი თვალი პატროსანი, ძვირფასი ქვა, რომელიმე, — თუ იგი ზღაპრული თვალია? არ, ეს საკითხია გამოსარკვევი!

რასაკვირველია, არსებობს ზღაპრული თვალი. და მას სპარსულად ჰქვია — შებ-ჩირალ. ეს ზღაპრული თვალი ღამით, სრულ სიბნელეში ანათებს.

ღამით მანათობელ ძვირფას თვალს, ოღონდ ვით ზღაპრულს, ვითარცა პოეტურ შედარებას ნიშამის პოემაში: «ღვილ და მაჯუნუნ» ვხვდებით, სადაც ნათქვამია —

ვითარცა შებ-ჩირალი სიტყვანი მისნი ელვარებენ... ⁸⁷. გვერდი 251.

ამ ლექსის გამო პროფ. ე. ბარტელს თავის შენიშენაში ამბობს — შებ-ჩირალ არის ლეგენდარული ძვირფასი ქვა, რომელსაც ძალა აქვს სრულ წყვილადში ანათოსო (იქვე, შენიშენა 7. გვერდი 664).

ამ შებ-ჩირალს ვხვდებით კიდევ ნიშამის სხვა პოემაში («შვიდნი ლამაზნი»), სადაც ამ თვალთან დავკავშირებულ თქმულებაზეა ლაპარაკი —

ასული ფიტნე... მივიდა უცნაურ ხართან და აყიყანა. ხედავ? როგორი ძვირფასი ქვა ბრწყინავს ხარის ქვეშ! ამ ბრწყინვისას, ვით ზღვის ხარს, მას თითქო შეეძლოს ღამით უფსკრულზე ეძოვნა... (იქვე).

აქ დასახელებული ზღვის ხარი, ამბობს პროფ. ე. ბარტელს, არის მითოსური საოცარი ხარი, რომელი ღამით ზღვიდან გამოდის; მას აქვს ძვირფასი ქვა, რომელიც ღამით დამაბრმავებელი სინათლით ბრწყინავს და მის სინათლეზე იგი სძოვსო. (იქვე, შენიშენა 28; გვ. 669). პროფ. ბერტელსის თქმით, ამ ზღაპრული ხარის ქვა არის მარგალიტი.

არის ეს ზღაპრული ქვა ვტ.-ის ქვა ანუ თვალი, რომელიც «ღამე მზებერ ანათლებს»? — არა.

«მარგალიტი» ქართულ ენაზე «თვალი» არაა; — ქართულ ენას განსაკუთრებული გამოთქმა აქვს: — «თვალ - მარგალიტი» — და ამით «თვალთაგან» განსხვავებულია, «მარგალიტი», — სრულიად სამართლიანად, — ევროპიულ ენებზეც «მარგალიტი» და «ქვანი ძვირფასნი» ცალკე იხსენიებიან, და — ასეა ეფფხისტყაოსანშიც.

მასასადამე, ვტ.-ის «თვალი», რომელი «ღამე მზებერ» ანათებს, არ არის ზღაპრული თვალი. მაშ რა არის იგი?

ეფფხისტყაოსანის ფერთამეტყველება. გაგრძელება მე - 97 გვირდზე.

ბ. ანთრაკი

ს. ს. ორბელიანი თავის ლექსიკონში სიტყვას «ანთრაკი» ასე განმარტავს — ესე თვალი ნაკვერცხლის ფერია, ღამე ცეცხლებრ ელავს, ღია ძვირფასია, და ძნელად საშოვარი, აფრიკეთს იბოვების. პარონის შესამოსელთა ზედა ისხნჯ: ათორმეტნი ესენი: ამეთვისტომი, ანთრაკი, აკატი, ბივრილიონი, იასპი, ლიგვირი, ოქროს ქვა, ტაპიზიონი, სამარაგდუ, სარდიონი და ფრცხილი (28,17 გამოსლვათა).

ს. ს. ორბელიანს ამ თვალთა პატროსანთა სახელნი (თითქმის) ანბანზე აქვს ჩამოთვლილი, ხოლო ბიბლიაში მათი განლაგება სხვაა.

გამოსლვათა წიგნში (ეჯზოდუს), სადაც ამ ათორმეტ (12) ძვირფასი ქვის შესახებაა საუბარი, (და ეს 12 ქვა ისრაელ 12 ტომს აღნიშნავს სიმბოლიურად), მათი განლაგება შემდეგია:

ბერძნულად	ქართულად
1. სარდიონ	სარდიონი
2. ტოპაზიოს	პაზიონი (ტაპაზიონი, ტოპაზიონი)
3. სამარაგდოს	სამარაგდონი
4. ანთრაკს	ანთრაკი
5. საფერიროს	საფირონი
6. იასპის	იასპი
7. ლიგვირიონ	ლიგვირიონი
8. ახატეს	აქატე
9. ამეთისტოს	ამეთე-სტონი
10. ხრიზოლითოს	ოქრო ანთრაკი
11. ბერილიონ	ბირვილიონი
12. ონიკსონ	ფრცხილი (ფრჩხილი).

როგორც ვხედავთ, ამ ათორმეტ სახელთა შორის ქართული არის მხოლოდ ორი: ძიწეული და ფრცხილი.

აქ ჩვენთვის პირველად ყოვლისა მნიშვნელოვანია სახელი «ანთრაკი», რომლის შესახებ ს. ს. ორბელიანი გვაცნობებს, იგი ნაკვერცხლის ფერია და ღამე ცეცხლებრ ელავსო...

ებრაულ ენაზე ანთრაკის სახელია — ნოფეკ. ებრაოპიულ ენათა ბიბლიებში ეს სახელი «ნოფეკ» ნათარგმნია სიტყვით: «რუბინ, სპინელ, ემეროდ»; ოღონდ საქმის მცოდნენი ამტკიცებენ (ბიბლიის ენციკლოპედიათა მიხედვით), რომ იმ ხანად, როდესაც ბიბლიის პირველი წიგნები იწერებოდა, არც ებრაელნი და არც ბერძენნი რუბინსა და სპინელს სრულებით არ იცნობდნენო, — და ამგვარად თარგმანი სწორი არ არისო. ანთრაქს პირველად იხსენიებს თე-

ოფრასტოს, მე-3 საუკუნეში ქრისტეს წინ, როდესაც მან აღწერა ის ძვირფასი ქვანი, რომელთაც მაშინ ს-პერძნეთში იცნობდნენ, — და ანთრაქია არის კარბუნჯულუს, წითელი ძვირფასი ქვაო. ¹³¹. წიგნი 1. გვ. 702.

ლათინური სახელი «კარბუნჯულუს» წარმოშდგარია სიტყვისაგან, რომელიც «ნაკვერცხალს» ნიშნავს ¹³². გვერდი 52.

ბერძენი ტოფრასტოს (მესამე საუკუნეში ქრისტეს წინ), ანთრაქის შესახებ ამბობს — მისი ფერი ქარს წითელი; მას როცა მხვს უჩვენებ, იგი მღვივე ნაკვერცხალის ფერს ღებულობს, და ეს ქვა ძალიან ძვირიო. ¹³². გვ. 56.

X

მეოთხე საუკუნეში ექნძული ანუ ძველი წოდებით: ქალაკი კვიპროსის ეპისკოპოსმა, ეპიფანემ თვალთა პატროსანთა შესახებ შეთხზა შრომა, რომელი მეთე საუკუნეში ქართულად ითარგმნა.

ეპიფანე კვიპრელის ნარკვევის ერთი ნაწილი პირველად დაბეჭდა მოსე ჯანაშვილმა «სბორნიკ მატერილოვ»-ში, 1898 წ. — აღნიშნული თხუზულების ქართული სათაურია:

თოვალთაჲ: ეპიფანს: კვიპრელისა: თქუელი:

ეპიფანს ეპისკოპოსი. კონსტანტია ქალაქისაჲ. რომელ არს ღედაჲ ქალაქთაჲ. კვიპროს ქალაკისაჲ. რომელ თქოვა ათორმეტთა მათ თოვალთათეის.

ეპიფანეს აღწერილი აქვს ის ათორმეტნი ქვანი, რომელნი ებრაელ მღვდელმთავარს «სამკერდებე» იყო ჩასმული. (ამ სამკერდეს ეწოდება: სასჯელისა ფიცარი, ან სარჩელისა ფიცარი). და მათ შორის მოხსენებულია მეოთხე ქვად ბერძნულ წიგნში «ანთრაკს», ხოლო ქართულ თარგმანში: «იაკინთე».

უმნიშვნელო არაა ამ ათორმეტ (12) ქვათა სახელთა შედარება ბიბლიისა და ეპიფანე კვიპრელის თხუზულების ქართულ თარგმანთა შორის:

ქვათა სახელნი

ბიბლიაში ეპიფანეს თხუზულებაში

1. სარდიონი	—	სარდიონი
2. პაზიონი	—	ტაპაზიონი
3. სამარაგდონი	—	ზმური
4. ანთრაკი	—	იაკინთე
5. საფირონი	—	საფირონი
6. იასპი	—	იასპინი
7. ლიგვირიონი	—	ლიგვირიონი
8. აქატე	—	აკატი
9. ამეთვისტონი	—	ამეთვისტონი

10. ოქრო ანთრაკი — ძოწეული
11. ბირვილიონი — ბევირიონი
12. ანუქიანი — ფრცხილი

:დ: თოვალი: იაკინთს:

როგორც ვხედავთ, ბიბლიის ქართულ თარგმანსა და ეპიფანეს ნარკვევის თარგმანს შორის რამოდენიმე განსხვავებაა:

1) ტბაზიონი ანუ ტოპაზ, ეპიფანეს მიხედვით, ყვითელი ფერისაა. ამის შესახებ იხილეთ აქვე, გვერდი 85, სექტი მეორე.

2) ბიბლიის «სმარაგდონი» ნათარგმნია სახელით «ზმური». სიტყვა «ზმური» არის არაბული «ზუმრულ», სპარსული «ზომმორროდ», ქართული «ზურმუხტი»; რუსული «იზუმერრულ»; ს. ს. ორბელიანის განმარტებით, ზურმუხტი მწვანე თვალისაა პატიოსანი, სმარაგდე, — რომელი სიტყვივითაც ამ სახელს ქართული ბიბლია აღნიშნავს.

3) ბიბლიის «ოქრო ანთრაკი», (რომლის შესატყვისია «ხრიზოლიტოს»), ნათარგმნია სიტყვით «ძოწეული». ამის შესახებ აქვე, თავი 9; გვერდი 65.

4) ბიბლიის «ანუქიანი», რომლის შესატყვისია ბერძნული «ონიკიონ», ნათარგმნია სიტყვა-სიტყვით: «ფრცხილი» ანუ «ფრჩხილი».

5) ეს უკვე ჩვენთვის საგულანსხმო საკითხს ეხება. ბიბლიის «ანთრაკი» ეპიფანეს თბუზულებებში ნათარგმნია სიტყვით «იაკინთე».

რა არის ეს «იაკინთე»?

სიტყვა «იაკინთე» არის ბერძნული და ეს სიტყვა შესულია არაბულში, გამოთქმით — «იაკუტ» = იაკუთ, რაც ქართულში გადმოსულია გამოთქმით: «იაგუნდი» და რუსულში კი: «იაიხონტ».

ამ იაკუნდის შესახებ არაბულ მწერლობაში ნათქვამია: იგი სხვა და სხვა ფერისა არისო —

1) იაკუნდი წითელი (ყირმიზი იაკუნდი, რუბი რუე)

2) იაკუნდი ყვითელი (ტოპაზ)

3) იაკუნდი ლურჯი (საფირი, საფირონი)

4) იაკუნდი თეთრი (კოჩინდონ წმიდა)

5) იაკუნდი მწვანე (ზურმუხტი, სმარაგდ)

6) იაკუნდი ზეთის ფერი («ზეითი», «ზაითი»).¹²²

გვერდი 30.

როგორც ვნახეთ, არაბულად: სახელი «იაგუნდი» ზოგადი წოდებაა სხვა და სხვა ფერის ქვათა, და არაბულ ხელნაწერთა მკვლევარო კლემან მიაბულე ამბობს — ამ სახელს არაბნი (და ბერძენნი) საერთოდ «კორუნდის» ქვებს უწოდებდნენო.¹²² გვ. 59.

როგორ აღწერს და რა გვარ ახასიათებს იაკინთე-იაგუნდს ეპისკოპოსი ეპიფანე კეპარელი?

ეპიფანეს აღწერაში «იაკინთე» მეოთხე ადგილზეა როგორც უნდა იყოს, და მის შესახებ იგი სწერს —

იაკინთისა ფერი. მბრწყინვალს. ცეცხლის მსგავს. ფანაკის მსგავს სიმეწამოვლითა. იპოვების ადგილთა მათ კარკედომელთაჲსა. რომელ არიან. ლიბიელნი. რომელსა ერქმოვმის. აფრიკს. ხ სხოვათა თქოვეს ესრტ იპოვების თოვალი ესე აჲათოვ-დღისი-ჩანნ მბრწყინვალეჲჲ მისი. ა დ ლამს შორით. ვითარცა სანთელი ჰნთიედ და ვითარცა საკოვმილი აღზებოვლი. და მოკნქსოვსე დაცემული. აღისა მის ზედა თეთრ განრეოვლად. ჩანნ და გამობრწყინებითა მით იხილიან თოვალი იგი შორით. სადამე ნაკოვრცხალის ფერნ არნ. და სადამე არმოჯრის. და სახედ. და ხილეთა მით ესრტ ფერად ცნიან. თოვალი იგი. და მივიდიან. მბრწყინვალეების გამოცემითა მით პოვიან იგი. და რომელსა იგი მიაქოვნ. და არაოვწყინ რომელი თოვალი არნ. გარეშს მიაქოვნ. არა სამოსელსა შიგან: ნათლისა მის მბრწყინვალეებითა განშოვრებოვლთა ადგილთა მიიწიის. მბრწყინვალეჲჲ თვისი. რომლისა გამოცა. ნაკოვერცხალ ჰრქვან. ესე ვითარისა ნათლისა. და მბრწყინვალეებთა გამო:

ანუ: — იაკინთისა ფერი არის ბრწყინვალე მსგავსად ცეცხლისა და თავისი სიწითლით ჰგავს ფანაკს. იგი მოიპოვება ქარკედონელთა ადგილებში, რომელნი არიან ლიბიელთა, აფრიკაში. ამბობენ, ეს თვალის ასე იპოვებისო: ამ თვალის ბრწყინვალეება არა თუ დღისით ჩანს, არამედ ღამით. მისა ბრწყინვალეება ღამე შორით მოჩანს, ვითარცა სანთელი ანთია, და ვითარცა ნაკვერცხალი ბრწყინვალეებას გამოსცემს, და ვითარცა სახშილი (თორნე) არის აღზნებული, რომელში ნაკვერცხალი ჩნდება აღის მიერ. როგორც ნაკვერცხალი თეთრ განრეულად ჩანს და გამობრწყინებით იგი შორით დანახება. ეს თვალის ზოგან ნაკვერცხალის ფერია, ზოგან არჰურისა (არმური — ღრუბელი ცეცხლისა. ს. ს. ორბ.) სახის არის. და ამ დანახვით იცნობენ მას; მიეღენ; ბრწყინვალეების გამოცემით იპოვიან მას, და წაიღებენ, ხოლო მათ, რომელთაც არ უწყიან, რომ იგი არის თვალის, სამოსელში კი არ ჩაიღებენ, არამედ შორებრებით უქირაეთ. ამ თვალის ბრწყინვალეება, რომელსაც იგი გამოსცემს, განშორებულ ადგილებს მიადწევს, და ამ ნათელისა და ბრწყინვალეების გამო მას ნაკვერცხალი დაერქვაო.

ქართული თარგმანის ეს «იაკინთე» არის ბერძნული «ანთრაკისი» და ლათინურის «კარბუნკულუს».

იაკინთე = ანთრაკი = კარბუნკულუს = წითელი იაკუნდი არის ის ძვირფასი ქვა, რომელის ფერი იყო წითელი ფიცხი და მღვივეო. ამბობს კლემან მიაბულე.¹²² გვ. 56. ანუ როგორც ეპიფანე კეპარელი ამბობს: იგი ღამით შორს ანათებს; ვით სანთელი

და ბრწყინავს, ვით ნაკვერცხალი; ელავს, ვით სახმი-
ლი ანთებული ანუ აღზნებული; ბრწყინავს, ვით
არმური; ბრწყინავს შორ მანძ-ლზე; დამე მას შო-
რით ხედავენ, და ამგვარად პოულობენ მასო. აი ეს
ანთრაკი = იაკინთე მოხსენებული აქვს იოანე შავ-
თელსაც

ქვეყნად ანთრაკი
უცხოოდ აგებულ

ანაქეს-ანო

(ანდულ-მესია 51.3)

იგი მოხსენებულია აგრეთვე სერაპიონ ზარხმე-
ლის ცხოვრებაში: «თუალთა ანთრაკთა» და წმიდა
ნინო ცხოვრებაში: კერძს აქვს ჩასმული «იაკინთა»,
და ფილიპეს «ბეთლემის საგალობელს»-ში (მეათე სა-
უკუნისა) — იაკინთე ძოწეული სამოსლად გავს... და
ამას გაადა: «ვიარამიანს»-ში (ქართულის გვ. 304;
ინგლისურის გვ. 271) სადაც «ანთრაკისი» გადათარგ-
მნილია სახელით «კარბუნკლ».

X

ამ კნინი მიმოხილვის შედეგად საგულისხმო დას-
კენებს მივადექით:

1). იაკინთე არის ანთრაკისი; 2). იაკინთე არის ია-
გუნდი წითელი; 3). ანთრაკს არის კარბუნკულუს.

ეს ძვირფასი ქვა იაკინთე = ანთრაკისი = კარ-
ბუნკულუს = იაგუნდი წითელი ეკუთვნის, ერთი
სწავლის მიხედვით, კორუნდის ქვათა ჯგუფს, ხო-
ლო მეორეს მიხედვით: გრანატთა ჯგუფს.

თუ რა სახელით მოინათლება «ანთრაკისი» ჩვენს
დროში, ამის შესახებაც აზრთა სხვაობაა. ზოგი მეტ-
ნიერის აზრით, (შავალითად: დერ გროსე ბროკა-
უზ-ში) ანთრაკისი არის «პიროპი». სწორედ ამ სახე-
ლით აქვს «იაგუნდი» გადათარგმნილი შერაფედდინ
კახრემანს თავის სპარსულ ლექსიკონში, როგორც ეს
უკვე აღენაშნე. (იხილეთ აქვე, გვ. 95, სექტი 1). და
ეს თარგმანი არ გავიზიარებ.

ზოგ მეტნიერთა აზრით, რომელთაც მისდევენ ნ.
და ა. მეტრა, ანთრაკისი ანუ კარბუნკულუს არის —
«ალმანდინი», — იგია ძველ ხალხთა კარბუნკულუ-
სიო (ესკარბუნკლ), ამბობენ იგინი. ¹³¹ გვ. 88.

«ალმანდინი» არის დამახინჯებული სახელი მკირჭ
აზიის ერთი ქალაქისა (ალმანდა), რომელიც ამ ორი
ათასი წლის წინად განთქმული იყო ძვირფასი ქვათა
წახნაგობის ანუ გათლის ხელობითო. (იქვე).

მაშასადამე, ერთი შეხედულებით, ანთრაკისი არის
კორუნდის ჯგუფისა, ხოლო მეორეს მიხედვით:
გრანატის ჯგუფისა. ყოველ შემთხვევაში ჩვენ უკვე
ვიციოთ: იაკინთე არის ანთრაკისი ანუ კარბუნკულუს,
ანუ წითელი იაგუნდი. და ვიცით მისი თვისებაც,
როგორც თეოფრასტოს, ისე ეპიფანე კვიპრელისა
და ს. ს. ორბელიანის მიხედვით.

X

ოლონდ პირველსავე სიტყვათა მოვიდეთ (როგორც
იტყობდნენ ძველად) და ეფთხისტყაოსანის ლექსს მი-
უბრუნდეთ.

ნესტანმა თინათინს გაუგზავნა —

ერთი თვალი, — წამლებელმან ეერა თქვას თუ

ცუდად ვზრდე. —

დამე მზეებრ გაანათლოს. ჩნდოს სადაცა შეპხე-
ვდადე (1659)

საქოქმანო აღარაა, რომ ეს თვალი, რომელიც და-
მე მზესავით ანათებს, არის, როგორც გამოიკვეა,
იაკინთე = ანთრაკისი = კარბუნკულუს = იაგუნ-
დი წითელი = კრანია იმპონტ, რომელი ნაკვერც-
ხალივით ბრწყინავს დამით, ანათებს ვით სანთელ და
აგზნებული თორნე, ვით არმური და შორით დამე
მოიპოვება დანახვით. ანუ ს. ს. ორბელიანის თქმით,
რომელი დამე ცეცხლებრ ელავს. აი, ეს თვალი, რო-
მელი დამით ჩანს, რადგან იგი ანათებს, არის ეფთხის
ტყაოსანის დაუსახელებელი თვალი.

ამგვარად: თვალი, რომელი დამე მზეებრ ანათებს
და ყოველ მხრეი ჩანს, არის ანთრაკისი = წითელი
იაგუნდი.

X

სპარსელი დიდებული მგოსანის, ნიზამის პოემაში
«შეიდნი ლამაზნი» არის დაუსახელებელი ძვირფასი
ქვა. სლავიანი ლამაზის ნაამბობ ზღაპარში ამოცა-
ნის ასახსენლად, ლამაზმა ასულს ვაჟმა ძვირფასი
ქვა გაუგზავნა: —

«თვალთა დამაბრმავებელი, დამე მანათობელი,
ვითარცა შუადღის მზე; აღის გამომცემი ბრწყინვა-
ლებით შემოსილი!

საპასუხოდ ასულმა ყელსაბამი მოიხსნა —

.. «ნათელი, ვით ცეცხლი, მოძებნა მასში ძვირფასი
ქვა, პირველისა ყველაფერთ თანაბარი, მობრწყინ-
ვალე ბნელში, მზისა შუქით!»-ო. ⁹⁷ გვ. 404.

ყოველ ექვს გარეშეა, ნიზამის ამ ლექსში, ეს და-
უსახელებელი ქვა პატიოსანი, რომელი დამე მზესა-
ვით ანათებს, არის იგივე, აგრეთვე დაუსახელებელი
თვალი პატიოსანი ეფთხისტყაოსანისა, — იქაც და
აქაც, ეს არის კარბუნკულუს ანუ ანთრაკისი, რაც იგ-
ივე წითელი იაგუნდია.

გავიხსენოთ მეჩვიდმეტე საუკუნის პოეტა ნოდარ
ციციშვილიც, ქართული «ბარამ-გურამიანი»-ს დამ-
წერი. იგი ამ ამბავს თავისებურად მოგვითხრობს —
«მეტემ ბრძანა, მოლარემან მას მთართვა სამი ლა-
ლი... ვით სანთელი ანათებდა დამე-ბნელსა მისი
წყალი, მათგან ერთსა აფასებდა სრულად ქვეყნად
მუნ დალალი»...

«ყამან ატყუბნა ბექედსა ლალი, მნათობი ლამისა
მგობი ყოვლისა თვალისა, წონა კვერცხისა სავისა;

ვერ ძალ - უც მისსა შუქისა მკვრეტელთა ჰკრეტა წამისა... — მზეს გაუგზავნა მეფემან ლალი ბადახშის გვირგვინს... კელა მან სხვა ლალი უტყუბნა, მჯობრმან მზისა და მთვირისა, მუნ ერთმანერთსა ვერ სჯობრდეს, შუქით მზეს დაედარას... — მთართმიდა ტყუბად ლალსა, მათ ორთავე შუქი ჰკრეტების, ჰგუნდეს მზისა მონათალსა... (შარნი 805, 808 - 311). (იხილეთ: ნოდარ ციციშვილი — შვიდი მთაები. პროფ. კ. კეკელიძის მიერ გამოცემული; თბილისი, 1930 წ.).

ამჟამად, ნოდარ ციციშვილის პოემაში მოხსენებული «ლალი», ყველა თავისი თვისებით დიდებულ ნიშანის პოემაში დაუსახელებელ ძვირფას ქვას გამოხატავს, და, რასაკვირველია, იგი, ვითარცა ვეფხისტყაოსანშიც: არის ანთრაქი ანუ წითელი იაგუნდი.

7. მას ფერი ეზარდებოდა -

როდესაც ავთანდილმა ტარიელს ნესტანის პოვნის ამბავი უთხრა, ტარიელს სიხარულისაგან —

მართ ვითა ლალსა მზისაგან მას ფერი ეზარდებოდა (1352)

პროფ. ი. აბულაძე განმარტავს: ზარდ (ეზარდებოდა), 1279,8 (ძირი სომხური, ზარდ) — სილამაზე, სამკაული მორთულობა, კაშმა.

ამ განმარტების მიხედვით, ლექსი ასეთია: ვითარცა ლალს მზისაგან, მას (ტარიელს) ფერი ულამაზდებოდაო.

რასაკვირველია, ეს განმარტება სწორი არაა. სიტყვა «ეზარდებოდა» არის ქართული და ცხადად იგი ნიშნავს: ზრდა, მომატება. ამის მიხედვით, ლექსი იქნება ამგვარი: ვითარცა ლალს მზისაგან, ტარიელსაც ფერი ეზარდებოდა, ემატებოდა, ანუ წითელი ხდებოდაო.

ძველ ქართულ მწერლობაში არა ერთჯერ შეგვხვდება «ზარდ», რომელიც აღორძინებას, მომატებას, გაზრდას ნიშნავს, ვით მაგალითად: — «ადამის ცხოვრება»-ში: «ესე დაბადა ღმერთმან მხეტათთვის, რამათა იზარდებოდიან»; ან «თქმული მამათ - მთავართაჲ»-ში (მეათე საუკუნისა): «სძიათ იზარდებოდა ღედისა თანა»... და ბიბლიაშიც: საქმენი 12,20: რამეთუ ქვეყანა იგი იზარდებოდა სამეფოჲსაგან მისისა»...

რომელია ეს ლალი? არის იგი ჩვეულებრივი ლალი = რუბინი? თუ იგი არის განსაკუთრებული ლალი, რომელს მზეზე ფერი ეზარდება და ემატება?

ჩვენ უკვე ვიცით, რომ არაბნი ზოგ რუბინს ანუ ლალს იაკუტს ანუ იაყუს უწოდებდნენ. აი, წითელი რუბინი (რუბი რუე) არის იაგუნდი წითელი, = იაკინთე = ანთრაქსი = კარბუნკულუსი. ¹²² გვ. 59.

იხილეთ, რომ ეს წითელი იაგუნდი ლამე ბრწყინავს. ზემორე ლექსში კი — ლალს ფერი მზისაგან ეზრდება! —

ამ საკითხის გასარკვევად თუ თეოფრასტეს მოვიშველიებთ, იგი ყველაფერს აგვიხსნის, ვინაიდან იგი ამბობს — როცა კარბუნკულუსს ანუ ანთრაქსს მზეს უჩვენებ, ის მღვივე ნაკვერცხალის ფერს ღებულობს. ¹²² გვ. 56. ამით ნათქვამია: მას მზეზე ფერი ეზრდებაო. მაშასადამე, ჩვენს ლექსის (1352) ლალი, რომელსაც მზეზე ფერი ეზარდება ანუ ეზრდება, არის ანთრაქსი = კარბუნკულუსი = წითელი იაგუნდი. ხოლო ამასთან დაკავშირებით მსურს შემდეგაც აღვნიშნო. — სიტყვა «ანთრაქი» მოხსენებულია ეზეკიას წიგნის ქართულ თარგმანში.

ეზეკიელი 1,22 გიჩვენებ მასზედა სამყარო, ვითარცა ანთრაქი იგი კვაროსტანი, და მსგავსად კაცისა მზისა თვალისა და ცეცხლისა...

ს. ს. ორბელიანის განმარტებით, კვაროსტანი არის ცეცხლებრ მოელვარე. მაშასადამე, ანთრაქი არის აქ ცეცხლებრ მოელვარე, მზისა თვალისა და ცეცხლისა. — ეს დახასიათება ანთრაქისა საესებით უდგება იმას, რომელს ჩვენ წინა თავში გავცანით. ხოლო ის იც უნდა აღვნიშნოს, რომ ევროპიულ ენათა არც ერთ ბიბლიაში ამ ადგილზე (ეზეკიელი 1,22) სიტყვა «ანთრაქი» ნახმარი არაა. ყველა ბიბლიაში აქ მოხსენებულია «კრისტალ». ეს სხვათა შორის.

მაშასადამე, ის ლალი, რომელსაც მზეზე ფერი ემატება, ყოველი ექვის გარეშე, არის არა ჩვეულებრივი ლალი, არამედ ლალი წითელი = რუბი რუე, რომელს არაბულ - სპარსულად ეწოდება იაკუტ ყირმიზი და ქართულად: იაგუნდი წითელი, რაც იგივე ანთრაქსი = კარბუნკულუსი არის.

ამნაირად, ეს ლექსი —

მართ ვითა ლალსა მზისაგან მას ფერი ეზარდებოდა (1352)

ნიშნავს: ვით ლალს = წითელ იაგუნდს მზეზე ფერი ეზარდება და ემატება, ისე ტარიელსაც ფერი ემატებოდაო, რასაკვირველია, სიხარულისა გამო.

8. კელა ერთი თვალი

ფრიდონისას ქორწილში —

მოიღეს ძღვენი უსახო ფრიდონის არ - ალქატისა,

ცხრა მარგალიტი, სიდიდით მართ-ვითა კვირცხი ბატისა,

კელა ერთი თვალი სამსგავსო მზისა შუქ მონა-მატისა,

მას წინა ღამით ძალ-ღღეა მხატვარსა ხატვა ხატისა (1465)

ანუ: მოიტანეს (მოიღეს) ძღვენი უმაგალითო (უსახო), ფრიდონისაგან, რომელი არ იყო უქონელი, ლატაკი (ალქატი); მოიტანეს ცხრა მარგალიტი, სიდიდით მართლა, ვით კვერცი ბატისა; და მოიტანეს კიდევ ერთი თვალი, რომელი შუქ-მონამატ მზეს ემსგავსებოდა (თავისი ბრწყინვალეობით); და ეს თვალი ისეთ სინათლეს გამოსცემდა, რომ წინა ღამით მხატვარს შეეძლო (ძალედვა) ხატვა ხატისაო.

შუქ-მონამატი მზე არის ივლის - აგვისტოს მზე, როდესაც იგი მთელ თვის ძალას ჰშლის და იძლევა, ესე იგი, არის დიდად ბრწყინვალე. ფრიდონის მიერ ნესტან - ტარიელისადმი მიძღვნილი თვალი არის მსგავსი სწორედ ამ შუქმონამატი მზისა, ანუ, მეტის მეტად ბრწყინვალე.

ამას გარდა, ეს თვალი ღამე ანათებს, და ანათებს ისე ძლიერად, რომ ღამე მხატვარს მის სინათლეზე ხატის დახატვა შეეძლო!

რომელია ეს თვალი, რომელი ღამე ანათებს და სინათლეს აფრქვევს?

ჩვენ ასეთ თვალს უკვე ვიცნობთ (იხილე წინა თავი: 6 და 7) — იგი არის ანთრაქსი ანუ კარბუნკულუს ანუ წითელი იაგუნდი.

მაშასადამე, ეფეხისტყაოსანის ამ ლექსში (შაირი 1465) დაუსახელებელი თვალი, სამგაეოს მზისა შუქმონამატისა, რომლის სინათლეზე ღამე მხატვარს ხატის დახატვა შეეძლო, — არის წითელი იაგუნდი.

მ. ზურმუხტი

არაბული სახელი «ზურმუხდი», სპარსული «ზომორუდი»⁸⁴. გვ. 72., სომხური «ზურმუხტი» და რუსული «იზამურუდი» არის ქართულად: «ზურმუხტი». ანაღ სპარსულში მისი სახელია «ზამოროდ»; ამ სახელისაგან პირველად დამახინჯებლად წარმოიშვა სახელი «ესმერალდა» და აქედან კიდევ, ფრანგული სახელი «ემეროდ», «ემროდ». ⁸⁵ გვ. 80.

ს. ს. ორბელიანის განმარტებით, ზურმუხტი მწვანე თვალია პატოსანი (სამარაგდე).

ბიბლიის ათორმეტ ქეათა შორის იგი მოხსენებულ არის, ვით სმარაგდოს, ხოლო ქართულად ნათარგმნია სიტყვით «სამარაგდონი» (ს. ს. ორბელიანის — სამარაგდე).

ეპიფანე კვიპრელის «თვალთა»-ში ეს სიტყვა «სამარაგდოს» ნათარგმნია ქართულად სიტყვით «ზმური», რაც იგივე არაბულ - სპარსული «ზურმუხდი» არის.

×

ვტ.-ში «ზურმუხტი» მხოლოდ ერთჯერაა დასახელებული. — ტარიელმა და ავთანდილმა როცა დეე-

თ: კილობანი გახსნეს, იქ იპოვნეს —

ჯაკვი, ხრმალი, მუზარადა, საბარკული მათი გეანი,
ზურმუხტისა ბუდეებითა იყვნეს ვითა ლუსკუმანი (1369)

ჩასაცმელ-დასარკმელი საბარკოლო იარალი: ჯაკვი ჩასაცმელი, ხრმალი, მუზარადა (თავის დასაცავი), საბარკული (საწვივეს დასაცავი), — მათი შესაფერი — ზურმუხტის ბუდეებით იყვნენ, ვით ლუსკუმანიო.

პროფ. ი. აბულაძის განმარტებით, — ლუსკუმა «ბერძნ. გლოსსოკომონ, სირ. გლუსკმა» — კუბო, ზანდუკი, კილობანი».

სიტყვა «ლუსკუმა» ბერძნულ ლექსიკონში არ მოიპოვება. მაგრამ არის სიტყვა «გლოსსოკომონ», გადათარგმნილია ფრანგულად — «ბურს»; ქართულადაა: «საფულე». იქვეა მეორე ბერძნული სიტყვა «გლოსსოკომე», რომლის მნიშვნელობაა — 1) მუსიკალური საკრავის — ფლეიტა — ყუთი, ბუდე; 2) გატეხილი ძვალის გასამრთვლებლად შესაკრავი იარალი.

ქართულ ენაში, როგორც ჩანს, სირიული გზით, დამახინჯებული სიტყვა «ლუსკუმა» შესულა.

ძველ ქართულ მწერლობაში სიტყვას «ლუსკუმა» ორი მნიშვნელობა აქვს: 1) — კუბო, ანუ ვარდაცვალეულთა ჩასახელებელი: «ცხორებამ შიომასი და ეეგარსი» — «შექმნეს ლუსკუმამ პატოსანი და მუნ შინა დაკრძალეა წმიდანი იგი კორცნი ნეტარისა მამისა ჩუენისა იოანსი»... თბუხულებაში: «ცხორებამ ილარიონ ქართველისა»: — «მოიღეს ლუსკუმამ მარმარილოსა»... «დადევს ლუსკუმასა მას შინა», «შთახსნეს ლუსკუმასა მკირესა და საფლავე დაკრძალეს»... 2) ლუსკუმა — ქანდაკება, ძეგლი, საფლავის ქვა, — ბიბლიის მიხედვით:

მეოთხე მეფეთა 22,17 რა არს ლუსკუმა ესე, რომელსა მე ვხედაე (საფლავეი კაცისა არს).

გერმანულ ბიბლიაში ეს სიტყვა «ლუსკუმა» გადათარგმნილია სიტყვით «გრამალ»; ფრანგულად — ტომბო; რუსულად — «პამიდატიკ».

აქედან ჩანს, «ლუსკუმა» ყოფილა: ძეგლი, პამიდატიკ.

ს. ს. ორბელიანი ამ სიტყვას «ლუსკუმა» ასე განმარტავს: — მალალი საფლავეი. ეს ახსნა ბიბლიის სიტყვასაც უდგება.

როგორღა გავიგოთ ლექსი —

ზურმუხტისა ბუდეებითა იყვნეს ვითა ლუსკუმანი (1369)
აღნიშნული იარალი: ჯაკვი, ხრმალი, მუზარადა,

საბარკული, ყველა იყო ზურმუხტის ბუდეში ჩასმული; აღნიშნული იარაღი ერთი მეორეზე ეწყო, ვით ლუსკუშაო ესე იგი მოსჩანდა, როგორც ძველიო — ამით იარაღის სიმრავლე არის დახატული — ძველივით იღვავო.

არის ეს განმარტება დამაკმაყოფილებელი?

მეორე განმარტება ასეთი იქნება: —

მუზარადი, საბარკული, ჯაჭვი, ხრმალი, — ყველა იყო ზურმუხტის ბუდეში ჩასმული; აღნიშნული იარაღი დაწყობილი იყო ვითა ლუსკუშმანი ანუ კუბონი სასაფლაოზე; ან როგორც კუბოშიო.

მესამე განმარტება, მგონი უფრო გასაგებია: — აღნიშნული იარაღი, ყველა იყო ზურმუხტის ბუდეში ჩასმული ვითა ლუსკუშმანი ანუ ვითა გატეხილი ძვალი თავის გამოსამართლებელ და შემკრავ ინსტრუმენტში, რომელიც არის გლოსსოკოპე, — ქართულად: არტახი ანუ ატაშანი, რომლის შესახებ ს. ს. ორბელიანი ამბობს: შემუსვრილთ ძვალთა შესაკრავი, გასათლელ ხეთა მაგრად საპყრობელი არისო.

ზურმუხტისა ბუდეებითა იყვნენ ვითა ლუსკუშმანი (1369)

ნიშნავს: ყველა იარაღი ჩასმული იყო თავ-თავის ზურმუხტის ბუდეში ვით შემუსვრილი ანუ გატეხილი ძვალი მაგარ შესაკრავშიო, რაც არის: ლუსკუშმა.

ლუსკუშმა ნახუნებია იოვანე შავთელის «აბდულ-მესია»-შიც (43,4) —

ლუსკუშებრ ნათთვის
დასაკრძალითა...

10. ფეროზი

ფეროზი (ფირუზი) სპარსული სახელია, დღევანდელი გამოთქმით — ფირუზე, ფრანგულად — ტაურკუაზ, 64. გვ 215., რუსულად — ბირაუზა, 122. გვ. 29, გერმანულად — ტურერკს.

ფეროზის ფერი არის ლურჯი, ციური სილურჯე. ეს ქვა ბევრი მოიპოვება სპარსეთში. მისი დიდი ბუდობები არის, ამბობს ვილკელმ ფონ ფრაიგანგ, თავის სამოგზაურო ცნობებში, ხორასანში, ნაშაპურში, და მთა პირკანისა და ძველ პართას შორის, ოთხი დღის მანძილზე კასპიის ზღვიდან, მთა, რომელსაც ფირუშაკუ ეწოდება. ფირუსი არის სახელი ერთი ძველი მეფისა სპარსეთში. ეს ქვა მისი მფლობის ხანაში აღმოაჩინეს და ამის გამო დაერქვა მას ეს სახელიო. 135.

თუმცა ფეროზი მეორე რიგისაა თვალთა პატიოსანთა შორის, იგი მაინც კარგად ფასობდა და სამკაულებისათვის იხმარებოდა.

ფეროზი მამაცობის, ეაქაცობის სიმბოლოა.

ვტ.-ში ფეროზი დასახელებულია მხოლოდ ერთჯერ, როდესაც ფარსადანის სასახლეში, ტარიელის საპატეოდ, გამართულ ლხინში, მაგრიდაზე იყო — ჯამი და ქიქა ყველაი ფეროზისა და ლალისა (483)

«ჯამი» არის სპარსული სიტყვა და ნიშნავს ფრანგულად — ბოკალ. 108. გვ. 36. ინგლისურად — ბოულ. 120. ს. ს. ორბელიანის ცნობით, ჯამი არის ქურქელი წნოანთაო. მაშასადამე, მაგრიდაზე იყო ფართო პირის სასმისი და ქიქები: ყველა ლალისა და ფერუზისა. რასაკვირველია, ამით სიმდიდრე და გემოვნებაა დახატული.

11. ლაქვარდი

სიტყვა «ლაქვარდი» არის არაბულ - სპარსული, ახლანდელი გამოთქმით ლაქვევარდ. 108. გვ. 143.

ლაქვევარდი არის ზღვის ფერი ლურჯი ქვა და მას ეწოდება ფრაგნულად — პიერ დ'აზურ; გერმანულად — ლაზურშტაინ; ინგლისურად — ლაპის ლაზული; რუსულად — ლაზურკი.

ვტ.-ში «ლაქვარდი» გამოყენებულია მხოლოდ ფერის აღსანიშნავად; ეს ლურჯი ფერი აქ არის მწუხარების ფერი.

როდესაც ავთანდილი თინათინს დაშორდა —

ბროლი და ლალი გათლილა ლაქვარდად გარდაიქცეოდა (954)

ანუ: ავთანდილის თეთრი სახე (ბროლი) და წითელი ლაქვები (ლალი), ორივე შეენაერო, ვინაიდან გათლილი, ლაქვარდად გადაიქცეოდა, ლურჯდებოდნო — მწუხარების შედეგად.

როცა ნესტანს მოულოდნელად ფატმანის მონა-გრძნეული თავს დაადგა ქაჯეთის ციხეში — იგი მზე დაქრთა, ეგონა სამისო რამე ზიანი, შესცვალა ვარდი ზაფრანად, ლაქვარდის ფერად იანი (1278)

ნესტანის ვარდის ფერი სახე ზაფრანის ფერად გადაიქცა, გაყვითლდა, წოლო-იანი ანუ იის შეგნება მისი გაულაქვარდა, გაულურჯდა მეტად, შიშისა გამოთ.

გულწასულ ტარიელს ავთანდილმა ლომის სისხლი დაასხა და ამით მოასულიერა (იხილე თავი — «ლომის სისხლი»)

მეგრდსა დაასხა, გაეხება ლაქვარდი ფერად ლალისად (1345)

ავთანდილმა ტარიელს სისხლი მეგრდზე დაასხა და ლაქვარდის ფერი, ანუ გრძნობის დაკარგვისაგან გალურჯებული ტარიელი ლალის ფერად გარდაიქცა, გაწითლდა, სიცოცხლეს დაუბრუნდაო.

ამგვარად: ლაქეარდი, ვითარცა ლურჯი ფერი ეტ-ში ნახმარია მწუხარების, შიშის, გულწასულობის სიმბოლოდ.

12. ალმასი

არაბული სახელი «ალმას» და სპარსული: ალმას, გადასული ქართულში. ვით «ალმას» და რუსულში, ვით «ალმას», — წარმომდგარია ზერძული სიტყვი-საგან «ადამას», რომლისაგან აგრეთვე ევროპიულ ენათა «ადამანტი» და «დიამანტი» არის წარმოშობილი; თვით ზერძული სიტყვა «ადამას» ნიშნავს — მტკიცე, უძლეველი.

ალმასის სამშობლოა ინდოეთი. ალმასი არის პირველ ხარისხიანი უძვირფასესი თვალი პატიოსანი. მას აქვს ფიცი და ცოცხალი ელვარება, მღვივე ბრწყინვალეობა და ფერთა ლამაზი თამაში, რომელი სინათლის ძლიერი გარდატეხათა და ფერთა გაფანტვითა გამოწვეული, — მას აქვს აგრეთვე განუსაზღვრელი სიმტკიცე, სიმკვრივე და გამძლეობა, — ამიტომაც მას ინდოეთში უწოდებენ: «მარადისობის ნატეხი».

ს. ს. ორბელიანი ალმასის შესახებ მარტივად ამბობს: თეთრი თვალა პატიოსანია, ხოლო არაბი ტეიფაში (მე-13 საუკუნეში) სხვა და სხვა ფერის ალმასს ასახელებს — 15 ფერისა, ოღონდ ამ ფერთა რიცხვს გადაჭარბებულად თვლიან. 122. გვ. 130.

პროფ. ედ. ენეიტაზს ჩამოთვლილი აქვს შემდეგი ფერის ალმასი: 120. გვერდი 183.

1) ალმასი — უფერო, ძალიან წმინდა, უშეწიერესი წყალისა, 2) ალმასი — ლურჯი, ძალიან იშვიათი, 3) ალმასი — ვარდის ფერი, მეტად სანუკვარი, 4) ალმასი — მწვანე, ხშირი, 5) ალმასი — ყვითელი, ბევრი, 6) ალმასი — შავი, 7) ალმასი — რუხი, ადამანტი, ანდამანტი.

ალმასი არის სიყვარულისა, შერიგება - დაზავებისა და სიმაგრე - ძლიერების სიმბოლო.

ეტ.ში სიტყვა «ალმასი» იხმარება დასახელებით მხოლოდ ხუთჯერ: ორჯერ ვით სიმტკიცის გამომხატველი; ერთჯერ ვით პოეტური შედარება; და ორჯერ ვითარცა თვალი პატიოსანი.

მ. ალმასი — გული

ტარიელი მოთქვამს ნესტანის დაკარგვის გამო — მისსა ვით გასძლებს გაყრასა გული ალმასი, წითბილი (327)

აეთანდლი თინათნისადმი სიყვარულისა გამო თავის თავს ეკითხება —

მიკვირს თუ, გული ალმასა შეემან წამწამმან დალა რად? (714)

ანუ: გული მტკიცე და მაგარი (ალმასი) როგორ და-დალა, დალი დაამჩნია შეემა წამწამებმა?

ბ. ალმასი — შედარება

გაგულისებულმა როსტეევანმა თავის ეაზირს სკამი ესროლა, ოღონდ, —

დააცდუნა, მაგრა მისთვის აალმასნა, არ აძეწნა (760)

მეფემ ეაზირს მართლა ესროლა სკამი, რათა მისთვის მაგრად მოერტყა (ალმასნა) და არა ლბილი ხე ძეწნასავით გადასაწნაედ, გადასაქერელად.

ტარიელმა ოდეს ნესტანს პირველად თვალი მოჰკრა, ცნობა და გრძონა დაჰკარგა, და ამის შესახებ იგი ამბობს —

ალმასისა ხამს ლახეარი ლახერად გულისა სალისა (342)

ანუ: მაგარი, კლდე - გულის (სალისა) დასაქერელად საჭიროა ალმასის ლახეარი.

მ. ალმასი — ნივთი

ტარიელმა და აეთანდლიმა დევთა კილობანში ნახეს —

ჯაქე - მუზარადი, ალმასი, ხრმალი ბასრისა, მკრელიო ((1368)

რატომ არის ალმასი მოთავსებული ჯაქე - მუზარად - ხრმალთან ერთად?

ალმასი არის სიმაგრის, სიმტკიცის, ძლიერების სიმბოლო. ძველთა შეხედულებით, ალმასის მქონე არის ძლიერი, არა მარტო სიმდიდრით, არამედ ძალითაც. ამით აიხსნება ალმასის მოთავსება საომარ იარაღთან ერთად.

ალმასის არსებობა ჯაქე - მუზარად - ხრმალთან ერთად, — მის მქონებელთა სიმაგრესა და სიძლიერეს გვაჩვენებს, — და ეს გარემოება იქვე, იმავე შაირშია განმარტებული; კილობანს, რომელში ეს იარაღი იყო მოთავსებული ალმასთან ერთად —

ზედა ეწერა: ჯაქა ძეს აბჯარი საკვირველიო, ჯაქე-მუზარადი, ალმასი, ხრმალი ბასრისა მკრელიო;

თუ ქაჯნი დევთა შეებნენ, დღე იყოს იგი ძნელიო;

უმისეამისოდ ვინც გახსნას, არის მეფეთა მკლველიო (1368)

ანუ ალმასი, რომელიც აქ, ამ იარაღთან ძვეს, მის პატრონთ სიმაგრესა და ძალას, და გამარჯვებას ანიჭებს; ეს ძალა მდევებმა უნდა გამოიყენონ მხოლოდ განთქმულ მეომარ ქაჯებთან შებმაში ანუ ბრძოლაში, და ამ შეტაკების დღე მძიმე და ძნელი იქნებაო — უეჭველია ქაჯთათვის. ვინც კილობანს გახსნის თუ არა ამგვარი ომისათვის, იგი ისეთ მძიმე დანაშა-

ულს ჩაიდნეს, ვითარცა მეფის მკვლელო, — უმძიმეს და უსაშინლეს ბოროტებას ჩქმსო.

როდესაც კილობანი გახსნეს, იქ იპოვნეს 3 აბჯარი, სრული მოწობილობით, აღმასთან ერთად. ტარიელმა და აეთანდილმა აბჯარი ჩაიკვეს და მესამე ფრიდონისათვის გადადევს; მეტად კმაყოფილი დარჩნენ და —

თქვეს: «ესე ნიშნად გვეყოფის, ვართო კარგითა ბედითა; ღმერთმან მოგვხედნა თვალითა, ზეგარდმო მონახედითა (1371)

ისინი უკვე დარწმუნებული იყვნენ: კილობანზე წარწერის თანახმად, და თვით კილობანში აღმასის ნახვით, რომ ქაჯეთზე მათი გამარჯვება უცქველი იყო — აღმასი ძალისა და გამარჯვების სიმბოლო იყო!

[შენიშვნა: ამ წიგნის მე-84 გვერდზე (მეორე სვეტი, სტრიქონი მე-10, ზემოდან) დაბეჭდილია: სასწორო — იასპის. უნდა იყოს: სასწორო — აღმასი და აკვამარინი.]

18. აღმანტი

ანდამანტი ანუ აღმას არის ბერძნული სიტყვა. პირველად იგი იხმარა ჰეზიოდოსმა, და მით აღნიშნა განუსაზღვრელი სიმტკიცის მეტალი; მხოლოდ ღმერთებმა იცოდნენ მისი გაკეთება; იგია ღვთიური მეტალი. მისგანაა შემზადებული ჰერკულესის თავსარქველი, პრომეთეოსის ჯაჭვი, ანტიტისის ეტლი და სხ. ეს ბერძნული სიტყვა აღმას ლათინ პოეტთა კალამით გახდა აღმანტინუს, აღმანტეუს. აქედან შემდეგ ეს სახელი დაერქვა აღმასს. პირველად ამ სიტყვას ამ მნიშვნელობით ხმარობს თეოფრასტოს; შემდეგში მან სხვა მნიშვნელობაც მიიღო — მაგნიტი. 137.

არაბულ მწერლობაში აღმანტი ეწოდება, როგორც აღენიშნეთ ზემოდ, რუხი ფერის აღმას და იგი უმთავრესად ძვირფას ქვათა და შუშა-ჭიქის სათლელად და საქრელად იხმარება.

ეთანდილმაო, ნათქვამია —

გახეთქა ლალი, გათლილი აღმანტისა კვერითა, მუნით წყარონი გამოჩნდეს, ძოწსა ვამსგავესე ფერითა (1342)

ესე იგი: აეთანდილმა გახეთქა ლალი გათლილი აღმანტის კვერით, ანუ: ლოყები მშვენიერი, და იქიდან წყარონი (სისხლისა) გამოჩნდნენ, რომელნიც სიწითლის ფერით ძოწსა დავამსგავსეო.

ცნობილია, ძვირფას ქვებს აღმასით ან აღმანტის კვერით ამუშაებდნენ და აწახნაგებდნენ.

ეს სიტყვა «აღმანტი» მოხსენებულია ბიბლიაში:

იერემია 17,1 ამით იტყვის უფალი, ცოდვა იუდასი შთაწერილ არს ნაწერსა შინა, რკინასა შინა ფრჩხილითა აღმანტისათა, შთაწებული მკერდსა ზედა ფიცრისა გულისა მთისა, და რკათა შორის საკურთხეველთა მათთასა...

სიტყვა «აღმასი» და «ანდამანტი» გამოყენებული აქვს როვანე შავთელს —

თელად აღმასად

— გაენოს აღმა სად?

საფუძველ - ზღუდელ

წახნაგებულად

(აბდულ - მესია 42,4)

უფროს მტკიცობს

ანდამატისა

(აბდულ - მუთო 13,2) —

დაწერა ქვითა

და წერაქვითა

ანდამატისა

ცვილ-მყოფელითა

(აბდულ - მესია 80,1)

14. გასტებს ქვასაცა მაგარსა

ვეფხისტყაოსანი მეთორმეტე საუკუნედან მოყოლებული დღემდე, «ხელი - ხელ საგოგმანები» წიგნი იყო ქართული რაინდული საზოგადოებისათვის, ვითარცა იყო ბიბლია — წმიდა, ქრისტიანეთათვის. ამ ხანათა განმავლობაში ვეფხისტყაოსანს გადამწერენ ისევე მოწიწებით ეპუროზოდნენ, ვით სახარებას, მისი გადამწერნი. შესაძლებელი იყო უნებლიე შეცდომა გადაწერის დროს, გარნა განზრახ შეცდომას არეინ ჩაიდნდა; შესაძლებელი იყო, ვინმე მგოსანს საღვრელი აშლრდა და მოესურვებინა თავისი საკუთარი ლექსიც მიემატებინა, ან ჩამატებინა (და ამას ვერ გაბედავდა სახარების გადამწერი!), — ოღონდ ამ ჩამატებულთა თუ მიმატებულთა აღმოჩენა არც იოლი საქმეა და განსაკუთრებულ ცოდნით კვლევა-ძიებას მოითხოვს.

გარდასრულ საუკუნეთა გადამწერთა და მკითხველთ კარგად ესმოდათ და გაეგებოდათ ვეფხისტყაოსანი, ეს მეორე მათი ბიბლია, ვინაიდან იგი მათი კულტურისა და ზნეობის აღმბეჭდავი იყო, მათთვის ადვილად შესათვისებელი და გასაგები.

მაგრამ, აი, დადგა ხანა და ვეფხისტყაოსნისა არც მკვლევარსა და არც მკითხველს აღარაფერი აღარ გაეგება! ეს ამბავი დაიწყო მეცხრამეტე საუკუნის დასასრულს... და მას შემდეგ... გრძელდება...

თითქმის ყველა, ეგრეთ წოდებულმა მკვლევარმა, ეფეხისტყაოსანი დასტანჯა და ჯვარს აცეა...

არაფერს ვამბობ აქ პროფესორ ნიკო მარას შესახებ, რომელმაც ეფეხისტყაოსანი სპარსულთ გადათარგმნალად გამოაცხადა, და ბრიტანეთის ჰუზუ-უმში მისი დედანის პოვნა დაგვირდა, — ილია ჭავჭავაძემ მას სათანადო პასუხი გასცა და მისი ნაცქა-ფაფი აზრი დამარხა. ამას გარდა, არა ერთი და ორი ზერელე დებულება წარმოუდგენია პროფ. მარას, როგორც მაგალითად, რუსთაველის მუსულმანობის შესახებ, ოღონდ ყველა ამ საქმეს გზა და გზა სათანადო ადგილას შეეხებოთ.

ეფეხისტყაოსანის წყალება და ჯვარცმა მეცხრამეტე საუკუნის დასასრულს დაწყდა — ალ. სარაჯიშვილმა კრებულში «მოამბე» მთელი რიგი წერი-ლთა დაბეჭდა შემდეგი სათაურით: «ეფეხისტყაოსა-ნის» ყალბი ადგილები —

ალექსანდრე სარაჯიშვილი ვტ.-ის მკოდნედ ითუ-ლებოდა, ოღონდ მას, სამწუხაროდ, არაფერი გაეგე-ბოდა. ალექსანდრე სარაჯიშვილმა ვტ.-ის ყველა ის ლექსი (და რამდენია ასეთი!), რომელიც მისთვის გაუგებარი იყო, «ყალბად» გამოაცხადა. და მათ ვტ.-სანიდან გამძევა მიუსაჯა! ყველა მისთვის აუხსნე-ლი და გაუგებარი შაირის შესახებ ბრძანა: — ესენი გადაწერთა მიერ, «ყალბის მქმნელთა» მიერ არიან დაწერილიო?! ეს თქმა «ყალბის მქმნელნი» ალექ-სანდრე სარაჯიშვილს ეკუთვნის, რომლითაც იგი ვტ.-ის გულმოდგინე და მოყვარულ გადაწერლებს უმასპინძლდებოდა! ალექსანდრე სარაჯიშვილის წე-რილებს კითხულობ, გული გილონდება, თუ რაოდენ ბლაგვი დანით სჭრის იგი ეფეხისტყაოსანის ტექსტს და უდიერად ზღეჩავს მისგან ყველა მის ლექსს, რომელი მას დამაინჯებულად, ყალბის მქმნელთა მიერ გადაწერილად მიუმჩნეოდა, რადგან ისინი მას ვერ გაუგია და ვერ განუმარტავს. უბრალო გადაწერ-ლები, რომელნი ვტ.-ს მოწიწებით, პატივითა და სი-ყვარულით გადასწერდნენ ხოლმე! ახლა მათ თავში უჩაჩქუნებენ, «ყალბის მქმნელთ» უწოდებენ, და სა-სტიკად ჰქოლავენ, — როდესაც სწორედ მეოცე სა-უკუნის მკვლევარნი არიან ყალბის მქმნელნი.

ცარიელ სიტყვად ეს ნათქვამი რომ არ ჩამომართ-ვან, ევცდები მის გასამართლებულად აქ მხოლოდ ერთი მაგალითი მოვიტანო, თორემ ყველას აღნიშე-ნა აქ არ შემოძლია და არც აღძრულ, გასაჩჩეე სა-კითხს შეეხება; დანარჩენ სხვა შესწორებებს, რომე-ლიც ე. წ. მკვლევართ ვტ.-ში შეუტანიათ, თავ-თავის ადგილზე, საკითხთა მიხედვით, გზა და გზა ეეხებით და ვარჩევთ, განვიკითხავთ.

ეფეხისტყაოსანში არის ერთი (და განა ერთი?) შე-სანიშნავეი ლექსი —

...გასტებს ქვასაცა მაგარსა გრდემლი ტყვიისა ლბი-

ლისა...

ალექსანდრე სარაჯიშვილმა ეს ლექსი დაპკრუ-ლა. იგი სწერს:

«მეტად უშნო და მოუხერხებელი სურათია: ჯერ ერთი, რომ «გრდემლი ტყვიისა ლბილისა» არსად ნახულა, და, თუ არ შმაგსა, საგანგებოდაც არაიის ჩამოუღწობია, და მერე ისიც. რომ ქვის გასატეხად გრდემლი არ ჩხმარება»-ო! (იხ: ლეთ ალ. სარაჯი-შვილის «ეფეხის ტყაოსანის» ყალბი ადგილები»; კრებული «მოამბე», თბ-ლისი, 1895 წ. ნომბერი).

რა უნდა ითქვას ასეთ მკვლევარზე? უშნო და მოუხერხებელია თეით ალ. სარაჯიშვილის ნათქვა-მი, რომლითაც იგი მხოლოდ თავის უეციკობას აჩენს თავის უმასუსისმკვებლობასა და შმაგობას გეოჩენებს მცნიერულ მუშაობაში...

ქართული გიმნაზიის მასწავლებელი, შემდეგ ქარ-თული უნივერსიტეტის პროფესორი, იუსტანე აბუ-ლაძე, რომელიც აგრეთვე ვტ.-ის ეკვლევარად ითუ-ლება, მის მიერ გამოცემულ ვტ.-ის შეკავალში (1914 წ. გვერ. 41), შეწუხებულა იმ გარემოებით, რომ ეახტანგ მეფის მიერ (1712 წ.) დაბეჭდილ ეტ.-ში რედაქტორს - შემკეთებელს უგვანო შედარე-ბები და ნაძალადევი ლექსები აქვს შეტანილიო!, და სხვათა შორის, ერთ ასეთ უგვანო შედარებად და ნაძალადევი ლექსად იგი მხუთე შაირსაც სთელის და ამბობს: —

«ამგვარივე ხასიათისა არის: «გასტებს ქვასაცა მა-გარსა გრდემლი ტყვიისა ლბილისა», რადგან ტყვიის გრდემლი არ არსებობს, პირიქით, გრდემლი ბასრი-სა უნდა»-ო! (ბასრი — ფოლადი).

აი სწორედ «უმგვანო» და «უმსავანო» კვლევია! ოღონდ დიდი უბედურება არ იქნებოდა მისი უეი-ცობა, და ეფეხისტყაოსანს ამით არა დაუშავდებო-და. თუ იგი, პროფესორი ი. აბულაძე, თავის უეციკ-ობაში ჩარჩებოდა, და სხვა რამ საშინელებას არ ჩაი-დენდა... ვინაიდან მან, მსგავსად ალ. სარაჯიშვი-ლისა, აღნიშნული ლექსი «უმგვანოდ» და ყალბად გამოაცხადა, ამიტომ მან დიდი პასუხისმგებლობა იკისრა, და, რასაკვირველია, ეს ლექსი შეასწორა!

... ეფეხისტყაოსანის მე-26 გამოცემაში პროფესო-რი იუსტანე აბულაძე აღნიშნულ ლექსს ასწორებს. ეფეხისტყაოსანის, ლექსითა ასეთი:

გასტებს ქვასაცა მაგარსა გრდემლი ტყვიისა

ლბილისა

პროფესორმა აბულაძემ ეს ლექსი ასე შეასწორა:

გასტებს ქვასაცა მაგარსა გრდემლი სიტყვიისა

ლბილისა

ახა ბრძანოს თვითონ მკითხველმა, თუ ამგვარი შესწორებით ეს ლექსი უფრო გასაგები გახდა? რა არის ეს «სიტყვიისა ლბილისა»? იგი გატებს «ქვასა-

ცა მაგარსა?!

განა მარტო აღსაშფოთებელია ასეთი უმსგავსო შესწორება? აქ მომხდარა არის შეუწყნარებელი ბოროტმოქმედება: სიტყვისა და აზრის მკვლევობა, გულცივი და აეზაკური. უვიცობა უვიცობა! ეს მომაკვდინებელი ცოდვა არაა, და კაცს ეპატივება, ხოლო მკვლევობა კი არა. დაბოლოს რა დარჩება ვეფხისტყაოსანისაგან. ოუ ისეთმა მკვლევარმა როგორც გახლდათ ალ. სარაჯიშვილი, ეინ ასობით ე.ტ.-ის შაირი გაჰკიცხა და გააძევა ე.ტ.ყ.-დან, უვიცობისა გამო, სრულიად უსაბუთოდ, და ისეთმა მკვლევარმა, როგორც ბრძანდება პროფესორი ი. აბულაძე, და სხვებმაც, მსგავსათა მათთა, ასე თავის ნებაზე და განუკითხავად ეტ.-დან შაირები გამოყარეს და ლექსებში შესწორებანი შეიტანეს?! რალა დარჩება, თუ ვის როგორ მოეპრიანება, ისეთი გაძევება ლექსთა მოახდინა და მისთვის გაუგებარ ლექსში საკუთარი შესწორება შეიტანა?! დაგვრჩება არა ვეფხისტყაოსანი, არამედ «კატისტყაოსანი»!



აღნიშნული ლექსის გამო მეტად შეძრწუნებულა კიდევ ერთი მკვლევარი: ეს გახლავთ კონსტანტინე ჭიჭინაძე, რომელი, თავის მხრავ, ეძებს გაამართლოს «გრდემლი ტყვიისა ლბილისა», და ამიტომ სწერს:

«რუსთაველმა, რა თქმა უნდა, ეცოდა, რომ გრდემლი მაგარი უნდა და არა ლბილი, მაგრამ ის ამ სტრიქონში გრდემლს მკედელის თვალსაზრისით არ მისდგომია. რუსთაველი აქ შეუდარებელი ხელოვნებით, რომელიც მხოლოდ დიდ პოეტს ახასიათებს, გვიხატავს თუ რამდენად ლბილია, რა უნაზეს ფორმებშია მოქცეული მისი მაღალი კალბატონის ღეთაებრივი ბუნება, იმავე დროს რამდენად ხელშეუშართავი და ლახვარით გამგმირავია მისი გავლენა ადამიანზე, თუნდაც ამ უკანასკნელის გული ქვასავით მაგარი იყოს; ან შეიძლება აქ ნაგულისხმევია დედოფლის მიერ ლბილად, გაღივებით გამოთქმული სურვილი ხობტის დაწერის შესახებ, რომელიც ბრძანებისა და მტკიცე კანონის სახეს იღებს მისთვის — რუსთაველისათვის»-ო. (იხილეთ: კონსტანტინე ჭიჭინაძე: — ალიტერაცია და «ვეფხისტყაოსანის» პრობლემა. «მნათობი», 1925 წ. ნომერი 7 (15), გვ. 203). აი ნამდვილი ჩმახვა და აკიბაძეა მკვლევაროსა, რომელს ვეფხისტყაოსანის ამ ლექსისა მართლა არაფერი გაეგება!



უნივერსიტეტის მიერ გამოცემულ, საიუბილეო ე.ტ.-ანს დართული აქვა იმავე პროფესორ იუსტინე აბულაძის ლექსიკონი. აღსანიშნავია, რომ ი. აბულაძეს სიტყვა «გრდემლი» მის მიერ 1914 წ. დაბეჭდილ ეტ.-ში მოხსენიებული არა აქვს, ხოლო უნივერ-

სიტეტის გამოცემაში ეს სიტყვა «გრდემლი» აღნიშნულია და განმარტებული: —

«გრდემლი — ფოლადის სადგარი ლითონის გასაქედად. (ვახტანგისა და თეიმურაზის ახსნით აღმასის სათლელი იარაღი)».

განა ვეფხისტყაოსანის მკვლევართ არ უნდა ცოდნოდათ, თუ ვახტანგი და თეიმურაზი ამ სიტყვას «გრდემლი» როგორ განმარტავდნენ? ან ვინ დალოცვილმა მიუთითა ჩვენს მეცნიერსა და პროფესორს ი აბულაძეს ვახტანგისა და თეიმურაზის განმარტებაზე «გრდემლის» შესახებ?! ოღონდ პროფესორი ი. აბულაძე ვახტანგსა და თეიმურაზს არ უჯერებს და «უცილობლობს ვითა ჯორი», — გრდემლი ფოლადის სადგარი არის ლითონის გასაქედათო!! ოღონდაც: სამკედლოში თუ სამკედლოში, სადაც ცხენებსა, ვირებსა, ჯორებსა და ხარებს ქედავენ, — გრდემლი არის ფოლადის სადგარი, გარნა ვეფხისტყაოსანი სამკედლო არაა...

რალა უნდა მოეთხოვოთ ამგვარ მეცნიერთ, რომელთაც «სამკედლოს გრდემლი» ვეფხისტყაოსანის «გრდემლისაგან» ვერ გაურჩევიათ!?



უცხოეთში, მგონია, მეტი საშუალება იყო, ეცადა მკვლევარს «გრდემლი ტყვიისა» საკითხის შესახებ გამოძიება მოეხდინა, რადგან საამისო მასალა აქ უფრო ხელმისაწვდომი უნდა ყოფილიყო, ვიდრე საქართველოში, გარნა ამისათვის არ გაისარჯა და თავი არ შეიწუხა ბ-ნ მიხეილ წერეთელმა და კრებულში: «ბედი ქართლისა» მან მარტივად გამოვვიცხადა: —

«გასტებს ქვასაცა მაგარსა გრდემლი ტყვიისა ლბილისა» (არის) უაზრო ფრაზა, რომლის უაზრობას ვერ შესცვლის ი. აბულაძის მიერ «ტყვიისა» «სიტყვისად» შეცვლა»-ო!

რალა ვთქვათ ამის გამო?
«უაზრო ფრაზა» არის არა ეს ლექსი ვეფხისტყაოსანისა, არამედ უაზროა ბ-ნ მ. წერეთელის ნათქვამი.



მერმე ყველაფერი როგორი ადვილი იქნებოდა, «მკვლევართ» ცოდნოდათ მკოდნე ვახტანგ მეფის ან თეიმურაზის განმარტება, — ან თუ იკოდნენ იგი, — მისთვის ყურდალება მიეჭკიათ და მისი გეზით კვლევა მოეხდინათ!

ვახტანგ მეფე, ვეფხისტყაოსანის პირველი გამოცელები და დამბეჭდავი (1712 წელს!) აღნიშნული ლექსის შესახებ შემდეგ განმარტებას გვაწოდებს: «გასტებს ქვასაცა მაგარსა გრდემლი ტყვიისა ლბილისა»: ეს ეს არი რომ აღმას ტყვიაზედ გასთლიან: ლექსის გაწვობისათვის გატებად უთქვამს-ო. აწ ეს

ასრე არი როგორც ტყვიის ღებლი აღმას გასთლას ავრე ქალი ხომ რბილი არი და ამ ნესტანდარეჯანისა და თინათინის საცოლოდ მონდომებაჲ: გვირას ტარიელის და ავთანდილის სიმაგრე გასთალა: გატება და ძალიანი საქმეები აქნევიანაო.

მაშასადამე: ეახტანგ მეფე (და თეიმურაზი) ამბობს — ტყვიის გრდემლი იხმარება აღმასის გასათლელად, ხოლო ლექსის გაწყობისათუეს გატებად უთქვამსო!

აი, ყვალბის მქმნელ მკვლევართა რომ თევისი ძიება აქედან დაეწყოს, მიაკვლევდნენ:

— ტყვიის გრდემლი მართლაც არსებობდა!

— ტყვიის გრდემლი აღმასის სათლელი იარაღი იყო!

— ქვა მაგარი ანუ ძვირფასი ქვა მაგარი, აღმასი იყო და არის!

— ტყვიის გრდემლით აღმასის გათლას «გატება» ეწოდებოდა!

✱

ძვირფას ქვათა ანუ თვალთა პატროსანთა ისტორიის მკვლევარი, პროფესორი ედ. ჟანეტაზ ამბობს: — ლუი დე ბერკენს მიაწერენ აღმასის გათლის გამოგონებას, 1456 წელსო! მაგრამ ეს შეხედულება არაა სწორი, და იგი ამის უარსაყოფელად იმ აღმასთ ჩამოთვლის, რომელნი ბერკენზე გაცილებით ადრე თლილად არსებობდნენ, — და თვით ხელოსანთა სახელებსაც აღნიშნავს, რომელთა ეს აღმასნი გაუთლიათ. მე ვეთანხმებო, ამბობს იგი, მ. დე ლაბორდს, რომელიც ამბობს, აღმასის გატება, დანაწილება ძალიან ადრე იცოდნენო, — და თუ ხმა იყო დარხეული, თითქო აღმასის გატება და გათლა შეუძლებელიაო, იგი გაავრცელა პლანიუსმა (პირველ საუკუნეში), გაიპეორა სენეკამ (პირველსავე საუკუნეში) და მერმე ყველამო.

პროფ. ჟანეტაზ არ გვაცნობებს, თუ აღმასის გატება-გათლა ძველად რა წესით ხდებოდა. იგი ამას მე-15 და მე-16 საუკუნედან აღწერს. 129. გვ. 226.

✱

თვალთა პატროსანთა გათლის საკითხს ეხება არაბულ ხელნაწერთა მკვლევარი კლემან - მახულლე, როდესაც იგი არაბი ტეიფაშის (მე - 13 საუკუნე) ცნობას ამეთვისტომის გათლის შესახებ, არჩევს. ტეიფაში ამბობს: ამეთვისტომის გათლისა და გაწმენდისათვის იმავე ხერხს მიმართავენ, როგორც ზურმუხტის გათლის დროსო; ესე იგი იწყებენ მის ხეხვას ტყვიის მაგიდაზე, ემართა და წყალით, ხოლო შემდეგ გათლას (თლილობას) ასრულებენ უშარის ხითო.

ამ საკითხზე კლემან - მახულლე ამბობს: — ეს ადგილი სიტყვა - სიტყვით უნდა გადაითარგმნოს

ასე: (ხეხვენ) ტყვიის მაგიდაზე. მაგრამ რას ნიშნავს ეს «ტყვიის მაგიდა»? არის მაგიდა ტყვიის ფურცელით გადაფარებული, თუ არის ეს მაგიდა, მოწყობილი ტყვიის ბორბალით? ეს შეემსგავსება იმ ცნობას, რომელს გვაწვდის ბატონი ბრარ, ხოლო მისი თქმით, ვიეთნი ოქრომქედელნი საფირონს ტყვიის მაგიდაზე თლიანო. თუათონ კლემან - მახულლე კი ფიქრობს: არაა აუცილებელი ვფიქროთ, თთქო ძვირფას ქვებს თლიდნენ ტყვიის ბორბალით, რადგან ძველად ქვათა თლას ხელით უფრო ეწოდნენო. ამგვარი თლა უფრო სრულყოფილი იყო, ვიდრე ჩვენი დროის ბორბალიო. 122. გვერდი 211 — 214.

არაბი ტეიფაში ქვათა თლას ეხება კიდევ, როდესაც იგი იაგუნდის შესახებ ლაპარაკობს: ერთი განსაკუთრებული თვისება იაგუნდისა ისაა, რომ მის გასათლელად, მას ხეხვენ მხოლოდ ტყვიის დაფაზე და იემანის ონიკის ნამსხვრევებითო. (იქვე).

უპკველია, ტყვიის იარაღი ძვირფას ქვათა გასათლელად არსებულია, ოღონდ გამოურკვევეი რჩება, თუ ეს იარაღი ტყვიისა რა სახისა იყო: მაგიდა თუ ტყვიის ბორბალი? ყოველ შემთხვევაში, ვეფხისტყაოსანის ტყვიის გრდემლიც სწორედ ეს სათლელი იარაღია.

✱

თუ ქართული ენის ხაზინას, ქართულ ბიბლიას მივმართავთ, და იქ სიტყვას «გრდემლი» მოვნახავთ, ამ სიტყვის გამორკვევის შედეგად მთელი საკითხი უფრო ნათელი გახდება.

სიტყვა «გრდემლი» იხმარება ნობის წიგნში: 41, 15: გული მისი განფიცდა ვითარცა ლოდი, ხოლო დადგა ვითარცა გრდემლი უძრავად.

ბერძნულ ბიბლიაში «გრდემლი» არის: ე კატო მილოპეტრა;

ფრანგულში: une pièce de la meule de dessous

გერმანულში: 41,16 unterer Mühlstein

ინგლისურში: 41,24 nither millstone

რუსულში: 41,16 нижний жернов

ფრანგულ-გერმანულ-ინგლისური სიტყვა წარმომდგარია ლათინურის გზით (მოლა) ბერძნულისაგან — მილოპეტრა: წისქვილის ანუ საფქვავეის ქვა. ეს მილოპეტრა, მოლა ანუ წისქვილის, საფქვავეი ქვა არის ბრტყელი, რგვალი; მყარი და მაგარი საგანი. ყველგან აქ ლაპარაკია ამ წისქვილის ქვის ქვემო, ძირა ქვის შესახებ, და ეს გარკვევითაა აღნიშნული ქართულ ბიბლიაში: «ვითარცა ვრდემლი უძრავადო». აი სწორედ, ეს გრდემლი არის წისქვილის ორი ქვის შორის (ერთი — უძრავი; მეორე — უძრავი) ქვემო ქვა, მყარი და გაჩერებული.

ს.ს. ორბელიანი სიტყვას «გრდემლი» ასე გან-

გვიმარტავს: გრდემლი = გურდემლი = ილეკროს
საქელი (ძირს სადები) = ქვირდემლი = მყარი, გი-
ნა მაგარი.

ამ განმარტებას პირდაპირი შინაგანი კავშირი
აქვს ბიბლიის სიტყვასთან: «გრდემლი»; აქ «გრდემ-
ლი» არის წისქვილის ძირა, უძრავი ქვა.

აქედან ეს სახელი დაერქვა აგრეთვე სამქედურის
სადგარსაც, რომელი უძრავი და მაგარია.

თუ ბიბლიის სიტყვას «გრდემლი» ვტ.-ის ლექსის
გასაგებად გამოვიყენებთ, ცხადი გახდება «ტყვიისა
გრდემლისა» მნიშვნელობაც. გრდემლი არის რგვა-
ლი, ბრტყელი, მყარი, უძრავი საგანი ტყვიისა, ხო-
ლო არა მაგარი, არამედ ვითარცა ტყვიისა: ლბილი.
იგი არის ტყვიის ან დაფა ან მაგადა.

მაშასადამე, მართალი ყოფილა არაბი ტეფაში,
როდესაც გვაცნობებს, ძვირფას ქვებს ტყვიის მაგა-
დაზე თლიანო; და მართალი ყოფილა ფრანგი მეც-
ნიერის მოსაზრებაც, რომ გათლა ხდებოდა არა
ტყვიის ბორბალითო.

ამ კნინი მიმოხილვის შედეგად ნათელი შეიქმნა:
! — ტყვიის გრდემლი ყოფილა ტყვიის მყარი და უძ-
რავი მაგადა ან დაფა, რომელზე ძვირიფას ქვებს
სტებდნენ და თლიდნენ.

რასაკვირველია, ვტ.-ის ლექსში — გასტებს ქვა-
საცა მაგარსა გრდემლი ტყვიისა ლბილისა, — ქვა
არის არა ჩვეულებრივი ქვა უძრავი, არამედ ძვი-
რფასი ქვა, თვალი პატროსანი, — თლონდ რომელი
არის იგი? რა ქვა არის?

არაბი ტეფაშის ცნობით: ლალს, ამეთეისტონს,
ზურამუხტს, საფირონს, იაგუნდს თლიდნენ ტყვიის
იარაღით, — ამიტომ შეიძლება ვიფიქროთ, რომ
ვეფხისტყაოსანის ლექსში დაუსაბუღებელი ქვა იქ-
ნებ ყოფილიყო ან იაგუნდი, ან ზურამუხტი, ან სხვა
რომელიმე ამგვარი? ამაზე პასუხი უარყოფითია —
არა! ასეთი შეხედულება შესაწყენარებელი არაა, ვი-
ნაიდან «მაგარი ქვა» არის მხოლოდ და მხოლოდ
ალმასი.

ალმასი არის ყველა ქვაზე მაგარი; იგი სტებს ან
ხერეტს ყველა ქვას, თლონდ მასზე არც ერთი სხვა
ქვა არ მოქმედებს, — გამონაკლისია ტყვია, რომე-
ლსაც შეუძლია იგი გატეხოსო. (იქვე, გვერდი 131).

ამგვარად: «ქვა მაგარი» არის «ალმასი», ხოლო
მისი გამტეხი კი არის «გრდემლი ტყვიისა».

ქვა მაგარი — ალმასი
გრდემლი ტყვიისა — ლბილი.

შეიძლება ეს მეცნიერული მიმოხილვა ზედმეტად
იქნებოდა, თუ პირდაპირ სპარსულ პოეზიას მივხე-
დავდით და ვეფხისტყაოსანისებურ გამოთქმას მოვ-
ძებნიდით.

ვეფხისტყაოსანის ლექსში რომ «ქვა» «ალმასი»-ა
და «ტყვიის გრდემლი» კი მისი გამტეხი, ამაჲ ჩვენ
დიდი სპარსელი მწერალი ნიზამი (1141/15 — 1203
/11 წ.) გვიდასტურებს.

ნიზამი თავის შესანიშნავ პოემაში: «ისკანდერ -
ნამე», რომელიც არის ალექსანდრე მაკედონელის
წარმატები ზღაპრული ამბავი, ერთ ადგილზე ამ-
ბობს:

ტყვიით სტებენ უუმაგრეს ალმასს
ანუ როგორც რუსულ თარგმანშია —

... «Свинцом разбивают крепчайший алмаз»...

ამ საკითხის გამო პროფ. ბერტელსი შენიშნავს:
«Алмазы гранили свинцовыми инструментами»...
(იხილეთ ნიზამის პოემები) ¹⁷. გვ. 525 და შენიშვნა
57.

მართო ეს ცნობა იყო საკმაო იმის გამოსარკვე-
ვად, თუ რა არის ვეფხისტყაოსანის «ქვა მაგარი»
და რა არის «გრდემლი ტყვიისა».

ამგვარად, საკითხი საბოლოოდ და საესებით გა-
მორკვეულია.

მაშ როგორ განიმარტება ეს ლექსი —

... გასტებს ქვასაცა მაგარსა გრდემლი ტყვიისა
ლბილისა...

მაგარი ქვა არის ძვირფასი ქვა, თავისი ბუნებით
უუმაგრესი, და მას ჰქვია ალმასი;

ამ მაგარ ქვას ანუ ალმასს თლიდნენ განსაკუთ-
რებული იარაღით;

მაგარი ქვის ანუ ალმასის სათლელი იარაღი იყო
გრდემლი ტყვიისა;

ტყვიის გრდემლი არის ლბილი;

ეს გრდემლი ტყვიისა ლბილისა არის მაგარი ქვის
ანუ ალმასის სათლელი იარაღი. და ამ გათლას კი
ეწოდებოდა «გატეხვა».

ამგვარი შედარება თუ ვის ეხება, ნესტანს ან თი-
ნათინს, როგორც ფიქრობდა ვანტანგ მეფე, თუ პო-
ემის გარეშე მდგომ პიროვნებას, თამარ მეფეს, —
ეს სხვა საკითხია და აქ არ განიხილება.

როგორც დავინახეთ, მაშასადამე, ვეფხისტყაოსა-
ნის ცნობილი ლექსი —

გასტებს ქვასაცა მაგარსა გრდემლი ტყვიისა
ლბილისა

ნამდვილია, თავის ადგილზეა, სწორია და გასაგები,
შესანიშნავი თავისი აზრითა და პოეტური შედარ-
ებით! იგი არავის დაუმახინჯებია! იგი არავის გა-
უყალბებია! იგი არავის შეუსწორებია! იგი არავის
დაუწუნებია და არ ამოუგდია, — რადგან ძველმა
გადამწერლებმა და მკითხველებმა კარგად იცოდ-
ნენ მისი მნიშვნელობა, რომელიც მეოცე საუკუნე-
ში «ყალბისმქმნელ მკვლევართ» არ გაეგებათ...

სიტყვა «ბროლი» ეფხისტყაოსანში ხშირად იხმარება. ეს სიტყვა არაბულად არის «ბალლაერ, ბილლაერ». ¹³² გვერდი 230. სპარსულად — «ბოლურ, ბულურ». ¹³⁴ გვერდი 136.

ებრაულ ენაზე სიტყვა «ბროლი» არის «კერაბ» ანუ ყინული, და იგი ბერძნულად ნათარგმნია სიტყვით «კრისტალ». ს. ს. ორბელიანის განმარტებით, ბროლი ბუნებით თეთრი ქვა არს და ჰიქისაგანაც შეიმზადებისო. და მართლაც, ბროლი არის კლდის კრისტალი, განწესრიგებული და ბუნებრივად მრავალ კუთხოვანი სახეობისა, რომელს ლებულობს ბევრი ნივთი სითხიდან სიმკვრივეში გადასვლისას. ბროლი ანუ კრისტალი ღლეს ძვირფას ნივთს აღარ წარმოადგენს, რადგან საქარხნო წარმოებში იგი გააიიფუა, მაგრამ ძველად მას ღიღი დაფასება ჰქონდა. ბროლი არის თეთრი ელვარე, შუქთა მფენი.

ეფხისტყაოსანში ბროლი ვამოყენებულა მხოლოდ ფერის სილამაზის დასახატავად: ნათელი, — სპეტაკი, ელვარე, გამკვირვალე.

ა. ბროლი — პირისხე

ავთანდილის შესახებ ნათქვამია —

ბროლისა ეელსა სტურფოზდეს ვიშრისა მუნ საყენია (193)

ანუ: ავთანდილის ბროლის ეელს, რაც არის თეთრი და ელვარე პირი, ამშვენებდა შავი წამწამებით (ვიშრისა საყენიო).

ტარიელის შესახებ —

ზაფრანის ფერად შეცვალა ბროლი ცრემლისა ბანამან (358)

ბროლი აქ არის ტარიელის პირი: თეთრი და ნათელი, ბრწყინვალე, რომელი მწუხარებამ ზაფრანის ფერად შეცვალა, ანუ გააყვითლაო.

როდესაც ასმათმა ტარიელს ნესტანის წერილი მიართვა, ტარიელი თავის შესახებ ამბობს —

მუნ პირი ჩემი გაბროლდა და ლაწვი გაალოლოდა (380)

სიხარულისა გამო გაყვითლებული ჩემი პირი გაბროლდა, თეთრად გამიბრწყინდა და ლოყება გამიწითლდაო.

თინათინის პირს —

... ბროლ - ვარდსა... (889)

ნესტანს გვირგვინი დაადგეს —

მუნ ვარდსა ფერი აშვენებს ბროლისა გამკვირვალისა (1187)

ავთანდილი —

ბროლსა სეტყვს და ვარდსა აზრობს, ტანსა მქვევსა ათრთოლებდა (138)

ანუ: ავთანდილის თეთრ, ელვარე პირს (ბროლს) სეტყვავს, და ამით სახის შეენება - სიწითლეს ყინვით წვევს (აზრობს), ტან მოხდენილს, მშვენიერს (მქვევს) ათრთოლებდა (ტირილის შედეგადო).

ბ. ბროლი - ბაკმი

ტარიელი, ასმათს, —

ეგონა თუ, დაბრუნდარ პირი ვარდი, ბროლი - ბაკმულა (230)

ტარიელი არის პირით ვარდი ანუ ლამაზი თავისი სიწითლეთა და შეენებით, და ბროლი-ბაკმული. ბაკმი არის მომრგვალებული (ს. ს. ორბ.) და ამით იგულისხმება სავეს მთვარე შექმენი, ეთ შეენების განსახიერება. ბროლი - ბაკმული = სავეს მთვარე სხივთა მათრკევევი, ეითარცა ბროლი.

იგივე შედარება განმეორებულია ტარიელის შესახებ —

მისი რამ მითხარ, ეინ არის ტან - სარო, პირ - ბაკმიანი (233)

გ. ბროლი — კბილი

ავთანდილის

ბაგეთათ ვარდსა ანათებს ბროლი ძოწისა ძირითა (953)

ტუჩებიდან (ბაგეთათ) ვარდსა პირს (ვარდს) ანათებს კბილი (ბროლი) წითელი (ძოწისა ძირითა) ანუ ღძილებითო.

ნესტანმა როდესაც ქაჯეთის ციხეში —

დასწერა წიგნი, მსმენელთა გასაგმირალი, ვარდი გააპის, გამოჩნდის მუნ ბროლი გამომკვირვალა (1292)

ანუ: ტუჩები (ვარდი) გააპო, გახსნა ანუ გააღიმა, და გამოჩნდა ბროლი გამომკვირვალა, ნათელ მომფენი კბილებითო.

ტარიელმა ავთანდილს —

მან უთხრა: «აგრე ნუ უბნობ, შეცევ ბროლისა ყორები (1564)

ანუ: აგრე ნუ ლაპარაკობ, დაუვარე (შეცევ) ბროლისა ყორები ანუ ელვარე კბალებით, ესე იგი გაჩუმდიო.

დ. ბროლი — ყელი

ავთანდილის ალერსი ფატმანთან ასეა აღწერილი —

ყმა უნდო გვარად ეხვეერს ყელსა ყელითა ბროლითა (1252)

ავთანდილი = ყმა უნდო გვარად, არა მონდომებით, ეხვევა ფატმანის ყელს (ფატმანის ყელი შესახებ

უბრალოდაა ნათქვამი: ყელსო! ყოველი შედარების გარეშე!) თავისი ბროლის ყელითო.

მ. ბროლი — თითები

გიშრისა ტვერსა მოჰყოცხდა ბროლისა საფოცხელია (1623)

ანუ: სქელ და ხშირ შავ თმას (გიშრის ტვერს) ფოცხავდა, სწეწავდა ბროლის საფოცხელი ესე იგი, გრძელი და ლამაზი თითებიო.

პ. ბროლი — ცრემლი

ტარაელი როდესაც პირველად იხილეს, რვი ჯდა მტირალი და —

მუნეე წვიმს წვიმა ბროლისა, ჰგია გიშრისა ღარი სად (86)

ანუ: სადაც შავი თვალები (გიშრის ღარი) აქვს (ჰგია), იქ წვიმს წვიმა (მოსდის ცრემლები) ბროლისაო, — თეთრი და ბრწყინვალე.

ბროლისა არის აგრეთვე ცვარი — აგრგვინდა ცა და ღრუბელნი ცროდეს ბროლისა ცვართა (1329)

ზ. ბროლი — მინა

ავთანდილი იყო — ჯერ უწვერული, სადარო ბროლი - მინა საცნობარისა (40)

უწვერული ავთანდილი ედარება პირით ბროლსა, ესე იგი, იგი იყო თეთრი ელვარე, და მინა, ანუ ფერადოვანი; ბროლი და მინა საცნობარი იყო ანუ ცნობილი, განთქმულიო.

ავთანდილის — ნარგისნი ქუხან, ცრემლსა წვიმს, ჩარცხის ბროლსა და მინასა (975)

ანუ: თვალნი (ნარგისნი) ქუხილს ახდენდნენ, ცრემლი წვიმასავით მოდის და ჩარცხავს ელვარე და თეთრ პირს (ბროლსა) და მინას, ფერად პირსო.

ც. ბროლი და ლალი

ვ.ტ.-ში ხშირადაა დასახელებული ბროლი და ლალი ერთად (თეთრი და წითელი) პირის ფერის წარმოსადგენად. მაგალითად, — ავთანდილი თავის შესახებ ამბობს —

ბროლი და ლალი შევიქენ მე ულურჯეს: ლილისა (399)

ნესტანის შესახებ ფატმანი ამბობს — ბროლი - ლალსა ღვარი ნარგისთა მოსდის გიშრისა ღართა (1140)

ანუ: ნესტანის თეთრ ელვარე პირზე (ბროლი) და წითელ ლოყებზე (ლალი), თვალთავან (ნარგისთა) მოსდის ცრემლთა ღვარი გიშრისა ანუ შავი თვალწამწამებითო.

თინათინს — ბროლსა და ლალსა აშვენებს მუნ ჩრდილი წარბ - წამწამისა (1507)

ძ. ბროლი — სათი — ლალი

ფატმანი ნესტანისადმი წერალში თვით წერალს ეუბნება —

დაგნატრი, მიხვალ, დაგხვდების ბროლი, სათი და ლალები (1275)

ესე იგი: შენ, წერილო, მიხვალ, და დაგნატრა, რომ დაგხვდება და ნახავ ნესტანს, რომელიც არის თეთრი ელვარე პირით (ბროლი), შავი თვალ - წარბ - წამწამებით (სათი) და წითელი ლოყებითო (ლალები). ეს სამი ფერი — თეთრი, წითელი და შავი — სილამაზის უმაღლესი გამოხატულებაა.



ბროლი ეფხისტყაოსანში ხშირადაა გამოყენებული ვით თეთრი, ელვარე, ბრწყინვალე და მოკიფე, გამჭვირვალი და ლამაზი, — აღამიანის შევენების საჩვენებელად.

ამავე მიზნით, «ბროლი» «თამარიან»-შიც არის მოხსენებული —

შენთა ბროლი - ვარდთა (V, 41)
ბროლი - ვარდობს ყელა (VII, 2)
ლაწე - ბროლი - ვარდ - შუბლად (XII, 2)
ბროლისა ველსა (XII, 11).

18. ყვითელი იაგუნდი

წითელი იაგუნდის გარდა, ეფხისტყაოსანში მოხსენებულია, პირის ფერის აღსანიშნავად, აგრეთვე ყვითელი იაგუნდი.

ტარიელი და ავთანდილი, მწუხარების შედეგად, იყენენ —

იაგუნდნი ქარვის ფერნი... (668)

ქარვის ფერი იაგუნდი, რასაკვირველია, არის ყვითელი იაგუნდი, რომელს ეწოდება ტოპაზი, ტოპაზიონი, ტბაზიონი, პაზიონი. იგი აქ მწუხარების გამოხატველია. ხოლო როგორც ნივთი ხალასი ან სუფთა ყვითელი, დიდების და უმაღლესობის ნიშანია, მეფური ფერია.

მელიქ - სურხავმა ტარიელს მიუძღვნა გვირგვინი —

იაგუნდისა ნითელისა, ყვითლისა, მეტად ხალასისა (1438)

გვირგვინი იყო მრთელი იაგუნდისა, ანუ ნამდვილი, არაყალბი იაგუნდისა, — ყვითელი, მეტად ხალასი ანუ წარჩინებული, — რაც მეფობისა და დიდებულობის გამოხატულებაა.

ყველა დანარჩენ შემთხვევაში, იაგუნდი დასახელებულია ვით ძეირფასი ქვა და ნიეთი.

ნესტანისათვის ააგეს სასახლე, სადაც —

ქვა ფაზარი სხდა, კუბო დგა იაგუნდისა, ლალისა (329)

ანუ: სახლი მოფენილი იყო ქვით «ფაზარი» ესე იგი, «ბეზოარი», და იქილგა კუბო, სატარებელად ჩასაჯდომი, რომელიც იაგუნდისა და ლალისაგან იყო გაკეთებულიო.

რა ფერისაა ეს იაგუნდი? ეს გარკვევით არ ითქმის, თუმცა ფერთა შეხამების მიხედვით, წითელ ლალთან ერთად ყვითელი იაგუნდი უნდა ყოფილიყო.

ავთანდილმა ვაზირს საჩუქრად წარუგზავნა —
სამოცი თვალი ლალ-იაგუნდი (771)...

ქაჯეთის ციხიდან წამოიღეს —

თვალი ყველაი დათლილი, იაგუნდი და ლალები (1426)

წითელ ლალთან დასახელებული იაგუნდი, ყვითელი უნდა ყოფილიყო.

ფრიდონმა —

ყველა უძღენა თეითო ფარღული, გარდასაყრელი ყელისა,

მრგვლად დათლილისა თვალისა, იაგუნდისა მრთელისა (1466)

ფრიდონის მიერ ნაჩუქარი ფარღული ანუ ოყერელიე, ყელის გარდასაყრელი, შედგენილი იყო ნამდვილი, მრთელი ანუ არა-ყალბი, და მრგვალად დათლილი იაგუნდებისაგანაო. რა ფერისა იყო ეს იაგუნდი, ამისი თქმა შეუძლებელია.

იაგუნდისა გვხვდება ნადიმზე აგრეთვე ქურქულიც —

იაგუნდისა ჯამები იყვის, ლალისა კიქები — (1551)

აქ კი წითელ ლალთან ერთად მოხსენებული იაგუნდი ყვითელი იქნებოდა.

X

ქართულ «ვისრამიან» - შიკ არის ამგვარივე გამოთქმა — «მოიღიან ჯამნი და კიქანი ფირუზისა და ლალისა»-ო.

იოვანე შავთელიც ასახელებს იაგუნდის ჯამებს: იაგუნდის ...

ჯამები იყვის,

ლალ - ფირუზისა (44, 1-3).

17. ქარვა

სიტყვა «ქარვა» არაბულ - სპარსულია.

პროფ. ეანეტაზს თავის შრომაში ძვირფას ქვა-

თა შესახებ ქარვის სახელად აქვს აღნიშნული — კარაბე. ²²⁹ გვერდი 341, ხოლო მალეკ - კარამს, თავის ფრანგულ - სპარსულ ლექსიკონში ქარვის შესატყვისად აქვს — კაპრაბა, ქაპრაეა, და თარგმნის მას ფრანგულად სიტყვით «ამბრ ეიონ». ²³⁰ გვ. 12., ხოლო ფრანგული სიტყვა «ამბრ» = ანბრ წარმომდგარია არაბულისაგან : «ანბერ». პროფ. ი. აბულაძეს ეს სიტყვა «ქარვა» ესე აქვს გაშოთქმული: «ქაპრება» (ეტი. 1914 წ.).

ცხადია, ქართული სიტყვა «ქარვა» წარმოშობილია არაბულ - სპარსულიდან. «ქარვა»-ს ბერძენი «ელექტროს» უწოდებდნენ.

ქარვა არის ნაყოფი წყწვიან მცენარეთა, ტერცული ხანიდან, (რომელი 50 წელიწადს ითვლის), ნაძვის ფისი, ზღვისა და ქაობის ქვეშ მოკეულო და გადამუშავებული. ქარვის ფერი არის საერთოდ ყვითელი, მაგრამ მოიპოვება ამას გარდა — თეთრი, თაფლის ფერი, მიხაკის ფერი, რუხი და წითელი ქარვაც. მისი ბუდობებია ოსტზე, ბალტიის ნაპირები, განსაკუთრებით, ზამლანდ (ბერნ-შტაინკუესტე). ქარვა ძველად დიდად ფასობდა, გარნა ვეფხისტყაოსანში იგი გამოყენებულია მხოლოდ ფერის აღსანიშნავად.

თინათინთან დაშორების შემდეგ, ავთანდილი ამბობს —

ბროლი და ლალი გასრულვარ ქარვისა უყვითო
ლესადრე (139)

ანუ: ბროლი (თეთრი პირისახე) და ლალი (წითელი ლოყები) ქარვაზე უფრო ყვითელი გადაქცევიანო.

ტარიელი და ავთანდილი ერთმანეთს აუტირდნენ და მათ —

ქარვად შექმნეს იაგუნდნი მათნი, თუცა ლალად ღირდეს (282)

ანუ: მათი წითელნი პირნი (იაგუნდნი მათნი), რომელნი ლალად ღირდნენ, ქარვად გადააქციეს, გააყვითლესო.

შეწუხებულმა ტარიელმა —

პირსა იცა, გაიხეთქა ლაწვი, ვარდი აიხეწა,

ლალი ქარვად გარდაიქცა: ბროლი სრულად დაილენა (659)

ანუ: პირისახეზე მუშტი იკრა, გაიხეთქა ლაწვი, ვარდი აიხეწა, ლოყები წითელი (ლალი) ქარვად გარდაიქცა და ბროლი (თეთრი პირი) სრულიად დაეღწეა-გაუფუქდაო.

მოხსენებული არიან აგრეთვე —

... იაგუნდნი ქარვის ფერნი... (668).

ამგვარად, ქარვა, ვით ყვითელი ფერის წარმომადგენელი, სწეულებისა, მწუხარებისა და პირის გამომხატველია.

ს. ს. ორბელიანის განმარტებით, «ამარტა» — მძივია ქვათაგან. ხოლო მძივი არის მრგვალად ქმნილი ილევრო (ოქრო, ვერცხლი, სპილენძი, რკინა, ტყვია, კალა და ყოველი მისთანა), განა ქვა პატიოსანი განა ქიქა გახვერტილი მკერდზე ასაცმელი. მაშასადამე, ამარტა ყოფილა მძივი ქვათაგან ან ილევროთაგან. ს. ს. ორბელიანი მიუთითებს მეორე განმარტებაზეც, რომლის მიხედვით, სახელი «ამარტა» მოქცეულია აღრალების ანუ ნახევრად - კეთილშობილ ქვათა შორის, ოღონდ აქ უკვე განმარტებული აღარაა, თუ რა არის «ამარტა».

პროფ. ი. აბულაძის განმარტებით, «ამარტა» არის ქარვა, — ოღონდ იგი სიტყვის სადაურობას არ გვაცნობებს (ვტ. 1914 წ.), ხოლო ეს «ამარტა» მას ვტ.-ის საიუბილეო გამოცემაში უკვე სრულებით მოხსენებული აღარა აქვს, თითქმის დიდად ცნობილი სიტყვა ყოფილიყოს!

მკვლევარი სარგის კაკაბაძე ამბობს, — ამარტა არაბულ - სპარსული სიტყვაა, და არყის ხის ნაყოფს ნიშნავს (ვტ. 1927 წ.). მაგრამ ეს «არყის ხის ნაყოფი» თუ რა არის, და რატომაა იგი ვტ.-ში, ამას უკვე აღარ გვიმხელს.

ვტ. - ს ინგლისურ თარგმანში სიტყვა «ამარტა» გადათარგმნილია სიტყვით «ჯესპერ», რაც არის გერმანული — იასპის, ფრანგული — ეასპ, ძველი ქართულის — იასპინი, იასპი, ეშპი და რუსული — იაშმა. ეს უქანასკნელი სიტყვა არის არაბული. ¹³² გვერდი 222. ეს არაბული «იაშმა» ფრანგ მკვლევარს, მაულლეს გადათარგმნილი აქვს სახელით — «ჟად ორიანტალ» (იქვე). ეს არის მაგარი ქვა, მომწვანო ან ზეთის ფერისა.

ეპიფანე კვიპრელს იასპინის ანუ იასპის, იაშმის შესახებ ნათქვამი აქვს — იგი არის 1) მწვანე ეით ზმური (სმარაგდ); 2) ეით ამეთვისტონი = მწვანე; 3) წითელი; ყვავილთა წითელი ფურცელის ფერი; 4) სისხლის ფერი; 5) ღვინის ფერი, ამეთვისტონის მსგავსი; 6) მგავსი ალისა და კვამლისა (იპოვების ესე საზღვართა ქართლისათა და გორგანეთს და ქვეყანასა მას კასპათსა); 7) ბრწყინვალე მწვანე, რომელს წინწყალნი აქვს; 8) პერუპს ზღვის ფერი არაბი ტიფთაში ამბობს, იასპის ანუ იაშმის ქვათა ჯგუფს ეკუთვნის: თეთრი ქვა, ლურჯი ქვა, ყვითელი ქვა, შავი წინწყლებით, ზეთის ფერი ქვა, ნაცრის ფერის ქვა და შავი ფერის ქვაო. ¹³² გვ. 227.

საერთოდ, ცნობილია, იასპის ფერის თოთხმეტი იერი.

ამარტა, რომელი ვტ. - ში მოხსენებულია, შედარების მიხედვით, უნდა იყოს ყვითელი ან მომწ-

ვანო ფერი, მაგრამ არავითარი საბუთი არ მოგვეპოვება იმის დასამტყიცებლად, თითქმის ამარტა იყოს: იასპის, ეასპ, ჯესპერ, იაშმა, იასპინ. ჯერ ერთი: არ ვიცით თვით სიტყვის რაობა და სადაურობა; და რა საბუთით ამბობენ, ამარტა ქარვა არისო, გამოურკვეველია.

მეცნიერი ბერი შალვა ვარდიძე მაცნობებს (ლი ბანიდან): სიტყვა «ამარტა» არაბულ ენაზე არააო.

ვტ.-ში სიტყვისა «ამარტა» განხილვით ერთა რამ შეიძლება დადგინდეს — ესაა მისი ფერი.

ტარიელზე ნათქვამია —

ამარტის ფერად შეცვალა ბროლი ცრემლისა ბანამან (226)

ბროლი აქ არის თეთრი, ბრწყინვალე სახე. ცრემლის ბანეთ ეს თეთრი სახე ტარიელისა შეიცვალა ამარტის ფერად. უეჭველია, თეთრი ფერი აქ ან მომწვანო, ან ყვითელ ფერს ღებულობს. რომელია იგი სახელდობრ?

ეს სიტყვა «ამარტა» ქართულ ენისამიანშიც იხმარება და შემდეგნაირად: ვისის შესახებ ნათქვამია 1) ამარტაც რომ შეეხოს მის ლაწვთ და ბაგეთ, იგი (ამარტა) წამსვე გახდება წითელი ეით იაგუნდიო (იხილე ქართული ენისამიანის ინგლისური თარგმანი, გვერდი 57); 2) ვისის ვარდის ფერი გახდა ზაფრანად, და თვალთაგან მარგალიტნი მრავლად ცვივოდნენ ამარტაზეო (იქვე გვ. 163).

ამარტის ფერი პირველ შემთხვევაში დაპირისპირებულია წითელ იაგუნდთან; მეორედ, ვარდის ფერი იქვეა ზაფრანად, — სახე უყვითლდება — ამარტის ფერ სახეზე ცრემლები ცვივიან.

აქედან უეჭველობით ირკვევა, რომ ამარტის ფერი არის ყვითელი, ეითარცა არა - ჯანმრთელი ფერის, მწუხარებისა და ვაების გამოსახულება.

ვტ.-ში ამარტა დაპირდაპირებულია ბროლთან, და ეინაიდან აქაც ცრემლთა ფრქვევა და მის შედეგად ბროლის სახის ფერის შეცვლაა, ამიტომ აქაც შეცვლა ხდება ყვითელი ფერით.

ამგვარად, ამარტა არის ყვითელი ფერი, ოღონდ გამოსარკვევია, თუ რაა ამ ყვითელი ფერის მატარებელი — არის იგი ძვირფასი ქვა თუ არყის ხის ნაყოფი, თუ სხვა რამ?

უნდა აღინიშნოს აგრეთვე, რომ სახელი «ამარტა» არ იხმარება არც ბიბლიაში, ათორმეტ ქვათა შორის, და არც ეპიფანე კვიპრელის თვალთა აღწერაში, არც არაბულ - სპარსულ ძვირფას ქვათა სახელთა შორის, რამდენადაც ვიცე. გამოარკვეულია მხოლოდ ერთი რამ: ამარტა არის ყვითელი ფერის წარმომადგენელი და, ამგვარად, მწუხარებისა და ვაების აღმნიშვნელი.

სიტყვა «გიშერი» ჩვეულებრივად განმარტებულ არის სიტყვით «შავი ქარვა». ს. ს. ორბელიანის მიხედვით, გიშერი არის სათი. — არც ერთი ეს სიტყვა მას ახსნილი არა აქვს.

ვტ.-ის ლექსიკონებში ყველგან ნათქვამია, გიშერი არის შავი ქარვაო. ამ სიტყვის სადაურობას მხოლოდ პროფ. ი. აბულაძე ეხება ქართული შაპ - ნამეს (1916 წ. ლექსიკონში და ამბობს: გიშერი სომხური სიტყვაა; გიშერ არის ღამე. და აქედან, მაშალადმე, გიშერი — შავი ქარვა.

ინგლისურად ნათარგმნ ვტ.-ში სიტყვა «გიშერი» გადმოცემულია სიტყვით «ჯეტ», იგია ფრანგული — ჯეტ, ჟე, ჟეს, და გერმანული — შვარცერ ბერნშტაინ, გაგატ, ლათინური — გაგატუს. ეს ლათინური სახელი «გაგატუს» მოდის ბერძნულსაგან — გაგატეს; და ეს სახელი ერქვა ერთ ქალაქს ლიდის დიდსა და მდიდარ სახელმწიფოში, სადაც გაგატს ამუშავებდნენ პლინიუსის დროს, პირველ საუკუნეში. ამ შავ ქვას არაბულად ეწოდება საბაჯ, სპარსულად — შაბაპ, შავაპ, — ორივე სიტყვა ნიშნავს: შავი ქვა. მისი სახელია ლათინურად აგრეთვე — ლაპის ნიგერ (ქვა შავი), ფრანგულად — ჯიეტ, ჟეს, ინგლისურად — ჯეტ, გერმანულად — გაგატ, შვარცერ ბერნშტაინ ანუ: შავი ქარვა.

არაბი ტეიფაში ამბობს: საბაჯ არის ქვა ტყვიის ბუნებისაო; ყველაზე საუკეთესოა ის, რომელი მოაქვთ ინდოეთიდანო. ეს არის ქვა მეტის - მეტად ღრმა სიშავისა, რომელში იერის შესუსტებასაც კი ვერ შეამჩნევო; ამ ქვაზე საკუთარ სახეს დაინახავ, ვით სარკეში; იგი არის ბრწყინვალე; მყარი არაა, ადვილად ტყდებოა. 132.

არაბულ ცნობათა მიხედვით, ფრანგი მკვლევარი კლემან მაულლე დაასკენის — შეუძლებელია ამჟამად არ დაეინახოთ, რომ აქ ლაპარაკია ბიტუმინურ ლიგნიტზე, რომელიც არის ჯაიეტ, ჟეს, ანუ გერმანელთა შვარცერ ბერნშტაინ ანუ გაგატიო. 132 გვერდი 205.

სიტყვა «გიშერი» ნახმარია «თამარიან»-ში —

ინ მელნის ტბებად
გოქვეს დასახებად,
გიშერსა სარსო.

დანატრებულად
(თამარიანი XII, 8)

«თამარიანი»-ს მკვლევარსა და დამბეჭდავს, პროფესორ ნ. მარსს, დართულ ლექსიკონში, თუმცა ეს სიტყვა «გიშერი» აღნიშნული აქვს ნასესხებ სიტყვათა შორის, იგი მას არ განუმარტავს და გადათარგმნილი აქვს სიტყვით «აგატ»

თუ აქ ბეჭდვითი შეცდომა არაა, მაშინ ეს თარგ-

მანი «სწორი» არაა. აგატ არის «ახატუს», ს. ს. ორბელიანის «აქატი» = «აკატი», ათორმეტ ქვათა შორის მოხსნებული მერვე ქვა (ახატუს); და ეს სიტყვა ნათარგმნია ბერძნულ და ლათინურ ბიბლიაში — ახატეს; ინგლისურ ბიბლიაში — აგატ; ფრანგულში — აგატ; გერმანულში — აგატ; რუსულში — აგატ; ქართულში — აქატე (ვამოსლევათა 28, 19). ეს აგატი არის წითელი ფერისა, თუმცა სხვა ფერისაც მოიპოვება, აგრეთვე შავი (იხილეთ აქვე, გვერდი 86, სვეტი 1), ოლონდ გიშერი არის არა აგატი, არამედ გაგატი.

ეპიფანე კვიპრელი ამბობს — აკატი უსპეტაკეს მარს იაქინთისა; იგი არის თეთრი ეთარცა სპარსის ძვალის; არის კიდევ: ლომის ფერი. ს. ს. ორბელიანიც გვაცნობებს, აკატი სამ-ოთხ გვარიაო.

X

ამგეარად, დადგენილად შეიძლება ჩაითვალოს: გიშერი არის არაბული — საბაჯ, სპარსული — შავაპ, შაბაპ, ბერძნულ-ლათინური გაგატეს, ფრანგული — ჯიეტ, ჟეს, ეჟ, ინგლისური — ჯეტ, გერმანული — შვარცერ ბერნშტაინ = გაგატ, რომელი არის შავი ქარვა.

გიშერი ვტ.-ში გამოყენებულია მხოლოდ ფერის აღსანიშნავად.

ა. გიშერი — მელანი

მწერალი ამბობს —

მელნად ეიხმარე გიშრის ტბა და კალმად მე ნაჩხელი (4)

მელნად მქონდა გიშრის ტბა ანუ შავი ტბა, ხოლო კალმად მქონდა მე, ნა ანუ ნამ, ანუ ლერწამი მერხევი, ნაზი კალამი ლერწამივითო.

ბ. გიშერი — თმა

ვტ.-ის შესავალშივეა ნათქვამი —

მეთისა მზის თამარისა ღაწე - ბადახშ - თმა გიშერისა (3)

თმა აქ არის გიშერი, ანუ ღრმა შავი და ბრწყინვალე, ხოლო ღაწენი არიან — ლალივით წითელი. თინათინის —

ბროლ - ბადახშა აშვენებდა თმა გიშერი, წარბი ტეერი (694)

თეთრ ელვარე პირს (ბროლი) და წითელ ღაწეებს (ბადახში) აშვენებდა ღრმა შავი თმა (გიშერი) და დიდი, ხშირი, სქელი ტყე (ტეერი) წარბთაო.

ნესტანი და ტარიელი მწარედ ტიროდნენ და თავსა იცემდნენ —

გიშრისა ტეერსა მოფოცხდა ბროლისა საფოცხელია (1623)

ხშირსა და დიდ ტყეს — თმას შავს მოფოცხდა ბროლის საფოცხელი ანუ თითებიო (ფოცხი — ესე

არს ხნულთ ასაოშავი თითებინი გინა ბალახით შო-
საგროკიბელი. ს. ს. ორბელიანი).

ბ. გიშერი — წამწამნი

ტარიელი ტირის —

მუნვე წვიმს წვიმა ბროლისა, ჰგია გიშრისა ლა-
რი სად (86)

თინათინს აეთანდილმა —

მოახსენა ყმაჰან: «მზეო, ვინ გიშერი აწამწამე
(134)

მზეო, თინათინ, რომელმან გიშერი წამწამებდალ გა-
დააქციეო — თინათინის წამწამნი გიშერივით შა-
ვი არიან.

ავთანდილის შესახებ ნათქვამია —

ბროლისა ეელსა სტურფობდეს გიშრისა მუნ
საყენია (193)

თეთრ სახეს (ბროლის ველს) აშვენებს გიშრისა იქ
საყენია ანუ შავი წამწამებო. (საყე — სარი).

ქირ-მონამატები ტარიელი სულთქვამს და —

სისხლისა ცრემლსა გაეწნა შუა გიშრისა სატები
(267)

ს. ს. ორბელიანის განმარტებით, სატები არის საჩრ-
დილობელი. ამგვარადვე განმარტავს ამ სიტყვას
პროფ. ი. აბულაძე; ხოლო ს. კაკაბაძე ფიქრობს, —
სატი არის არაბულ - სპარსული სიტყვა: შემაჩრე-
ბელი რამ. ორივე შემთხვევაში ლექსის განმარტება
შემდეგია: გიშრის სატები ანუ წამწამები სისხლისა
ცრემლებს შუა გაეწნა ანუ ერთმანეთზე გადაებაო.

თინათინი და ავთანდილი —

ერთგან დასხდეს, ილალობეს, საუბარი ასად
აგეს;

ბროლ - ბადახში შეხვეული და გიშერი ასად-
აგეს (137)

თინათინი და ავთანდილი ერთად (ერთგან) და-
სხდნენ; იმხიარულეს (ილალობეს); საუბარი გაამ-
რავლეს, გააასკეცეს (ასად აგეს); ბროლი და ბა-
დახში შეხვეული (რაიმე ქსოვილით) უბრალოდ გა-
ხადეს (ასადაგეს), გაამარტივეს, ანუ ერთმანეთს
აღარ ერიდებოდნენ (სიყვარულის ახსნის შემდეგო).

ბროლ - ლალსა ღვარი ნარგისთა მოხდის გიშ-
რისა ღარითა (1140)

თეთრ პირზე (ბროლი), წითელ ლოყებზე (ლა-
ლი) თვალთაგან (ნარგისთა) მოდის ღვარი ცრემლ-
თა გიშრის ღარით ანუ შავი წამწამებო (ან შავი
თვალებიდანო).

ნესტანი ტირის და —

შიგან მელნისა მორეცა ეყარის გიშრის შუბე-
ბი (1146)

თვალეში (მელნის მორევი) ეყარა შავი წამწამები
ანუ გიშრის შუბებიო. (შუბი — გრძელ - ტარიანი

ლახვარი, ხიშტი).

ქაჯეთის ერთი მოლაშქრე ნესტანის შესახებ ამ-
ბობს —

კბილთაგან შუქი შეადგა ზედან გიშრისა სარებსა
(1228)

ნესტანის კბილნი შუქს გამოსცემდნენ, და ეს შუქი
გიშრის სარებს ანუ წამწამებს შეადგა, ეფინებო-
დაო.

ავთანდილის —

მუნ ცრემლნი მისგან ნადენნი, ქვათაყა დასა-
ლბონია;

გიშრისა ტევრსა აგუბებს ეარდისა ველსა ფო-
ნია (1254)

ავთანდილის მიერ ნადენი ცრემლები ავსებს (ავგუ-
ბებს) მის გიშრის ტევრს ანუ წამწამებს, ეარდის
ფერ მის სახეს ავსებს ფონი (ჰდინარის გასავალი)
ანუ ცრემლებიო.

ავთანდილი თინათინის შესახებ ფატმანს ეუბნე-
ბა —

ჩემნი მომკვლელნი წამწამნი შეენი გიშრისა
ხენია (1261)

თინათინის წამწამნი არიან შავი გიშრის ხენი ანუ
გრძელიო.

ტარიელი მოთქვამს და —

სისხლისა ღვარმან შეღება წითლად გიშრისა
ტევრები (1336)

ხშირი და დიდი წამწამები ტარიელის თვალთაგან
მოდენილმა სისხლის ცრემლებმა წითლად შეღებაო
და სხვა.

ამგვარად, გიშერი ეტ.-ში გამოყენებულია შა-
ვი ფერის აღსანიშნავად, და მით დახასიათებულია
თმა და წარბ - წამწამები.

თეთრი პირი, წითელი ლაწვეები და შავი თმა -
წარბ - წამწამები — სილამაზის უმაღლესი გამოსა-
ხეაა.

20. სათი

რა არის სათი? ამ საკითხის შესახებ დიდი გაურ-
კვეცლობაა. თავდაპირველად, პროფ. ნ. მარჩა სი-
ტყვას «სათი» თარგმნიდა ასე — სასიამოვნო, სა-
ქებური (ოდი, გვ. 44). ხოლო შემდეგ ეს თარგმანი
თვითონვე უარჰყო და გამოაცხადა, «სათი» რაღაც
ძვირფას ქვას ნიშნავსო. იგი არ არის გიშერი, ამ-
ბობს ნ. მარჩი, ანუ აგატი როგორც მიხვედრით ეფი-
ქრობდი მეცო, არამედ იგი არის «კორალლი მობ-
ნელო წითელი, ფერისა»-ო; ამ მნიშვნელობით ამ
სიტყვას «სათი» განმარტავენ სომხურ დიდ ლექსი-
კონში: «სათი» — კორალი მობნელო, წყალში
მზრდელი; ამ სიტყვას არ შეეფერება არც სხვა გან-

მარტება, «არც შრავალ ფერი, ახუ ქრელი ფერადი ქვა», არც ქარვა (ი. აბულაძის განმარტება); სიტყვა «სათი» კი, როგორც სომხურში ისე ქართულში არის მოკვეთილი სახე ფორმისა ზესათ, რაც თავის მხრივ სრულიად კანონზომიერად შეეფერება სპარსულ სიტყვას — ბუსსად, რაც ნიშნავს — კორალს ან კიდევ კორალის ძირი. ამ სიტყვით «სათი» შე შესმოდანო, ამბობს ნ. მარტი, მოზნელო წითელი ფერის კორალლიო, როდესაც ვარჩევი ლექსს (1124, 3), სადაც წამწამნი (შუბები) სჩანს, დახატული არიან «მოზნელო წითელი», «სისხლის ფერი» ცრემლებით საესეო.

ასეთი არის პროფ. ნ. მარის ახსნა სიტყვისა «სათი». მისი აზრით, მაშასადამე, «სათი» არის «მოზნელო წითელი კორალი» (მარჯანი) — (ნე გიშერ, ილი აგატ, ა კორალლ ტემზო-კრასნოგო ცვეტა).¹⁰³ ს. ს. ორბელიანის განმარტებით, სათი არის გიშერი.

«სათი» ინგლისურად ნათარგმნია სიტყვით — «ჯეტ», ანუ გიშერი.

პროფ. რ. მეკელაინი თავის ქართულ - გერმანულ ლექსიკონში ამ სიტყვას თარგმნის — შვარცერ ბერნშტაინ, ანუ შავი ქარვა. იგი ამ სიტყვას არაბულ სიტყვად სთვლის.

პროფ. ი. აბულაძის ახსნით, «სათი» არის სომხური სიტყვა (სათ) და ნიშნავს — შავი ქარვა ანუ გიშერი. და სხვა.

ერთი უეჭველია: «სათი» არის შავი ფერის რამე. მაშასადამე, პროფ. ნ. მარტი ცდება, როცა ამბობს: «სათი» მოზნელო წითელი ფერი არისო.

პროფ. ი. აბულაძის მოაქვს ერთი ამონაწერი ვის რამიანიდან, და ამბობს, «სათის სიშაეეს ხაზს უსვამს ვისრამიანი-ო, სადაც ნათქვამია — სათსა სიშაეე არად წაეღებისო» (იხილეთ შაკ-ნამეს ქართული ვერსიები. თბილისი, 1916. გვერდი 826. ვისრამიანის გვ. 65; სტრიქონი 15).

«სათი» რომ შავი ფერისაა, ამას გვიდასტურებს მეფე ვახტანგ მეექვსე, მეცნიერი, კანონმდებელი, ვეფხისტყაოსანის პირველი დამბეჭდავი, და პოეტი; იგი ერთ თავის სატრფიალო ლექსში ამბობს —

— დაწვი ვარდად, პირი შროშნად, ტუჩებია ვასა-
ლალად,
თვალ-მელანი, წარბი — სათი, თმა სუმბულა,
კბილი სრალად¹⁴⁰.

რასაკვირველია: აქ წარბი არის შავი (სათი) და არა მოზნელო წითელი!

დიდებული ბესიკი (1749 — 1790) თავის ლექსში დედოფალ ანაზე, სხვათა შორის, ამბობს —
სათის ტბიდან ისარს ისერას
ვინ გაუვლის ახლოს ველთო?¹⁴¹.

ცხადია: სათის ტბა არის თვალები; მაშასადამე, შავი თვალები, და არა მოზნელო წითელი!

ვინაიდან ყველა საბუთი მიგვიითებს «სათი»-ს შავ ფერზე, იქნებ ვიფიქროთ, რომ იგი კორალი კი არ არის, როგორც ჰგონებდა პროფ. მარტი — მოზნელო წითელი ფერისა, არამედ სწორედ «შავი კორალი»?

ცნობილია, მეკადარი კორალი შავი ფერისაა, და ვი ფერის კორალიც. ეს ბუნებრივი შავი კორალი შავი და თეთრიც არისო. გარნა ჰეკადარი, შავი კორალის გარდა, თვით ბუნებრივადაც არსებობს შავი ფერის კორალიც. ეს ბუნებრივი შავი კორალი ხომ არ არის ეტ.-ის «სათი»? ამის შესახებ არაერთი საბუთი არა გვაქვს, გარდა იმ მოსაზრებისა, რომელი პროფ. ნ. მარტი წარმოადგინა: — «სათი» სპარსული სახელისაგან — ბასათ — არის წარმოშობილი და იგი «ტემზო - კრასნი» ფერისა არისო! ხოლო პროფ. ი. აბულაძის თქმით, «სათი» სომხური სიტყვაა და არის შავი ქარვა, გიშერიო.

აღსანიშნავია: შავ კორალს სომხურად ეწოდება არა «სათი», არამედ «უსრ», რომელ სიტყვასაც არაერთი კავშირი არა აქვს სიტყვასთან «სათი».

არაბულად და სპარსულად «კორალს» ჰქვია «მარჯანი».¹⁴² გვერდი 201.

არაბული სიტყვა «ალ - ბუსსად» ეწოდება არა თვით «კორალს», არამედ მის შტოებს, მის ძირებს. (იქვე, გვ. 202). ეს სიტყვა შესულია სპარსულში, გამოთქმით «ბუსსად», და სომხურშიც: «ბუსტ», ანუ ბუსთ.

საკითხავია: როგორ მოხდა, ამ არაბულ - სპარსულმა სიტყვამ: «ბუსსად» დაქარვა პირველი ნაწილი სიტყვისა «ბუს» და გადაიქცა სიტყვად «სად», «სათი»? ან როგორ გახდა ეს წითელი, თუ გნებავთ «მოზნელო წითელი», «შავად»!?

ჩემს შეკითხვაზე ამ სიტყვისა «სათი» შეახებ, მეცნიერი ბერი, შალვა ვარდიძე მწერს: — «სათი» ნიშნავს «გიშერს» სპარსულად და არაბულად. ეს სიტყვა იწერება ასე: «სუსად», «სუსად».

ამგვარად: სათი არის გიშერი.
ეტ.-ში სათი არა ერთჯერ იხმარება და უმთავრესად ბროლ - ბადახშ - მინასთან დაკავშირებით.

X

ავთანდილი თავის სატრფოს იგონებს, რომელს —
თვალთა გიშერი აშეენებს, სათმა რად მომკლა,
სათმანო (835)

ანუ: თინათინის თვალებს 'შავი წამწამნი ამშვენებენ; სათმა (შავმა თვალებმა) რად მომკლა, სათმანო! (გამეორებაა: შავმა თვალებმაო).

და იქვე ავთანდილი კვლავ ამბობს —
ბროლ - ბადახშისა მძებნულმან სათნი დაეკარ-

გენ, მინანი (837)

ანუ: ტარიელის ძებნაში, რომელი არის ბროლი და ბადახში, დაეკარგე თინათინი, რომელს ამკობენ სათნი (შავ-თვალ-წარბ-წამწამნი) და მინანი ესეიგი ფერადი პირიო.

როდესაც ავთანდილმა ტარიელი იპოვნა ვარდმან ფერი განანათლა, ბროლი ბროლდა, სათი სათდა (867)

ანუ: ვა:დმა, ავთანდილის პირმა (სინარულით) ფერი განანათლა, პირი გაუბრწყინდა, ბროლი უფრო გაბროლდა, და სათი ესე იგი: თვალ - წარბ - წამწამნი სიშავით ბრწყინაედენო.

ფერიდონისა და ავთანდილის — ბროლ - ბადახშა აშვენებდა ზოგან მინა, ზოგან სათი (1011)

ანუ: მათ თეთრ (ბროლი) - წითელ (ბადახში) სახეს აშვენებდა ზოგან მინა (ანუ: ფერადობა), მრავალფერობა, ზოგან სათი ესე იგი შავი თვალ - წარბ - წამწამებო. პირს ამშვენებდა მინა ანუ ფერადობა, ხოლო თვალს, წარბს და წამწამებს — სიშავე.

ავთანდილი ფატმანთან — შემოვიდა ლაწვი - ვარდი, ბროლ - ბადახში, მინა, სათი (1074)

ანუ: ავთანდილის ლაწვი არის ვარდი, ბროლი (თეთრი) და ბადახში (წითელი) პირით, საერთოდ მინა ანუ ფერადი და სათი ანუ შავი თვალ-წარბ - წამწამებითო.

ნესტანის ტირილის შესახებ ფატმანი ამბობს — მელნისა ტბათათ იღვრების საესე სათისა რუბები (1146)

ანუ: შავი თვალეზიდან (მელნისა ტბათათ) იღვრება საესე შავი (სათი) რუბებიო. ს. ს. ორბელიანის განმარტებით, რუბი არის ზროხის დიდი ტყავი, დიდი ტყვი, რუბში.

პროფ. ნ. მარის განმარტებით, რუბი არის «რუ», მცირე წყარო.

პროფ. ი. აბულაძის ახსნით, რუბი არის სპარსული «რუბა»: ჩარეჟიანი საწყაო, სასმისი.

სარგის კაკაბაძის თქმით, რუბი არის არაბული «რუბბ»: რაც ნიშნავს: «ექსტრაქტი» (!).

თუ სიტყვა «რუბი» გაუგებარია, სიტყვა «სათისა რუბები» ასე მაინც აიხსნება: — შავი თვალეზი.

ნესტანისადმი მიწერილ წერილს ფატმანი შეჰხარის და ეუბნება —

დაგნატრი, მიხვალ, დაგხედების ბროლი, სათი ლალები (1275)

ანუ: დაგხედება ნესტანი, მისა თეთრი ბრწყინვალე პირით (ბროლი), წითელი ტუჩებითა და ლოყები:თ (ლალები) და შავი თვალ - წარბ - წამწამებითო (სათი).

როდესაც ნესტანმა ქაჯეთის ციხეში ზანგისაგან ფატმანის წერილით ტარიელისა და ავთანდილის ამბავი გაიგო, განსკიფრდა, და —

ნუშნი გააპნა, შეიძრნეს სათნი გიშრისა წნელითა (1280)

ანუ: თვალეზი ფართოდ გააღო (ნუშნი გააპნა), და შეიძრნენ შავი წამწამნი (სათნი) შავი წარბებითო (გიშრისა წნელნი).

ამგვარად, სიტყვა «სათი» ვეფხისტყაოსანში გამოყენებულია თვალ - წარბ - წამწამთა სიშავის დასახატავად.



სიტყვა «სათი» დასახელებული არის ეტ.ში კიდევ ერთ ნივთი, როდესაც ზღვათა მეფე ნესტან - ტარიელს შეეგებება და მათ ქორწილს გაუმართავს — ამ შემთხვევაში აქა გვაქვს ორგვარი ლექსი: 1) უნივერსიტეტის მიერ გამოცემულ ეტ.ში —

მას მოაქვს, რიცხვი ტურფათა, არს სიდიადე სათისა (1433)

2) პროფ. ი. აბულაძის მიერ გამოცემულ ეტ.ში (1914წ.) —

მას მოაქვს რიცხვი ტურფათა, არ სიდიადე სათისა (1359)

სარგის კაკაბაძის მიერ გამოცემულ ეტ.ში — მას მოაქვს რიცხვი ტურფათა, არ სიდიადე სათისა (1431)

მელიქ - სურხავს თან მოჰქონდა (მიჰქონდა) დიდ ძალი ტურფა ანუ ოქროქსოვილი; — ამასთან დაპირისპირებულია სათი, — მაშასადამე, არა დღაად ძვირფასი ნივთი.

ვით დაპირისპირება ძვირფასისა არა - ძვირფასის წინააღმდეგ, ამ ლექსში უნდა იყოს სიმრავლე ოქროქსოვილთა ანუ ტურფათა, და სიმცირე (არ სიდიადე) არა ძვირფას ქვათა. უხადია; ის ლექსია სწორი, რომელი ამბობს —

მას მოაქვს რიცხვი ტურფათა, არ სიდიადე სათისა.

ამგვარად, ეტ.ში სიტყვა «სათი» გამოყენებულია ვით შავი ფერი, სილამაზის დასახატავად, — წარბ-წამწამთა სიშავის მაჩვენებლად.

21. თვალი თლილი

ვეფხისტყაოსანში არა ერთჯერ არის მოხსენებული თლილი ქვა, განათალი, გათლილი. მაშასადამე, ვებდავთ, ვეფხისტყაოსანის ხანაში ძვირფას ქვათა გათლა იცოდნენ.

აღნიშნულ საკითხს უფრადღება მიეაქცევა, რადგან ვიეთნი ამტკიცებენ, ძველად ძვირფას ქვათა გათლა არ იცოდნენო, და კერძოდ, აღმასის გათლა (ბრილიანტის კეთება) მხოლოდ ლუდოეიკ ბერკენმა დაიწყო პარიზში, 1456 წელსო.

ამბობენ — ბერძნებმა და რომაელებმა იცოდნენ ქვათა გათლა და ამისი ნ-მუში დღესაც არსებობს, მაგრამ მათ არ იცოდნენ ფერად ქვათა გათლაო. ამბობენ — მეცამეტე - მე 14 საუკუნემდე შესამკობად ძვირფას ქვებს ხმარობდნენ თავისი ბუნებრივი სახით, როგორც ეს ქვანი ბუნებაში მოიპოვებიანო. მაგრამ არც ერთი ეს მტკიცება სინამდვილეს არ შეესაბამება.

როგორც ამბობს პ.ოფ. ეანეტაზ, ძვირფას თვალთა თლა ხდებოდა რკინის დისკოზე ან ლეტაონის ბორბალით, ზეთით სოველი ალმასის მტვერით. — ლეტონი არის სპილენძისა, თუთიისა და ტყვიის შენაზავები. — ლალსა და ბადახშს თლიდნენ ლეტონის დაფაზე, ემერის საშუალებით (ემერი — ძვირფასი ქვა, კორუნდის ერთი სახე, ალმასის შემდეგ უმაგრესი). ქვათა გათლა უფრო ხშირად ხდებოდა ტყვიის ან ბრპენის იარაღით, ემერის შემწეობით, ან ტრიპოლის ფხენილით. ასე თლიდნენ შემდეგ ქვებს: ბიერილიონი, სმარაგდი (ზურმუხტი), ისპი, ზიტკონი, გრენატი; უფრო ნაკლებად მაგარ ქვებს — თლიდნენ აგრეთვე ტყვიის ან ბრპენის იარაღით და ემერის საშუალებით; მათ გაშვენებას და გაპრიალებას ახდენდნენ ან ტყვიის დისკოზე, ან მაგარ ხეზე ტრიპოლის ფხენილით. 129. გვერდი 144.

პტოლემეოსთა ხანის ეგვიპტეში (323 წლიდან 45 წლამდე ქრისტეს წინ) თვალთა პატიოსანთა გათლა და გამშვენება ცნობილი ხელობა იყო; ამ თვალთ არამც თუ თლიდნენ და ალამაზებდნენ, არამედ ხელოვნურად, საჭირო ფერსაც აძლევენო, ამბობს აკადემიკოსი ფრანს კაჟმონ. მთელენი, გრამოზნი ამ თვალთ აკეთებდნენ ბეჭდებად, კამეებად და სხვა; ამ თვალთა შემოზიდვა და განიდვა სახელმწიფოს ხელში იყო და მას ამით დიდა მოგება ჰქონდაო. ქალაქი ალექსანდრია იყო თვალთა პატიოსანთა ოქრომჭედლობისა და ვაჭრობის ცენტრიო. 142.

აქ აღარ გავიმეორებთ უკვე ხშირად ხსენებულ არაბი ტიფაშის ცნობებს და მკვლევარ კლემან მელლეს ნარკვევს, რომლის შესახებ წინ გვქონდა საუბარი.

ვეფხისტყაოსანი თავის მხრივ მოწამეა იმისა, რომ თვალთა გათლა და გაპრიალება ცნობილი იყო მაშინდელ ხანაშიც.

X

ვეფხისტყაოსანის შესავალშიგვა ლაპარაკი გათლილი ქვის შესახებ —

ბროლ - ბადახშისა თლილისა (5)
ცხადია, ბროლი და ბადახში აქ, ორივე გათლილია, ესე იგი, არაა ისეთი, როგორც იგი ბუნებაში არის მოცემული, არამედ არის გაწმენდილი, გამო-

წახნაგებული, გაშვენიერებული ხელოსანის ხელით —

ბროლი და ლალი გათლილი ... (954)
ამ ლექსში ბროლი კიდევ ერთჯერ გათლილად სახელდება, და პირველად გათლილ ლალზეა ლაპარაკი. თუ ეს გათლა როგორ ხდება, ამასაც ვეზბულობთ —

გახეთქა ლალი, გათლილი ანდამატისა კვერითა (1342)

მაშასადამე, ლალის გასათლელად იხმარებოდა ანდამატის კვერი, ანუ ალმასი რუხი.

როგორ თლიდნენ? —
მუნ იღვა რაყე თვალისა, ხელწმიდად განათალისა (1366),

თვალის ყველაი დათლილი, იაგუნდი და ლალები (1426)

აქ თვალთ თლიდნენ ხელწმიდად ანუ მეტად სუფთად და დიდი გაპრიალება - კამეათ.

აქ პირველად დანახელბებულია გათლილი იაგუნდი.

ფრიდონმა ნესტანს —
კვლა უძლენა თვითო ფარღული, გარდასაყრელი ყელისა,

მრგვლად დათლილისა თვალისა, იაგუნდისა მრთელისა (1466)

აქ იაგუნდი მრგვლად არის გათლილი და გაკეთებულია ფარღულად, ანუ კისერზე ჩამოსაკიდებელ მძივად.

შემდეგ, კიდევ ვხვდებით გათლილ ბადახშს —
შეყრით ძეს გორი ოქროსა და ბადახშისა თლილისა (1552)

არამც თუ მარტო სამკაულისათვის თლიდნენ ქვას, არამედ ძვირფას ქვათაგან ჭურჭელსაც კი თლიდებოდა —

ჯამი და ქიქა ყველაი ფეროზისა და ლალისა (483),

იაგუნდისა ჯამები იყვის, ლალისა ქიქები (1551),

კვლა ჭურჭელი თვალთა თლილთა ... (1658).

X

ვეფხისტყაოსანზე გაცილებით ადრეათლილ თვალთა შესახებ «აბდულ - მესია»-შია ლაპარაკი —

რაყე თვალისა
წინ ნათალისა

წყალნი მგზნებარობს
დანათვალთა (43, 1-3)

იაგუნდისა
— სხვა რად უნდისა?! —

ჯამები იყვის, ლალ-ფირუზისა.
იყვის ჭურჭერთა

სხვათ უცხო ფერთა
სიმრავლით დება
თვით ურიცხვისა (44,1).

22. თვალი მრთელი

ს. ს. ორბელიანის განმარტებით, «მრთელი» არის შეუმუსრავი, გინა უნაკლებო, გინა უსენო.

ამგვარად სიტყვა «მრთელი» ნიშნავს: 1) სალი, უტყვიარი, უსნეულო, ჯანმრთელი; 2) შეუმუსრავი, გაუტეხელი, დაუმსხვრეველი; 3) უნაკლებო, უნაკლულო, რომელს ნაკლი არა აქვს.

თუ თვალთ პატროსანთ ამ სიტყვას «მრთელი» ნაშუყენებთ, მაშინ «თვალი მრთელი» არის უნაკლულო, უნაკლებო თვალი, ანუ ნამდვილი თვალი, არა-ყალბი. აქედან, ცხადია, «თვალი» არის ნამდვილი, მართალი, და არის არა-ნამდვილი, ყალბი.

ყალბ ანუ გაყალბებულ ძვირფას თვალთა ისტორიაც ესევე ძველია, ვითარ ძველი არის ისტორია ნამდვილ ქვათა.

ძვირფას ქვათა გაყალბება ძველი ხელოსნობაა. უძველეს ეგვიპტეში და ძველ რომში აღმოჩენილია ბევრი თვალი პატროსანი, რომელი არა მრთელია, ყალბია, ოღონდ შევნიერად დამზადებულიო, გვაცნობებს მკვლევარი პროფ. ედ. ჟანეტაჟი. 29. გვ. 275 ეს ყალბი თვალნი პატროსანნი უმთავრესად ინდოეთიდან იგზავნებოდა რომის პაზარზე და ვინაიდან ყალბ თვალთა დამზადება თანდათან სრულდებოდა, ამიტომ მათი გასაღება იოლი საქმე იყო.

ამჟამად, ვეფხისტყაოსანის ხანაში ყალბი თვალნი დიდად გავრცელებული უნდა ყოფილიყვნენ, რადგან ამ შესანიშნავ რომანში განზრახ და განგებ არა ერთჯერ არის ნათქვამი, რომ ესა და ეს თვალი იყო მრთელი ანუ ნამდვილიო.

მელიქ-სურხავემა —

ტარიელს უძღვნა გვირგვინი, ვერ დანადები ფასისა,

იაგუნდისა მრთელისა, ყვითლისა, მეტად ხასისა ((1438)

აქ განგებ მითითებულია გვირგვინზე, რომლის იაგუნდი იყო მრთელი, არა-ყალბი: იყო ყვითელი, იყო მეტად ხასი ანუ წარჩინებული, გამორჩეული და შესანიშნავი თავისი სიმრთელითა და სისუფთავე - სიწმიდითა.

ფრიდონმა ნესტანს უძღვნა ფარლული, ანუ ყელსაკიდი, ანუ ყელზე გარდასაყრელი მძივი —

მრგვლად დათლილისა თვალისა, იაგუნდისა მრთელისა (1466)

ამ ლექსშიაც განზრახ აღნიშნულია იაგუნდის სომრთელე ანუ ნამდვილობა.

მაშასადამე, ირკვევა ერთი მოვლენა: — ვეფხისტყაოსანის ხანაში ყალბნი თვალნი არსებობდნენ — მრთელ თვალთან ერთად.

23. ფაზარი

ს. ს. ორბელიანის განმარტებით, ფაზარი არის ქვა, ლეიძლთა შინა ნიამორთა (კლდას თხა) უფროსად (ხშირად) გვარობს, სამკურნალოდ სახმარი; ქვათაგანცა იქმნების რომელიმე თემთა-ო.

მაშასადამე, ფაზარი ყოფილა ცხოველის ლეიძლში შექმნილი ქვა, და ამას გარდა, ზოგ ქვეყანაში ეს სახელი ქვასაც ეწოდებოდა.

ბაზირი (ბაძირი) არის სპარსული სიტყვა: «ბაკ» არის განწმენდა; «ზირ» არის მხამი; ფაზირი ნიშნავს: მხამისაგან განმწმენდელი. არაბულად ეს სიტყვა არის: ბაზირი, ბეზუპარ; და აქედან ექრობოდა ენათა ბეზოარი, ბეზოარდ; და ქართული: ფაზარი. 132. გვ. 146; 518.

ფაზარი ორგვარია: 1) მინერალური და 2) ცხოველური. პირველი მოიპოვება იბნ ომარის კუნძულზე და მოსულის მხარეში (ირაკი = ერაყი) 2) მეორე ქვა, ცხოველური, შუა საუკუნეთა მანძილზე გავრცელებული შეხედულების მიხედვით, იყო სწეულთა, უმთავრესად გიეთა მაკურნებელი. 143. და ამიტომ მას ეწოდებოდა კიდევ: «გიეთა ქვა».

ვეფხისტყაოსანში მოხსენებულია მხოლოდ მინერალი ფაზარი. — ტარიელი მოგვითხრობს ნესტანისათვისო —

მეფემან სახლი ააგო, შიგან სამყოფი ქალისა, ქვად ფაზარი სხდა, კუბო ღვა იაგუნდისა, ლალისა(329)

ანუ: იატაკად დასხმული იყო ფაზარის ქვა და კუბო, საჯდომ - სატარებელი სკამი, კი ლალისა იყო. რა ფერისაა ვტ.-ის ფაზარი აქ არა ჩანს, ხოლო ცნობილია ამ ქვის მხოლოდ ორი ფერი: ყვითელი და მწვანე. 132. გვ. 146.

IV. არა-თვალნი

1. მინა

ვეფხისტყაოსანის ლექსიკონებში სიტყვა «მინა» ნაირად არის განმარტებული. პროფ. ი. აბულაძის თქმით, მინა არის შუშა, ლურჯი ემალი, ქიქის ფურცელი.

სარგის კაკაბაძის განმარტებით, მინა არის: ერთგვარი ქვა ლიპის (!) ლაზურის-ღაგვარი, შუშა, ემალი.

უნივერსიტეტის მიერ გამოცემულ ვტ.-ში იგივე

პროფ. ი. აბულაძე იმავე სიტყვას «მინა» ასე განმარტავს: მინანქარი; თეთრი; მინა-ვარდი — თეთრ-წითელი.

«მინა» არის სპარსული სიტყვა და იგი ითარგმნება სიტყვით: «ემარა», «ემალა». 2. გვ. 89. «მინა» კარდან — ემალის კეთება. 61. გვერდი 71. და 122. გვერდი 251.

სწორედ ამგვარსავე განმარტებას გვაძლევს ს. ს. ორბელიანი: მინა არს (ქიქათა მსგავსად) ფერადი ელვარედ შემზადებული, ილექროთა ზედა მხატვრულად ქმნად შემზადებული (მხატვრულად ქმნად დადნობით)-ო.

აქ ვხედავთ იმ საგანს, რომელს ევროპელები უწოდებენ: ემაილ, ემალე, ემალ.

მინა არის წთობილი, ცეცხლში მოდუღებული და გამოტარებული შუშისა და ფერთა შერევით განსაკუთრებული ნაყოფი. ამ ხელობის სამშობლო არის აზია, საიდანაც იგი ბიზანტიაში გავრცელდა, და აქედან ევროპაში.

მინათა ისტორიაში «ქართული მინა»-ც არის ცნობილი, რომელს რვა ფერითად ამზადებდნენ, თუმცა ე. ე. დ. ალლენ ფიქრობს, ქართული მინა ბიზანტიურთან შედარებით, სავსებით დახვეწილი და სუფთა არაა, და ამიტომ უფრო უხეშიაო. 144.

ვეფხისტყაოსანში სიტყვა «მინა» (ემალა) ათჯერ იხმარება, და უმთავრესად შედარებისათვის: პირის ფერთა, პირისაზის ფერადობის, ფერთა წაირების გამოსაჩენად.

ავთანდილი ტარიელს ეუბნება —

იაგუნდი ვერცა სჯობს, ათასჯერცა მინა მინდა (299)

თუმცა ათასჯერ მინა მინდა, ესე იგი, თინათინი მისი ფერადი პირით, იაგუნდი მანცა სჯობს მას, ესე იგი, ტარიელთან სიკვდილამდე ხლება მირჩევნა — ამით ნათქვამია: 1) მინა არის პირის ფერადობა (თეთრი, წითელი, შავი); 2) იაგუნდი უძვირფასესია მინაზე; 3) ავთანდილს ტარიელი თინათინზე ძვირფასად მიაჩნია; 4) ეს არის მეგობრობის გამოცხადება და 5) მოფერებითი (არა-პირფერობითი) თქმა, თუმცა გადაჭარბებული, შეიძლება.

ნესტანის შესახებ ტარიელი ამბობს —

ვერვინ ვხედვიდით, შეიქმნა პირითა მინა-ვარდითა (331)

ნესტანის პირი იყო მინა ანუ ფერადი და ვარდის შეენებითო.

ტარიელი გვაცნობებს, ნესტანასო —

მეძნელებოდა სიშორე მის პროდ - ბადახში - მინისა (419)

ნესტანის პირი არის: თეთრი (ბროლი), წითელი და წვევით (ბადახში) და საერთოდ ფერადი (მინა).

ავთანდილის შესახებ ნათქვამია —

ქაცი ლერწამმან, ზაფრანა იმგავსოს ფერიდ მინამან (689)

როგორც ქაცი არა აქვს ლერწამს, ისე ზაფრანა, ანუ ყვითელი ფერი, ვერ მიემსგავსება ფერად მინას, სხვა და სხვა ფერის ემალსო.

ტარიელის შესახებ ავთანდილი —

იტყვის: «დაეკარგე ბროლი და სადა პრთავს ბროლსა მანები (697)

ტარიელი არის თეთრი (ბროლი), რომლის სიეთრეს (ბროლს) ეთხზება, დაეტყება მ-ნა, ანუ ფერადობა, მინებო.

ვაზირი სასახლიდან გავიდა ავთანდილის მოსანახავად და —

რა გამოვიდა ვაზირმან ძებნა, ვერ პოვა მინანი (817)

ავთანდილი არის მინანი, ანუ სახე ფერადოვანი. და ასე ყველა ლექსში. ყველგან მინა არის ფერთა სიშავლის გამოსახულება და ს-ლამაზე ფერთა.

2. ჩინის - ქვა

სიტყვა «ჩინი» ეტ.-ში მხოლოდ ერთჯერ გვხვდება, და ყველა ლექსიკონში ეს სიტყვა ასეა განმარტებული: ჩინი — ჩინეთი.

ავთანდილი ოდეს არაბეთიდან ქებას მიზრუნდა, დაპირებისამებრ იქ, ტარიელი მას არ დახვდა, და ასმით - ავთანდილის შორის ტარიელის ყოფა-ქცევის შესახებ მწარე საუბარი გაიმართა. ამ საუბარის დროს ასმითი ავთანდილს მოახსენებს —

ესე არაკი მართალი ჩინს ქვასა ზედა სწერიო: «ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერიო». (854)

სარგის კაცაბაძის მიერ გამოცემულ ეტ.-ში კი ეს ლექსი ასეთია —

ესე ამბაეი მართალი ჩინეთს ქუას ზედან სწერიო (856)

ყველა დანარჩენ ნაბეჭდ ეტ.-ში აქ არის სიტყვა «ჩინი» და არა «ჩინეთი», და უნდა იყოს სწორედ «ჩინი», რადგან ამ ლექსში საუბარია არა «ჩინეთში» არსებულ რომელიღაც ქვაზე, არამედ «ჩინის ქვა» — ზე. ჩინეთი არის ცნობილი ქვეყანა, ხოლო ამ სახელით ეტ.-ში იგი არსად მოხსენებული არაა. მაშ რა არის «ჩინი»?

X

ეტ.-ის «ჩინი» არის სპარსული «ჩინი»; ეს სიტყვა «ჩინი» ითარგმნება სიტყვით «პორსლენ» ანუ «პორცელან». 61. გვერდი 167.

ეს სპარსული სიტყვა «ჩინი», რომელი «პორცელან» - ს აღნიშნავს, არის ამასთანავე: ფაიფური; პირველი სიტყვა, რასაკვირველია, წარმოადგება სახელისაგან: «ჩინი» — «ჩინეთი»; ხოლო «ფაიფურ

რი» — ჩინეთის იმპერატორის სახელ-წოდებაა. ფახფური — ცის შვილი. ეს ჩინი და ფაიფური არის სწორედ ევროპაული სახელით — «პორცელან» და ქართული «ჩინის ქვა», , პორცელანის ქვა, რომლის მზადება პირველად გერმანიაში დაიწყეს 1709 წელს მაისენში, ხოლო ჩინეთში ამ პორცელანის დამზადება უძველეს დროში იცოდნენ და საბუთთა მიხედვით, ეს საქმე იქ უკვე მეშვიდე საუკუნეში იყო გავრცელებული.

პორცელანს ამზადებდნენ კოალანისაგან; ეს უკანასკნელი არის კალინიტი, ანუ კრისტალისებური მინერალი, მიწიანი და დაფშენილი, ზოგჯერ მკერივი, შავი ან თეთრი იერისა, რომელს სილიკატით ახურებენ და ეს კოალიტის ჩუჩრუტოიანებს სიცხეში ავსებენ, და ამიტომ ვარაყს (გლაზურს) ადვილად ღებულაბს. ამგვარად გამოშვებული მოვარაყებული აღნიშნული მასალა არის პორცელანი, ან მაგარი, ვით ქვა, ან ლბილი. ამ საშუალებით, ძველად უმთავრესად პატარა ქანდაკებებსა და ძეგლებს, სხვა და სხვა სახის სამკაულ ნივთებს და ქურქელსაც ამზადებდნენ, ხშირად რაიმე ვანსაკუთრებული წარწერიითაც.

ვტ.-ში ლაპარაკია სწორედ ამ ჩინის - ქვაზე, რომელზე ეწერა — ვინ მოყვარება არ ეძებს, იგი თავისა მტერიოა.

რასაკვირველია, ასმათი, ინდოეთის სასახლეში მყოფი, ჩინ-ქვას ანუ პორცელანს კარგად იცნობდა და იხსენებს იმ წარწერას, რომელი ამ ჩინის - ქვაზე ყოფილა გამოხატული.

ამგვარად, ვტ.-ის ჩინის - ქვა ანუ ჩინი-ქვა არის ჩინის - ქვა ანუ ჩინური ქვა, ანუ პორცელანი.

V. თვალთა რაობა

მოვიხილეთ თვალთა პატიოსანთა რაობა; თუ მათ დაეაწყობთ და განვალაგებთ, შემდეგ ზოგად სურათს მივიღებთ —

თვალთა პატიოსანთა საერთო სახელია «ჯაეარია» (ეს სახელი მარგალიტსაც ეწოდება).

ხარისხის მიხედვით: თვალთა პატიოსანთა პირველ რიგზე არიან: 1) ლალი, 2) ბადახში ანუ ბალახში, 3) აღმასი, 4) იაგუნდი საერთოდ, 5) იაგუნდი წითელი, 6) იაგუნდი ყვითელი, 7) აყიყ და 8) ზურმუხტი. მეორე რიგზეა: 1) ფერუზი, 2) ბროლი, 3) ქარვა, 4) გიშერი, 5) სათი (?!), 6) ამარტა (?!). მესამე რიგზეა: 1) ლაეეარდი, 2) ფაზარი.

ფერთა მიხედვით: თვალნი პატიოსანნი შემდეგ სურათს გვიჩვენებენ —

თეთრი

- 1) აღმასი — თეთრი ელვარე, შუქთა მფენი
- 2) ბროლი — თეთრი ბრწყინვალე

წითელი

- 1) ლალი — ვარდის ფერიდან ძოწის ფერამდე
- 2) ბადახში — მღვივე წითელი
- 3) იაგუნდი წითელი — ბრწყინვალე წითელი.
- 4) აყიყი — უმი ხორცის ფერი წითელი
- 5) ანთრაკი — მღვივე ნაქვერცხალის ფერი

მწვანე

ზურმუხტი — ბალახის ფერი მწვანე

ლურჯი

- 1) ფეროზი = ფირუზი — ცის ფერი ლურჯი
- 2) ლაეეარდი — ზღვის ფერი ლურჯი

ყვითელი

- 1) ყვითელი იაგუნდი — სუფთა ყვითელი ელვარე
- 2) ქარვა — ყვითელი, თაფლის ფერი
- 3) ამარტა — ყვითელი მქრქალი (?!)

შავი

- 1) გიშერი — მაგარი და ღრმა შავი
- 2) სათი — ღრმა შავი

რუხი

აღამანტი

ყვითელი ან მწვანე

ფაზარი

ფერადი

- 1) მინა
- 2) ჩინის ქვა

x

სახელთა მიხედვით:

- 1) ლალი ფრანგულად: რაუბი (აგრეთვე: სინელ პერსან); გერმანულად: რუბინ; ინგლისურად: რაუბი; რუსულად: რუბინ, სვეტლია რუბინ, ლალ.
- 2) ბადახში: ფრანგულად: რაუბი ბალე, სპანელ რაუბი; გერმანულად: ბალას რუბინ, რუბინ შპინელ; ინგლისურად: რაუბი ოვ ბადახშან; რუსულად: რაუბი ბალე, ლალ.
- 3) იაგუნდი წითელი: ფრანგულად: რაუბი რუჟი; გერმანულად: რუბინ; ინგლისურად: რედ ჯასინთ; რუსულად: კრასნია მიახონტ, ტომონი რუბინ.
- 4) აყიყი: ფრანგულად: კორნალინ; გერმანულად:

კარნეოლ; ინგლისურად: კორნელიან; რუსულად: სერდოლიკ.

5) ანთრაკი: ფრანგულად: ესკაბუნკლ; გერმანულად: კარფუნკელ; ინგლისურად: კარბუნკლ; რუსულად: კარბუნკელ.

იგივე ანთრაკი ზოგის აზრით არის: პიროპ; ზაგის აზრით კი: ალმანდინი.

6) ზურმუხტი: ფრანგულად: ემროდ; გერმანულად: სმარაგდ, ორიენტალიშერ სმარაგდ; ინგლისურად: ემროდ; რუსულად: იზამურედ, ვოსტოჩნი იზამურედ.

7) ფეროზი: ფრანგულად: ტურკუაზ; გერმანულად: ტურეკის; ინგლისურად: ტურეკოის; რუსულად: ბირაფუზა.

8) ლაჟვარდი: ფრანგულად: პაერ დ'აზურ; გერმანულად: ლაზურშტაინ; ინგლისურად: ლაპის ლაზული; რუსულად: ლაზურიკ.

9) ალმასი: ფრანგულად: დიამან; გერმანულად: დიამანტ; ინგლისურად: დამმენტ; რუსულად: ალმაზ.

10) ადამანტი: ალმასი რუხი.

11) ბროლი: ფრანგულად: კრისტალ დე როშ; გერმანულად: ბერგკრისტალ; ინგლისურად: კრისტალ; რუსულად: გორნი ხრუსტალ.

12) ყვითელი იაგუნდი: ფრანგულად: ტოპაზ; გერმანულად: ტოპაზ; ინგლისურად: ტოპას, ძელოუ ჯაასენტ; რუსულად: ტოპაზ, ეიჟოლტი იახონტ.

13) ჭარვა: ფრანგულად: ამბზ (ანბზ); გერმანულად: ბერნშტაინ; ინგლისურად: ამბერ; რუსულად: იმანტარ.

14) აშარტა: დღემდე აღიარებული განმარტების მიხედვით (რომელი დამტკიცებულად არ მიიჩნევა), აშარტა არის: ფრანგულად: ეასპ; გერმანულად: იასპის; ინგლისურად: ჯასპერ; რუსულად: იაშმა.

15) გიშერი: ფრანგულად: ეეტ, ეე; გერმანულად: შეარკერ ბერნშტაინ, გაგატ; ინგლისურად: ჯეტ; რუსულად: გაგატ.

16) ხათი (სპარსულ - არაბული სიტყვა) არის იგივე გიშერი.

17) ფაზარი: ბეზოარ, ბეცოარდ.

ამათ გარდა:

1) შინა არის ემალ, ემაიდ

2) ჩინის - ქვა ანუ ჩინური ქვა, პორცელან

X

სიმუარე - სიმაგრის მიხედვით:

ალმასი — 10

ლალი — 9

ბადახში — 8

იაგუნდი წითელი — 8

იაგუნდი ყვითელი — 8

ზურმუხტი — 7½ - 8

აყიყი — 7

ბროლი — 7

ამარტა — 7

ალმანდინ — 6½ - 7½

ფეროზი — 6

X

განსაკუთრებული წონის მიხედვით: (პუა სპესი-ფიკ):

ალმანდინი — 4,1

ალმასი — 3,5

ლალი — 4

ბადახში — 4

იაგუნდი — 3,5

ფეროზი — 2,7

ზურმუხტი — 2,7

აყიყი — 2,7

ბროლი — 2,7

ამარტა — 2,7

X

სხივთა გადატების მიხედვით:

ალმასი 2,42

ალმანდინ — 1,70 — 1,94

ლალი და ბადახში 1,76

იაგუნდი — 1,63 — 1,64

ზურმუხტი — 1,58

აყიყი — 1,55

ბროლი — 1,55

ამარტა — 1,55—

ფეროზი

X

კარატის მიხედვით:

ევროპიულ ენათა სიტყვა «კარატი» არის არაბული, წარმომდგარი ბერძნულიდან: «კარატიონ». ს. ს. ოზბელიანს ეს სიტყვა ნახმარი აქვს გამოთქმით — «კერატი», და მას ასე განმარტაეს: ოთხი ქრთლის მარცვალი ერთი კერატიო. (ქრთლი არის შემოდგომაზე ნათესი ქერი), ხოლო ევროპიულ ენციკლოპედიათა მიხედვით, კარატი არის მხოლოდ ერთი მარცვალი.

დერ გროსე ბროკჰაუზ-ში¹¹⁶. კარატის შესახებ სწერია: — ალბათ იგი არის იოჰანისბროტბაუმეს (სერატონია სილიკა) მარცვალიო; სილიკა გრავეკა. ეს გერმანული სიტყვა: იოჰანისბროტბაუმ, პროფ. რ. მეკელაინს ქართულად ასე აქვს გადათარგმნილი: კერატი, რქა, ენდრო ზეარტკლა.

კარატი იყო ძვირფას ქვათათვის წონის ერთეული ძველად; ხოლო მეტრული სისტემის შემოღების შემდეგ, ეს ერთეული დადგინდა მტკიცე წონით,

ქარატი უდრის: 0,205 გრამს, და ეს წონითი ერთეული მიღებულია მრავალ სახელმწიფოში (არა ყველგან); ჩვეულებრივ საუბარში ქარატს აღნიშნავენ 20 სენტეგრამით.

ვეფხისტყაოსანში სიტყვა «ქარატი» არ მოიპოვება, მაგრამ იქ არის საუბარი თვალთა სიდიდეს შესახებ: დიდ - დიდნი, დიდროანი, რიყესავეთ დაყრილნი... ყველა ეს გამოთქმა თვალთა სიდიდება და სიმძიმეს აღნიშნავს, გარნა არა გარკვევითა და ქარატით.

X

ფასის მიხედვით:

ძველად პირველ ადგილზე, ფასის მიხედვით, ლალი და ბადახში იყო, ხოლო აღმასი ნაკლებ დირდა; ამითაც აიხსნება ის მოვლენა, რომ ეტ.-ში აღმასი ხშირად არაა დასახელებული; მისი ადგილი პოეტურ შედარებათათვის ბროლს უჭირავს. —

ჩვენს დროში კი აღმასს პირველი ადგილი უყოლობელად დაკუთვნებული აქვს.

თვალთა პატიოსანთა ფასი ყოველთვის მერყევი იყო და არის დღესაც; ამიტომ მეცნიერნი თვალთა პატიოსანთა ფასს მხოლოდ ვარაუდით ანგარიშობენ.

X

თვალთა მნიშვნელობის მიხედვით:

როგორც ვნახეთ, ვეფხისტყაოსანში: ძვირფასნი ქვანი ანუ თვალნი პატიოსანნი გამოყენებული არიან უმთავრესად მხატვრული მიზნით. ეს მხატვრული მიზანია: ფერთა ჩვენება და ამ ფერთა ჩვენების საშუალებით სილამაზის დახატვა.

თვალთა პატიოსანთა სიმრავლე და მათი მოხმარება ეტ.-ის საზოგადოების შევნიშნებით შეგრძნობაზე და მაღალი გემოვნების დონეზე მიგვიითითებს.

თვალთა პატიოსანთა ფერებას საშუალებით სილამაზის გამოხატვის გარდა, ვეფხისტყაოსანის ძვირფასნი ქვანი ეტ.-ის საზოგადოების სიმდიდრესა და ცხოვრების დიდ კეთილყოფას გვისურათებს.

VI. მარგალიტნი

1. მარგალიტის ამავეი

სიტყვა «მარგალიტი» ბერძნულია (მარგარატეს), და თუმცა სპარსულ ენაში მარგალიტის სახელი არსებობს (გავაპარ, გოვპარ, გუპარ, გუარ), იქ მაინც ეს ბერძნული სახელიც არის დამკვიდრებული: «მურვარიდი», ¹⁰² და «მორვარიდი» ¹⁰⁸. ამას გარდა, სიდიდის, წყლიანობის ან დროის მიხედვით, მარგალიტს სხვა და სხვა სახელი აქვს: დურა, (არაბული — დარ), კურათ, თურ და სხ.

მარგალიტი ძველად უძვირფასეს ნივთად ითვლებოდა და თვალთა პატიოსანზე ძალდაც კი იდგა.

მარგალიტის წარმოშობის შესახებ უწინ ზღაპრული წარმოდგენა ჰქონდათ და იგი, ინდოეთიდან გაერთელებული, თითქმის მეცხრამეტე საუკუნემდე ბატონობდა.

ინდოთა რწმენით, მარგალიტი იყო ნამის ანუ ცეარის წვეთი: ზღვის ლოკოკინა თუ თავის ტყავ - კეცს გახსნიდა, «პირს დააფრენდა», შიგ ცეარი ჩაუვარდებოდა და იქ, მზის გავლენით, მარგალიტი ჩნდებოდა, — სჯეროდათ ასე. ეს ცნობა ლათინ ბუნებისმეტყველ პლინიუსსაც მიწვდა (23 — 79 ქრისტეს წინ) და მან იგი აღნიშნა; ამავე ცნობას არაბი მწერალნი არა ერთჯერ იხსენიებენ, და იგი პოეტურადაც იყო გამოყენებული.

დიდი სპარსელი მგოსანი ნიზამი (1141 — 1203/11 წ.) დარწმუნებული იყო, მარგალიტი ზღვას ლოკოკინის ბუდეში ჩაეარდნილი წვიმის წვეთისაგან ჩნდებოდა, და თავის პოემაში: «ხოსროვ და შირინ» ამბობს —

მიდამოთ, სილამაზეს ანიკებს მისი ტანი, ვით სადაფს აძლევს მარგალიტს ზანდახან ნეისანი...

ნეისანი ანუ ნისანი არის აპრილის თვის სახელი სირიულ-კალენდარში. ნიზამი ამ ლექსით ამბობს: — გზაფხულის (აპრილის) წვიმა, ოდეს სადაფში ჩაეარდებოდა, მასში მარგალიტი-ჩნდებოდა.

იგივე შედარება უფრო გარკვევით გამოთქმულია ნიზამის მეორე პოემაში: «ისკანდერ ნამე» — მოსულმა წერმამ მარგალიტის ბუდეს ნაყოფი მისცა. ⁹⁷ გვერდი 158, 478; შენიშვნა 658.

მაჰმუდ - ი - შაბისტარი (მეცამეტე საუკუნის შუა) თავის პოემაში «იდუმალ ვარდთა წალკოტი», ამავე შეხედულებას იზიარებს, და მასაც ჰქონია, სადაფში ჩაეარდნილი წვიმის წვეთისაგან ჩნდება მარგალიტიო. ¹⁴⁵

სულხან საბა ორბელიანიც ამბობს თავის შესანიშნავ ლექსიკონში, (რომელი მან 1720 წელს დაასრულა) —

ხარყანჩო არს ცეარი წვიმისანი, რომელსა მიიღებს სადაფი და იცვლება (ხდება) მარგალიტადო.

იგივე შეხედულება (თუმცა ორ-აზროვანი, სქესობრივი მნიშვნელობითაც), გამოთქმული აქვს (მე-17 საუკუნეში) ნოდარ ციციშვილსაც, თავის «ბარამ - გურთან»ში —

იტვირნთა ცეარნი ობოლნი სადაფთა კარმან ლიამან (შაირი 1353)

X

მეჩვიდმეტე საუკუნის ევროპაში უკვე ფიქრობდნენ, მარგალიტი-ლოკოკინის კვერცხიაო; ხოლო მერმე გამოირკვა ნამდვილი, სულ სხვაგვარი ამავეი:

მარგალიტი ჩნდება ლოკოკინის სნეულების შედეგად. ამ სნეულებას იწვევს, გარეშე საგანი, თუ მას კეტყაეში რაიმე ერთი ცახე შეეპარა, ან ჩაუეარდა —, ამ დროს, ამ საგანის გასაძეებელად, იგი განსაკუთრებულ წვენს ამზადებს და უშვებს, რომლისაგანაც მარგალიტი ჩნდება.

ძველად, მარგალიტის სამშობლო იყო მეწამულის ზღვა; შემდეგ სპარსეთის ყურე, ინდოეთის ზღვა და სეილონის სანაპირონი; სპარსეთის ყურე დღესაც დიდად მნიშვნელოვანია მარგალიტის მოპოვების საქმეში.

X

მარგალიტის შეენება და ძვირფასობა დამოკიდებულია მის: სიდიდე, მოყვანილობა - თვალადობა, ს-გლუვე (უხორკლობა), გამკვირეალობა - ბრწყინვალება - წმიდა წყალზე. განსაკუთრებით ძვირფასაა იშვიათი ბრწყინვალე მარგალიტი, რომლითაც სპარსეთის ზღვის ყურე და ინდოეთის ზღვაა განთქმული.

მოყვანილობის მხრივ: არსებობს მარგალიტი — მრგვალი, წოწლოკინა, ცრემლის მსგავსი, რომელს ჰქვია ელიპსოიდი მარგალიტი, ტყუბი მარგალიტი და სხვა.

სიდიდის მხრივ: მარგალიტის ოდენობა ქანაობს ყაყაზოს თესლსა და მუხუნდოს შუა; იშვიათია მარგალიტი, რომელი ბალს ან ტრედის კვერცხს უდრიდეს, მაგრამ ასეთი მაინც არსებობს.

ფერის მხრივ, მარგალიტი სხვა და სხვა ფერისა: თეთრი ბრწყინვალე, ალუბალის ფერი, იის ფერი, მწვანე, ყვითელი, ვარდის ფერი, მიხაკის ფერი, მოშავო, ტრედის ფერი, მოლურჯო თეთრი და სხ.

ცნობილია წითელი მარგალიტი რომელი იშვიათად მოიპოვება. ამგვარ მარგალიტს ამზადებს ლოკოკინა, რომელს ეწოდება: სტრობუს. მისი ფერია ნაზი ვარდის ფერი წითელი, მას აქვს აპრეშუმით ბრწყინვალე პირი.

ამას გარდა მოიპოვება ძალიან წითელი, ღრმა წითელი მარგალიტი.

ჩვენს დროში ძვირად ფასობს ტრედის ფერი, რუხი მარგალიტი, რომელსაც ამზადებს «მელაგრანა», და მოლურჯო - თეთრი მარგალიტი მდინარის ლოკოკინისა, სახელით «მარგალიტანა».

ყველაზე უფრო ძვირფასია, ეგრედ წოდებული ელვარე მარგალიტი, გერმანულად — გლანცბერლე. ინდოეთში და არაბეთში ყვითელ - წყალის მარგალიტს უპირატესობას ანიჭებენ, ხოლო ევროპაში თეთრ - წყალის მარგალიტი ურჩევენათ. ¹⁴⁶

X

ფინიკიელ ვაჭრებს, ძველს დროში, მარგალიტი მამოპქონდათ მთელს დასავლეთ აზიაში. რომმა მარგალიტი მოიპოვა აზიაში ომების დროს. პომპეიუსმა (106 — 48 წ.), როდესაც მან სირია - პონტო დაიპყრო, ხელთ იგდო აურაცხელი მარგალიტი, რომელი მან იუპიტერ კაპიტოლიას შესწირა.

ეგვიპტის დაპყრობის შემდეგ მარგალიტთა რიცხვი რომში ძალზე გაიზარდა. მარკუს ბრუტუსის დედამ იულიუს კეისარისგან საჩუქრად მიიღო მარგალიტთა მძივი, რომელი ექვსი მლიონი სისტერცე ღარდა (მილიონ ორასი ათასი ოქროს ფრანკი); ხოლო ლოლლია პაულანას, იმპერატორ კალიგულას მეუღლეს, რვა მლიონ ოქროს ფრანკზე მკეტი მარგალიტთა სამკაულები ჰქონდა.

განთქმული იყო ეგვიპტის უკანასკნელი დედოფლის, კლეოპატრას (60 — 30 წ. ქრ. წინ) ორი მარგალიტი, რომელთაგან ერთი მან დაახლო მძარში და გადაყლაპა, რათა თავისი დაუდევნელობა სიმდიდრისადმი ეჩვენებინა (ასეთია გადმოცემა), ხოლო მეორე კი, ხელთ ჩაუეარდა რომის იმპერატორ სექტიმიუს სევერუსს (146 — 211), რომელმა იგი ორად გაპყო და პანთეონში ვენუსის ქანდაკებას საყურედ დაჰკიდა.

მარგალიტთა სამკაულებს მოწონება და გატაცება ჰქონდა არა მარტო ინდოეთ - სპარსეთში, არამედ ყველგან: რაჯანი, შაჰნი, სულთანნი, იმპერატორნი, მეფენი და საერთოდ დიდკაცი და მდიდარნი მარგალიტს ეძებდნენ და იძენდნენ, რამეთუ მარგალიტი იყო არა მარტო სილამაზის, არამედ სიმდიდრის გამომხატველიც.

მარგალიტი არის სილამაზის სიმბოლო.

მარგალიტი არის ქალწულობის სიმბოლო.

მარგალიტი არის შეუღლების სიმბოლო.

X

პროფ. ივანე ჯავახიშვილის ცნობით, ქართულ მწერლობაში მარგალიტი იხსენიება უკვე მეექვსე მეშვიდე საუკუნის ხელნაწერში. ¹¹⁷ და ეს არც გასაკვირია, რადგან მარგალიტის სამშობლო — სპარსეთი საქართველოსთან (იბერია) მკიდრო ურთიერთობაში იმყოფებოდა.

«ქართლის ცხოვრება»-ის მიხედვით, მეთერთმეტე - მე-12 საუკ. საქართველოში მარგალიტი დიდძალი შეიძინებოდა, განსაკუთრებით ლაშქრობათა შედეგად. ამ მარგალიტთა შორის საუკეთესოდ ითვლებოდა: თეთრი, ელვარე მარგალიტი, რომლის შესახებ ვეფხისტყაოსანში ხშირადაა საუბარი.

2. მარგალიტი — სამკაული

ტარიელი, როდესაც მდინარის პირას მტირალი ნახეს, მას —

შავი ცხენი სადავითა ჰყვა ლომსა და ვითა გმირსა,

ხშირად ესხა მარგალიტი ლაგამ-აბჯარ-უნაგირსა (84)

მარგალიტი ძვირფასია, და შესაძენი, ან ოპით, ან ყიდვით, და ავთანდილი ამბობს —

მარგალიტი არვის მიჰხედეს უსასყიდლოდ, უვა კრელად (162)

თინათინის სამკლაურე მარგალიტისა იყო, რო-მელი მან ავთანდილს მიუძღვნა —

ქალმან მისცა მარგალიტი, სრულ ქმნა მისი სა-წადელი (710)

და როცა ავთანდილი შინ მიბრუნდა —

მან მარგალიტი მოიხენა მის მზისა სამეყვისონი, მის მზისა მკლავესა ნაბამნი, მათ კბილთა შესა-ტყისონი (719)

ანუ: ავთანდილმა მარგალიტი, შივი მარგალიტთა მოიტანა (მოიხენა), გამოიღო მის მზისა (თინათინისა) სამეყვისონი. სიტყვა «სამეყვისონი» სარგის კაკაბაძეს სრულებით არა აქვს აღნიშნული, თათქო იგი აღვილად გასაგები იყო; ხოლო პროფ. იუსტ. აბულაძე მას ასე გვიხსნის: ნაკუთენები, ნაქონები. ეს განმარტება სწორი არაა, თუმცა აზრით წინადა-დებას უდგება: მარგალიტი, თინათინის ნაქონები, ნაკუთენებიო.

სიტყვა «სამეყვისო» წარმომდგარია სიტყვისაგან: «მეყვისი», რომელი თავის მხრივ წარმოშობილია სიტყვისაგან «ყვასება», ხოლო «ყვასება» არის «ყვარება»; (აქედან არის სიტყვა: «მოყვასი»). ამგვარად, მეყვისი არის საყვარელი, ახლობელი, ნათესავი, მოყვასი. «სამეყვისო» — საყვარელი; «სამეყვისონი» — საყვარელნი. ¹⁴⁸

ეს სიტყვა ნახმარი აქვს იოვანე შაეთელს —

არ თუ მეყვისსა (აბდულ მესია, 32,1).

მაშასადამე, ავთანდილმა გამოიღო მარგალიტნი, მის მზის ანუ თინათინის საყვარელნიო, მის მზის მკლავესა ნაბამნი, მათ (თინათინის) კბილთა შესატყვისი მათი ელვარებითო.

დედთა საქურქლეში ტარიელმა და ავთანდილმა ნახეს ისეთი, რომელი —

ჩნდის მარგალიტი ოდენი ბურთისა საბურთალისა (1366)

მარგალიტი ისეთი დიდი იყო, რომ საბურთალო ბურთის, ანუ პოლოს ბურთის ოდენად მოჩანდაო. (ამის შესახებ იხილეთ: «ზნენი სამამაცონი»).

ასეთივე შედარება აქვს იოანე შაეთელსაც (მე-11 საუკუნე) თავის აბდულ - მესია-ში —

სჩანს მარგალიტი...

ოდენ ბურთისა

საბურთალისა (43,3)

ქაჯეთის სამეფოში ალბათ დიდი საქურქლე იქნებოდა, ოღონდ არც იმდენი, რომ სამი ათას ჯორსა და აქლემზე აეკიდათ —

მოკრიფეს ჯორი, აქლემი, რაცა ვით ნახეს ვა-ლები,

სამი ათასსა აჰკიდეს მარგალიტი და თვალები (1426)

თვალნი და მარგალიტნი აქ გამოყენებული არიან დიდი სიმდიდრის საჩვენებლად .

ამ ლექსის ჩვეულებრივი განმარტებაა, და ასევეა ნათარგმნი ინგლისურადაც: შეაგროვეს ჯორი, აქლემი, რაც ვით პოვეს ჩქარნი, მალეზიო, ესე იგი: სწარაფად მოსიარულე ჯორ - აქლემებიო. — ეს განმარტება სწორი არ არის.

ინგლისელ მთარგმნელს, მარჯორი უორდროპს შენიშვნაში ნათქვამი აქვს: მალი (არაბულია) და ნიშნავს აგრეთვე: ფულით გადასახადი, ხარკი; შენობის წინასახე. (იხილეთ შაირი 1402, შენიშვნა 4).

ეს შენიშვნა სწორია. ოღონდ იგი ვტ.-ის «მალე-ბი»-ს არ უდგება.

მარჯორი უორდროპის განმარტება ს. ს. ორბელიანს მოეპოვება: მალი — ხარკი მწვალებელთა; მალი — ერთი მხარე სართულისა.

სარგის კაკაბაძეს, რომელმაც ვტ.-ის ლექსიკონი შეუფერებელი და გამოუსადეგარი სპარსულ - არაბული სიტყვებით გასტენა, ეს სიტყვა «მალი» სრულებით აღნიშნული არა აქვს და ამ ლექსისათვის ამბობს: «მალობა» — სიჩქარე»-ო!

არც სხვა ლექსიკონშია ეს სიტყვა «მალი» განმარტებული, თუმცა იგი ახსნას საქიროებს.

ისლამის კანონმდებლობაში «მალი» არის ნივთი, რომელი ქონებას წარმოადგენს და მისი გაყიდვა ყიდვა შეიძლება. ¹⁴⁹

სიტყვა «მალა» არაბულად და სპარსულად ნიშნავს: განძი (აგრეთვე სპარსული სიტყვა), ხაზინა (აგრეთვე სპარსული სიტყვა), ძვირფასეული საქონელი, ქურქელი (ძველი მნიშვნელობით), — ფრანგულად: «ტრეზორ», რუსულად: «სოკროვიშჩუ». ¹⁴⁸ გვერდი 214 და ¹⁰⁸ გვ. 572.

ამგვარად, ამ ლექსის განმარტება ასეთია: მოჰკრიფეს ჯორი, აქლემი; მოჰკრიფეს საცა რაც პოვეს მალეზი ანუ განძეულობანი; და სამი ათასს ჯორსა და აქლემს აჰკიდეს ეს მალეზი ანუ მარგალიტი და თვალებიო. ამიტომ ეს ლექსი ასე უნდა იწერებოდეს —

მოკრიფეს ჯორი, აქლემი; რაცა ვით პოვეს მალეზი; სამი ათასსა აჰკიდეს მარგალიტი და თვალები...

ეს «მალეზი» აქ არის: დიდი განძი: მარგალიტი და თვალები.

3. მარგალიტი — ძღვენი

ძღვენი ანუ ბოძება, დასაჩუქრება ეეფხისტყაოსანის საზოგადოებაში დამყარებულია იმ დებულებაზე, რომელს მაღალი წოდება იზიარებს და რომლითაც იგი ხელმძღვანელობს —

რასაცა ვასცემ — შენია, რას არა — დაკარგულია (50)

მაგრამ ამას გარდა, არის დასაჩუქრება მადლობის გამოცხადებითაც.

გამარჯებულ აეთანდილს ვაქარნი —

მას მარგალიტსა, მას ყმასა კბილთავე ფერსა, სძღენიდიან (1060)

მეფე სურხავისათვის ვაქართ - უხუცესმა —

უსენ ტაბაკსა დააწყო მარგალიტი და ლალები (1164)

და ეს მარგალიტი არის დიდროვანი და ლალიც ძვირფასი; ამიტომ მას ეკითხება —

ღია მიკვირს, საძღვნოდ ჩვენდა სით მოიღებ ამა თვალსა,

მარგალიტსა დიდროანსა, უსახოსა ჰპოვებ ლალსა (1167)

უსახო ლალი — უმაგალითო, მისი სახის მსგავსი რომ არ არსებობს.

ფატმანი ნესტანს ასაჩუქრებს —

თვალ - მარგალიტი ავიღე, რაც ოდენ ავიღებოდა,

თვითო და თვითო თვითოსა ქალაქსა ეფასებოდა (1177)

ანუ: ავიღე რამდენიც ხელებში ჩამეტია და თითო თვალი, თითო მარგალიტი თითო ქალაქის ფასისა იყო.

ნესტანმა ამ ნაჩუქარი თვალ - მარგალიტით სურხავის სასახლედან თავი დაიხსნა; მით მან მცველნი დაასაჩუქრა —

შემოიხსნა მარგალიტი, შემოერტყა რაცა თვალი (1195)

ფრიდონმა ნესტან-ტარიელს მიუძღვნა —

ცხრა მარგალიტი სიდიდით მართ ვითა კვერცხი ბატისა (1465)

და კიდევ —

იგი ტაბაკი სავსეა მარგალიტითა სხვილითა (1467)

რასაკვირველია, ბატის კვერცხის ოდენა მარგალიტი არ არსებობს — ეს მხოლოდ პოეტური გამოთქმაა ძვირფასობისა და იშვიათობის საჩვენებლად, თუმცა არსებობს ტრედის კვერცხის ოდენა მარგალიტი.

არაბთა მეფემ ნესტან - ტარიელს უძღვნა —

კვლა მარგალიტი ათასი, მართ ვითა კვერცხი

ტრედისა (1559)

ფრიდონს უძღვნა ცხრა ტაბაკი მარგალიტი თაუ-შედგმული (1559)

ინდოეთში, ნადიმის დროს —

ოქრო, თვალი, მარგალიტი, შევნიერი სანახა-

ვალ,

ყოვლან იდეის ვითა გორა, მოდის ველთა მო-

სარწყავად,

ეისცა სწადლის, ალაფობდას, წააღიან უკითხავად (1644)

ხოლო აეთანდილ - ფრიდონის სპათა წვეერებს,

ტარიელმა —

თვითოს კაცსა თვითო ჯორა, მარგალიტი ანაკილი,

ესე მისცა საბოძვარი, სხეას ვეელასა ვერ დაე-

სთელიდი ((1645)

ყველა ეს გადაჭარბება სიმბოლოა სიმდიდრისა; იგია მაჩვენებელი ეტ.-ის საზოგადოების კეთილყოფისა და ფუფუნებისა, — მისი ესთეტიური განუთარების ნიშანიც.

4. მარგალიტი — სიტყვა

აღმოსავლურ მწერლობაში ლამაზი სიტყვა, შევნიერი ლექსი მარგალიტად იწოდებოდა და ასევე ეეფხისტყაოსანშიც —

აქამდის ამბად ნათქვამი, აწ მარგალიტი წყობილი (7)

ნათქვამია ეტ.-ის ლექსის შესახებ. და შემდეგ —

ესე ამბაეი სპარსული, ქართულად ნათარგმანები,

ვით მარგალიტი ობოლი; ხელის-ხელ საგოგმანები,

ვპოვე და ლექსად გარდაეთქვი, საქმე ვქმენ საჯოკმანეზი (9)

ამ ლექსში ამბაეი ანუ მოთხრობა დასახული არის ვით მარგალიტი ობოლი, ანუ მეტად იშვიათი, ხელიდან ხელში საგოგმანები, (გოგმანი არის სანდომი ჩქარი როკვა ანუ ცეკვა. ს. ს. ორბ.), ანუ საროკველი, სათამაშებელი; იგი სპარსულია და ქართულად ნათარგმანებია ჩემ მიერ; ვპოვე ეს ამბაეი და ლექსად გადავაკეთე, საქმე ვქმენ საჯოკმანეზი ანუ ძნელი და საეკეთო.

აი ეს შევნიერი და «უბედური» ლექსი გახდა იმ საბუთად, რომელმაც ქართულ მეცნიერებაში ალაპოთი გამოიწვია. ქართველმა შკვლევეარებმა ეს ლექსი სიტყვა - სიტყვით გაიგეს და გამოაცხადეს: ეტ.-ნი სპარსულიდან ნათარგმნაა, ამას თვითონ რუსთაველი ამბობს!

მკვლევართ დაავიწყდათ მხოლოდ ერთი ამბაეი: ძველად ავტორი ხშირად თავის ნაწარმოებს სხვას

მიაწერდა (დიდ კაცს), ან სხვა ენიდან ნათარგმნად ასალებდა. არამც თუ ძველად, არამედ მეთვრამეტე საუკუნეშიც, დიდებული გოეთეს პირველი ნაწარმოები შედგევი სათაურით დაიბეჭდა 1773 წელს — BRIEFE DES PASTORS ZU XXX AN DEN NEUEN PASTOR ZU XXX. AUS DEM FRANZÖSISCHEN.

ანუ: წერილი პასტორისა (მღვდელისა) ამა და ამ ადგილიდან ახალ პასტორს ამა და ამ ადგილზე. ზრანგულიდან. (იგულისხმება ნათარგმნით). (ამის შესახებ იხილეთ: «ვეტ.-ის მსოფლმხედველობა»).

5. მარგალიტი — ცრემლი

ცრემლი თავისი სახითა, სიწმიდითა და ელვარებით მარგალიტს ემსგავსება.

ავთანდილი, თინათინთან დაშორების შემდეგ — ცრემლსა, ვითა მარგალიტსა, ჰყრის ვარდისა დასანაზოდ (141)

ანუ: ვარდის ფერ პირს ცრემლნი ვითარცა მარგალიტნი, ანაზებენო.

როდესაც შერმადინმა ავთანდილისაგან წასვლის შესახებ ამბავი მოისმინა, იგი ქალიან შეწუხდა — თვალთა, ვითა მარგალიტი, ცრემლი ცხელი გარდმოჰყარა (160)

ფრიდონმა როდესაც პირველ ტარიელის გაუბედურების ამბავი შეიტყო —

თვალთა, ვითა მარგალიტი, ცრემლი ცხელი გარდმოთოვა (630)

აქ ერთი მხრივ, ცრემლი ცხელია, და მეორე მხრივ კი: გარდმოთოვაო. სიტყვა «გარდმოთოვა» ნახმარია, რასაკვირველია, მრავლობის, ხშირობის აღსანიშნავად.

ნესტანმა ფატმანისას — თვალთათ, ვითა მარგალიტი, გარდმოყარა ცრემლი ხშირი (1176)

მარგალიტი - ცრემლი მწუხარების ნიშანია.

6. მარგალიტი -- კბილი

ეტ.-ში მარგალიტი კბილს ედარება და წინაუკმოლაც.

ბ. თინათინის კბილნი: თინათინის კბილნი არიან მარგალიტი — ვის მარგალიტსა ვარეშე მოსცავს ძოწისა ბაგითა (961)

ანუ: რომლის კბილებს (მარგალიტი) ვარე შემორტყმული აქვს, მოცულია (მოსცავს) წითელი ტუჩებიო (ძოწისა ბაგითა).

მარგალიტი არის თინათინის — მის ზისა მკლავსა ნაბამნი, მათ კბილთა შესატყვისონი (719)

ბ. ნესტანის კბილნი:

ტარიელი ნესტანზე ამბობს — ვნახე, ძოწსა მარგალიტი ვარე ტურფა მოემაზრა (536)

ანუ: წითელ ტუჩებს (ძოწს) კბილნი (მარგალიტი) ვარედან ლამაზად (ტურფად) შემოერთყა (მოემაზრა). ამით ნათქვამია: ნესტანი მღუმარე, გაჩუმებული იყოო.

ტარიელი ნესტანის დაკარგვის შესახებ ამბობს — ვა, წარხდა ვარდი პობილი, ვა, მარგალიტი წყობილი მ(919)

ანუ: ვაი, დაიკარგა (წარხდა) ტუჩები წითელი გახსნილი (ვარდი პობილი), მოსაუბრე; ვაი, დაიკარგა ერთი მეორეზე ლამაზად მიწყობილი კბილები, ან მარგალიტი წყობილიო.

ნესტანს — ვარდი ერთგან შეეწება, მარგალიტსა არ აჩენდა (1158)

ანუ: ტუჩები წითელი (ვარდი) ერთად (ერთგან) შეეწება, შეეკუმშა; და კბილებს (მარგალიტი) არ აჩენდა, არ ლაპარაკობდაო.

იგივე შედარება გამოვრებულია — ვარდი ერთგან შეეწება, მარგალიტსა არ აღებდა (1182)

ვაქართა თქმით, ნესტანია — კბილ - მარგალიტი ... (1583)

ბ. ავთანდილის კბილნი:

ავთანდილს ვაქრები — მას მარგალიტსა, მას ყმასა კბილთაეე ფერსა სძლენიდიან (1060)

ფრიდონის მონებს როდესაც ავთანდილი ემშვილობება —

მათ მარგალიტი უჩვენის, ძოწისა კარმან ღიამან (1324)

ანუ: გახსნილმა კარმა, რომელი იყო წითელი ტუჩები (ძოწისა) მონებს კბილები - მარგალიტი უჩვენა, მათ გაუღიმაო.

დ. ტარიელისა და ავთანდილის კბილნი:

როდესაც ტარიელი და ავთანდილი ქებას ბრუნდებოან, მათ შესახებ ნათქვამია —

კბილნი — ვითა მარგალიტნი, ზაგე — ვარდი ნაპობარი (901)

ანუ: მათი კბილნი იყვნენ მარგალიტი და ტუჩები წითელი, ვით ნაპობარი, გაფურჩქენილი, გახსნილი ვარდი: ისინი საუბრობდნენო.

7. მარგალიტი -- ტყუბანი

რა არის ტყუბანი? ს. ს. ორბელიანმის განმარტებით, ტყუბი არის — უკეთუ იყვნენ ყრმა ორნი მუცელსა შინა, ეწოდე-

ბის მარჩბივი, ხოლო პირუტყვითა ორთა ანუ ხელთა (ხელი — ნაქუპ მგაარი ხილი: ნიგოზი, თხილი, წაბლი და სხვა) და მისთანათა ორთა ერთსა ბუდესა შინა ეწოდების ტყუბი. ხოლო ხელთა (ხილი - ხეზე სხმული, ქერქარბილი: ვაშლი, ყურძენი, სხალი და სხვა) და ხმილთა (ხმილი — ბალახთა ზედა მობმული ხილი: ნესვი, კიტრი, მარწყვი და სხვანი) ორთა შეერთებულთა ეწოდების ტყუპი. ტყუბი განიყოფების მარჩბივსა — უკეთუ იყვნენ ცხოველნი ორნი მუცელსა შინა კაცი, ცხენი და მისთანა, მარჩბივი არს; ხოლო ხილი და ნაყოფი რაიზე იყოს, ორნი შეერთებულნი, ითქვიან ტყუპი; ხოლო ორნი ერთსა ბუდესა შინა ტყუბად ითქვიანო.

მაშასადამე, ტყუბი არის ზოგადი სახელი ორისა, შეერთებულისა.

მარჩბივი არის სახელი ორისა ცხოველისა, შეერთებულისა.

ტყუპი არის სახელი ორისა ხრლისა ან ხელისა, შეერთებულისა.

ეს შეერთებულნი არიან ერთ ბუდეში.

ვტ.-ში სიტყვა «ტყუბი» სამჯერ არის ნახმარი და სამივე შემთხვევაში მხოლოდ კბილებთან დაკავშირებით.

ნესტანის შესახებ ნათქვამია —

მუნ ვარდსა შუა შეენოდეს ძოწ-მარგალიტნი ტყუბანი (480)

ანუ: ვარდსა ან ლაწეთა შორის მას შეენოდა წითელი ტუჩები და ტყუბი მარგალიტი კბილებით.

ამას გარდა —

— შუა ძოწსა და აყიყსა სქერის მარგალიტი ტყუბები (1145)

ანუ: ორ წითელ ტუჩს შორის მას შეენოდა ტყუბი მარგალიტი, ერთი მეორეზე მიწყობილი კბილებით. ნესტანის —

ჰგავს, თუ ტყუბი მარგალიტი ზის ბროლისა ხარხაჩოსა (1589)

ანუ: ჰგავს, თუ ტყუბი მარგალიტი კბილები ზის ბროლის ბუდეში. ხარხაჩო არის მარგალიტის ბუდე.

ამგვარად, მარგალიტნი ტყუბნი არიან შეენების გამოსახულებანი.

8. მარგალიტი — ლალის ფერი

ავთანდილი ასმათს ეუბნება, ტარიელთან წამოველ, თინათინს მოეშორდი, რომელს —

ბროლ - სადაფნი მარგალიტსა ლალის ფერსა სცვენ და ბურვენ (856)

კონსტანტინე ჭიჭინაძე, ვტ.-ის ერთი გამოშკეველთაგანი, ამ ლექსის გამო ამბობს —

გაუგებარია: ლალის ფერი მარგალიტი არ არსე-

ბობსა-ო (ვტ. გვერდი 296).

ჩვენი დროის კვლევარნი ვტ.-ს დიდად უდაკად ეპყრობიან და ამასთანავე დიდ უპასუხისშეგებლობასაც იჩენენ მკითხველის წინაშე; ერთი ასეთი მაგალითია, სხვა მრავალ შორის, ეს ნათქვამი!

«მარგალიტის ამბავი»-ში (თავი პირველი) ჩამოთელილია აქ მარგალიტთა სხვა და სხვა ფერი, და მათ შორის არის მოწითანო, კარდის ფერი, ღრმა წითელი და სხვა იერი!

რასაკერველია, ლალის ფერი ანუ წითელი მარგალიტი «არსებობს», და გვხედება; რე «არ არსებობს» მხოლოდ და მხოლოდ კონსტანტინე ჭიჭინაძის ცოდნაში!

ეფთხისტყაოსანის დამწერმა და მისმა გადაშწერლებმაც კარგად იცოდნენ, რომ წითელი, ლალის ფერი მარგალიტი არსებობდა. და სწორედ ეს ლალის ფერი მარგალიტია ამ ლექსში გამოყენებული, ოღონდ ამ ლექსის განმარტება ადვილი არაა.

მგონია ასეთი განმარტება გასაგები უნდა იყოს: ბროლ - სადაფნი არიან კბილნი, ბრწყინვალე და შუქთა მფენი; ლალის ფერნი ანუ წითელი არიან ბავენი; ამგვარად, კბილნი იცავენ და ეფარებიან ტუჩებსო.

ამ განმარტებით საესებით დაკმაყოფილებული არა ვარ; მეორე განმარტება ასეთია: თეთრი ბრწყინვალე კბილები იცავენ, ფარავს ენას (ლალის ფერი მარგალიტსო). — არც ეს ახსნა მანც და შინც მოსაწონი, გარნა სხვა გეარი ვერ მომისაზრებია.

9. მარგალიტი — აღმოსავლურ მწერლობაში

თუ სპარსულ - არაბულ პოეზიას თვალს გადავაკლებთ, ენახავთ, რომ მარგალიტის გამოყენება იქაც ჩვეულებრივია პოეტური შედარებისათვის.

არაბთა ერთი უძველესი, წინა-ისლამური პოეტი, ამრ, ულ ყაის (გარდაიცვალა 540 წ.) თავის სატაფოს შესახებ ამბობს —

იგია ვით ქალწული მარგალიტი, რომელს აქვს თეთრი ფერი, სუბუქი ყვითელი იერი, და რომელი ნაკვები იყო ზღვის ძირიდან კეთილმყოფელი წყალითო. 149.

«ყურან»-შიც ნათქვამია —

მათი კანის სითეთრე თანაბარია მარგალიტთა ბრწყინვალეებისა...

სპარსელი დიდი მგოსანი, ფარდაუსი (941 — 1020) თავის ჩინებულ «შამ - ნამე»-ში მარგალიტს ხშირად ხმარობს შედარებისათვის ვით მაგალითად: სიტყვანი შენნი არიან მარგალიტნი... 150. სიტყვანი მობედისა არიან მარგალიტნი (წ. 7. გვ. 9); შენი სიტყვანი არიან მარგალიტნი, რომელთაც აფრქვევ

(იქვე, გვ. 14); გახსნა ბაგენი და გამოაჩინა მარგალიტის კბილნი (წ. 1., გვ. 247); წმიდა წყალის მარგალიტნი — კბილნი (წ. 6., გვ. 122); სახე მისი ვითარცა მარგალიტი (წ. 1., გვ. 165) და სხვა და სხვა, ხშირად.

სპარსელი მგოსანი მუიზში (გარდაიცვალა 1150 წელს), კბილებს მარგალიტს ადარებს.

მგოსანი ამაყ ბუხარელი ცრემლებს მარგალიტს ადარებს.

ომარ ხაჯიამ (1020 — 1123) ამბობს —

მკერდი ჩემი სავესა მარგალიტებით, რომელნი თვალთაგან მოდიანო.

მაჯულ დინ ჰამგარ (გარდაიცვალა 1279 წელს), ამბობს —

ყოველი ჩემი ლექსი მარგალიტია!

ესპანელი არაბი მგოსანი ზაიდუნი ამბობს —

ასულის სიტყვანი, ოდეს იგი საუბრობს, გაბნეულ მარგალიტებს ჰკვანან...

ნიჰამის შესანიშნავ პოემებში მარგალიტი ძალიან ხშირად არის გამოყენებული, — ყველას აქ აღნიშვნა შეუძლებელია, — მხოლოდ მაგალითისათვის:

კბილნი — მარგალიტნი, შუქთა მოვლევარენი. ⁸⁷.

კბილნი, რომელთაც მარგალიტნი ზღვისანი ვერ გაუწორდებიან; ლალებს (ტუჩებს) გახსნი, — დააბნევ მარგალიტთ; ყურნი — მარგალიტნი (გვ. 76 — 78); ააცვა სიტყვათა მარგალიტნი; (გვ. 96); ლალთაგან (ტუჩთაგან) გამოჰქონდა მარგალიტი (სიტყვანი) (გვ. 99); ცრემლი — მარგალიტი (გვ. 147); ასული ლეილას ცრემლნი მარგალიტნი არიან (გვ. 261); და სხვა და სხვა.

როგორც ეხედავთ, მარგალიტთან სიტყვის, ცრემლის, ფერის, სახის, კბილის და სხვა შედარება აღმოსავლეთის პოეზიაში ფართოდ გავრცელებულია და ეს ბუნებრივიც არის, რადგან მარგალიტის სამშობლო აღმოსავლეთია და პოეზია მისი აკენი...

სპარსულით ქართულად ნათარგმნ «ეასრაჰიან»-ში მარგალიტი შედარებისათვის აგრეთვე ხშირადაა ნახმარი, მაგალითად —

ვისი თვალთაგან მარგალიტსა ჰყრიდა; ვისის «32 მარგალიტი დაცმული პირსა შიგან უნათობდა»; იაგუნდსა შიგან (წითელ ტუჩებს უკან) მარგალიტი ჰქონდა დაცმული; სალამს მოახსენებს მათ იაგუნდთა, რომელთა ოცდათორმეტი მარცვალი მარგალიტი დაცმული აქეს-ო; (32 კბილა); და სხვა და სხვა.

ქართულ უადრეს მწერლობაშიც მარგალიტი არა ერთჯერაა ნახსენები —

სჩანს მარგალიტი (აბდულ - მესია, 43,3)

ბარანს მარგალიტ —

სადაფი ეცა (აბდ.-მეს. 58,2)

თვალ - მარგალიტი (თამარაანი VI,18)

10. მარგალიტი — შეუღლების სიმბოლო

ზემოდ აღნიშნულ მნიშვნელობათა გარდა, მარგალიტს აქვს ერთი განსაკუთრებული მნიშვნელობა, რომელს აქ ყურადღება უნდა მიექცეს. მარგალიტი არის ქალწულობის, შეუღლების, და სქესობრივი კავშირის სიმბოლო. ეს აშკარად არის დახატული ნიჰამის პოემებში.

სპარსელი დიდი მგოსანი ნიჰამი (1141/5-6 — 1203/11 წ.) მარგალიტს თავის პოემებში ვითარცა სილამაზის სიმბოლოს ხმარობს, მაგრამ ამასთანავე ამავე სიტყვით მას დახასიათებული აქვს კიდევ სქესობრივი კავშირიც.

სიტყვა, პოეტური თქმა, ლექაი, ცრემლი, კბილი, პირი, ყური და სხვ. ნიჰამისათვის არის მარგალიტი, როგორც ეს ეტ.-შიც არის. მაგრამ აქვს გარდა, ნიჰამისათვის მარგალიტი სქესობრივი კავშირის და სახატავადაცაა აღნიშნული.

პირველად ამის შესახებ, მხოლოდ შედარებისათვის, ხოსროვი ლაპარაკობს პოემაში: «ხოსროვ და შირინ» —

როგორ არ უნდა დაეიჭიროთ ნელლი მარგალიტი? შემდეგ გვიანდა და ძნელი იქნება მისი გახერცა! ⁸⁷. გვ. 172.

ეს შედარება ერთ ასულს ეხება, — და მარგალიტი აქ არის ქალწულობის სიმბოლო.

პოემაში «ბარამ - გურიანი» (შეიდი ლამაზი ასული), ზღაპრული დედოფალი ერთ ზღაპრულ მეფეს ეუბნება —

რათა ჩააქრო შენი ცეცხლის მძვინვარება... გობოძებ მე (ამ ასულთაგან) ერთ მარგალიტს (ასულს), ასე თქვა და თავის მხლებელ ასულთ თვალი მიმოაელო; და იგი, რომელი ამ აღერსისათვის კარგად ჩასთვალა, შეუძნეველად, თითის დაქნევით ტახტთან მიიწვია, და იგი, ნაზი ღამილით მე გადმოშვა. და მთვარემ, ჩემდა ნაბოძებმა, ხელი მოჰკიდა და ბნელ ქალაში წამოიყვანა... მარგალიტი უუძვირ ფასესი თავის ბუდეში იყო; მოცხენი მარგალიტს ბექედი, კარი გავალე, ასულს ევხვოდი გარაჟრავა-ღლი... (გვ. 380 - 1). დღეს წაიღე ჩემგან ყველაფერი, რაც გულსა სურს: ლაწენი, მკერდი, და ბაგენი, — გარდა ერთისა, რაც უხეშია; გარდა ერთი მარგალიტისა მხოლოდ — ყველა ჩემს საგანძურს ფლობდე, და გახსოვდეს: ჩვენ მოგველის ათასი ლამე ბედნიერებით აღსავსე. დღეს მე მოგცემ ჩემს მხლებელ ასულს, რომელიც ვით სრული მთვარეა... (იქვე გვერდი 388).

✠

ფერთამეტყველება. გაგრძელება მე-129 გვერდზე.

მეორე ზღაპარში, აგრეთვე ბარამ - გური-ანიდან: კოცნიდა იგი მას ტუჩებში ასჯერ, კბეჩდა ხან ფინიკს, ხან ბროწეულს მისას, ფლობდა ალმასს შეენიერს, მარგალიტის სილამაზესთან ერთად. შევარდენი ხობობს მკერდზე დააჯდა, ზემოდან ჩამოეადნილი... (გვ. 407).

შემდეგ ზღაპარში, რომელს რუმეელი ლამაზი მოგვითხრობს —

ხეირმა შეირთო თავისი გადამარჩენელი ასული; ხეირმა მოარჩინა შაჰის ასული და იგიც შეირთო; ხეირმა განკურნა ვაზირის ასული და იგიც შეირთო. და აქ ნათქვამია ნიშანის მიერ:

აბა შეხედეთ, რამდენი ძვირფასი მარგალიტი გახვრიტა ამ ლალმა; და ხოსროვის ტახტიც დაიმკვიდრა... ხან ვაზირის ასულთან იჯდა მთელი დღით... ხან შაჰის ასულთან ორი დღით... ხან ქურთის ასულთან სამი დღით (გვ. 448 - 9).

პოემაში «ისკანდერ ნამე», — აღექსანდრე მაკედონელის მამამ შეირთო ცოლად შეენიერი ასული: ფილიკუსმა შეენიერი ისე შეიყვარა, რომ მარტო მასზე და მის შესახებ ლაპარაკობდა. სამეფო სარეცელზე იგი მიწვა; ფინიკისაგან პალმამ ბნელში შთასახა. მოსულმა წვიმამ მარგალიტის ბუდეს ნაყოფი მისცა. მარგალიტი იქ გამოჩნდა, და აი, გავიდა ცხრა თვე, დრო დადგა, და დაბადების ძარღვი აცახცახდა (გვ. 478), იშვა აღექსანდრე მაკედონელი.

მარგალიტის იგივე მნიშვნელობა, ანუ მარგალიტი ეით სქესობრივი ურთიერთობა, გამოყენებული აქვს მეორე სპარსელ დიდ მგოსანსაც — საადი შირაზელს (1180/84. — 1291). ერთ თავის ლექსში.

მოხუცებულმა შეირთო ახალგაზრდა ქალი და მერმე მან მეგობრებს შესჩივლა თავისი უძლურების შესახებ; და ცოლქმარის ჩხუბის შემდეგ საქმე მსაჯულამდეც მივიდა. ეს ლექსი ასე სრულდება — შენ (მოხუცო!), რომელს ხელი გიძიგძიგებს, როგორ შეგეძლო მარგალიტის გახვრეტა? ¹⁶¹.

იმავე ლექსის ქართულ თარგმანში, რომელი შესრულებულია ბ. ამ. კელიძის მიერ (ირანელი ლირიკოსები), ეს ადგილი ასეთია: —

ცოლსა და ქმარს შუა ჩამოეარდა შფოთი და ჩხუბი, მიმართეს კანონს, საადის კი ეს ათქმევინა:

ამ სიგლახეში უბიწო ქალს არა აქვს ცოდვა, მთრთოლვარე ხელმა მარჯანი ვერ გაახვრეტინა.

ბ. ამ. კელიძის ალბათ განსხვავებული ტექსტი ჰქონდა, ვიდრე ფრანგ ნ. სემელეს; მაგრამ ფრანგული თარგმანის დედანი უფრო სწორი უნდა იყოს, ვინაიდან აქ მხოლოდ მარგალიტის გახვრეტაზე შეიძლება იყოს საუბარი.

[არ შემიძლია უყურადღებოდ დავტოვო ბ. ამ.

კელიძის ორი განმარტება. იგი გვიხსნის: 1) ქაბა — სალოცავი ადგილი, სადაც მარხია მაჰმადიანო.

მე ეს განმარტება ბევრდეთი შეცდომა მეგონა, მაგრამ იქვე მეორე განმარტებაც ვნახე: 2) მექქა — მუქულმანთა სალოცავი ადგილი. მაჰმადის სასაფლაო. ¹⁵².

რაოდენ დიდი უპასუხისმგებლობაა მკითხველის წინაშე და რაოდენ დღია უუცობა! კაცი, რომელი ირანულ ლირიკოსებს თარგმნის ლექსად, ასეთ რამესა სწერს?! საკმაო იყო რომელიმე ლექსიკონში ჩაეხედა და იგი იქ ნახავდა:

1) მაჰმადი გარდაიცვალა მედინაში 632 წელს;

2) მაჰმადი დამარხულია იქვე, მედინაში.

ასეთი უზრალო რამეს ცოდნა მაჰმადიან მწერალთა მთარგმნელისათვის მაინც სავალდებულოა. ამგვარივე უეცოა და ეელური მისი განმარტება დიდი ომარ ხაიამას პოეზიის შესახებ. სამწუხაროდ!]

საკითხს დაუებრუნდეთ.

X

უფროსი თაობის მწერალ - წარკომოდგენელს, ნიშანზე და საადზე გაცილებით უფრო ადრე, დიდ ფირდაულს აქვს ეს აშბავი «მარგალიტის» შესახებ, მაგრამ უფრო გადაკერით, სიტყვის უფრო დაზოგვით, ვიდრე პირდაპირ. — კანისარმა გაუგზავნა ნუსირვანს დაკეტილი კოლოფი, და უნდა გამოეცნოთ თუ შიგ რა იყო. ვერავინ ახსნა ეს ამოცანა. მაშინ ნუსირვანმა ბაქანა მოეყვანათ გაციკხული ბრძენი ბუზურჯმიძი, რომელს განუმარტეს; თუ რა უნდა გამოეცნო. იგი იყო უკვე დაბრძალებული, მაგრამ თავის მხლებელს დააეალა მან, ეთქვა მისთვის, თუ ვინ შეხედებოდა მათ გზაში. გაიბრინა ერთმა ქალმა, და თავის მხლებელს ბრძენმა აკითხვინა — მას ჰყავს თუ არა ქმარი. პასუხი იყო: ქმარიც მყავს და შეილიცო. მეორე ქალმა გაიარა და მან უპასუხა: ქმარი მყავს, ხოლო შეილი არაო. მესამეს პასუხი: ქმარი არცა მყავს და არცა მსურსო. ამასობაში ეს ბრძენი სასახლეში მიიყვანეს, და ყველას თანადანწრებით კოლოფის ამოცანა განმარტა: ამ დაკეტილ კოლოფშია (იმ ნიშანთა მიხედვით, რომელი მას გზაში შეხედა — სამი ქალი!), თქვა მან: სამი მარგალიტი; ერთი გახვრეტილია ნხარედან მხარემდე; მეორე მარგალიტი მხოლოდ ცალი მხარედანაა გახვრეტილი; მესამე კი არის გაუხვრეტელიო. — კოლოფი გახსნეს, და ახსნა სწორი გამოდგა. ¹⁵⁰.

აქედან ჩანს, შეხედულება მარგალიტზე, ვით სქესობრივი ურთიერთობის სიმბოლოზე, ქალწულობისა და შეუღლების ნიშანზე, უკვე მეცხრე საუკუნეში გავრცელებული ყოფილა (და შეიძლება ადრეც, — არ ვიცი).

ქართული «ვისრამიანი» - ს ინგლისურ თარგმან-

შიც არის ერთი ასეთი ადგილი, ოღონდ ქართული ტექსტის უქონლობის გამო, არ ვიცი, ნახმარია იქ სიტყვა მარგალიტი თუ არა. თარგმანი ასეთია: 163
როდესაც ეისმა და რამინმა ერთმანეთს კოცნა დაუწყეს, ნათქვამია: «მათ აღისრულეს სურვილი, და რამინმა გახვირტა precious jewel».

აქ არის «precious jewel» და იგი ნიშნავს: ძვირფასი ჯავარი. ყოველ შემთხვევაში, აქაც ჯავარის გახვირტა სქესობრივ კავშირს, კერძოდ, ქალწულობის დაკარგვას ნიშნავს.

მაგრამ რა დამოკიდებულება აქვს ყველაფერ აქ მოთხრობილს მარგალიტის შესახებ ვეფხისტყაოსანთან? ამ საკითხის გამორკვევა გვაძლავს ვეფხისტყაოსანის კარგად მცოდნე მკვლევარის, განსვენებულ ზურაბ ავალიშვილის ერთმა დებულებამ, რომელს აქ განუხილავთ ვერ დაეტოვებთ.

X

ავთანდილი როდესაც თინათინს ეუბნება ტარიელთან უნდა მივბრუნდეთ, მას თხოვს —

სიცოცხლისა საიმედო ნიშანი რა წამატანე (709)

და ამის შემდეგ ნათქვამია —

ქალმან მისცა მარგალიტი, სრულ ქმნა მისი საწადელი,

ღმერთმან ქმნას და გაუსრულდეს ღმერთისა აწინდელი (710)

არის ამ ლექსში «მარგალიტი» სქესობრივი ურთიერთობის ნიშანი?

ზურაბ ავალიშვილი შეეხო ამ საკითხს, და მისი აზრით, აქ აღნიშნული მარგალიტი არის სქესობრივი კავშირის გამოხატულება. მისი დასაბუთება შემდეგია —

ჩვეულებრივად, ეს «მარგალიტი» მკითხველებს თინათინისაგან ნაბოძებ ნივთად, საჩუქრად მიაჩნიათ. ალბათ იმიტომ, რომ წინა ტაეპში ავთანდილი, რომელიც მაშინ ხელახლად გასაყრელ იყო, თავის პატაროს სთხოვს:

მაგრა, მზეო, თავი მზესა ჩემთვის სრულად დააგვანე,

სიცოცხლისა საიმედო ნიშანი რა წამატანე

და აი, ეს ხსენებული მარგალიტიც ამგვარი ნივთიერი ნიშანი ჰგონიათ; თუმცა ისიც ცხადია, რომ შაირში ნათქვამია:

ქალმან მისცა მარგალიტი, სრულ-ქმნა მისი საწადელი.

ეს «მისი საწადელი» მარგალიტს კი არ გულისხმობს, არამედ თინათინის ძველ დაპირებას, ავთანდილისადმი მის პირველ გამგზავრებამდე მიცემულს:

მოხვიდე, სრულ ვქმნა მაშინდა შენი წადილი გულისა...

ასე რომ ამ ადგილის ნამდვილი მნიშვნელობა სხვა უნდა იყოს, და გაგებაც, უამისოდ ადვილი, უფრო გაგვიადვილდება, თუნდაც ნიშანის «მარგალიტი»-ს ერთ ადგილთან შედარებით; აქაც პარამ-გურის და მორიგე მეფე - ქალის ურთიერთობის აღწერაში მარგალიტი იხსენება და ისიც იმდენად ცხადი მნიშვნელობით, რომ ნიშანის ინგლისელმა მთარგმნელმა იჩნია ეს, და სხვა ამგვარად ადგილები, ინგლისურის ნაცვლად ლათინურად გადმოვლო.

ამ «მარგალიტის» ალღეგორიული მნიშვნელობა სავსებით მტკიცდება მთელი სურათის ნაზი ერთობილი ელფერი (იხ. იქვე, ტაეპი).

ქალმან მისცა მარგალიტი, სრულ-ქმნა მისი საწადელი,

ღმერთმან ქმნას და გაუსრულდეს ღმერთისა აწინდელი.

რა სჯობს, რა კაცმან გიშერი ბროლ-ლალსა თანა ახიოს,

ანუ ბალს ალვა საროსა ახლოს ჰრგოს, შორწყობა, ახიოს!

ნათქვამს ისიც უნდა დაეუმატოთ, რომ განხილული ადგილის ცოტა ქვევით აღწერილია რუსთაველისებურად ის სევდა და მელანქოლია, რომელთაც შეიპყრეს ავთანდილის «ღმერთისა აწინდელის» შემდეგ, სახლში რომ დაბრუნდა და აუცილებელ (მეორეს) გაყრაზედ რომ იფიქრა:

...საყვარლისა სიხალისა მოშორება გააშფოვნებს, ვაჲ, საწუთრო, ბოლო თავსა ასუდარებს; აზე-წარებს!

ყმა მივიდა, საწოლს დასჯდა, ზოგჯერ სტირს და ზოგჯერ ბნდების,

მაგრა ახლავს გონებითა საყვარელსა, არ მოსწყდების...

ამის შემდეგ მოდის ცნობილი ტაეპი:

გული კრულია კაცისა ხარბი და გაუძლომელი, გული ჟამ - ჟამად ყოველთა ჭირთა მთმო, ღმერთთა მდომელი...

და სხვა, — რომელიც დამოუკიდებელი ლექსი — რუბაჰის შთაბეჭდილებას ახდენს, აქ მოთავსებულს; შერამე კი ისევ «მარგალიტს» ეხედებით, აქ კი ჩვეულებრივი და პირდაპირი მნიშვნელობით:

რა გულსა უთხრა გულისა სიტყვანი საგულისხმონი,

მან მარგალიტი მოიხვნა მის მზისა სამეყვისონი,

მის მზისა მკლავსა ნაბამი, მის კბალთა შესატყვისონი,

პირსა დაიდვა, აკოცა, ცრემლი სდის, ვითა ბო
... სონი.

ეგებ ამ განგებ შეთხზული ტაეპით პოეტს (თუ
კი მისია ეს ადგილი) უნდოდა პარენანდელი «სპარ-
სული ამბის» ცოტა თამამი მეტაფორა, მის მიერ
შესაფერისად გამოყენებული და მცოდნეთათვის გა-
საგები, დაემალა და ამისათვის «მარგალიტსაც» თი-
ნათინის მიერ ნაჩუქარი ნივთის სამახსოვრო მნიშვნე-
ლობა მისცა? ან, ვინ იცის, ეგებ ამ ორნაირ და
ორპოფულ გაგებაში ჩვენ სწორედ იმისი ერთი ნი-
მუში გვაქვს; როცა რუსთაველის ქართულ ქსოვილ-
ში ძველი მოთხრობის სპარსული ძაფები მოსჩანა-
ნა-ო? 104.

ასე და ამ გვარად მსჯელობს ზურაბ ავალიშვი-
ლი მარგალიტის შესახებ და მთელი ეს მსჯელობა
ერთი ყალბი დებულებიდან გამომდინარეობს: —

ვეფხისტყაოსანის ფაბულა რომელიღაც სპარსულ
დედანში ყოფილა! ეს «მარგალიტი» «იმ» სპარსულ
ნაწარმოებში ყოფილა «თამამი მეტაფორა», ესე
იგი, «მარგალიტი» «იქ» ყოფილა სქესობრივ კავ-
შირის გამოსახვა. რუსთაველს მოუსურვებია დაემა-
ლა «მარგალიტის» ეს მნიშვნელობა და ამიტომ იგი
აქ. სქესობრივი კავშირის ვარდა, მართალი ნივთიც
ყოფილა, რომელი თინათინს ავთანდილისათვის
უჩუქებია!

საიდან მოდის ასეთი განმარტება?
როდესაც თინათინმა ავთანდილს უცხო მოყმის
მოძებნა დააეალა, და ამისათვის მას სამა წელაწა-
დის ვადა მისცა, მას ამასთანავე უთხრა —

— მოხვიდე, სრულ ექმნა მაშინლა შენი წადილი
გულისა...

რა იყო ავთანდილის გულის წადილი? და რას
პირდებოდა მას თინათინი? —

წადი, იგი მოყმე ძებნე, ახლოს იყოს თუნდა
შორად (130)

მერმე, მოდი, ლომო, მზესა შეგეყრები, შემე-
ყარე (131)

ფიცით გითხრობ: შენგან კიდე თუ შევირთო
რაცა ქმარი...

სრულად მოესწყდე სამოთხესა, ქვესკნელს ვი-
ყო დასათქმარი (133)

მაშასადამე, თინათინმა ავთანდილს შეპტიცა: —
როცა მობრუნდები, შენი ცოლი გავხდებიო; და
ამის შესახებ ავთანდილი შერმადინს მოუთხრობს,
თინათინმაო —

მიბრძანა: «მიცან ამბავი მის ყმისა დაკარგუ-
ლისა,

მოხვიდე, სრულ - ექმნა მაშინლა შენი წადილი
გულისა (153)

და რა არის ეს «წადილი გულისა», — ეს იქვე,

იმევე ლექსშია განმარტებული —
ქმარი არ მინდა უშენოდ, მომხედეს ხისაცა
ჩგულისა,

მომცა წამალი გულისა, აქამდის დადაგულისა.
აი, რა ყოფილა ავთანდილის «წადილი გულისა»!
ეს წადილია: თინათინთან დაქორწინება, ცოლ-
ქმრობა, საყუთარი კერის შექმნა.

ავთანდილი წაეიდა; მან ტარიელი მოძებნა; მერ-
მე არაბეთს მიბრუნდა; ყველას, და კერძოდ კიდე
თინათინს, ცალკე, მან ტარიელის ამბავი უამბო.
შემდეგ თინათინი მას ეუბნება —

მზე ეტყვის: «მომხედა ყოველი ჩემი წადილი
გულისა:

პირველ შენ მოხველ მშვიდობით, მოენეელი
დაკარგულისა,

მერმე ზრდა საყვარულია გაქუ, ჩემგან დანე-
რგულისა,

ვპოვე წამალი გულისა, აქამდის დადაგულისა
(704)

აქ ავთანდილი თინათინს მოახსენებს, ტარიელს
შეეფიცე უკან მიებრუნდე და მას დაეხმარო. თი-
ნათინს მოსწონს ავთანდილის ფიცო, რომელი მან
თინათინის თქმითაც, უნდა შეასრულოს, «მაგრამ
მე რა ექმნა» ისევე მართოდ რომ დაერჩებო, რაზე-
დაც მას ავთანდილი უპასუხებს — შენთან ყოფნა
არის ერთი ვაი, (რადგან ჯერ მიზანი: დაქორწინება
მიღწეული არაა), და შენგან მოშორება ათასჯერ
ვაი არისო (707); და აქ ავთანდილი თინათინს ერთ
რამეს ეუბნება —

მაგრა მზეო, თავი მზესა ჩემთვის სრულად და-
აგეანე (709)

ესე იგი: მზესავით უხვი იყავ და —
სიცოცხლისა საიმედო ნიშანი რა წამატანე...

ესე იგი: სამახსოვრო ნიშანი, სიცოცხლის იმედი რა-
მე გამატანეო და —

ქალმან მისცა მარგალიტი, სრულ ქმნა მისი სა-
წადელი,

ღმერთმან ქმნას და გაუსრულდეს ლხინი ესე
აწინდელი (710)

ანუ: თინათინმა ავთანდილს საწადელი, სურვილი
აღუსრულა, და მან მისცა მას მარგალიტი. ამას მო-
სდევს თვით პოეტის თქმა: ღმერთმა ქმნას და ეს
ლხინი ანუ მხიარულება ახლანდელი (აწინდელი)
გაუსრულდეს, შეუსრულდეს, გაუნამდვილდეს მო-
მავალშიო!

არის ეს ლექსი ორაზროვანი? ერთი მხრივ «მარ-
გალიტი» ვით სამახსოვრო ნივთი, საჩუქარი, და მე-
ორე მხრივ: ავთანდილისა და თინათინის სქესობრი-
ვი კავშირის სიმბოლო, მათი ერთად დაწოლის აღ-
ნიშვნა, სარეცელის გაზიარებაზე მითითება?

შეუძლებელია, ეს ლექსი ორაზროვანი იყოს; არ შეიძლება იმისი თქმა, თითქო ნიზამის «მარგალიტი» და ვეფხისტყაოსანის «მარგალიტი» ერთი და იგივე მნიშვნელობისა იყოს. რატომ? იმიტომ, რომ ავთანდილისა და თინათინის მთელი ურთიერთობა, დასაწყისიდან დასასრულამდე, ქალწულებრივი კდე მამოსილებით და წმიდა ქცევითაა დახატული, დასურათებულია იმ სიყვარულით, რომელი მიჯნურობის არეშია მოქცეული, და რომლის ძირითადი დებულებაა: შორით ბნედა, შორით კდომა, შორით დაგვა, შორით ალვა (27).

თინათინი ავთანდილთან, ნესტანი ტარიელთან რომ ასე უბრალოდ წვებოდენ (როგორც ეს ვისრამიანშია), მაშინ ვეფხისტყაოსანი მიჯნურობის რომანი არ იქნებოდა.

ვეფხისტყაოსანი «მტლავა — მტლუშის» რომანი არაა, არამედ მიჯნურობისა; მთელი ეს თხუზულე-ბა წმიდა სიყვარულზეა აგებული და ამ წმიდა სიყვარულის მიზანია: დაქორწინება, დაცოლქმრება, სიყვარულითი კერის შექმნა. (იხილეთ ამის შესახებ — მაჯნურობა, მიჯნურობა და მინნე).

მაშასადამე, თინათინის მიერ «მარგალიტის» მიცემა არ შეიძლება იყოს სქესობრივი კავშირის გამოხატვა.

აღნიშნულ ლექსში, ვეფხისტყაოსანის «მარგალიტი» არის მხოლოდ დაქორწინების სიმბოლო. მარგალიტის მიცემით თინათინმა ავთანდილს კვლავ დაუდასტურა თავისი ფიცი, რომლის ძალით იგი ავთანდილის მეუღლე უნდა გახდეს.

...მაგვარად: ვტ.-ის «მარგალიტი» არის დაქორწინების აღთქმის სიმბოლო მხოლოდ.

რაც შეეხება იმ ლექსს, რომელი ზურაბ ავალიშვილს ეროტიულად მიაჩნია და რომელი წინარე ლექსს მისდევს, იგია ასეთი —

რა სჯობს, რა კაცმა გიშერი ბროლ - ლალსა
თანა ახიოს.
ანუ ბაღს ალვა საროსა ახლოს რგოს, მორწყოს,
ახიოს,
მისთა მკერეტელთა ალხინოს, ვერ მკერეტსა
ავაგლახიოს;
ვაი მოყვრისა გაყრილსა ახი ოს ეყოს, ახი, ოს!
(711)წ

საერთოდ უნდა ითქვას: ასეთი უშნო, უგემური და უხეში ლექსი ვტ.-ში მეორე არაა. მაგრამ მაინც რას ნიშნავს იგი?

ეს ლექსი მეტად ძნელი ასახსნელია, გარნა შევეცადოთ — რა სჯობს, რომ კაცმა გიშერი ბროლსა და ლალს შეახოს (ახიოს). გიშერი = თვალ - წამწამები; ბროლ - ლალი = დაწვები. ესე იგი — ამით ნათქვამია — სიყვარულის ლხინი ანუ მხი-

არლება როცა ადამიანში მორცხვობას იწვევს, იგი თავის თვალებს დახუჭავს და გრძელ წამწამებს თეთრსა და წითელ ლოყებს შეახებსო (ახიოს).

მეორე სტრიქონი: რა სჯობს, რომ კაცმა ალვა ბაღში საროსთან დარგოს, მორწყოს, ხედ აქციოსო (ახიოს).

მესამე სტრიქონი: ვინც ასეთ მორცხვს კაცს უყურებს, ეს არის სასიხარულო; ვინც ვერ უყურებს, ეს მისთვის სავაგლახოაო (ავაგლახიოს);

ხომ არ შეიძლება აქ ლაპარაკი იყოს ასეთი: — ვინც მათ ერთად წოლას უყურებს, იგი გახარებულია; ვინც მათ ერთად წოლას ვერ უყურებს, ის სავაგლახოაო? სისულელე გამოდის!

მეოთხე სტრიქონი: ვინც მოყვარეს გაყვრება, მას ახი ეყოს ანუ ოხერა შეექმნას; და ამიტომ იჩივლოს, იახოს (ახი, ოს!).

ასეთი არის ამ ლექსის შესაძლებელი განმარტება და არა ისეთი, როგორც ფიქრობს ზურაბ ავალიშვილი, თითქო იგი ეროტიულიაო; ან როგორც ფიქრობს დ. ჩუბინაშვილი, თითქო ამ ლექსში გიშერი ულვაში იყოს და ბროლ-ლალი კი დაწვება, მაშასადამე, თითქო აქ ხვეენა-კოცნა ყოფილიყოს! (იხილეთ ვტ.-ის ინგლისური თარგმანი. გვერდი 110 და შენიშვნა 5).

ამ ლექსის შემდეგ გვემის შეჰდეგი თქმა —
მათ მიხედა ლხინი ყოველი ერთმანეთისა ჰერე-
ტითა (712)

აი, თურმე რა ყოფილა მათი ლხინი!!! ერთმანეთისა ჰერეტა, ერთმანეთის ყურება, საუბარი, ერთად ყოფნა და ცქერით სიამოვნება, — ესაა მათი ლხინი, მათი მხიარულება.

არავითარ შემთხვევაში ეს ლექსი ეროტიული არ არის. ეს ლექსი რომ ეროტიული იყოს, მაშინ ეროტიულად უნდა ჩავთვალოთ სხვა, წინა ლექსიც — როდესაც თინათინმა პირველად ავთანდილი დაიბარა, მას უცხო მოყმის მოძებნა თხოვა, და შემდეგ მათ ერთმანეთს სიყვარული შეჰფიცეს და ცოლქმრობა აღუთქვეს; ამის შემდეგ მოდის ლექსი — ერთგან დასხდეს, ილაღობეს, საუბარი ასად

ავეს;
ბროლ - ბაღახში შეხვეული და გიშერი ასადა-
გეს;
ყმა ეტყვის თუ: «შენთა მკერეტთა თავი ხელი
ა სად აგეს!
ცეცხლთა, მანდით მოდებულთა გული ჩემი
ასადაგეს (137)

ანუ: თინათინი და ავთანდილი ერთად დასხდნენ; იმხიარულეს, საუბარი გაამრავლეს, გააასკეცესო (ასად აგეს); ბროლ - ბაღახში შეხვეული, ანუ:

თეთრი და წითელი ლაწენი და გიშერი (თვალწამ-
წამები), რომელნი აქამდე დამალული იყვნენ, რა-
დგან თინათინი და ზეთანდილი ხშირად ერთმანეთს
ვერ ხედავდნენ, ახლა გააუბრალოეს, გაამარტივეს,
(ასადაგეს)ო; ავთანდილი თინათინს ეუბნება: შენი
მკვრეტელი თავის თავს ხელად ანუ გიჟად აქცევს
და წააგებს სადმე თავსო (სად აგეს) ; შენგან მოდებ-
ულმა ცეცხლმა ჩემი გული დასწვა და დადაგაო
(ასადაგეს).

(სიტყვა «სადაგი», რომლისაგან ნაწარმოებია სი-
ტყვა «ასადაგეს», სპარსულია: «სადაგ», ქართულად
— მარტივი, უბრალო; სადე = არა რთული, უბრა-
ლო, სადა. მეორე სიტყვა «ასადაგეს» წარმომდგარი
არის სპარსულისაგან: «დაგ» = დაღ, რაც არის წვა,
დაწვა, ამოწვა).

თუ ეს ლექსი ერთიულოა, მაშინ ზემოდ მოტა-
ნილი ლექსიც ერთიულოდ ჩაითვლება. მაგრამ არ
ჩვენებოდა სწორი და მართალი ამ ორი ლექსის ერ-
ოტიულოდ ახსნა; ორივე ლექსში არის მხოლოდ და
მხოლოდ: ტრფიალობა და ამიკობა.

უქვევლია, დამწერმა აღნიშნული ლექსისა: —
ქალმან მისცა მარგალიტი...

კარგად იცოდა «მარგალიტის» მნიშვნელობა სპარ-
სულ პოეზიაში; იცოდა, რომ მარგალიტი არის ქალ
წულობის სიმბოლო; იცოდა, რომ მარგალიტი არის
შეუღლებების სიმბოლო; იცოდა, რომ მარგალიტი არ-
ის სარეცელის გაზიარების სიმბოლო. მაგრამ მას ეს
მარგალიტი პირდაპირი სქესობრივი კავშირის აღსა-
ნიშნავად არ გამოუყენებია; მარგალიტი ამ ლექსში:
ქალმან მისცა მარგალიტი არის მხოლოდ სიყუარ-
ულის ნიშანი, შეუღლებისა და დაქორწინების ნი-
შნობა, დაპირება ცოლქმრობისა და არა თვით ეს
სქესობრივი კავშირი, დაქორწინების გარეშე, ანუ
მრუშობა და სიძვა, რომელიც ვტ.ში სასტიკად არის
დაგმობილი —

მიჯნურობა სხვა რამეა, არ სიძვისა დასადარი;
იგი სხვაა, სიძვა სხვაა, შუა უზის დიდი მზღვარ-
რი,

ნურვინ გარევეთ ერთმანერთსა, გესმას ჩემი ნა-
უბარა (24)

მართალია, ზურაბ ავალიშვილმა ეს «გარევეა» მო-
ახდინა, მაგრამ მაინც მისი დამსახურებაა, «მარგა-
ლიტის» საკითხს რომ ყურადღება მიაქცია (და განა
ერთსა და ორ სხვა საკითხსაც, რომელი უყურად-
ღებოდ იყო და არის დღესაც მიგდებული?!).

11. გვარი

როდესაც ფატმანმა გაიგო, ნესტანი მელიქ - სურ-
ხაის სასახლეში მიჰყავთო, —

შევე საქურკლეს, რომელსა ფასი არ დაედქა-
ბოდა,
თვალ - მარგალიტნი ავიღე, რაც ოდენ ამელე-
ბოდა,
თვითო და თვითო თვითოსა ქალაქსა ეფასე-
ბოდა,
მივე, მას წელთა შეეარტყი, შავ-გული ვისთვის
კვდებოდა (1177)

ნესტანი ფატმანმა უხვად დაასაჩუქრა, ოღონდ
არა მომადლიერების მიზნით. ნესტანისათვის ბოძე-
ბულ ძვირფას საჩუქარს გარკვეული დანიშნულება
ჰქონდა, და ამას ნესტანს თვითონ ფატმანი განუ-
მარტავს —

ვარკვი: ჩემო, განლა სადმე გეხმარების ესე
გვარო (1178)

ამ ლექსის ჩვეულებრივი ახსნა შემდეგია: ჩემო,
ვარკვი, ოღონდაც (განლა) სადმე მოგეხმაროს, გამო-
ვადგეს ამნაირი, ამგვარიო (ნაგულისხმავია: ფატმა-
ნის მიერ მიცემული თვალ - მარგალიტი).

ასეთი ახსნა, რასაკვირველია, სწორად არ ჩაითე-
ვება, ეინაიდან: «ესე გვარო» ამ ლექსში, სრულე-
ბით არ ნიშნავს: ამ გვარი, ამ ნაირი, ამის მსგავსი...

სიტყვა «გვარო» ამ ლექსში ნიშნავს: «მარგალი-
ტი». ძველ სპარსულ, ფეჰლევურ (ქართულად:
ფალაური) ენაზე სიტყვა «გუჰარ» და «გოჰარ» ნი-
შნავს: «თვალი პატროსანი»; შემდეგ, ახალ სპარსუ-
ლში იგი არის: «გოჰარ», «გუჰარ» და მისი მნიშე-
ნელობაა: «მარგალიტი». ¹⁶⁵

ძველ ქართულში მარგალიტს ეწოდება: «გოხ-
ჰარ», «გუჰარ», «გოვარ». აქედან არის წარმომდგა-
რი სიტყვა: «გუარი», «თუალ - გუარი», «თვალ -
გვარი» ანუ თვალ-მარგალიტი.

მარგალიტის ეს სპარსული სახელი, მგონია, ქარ-
თულ ენაში შესულია და დამკვიდრებული მეორე
მნიშვნელობითაც: — გვარი ვით გვარი (სახელი და
გვარი), ჩამომავლობის აღსანიშნავად.

სიტყვა «გვარი» ძველ ქართულში (და თითქმის
ჩვენს დროშიც), არა უბრალოდ ჩამომავლობითი
სახელს, არამედ მაღალი სოციალური ფენის შეჰა-
დგენელ სახლთა სახელს ნიშნავდა, ვინაიდან ზოგა-
დად ქართული საზოგადოება ორად იყო გაყოფილი
— 1) გვარიანი და 2) უგვარო. უგვარო იყო — უბ-
რალო, მდაბიორი. მდაბიო ხალხი; გვარიანი კი იყო
— მხოლოდ მაღალი წოდება.

მგონია: ეს სიტყვა «გვარი», რომელიც წარმოშო-
ბასა და სოციალურ საფეხურს აღნიშნავს, დაკავში-
რებულია სიტყვასთან «გვარი», რაც არის მარგალი-
ტი; ვინაიდან მარგალიტი ძველადვე უძვირფასეს
და უშესანიშნავეს ნივთად ითვლებოდა.

ყოველ შემთხვევაში, ეს სიტყვა «გვარი», ჩამო-

მავლობის მნიშვნელობით, მეთერთმეტე საუკუნეში ცნობილად ჩანს, ანუ როგორც აზნობის პროფ. ივანე ჯავახიშვილი —

გვარი ანუ გუარი, უძველეს ქართულ მწერლობაში, არც სახარებაში და არც პირველ ხანის მარტვილობებში, არც «მოქცევაჲ ქართლისაჲ»-ს მატიაშეში, არსად არ გვხვდება და შედარებით გვიან ჩნდება. თუ არ ვცდები, გვარეულობის აღსანიშნავად ამ ტერმინს, ვითარცა ჩვეულებრივ სიტყვას, საისტორიო მწერლობაში პირველად დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი ხმარობს. მაგრამ ცხოვრებაში და ლაპარაკში ამაზე კარგა ხნით ადრე უნდა ყოფილიყო გავრცელებული, რადგან ისტორიკოსს ეს სიტყვა განუმარტავად მოჰყავს და არც ეტყობა, რომ უგი სრულებით ახალი, ან ცოტა ხნის შემოღებული იყო-ო. 168.

ამას გარდა, სიტყვა «გვარი» ქართულ ფილოსოფიურ მწერლობაშიც იხმარება: 1) გუარი — სახე (ბერძნულად — ეიდოს; რუსულად — ვიდ) და 2) გუარი — იდეა (ბერძნულად — იდეა). ორივე ამ ცნებით სარგებლობს იოვანე პეტრიწი ნემესიოს ემესელის თხუზულების თარგმანში (მე-12 საუკუნის პირველი მეოთხედი). 169. გვ. 36, 90.

როგორც აღინიშნა, სიტყვა «გვარი» უდრის სიტყვას: «მარგალიტი». ამგვარად, ვეფხისტყაოსანის ლექსი —

ვარქვი: ჩემო, განლა სადმე გენხარების ესე გვარი (1178)

ნიშნავს: — ვუთხარი: ოღონდაც სადმე მოგეხმარება, გამოგადგება ეს მარგალიტო (და თვალიო).

X

მარგალიტის სახელი, ძველი გამოთქმით, გვხვდება იოვანე შავთელის პოემაში: «აბდულ-მესია»; იქ არის ნათქვამი —

გქცა სრა სრულებით
სავსედ სრულებით
თვალ - გოვარებით (65,2)

იგივე მარგალიტი გვხვდება იქვე, მეორე სახელითაც: გოარი —

ვინმე იწყოს რიცხვი,
იყოს ურიცხვი
გოარი მათგან

დანათვალითა (43,1)

12. მანგი

ვეფხისტყაოსანში დასახელებულია «მანგი».

ავთანდილს მონამ —

მოახსენა: გვიბრძანებსო ტანი ალვა, პირი მანგი (120)

ანუ: თინათინო, რომელი არის ტანით ალვა (კვი-

პაროსი) და პირით მახვი, გიბრძანებს მობრძანდეთო. ს. ს. ორბელიანის განმარტებით, მანგი არის: მარგალიტი, გინა მთოვარე = მთიარე.

ვტ.-ის ლექსიკონებში «მანგი» არის სპარსული სიტყვა, რომელი ნიშნავს: მთიარე.

სპარსულად «მთიარე» არის «მაჰ». 109. გვ. 161. მაგრამ სხვა გამოთქმით კიდეც: «მანჰ», «მანხ». 11. გვერდი 129.

პროფ. ივანე ჯავახიშვილის ცნობით, სიტყვა «მანგი» წარმომდგარია სიტყვისაგან «მაგინი»; დამაგინება ნიშნავს ეენახის გადაწინდვას... «დამაგინება» კი არის გადაბმა - დაკავშირება და გაორმაგება, გამრავლების აღმნიშვნელი; ხოლო მანგი იხმარება ესლაც მეგრულში და მისი მნიშვნელობაა: თანასწორი, ტოლი, სწორე, მსგავსი. 11. გვ. 314.

ეს «მანგი» გვხვდება კიდეც «თამარია»-ში — მოემან გებით

მოე მანგებით (VIII, 13).

და აქაც ამ სიტყვას «მთიარის» მნიშვნელობა აქვს, ხოლო ძველ ქართულში ეს მთიარე = მანგი უნდა იყოს «ახალი მთიარე» ანუ მანგალი = ნამგალი = ნამგალა მთიარე (იხილეთ ჩემი: ვტ.-ის ვარსკვლავთმეტყველება. თავი — მთიარე).

ხოლო, ამავე დროს პოეტური შედარების საფუძველზე «მანგი» არის აგრეთვე «მარგალიტი», ვინაიდან მათი მსგავსება დიდია ფერითა და ბრწყინვალებით.

ნოდარ ციციშვილს სიტყვა «მანგი» გამოყენებული აქვს მთიარის მნიშვნელობით —

მოაგონდა, თქვა: «დაეკარგე უგი მზე და პირი მანგი» (შაირი 103).

ბესიკისათვის «მანგი» არის მარგალიტი —

ბარაინს მანგნი მოუტენეს
ბალახის ღელვით ღბინობდეს...
ოსტრიად მყოფს მქონდა მანგი,
ორბეთს მომყეა დია დანგი...

ვტ.-ში რომელი მნიშვნელობით არის გამოყენებული «მანგი»? მგონია: აქ მანგი არის მთიარე, მაგრამ აგრეთვე მარგალიტის მნიშვნელობითაც.

18. სადაფი

ს. ს. ორბელიანის განმარტებით «სადაფი» არის მარგალიტის კეტტყავი. სადაფი არაბული სიტყვაა (სადაფ) და ნიშნავს მარგალიტის ბუდეს ანუ ქვატყავს, რომელში ლოქორა იმყოფება. 11. გვერ. 141. სადაფი თეთრი ფერისაა, ბრწყინვალე, რომელს სიმწვანე - სილურჯე გადაჰკრავს; იგი თვალთა პართიოსანთ არ ეკუთვნის, და არც დიდად ძვირფასია. ავთანდილი თინათინის შესახებ ასმათს ეუბნება: მას მოვშორდიო, რომელს —

ბროლი - სადაფნი მარგალიტსა ლალის ფერსა
სცვენ და ბურენ (856)

(განმარტება იხილეთ აქვე, თავი 8, გვ. 127).

ნესტანი და ტარიელი —

ზღვასა შეფესა ეტყვიან ორნივე შუქთა მაფე-
ნი,

კბილნი ბროლნი, და ბაგენი სადაფთა მოსადა-
ფენი (1445)

კბილნი არიან ბროლი; ბაგენი — სადაფთა, ანუ
მარგალიტის ბუდის, მოსადაფენი კბილთა, ანუ მათი
მპყრობელნი, დამპყვრნი.

ნესტანს —

ჰგავს, თუ ტყუბი მარგალიტი ზის ბროლისა
ხარხანისა (1589)

ს. ს. ორბელიანის განმარტებით, ხარხანია არას
სადაფს შიგნითი. ამის მიხედვით გამოდის: ტყუბი
მარგალიტი (კბილები) ზის ბროლის სადაფს შაგ-
ნითო.

14. მარგალიტის რაობა

ამ მიმოხილვამ გვიჩვენა მარგალიტი სხვა და
ნაირი სახით, ვითარცა 1) სიმდიდრე, 2) სამკაული,
3) ძღვენი, 4) სიტყვა, 5) ლექსი, 6) ცრემლი, 7) კბი-
ლი, 8) შევენება და 9) დაქორწინების აღთქმა.

რასაკვირველია, მარგალიტის მთავარი დანიშნუ-
ლება ვეფხისტყაოსანში არის მხატვრული, — მათ
ინატება პირისახის ნაწილთა ბრწყინვალეობა და სი-
ლამაზე.

ფერთა მიხედვით, ვეფხისტყაოსანში გვაქვს: 1)
მარგალიტი თეთრი და ელვარე; 2) მარგალიტი ლა-
ლის ფერი, 3) მარგალიტი ნამგალა მთეარის ფერი.

მოყვანილობის მიხედვით: 1) მარგალიტი ჩვეუ-
ლებრივი, რომლის სახე ეტ.-ში განსაკუთრებით აღ-
ნიშნული არაა; 2) მარგალიტი ცრემლის მსგავსი ან
ელიპსოიდის სახე; 3) მარგალიტი ტყუბი.

სიდიდის მხრივ: 1) მარგალიტი ჩვეულებრივი, 2)
მარგალიტი ტრედის კვერცხის ოდენა, (რომელიც
არსებობს); 2) მარგალიტი ბატის კვერცხის ზომისა,
(რომელიც ბუნებაში არ არსებობს); 4) მარგალიტი
ბურთის ოდენა, (რომელიც არ არსებობს).

სახელთა მიხედვით: მარგალიტის ბუდე: ფრან-
გულად: ნაკრ დე პერლ; გერმანულად: პერლმუტ-
ტერ (დედა მარგალიტისა); ინგლისურად: მადთერ
ოვ პერლ (დედა მარგალიტისა); რუსულად: პერ-
ლამუტრ.

მარგალიტი: ფრანგულად: პერლ; გერმანულად:
პერლე; ინგლისურად: პერლ; რუსულად: ეემჩუგ.
მარგალიტი ლალის ფერი: გერმანულად: პინკპერ-
ლლე, ინგლისურად: პინკპერლ.

IV. თვალ - მარგალიტთა სიმპოლიზმი

მიმოვიხილოთ ვეფხისტყაოსანში დასახვლებულ
თვალ - მარგალიტთა სახელნი, ფერნი და დანიშნუ-
ლებანი. ამ მიმოხილვამ თავის თავად გარკვეული
დასკვნა მოგვართვა და ვეფხისტყაოსანის მხატვრუ-
ლი შემოქმედების ერთი წესთაგანი გაგვაცნო.

თვალ - მარგალიტნი ვეფხისტყაოსანში არისტო-
კრატიული წრის და დიდ - ვაჭართა სიმღ-დრესა,
ძალასა და გაელენას წარმოადგენენ.

თვალ - მარგალიტნი ვითარცა სიმღ-დრისა და
ძალა - გაელენის საშუალებანი გამოყენებული არ-
იან ძღვენისა და საჩუქარის სახით, სიდიდისა და
სიმტკიცის დასაყარებლად, ერთგულობისა და შე-
გობრობის განსამტკიცებლად.

თვალ - მარგალიტთა ბოძების ჩვეულება დამყა-
რებულია ეკონომიურ დებულებაზე: —

სმა - ჰამა, — დიდად შესარგი, დება რა სავარ-
გულა? (50)

ამგვარი ეკონომიური შეხედულებისაგან თავის
მხრივ წარმოშობილია ზნეობრეუ დებულება —

რასაცა გასცემ — შენია, რას არა — დაკარ-
გულია! (50)

ამ ზნეობრივ დებულებაზე აგებულია პოლიტი-
კური დებადიც —

უხესა მპორჩილობს ყოველ, იგიცა, ვინ ორ-
გულა,

კარგად გაგებული და დამიზნული ფსიქოლოგიური
მოსაზრებითა და მიმართულებით.

ყველა ეს დებულება ეტ.-ის საზოგადოების პატ-
რონ - ყმურ ანუ ფეოდალურ წესწყობილებას გვი-
ხასიათებს.

ეტ.-ში თვალ - მარგალიტთა დანიშნულებაა უმ-
თავრესად მაინც: — ხელოვნებასა და მხატვრულ
მიზნებს ემსახურონ.

ეტ.-ში თვალ - მარგალიტნი ნახმარი არიან: —
ფერთა საჩვენებლად, და, ამ ფერთა შემწეობით,
სილამაზის დასახატავად.

თეთრი ფერის დასახატავად მოწოდებული არიან:
მარგალიტი და ბროლი. ეს თეთრი არ არის უბრა-
ლო თეთრი, არამედ იგია ელვარე, ბრწყინვალე და
შუქთა მაფენი.

ელვარე თეთრი ფერით დახატული არიან: პირის
სახე, ყელი, კბილნი, თითნი.

თეთრი კეთილშობილების, არისტოკრატიულო-
ბისა და სილამაზის ფერია.

წითელი ფერის დასახატავად გამოყენებული არ-
იან: ლალი, ბადაზში, იაგუნდი, აყიყი, მარგალიტი
ლალის ფერი.

ამ წითელ თვალთა პატიოსანთა მეოხებით ნაჩუკნები არიან: ლაწენი და ბაგენი.

წითელი ფერი სიჰრთელის, ჯანმრთელობის, სილამაზის ფერია, — არისტოკრატიულობის ფერი.

რამეთუ თვალბზობისათვის და სილამაზის სრულენობისათვის მარტო თეთრა და წითელი ფერი საკმაო არაა, — იგი მესამე ფერსაც მოითხოვს, — და ეს ფერია — შავი.

შავი ფერი თავის თავად, ცალკე და მარტო, არა კეთილშობილი, მდაბიური ფერაა, ოღონდ თეთრსა და წითელ ფერთან ერთად, იგი სილამაზის აუკულებელი ნიშანია; იგი სილამაზეს ასრულოვნებს და შვენიებს სრულყოფილად ხდის.

შავი ფერის დასახატავად მოხმარებულა: გიშერი და სათი. თმა - თვალ - წარბ - წამწამნი შავი ფერით არიან დასურათებული.

საერთო ფერადობა პირისახა დახატულა: მინით ანუ ემალთ.

თეთრი, წითელი და შავი, ამ ფერთა შეზავება და შეთხზუვა, გამოსახული სათანადო კეთილშობილი და ნახევრად კეთილშობილი ქვეებით, უკვე სილამაზის სისრულეს გვისურათებს, — ანუ ს. ს: ორბელიანის მცნება რომ ვიხმაროთ, «მწყაზარობა» (მწყაზარი = სილამაზეზე მეტი) გვიხატავს, რომლის შესახებ ვეფხისტყაოსანში განუწყვეტელი გალობაა.

მწყაზარობის დახატვაში თვალ-მარგალიტო მწიშენლოვანი ადგილი უჭირავთ, და ვარდ - ყვავილთა, და ნათელის დახმარებით, განსაკვიფრებელსა და გასაშტერებელ სურათსა ქჷმნიან. ამ სურათზე: ხორცი და სისხლი, სიმრთელე და ფერადობა არის შევნიება სიკოცხლისა, რომელზე ეტ.ში გაბმული გალობითი ქებაა წარმოთქმული.

ყვითელი ფერი პირისახისა არის სიკოცხლის ძალის შემცირება, გრძნობა - გონების დაკარგვა; ქირისა და ვაების ნიშანია. ამ მდგომარეობის საჩვენებლად გამოყენებულია: ქარვა და ამარტა, — ორივე სიყვითლის სიმბოლო.

ლაფვარდი არის შიშისა და გულწასულობის სიმბოლო.

ჯავარი ვითარცა ზოგადი სახელი თვალ - მარგალიტთა ნახმარია ძვირფასობის, მაღალ ღირსებათა აღსანიშნავად, მამაშვილური და მეგობრული სიყვარულის გამოსათქმელად.

ალმასი სიმაგრისა და ძლიერების სიმბოლოა.

წურამუხტი მხოლოდ სილამაზესა და სიმდიდრეს წარმოადგენს.

ანთრაკი ანუ იაკინთე = წითელი იაგუნდა ყველგან ბრწყინვალეებასა ჰქენს

არ ეიცნობ არც აღმოსავლეთის, არც დასავლეთის შუა საუკუნეთა მწერლობაში არც ერთ ისეთ თხზულებას, რომელში ფერთა სიმბოლიზში ასე მდიდრულად, უხეად და სათანადოდ მადლანი კალამით იყოს აღწერილი. ამ მხრივ ვეფხისტყაოსანი მსოფლიო შუა საუკუნეთა მწერლობით გზაზე მარტოდ მოდის, უტოლო და მიუწევნელი.

ქარი მიმოიხე

I. ვეფხის ტყაოსანის

ვარდ - ყვავილნი

სავსებით სამართლიანად აღნიშნავს პროფ. ფრიდრიხ დიცი, — სამხრეთ ქვეყანათა მცხოვრებთ ბუნების ფერადობა და სილამაზე არ ეტაცებს და არ აღლევებს, ვინაიდან იგი მას ყოველდღიურად ხედავს, მას მიჩვეულია; ბუნებია ფერადობა მისთვის უკვე ჩვეულებრივია. ჩრდილოეთის ძუნწ ბუნებაში მცხოვრები ბუნების თითოული სურათით გატაცებულია, აღფრთოვანებულია და მისი ყოველი ფერით ტკებება. ამით აიხსნება ის მოვლენაც, რომ სამხრეთ ქვეყანათა მწერლობაში ბუნების აღწერას მკირე ადგილი უკავია, ხოლო ჩრდილო ქვეყანათა მწერლები კი სწორედ ბუნების ფერადობითა და მისი სილამაზით არიან დაპყრობილიო. მაგალითად, სამხრეთ საფრანგეთში, პროვანსულ ტრუბადურთა პოეზია ბუნებას უფრო ნაკლებ ყურადღებას აქცევს, ვიდრე ეს აქვთ გერმანელ მინწეზანგერთ. პროვანსელი ფოლკეტ დე მარსეი ერთ თავის ლექსში ამბობს —

არა ყვავილთა გულისათვის გაიგონებთ ჩემს გალობას...

რამბო ორანელიც —

მე არა ვგალობ ჩიტუნისასა და ყვავილისათვის...

არამედ ჩემი საყვარელის გულსათვის... 187.

მეტამეტე საუკუნედან ევროპის მწერლობაში ბუნება და კერძოდ ვარდ - ყვავილნი უკვე მოექსნენ მგოსანთა თვალახმაში (თვალახმა = თვალთ მოწონება. ს. ს. ორბ.) და ვარდ - ყვავილნი მათი აღმაფრენის საგანი გახდა. ხოლო მეხუთმეტე საუკუნედან, როცა ევროპაში ბუნებას დახატვაც გავრცელდა, ყვავილებსაც ხატაენდენ, არა მარტო სურათის გამაშენიერებელ დამატებად, არამედ მხატვრობის შემადგენელ ნაწილად.

ვარდყვავილთა სამეფო, ბაღში მოთავსებული ევროპაში გვიან ჩნდება. აშკარაა, ბაღს სასახლეს

თან აწყობდნენ, და ეს ჩვეულება ევროპაში მხოლოდ მეთექვსმეტე საუკუნის დამდეგს დამკვიდრდა. იტალიაში, ნეაპოლის პოგვიზ რეალეს შესანიშნავი ბალი მხოლოდ 1496 წელს გააშენეს. ¹⁵⁸

ხელოვნურად ვითარდება ფრანგული ბალი და მისი გავლენით ინგლისური, რომელს მერმე მთელს ევროპაში მიბადეს...

მაგრამ აზიის შორეულ აღმოსავლეთში, იაპონიაში, ჯერ კიდევ მეცხრე საუკუნეში ბაღოსნობა ძალიან განვითარებული იყო და მრავალი დღეობა იქ ყვავილთა პირველ გაფურჩქნასთანაა დღესაც დაკავშირებული.

ჩინეთში ადრე შეიყვარეს ყვავილი; მას იქ უფრო მორთულობისათვის ხმარობდნენ.

ინდოეთში ბალი იშვიათი იყო, თუმცა იქ საზოგადოება დღეობებზე და ნადიმზე ყვავილებით ირთვება და იკაშმება, სათანადო დეფანსება ყვავილთა სილამაზისა მაინც უქნა. ჰინდურ სამღვთო წერაში «რიგვედა» მოთავსებულია არა ერთი გალობა ბუნების ღმერთთა შესახებ და «ათარვა»-ში ყვავილი აღნიშნულია ვითარცა ჯადოსნური მოხიბლვის ძალა. მხოლოდ გვიან მწერლობაში ჩნდება და იხსენიება ყვავილი: პოეზია და პროზა, ლირიკა და დრამაში, უკვე ყვავილისადმი სიყვარულიც მქაენდება. ¹⁵⁹

ძველი ებრაული მწერლობა ყვავილთ თითქმის არავითარ ყურადღებას არ აქცევს. შექმნილია ნაყოფიერი მიწა «ფსალმუნ»-ში და ესაია უგმლობს მთას, ტყეს, მიწას, მათ ნაყოფიერებას, გარნა ყვავილთ იგი სრულებით არ ახსენებს. ახალი იერუსალიმი, რომელი იოანეს გამოცხადებაში (აპოკალიპსის) საოცრადაა აღწერილი, ძვირფასი ქვებით არის მოქედილი, ოღონდ იქ ყვავილთ ვერ დაინახეთ. ებრაელთა წარმოდგენა სამოთხეზე, რომ იქ უპყენარი ყვავილები ჰხარობს, ქრისტიანთაგან ნასესხები შეხედულებაა.

არც ძველი ბერძნული და რომაული მწერლობა წყალობს ყვავილთ, თუმცა იქ ბუნება საერთოდ მიეწვებული არაა. თეოკრიტოს და მელეაგერ ყვავილებს ხშირად იხსენიებენ, მაგრამ მათ ისინი ვითარცა სილამაზის გამომხატველთ, არ უყურებენ. არც ებრაულსა და არც წინარკლასიკურ მწერლობაში არ მოიპოვება ისეთი გამოთქმა, რომელი ქრისტეს მიეწერება: «განიცადენით შრომანი ველასანა, ვითარ იგი აღორძინდის» (მათე 6,28). ყვავილთ შეგრძნობა ძველად ადამიანისათვის მიუღწეველი იყო. მრავალ, მრავალ მწერალს, რომელი ქრისტეს სიტყვებს ათარგმანებდა, ყურადღებაც არ მიუქცევია ქრისტეს სიტყვისათვის ყვავილთა შესახებ. ¹⁶⁰

(სანაცვლოდ, ძველი სპარსული, ფაჰლავი (ქარ-

თულად: ფალაური) მწერლობა თითოულ ღმერთს თითო ყვავილს მიუძღვნიდა, და ეს რელიგიური სიმბოლიზში ყვავილთა მაჰმადიანობაში დამკვიდრდა. მაჰმადიანურ სპარსულ მწერლობაში ყვავილი მგოსანთა აღმადგინის უცილობელი საგანი იყო და არის დღესაც. ¹⁵⁹.)

✠

ვარდო! ყველაზე უფრო უღამაზესად ხარ აღიარებული; შენა ხარ დედოფალი ყვავილთა სამეფოში, — მ-მართავს მას გოცე...
არ არის ყვავილი დედამიწაზე ზურგზე, რომელი ისეთი საყვარელი საგალობელი იყოს ვითარცა ვარდო. იმის მიუხედავად, რომ ძველი საბერძნეთის უღადესი მგოსანი პომპროსი ვარდს არ იცნობდა და რგი არ ეხილა, მას ახსენებს გაგონილი ცნობის მიხედვით, და დილის განთიადს ვარდს ადარებს. ამგვარადვე ჰეზიოდოსიც. ამ მგოსანთა ხანაში ვარდნი ჯერ კიდევ არ ენახათ. დემეტრეასადმი გალობაშიც, ძველ ელევსინურ მისტერიაში, ვარდი იხსენება, შემდეგ საუკუნეში ქრისტეს წინ, ოღონდ ამ ვარდს არც მაშინ იცნობდნენ. უფრო მოგვიანო გალობაში პროპერიენ დედას უამბობს, თუ ველზე როგორ ღზინობდნენ, ვარდსა და ლილას როგორ ჰკრეფდნენ, მაგრამ აქაც ვარდის ამბავი მხოლოდ გაგონილია; უფრო შემდეგ, არხილონოსის ხანაში, ვარდს უკვე იცნობენ და ერთი საუკუნის მერმე ვარდი გახდა საბფოს (მეფე საუკ. ქრ. წ.) საყვარელ ყვავილად. საბფო თავის ლექსებში ვარდს უმღერის და მას ღამაზ ასულს ადარებს, ან ღამაზ ასულს ვარდს ამბავსებს. ამ დროს გავრცელდა ვარდი საბერძნეთში და იქიდან იტალიაში, საიდანაც შემდეგ ევროპაში ყველგან გადაიწვია. ¹⁶⁰

ბერძნებმა ვარდი უფრო ადრე გაიცენეს, ვინემ ებრაელებმა, — ამიტომაც ბიბლიის ძველ ნაწილში ვარდი დასახელებული არ არის. არც ეგვიპტელები იცნობდნენ ვარდს იმ ხანად. გარნა არსებობდა თქმულება ვარდის შესახებ — ენუნმა დაბადა, შექმნა ვარდი, ოდეს მისი დაკოდირლი ფეხიდან სისხლის წვეთები გამოვიდა; ან მეორე თქმულების მიხედვით: წინად ვარდი იყო თეთრი, და ენუნის სისხლმა გააწითლა რგი; ან მესამე თქმულებით: — ტახის მიერ მოკლული აღონისის სისხლმა გააწითლა ვარდიო. ¹⁶⁰ წიგნი მე-2, გვ. 320.

პეროდოტეს ხანაში (500 — 424 ქრისტეს წინ) ბაბილონში ვარდი უკვე გავრცელებული იყო; — თვითოული ბაბილონელი თავის ჯოხზე ვარდის, ან ლილის, ან ვაშლის გამოხატულებას ატარებდა.

საბერძნეთში ვარდი გავრცელდა ფრიგიისა და თრაკიის გზით, და ყველა ღზინი, ყველა ნადიმი ვარდებით უნდა შემკობილიყო; ვარდთა გვირგვინთ

თავზე ირქვამდნენ. — ეს ჩვეულება რომში სიგიჟედ გარდაიქცა, და ვარდთა, ვარდის ფურცელთა თავზე გადაყრა, ვარდით იატაკის მოფენა, ვარდთა სარეცელზე მოყრა, სკამთა შემკობა და ვარდით მაგიდის გავსება ჩვეულებრივი ამბავი იყო. მსმელნი და მწიდნი (ღვინის დამსხმელნი და მიმწოდებელნი), მროკაენი და მგალობელნი, ჭაქანი და სასმისნი ვარდით შემკული იყვნენ. და აღარ იყვნენ კმა გაზაფხულს — ზაფხულით, ვარდს მოითხოვდნენ ზამთარშიც, და ამიტომ იგი იმ დროს რომს ეგვიპტიდან შეჰქონდათ: შუშებით. დაწესდა ნამდვილი თავგანება ვარდისა, და რაღა გასაკვირა, მგოსნები რომ ვარდს ხშირად უგალობდნენ! ¹⁶⁰.



გარნა გერმანთა შემოსევათა შედეგად ეს სიგიჟეც მოიხსო და ვარდიც.

შემდეგ ხანაში ვარდი გაავრცელეს ევროპაში ქრისტიანმა ბერებმა, მეცხრე საუკუნეში. ჯვაროსანთა ომების დროს ვარდი უკვე ფართოდ დაიწარმოებოდა ევროპაში. და ქრისტიანობამ მას საპატრო აღგილი მიანიჭა — ვარდი დასახა ქრისტეს სიმბოლოდ, და ვარდებით შემკულ ხატებს ხატავდნენ მხატვრებიც.

ეკლესიაში წმიდა ქალწული გამოსახულია ვითარცა ვარდი და ხატებს მისტიურა ვარდებით ამკობდნენ; დაწესდა ვარდთა დღეობები, რომელს როსარია, როზალია ერქვა და სხვა.

ვარდმა დაიჭირა ტანტი ტრუზადურთა და მიწაზე ზენგერთა პოეზიაში, ხოლო მეფეთა და ფეოდალთა სასახლეში დამყარდა ვარდის შესახები სავალდებულო წესიც. ვარდობის ყოველ დასაწყისს სასახლეს კარზე თავს იყრიდნენ მანდილოსანნი და რაინდნი, და გაზაფხულს იქ ხედებოდნენ — წესად იყო ვარდთა და ყვავილთა მირთმევა. გერმანული სატყევა «მაიე», რაც ყვავილთა კონას ნიშნავს, თვე მაისთანაა დაკავშირებული და ვარდყვავილთა მირთმევის ჩვეულებაზე მიგვითითებს, ამბობს პროფ. ვაქერნაგელ. ვარდყვავილთა კონის მიძღვნა სიყვარულისა და პატივის ნიშანი იყო, და არის დღესაც. ლხინში სტუმრები ვარდებით ირთვებოდნენ და დიდი ნაღმის დროს იატაკზე თუ გზაზე ვარდს კვავილთ მიმოაფენდნენ ხოლმე. ¹⁶⁰.

ვარდი პოლიტიკაშიც შეიჭრა: დროშებზე ვარდს ხატავდნენ... მაგრამ საკითხავია ისიც, თუ ვარდი საიდან გავრცელდა?



სად არის ვარდის სამშობლო?

ცნობილი გერმანელი მეცნიერი ვიქტორ ჰაპნ ამტკიცებს მეცნიერ შიგელზე დაყრდნობით — სიტყვა

ვარდი წარმოშობილია ძველი სპარსული სიტყვისაგან: «ვარედან»; აქედან ეს სიტყვა გადავიდა ბერძნულში, ვით სიტყვა «ფლოდონ»; შემდეგში — «როდია» ანუ «როდონ», საიდანაც წარმოსდგა უკვე შემდეგ ევროპულ ენებში გავრცელებული — «როდსა», «როსა», როზა = როზ. ამავე ძველი სპარსული სახელისაგან «ვარედა», «ვარდ», წარმოშობილია სომხური «ვარდ», არაბული «ვარდ», არამაული «ვარდა», კობტური «ვერტ», ახალ ბერძნული «როდონ». ახალ სპარსულ ენაზე «ვარდს» ჰქვია: «გულ», და ეს სიტყვა «გულ» სიტყვისაგან: «ვარდ» არის წარმოშდგარით. ¹⁶¹.

მამასადამე, ამ მკვლევარისა და მის მიმდევართა აზრით, ვარდის სახელი და სამშობლო არის სპარსეთი, გარნა ფრანგი მკვლევარი შ. ჟორჟ ამტკიცებს — ვარდი კავკასიური ყვავილი არის, და იქიდან გავრცელდა იგიო. ¹⁶².



რასაკვირველია, ვარდის პოეზია აღმოსავლეთში, კერძოდ, სპარსეთში ადრე დაიბადა, დაკოკორდა და გაიშალა. ამ მხრივ, ცხადია, ევროპა აზიას ვერ მიუღწევდა.

აქ სურათისათვის მხოლოდ მცირე მაგალითებს აღვნიშნავ —

აბუ ისაყ (ყესაი) უმღეროდა ვარდებს, ქალებსა და ლხინს...

რუდეკი (გარდაიცვალა 954 წ.) ვარდს პირს ადარებს —

ვარდი გაბრწყინდა, როგორც ტურფა ლეილის სახე ღელედან მოდის სურნელება ვარდის წყალივით, შიგ დაიბანა სატრფომ სახე ვარდისა გვარა... ¹⁶².

სპარსი დიდი მწერალი ფირდაუსი (941 — 1020) ვარდს ხშირად იყენებს სილამაზის დასახატავად, — ჯემშიდის ორმა ასულმა მორწყა თავისი ვარდისებური ღაწენი; ფერიდუნის სახე იყო წითელი ვით ვარდი; ზაალის ღაწენი ვარდნი არიან; ფერიდუნის სახე იყო ვით ვარდის ფურცელი და სხვა და სხვა.

ომარ ხაიფამ (1017 — 1123) სახეს ვარდს ადარებს — ლამაზი სახე ვარდის ფერით...

მუიზი გარდაიცვალა 1150 წ. ტურქებს ვარდის ფურცელთ ამსგავსებს...

რაფი მერველი ასულის ლოყებს ვარდს ადარებს... მუჰამად თალიყანელი ღაწეებს დამასკურ ვარდს ადარებს...

საადი (1184 — 1291) ამბობს — ვარდი წითელი იყო ვით ღაწეი ლამაზისა...

იმამ ჰერატელი (გარდაიცვალა 1268 წ.) ვარდს ღაწეებს ადარებს...

ესპანელი არაბი მეფე მგოსანი აბდალლაჰ (888 — 912) ამბობს — ღაწენი მისნი არიან ვითარცა

გაფურჩქენილნი ვარდნი...

ესპანელი არაბი-მგოსანი რაბმპი (860 — 940) ამბობს — მაგრამ შენთა ღაწეთა ვარდნი მაჰად ჰყუავიან...

ესპანელი არაბი მგოსანი იბნ ბაყი ამბობს — შენი პირის ღაწებზე... არის ვარდნი...¹⁰⁷.

თუ სპარსელ ნიზამის შივეტრუნდებით, მის პოემებში ვარდს ხშირად ვიხილავთ, როგორც მაგალითად — ასული შირინის ღაწენი არიან ვარდნი; ეაყი ხოსრო არის ვარდნი... ასული იფურჩქენბოდა ვით ვარდნი; მალრიბელი ასულის ბაგენი არიან ვარდნი, და სხვა და სხვა...



ქველ ქართულ მწერლობაშიც ვარდი არა ერთჯერ და ორჯერაა დასახელებული —

იოვანე შავთელი თავის პოემაში «აბდულ - მესია», დავითს უწოდებს «ნერვად ვარდისად» (7,3); დავითი «ფერობს ვით ვარდი თეთი დაცვარული» (29,3); «ვარდო ფურჩენილო, ცვათ განბანილო» (511); «ვარდზე გაშლილო» (110,3); და სხვა.

ჩახრუხაძე ამბობს — თამარ არის «ვარდი ნაფურჩნი» (თამ. 3,6); «შენთა ბროლ - ვარდთა» (5,41); «ბროლ - ვარდის ყელი» (7,2); «ვარდთა გიდაძე ნაშენობანი» (9,5) და სხვა.

ვარდთან სახის შედარება სილაშაზისა და წითელი ფერის აღსანიშნავად, ძალიან ხშირია ქართულ «ვისრამიან»-შიც, როგორც მაგალითად — რამინის პირი, ვარდის მსგავსა; სადაცა წალკოტსა შიგან წითელი ვარდი პოვის (რამინმა), მისა (ეისისა) პირისა მსგავსებისათვის მას ჰკოცნიდის; ათასი ვარდი ვისს პირსა ზედა უყვარდა; შენ წითელი ვარდი ხარ; შენ ღაწეთა ზედან მიწყვი წითელი ვარდი ჰყუავის; სალამს მოგასწენებს ვისა ვარდსა მოცინარსა; სადაცა ვარდსა ეპოებ, მოვკოცნი ღაწეთა შენთა სახებისათვის; წალკოტსა შიგან ვარდი მისისა პირისაებრ აყუავებულიყო, პირი ვარდისა წალკოტსა უგვანდა... და სხვა და სხვა...



ვარდთან შედარებას ვხვდებით აგრეთვე ქველ ქართულ სასულიერო მწერლობაში, ვით მაგალითად — გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში, რომელი 951 წელსაა დაწერილი, გიორგი მერჩულის მიერ: — «თქვენ ხართ სიწმიდისა ნაყოფნი, მცენარენი სულნელნი, ვარდნი შეენიერნი»... ჩრსენ ბერი თავის ზოტბაში დავით აღმაშენებელისადმი: ხარ «მეწენიერ, ვითარცა ვარდი ყუავილთა შორის»...¹⁰⁸.



ვარდ ყუავილთა სიმბოლიკას ევროპის შუა საუკუნეთა გვიან ხანაში დიდი ადგილი უკაყია, განსაკუთრებით მეხუთმეტე საუკუნიდან.

ვარდის ფერი — სილაშაზის ფერია.

ვარდი სიყვარულის სიმბოლოდ გადაიქცა და ამ მნიშვნელობით, ერთ ფრანგულ ალგორიას «ვარდის რომანი» (რომან დე ლა როზ) ეწოდება. შინაუზენგურთა პოეზიაში, გამოთქმანი: ვარდის მოწყვეტა; ვარდის გასრესა, ვარდის თავიქვეშ ამოდება, — ჩვეულებრივი იყვნენ: ვარდი ეწოდებოდა სიყვარულს და ვარდი იყო სიყვარული. ასე ხატავს ვარდს დიდებული დანტე თუმცა იგი მალა სიყვარულზე ლაპარაკობს.¹⁰⁹

ვარდის შემდეგ მეორე ადგილი ღილიას (შროშანი, სოსანი) ეჭირა. ღილია იყო ფრანგული სამეფო გვარის, ბურბონთა სიმბოლიური ყუაყილი — თეთრი ღილია. — პირის სახის ფერთა აღსაწერად მგოსნები სოსანსა და ვარდს მიმართავენ. წითელი და თეთრი სოსანი პირის კანს ასურათებდა.



აღსანიშნავია: პირველად ქართულ მწერლობაში ფერთა საკითხს, თუმცა არა ეუხისტყოსანთან დაკავშირებით, ჩვენი დიდი მწერალი გრიგოლ რომაძე შეეხო 1944 წელს. მან კრებულში «ქართველი ერი» (ბერლინი) ამ ფერთა სიმბოლიზმის შესახებ შემდეგი მეტად მნიშვნელოვანი და ფრად საგულისხმოდ აზრი ბრძანა მან —

შეე სათავეა სინათლის, რომელიც სიბნელეს ებრძვის. ამ «შებმაში» წარმოიშეა «ფერი»... ბაგრატიონთა საომარი ალაში მეწამული იყო, რომელსაც შუაგულში თეთრი ალი ჰქონდა გაწვილილი. ეს არ იყო შემთხვევითი არჩევა ფერისა. ჰინდოელთა «ვედანტა» სამფერად ისახავს ყოფას. ძირა ფენი ბნელია და ქაოტიური: «ტამას» — მას უდრის «აუ-ფერი»; შუანა ფენი ჰიდილია, ბრაჰოლა, «შებმა სინათლისა სიბნელესთან, წყობისა და რიგის ქაოტიურთან: «რაჯას» — მას უდრის წითელი; ზედა ფენი სისრულეა და ყუდროება ღეთიური: «სატტევა» — მას უდრის თეთრი. ბაგრატიონთა ალაში გვამცნეეს: მეწამული ფერით ალაშის ამმართველი ჯერ კიდევ შუანა ანუ ადამიანურ ფენშია მოქცეული, ხოლო თანვე თეთრი ზოლით მას თითქო წინასწარ აქვს მოზმული ზედა ანუ ღეთიური ფენი... —

უდავოა: ბაგრატიონთა ალაში თავის სიმბოლიკით უფრო მადლა სდგას ვიდრე ალაში ფრანგ შეფეთა. აქედან ნათლად სჩანს ისიც, თუ რად უწოდა ქართველმა ხალხმა თავის მცველს წმინდა გიორგის: «თეთრი». უკანასკნელი — როგორც გმირი და წმინდანი — მოქცეულია ყოფის ზედა ფენში, ჰინდოელთა თქმით: «სატტევა»-ში. ქართველთა ხილვა აქ ჯეროვნად ეთანხმება «ვედანტა»-ს სიბრძნესო.



ვარდა და სოსანს გარდა შემდეგი საპატიო ადგილი იას ეკუთვნოდა. ია გაზაფხულის წინამორბედი, და მისი პირველი ხილვა სიხარულის კივიანს იწვევდა: გლებები იას გრძელ ქოგარზე დააკრავდნენ ხოლმე და მის გარემოში როკვას შართავდნენ. იას არ შეეძლო პოეზიაში თავისი კუთვნილი ადგილი არ დაეკირა, ვითარცა საყვარელსა და ნაზობით აღსაყვებელსა საამურ ყვავილს, და მართლაც ეს ადგილი მას ერგო სათანადოდ.

მწერლობაში ყვავილთა დამკვიდრებამ წარმოშვა ვარდ ყვავილთა სიმბოლიზში, ევროპაში, მესხეთმეტე საუკუნედან, განსაკუთრებით —

წითელი ვარდი არის: სიყვარული, ქორწილი, ბედნიერება. იგია სიმბოლო სილამაზისა და სიყვარულის ბრწყინვალეებისა; ღვინისა და მხიარულების მომასწავებელი.

თეთრი ვარდი — სიყვარულზე უარის ნიშანია, სიკვდილი.

თეთრი სოსანი — მეფური ყვავილია, ხელისუფლებისა და ხელმწიფობის ნიშანი; სიწმიდე და უმანკობა.

წითელი სოსანი — სილამაზა.

ბუსმბიჯა — სიმტიკისა, ერთგულებისა და სიყვარულში მუდმივობის ნიშანია.

ია — სილამაზე და სენაზე. და სხვა და სხვა

მესხეთმეტე საუკუნედან ევროპის პოეზიაში ყვავილთა სიმბოლიკა ფართოდება, ვინაიდან იზრდება რიცხვი ყვავილთა, რომელიც მწერლობაში შედის, როგორც ამბობს პროფ. ვ. ვაკერნაგელ. 159.

ვარდ ყვავილთა სიმბოლიკას ვეფხისტყაოსანში დიდი ადგილი უკავია, განსაკუთრებით ვარდს, რომელი იქ ხშირად მოხსენებულა, — ამ მხრივ ვტყვი, რასაკვირველია, ევროპულ მწერლობას რამოდენიმე საუკუნით წინ უსწრებს...

II. ვეფხისტყაოსანის ვარდი

ვეფხისტყაოსანი ვარდთა ფერითა და სურნელებითა და სილამაზითაა მოფენილი და მკითხველის თვალი და ყნოსვა დამტკბარაა. იგი თავის თავს წალკოტში გრძნობს....

1. ვარდი — ყვავილი

ცნობილია, ბიბლიის ძველი აღთქმა ვარდს არ იცნობდა, მაგრამ ზოგ თარგმანში, მაგალითად: გერმანულ ბიბლიაში, და აგრეთვე ქართულ ძველ აღთქმაში ვარდი დასახელებულია, ოღონდ იქ ვარდს აქვს ან ყვავილი შროშანის მნიშვნელობა, ან ვარდი არის სახელი საერთოდ ყვავილისა. ასეთ

მოვლენას ვეფხისტყაოსანშიც ვხვდებით —

როდესაც ავთანდილი ტარიელს ეუბნება —
ვარდთა ნახვა გაგაკრობდეს... (936)

აქ იგულისხმება არა ნამდვილი ვარდი, არამედ ყვავილი საერთოდ, ისე ვით შემდეგ შაირშიაც —
ვარდის ფურცლობის ნიშანი... (1328)

სრული უეჭველობით, ვარდად მოხსენებულია ყვავილი, როდესაც ავთანდილის შესახებ ნათქვამია —

ვარდთა აკოცა ბაგითა, მოთვე ვარდისა დაირთა (1329)

ავთანდილმა ზღვა გამოელო, ხმელეთზე გადმოვიდა და —

სულთქნა რა ნახა ყვავილი მან, უანახავან ხანისა (1328)

ავთანდილი ზღვაზე დიდ ხანს იყო, და ამ ხანის განმავლობაში მას ყვავილი არ ენახა. ხმელეთზე რომ გადმოვიდა, გაეხარდა, როდესაც მან ყვავილი იხილა, და სწორედ ამ ყვავილს აკოცა მან ბაგითა, რომელი ვარდს ედარებოდა. აქ ვარდი არის ზოგადად ყვავილი.

ვარდი ვით ზოგადი სახელი ყვავილისა ქართულ ბიბლიაშიც იხმარება, მაგალითად — სოლომონის სიმბოლის წიგნში (2,8): გვირგვინოსან ვიქმნეთ ვარდითა ნარგისითა პირველ ედარე დაქნობამდე...

ვარდი ნარგისი აქ არის: ყვავილი ნარგისი. მაშასადამე, ვარდი არის ყვავილის ზოგადი სახელიც.

2. ვარდი — სიცოცხლის სიმბოლო

როსტევეან მეფე მოხუცდა; იგი სიბერეს ვარდას დაქნობას აღარებს —

რა ვარდმან მისი ყვავილი გაახმოს, დაამკნაროსა,

იგი წაეა და სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსა (35)

ვარდი აქ სიცოცხლის ნიშანია; სიცოცხლისა და სიკვდილის მუდმივი ცვალებადობისა.

ვაზირნი ამ ქვეყნიურ წესზე აგრეთვე სიმბოლიურად უპასუხებენ —

ვარდი თუ გახმეს, ეგრეცა გემართებს მისივე ჯერობა,

მისივე ჰმეტობს ყოველსა სული და ტურფა ფერობა (37)

ანუ: დამკნარი ვარდი მანც მეტობს სულითა (სუნითა) და ლამაზი ფერობით ყოველსაო: — იგი გამხმარიც კი ჩინებულიაო! ესაა სიმღერა სიბერესადმი, გალობა მოხუცთადმი, ღირსებისა და პატივის მინიჭება ბერობისადმი! ვარდა როსტევეანი მანც სიბერეს კირადა სთვლის —

მე გარდავსრულვარ, სიბერე მქირს, ჰირთა უფრო ძნელია, დღეს არა, ზვალე მოგვედები, სოფელი ასრე მქმნელია,

რალა იგი სინათლე, რასაცა ახლავს ბნელია! რასაც როსტევეანი ამბობს, ამას ვაზირნი ვერ უარპყოფენ, ოღონდაც ამ სოფლის გარდაუვალ კარონს — სიცოცხლე - სიკვდილისა — ისინი მაინც ალამაზებენ ვარდის მავალითით, და ამიტომ დასძენენ კიდეც —

მაგას ნუ ბრძანებთ, მეფეო, ჯერ კარდი არ დაგკნობია(38)

ნესტანი ოდეს ინდოეთს მიბრუნდა, გლოვაში მყოფი ხალხი ნახა, დედოფალი და დიდებულნი მას მოუხვივნენ და —

ქალი დაბნდა, მამისათვის ტირილიცა ვერ შემართა,

ვარდა რტონი ჩამოსცვიედეს, ზე ვერაეინ წამართა (1625)

ნესტანი ისე დაიბნა მამის სიკვდილის გლოვისა გამო, რომ ტირილიც ველარ გაბედა; ვარდს რტონი ჩამოცივიდნენ და ისინი ველარაეინ გამართაო.

ამგვარად, ვარდი არის სიცოცხლისა და ცხოვრების სიმბოლო.

8. ვარდი და მზე

მზე სიცოცხლის მანიკებელაა, მაცხოვარი და ცხოველმყოფელი. ამიტომ ვარდი მზესთანაა დაკავშირებული და მრავალ გვარი ურთიერთობით ვამოსახული.

როსტევეან მეფე თავის ასულს, თინათინს ჰქუას ასწავლის სამეფოდ, და ეუბნება —

ვარდთა და ნეხეთა ვინათგან მზე სწორად მოეფინების,

დიდთა და წვრილთა წყალობა შენცა ნუ მოგეწინების (49)

მზე თანაბრად ეფინება ვარდსა და ნეხვას ანუ მყარად ბალახს; სწორედ ამნაირადვე მეფემ დიდთა და წვრილს, ძლიერსა და სუსტს თავისი წყალობა არ უნდა მოაკლოსო. (იხილეთ თავი: «წყალობა»). აქ დადებულია მმართველობას სამართლიანობის წესი: ქვეშევრდომთადმი თანასწორი მოპყრობის შესახებ. — ამგვარსავე დარჩებას აძლევს ავთანდილი შერმადინს —

ყოვლთა მზეებრ მოგეფინოს, ვარდს არ ზრვიდეს, არ აკნობდეს (16მ)

ანუ: შერმადინი ავთანდილის სამეფოში ყველასათვის უნდა იყოს მზე, — უხვი და სამართლიანი, — ყველასათვის ნათელისა და სითბოს მიმწოდებელი,

— იგი ვარდს არ უნდა ჰყინავდეს (ზრვიდეს), არ აკნობდესო. (იხილეთ ჩემი ნარკვევი: «მზისმეტყველება»).

ავთანდილი თავის ანდერძში მეფე როსტევეანს სწერს —

მზისა შუქთა ვერ მქვერტელი ია ხმების, ვარდი სქნების (793)

ამგვარადვე, უმზეობა ვარდს გაახშობს, ფერს დააკლებს, ისე ვით საყვარელის ვერ ჰქვეტა შეუვარებულს ძველ ჰირს გაუახლებსო!

მაგრა ვარდას უმზეობა გაახშობს და ფერსა აკლებს (830)

ტარიელი ავთანდილმა გულმეწუხებულ იპოვნა; იგი «ახლოს მყოფი სიკვდილისა ჯდა და პარი დაებღიჯა... მას აღარა შეესმოდა, სოფლით გაღმა გაებღიჯა», ხოლო მისი მოსულიერების შემდეგ, იგი ავთანდილს ეუბნება —

ვარდი ვერ არის უმზეოდ; იყოს, დაიწყებს კნობასა (896)

მზე ნესტანია, ხოლო ვარდი — თვითონ ტარიელი

მაგრამ ტარიელს ავთანდილი ანუგეშებს, ბრძოლისაკენ მას მოუწოდებს და დასძენს —

მზისა შუქთა მომლოდინე ვარდი სამ დღე არ დასქნებას (903)

ანუ: შენ მზეს უნდა უცადო; ვარდი მზისა მოლოდინში სამ დღეს არ დაქნება; გარნა მარტო ეს «მოლოდინი» არაა საკმარისი, — საჭიროა «ცდა და გამარჯვება», რომელი ღვთის ხელშიაო.

შემდეგ: როდესაც ტარიელი და ავთანდილი ქებას მიეღვენ, — აქ მათ თავიანთი სატრფონი მოაგონდებთ, და ავთანდილი ამბობს —

ვარდი ამას ვერ იაზრებს, — მზე მომშორდეს, არ დავეწყო (921)

თუმცა ავთანდილი ამ აზრს ნუგეშით აცაებს და ტარიელს აჯერებს —

ნუთუ მოგხედეს ნახვა მისი, სულთა სრულად ნუ დალეო (921)

მერმე: ავთანდილი ტარიელს ნესტანის ძებნის აუცილებლობაზე ელაპარაკება, ძნელი საქმის გაკეთებას ურჩევს და დაურთავს —

ვერას ვერ შეიქმს ნაყოფსა ვარდი უმზეოდ კნობილი (934)

ანუ: უმზეოდ კნობილი ვარდი (რასაკვირველია, ნაგულისხმევია: «ყვავილი») ნაყოფს ვერ გამოიღებსო, — თუ არ იმოქმედებ შენ, მაშინ ვითარცა ძმა შენი, მე მოგეხმარებო —

შენ ვერას ირგებ, მე გარგებ, ძმა ძმისა უნდა ძმობალი (934)

და დაბოლოს: როდესაც ჩვენმა გმირებმა ქაჯე-

თის ციხე დაიპყრეს, — იქ ნესტანი და ტარაელი —
ეხვეოდეს ერთმანერთსა, აკოცეს და ცრემლნი
ღვარნეს,
მზე რა ვარდას შემოადგეს, დაშვენდენ და შუ-
ქნი არნეს (1421)

ანუ: მზემ ვარდს შუქი შემოადგა, მოაფრნა; ვარდ-
ნი დაშვენდენ და ვარდებმა შემდეგ, თვითონ, ეს
«შუქნი არნეს» (სიტყვისაგან — რება, ტარება),
თვითონაც შუქნი გამოსცესო.

ამგვარად, ეს «მზე» და «ვარდი» ვეფხისტყაოსან-
ში, შეყვარებულ გმირთა მქიდრო დამოკლებუ-
ლებისა და მათი მტკიცე ურთიერთობის გამოხატუ-
ველი არიან.



მზე სითბოს იძლევა და იგი მაცოცხლებელია —
ხოლო სიცივე კი დამაჰკნობელი და მომაკვლინებე-
ლია —

საბრალოა, ოდეს ვარდი დაეთრთვილოს, და
ცაეზროს;
ვის ბადახში არა ჰგევანდეს და ლერწამი ტანად
ეზროს (177)

ანუ: საბრალოა ვარდი, როდესაც იგი დაითრთვი-
ლება, დაიზრობა (სიტყვისაგან «ზრობა» — ყინ-
ვით დაწვა, დაზრობა. ს. ს. ორბ.); საბრალოა ასეთი
ვარდი (ავთანდილი), რომელს ბადახში არა ჰგავს,
რომელს ბადახში ვერ შეეძარება, და რომელსაც
«ლერწამი ტანად ეზროსო».

ყალბის მქმნელი პროფესორი იუსტინე აბულაძემ
ამ ლექსის გამო ამბობს: «უგვანო შედარებააა»-ო.
(ვტ. 1914 წ. გვ. 61). რა არის აქ «უგვანო შედარე-
ბა»? აქ «უგვანო შედარება» კი არ არის, არამედ
«უგვანო კონტრასტა» იუსტინე აბულაძისა!

იუსტინე აბულაძემ ლექსი ვერ გაიგო და იგი
«უგვანო შედარებად» გამოაცხადა! კიდევ კარგი:
არ შეასწორა! ალბათ ვერ მოახერხა!

რა არის «ლერწამი ტანად ეზროს»?

ჩახრუნხაძეს აქვს ერთი ლექსი —

ო ცის კარებით

იციისკარებით

შენთა ბროლ - ვარდთა ზრო ნათუჩევაღ.

პროფესორი ივანე ჯავახიშვილი ამის გამო ამ-
ბობს —

ზრო აქ ადამიანის სხეულს, აღნაგობის, მნიშე-
ნელობით არის ნახმარი. ს. ორბელიანის განმარტე-
ბით: «ზრო ისრის ტანია», მაგრამ «კაცთათაც
ითქმის»-ო. რაკი ისარსა და ადამიანის სხეულს შო-
რის მსგავება მხოლოდ ისწორის მხრივ შესაძლე-
ბელია იყოს, ამიტომ საფიქრებელია, რომ ისრის ტა-
რსაც ზრო უნდა, ვითარცა ხის აღერებულ ნაწილს,
ეწოდებოდესო და თან დასძენს: «ზრო» ზმნად ქცე-

ულა და ვეფხისტყაოსანშიც არის ნახმარი. იქ ნა-
თქვამია: «საბრალოა ოდეს ვარდი დაეთრთვილოს,
ღაეზროს, ვის ბადახში არა გევანდეს და ლერწა-
მი ტანად ეზროს» (აბულ. § 137). ვარდის ტანს
«ლერწამი» ეწოდებოდა, მაგრამ რაკი შედარება
ადამიანს ენება, ამიტომ მისი ტანის შესადარებლად
ზის ტანის სახელად «ზრო»-ა აქ გამოყენებულიო.
105.

ს. ს. ორბელიანის განმარტებით, ტანადობა არის
ზრო — შეენიერება ტანისაო.

ამგვარად, ლექსის განმარტება ასეთია —

საბრალოა, ოდეს ვარდი (ავთანდილი) დაეთრთ-
ვილოს, გაეყინოს (დაცაეზროს); საბრალოა ავთან-
დილი, რომელს ბადახშიც კი ვერ შეეძარება თა-
ვისი სიწითლე შევენებით; და რომელს ლერწამი
აქვს ტანად ეზროსავეთ ანუ სწორი და წერწეტა
ტანი აქვს ვით ისარსაო (ტანად ეზროს).
ეს არის «უგვანო შედარება»?!

4. ვარდი — სურნელება

ვარდი ვანთქმულაა თავისი სურნელებით. სწო-
რედ ვარდისებურ სურნელებას ჰფენს ავთანდილი.
როდესაც იგი ვაზირს ეწვევა —

თქვეს: «სურნელი სული ვარდთა დღეს მოგე
ბერა ქვენა ბუქმან (730)

გამოთქმა «სურნელი სული» ძველ მწერლობაში
ზნირად იხმარება (იხილეთ თავი — «სული»).

ვარდი — შეენება; ვარდი — «სურნელი სულის»
მაფრქვევი, — ასეთი არიან ვეფხისტყაოსანის მთა-
ვარნი გმირნი, რომელთაც კარგად იციან, რომ ვარ-
დი მხოლოდ იადონსა და ბულბულს, შეყვარებულთ
ეკუთვნის.

5. ვარდი და იადონი

ცნობილია პოეტური ჰანგი: ვარდი და იადონი,
— ორივე სიმბოლო სიყვარულისა! ამიტომ ეუბნება
ტარაელი თავის საყვარელ მეგობარს, ავთანდილს:
გასაყრელად გეძნელები, იადონსა ვითა ვარ-
დი (666)

და როცა ავთანდილი ვაზირს უმტკიცებს ტარი-
ელთან მიბრუნების აუცილებლობის შესახებ, მას
ეუბნება —

იადონი მაშინ მოკედეს, ოდეს ვარდმან იდაშქ-
ნაროს (76?)

აქა ვარდისა და იადონის, შეყვარებულთა ურთი-
ერთობა სიკვდილის ძლიერებით გამოხატული, —
რადღენ დიდი და მძლეა ნამდვილი სიყვარული! —
თორემ ბილწი სიყვარულისათვის, მრუშობა სიძ-
ვისათვის, მტლაშა მტლუშისათვის არა იადონი და
ბულბულია წარმოდგენილი, არამედ — ყვავი.

6. ვარდი და ყვავი

აეთანდილმა ოდეს ფატმანის სატრფიალო წიგნი მიიღო —

თქვა: «ყვავი ვარდსა რას აქნევს, ანუ რა მისი ფერია (1070)

ერნაიდან ყველამ იცის, —

მართლად თქმულა: «არა ქმართებს ყვავსა ვარდი, ვირსა რქანი (1166)

როდესაც აეთანდილი ფატმანთან სარეცელს იზიარებს, თავის თავზე ამბობს —

უმისოდ ნებთა ზედა ეზი ბულბული მსგავსად ყვავისად (1253)

«უმისოდ», ესე იგი, უთინათინოდ ვარ, ნებთა ზედა ანუ მყარალ ბალახზე ვზი მე ბულბული, ვით ყვავიო. გარნა ფატმანს ეს არ ენაღვლება, რადგან —

ფატმან მას ზედა იხარებს ნართ ვითა იადონია, თუ ყვავი ვარდსა იშოვნის, თავი ბულბული ჰგონია (1254)

ფატმანს სიამოვნებს აეთანდილთან = ვარდთან ყოფნა, ვით იადონს, ოღონდ ფატმანი მაინც ყვავია, თუმცა მას თავი ბულბულად წარმოუდგენია!

ამ დებულებით არის აღნიშნული ორი მოვლენა:

1. სიყვარულის დებადი ანუ დებულება, და 2. სოციალური დებადი. აქ საუბარია წმიდა და არა წმიდა სიყვარულის შესახებ: — არა წმიდა სიყვარული აქ დაგმობილია, უგულვლო სიყვარულადაა დასახული, და ამიტომაც ასეთი სიყვარულან მიმდევნოდ და გამანამდვილებელად არა ბულბული ანუ იადონი არის აღნიშნული, არამედ ყვავია დასახელებული, მეორე მხრივ აქ საუბარია წოდებრივი თანასწორობის დარღვევის შესახებ. აეთანდილი არის მეფე, სპასპეტი, ხოლო ფატმანი კი ვაქარის მუღლუ!

სიყვარულის საქმეში წოდებრივი მდგომარეობის შერყევა და დარღვევა მუდამ ხდებოდა ევროპაში და საქართველოშიც. მაგრამ სოციალური დებადი მაინც თავის თავად რჩება. ეს კარგად იცის აეთანდილმა და ამიტომ ფატმანთან წოლის დროს —

ჰკლავს თინათინის გონება, ძრწის იდუპლითა ძრწოლითა (1252)

მაშასადამე, ვარდი არის წმიდა სიყვარულის სიმბოლო.

7. ვარდი — პაემანის ნიშანი

აეთანდილი ოდეს ნესტანის საქმბენლად გაემგზავრა, მან ტარიელს პირობა დაუდვა: ერთი წლის განმავლობაში მოვბრუნდები და სწორედ ვარდობას დროსო, იმ ხანისათვის, როს ვარდი იეფი იქნება,

ანუ ხშირი, ბევრი იქნებაო —

ამა ჟამსა ნიშნად მოგცემ, დროსა ამას ვარდი იეფსა;

ვარდთა ნახვა გაგაკრთობდეს, მართ ვითომცა ძალლი ყუფსა (936)

უბრალო წაკითხვით ეს წინადადება უცნაურ შთაბეჭდილებას სტოვებს: რა შუაშია აქ ძალლი და მისი ყუფა? და ისიც ვარდთან დაკავშირებით? ეს ლექსი სრულიად უაზრო იქნებოდა, რომ ვეუხასტყოსანის მაშინდელ მკითხველს ასტრონომიის შესახებ წარმოუდგენა არა ჰქონოდა...

აღნიშნული ლექსის მარტივი ახსნა შემდეგია: — ვარდთა ანუ მრავალ ყვავილთა ნახვა გაგაკრთობდეს ვით მოულოდნელად ძალლის დაყუფებაო. მაგრამ ასეთი განმარტება არ შეეფერება არც ვეფხისტყოსანის სიდიადეს და არც ძველ მკითხველს წარმოგვიდგენდა დიდი გემოს შეჰგრძნობად.

ძველი ასტრალ - მითოლოგიური შეხედულების თანახმად, ძალლი ანუ დიდი ძალლი ერქვა 18 ვაჟსკელაიან გუნდს ანუ ვარსკვლავებს, რომელსაც ძველი ბერძნები უწოდებდნენ: «კიონ», ლათინები — «კანის», არაბები — ეო-ხელბ ახბერ, 100.

ბერძნები ამ გუნდის მთავარ ვარსკვლავს, მისი ბრწყინვალეების გამო უწოდებდნენ: სერიოსს, სირიოსს, სირიუსს. სირიუსის ანუ ძალლის აღმოსვლა ცაზე იწყება მაშინ, როცა მზე ლომის ზოდიაკოში შედის, ესე იგი, ივლისის ოქტანამს. ესაა სარტიქის, ძალლის გამოჩენა ცაზე.

ამგვარად, ტარიელისათვის დანიშნული დრო აეთანდილის დაბრუნებისა, იყო 23 ივლისი, როცა ცაზე ძალლი გამოჩნდებოდა და ამავე დროს ვარდთა ანუ ყვავილთა სიმრავლე იქნებოდა. და აეთანდილი ბრუნდება გულანშაროდან იმ დროს, როდესაც —

მოწურვილ იყო ზაფხული, ქვეყნით ამოსვლა მწვანისა;

ვარდის ფურცლობის ნიშანი, დრო მათას პაემანისა (1328)

ვარდი აქ არ ნიშნავს: როსა, როზა, არამედ იგია აქ საერთო სახელი ყვავილთა; ვარდის ფურცლობა არის მრავალი ყვავილის გაშლა - გაფურჩქვნა, რაც იგივე ვარდის იეფობა ანუ სიმრავლეა.

(ძალლისა და ვარდის საკითხის შესახებ იხილეთ «ვარსკვლავთმეტყველება, თავი: «სირიუსი» და თავი: «სარატანი თუ საროს ტანი»).

8. ვარდის წყალი

ვარდია აგრეთვე სურნელი წვენის მომცემი და არც ეს მისი თვისებაა ეტ.ში მივიწყებული.

ნესტანისათვის ფარსადანმა გააშენა — კარზედა ბაღია, საბანლად სარაჯი ვარდის

ტარიელმა პირველად ეს ბაღჩა როს ნახა, გაუქვირდა —

ბაღჩა ვნახე უტურფესი ყოვლისავე საღბინოსა, მრავლად იყო სარაჯები ვარდის წყლისა აბანოსა (341)

საღბინო არის ლხინის, სიამოვნების, სიხარულის ადგილი. სარაჯა არის ს. ს. ორბელიანის განმარტებით: ქვისა და ძელისა ღარივით რუსათვის.

მ. ვარდი და ეკალი

ამ შესანიშნავსა და ყოველ მხრივ წარმტაც ყვავილს ეკალი იცავს და მომწყვეტელმა ეკალს თითი არ უნდა წამოაგოს. ვარდი უეკლოდ არ არსებობს —

არ იცი ვარდი უეკლოდ არაეის მოუკრებიან, — ეკითხება ტარიელს ავთანდილი, და ამით იგი მას ჰკუთს ასწავლის: ქირთა გადაუხდელად, გაქირეებათა გადაუღახველად ძნელია დიდი საქმის გაკეთება, ნესტანის მოძებნაო, და ამ თავის დებადს იგი შესანიშნავად ასაბუთებს —

ვარდსა ჰკითხეს: «ეგზომ ტურფა რამა შეგქმნა ტანად პარად?»

მიკვირს, რად ხარ ეკლიანი, პოვნა შენი რად არს ქირად?...

მან თქვა: «ტკბილსა მწარე ჰპოვებს, ზგობს, იქმნების რაცა ძვირად!

ოდეს ტურფა გაიფედეს, არღარა ღირს არცა ჩირად (87მ)

ანუ: ის, რაც ძვირია, ესე იგი, იშვიათია, მაღალია და დიდი ღირებულებებისა; ის, რაც ხშირია ანუ ბევრია, ჩირადაც არ ღირსო. თუ ტურფა ანუ ძვირფასია ოქროქსოვილი გაიფედა, გამრავლდა, მაშინ მისი ფასი ეცემა, ჩირად ხდება; ესაა ეკონომიური კანონი — ფსიქოლოგიური კანონიდან გამომდინარე.

სიტყვა «ტურფა», ვითარცა ოქროქსოვილი ძვირფასი ნოდარ ციციშვილსაც აქვს გამოყენებული თავის «ბარამ - გურიან»-ში —

გვესმა ვაჭრისა სტუმრობა, ზაულთ მომავალისა, ვარო მყიდველი ტურფათა, თვალ - მარგალიტთა, ლალისა (შაირი 229)

(იხილეთ აგრეთვე აქვე, თავი 1. ტურფა. გვერ. 39).

ავთანდილი თავის მტკიცებას განაგრძობს —
რათვან ვარდი ამას იტყვის უსულო და უსაკო, მაშა ლხინსა ვინ მოიძვის, პირველ ქირთა უშუშაკო? (879)

ანუ: ვინაიდან ვარდი, რომელი არის უსულო, ადამიანის სულის უქონელი; რომელი არის უსაკო ანუ უხორცო, ადამიანის ტანის უქონელი; რადგან იგი ამას იტყვის, პირველად ქირი უნდა განიცადო,

მწარით ტკბილი უნდა მოიპოვო, განა ადამიანი სხვაგვარ მოიპოვებს და მოიძვის ლხინს, თუ მან ქირი არ გამოიარაო?

ამით დასაბუთებულია მუშაკობის, მოქმედებას, ბრძოლის აუცილებლობა, რომლის მქადაგებელი და გამანადღებელი თვითონ ავთანდილია.

10. თინათინი — ვარდი

ვარდი ვტ.ში გამოყენებულია კიდევ ნაცვალ სახელადაც, რომელიმე მოქმედი პირის შესახებ ნათქვამი არაა მისი სახელი, არამედ ნახმარია მხოლოდ სიტყვა «ვარდი». ეს «ვარდი» სილამაზეს გამოხატავს, თავისი ფერის აღნიშვნითაც, რომლითაც პირის სახეა ნაჩვენები.

ტახტზე ასვლისას, ვინაიდან თინათინი საამისოდ თავს ღირსაც არა სთვლიდა —

ამდ ტირს, ბალი ვარდიაა ცრემლითა აივსებოდა (47)

ბალის ვარდი — თინათინის პირია.

თინათინის შესახებ ავთანდილი ამბობს, მას მოვმორდიო —

სადა ინდონი ბროლ ვარდსა სარევენ გიშრისა სარითა (889)

ბროლ ვარდი ანუ თეთრ - წითელი არას თინათინის პირისახე; ინდონი არიან წამწამნი, რომელი ერტყმიან (სარევენ, დასარული არიან) გიშრის, შავი სარებივით.

11. ავთანდილი — ვარდი

თინათინთან დაშორების შედეგად, ავთანდილი —

ბროლსა სეტყვს და ვარდსა აზრობს, ტანსა მქვერსა ათრთოლებდა (138)

ცრემლსა ვითა მარგალიტსა, ჰყრის ვარდისა დასანაზოდ. (141)

ცრემლნი ცხელი ასველებდის ნარგისთაგან ვარდსა ზრულსა (152)

ასმითთან უსიამოვნო დავის შემდეგ, —
ავთანდილ ქვე ზის მტირალი, აღარას მოუბარაა,

ვარდისა ბალსა მოგუბდა ცრემლისა საგუბარია (244)

ავთანდილზე ნათქვამია —

ვარდი ქნებოდა, ღრებოდა, ალვის შტო შეიჩხეოდა (954)

ვარდი — ავთანდილის პირია ქნებოდა, ღრებოდა (სიტყვისაგან: ღრე — დაფლატული ადგილი, ჩა მონგრეული, ს. ს. ორბელიანის განმარტებით; და არა «გაყვირებული», როგორც ეს პროფ. აბულაძეს აქვს ახსნილი. ვტ.ი. 1937 წ.), ანუ ვარდს ფუ

რკლები სცივოდა, და ალვის შტო, ავთანდილის ტანი ირხეოდა ქეითინის შედეგადო. და სხვა ასე მრავალჯერ.

აქ ყველგან ვარდი არის ავთანდილი, მისი პირი - სახე.

12. ნესტანი — ვარდი

ნესტანო, ამბობს ტარიელი —

ვერვინ ვხედვიდით, შეიქმნა პირითა მინა - ვარდითა (331)

ანუ: ნესტანის პირი იყო ფერადოვანი ვით მინა, ესე იგი, ემალი, და შევენებით: ვარდით.

როცა გაჯავრებული ნესტანი დამშვიდდა, ტარიელი ამის გამო ამბობს —

იგი წვიმა დარენელდა, რომე პირველ ვარდი აზრა (536)

ანუ: წვიმა შეჩერდა, რომელმა პირველად (გაჯავრების დროს) ნესტანის ვარდი - პირი აზრა ანუ მოთოშა, დასუსხაო.

ნესტანის დაკარგვის ანუ წარხლომის შესახებ ტარიელი ამბობს —

ვა, წარხნა ვარდი პობილა, ვა, მარგალიტი წყობილი (919)

ვარდი აქ არის ნესტანის ტუჩები, მარგალიტი წყობილი — კბილები. ვარდ პობილი — ვარდი გაფურჩენილი, მოსაუბრე ტუჩებიო.

ნესტანის ტირილის გამო ფატმანი ამბობს —

ცრემლსა სეტყვს და ვარდსა აზრობს, წამწამთაგან მოქრის ბუქი (1143)

ნესტანი ცრემლებს სეტყეასავით ჰყრის, წამწამთაგან გახსნა - დახრის შედეგად, ბუქი მოქრის და ვარდსა ანუ პირს აზრობს, ჰყინავსო.

ნესტანი —

კვლასა იტყვის: ანუ დავაქნობ შევენებასა ვარდთა ფერსა (1191)

ნესტანის პირი ვარდთა ანუ ყვავილთა შევენებაა.

ხოლო შიშისა გამო, როცა მოულოდნელად ნესტანს ქაჯეთის ციხეში ფატმანის მონა - ზანგი ეწვია —

შეცვალა ვარდი ზაფრანად, ლაქვარდის ფერად იანი (1278)

როდესაც მეფე როსტევანმა ნესტანი პირველად იხილა, მას ეუბნება —

თქვენ საჭკრეტლად აღარ მინდით, არ ვარდნო და არ იანო (1537)

ნესტანის შეენება როსტევანისათვის ისეთი მომხიბლველი იყო, რომ იგი ვარდსა და იას სჯობნადა. და სხვა და სხვა.

18. ტარიელი — ვარდი

ტარიელს არ აკლია ვარდის შეენება; ეტ.ში თა ვიდანვე ნათქვამია, ტარიელი ჯდა მტირალი მდარარის ნაპირზე —

ცრემლსა ვარდი დაეთრთვილა, გულსა მდულრად ანატირსა (84)

ასმათს —

ეგონა თუ, დაბრუნდაო პირი ვარდი, ბროლ - ზაკმული (230)

და შეწუხებული —

ტარიელის ვარდი იყო დათრთვილული, არ დაზრული (284)

ტარიელის პირი მხოლოდ თრთვილით იყო დაფარული, იგი ჯერ დაზრული ანუ ყინვისაგან მომწვარი არ იყოო.

ტარიელი თავის თავზე ამბობს —

ხუთისა წლისა შევიქმენ, მსგავსი ვარდსა შლილისა (320)

ხატაელი მოციქული ტარიელს ეუბნება —

შკედარი მიძიმს სანახაეად ტანი მქეერი, პირი ვარდი (433)

ტარიელი თავის თავის შესახებ —

ფერმიხდილ გვარად ვშეენოდი ვარდი, ცრემლითა ნაბანი (478)

ხოლო შემდეგ, ტარიელის —

ვარდი სრულად შექმნილიყო ზაფრანად და ვითა სპეტად (500)

ამიტომ ტარიელს ფრიდონი ეუბნება —

რამან შექმნა მოყვითანოდ, ვარდ - გიშერი რომე ჰრგავსო? (599)

ანუ: რამ გააყვითლა შენი პირი, რომელი დარგული ვარდი ყოფილა; და სადაც გიშერი ანუ წამწამები დარგული ყოფილა?

ავთანდილიც ასევე აღწერს ტარიელს —

მუნ პირი მსგავსი ვარდისა, მაგრა აწ ფერ - ნაკულისა (690)

და კიდევ —

ვარდი დამქნარი ეკლსა შუა შორს-მყოფი ახის ა! (688)

აწ ზაფრანაა, ვინ წინას ვერ ვარდი ჰგვანდის, ვერ ია (854)

და სხვა და სხვა.

14. ფრიდონი — ვარდი

არც ფრიდონი არის ვარდის შეენებას მოკლებული. როდესაც ავთანდილმა მას ტარიელის ამბავი მოუთხრო, ფრიდონს —

მონაქროლმან ვარდი დაზრა, წამწამთაგან ბუქი ბუქდა (986)

და ორივე, ავთანდილი და ფრიდონი —
გულ-ამოსკენილი გულითა ტირან, ვერ დამ-
თმობარითა,
მუნ ვარდსა წყლითა ცხელითა რწყვენ ტევრ-
თა საგუბარითა (1005)

ანუ: ორივე თავისი ცხელი ცრემლებით (წყლითა ცხელითა), რომელი თვალთაგან წამწამებით სცი-
ვოდათ, რწყავდნენ პირსო (ვარდი).

ამგვარად, თინათინს, ავთანდილს, ნესტანს, ტარი-
ელს, ფრიდონს — ყველას პირა ვარდისა აქვს, ყვე-
ლა ვარდისებური შეენებითაა შემკული.

15. ვარდი — პიროვნება

როგორც აქ უკვე აღვნიშნე, ვარდი გამოყენებუ-
ლია აგრეთვე ნაცვალ სახელად, რომელიმე პიროვ-
ნების მოსახსენებლად.

თინათინი. — ავთანდილი რთს თინათინმა დაიბა-
რა, იგი სასწრაფოდ გაეშურა, რადგან —

უხარის შეყრა ვარდისა, არ ერთგან შეუყრე-
ლისა (121)

ავთანდილს უხარია თინათინთან შეხვედრა (შეყ-
რა), რადგან იგი ჯერ მასთან ერთად (ერთგან) არ
ყოფილა შეხვედრილი (შეყრილი).

ავთანდილს თინათინი ეუბნება თავის შესახებ —
კოკობი და დაუფრქველი ვარდი დაგზავდე,
დაუშქნარი ((132)

და სხვა.

ავთანდილი. იგი თინათინს უპასუხებს —
ვარდი ჩემი არ დასქნების, შუქი შენი იეთად
ა (135)

ხოლო სატრფოსაგან მოშორებულმა, მან —

თქვა: «მზეო, ვარდსა სიშორე შენი დამაჩნდეს
ეს აღრე (139)

და მართლაც —

ვარდი მის მზისა გაყრილი უფრო და უფრო
ქნებოდა (180)

ვარდი ქნებოდა, ღრებოდა, ალვისა შტო ირ-
ხეოდა (954)

წამოვიდა ვარდი ტკბილი, რასამცა ვით გაემ-
წარა (1117)

აქ ყველგან სიტყვით «ვარდი» ავთანდილი იგუ-
ლისხმება.

ნესტანი. რა გასაკვირია, მის ნაცვლად ვარდი ით-
ქმოდეს! ასმათი ტარაელს ნესტანის შესახებ: —

მოდი, ნახე ვარდი შენი უფრქველი და და-
უმქნარი (393)

ფრიდონი მოუთხრობს ტარაელს ნესტანის შესა-
ხებ —

იგი ვარდი შემეყვარდა, რომე თოვლსა არ ეხე-
წა (627)

ანუ: შემეყვარდა იგი ქალი — ვარდი —, რომელი
თოვლს არ ეხეწა, არ მოეძარცვა, არ გაეფუჭებინაო.
ქაჯეთის ერთი მოლაშქრე ნესტანს ასე მიმარ-
თავს —

მზისა შუქნი მოიცადენ, ვარდო, აღრე ნუ დასქნე-
ბი (1279)

და სხვა.

ტარიელი. იგი თვით ამბობს —

ფერმიხდილ გვარად ვშენოდი ვარდი, ცრემ-
ლითა ნაბანი,

ვინცა მიქვრეტდის, ბნდებოდის, — მართალ
არს, არ კატაბანი (78)

თვით წინადადების აზრიდან ჩანს, კატაბანი არის
მოპირდაპირე სიტყვისა «მართალი». ნამდვილადაც
ეს სიტყვა «კატაბანი» ნიშნავს: ტყუილი, სიცრუე.
«კატაბანი» წარმომდგარია ფალაური ენიდან, აა-
დაც მისი გამოთქმა იყო: კადბა; და ახალ სპარსულ
ში «კაბად». 107.

ავთანდილი ტარიელის შესახებ ფრიდონს მოუთ-
ხრობს —

ვპოვე ვარდი მოყვითანო, შუქ-მკრთალა და
ფერმიხდილი (977)

და სხვა.

ამ მოხილვამ გვიჩვენა: ვარდი ვეფხისტყაოსან-
ში როგორ მრავალ ნაირად არის გამოყენებული,
ვით პოეტური შედარება შეენების დასახასიათებე-
ლად, ვით სიმბოლო პიროვნებისა და სხვა.

II. ყაყაჩო

სახელი «ყაყაჩო» ვტ. ში (სახელმწიფო უნივერ-
სიტეტის გამოცემა, 1937 წ.) ერთჯერაა ნახმარი,
როდესაც ნესტანი მამას გლოვობს —

მომკალ, ქალსა თავშიშველსა თუ მზე ვითა ეურ-
ჩოსა;

სული ვარდსა დავამსგავსე, თავ-მოხდილი ყაყა-
ჩოსა (589)

ყაყაჩო წითელი ყვავილია და სილამაზის სიმბო-
ლო, როგორც ეს ერთ ხალხურ ლექსშიც არის ნა-
თქვამი: ყაყაჩოსა სიწითლითა ყანა დაუმშვენებია...

III. არღამანი

ავთანდილი ფრიდონის მოსაძებნად მიდის და ას-
მათ — ტარიელს ეშვებობება —

ტარიელ, ასმათ, ავთანდილ თვალთაგან ცრემ-
ლი დალამნეს;

სამთავე დაწეთა ალაამნი არღამანის ფერად ალა-
მნეს (943)

იუსტინე აბულაძე ვტ. ს. ლექსიკონში (1914 წ.).

ამ სიტყვას ასე განმარტავს: «არღვენი 878,3 (სპ. არღვენი, არაბ. არჯავანი), — პალესტინის ხე, იასმანი, წითელი, წითელი ღვინო, წითელი ქვა. მოჭირებული ფერი საზოგადოდ». (გვ. 186). დიდი საოცარი სიტყვა ყოფილა ეს «არღვენი!» «არღვეანის» განმარტების შესახებ ეს ჩამოთვლა პროფ. ი. ბულაძემ შეამცირა უნივერსიტეტის მიერ გამოცემულ ვტ.-ს ლექსიკონში: «არღვენი (943,3) არღვეანის ხე (მოჭირებული წითელი ფერი აქვს), აქედან არღვეანი — არღვეანის ფერი, პორფირის ფერი, ძოწეული, მეტად წითელი»-ო.

სარგის კაკაბაძის ახსნით, რომელს ეს სიტყვა არღვეანი სპარსულადაც აქვს აღნიშნული, არღვეანი არის: «წითელი, ძლიერ წითელი», ხოლო კონსტანტინე ჭიჭინაძე გვაცნობებს: არღვეანი არის: წითელი ფერი, ძოწეული-ო.

პროფესორი ბარტელსი ამბობს: არღვეანი არის იუდეური ანუ თხის ხე, რომლიც ტანი ქერქს ჰქარავს და მეტად წითელ ფერს ღებულობს-ო.⁹⁷ გვ. 651.

✠

თუ ჩვენ სპარსელ დიდ მწერალს, თირდაუსს დავიხმარებთ, ძნელი არ იქნება არღვეანის საკითხის გამოძიება.

შაჰ - ნამე - ში არა ერთჯერ არის მოხსენებული არღვეანი პოეტური შედარებისათვის: —

«ზაალის ღაწები არიან წითელი ვით ყვავილი არღვეანისა (ფრანგული თარგმანის წიგნი 1., გვერდი 440); ერთი მხრივ იყენენ ძოწეულის ფერნი ვარდნი, ნარგისნი და არღვეანნი (შაირი ი650); მეფე კვი ხოსროვის ღვინში ყველას გული იყო აღსაყეს სიხარულითა, ყველას ხელში ეჭირა ღვინის თასა, ყველას ღაწენი იყენენ ფერით ვით ყვავილი არღვეანისა, მაგრამ მთვარალი არავინ იყო (წიგნი მესამე, გვერდი 365); ინდოეთის მეფის ასულის თმათა კულულნი ეცემოდნენ მის მთვარის პირზე, ვით ბადე ჰფარავდა ყვავილს არღვეანისა (წიგნი მეხუთე, გვ. 105); ორმუხდი მეფობდა კეთილად და სამართლიანად, მაგრამ რაოდენი დრო გარდავიდა... და ყვავილი არღვეანისა გახმა ბაღში (წიგნი მეხუთე, გვ. 319); სიბერე გარდაქცევს არღვეანის ყვავილს ზაფრანად (წიგნი მეექვსე, გვ. 122); დაღვრალმა სიხალმმა გააწითლა მიწა და ქვანი ვით ყვავილი არღვეანისა» (იქვე, გვერდი 248).

შაჰ - ნამე - დან მოტანილი მაგალითებით აშკარად და სრული უეჭველობით ჩანს, რომ არსებული — არღვეანი ხე, და ამ ხეს: — წითელი ყვავილები ჰქონია, — აქედანაა წარმომდგარი არღვეანის ფერიც ანუ წითელი, ძოწის ფერი. თვითონ ხე კი არ არის წითელი, არამედ მისი ყვავილი. არ ვიცი, რამ

დენად მართალია პროფ. ბერტელსი, თავისი განმარტებით: — ამ ხეს მართლა ძერება ქერქი და იგი გატიტვლებული, მართლა წითელი არის თუ არა, — ასეც რომ იყოს, ეს ვერაფერი ხერხი იქმნებოდა პოეტური შედარებისათვის. რასაკვირველია, აქ მხოლოდ არღვეანის წითელ ყვავილებზე შეიძლება ლაპარაკი. რომ მე მართალი ვარ, ამის დასადასტურებლად კიდევ ერთ მოწმობას მოვიტან.

ფრანგი ლექსიკოგრაფისი დ'პერბელო თავის «ბიბლიოტეკ ორიენტალ»-ში (1781 წ.) არღვეანის შესახებ ამბობს —

ეს არის ხე, რომელსაც ბოტანიკოსები ეძახიან არბორ იუდაე, და ჩვენ მას ფრანგულად ეუწოდებთ: არბორ დე ეჟუდე. იგი საესებით იფარება წითელი (პურპურის) ფერის ყვავილებით, სანამ იგი ფოთლებს გამოიხსამდეს. სპარსელნი ხშირად ხმარობენ ამ ხეს თავიანთ შედარებებში; ისინი ეუწოდებენ არღვეანს ღვინოს, რომელიც მათთვის აკრძალულია: წყალი არღვეანისა, — და ამით ისინი პატივსაც სცემენ კანონს, რომელსაც ისინი ყოველ დღიურად არღვევენ. სახე ზაფრანისა და თვალნი არღვეანისა, მათი ჩვეულებრივი გამოთქმაა, რათა ამით აღნიშნონ გიყური შეყვარებულნი, რომელთა მოწყენილობა აღბეჭდილია მათ სახეზე (ყვითელი ფერით — ზაფრანა) და თვალები (წითელი) ცრემლთა ფრქვევის შედეგად-ო.⁹⁸ გვ. 382.

აქედან ცხადია, არღვეანი არის ხე და მის ყვავილს, რომელსაც მოჭირებული წითელი ფერი აქვს, არღვეანი ეწოდება.

არღვეანი მოხსენებული აქვს ნიზამსაც — იგი მას ღვინოს ადარებს —

სვამდა არღვეანურ წითელ სასმელს.⁹⁹ გვ. 68.

არღვეანი დასახელებულია თეიმურაზ პირველის (1589 — 1663) მიერ სპარსულთ ნათარგმნ ჯვარდბულბულიან-ში —

ყაყაო და არღვეანი ერთმანერთსა ეუბნებინ: სიტურფით და შეენებითა, ფერად ვერვინ გვედარების..

იმევე თეიმურაზს ნახმარი აქვს ეს სიტყვა «არღვეანი» ღვინისა და ბაგის გვაბასებაში, სადაც ბაგე ღვინოს ეუბნება —

ძოწსა, სადაფსა, აყიყსა, არღვეანს გავაქიქებო...

საყვარელ ბესიკს (1749 — 1790) აქვს არღვეანთან ტუჩების შედარება —

არღვეანის ბაგედან შენ შარბათი სუ (სვი) რისა?

რა არის ეს არღვეანის ხე? ინგლისური სახელი შილი არის: მუდას ტრიბ; ფრანგული: არბორ დე ეჟუდე და საერთო ლათინური სახელია: არბორ იუდაე. ქართულად მისი თარგმანი იქნებოდა: იუდას

ბე. იგი არის სერსის (ცერცის) სილიკეასტრუმის გვირგვინი, პატარა ტანის ხე, რომელიც გაზაფხულზე, სანამ შეიფოთლებოდეს, წითელი ყვავილებით იმოსება. ძველი თქმულების მიხედვით, ქრისტეს გამცემელმა იუდაამ ამ ხეზე თავი ჩამოიხრჩო ანუ როგორც ეს ქართულ სახარებაშია ნათქვამი — იუდა წწარვიდა და შიშთვილიდა» (ლუკა 27,5). ამიტომ მას დაერქვა იაუდას ხეო. ¹⁶⁸.



მაშ ასე: არღევანი არის ხის სახელი. არღევანი არის ამ ხის ყვავილის სახელიც. ეს ყვავილი არის ძლიერი წითელი ფერისა.

ამ სიტყვაზე ასე ხანგრძლივ არ ვიბაასებდი, რომ აქ აღნიშნულ ლექსში კონსტანტინე ჭიჭინაძემ თავისი საკუთარი უმსგავსო შესწორება არ შეეტანა.

ვეფხისტყაოსანის ლექსი შემდეგია —

სამთავე ლაწვთა ალაშნი არღვენის ფერად
ალაშნეს (943)

ყალბისმქმნელმა კ. ჭიჭინაძემ ამ ლექსს შემდეგი სახე მისცა —

სამთავე ლაწვთა ალაშნი არღვენის ფერად
ალოშნეს (1002)

ცხადია, ყალბის მქმნელ კ. ჭიჭინაძეს ამ ლექსისა არა ესმის რა, თორემ როგორ შეიძლება სიტყვისა «ალაშნეს» სიტყვით «ალოშნეს» შეცვლა? ან ამ შეცვლით რა გაკეთდა? უფრო გასაგები გახდა იგი? არა. დამახინჯდა მხოლოდ ვტ.-ი!

ინგლისურად ნათარგმნ ვტ.-ში ეს ადგილი აშკვარადაა გადათარგმნილი — სამთავეს ლოყებმა გამოჰქიდეს დროშა (ალაში) კრიმსონისაო (კრიმსონ — წითელი ფერის ქსოვილი, პურპურ). ასეთ განმარტება თითქმის სწორია; ოღონდ ზემორე ლექსი შემდეგ ნაირად უნდა აიხსნას: ტარიელმა, ასმათმა, ავთანდილმა გამომშვიდობებისას, სამთავემ ლაწვთა ანუ ლოყათა ალაშნი ანუ დროშანი ანუ ლოყათა კანის არღვენის ფერად ანუ წითელი ყვავილის ფერად ალაშნეს, ესე იგი, ლოყები წითელ დროშად, წითელ ალაშად გადააქციესო (რასაკვირველია: პირის ხოკითა და დაკაწრით, სისხლის დენით).



უკვე დროს არის ქართველი მეცნიერები გაისარჯონ და ვეფხისტყაოსანის აკადემიური ტექსტი დაბეჭდონ. ვანტანგისეული დედანი საფუძველად უნდა დაედოს მას, და ყველა ხელნაწერის (მგონი: ოცამდეა) განსხვავება, განხრა, დაწერის სხვადასხვაობა, მართლწერა სხვა და სხვა ხანაში გადაწერილ ხელნაწერთა, შეუცდომელად, აღნიშნული უნდა იყოს. მაშინ მკვლევართ საშუალება ექნებათ საეჭვო სიტყვა, სადავო მართლწერა, საქოქმანო ლექსი

ამ შედარებათა მიხედვით დაადგინონ; მაშინ საშუალება მოესპობათ «ყალბისმქმნელთ», მათ მიერ მოგონილი, თვითნება შესწორებანი ტექსტში შეიტანონ და იგი უბედურად დაასახირონ; მაშინ შესაძლებელი გახდება მართლა ჩამატებულ თუ მამატებულ შაირთა გამოკვლევისა, — თორემ კვლავ გაგრძელდება მკვლევართა მარულა ვტ.-ის შესწორებისათვის — ზოგი ასწორებს მას თავისი აკნეილებული შეხედულების დასამტკიცებელად, ეით მაგალითად პავლე ინგოროყვა, რომელს აკვატება აზრი, თითქო ვტ.-ში მზე ღმერთი იყოს, და ამის დასაბუთებისათვის ბოროტი საყალბის ჩაღენასაც კი არ ერიდება (იხილეთ ჩემი: «მზისმეტყველება»); ზოგს აღძვრია მადა თავისი საკუთარი ლექსითი სტრიქონები შეიტანოს ვტ.-ში, და ნამდვილი, ხოლო მისთვის არ მოსაწონი ან გაუგებელი, გააძეოს; ზოგი კი რომელიმე შაირში პირადული გემოს (უფრო უგემობის) მიხედვით, სიტყვებს ასწორებს ზერელედ და გამოუკვლევლად; ზოგი კიდევ უპასუხისმგებლოდ და თვითნებურად თვით ვტ.-ს ბეჭდავს მის მიერ არჩეული ხელნაწერის მიხედვით და დაბეჭდილ ვტ.-ან შედარებით, და სხვა ამგვარი, უხამსი მეცნიერული, გასაკიცხი წესი არა ერთია... ყველაფერ ამას ვტ.-ის აკადემიური გამოცემით საზღვარი დაედება და ბოლო მიეღება, საბედნიეროდ...

IV. ნარბისი

სიტყვა «ნარგისი» ხანსკრიტული უნდა იყოს, — ყოველ შემთხვევაში იგი ინდოეთიდან მოდის, და ქართულში სპარსულიდანაა შეხიზნული.

ნარგისი არის ყვითელი ფერის ყვავილი და როგორც პროფ. ა. გუბერნატის ამბობს, ამ ფერის გამო პოეტები მას ხშირად მზეს ადარებენო. ოღონდ პოეტები მას აგრეთვე თვალებს ადარებენ, და თუ რატომ, ამას ვგებულობთ ინდუსტანური თხზულებიდან «ბაკავალის ვარდი», სადაც ნათქვამია: ნარგისი, რომლის ყვავილი თვალსა მგავსო. ¹⁰⁰ გვ. 237.

ბერძნულად ნარგისის უწოდებენ არა ყვითელი, არამედ თეთრ ყვავილს — ნარკისოს, ლათინურად: ნარკისუს; თეთრი ყვავილი, ლამაზი და სურნელოვანი. ამ ყვავილთან დაკავშირებით შექმნილია თქმულება: — ნარგისი იყო შენეიერი ყმაწვილი, — მდინარის ღმერთისა (კემიფოსეს) და დიაცი ღმერთისა (ნიმფის) ერიოპეს ვაჟი. ნარკისოსმა უარი უთხრა სიყვარულზე დიაცი ღმერთს ეხოს; ამ სიყვარულითა და სევდით ეხო საეხებით მიიღია და მოაწყდა; ასე რომ მისაგან მხოლოდ მიკნაველი, მეტად მისუსტებული ხმა (ეხო) დარჩა. ამის გამო სამართ

ლიანობის ღმერთმა, ნემეზისმა ნარკისოსი ამით დასაჯა: ნარკისოსმა თავისი თავი მდინარეში დაიწაბა და თავისი საკუთარი თავი შეიყვარა; ამ სიყვარულმა იგი თან გადაიტანა: მან თავი მოიკლა; მისი სიხლისაგან წარმოიშვა ყვავილი, მისივე სახელია — ნარკისოს, რომელიც ძველი ბეჭდებისათვის იყო გარდაამავლობისა, ამოღებისა და გარდაცვალების ნიშანი, სიკვდილის სიმბოლო; ამიტომ ეს ყვავილი ქვესკნელის ღმერთებისადმი იყო მიძღვნილი. პოეტები ამ ყვავილს და მის შესახებ თქმულებას ხშირად უმღეროდნენ; — არსებობს ერთი სახე ნარკისოსისა, რომელს მგოსანთა ნარკისს უწოდებენ და რომლის ფერი სუფთა თეთრია, კაშკაშა წითელი თვალით.

ამგვარად: ნარკისი არც თვალთა სილამაზის აღმნიშვნელი ყვავილი.



ნარკისი ხშირად არის გამოყენებული აღმოსავლურ პოეზიაში; და იქ ნარკისით ლამაზი თვალეები იწოდება.

ფირდაუსი (941 — 1020) თავის განთქმულ მეფეთა წიგნში თვალებს ნარკისს ადარებს, მაგალითად: ჯემშიდის ორმა ასულმა მორწყო თავისი ვარდისებური ლაწენი თავის ნარკისის თვალთაგან (წაგნი 1. გვ. 99, ფრანგული თარგმანი პროფ. ე. მოკლისა); მეფე მიპრავის ასულს თვალნი არიან ნარგისნიო (გვ. 245); ზაალს თვალნი არიან ნარგისნი (გვ. 263) და სხვა.

მგოსანი იმამი პერატელი (გარდაიცვალა 1268 წ.) თვალებს ნარკისს ადარებს. ¹⁶⁹

იბნ ფარაჯ აღ-ჯაიდი თანი, ეპანელი არაბი მგოსანი (მეთე საუკუნე) ერთ თავის ლექსში ამბობს — არა ჰხედავ მორჩ ნარგისს, რომელი გიმშფერს თავისი ფართო თვალებით. ¹⁷⁰

ნიზამი (1141 — 1211) თავის პოემაში «ხოსროვ და შირინ», ასული შირინის თვალებს ნარკისს ადარებს — ნარკისნი ნათელ თვალთა. ¹⁷¹ გვ. 125.

თვალნი მისნი ნარკისნი არიან და მათ ვერაინ უძლებს... ვარდის წყარო გაუშვა ხოსროვმა თავისი ნარკისებიდან (იქვე. გვ. 210)... ბრწყინავ თვალთა ნარკისები (გვ. 234)... თვალნი არიან ნარგისნი (გვ. 392)... ესკანდერის დედის თვალნი არიან ნარკისნი.. (გვ. 477) და სხვა ასე.

და ომარ ხაიიამ, რომელი სილამაზეს იშვიათად ეხება, ამბობს — შეესვათ ღვინო ლამაზებთან, რომელთა თვალნი ნარკისნი არიან. ¹⁷¹

სიტყვა «ნარკისი» ქართულ ვისრამიანში ხშირად იხმარება, თუ არ ვცდები, 15ჯერ მინც, ვით მაგალითად — რამინის თვალნი არიან მსგავსნი ნარკისისა და ასე სხვა ადგილებზეც.

მეთერთმეტე საუკუნეში ქართული მწერლობა

ამ სიტყვას «ნარკისი» უკვე ხმარობდა, მაგალითად, როვანე შეთელი პოემაში «აბდულ - მესია», სადაც დავითს იგი ნარკისად სახავს (8,4) და იად... «არა ნარკისთა» (4,11). — ჩახრუხადე «თამარაან»-ში ამბობს: «შვენის ნარკისთა» (5,4)... «ნარკისნი გიცა» (9,4) და სხვა.

ამ მაგალითებით ერწმუნდებით, რომ თვალთა შედარება ნარკისთან აღმოსავლეთისა და არაბულ - ესპანურ პოეზიაში და აგრეთვე საქართველოშიც გავრცელებული ყოფილა. ამგვარი პოეტური შედარება, თუ ინდოეთიდან არა, სპარსეთიდან მინც უნდა იყოს გადმოცემული.



ვეფხისტყაოსანში «ნარკისი» მოხსენებელია მხოლოდ თვალთა სილამაზის დასასურათებლად.

თავის თავზე აეთანდილი ამბობს —

ცრემლი ცხელი ასოვლებდის ნარკისთაგან ვარდსა ზრულსა (152)

ანუ: თვალთაგან (ნარკისთაგან) წარმომსყდარი ცხელი ცრემლი ასოვლებდა ვარდს გაყინულსო (ზრულსა).

ნესტანი ტარიელს ეუბნება —

დავსჯიდა დენა ცრემლისა ნარკისთა ნაგუბარისა (411).

ოდეს აეთანდილი მარტოდ მიემგზავრება ფრიდონის სამეფოსაკენ, მისი —

ნარკისნი ქუხან, ცრემლსა წვიშს, ჩარცხის ბროლსა და მინასა (975)

ნესტანის შესახებ ფატმანი ამბობს —

ბროლ - ლალსა ღვარი ნარკისთა მოსდის გიშრიასა ლარითა (1140)

ნესტანი ქაჯეთის ციხეშია და მას —

ნარკისთათ წვიშა ბროლისა წვიშს, ვარდი ნაწვიშმარია (1320)

ოდეს აეთანდილმა ნესტანი აღმოაჩინა და ეს ტარიელს უთხრა, ტარაელმა მას მადლობა გადაუხადა და მოახსენა —

დამწყვიტე დენა ცრემლისა, ნარკისთა ნაგუბარისა (1353)

როდესაც ქაჯეთის ციხის დაპყრობის დროს დახოცილ გმირთ მოიგონებენ —

ნარკისთათ იძვრის ბორიო, ვარდსა ზრავს იანიაგარია (1455)

ანუ: თვალთაგან (ნარკისთაგან) დაქროლა ბორიომ ანუ ჩრდილოეთის ქარმა და ვარდს ანუ პარსე ჰყინავს (ზრავს) იანეაროო. და დაბოლოს, როცა მეფე ფარსადანის სიკვდილის ამბავზე სტირია —

ნარკისთაგან ნაწვიმარი ღვარი ადგა, თოვლი გადნა (1588)

ამგვარად, ეტ.-ში «ნარგისი» თვალთა შესატყვი
სია და თვალთა საღამაზის მაჩვენებელი.

Y. სოსანი

პროფ. ი. აბულაძის თქმით, სოსანი არის ყვავი-
ლი. (ეტ. 1914 წ...)...

სარგის კაბადის ახსნით, სოსანი არის ერთგვარი
ყვავილი, მაღალი და ღამაზი ფერისა...»,

უნივერსიტეტისეულ ვეფხისტყაოსანში იგავე ი.
აბულაძე გვაცნობებს — სოსანი — შროშანა, სუმ-
ბული, ღამაზ ყვავილიანი მცენარე, აშენებენ ბა-
ღებშიო

უკვე აქ აღნიშნული იყო: — ბიბლიის ძველი ნა-
წილი ვარძა არ იცნობდა; მაგრამ გერმანულ ბიბ-
ლიაში რომელი ლათინურმა სთარგმნა, ვარდი მოხ-
სენებულა, მაგალითად, ოსეს (პოსეას) წიგნში:
ისრაელმა უნდა გაიხაროს და აყვავდეს ვით ვარ-
დი (14,6). ვარდი მოიხსენება აგრეთვე «ქება ქება
თა»-შიც: მე ვარ ყვავილი საზონისა და ვარდი ხევ-
თა შორის (2,1); ვით ვარდი ნართა შორის, ამგვარი
ნუა ჩემი მეგობარი ასული ასულთა შორის.

ცნობილი გერმანელი მეცნიერი ვიქტორ ჰაპნ ამ
ვარდის საკითხის გამო ამბობს: — ლათინურმა გა-
იზიარა რაბბინთა განმარტება, და ებრაული სუსან,
სუსანანაჰ, ცუდად გადათარგმნა სახელით: ვარდი.
101. ვარდი არის აგრეთვე დასახელებული ქართულ
ბიბლიაში, როგორც ჩანს, აგრეთვე არაშართლად.
გარნა აქ ვარდს აქვს მნიშვნელობა საერთოდ ყვავი-
ლისა და არა როზისა. ამ ბიბლიებში სიტყვით —
ვარდი — გადათარგმნილია «სუსან», «სუსანანაჰ»,
იგი ებრაულად გამოითქმის «შოშან», როგორც ეს
ახსნილია ენციკლოპედია ბრიტანიკაში: — ბერძნუ-
ლად იგი ნათარგმნია (სებატუაგინტამ ბიბლიაში) სა-
ხელით: კრინონ, — ეს კრინონ არის ლილია, მაგ-
რამ არა ლილიუმ კანდიდუმ (რომელს ბერძნულად
ეწოდება: ლეირიონ), არამედ ცეცხლის ფერი, წითე-
ლი ლილია, სახელდობრ: ლილიუმ ხალკედონიკუმ
და ბულბიფერუმ, ანუ უფრო შესაძლებელია: ფრი-
ტილარია, ზარძს სახის თავიანი ლილია. ეს სიტყ-
ვა «ლილია» (ბერძნულად: ლეირიონ), ამბობს პრო-
ფესორი ვიქტორ ჰაპნ, წარმოშობილია ირანული
ანუ სპარსული სიტყვისაგან: «ლალეჰ». და სპარსუ-
ლი ქალაქის სახელი: «სუსა» იმით აიხსნება, რომ
ამ მხარეში ეს ყვავილი მეტად გავრცელებული იყო
-ო. სპარსული ძველი სახელი ლილიასრ ანუ «ლა-
ლეჰიჰა», არის სოუსონ, რაც ბერძნულად ითარგმნა
სახელით: «კრინონ». 101. გვერდი 604.

სახელი «სოსანი», ლაგარდის მტკიცებით, წარმო-
შობილია პირველად ეგვიპტური სიტყვისაგან: «სე-

შენ», რომელიც ყვავილს «ლოტუსს»-ს ერქვაო. სი-
რიული: «შოშანტა», ებრაული «შოშანანაჰ», არა-
ბული «საუსან, სუსან», სომხური «შუშან», სპარ-
სული «სუსან», ძველი სლავური «სოსონუ», გადმო-
დის ეგვიპტური «შოშენ»-ისაგანო. ესპანურად და
პორტუგალურად მისი სახელი არის «ასუსენა», მაგ-
რამ იგი თეთრ ლილიას ჰქვია და ნასესხებია არაბუ-
ლიდანო. 101. გვერდი 263, 605.

სოსანი ევროპულ ენებზე არის ლილია, ლილიე,
ლის. ამ ჟამად სოსანის გვარს ეკუთვნის 60 სხვა და
სხვა სახე.

ბიბლიის შოშანი ანუ შოშანანაჰ არას: წითელი
შროშანა, წითელი ლილია. 172.

თვით სიტყვა «სოსანი» იხმარება აგრეთვე ზერძ-
ნულ ენაშიც და მისი გამოთქმაა: «სოუსონ», «სოე-
სონ», რაც ფრანგულად ნათარგმნია სიტყვით «ლი-
ლია».

არაბნი ამ ჟამად «სუსანოს» უწოდებენ საერთოდ
წითელ ყვავილს, როგორცაა ლილია, ტულპანი,
ანემონი. 173.

აღსანიშნავია: — ქართული ბიბლიის «შროშა-
ნა»-ს არაბულ ბიბლიაში უდრის «სუსანა» (ქება 2,
1 - 2).

ქართულ ბიბლიაში ეს სახელი «სუსან» გამოთქ-
მულია სიტყვით «შროშან», რომელი ებრაულ —
«შოშან»-ს, «შოშანანაჰ»-ს უდრის.

ქება ქებათა 2, 1-2 მე ყვავილი საესე, და შროშა-
ნი ლელეთა ... ვითარცა შროშანი ეკალთა შინა...

ქება ქებათა 2,16 რომელი ჰმწყსი შროშანთა შო-
რის...

ქება ქებათა 4,6 რომელი სძოვდეს შორის შრო-
შანთა...

ქება ქებათა 6,13 ბაგენი მისნი შროშან ... და სხ.
ესაია 38,1 ყვავოდენ ვითარცა შროშანი...

ოსე 14,6 აღყვანეს ვითარცა შროშანი...

ოსე 14,8 ვითარცა ნაძვი, შროშანი ამალღებული



სიტყვა «სოსანი» ვეფხისტყაოსანში აღნიშნულია
მხოლოდ ერთჯერ, და მასთან შედარებულია ავ-
თანდილი —

დილასა ადრე მოვიდა იგი ნაზარდი სოსანი (72)
! მაშასადამე: აეთანდილი არას პირით სოსანი ანუ
წითელი და ტანით მაღალი და წერილი, ვითარცა
ყვავილი სოსანი.

YI. ია

ვარდთან და სოსანთან ერთად ძველ ქვეყნებში პა-
ტივი ჰქონდა აგრეთვე ვიოლე-ს. მისი თავგადასავა-
ლი ვარდთან ერთად იწყება. ვიოლეს სამშობლოა

მცირე აზია. ჰომეროსი მას ახსენებს შედარებისათვის. — ლათინური «ვიოლა» და ამისგან ევროპიულ ენებში დამკვიდრებული სახელი ბერძნულია თავისი წარმოშობით, ხოლო ბერძნებმა ეს სახელი მწობელი აზიისაგან შეითვისესო, ამბობს პროფ. ვ. პან. 101. გვერდი 261.

იას სპარსულად ეწოდება «ბანაფშე» — ქართულად ეს სიტყვა ასეა გადმოცემული «შაპ ნაშე»-ს თარგმანში: «ბანაფში» (შაირი 1338).

ია მწერლობაში ხშირად მოხსენებული და შექებულიც, სხვათა შორის მას უგალობა ომარ ხაიამამ (1040 — 1123) და იგი დედაკაცის სილამაზისაგან წარმოშობილად დასაბა —

ყოველი ია აღმოზრდილი მიწის სიღრმიდან ტურფა სახოვან ქალისაგან წარმოშობილა. 152.

ია ვეფხისტყაოსანში მოხსენებულია უფრო ხშირად ვარდთან ერთად, ერთარცა სილამაზისა და სახარულის ნიშანი.

თინათინი აეთანდილს ეუბნება, მოძებნე ტარიელი, ამით სეედა გამიქარვე, დამხსენი გაქირვებისაგან და —

გულსა აგრე საიმედო ია შორგე, ვარდი ყარე (31)

მერმე, აეთანდილი ტარიელს ვარდსა და იას ეძახის —

უფერო ქმნილნი მინახეან ვარდნი და ია იანი (233)

ასმათი აეთანდილს ეხვეწება —

აღრე მოსლევასა ჰვედრებდა, მართ ვითა ია ქნებოდა (670)

ია ვით სილამაზის გამომხატველი შედარებულია ნესტანთან. ფატმანი მას სწერს, შენ და ტარიელი ერთმანეთს შეხედებითო და —

ორნივე მიხედეთ წადილსა, იგი ვარდობდეს, შენ იე (1271)

შეცვალა ვარდი ზაფრანად, ლაქეაზდს ფერად იანი (1278)

აეთანდილი არის ვარდი და ია —

მისცა ფრიდონის მონათა ვარდმან და ვითა იამან ((1324)

როსტევეანი ნესტანს, მისი სილამაზის გამო, ეუბნება —

თქვენ სპეკრეტლად აღარ მიხდით, არ ვარდნო და არ იანო (1537)

ვტ.ში ია დასახელებულია კიდევ სილურჯის, — მწუხარების საჩვენებლად.

სატრფოს მოშორებულნი, და მწუხარებული აეთანდილი —

იტყვის: «დაეყარენ ვარდნი და აპა, მე, ვაგლან, იანი (841)

ანუ: დაეყარე სიხარული და შეენება, და მე, ვაგლანს, დამჩინენ მხოლოდ იანი ანუ მწუხარებანიო.

სასახლეში გლოვის დროს —

დახედენ დარბაზის ერთა, შევლენ იაფრითა ლებულნი (1203)

ანუ: უყურეთ! დარბაზის ერი ანუ კარსკაცნი სი სახლეში იმს ფერით შედებილი სამოსელით შედრანო! იის ფერი სამოსელი გლოვის ნიშანი იყო.

ქართულ «ეძრაპიანა»-ში პირდაპირ არის ნათქვამი: ლურჯი არის ფერი გლოვიანო; იაც ვით ლურჯი გლოვისა ფერი არისო.

აეთანდილი ტარიელის შესახებ გვეუბნება — ვარდი შექმნილა ზაფრანად, აწ ია შეიკონების (854)

ანუ: ვარდი ზაფრანად გადაიქცა, გაყვითლდა პირი მისი და აწ ია შეიკონების, მწუხარება მისი იმს კონად გახდა, დაგროვდაო.

ამგვარად, ია არის სილამაზის, სინაზის, სურნელების სიმბოლო; და ამას გარდა: მწუხარების ნიშანიც.

VII. ზაფრანა

ეგვიპტოლოგოსთა გამორკვევით, ზაფრანას დიდი მოწონება ჰქონდა ძველ ეგვიპტეში.

ბიბლიაში ზაფრანა დასახელებულია, და სახელდობრ: «ქება ქებათა»-ში ზაფრანა მოხსენებულია სახელით «კარკომ»; ეს სახელი კი მოდის ინდოეთიდან და რგი ბერძნულშიც არის გადასული: «კროკოს», და ლათინურში: «კროკუს» ანუ პოეტთა მიერ შექმნილი: «კროკუს». თანამედროვე ევროპიულ ენებზე ამ კროკუსს ჰქვია: საფრანს, ზაფრანო, საფირონ, ზაფრანო, აზაფრა. სპარსულად მას ჰქვია «ზააფრანა».

ამტიკებენ, სიტყვა «ზაფრან» სპარსულ - არაბულია, და მეთვე საუკუნეში არაბებმა გაავრცელეს ზაფრანა ესპანეთში და იქიდან გადავიდა მთელს ევროპაშიო. ოლონდ იგი ყველგან არა ჰხარობს, და მისი ცენტრი კი: ვენეცია (ძველი ქართული: ვენეტიკი) ევროპას მას აწოდებდაო, მაგალითად, 1448 წელს გერმანიაში შეზიდულ 10.ათასი ლუკატის ღირებულები ზაფრანაო. 161.

ძველად ზაფრანა დიდად განთქმული ყვავილი იყო და იგი ვარდს ეტოლებოდა, როგორც ამბობს პროფ. ვ. პან. 161. გვ. 264. ზაფრანის მოხარება კი უფრო ფართო იყო ვიდრე ვარდისა. აღმოჩაველეთის ზაფრანა — კროკუს სატივეს — იძლევა არა მარტო სურნელს, არამედ ფერსა და საღებავს, რომელიც ძველად მეტად სანუკვარი იყო. სამოსელსა, ფეხსაცმელებს, სარტყელს ზაფრანით ღებავდნენ და ზაფრანის ფერი სამოსელი ისევე ცნობილი იყო და

მიღებული, ვითარცა ძოწეული. ბაბილონ - მედური და სპარსელი მეფენი ყვითელს (ზაფრანის-ფერს) და წითელ სამოსელს (ძოწეულს) ატარებდნენ. ეს ყვითელი ფერი იყო: წმიდა ზაფრანის ფერი. — მი-
თოსურ - პოეტურ წარმოდგენაში: დიდებულობის ფერი; იგი გადმოიღეს ბერძნებმაც — აესხილოსის ღრადელიაში «სპარსნი», ზაფრანა მოხსენებულია; იანონმა ოდეს კოლხეთს მივიდა, რათა ცეცხლის - მფრქვევი კუროთი დაეხნა, მოიხსნა თავისი ზაფრანის ფერი: სამოსელი; ბაკოსი ზაფრანის ფერს სამოსელს ატარებდა; ახლად შობილი ჰერაკლესი ზაფრანის ფერს სამოსელში გაახვიეს; პალლას ათენას, ქალ წულნი ზაფრანის ფერს სამოსელს უქსოვენ; მეფის ასული ანტიგონე დედა და ძმაზე გლოვის ნიშნად ზაფრანის ფერს სამოსელს გაიხდის; აგრეთვე იფიგენია; ვენუსი მდედას ზაფრანის ფერს ტანსაცმელს აძლევს და სხვა. ¹⁷⁴ გვ. 264

ვით ვარდმა, ისე ზაფრანამაც გააგიჟა რომი — იქ ზაფრანის ყვავილებს იატაკზე მიმოაბნევენ; აუზებში და აბანოებში ხმარობდნენ ვით სურნელებას და მის წვენს ცირკის ადგილებსა და ძეგლებს აკურებდნენ, და სხვა. (იქვე).

მაგრამ ზაფრანა ცხელი ჰაერის ყვავილია და ზომიერ ჰაერში ადვილად გადაგვარდება; ამიტომ მან ევროპაში ფესვი ვერ გაიღვა; საუკეთესო ზაფრანად ითვლებოდა სიცილიისა, ხოლო იგი აზიურს ახლოსაც ვერ მიუღებოდა...

პოეტები ზაფრანას იყენებდნენ ფერისა და სუნის აღსანიშნავად; მაგრამ ამ შემთხვევაში ზაფრანა ვარდს ვერ გაუტოლდა.

შუა საუკუნეთა შემდეგ, ზაფრანის მნიშვნელობა ძალზე დაეცა ევროპაში და აზიაშიც მეტად შემცირდა; ევროპულმა ქემიამ, ვით ფერა ყვითელი, ზაფრანა მოსპო; სურნელად მას მცირედ ხმარობენ და ვითარცა ყვავილს დიდ პატივს აღარა სცემენ...



ვეფხისტყაოსანში, ისე ვით ფირდაუსის «შაჰნამე»-ში, და «ვისრამიან»-ში ზაფრანა მოხსენებულია მხოლოდ ყვითელი ფერის აღსანიშნავად, მაგალათა: რამინის პირი, ვარდის შუავისი, ზაფრანად გარდაიქცა და სხვა ასე მრავალჯერ.

ვეფხისტყაოსანში სიტყვა «ზაფრანა» იხმარება შვიდჯერ, და ყოველთვის პირის ფერის დასახატავად.

ტარიელზე ნათქვამია —

ზაფრანის ფერად შეცვალა ბროლი ცრემლი-
ას ბანამან (358)

თუ კაცს წუთისოფელი ანუ ბედი მოუთმენელ პირს აპატიებებს, მოუთმენს, მაშინ ლერწამსაც კი ქაცვი ექნება (რაც სინამდვილეში არა აქვს) და მინა

ანუ ემალი, ფერადობა ზაფრანას დაემსგავსებოდ — რა პირი კაცსა სოფელმან მოუთმოს მოუთმი-
ნამან,

ქაცვი ლერწამმან, ზაფრანა იმსგავსოს ფერად
მინამან (689)

ავთანდილი ტარიელის შესახებ ამბობს —
ვარდი შექმნილა ზაფრანად, აწ ია შეიკონე-
პის (699)

და კიდევ —

აწ ზაფრანაა, ვის წინას ვერ ვარდი ჰგვანდის,
ვერ ია (854)

ნესტანსაც აძევს ზაფრანის ფერი —

რას შეუქმნიხარ ზაფრანად შენ, ფერად მსგავ-
სი ლალისა (1157)

ეკითხება მას ფატმანი; და ოდეს ციხეში ნესტანთან გრძნეული მივიდა, ნესტანი დაჰკრთა, შეშინდა —
შეცვალა ვარდი ზაფრანად, ლაქვარდის ფე-
რად იანი (1278)

დაბოლოს, ნესტანმა როდესაც მამის საკედლის ამბავი გაიგო, მან —

თმა გაიგლიჯა, გაყარა, დაწვი ცრემლითა ავ-
სია,

ვარდი შექმნილა ზაფრანად, ლალი მართ ვითა
ხაესია (1590)

აშკარაა, ყველგან აქ ზაფრანა გამოყენებულია ყვითელი ფერის, და ამგვარად, პირისა და სწეულე-
ბის გამოსახატავად.

VIII. სპეტი

ავესტას ენაზე სიტყვა «სპეტა», «სპიტა» ნიშნავს: «თეთრი»; ფალაურ ენაზე: «სპეტ»; ახალ სპარსულზე: «სიპედ»; ხოლო სომხურად: «სპიტაკ». ¹⁷⁵ ქართული სიტყვა «სპეტაკი»-ც აქედან უნდა იყოს წარმომდგარი. ხოლო სიტყვა «სპეტი», რომელს ყვავილის სახელად ხმარობენ, აქედანაა წარმოშობილი თუ არა, არ ვიცი. ს. ს. ორბელიანი ამბობს: სპეტი არის უმარლი, კალის ნაცარიო. საესეებით შესაძლებელია, თეთრ ფერს უმარლის სწორედ ეს სპარსული სახელი «სპეტ» დაჰქმეოდეს, და აგრეთვე თეთრ ყვავილსაც. პროფ. ი. აბულაძე ამბობს, — იმერეთში სპეტი არის ყვავილი, რომელს ფერუმარლიას ეძახიანო.



ვეფხისტყაოსანში სპეტი არის ფერმკრთალი ყვავილი, და იგი მხოლოდ ერთჯერაა დასახელებული —

ვარდი სრულად შექმნილიყო ზაფრანად და ვი-
თა სპეტად (500)

აქ პირისახე ვარდი გადაქცეულია ყვითელ ზაფ-

რანად და სპეტად. სპეტი არის თავისი ფერით, თუ ზაფრანასთან თანაბარი არა, ყოველ შემთხვევაში, ძალიან ფერ მკრთალი მაინც.

სპეტი არის მწუხარების სიმბოლო.

IX. ნახვა

ს. ს. ორბელიანი «ნახვა»-ს მყარალ ბალახს უწოდებს. უქვევლია, ნახვა არის მყარალი სუნის ყვავილი, ვინაიდან იგი ვარდთან არის დაწინააღმდეგებული.

პირველად ნახვა იხმარება, როდესაც მეფე როსტეანო, თავის მემკვიდრეს, თანათინს სახელმწიფო მარვა-გამგეობის სიბრძნეს ასწავლის —

ვარდთა და ნახვთა ვინათგან მზე სწორად მოეფანებას,

დიდთა და წვრილთა წყალობა შენცა ნუ მოგეწყინებას (49)

მეორედ: ოდეს ავთანდილი ფატმანთან სარეცელს იზიარებს, იგი თავის გულში ამბობს —

უმისოდ ნახვთა ზედა ვზი ბულბული მსგავსად ყვავისად (1253)

უმისოდ ანუ უთინათინოდ, რომელი არის ვარდი, მე, ავთანდილი, რომელი არს ბულბული, ნახვთა ზედა ანუ მყარალ ნახვა ყვავილზე ვზივარ ვითარცა ყვავიო. ბულბული ავთანდილია; ნახვა არის ფატმა ნი; და ფატმანი არის ნახვა არა მარტო შევენება - სურნელების მხრივ, არამედ სოციალურა მდგომარეობითაც. ნახვას შეეფერება: ყვავი!

X. ყვავილი

ვეფხისტყაოსანში «ყვავილი» ხშირად არ არიან მოხსენებული, თუმცა საერთოდ იქ წალკოტია გადამლილი.

ნესტანი ტარიელს ეუბნება: ამას წინად უუბროდ ანუ უსაუბროდ გაგისტუმრე, და ამიტომ —

მზემან გაყრითა დაგაქნე ვითა ყვავილი ბარისა (411)

აქ არის ბარის ყვავილი, მთას ყვავილთან დაპირისპირებით, რომელს ბარის სიტყვად ადვილად აქცნობს. — გარნა სარგის კაკაბაძე ამ სიტყვას უზამსოდ აწვალებს და ამბობს: ბარა (სპარსული სიტყვა) არის ყვავილი ნაყოფის გამოსხმის შემდეგო (!) — ბარისა: ვითარცა ხეხილის ყვავილი (!). ოლონდეს სიტყვა «ბარისა» 1353 შაირშიც იხმარება და აქ გარკვევით არის იგი «ყვავილი ბარისა», ანუ: დაბლობის ქვეყანისა და არა «ხეხილისა»...

ფატმანი ავთანდილს აღტაცებითა სწერს —

შენი შევენება ყვავილთა აქნობს და ჩემსაც კენობიან (1086)

ავთანდილმა, საზღვაო მოგზაურობის შემდეგ — სულთქნა რა ნახა ყვავილი მან, უნახავმან ხანისა (1328)

ავთანდილი ნესტანის პოვნის ამბავს ტარიელს ახარებს და ეუბნება —

აწ გაახლდების ყვავილი, ვარდი აქამდის კნებოდა (1337)

აქაც ჩანს, რომ ყვავილით ვარდიც ივლისსხმებოდა, და წინაუქმოდაც.

ტარიელი ავთანდილს მადლობას მოახსენებს და ეუბნება —

ვითა ზემთისა წყარომან, მორწყე ყვავილი ბარისა (1353)

როსტევენი თინათინისა და თავის თავის შესახებ ამბობს —

ვარდი ახლად იფურჩნების, მე ყვავილი დამეგერა (1525)

როგორც ვნახეთ, ყვავილი გამოყენებულია პოეტური შედარებისათვის, მაგრამ ამას გარდა ეტ. ში ვხვდებით ისეთ ქვეყანასაც, გულანშაროს, სადაც — ნახეს ქალაქი, მოცული გარე ბაღისა ტეერითა, გეარად უცხონი ყვავილნი, ფერითა მეტად ბეერითა (1061),

სადაც —

ზამთარ და ზაფხულ სწორად გვაქვს ყვავილი ფერად - ფერები (1066)

ესაა ზღვათა სამეფო, უქვევლიად — სუბტროპიკულ სარტყელზე მდებარე.

XI. ვარდყვავილთა სიმბოლოები

ამ მიმოხილვის და განკითხვათა შედეგად რა დასკვნანი მივიღეთ? როგორია ვარდყვავილთა ენა და სიმბოლიკა ვეფხისტყაოსანში?

ვარდი არის სიციცხლისა და ცხოვრების სიმბოლო.

ვარდია — საყვარელი, სატრფო, მიჯნური.

ვარდია — ღაწვი.

ვარდია — ბაგე.

ვარდია — პიროვნების ნაცვალი.

ვარდია — სიხარული, ღიზი.

ვარდია — შევენება.

ვარდია — სურნელება.

ვარდია — პაემანის ნიშანი.

ვარდია — სურნელი წყალის მომცემი.

არღვანი არის წითელი ფერის სიმბოლო და სილამაზის ნიშანი.

ზოხანი არის სიწითლის სილამაზის და ტანის წერწყობის სიმბოლო.

ვეფხისტყაოსანის სილამაზე

I. სილამაზე და შეენება

ნარგისი არის სილამაზის სიმბოლო. ია არის სიხარულისა და სილამაზის ნიშანი. ია არის აგრეთვე, ეთ ლურჯი ფერი, მწუხარე ბის ნიშანი. ზაფრანა არის სეედისა და ჭირის, მწუხარებისა და სისუსტის ნიშანი.

სპეტი არის სისუსტის, მწუხარების სიმბოლო. ნეხვა არის სიბილწის, მრუშობის და სიმდაბლის სიმბოლო.

ყვავილნი საერთოდ, — ბუნების სიციცხლისა და შეენების, თვალისა და ყნოსეას მამებელი არიან, და სადაც ყვავილნი მუდმივ ხარობენ და ჰყვავიან: აქა მოსლვითა გაყმდების კაციმცა იყო ბერება, სმა, გახარება, თამაში, ნიადაგ არნ სიძლერება, ზამთარ და ზაფხულ სწორად გვაქვს ყვავილი ფერად ფერები, ვინცა გვიცნობენ, გენატრიან, იგიცა, ვინა მტერები ... (1066)

ყვავილთა სამეფო — სამოთხეა, და ამას დაჰგალობს ვეფხისტყაოსანიც.

ფერად - ფერადობა, სიმრავლე ყვავილთა ფერთა, მათი ბიბინი — ადამიანის თვალისა და გრძნობის მომაჯადოებელია, და ამას აქებს ვეფხისტყაოსანი, რომელი ვარდითა და ყვავილებითაა აღსავსე. მგონი, თითქმის 170ჯერაა დასახელებული ვარდ - ყვავილი. ამით მკითხველი იმყოფება შეენებათა და სურნელთა სამეფოში, და ეს არაა გასაკვირველი, რამეთუ საქართველო თვით არის ვარდთა და ყვავილთა სამეფო, და ვტ.-ის გენიოსი მგოსანიც ამ სა მოთხის ძე არის.

ბასწორება

მე - 99 გვერდზე, მეორე სვეტი, ზემოდან მე-27 სტრიქონი. უნდა იყოს —

ნის ასახსნელად, ლამაზ ასულს ვაემა ძვირფასი ...

მე - 107 გვერდზე, სვეტი მეორე, ქვემოდან მესამე სტრიქონი. უნდა იყოს —

ორი ქვის შორის (ერთი — მოძრავი, მეორე — ...

მე- 111 გვერდზე, სვეტი მეორე, ზემოდან მე-14 სტრიქონი. უნდა იყოს —

ური ხანიდან (რომელი 50 მილიონ წელიწადს ითვლის...

მე - 115 გვერდზე, სვეტი მეორე, სტრიქონი მე-9 გამოტოვებულია.

უნდა იყოს:

ცნობილია, მკვდარი კორალი შავი ფერისაა და, ს. ს. ორბელიანსაც აღნიშნული აქვს — კორალი შავი და თეთრიც არისო. გარნა შავი კორალი...



თითოულ ისტორიულ კულტურულ ხანასა და თვითოულ ერს სილამაზე - შეენებაზე საკუთარი წარმოდგენა აქვს, მაგრამ არის ერთი საერთო ხაზი, სილამაზე - შეენების დახატვაში, რომელი ყველა ხანაში ყველა ერისათვის საეალღებულოა. კუზიანი ან კოჭლი, ბრუციანი ან მუნჯი, საპყარი ან კრუ არასოდეს სილამაზე - შეენების მაჩვენებელი არა ყოფილა, ოღონდ გრძელი თმა, ნაწნავ - კულულები, წვერულვაში შეიძლება ერთ ხანაში, სილამაზეზე წარმოდგენისათვის აუცილებელი იყოს, სოლო მეორე ხანაში კი ნაკლად ჩაითვლებოდეს.

სილამაზის გარეგანი ნიშნები, როგორიცაა ტუნალობა - მოყვანილობა, სახის ხაზები, ფერები — მაინც უფრო მუდმივი კავშირია სილამაზის დახატვაში, თუმცა ცვლილებასაც ვხვდებით ხოლმე. ქელი საბერძნეთის მიერ შექმნილი და გამოქანდაკებული, მარმარილოს მეოხებით გადმოცემული სილამაზე კლასიკურად ითვლება, და მისაბაძად, — სილამაზის ამ იდეალით 24—25 საუკუნის მანძილზე, დღესაც, იკვებება დასავლეთის კულტურული საზოგადოების გემოვნება.

ამ საზრისით მეტად მნიშვნელოვანია და ყურადსაღები სილამაზითი და შეენებითი ათვისება, რომელი ვეფხისტყაოსანშია მოცემული. საგულისხმო არის სილამაზითი და შეენებითი იმ გემოს გამოჩვენება, რომელს ვეფხისტყაოსანის საზოგადოება ეტრფის და ეფოფინება, და რომელთა ნიშნები ამ ღვთიურ და მზიურ რომანში უხევადაა გაბნეული. სასურველია ამ გაბნეულ და გაფანტულ ნიშანთა თავმოყრა, დალაგება, და საერთო სურათით, ერთი ხატით გამოსახვა იმ წარმოდგენისა, რომელი ეტრის საზოგადოების ესთეტიკას აკმაყოფილებს, და რომლის გამო ამ უტოლო ნაწარმოებში დადი ქება, მძაფრი მოქმედება და ფაცხი ბრძოლაა გამაართული.

თუ სილამაზე და შეენება რა არის, ამაზე პასუხი აურაცხელია ევროპიულ მწერლობაში და ქარბად შრავალ გვარი, და ხშირადაც შეუთანხმებელი, ვინაიდან სილამაზე - შეენებაზე წარმოდგენა და მათი დაფასება აგრეთვე შენაგანი კულტურისა და პირადი გემოვნების საკითხიც არის.

ამიტომ ამ საკითხის განხილვის დროს, ჩვენთვის პირველად ყოვლისა მნიშვნელოვანია მხოლოდ ქართული შეხედულება და ამ ცნობის მოყვარობა გვიკმაყოფილებს სულხან საბა ორბელიანი (1658

-- 1725), უდიდესი ლექსიკოგრაფოსი, მწერალი და ესთეტი; იგი თავის ცნობილ, «ხელი ხელ საგოგ-ძანებ» ლექსიკონში სილამაზის მცნებას არ აგვიწერს, მაგრამ მას ზოგადი დახასიათებით მიანიც გვა-ცნობს.

რა შესანიშნავი და ჩინებულია სიტყვა «შეენე-ბა»!

სიტყვისა «შეენება» შინა არსი დადებულია ფე-რებზე წარმოდგენით; მისი დედა აზრა ფერებით შეტულია; მისი გარეგანი სახე ფერებით ნაჩვენე-ბია!

სიტყვა «შეენიერი» ს. ს. ორბელიანის განმარტე-ბით, ნიშნავს: — შეფერებული; ყოვლის კეთილით შეფერებული; ხოლო «შეფერება» არის: ფერთა შეწყობა, «შეხამება», ანუ ფერად ფერადი რომე-ლი მოუხდეს.

ასე ესმოდა ეს სიტყვა დიდებულ ს. ს. ორბელი-ანს; ასეა იგი გაგებული ვეფხისტყაოსანში, და ასე გაგვეგება იგი დღესაც.

შეენება არის ფერთა შესაფერისად დაწყობა; შესაფერისად დაწყობა არის: ფერთა შერჩევა და ამ შერჩეულ ფერთა დალაგება; ასე შერჩეულად შეთხუზული ფერები ფერთა სურათს იძლევა, რომელიც ადამიანში უშუალოდ მოწონებას, გატაცებასა და აღფრთოვანებას, მეტიც: თაყვანებას იწვევს.

ამგვარად, სიტყვა «შეენება» არის ქართული ერის მიერ მხატვრული შემეცნების გამოსახვა და ასახვა.

თუ შეენების დახატვისათვის ვეფხისტყაოსანში რა და რომელი ფერია გამოყენებული, ეს წინა მი-მოხილვიდან უკვე ვიცით და ამ ფერთ კიდევ და-ვინახავთ: თეთრი, წითელი და შავი, — ოღონდ არა უბრალო თეთრი, ან სადა წითელი, ან ჩვეუ-ლულებრივი შავი, — არამედ შუქთა მათენი, მოელ-ვარე, ბრწყინვალე.

ს. ს. ორბელიანი სიტყვა «ლამაზობა» ცალკე არ განიხილავს. ლამაზობა და ლამაზი მისთვის არის ზოგადი მცნება, რომელი სხვა და სხვა სახეს შეი-ცავს. იგი ამბობს: —

ლამაზი: ესეცა ესრეთ განიყოფებან, რამეთუ — კაკლუცი არის სახე უკლებლად განწყობილი.

კაკლა — სილამაზისა და მონღომის მცდელი.

მწყაზარი — სიკეთესედ (სილამაზუნედ) მეტი.

შეენიერი — ყოვლის კეთილით შეფერებული.

სანდომი — კაკლუცი იყოს, თუ დუხჭირი, მაშინაც

კი სახავად იამოს. (ჩვენი დროის «სექს-აპილ»!).

სახნიერი — რომელსა ყოველი სახე გაწყობილი

ქქონდეს და საქმითაც კეთილმოქმედი იყოს.

შაეროვანი — რომელ ხატკეთილობით მოხდომილი

იყოს-ო.

მაშასადამე, სიტყვა «ლამაზი» ზოგადი მცნებაა, და მასში შედის სილამაზის ყოველი გამოხატულე-ბა, და ამნაირად «შეენება» ლამაზობის ერთი სა-ხეა, რომელიც ფერებით ანუ ფერთა სათანადო ხა-ტით დაინახება.



უკვე ნათქვამი იყო — ეტ.-ში ლამაზობისა და შეენების აღწერა არაა; მაშ უნდა მათი ნიშნები გამოვკრიბოთ, გამოვარჩიოთ და აღვწესოთ.

ამ საკითხის გამოკვლევის დროს განზე ვტოვებთ საერთოდ ხშირ შედარებას, რომლითაც ეტ.-ის გმირები აღიწერებიან, ვით მაგალითად: მზე, მთვარე, გმირი, ლომი, ვეფხი და სხვა. ამის შესახები საკით-ხები სათანადო, ცალკე ნარკვევებშია გარჩეული.

II. თინათინის სილამაზე

1. თინათინის ტანი

თინათინმა როს ავთანდილი დაიბარა, მეცნე მო-ნამ ავთანდილს —

მოახსენა: «გიბრძანებსო ტანი ალვა, პირი მ-ნგი (120)

თინათინის ტანია ალვა, და ამნაირად, მალალი, წე-რწეტი, ნაზი.

როდესაც თინათინი სამეფო ტახტზე ზის, ამ შე-მთხვევისათვის ნათქვამია —

წყლად ეფრატსა უხვად ერწყო ედემს რგული, ალვა მქვერი (694)

ედემში ანუ სამოთხეში დარგული ალვა, ანუ თა-ნათინის ტანი მდინარე ეფრატს უხვად მოურწყავს და ამიტომ მისი ტანი გამხდარა მქვერი (მოხდენი-ლი, შნოიანი). ეს ალვა სურნელოვანიც არის, და ამიტომ თინათინის ტანიც არის სურნელოვანი.

ავთანდილი გზაში მოთქვამს თინათინზე —

მოგშორდი ედემს ნაზარდო, ტანო ლერწამო და ხეო (725)

ედემს ნაზარდი ხე არის — ალვა. (იხილეთ თავი: «ალვა», ნარკვევში: «ვეტ. ბუნება»).

ლერწამი — მალალი, წერწეტი, ნაზი, მოქნილი, მერხევი. ხე — მალალი, მაგარი, მტკიცე, წერწეტი-და დაბოლოს ტარიელი ავთანდილს ეუბნება თი-ნათინის შესახებ —

ვექმ, ღმრთითა აღრე შეგყარო მზესა მას, ტა-ნად ალვასა (1512)

მაშასადამე: თინათინის ტანი არის: — მალალი, წერწეტი, ნაზი, სურნელი, მქვერი (ალვა, ლერწა-მი, ხე).

2. თინათინის პირი

მეფედ ტახტზე ასაყვანად —

თინათინ მიჰყავს მამასა პირითა მით ნათელათა (45)

თინათინის პირი არის ნათელი სხივოსანი. თინათინს სამეფოდ თავი ღირსად არ ეგონა, — ამად ტირს, ბალი ვარდისა ცრემლითა აივსებოდა (47)

თინათინის პირი ვარდის ბალია. აეთანდილს მოახსენებენ, თინათინიო — გიბრძანებსო ტანი ალვა, პირი მანგა (120) თინათინის პირი არის მანგო ანუ მთვარე, ანუ მარგალიტი.

თინათინის — ბროლ - ბადახშსა აშვენებდა თმა გიშერი, წარბი ტევერი (694)

თინათინის პირია ბროლი და ბადახში, თეთრა და წითელი, ორივე ელვარე.

შემდეგ შედარებაჲ იმავე სურათს გვაჩვენებს — ბროლსა და ლალსა აშვენებს მუნ ჩრდილი წარბ - წამწამისა (1507)

მაშასადამე: თინათინის პირია — თეთრა, წითელი, ვარდის შევენებით, ბრწყინვალე, ნათელი (ბროლი, ბადახში, ლალი, ბალი ვარდისა, მანგა).

8. თინათინის ღაწენი

იმ წინადადებაში, სადაც ბროლი და ლალი ერთადაა მოხსენებული (შაირი 694), ბროლი თეთრ ნათელ პირს საერთოდ, და ლალი კი წითელ ლოყებს გამოხატავს.

4. თინათინის თვალნი

ავთანდილი თინათინს ეგონებს, მასო — თვალთა გიშერი აშვენებს, სათმა რად მომკლა, სათმანო (835)

თინათინის თვალებია — შავი, ღრმა და ბრწყინვალე შავი.

6. თინათინის ბაგენი

თავის შესანიშნავ და მსოფლიო პოეზიაში შეუდარებელ მიმართუაში მნათობებისადმი, ავთანდილი თინათინს იხსენიებს, მას —

ვინ მარგალიტსა გარეშე მოცავს ძოწისა ბაგითა (961)

მაშასადამე: თინათინის ბაგეა — წითელი (ძოწა)

8. თინათინის კბილნი

თინათინისაგან ავთანდილის მიერ მიღებული საჩუქარი — მარგალიტის სამკლავური იყო —

მის მზისა მკლავსა ნაბამნი, მათ კბილთა შესატყვისონი (719)

თინათინის კბილნი არიან მარგალიტნი და, ასევე ქვემოდაც —

ვინ მარგალიტსა გარეშე მოსცავს ძოწისა ძირითა (961)

მაშასადამე: თინათინის კბილია — ელვარე თეთრი (მარგალიტი). ღრძილნი — ძოწი.

7. თინათინის წარბ-წამწამნი

ეტ.-ში განსაკუთრებული ყურადღებით წამწამები ალწერილი, — ავთანდილსო —

მას თინათინის შევენება ჰკვლევდის წამწამთა ჯარისა (40)

წამწამთა ჯარი — წამწამთა სერაველა. მაგრამ როგორი არიან ეს წამწამნი?

თინათინსო — ჰშვენოდეს შავნი წამწამნი, გულისა გასაგმირონი (123)

ამიტომ ეუბნება თინათინს ავთანდილი — მოახსენა ყმამან: «მზეო, ვინ გიშერი აწამწამე (134)

ავთანდილი თინათინზე ამბობს — ინდოთა რაზმი ჩემად კვლად თქვა, ესე ტევერი ეთხზა თმანო (835)

ინდოთა რაზმი აქ არის თინათინის წამწამები, რომელი ავთანდილს ჰკლავს, და ჰკლავს მას აგრეთვე ნათხზავ - დაწნული ტევერი ანუ ხშირი და სქელი, გრძელი თმა მისა

წამწამთან ინდოთა შედარება ჩახრუხადეს აქვს გამოყენებული —

ვნახე რა სახე? შამბნარისა ხე, ჰინდოთა ცუად ჰყონ ... (5,51)

ანუ: ინდონი (შავი წამწამნი) სდარაჯობენ, იცავენ მასო... —

ვნახე ჰინდონი (12,12)

ანუ: ვნახე შავი წამწამებიო.

ეტ.-ში წამწამთა შედარება ინდოთა რაზმთან ნაზმარია კიდევ ტარიელის შესახებ —

ტარიელ შეკრთა, შეიძრა რაზმი ინდოთა ტომისა (1346)

თინათინის წამწამთ შეუძლიათ აღმასის გული დადალოს —

მიკვირს თუ გული აღმასა შევმან წამწამმან დალა რად (714)

ავთანდილი ტარიელს უსაყვედურებს, შენი გულისათვის მოეშორდი —

სადა ინდონი ბროლ - ვარდსა სარევენ გიშრისა სარითა (889).

თუ როგორი არის თინათინის ეს მრავალი, შავი წამწამები, ამას ავთანდილი გვაცნობებს —

ჩემნი მომკლველნი წამწამნი შავნა გიშრისა ხენია (1261)

თინათინის წამწამნი არიან შავი გიშრის ხენი ანუ:

გრძელნი, და მას ამიტომ შეუძლია დახაროს ისინი ვით ყორნის ფრთათა ბოლო და ამგვარად შექმნას ჩრდილი —

ქალი ტირს და ცრემლსა აფრქვევს, ჰხრის ყორნისა ბოლო ფრთათა (46)

და ამიტომაც თინათინის —

ბროლსა და ლალსა აშვენებს მუნ ჩრდილი წამწამებისა (1507)

და ამიტომ კიდევ ამბობს მამამისი როსტევენი — ვინ გიშერი დააჯოგა და წამწამისა არე - მარე (1532)

მაშასადამე: თინათინის წამწამნი არიან — შავი, გრძელი, ხშირი, ფართო (გიშერი, გიშრისა ხე, ვაშრისა სარები, ინდონი, ყორანისა ბოლო ფრთათა, ჯარი, გიშრის ჯოგი).

8. თინათინის თმა

თმაც, რასაკვირველია, არის შავი, გრძელი და ხშირი ანუ სქელი —

მას თეთრსა ყელსა ეხვივნეს გრძლად თმანი არ უხშირონი (123)

ბროლ - ბადახშსა აშვენებდა თმა გიშერი, წარბი ტვეერი (694)

მეც ვიცი ჩემსა ხელ - მქმნელსა თმად ყორნის ბოლო სთმობია (965)

მაშასადამე: თინათინის თმა არის შავი, გრძელი, სქელი, დაწყობილი, დაწნული (გიშერი, ყორნისა ბოლო), ხოლო წარბიც: შავი და სქელი.

10. თინათინის ყელი

თინათინის ყელი არის თეთრი და მალალი, რადგან მას გრძელი და სქელი თმა შეიძლება შემოეხვივნეს, რაც დიდ ადგილს მოითხოვს —

მას თეთრსა ყელსა ეხვივნეს გრძლად თმანი არ უხშირონი (123)

ავთანდილი თინათინზე ამბობს —

ბაგე, კბილო და თვალ - წარბო, მომცემდი პატიეთა, თმანო! (835)

ბაგე, კბილი, თვალ - წარბი და თმანი თინათინისა ავთანდილს პატიეს ანუ შეწუხებებს აყენებს, — მათი მოგონება მასში წუხილს იწვევს.

11. თინათინის მკერდი

შეყვარებულმა ავთანდილმა როდესაც თინათინის მეფედ დასმის ამბავი გაიგო —

თქვა: ზედა ზედა მომხედების ნახვა მის

ბროლ - ფიქალისა (42)

მე ვით სპასპეტს, მხედართ მთავარს ხშირად მომიხედება თინათინის ბროლ - ფიქალის ნახვით. ფიქალი არის საერთოდ სახე, ფიგურა, მოხაზულობა. აქ,

ბროლ - ფიქალი არის თინათინის მკერდი, ამობურთული და მალალი, წმიდად გათლელი ბროლისა, მოელვარე ვით ბროლი.

ამით ამოიწურება თინათინის სილამაზისა და შევენების ნიშნები. ამგვარად, თინათინის შევენება შემდეგ ნიშნებს შეიცავს —

12. თინათინის შევენება

თინათინის პირია — თეთრი, ნათელი, სხივოსანი, ვარდის ფერი, მარგალიტისებური ან მთვარისა ვით (ბროლი, ვარდის ბალი, მანგი)

თინათინის ლაწვია — წითელი (ლალი, ბადახში)

თინათინის ბაგეა — წითელი (ძოწი)

თინათინის თვალია — შავი (გიშერი, სათი).

თინათინის კბილია — თეთრი ელვარე (მარგალიტი).

თინათინის წარბ - წამწამია — შავი, გრძელი, ხშირი (გიშერი, გიშრის ხე, ყორნის ბოლო ფრთათა, გიშრის ჯარი, ტვეერი, ჯარი).

თინათინის თმა — შავი, გრძელი, ხშირი (ყორნის ბოლო, ტვეერი).

თინათინის ყელია — თეთრი, მალალი.

თინათინის მკერდია — თეთრი ამოზიდული (ბროლი ფიქალი).

ასეთი არის თინათინის შევენება, წარმოდგენილი სამი ფერით: თეთრი, წითელი და შავი.

ამ შევენებას ემატება ტანადობა და ამგვარად — სილამაზის სურათია მოცემული.

მაშასადამე: ტანადობა და შევენება, ერთად, არის სილამაზე.

ალარაა საკვირველი, ოდეს ნათქვამია —

მე ვინ ვაქებ? ათენს ბრძენთა ხაშს აქებდეთა ენა ბევრი! (694)

III. ნესტანის სილამაზე

თინათინი ვეფხისტყაოსანში ისე ხშირად არაა მოხსენებული ვით დარეჯანი, რომელიც რომანის მოქმედებისა და ბროლის მიზანია, და ამიტომ უფრო ხშირად ნახსენები ან ნაგულსხმები.

ნესტანი რომ თინათინივით მზეა, მთვარე და სხ., ამ საკითხს აქ არ ვეხებით; ამას განკუთვნილი აქვს განსაკუთრებული ნარკვევები.

რით გამოიხატება ნესტანის სილამაზე?

1. ნესტანის ტანი

ტარიელი ამბობს ნესტანზე, ოდეს მან იგი გაჯარებულნი იხილა —

არცა მზე ჰგვანდა, არც მთვარე, ხე ალვა, ედემს ხებული (522)

ნესტანია ტანით ალვა ანუ მალალი, წერწყეტი და სურნელოვანი; ედემს ხებული — ხედ შექმნილი.

აღრე მოდიო, გობრძანებს მსგავსი ალვისა ზრდი-

ფატმანიც ნესტანს ალვას ადარებს —
 მოვიყვანე შინა ჩემსა იგი პირ-მზე ტანით ალ-
 ვით (1141)
 მჭკეფრად სისხლისა ნაკადი მოსდის ალვისა
 ხისაგან (1147)
 შემდეგ უკვე ნესტანის ტანი არის სარო ანუ კი-
 პარისი, კვიპაროსი, მაღალი და ლამაზი. ასეა ნე-
 სტანის ტანი შედარებულად, ოდეს იგი მგლიჯსურ-
 ხაეის სასახლეში მიჰყავთ —
 იგი რა ნახა მეფემან, საროსა მსგაესი ნარები
 (1179)

მეფეს ძალიან გაუყვირდა.
 თვითონ ნესტანიც თავის ტანს ალვას ადარებს
 და ტარიელსა სწერს: ვერ იტყვი, თითქო ჩემი თა-
 ვი, ჩემი ალვის ტანი სხვას მიხედება, სხვას ერგება,
 რადგან უშენოდ თავს მოვიკლავო —
 ჩემი თქვა, სხვათა მიხედვად იგი ალვისა ტანი-
 თა (1302)

ნესტანმა როცა რიდე მოიხსნა, რათა მისთვის ნა-
 კვეთი მოეხია, ნათქვამია —
 ალვისაგან სული მოქრის, ყორნის ფრთათათ
 მონაბერი (1310)

როდესაც ნესტანმა რიდე მოიძრო, მას «დაუშ-
 ვენდა სისხო, სიგრძე, თმათა ფერი», ხოლო ტანი-
 საგან, ალვისაგან სუნი მოჰქროდა, რომელი ყორა-
 ნის ფრთებმა, წამწამებმა მობერესო.

ავთანდილმა ასმათს ნესტანის უსტარი მისცა —
 ალვისა შტო - დამკნარისა, მთვარისა ფერ ში-
 ხდილისა (1359)

ფრიდონიც ნესტანს ალვას უწოდებს —
 მას აღრე ვპოვებთ, ვისიცა მოგვეკლავს ალვასა
 შო - ტანი (1387)

მაღე ვინახულებთ ნესტანს, ვისი ალვის ტანი მო-
 გვეკლავს, («შო» აქ არის განმეორება სიტყვისა:
 «მოგვეკლავს»-ო ტანიო.)

მაშასადამე: ნესტანის ტანი არის — მაღალი, წე-
 რწეტი, ნაზი, მაგარი, მტკიცე, მოქნილი, სურნელ-
 ოვანი (ხე, ალვა, სარო, ვედმის ხე).

2, 8. ნესტანის პირი და ლაწვნი

ტარიელი ნესტანზე ამბობს —
 აწ საწუთროსა გამყარა პირმან ბროლ - ბადახ-
 შეულმან (333)
 შეძნელებოდა სიშორე მისი ბროლ - ბადახშ -
 მინისა (419)

ნესტანის პირია — ლალი და ბადახში, ხოლო მისი
 ლაწვნი ელვარებენ —
 ლაწვთა მისთა ელვარება ელვარებდა ზესთა
 ზესა (112)

ტირილის დროს კი ნესტანის —
 ბროლ - ლალსა ღვარი ნარგისთა მოსდის გიშ-
 რისა ღარითა (1140)
 რას შეუქმნიხარ ზაფრანად შენ, ფერად მსგაე-
 სი ლალისა (1157)
 ნესტანის სასახლეში ოდეს ნესტანს კვირგეინი
 დაადგეს —
 მუნ ვარდსა ფერი აშვენებს ბროლისა გამჭვი-
 რელისა (1187)
 მარგამ აქ ნესტანი თავის დახსნაზე ფიქრობს —
 კვლაცა იტყვის: «ნუ დაუაქნობ შენებდასა ვა-
 რდთა ფერსა (1191)

შემდეგ ფატმანი მას ციხეში სწერს —
 ბროლო და ლალო, ოროვე კვლა ერთგან შე-
 ნათხზენაო (1270)
 და თავის წერილს ეუბნება იგი —
 დაგნატრი, მიხეაღ, დაგხედების ბროლა, სათი
 და ლალები (1275)

ტყვეობიდან გამოსხნილ ნესტანს —
 მუნ ბადახშსა აშვენებდა სინატიფე, სინაზე-
 ნი (1493)

სიტყვა «ნატიფი» ახალ სპარსულ ენაზე გამოით-
 ქვის ასე: «ლატ-ფ» და ნიშნავს: კარგი, ნაზი. ⁵¹
 შინ მიბრუნებულ ნესტანს დედა —
 ვარდსა დაუტყუეყს ბაგითა ... (1629)

მაშასადამე: ნესტანის პირია — თეთრი, ნაზი,
 წითელი ლაწვებით, ვარდი, ვარდთა ფერი, ფერადი
 (ბროლი, ლალი, ვარდი, ვარდთა ანუ ყვავილთა ფე-
 რი, ბადახში, მინა).

4. ნესტანის თვალნი

ნესტანმაო, ამბობს ტარიელი, პაემანის დროს —
 მე შემომხედის ლამაზად მის მელნის ტბისა
 თვალთა (394)

ფრიდონი ამბობს ნესტანზე —
 კბილ - თეთრი, ბაგე - ბადახში, სახედავთა
 შავითა (1023)

ფატმანი ნესტანის შესახებ —
 ბროლ - ლალსა ღვარი ნარგისთა მოსდის გიშ-
 სა ღარითა (1140)

შიგან მელნისა მორეცა ეყარის გიშრის შუბე-
 ზი,
 მელნისა ტბათათ იღვრების საესე სათისა რუ-
 ბები (1146)

ნესტანის თვალთა — მელნის მორევი, მელნის ტბა,
 სათისა რუბები.
 ნესტანმა —

ნუშნი გააპნა, შეიძრნეს სათნი გიშრისა წნე-
 ლისა (1280)
 თვალებია, — ნუში, და შემდეგ: ნარგისნი —

ნარგისთათ წვიმა ბროლისა წვიმს, ვარდა ნაწ-
ვიმარაა (1320)

მაშასადამე: ნესტანის თვალეზია — შავი და ლა-
ზაზი (მელნის ტბა, მელნის მორევი, გიშერი, სათი,
ნარგისი, ნუში).

5. ნესტანის ბაგენი

ტარიელი ნესტანთან შეხვედრას იგონებს —
ენახე ძოწსა მარგალიტი გარე ტურფა მოემა-
ზრა (535)

ტარიელი ნესტანის დაკარგვის გამო ამბობს —
ვა, წარხდა ვარდი პოზილი, ვა, მარგალიტი
წყობილი (919)

შემდეგ კი —

კბილ - თეთრი, ბაგე — ბადახში... (1023)

მერმე კი ძოწი და აყიყი —

შუა ძოწსა და აყიყსა სქვირს მარგალიტი ტყუ-
ბები (1145)

მერმე ბაგე უკეე ვარდია —

ვარდი ერთგან შეეწება, მარგალიტსა არ აჩენ-
და (1158)

ვარდი ერთგან შეეწება, მარგალიტსა არ აღეზ-
და (1182)

მაგრამ ნესტანმა გაილიმა და —

ვარდი გააპის, გამოჩნდის მუნ ბროლი გამოკ-
ჭირვალი (1292)

მაშასადამე: ნესტანის ბაგენია — წითელი (ძოწი,
ბადახში, აყიყი, ვარდი).

6. ნესტანის კბილნი

როგორც ზემოდ მოტანილი ლექსებით ჩანს, ნე-
სტანის კბილნი არიან — მარგალიტი ტყუბები, მა-
რგალიტი, ბროლი გამოკჭირვალი, მარგალიტი
წყობილი და შუქთა მათენი —

კბილთაგან შუქი შეადგა ზედან გიშრისა სა-
რებსა (1228)

მაშასადამე: ნესტანის კბილებია — თეთრი და
მოელეღარე, შუქთა მცემი (მარგალიტი, ბროლი).

7. ნესტანის წარბ - წამწამნი

ნესტანის წამწამნი არიან — გიშრის შუბები (შ.
1149); გიშრის სარები (შ. 1228); ყორანის ფრთა
სათნი (შ. 1230); და მისი წარბები — გიშრისა წნე-
ლი (შ. 1230).

ზღადაც ყორანის ფრთა წამწამებია, იქვეა აღნიშ-
ნული აგრეთვე ქროლეა, მობერვა წამწამებიდან —
მისთა წამწამთა ნიაევი ქრის, ვითა ქარი არავი
(1513)

ანუ: ნესტანის წამწამები ისე გრძელია და ფართო,
რომ მათი მოძრაობა არავის ქროლას უღრის. ქარი

არავი არის სამხრეთის თბილი ქარი..

ხოლო როცა ნესტანი ტირის, მაშინ ვგი —

ტრემლსა სეტყეს და ვარდსა აზრობს, წამწამ-
თაგან მოქრის ბუქი (1143)

ანუ: ტრემლი სეტყესავით იყრება, ვარდი (პირი)
ითოშება, იყინება (აზრობს) და წამწამებიდან ბუ-
ქი ანუ: თოელიანი ქარი მოქრისო.

ოლონდ, როდესაც ნესტანი ცოტა მაინც ნასია-
მოვნებია და გაკვირვებულიც, მან —

ნუშნი გააპნა, შეიძნეს სათნი გიშრისა წნე-
ლითა (1280)

აქ, სათნი არიან ან თვალნი, ან წამწამნი, ხოლო
წარბნი — გიშრისა წნელნი.

მაშასადამე: ნესტანის წამწამი არის შავი, გრძე-
ლი, ფართო (გიშერი, გიშრის სარები, წნელი, ყო-
რანის ფრთა).

8. ნესტანის თმა

როცა ფარსადანის დამ, დავაზმა, ნესტანის გამ-
დელმა სასიძოს მოკელის ამბავი გაიგო, ეს საქმე მან
ნესტანის მიერ მოწყობილად ჩასთვალა და ამიტომ
მას სცემა —

ხელი მიკყო, წამოზიდნა, თმანი გრძელი დაუ-
ფუშნა (579)

აქედან ეტყობილობთ, ნესტანს გრძელი თმა ჰქო-
ნია. თმის სისხოს ყურადღებას აქცევს ფატმანი —
ქალი გარდმოსევს, სისხონი ენახენ მისასა თმი-
სანი (626)

და, რა საკვირველია, ამ თმის მოკეცვას, ფატ-
მანი გველს ადარებს —

გველნი მოშლით მოეკეცნეს, ბალი შეღმა შე-
რაშენდა (1158)

ანუ: გველნი ანუ ნაწნაენი თმანი მოშლით მოეკეცა
და ბალი, ესე იგი პირისახე, პირ აღმა (შელმა) შე-
რაშენდა, შეიბრუნა: მას არ სურდა ხმის გაცემა, პი-
რი მიიბრუნაო.

ხოლო როცა ნესტანმა რიდე გადაიძრო —

თავ - მოხდილსა დაუშვენდა სისხო, სიგრძე,
თმათა ფერა (1310)

მაგრამ რა ფერისაა ეს თმა? ჩვენ ამ ფერს ვხე-
დავთ, ოდეს ვათავისუფლებული ნესტანი ქვაბისა-
კენ მიემგზავრება სატრფოსთან და მის მეგობრებ-
თან ერთად; ნესტანსო —

ჰკიდავს ბროლსა ყორნის ბოლო დაწყობილი,
დანათხზენი (1493)

ნესტანის თმა არის

გიშრისა ტევერი (1623)

მაშასადამე: ნესტანის თმა არის შავი, სხვილი,
გრძელი, სქელი, შენათხზენი, დაწნული (ყორნისა
ბოლო, გიშრისა ტევერი, გველნი).

მ. ნესტანის თითები

ნესტანის ტირილის გამო ნათქვამია —

გიშრისა ტვერსა მოჰფოცხდა ბროლისა საფოცხელია (1623)

ანუ: გიშრის ტვერი არის თმა, რომელს ფოცხავდა ბროლის საფოცხელი, ანუ გრძელი ბროლის თითები.

ამას გარდა, ნესტანს ახასიათებს: სინატიფე, სინაზე, სიტურფე —

ხელმან შენნი განვიცადენ სინატიფე - სიტურფენა (503)

სწერს ტარიელი ნესტანს: გაგიყებულმა (ხელმა) განვიცადე შენი სინატიფეო. ნატიფი არის გათლილი ქეით სახე ამოკრილი, მოხდენილი (ს. ს. ორბ.), ქანდაკება, მოხდენილობით, სილამაზით.

ანუ: ფატმანის თქმით —

რა გაამბო ქება მისი, რა სიტურფე, რა ნაზობა (1136)

ამ ნაზ არსებას, ნესტანს შესაფერისად ნაზი და წყნარი ხმა აქვს, და მისი ტირილი მხოლოდ წყნარი ხმით ხდება, და ამას გვაცნობებს ფატმანი —

გულ - ამოხვიჩვით ატირდა მათ რამე ხმითა წყნარითა (1140)

ფატმანი ნესტანს სწერს —

სიტყვა - მკვერო და წყლიანო, ტურფაო, ლამაზ - ენაო (1270)

მაშ, ნესტანი ყოფილა სიტყვა - მკვერი (მკვერეტველი, ლამაზად მოლაპარაკე); ამასთან წყლიანი (მოხდენილი, შეენიერა მოსაუბრე), და ლამაზ - ენა (კარგად მეტყველი). და ყველაფერი ეს, როდესაც ნესტანს ფატმანთან ორიოდ სიტყვა თუ უთქვამს. აქ, უქვევლია, ფატმანი ვამოსახავს საზოგადოების მიერ სავალდებულოდ აღიარებულ წესს მიმართვის დროს (იხილეთ ნარკვევი: «წყალო») ასეთია ფატმანის სილამაზე - შეენება, იგი ამ ქვევნიურცი კი არაა, უსენის თქმით —

თუ ზორციელი არისცა, თვალნიმცა მრისხვენ ღმრთისანი (1155)

და დაბოლოს, ნესტანის ღიმილიც —

ნესტან - დარეჯანს უშეენის ღიმილი, ჩენა კბილისა (1464)

რაც სილამაზისათვის მეტად მნიშვნელოვანია.

10. ნესტანის შეენება

ამ მიმოხილვით, ჩვენ შედეგად მივიღეთ ნესტანის შეენების ნიშნები:

ნესტანის პირია — თეთრი, ნათელი, მოელვარე, ვარდი, ფერადოვანი (ბროლი, ვარდი, მინა)

ნესტანის დაწვია — წითელი ელვარე, (ლალი, ბაღანში).

ნესტანის თვალია — შავი, ლამაზი (მელნის ტბა, მელნის მორავი, სათი, ნარგისი, ნუში).

ნესტანის ზაგვა — წითელი ელვარე (ძოწა, ბაღანში, აყიყი, ვარდი).

ნესტანის კბილია — თეთრი, ნათელი, ელვარე, შუქთა მფენი (მაგალიტი, ბროლი)

ნესტანის წარბ - წამწამია — შავი გრძელი, ფართო და კერძოდ, წარბები — წნელივით გადაწნული (გიშერი, ყორანის ფრთა, შუბები, სარები, და წარბები — გიშრისა წნელი).

ნესტანის თმაა — შავი გრძელი, სხვილი, სქელი დაწნულ (ყორანის ბოლო, გიშრისა ტვერი, გველნი) ასეთი არის ნესტანის შეენება.

ამ შეენებას ანუ ნესტანის პირის სახის ფერთა დახასიათებას ემატება: ტანის მოყვანილობა (მაღალი, წერწყეტი; ყელი — მაღალი, ბროლივით ელვარე; თითნი — ბროლივით ლამაზი, გათლილი).

ამას ერთვის ნესტანის: სინაზე, სინატიფე, ლამაზ ენობა, ენა - მკვერობა, ხმა - წყნარობა და ღიმილი.

ამნაირად: ნესტანის ტანადობა და შეენება იძლევა ნესტანის სილამაზის სურათს, რომელი მაცქვარალს თავისი ძალით იპყრობს და აჯადოებს.

ამიტომაც ნესტანის შესახებ ნათქვამი —

რა მობრუნდა ქალი ჩემკე, შემოადგეს სხიენი კლდესა,

ლაწვთა მისთა ელვარება ელვარებდა ზეთა ზესა (1132)

ვით მზემან, მისნი მკვერეტელნი შექმნა თვალისა მფახველად;

მეფემან ბრძანა: გამხადა ნახული მე უნახველად,

ღმრთისაგან კიდე ვინ იყო კაცი ამისად მსახველად (1180)

გაკვერდის ყოელნი მხედველნი მისთა ელვათა ფენასა;

ვით მზემან, დაყენა მკვერეტელთა თვალნი ნათლისა ჩენასა;

სითაც გამოჩნდის, იქმოდეს ჯარნი მუნათვენ რბენასა (1538)

ასეთია ნესტანის სილამაზე!

ამ ნარკვევით ჩვენ თავის თავად ვეფხისტყაოსანის სურათოვან ენასაც გავეცანით, და ეიხილეთ. ის მრავალი სურათი, რომელი ენით არის გადმოცემული, და რომლის დახატვა და განცდა მკიოხველის გემოვნების კულტურის განვითარებაზედაა დამოკიდებული.

ფერთამეტყველება. გაგრძელება 161 გვერდზე

IV. ასმათი

ასმათი, მოახლე ნესტანისა, მეგობარი ტარიელი-სა! მის სილამაზეზე ვეფხისტყაოსანში ერთი სიტყვა-ც არაა გამეტებული! სამაგიეროდ, მას ახასიათებს უკეთილშობილესი და უძვირფასესი გრძნობა სიყვარულისა, მეგობრობისა, ერთგულებისა და თავდადებისა. ასმათი ამ დიდ გრძნობათა და საქმეთა გამანამდვილებლად არის დანიშნული.

არაფერი ვიციოთ არც ნესტანის დედის, არც ქაჯეთის დედოფალის სილამაზის შესახებ.

V. ფატმანი

ფატმან - ხათუნის სილამაზის შესახებ ვტ.-ში ბევრი რამ ნიშანი არ მოიპოვება, — მხოლოდ ერთ ადგილზე ხაზმოსმულია მისი სურათი —

ფატმან - ხათუნ თვალად მარჯვე, არ ყმაწვილი, მაგრა მზშელი, ნაკვლად კარგი, შავ - გრემანი, პირ - მსუქანი, არ პირ - ხმელი (1077)

ანუ: ფატმანი არის თვალად მარჯვე, მიმზიდველი, სანდომიანი; არა ყმაწვილი, მაგრამ მზშელი, ესე იგი მკვირცხლი, კისკასი, მხნე, კოცხალი ადამიანი; ნაკვლად კარგი, ესე იგი, ტანადობის შეენებით; — კარგი, ოღონდ შავ-გრემანი, არა-თეთრი; პირ-მსუქანი და არა პირ ხმელი.

ამით ამოიწურება ფატმანის სილამაზის ნიშანთა დახასიათება. მაგრამ ამ აღწერილობიდან მაინც საკმარის ჩანს, თუ როგორი იყო ფატმანი — მას არ აკლდა ტანადობის სილამაზე, ოღონდ იგი იყო შავ-გრემანი. ფატმანი არ არის შავი, იგი შავგრემანია, — თავისი ფერით იგი არისტოკრატ დედაკაცთა სილამაზეს ჩამოუვარდება, მათ ვერ შეეტოვლება, და თავის წრეში, ანუ ვაჭართა ფენაში, დიდ ვაჭართა გვარში, იგი სილამაზის წარმომადგენელია. ეს ვაჭართა წრე თავისი სილამაზით, რომელს შავგრემანობა აქვს მიკუთვნებულ, რასაკვირველია, დაბალ ფენას სჯობნის და მასზე მაღლა სდგას. ამით მოხატულია ვეფხისტყაოსანში საზოგადოების წრეთა შორის განსხვავება.

VI. ვტ.-ის დედაკაცთა სილამაზე

ს. ს. ორბელიანის განმარტებით, «ნაკეთი» არის: ტანადობა - შეენებით გაწყობა; ანუ მეორე განმარტებით: ტანადობის გაწყობა.

მაშასადამე: «ნაკეთი» არის ტანადობა, ტანის მოყვანილობა, ტანის გარეგანი სახე და მისი სილამაზე.

ცნობილია, კლასიკურ საბერძნეთში, მოქანდაკენი მათ მიერ გამოქრულ, გამოწახნაგებულ ჩინებულ ქანდაკებებს ლებადენენ; ბერძენ გენიოს ხელოვანთ შესანიშნავად გაეგებოდათ, რომ ტანის ნაკეთთან ერთად, საჭირო იყო მის ფერთა ჩვენებაც. რათა სილამაზე სრულ ყოფილიყო. 10.

სილამაზის იდეალი: გაერთიანებულად ტანის სახისა და პირის სახის სილამაზით გამოიხატება.

ამგეარად: ნაკეთის შეენება არის სილამაზე.

სწორედ ამ თვალსაზრისით არის ვეფხისტყაოსანის სილამაზეც დახატული; აქ მოცემულია «ნაკეთი», და ამ ნაკეთის «შეენება», ანუ ფერთა გამოსახეც.

ვეფხისტყაოსანის დედაკაცთა სილამაზე-შეენების ნიშნებს თუ თავს მოეუყრიოთ და დაეღაგებთ, შემდეგ სურათს ეჩხილავთ —

ტანისათვის — მაღალი, წერილი, წერწეტი, ნაზი, სურნელოვანი (ხე, ალვა, სარო, ლერწამი).

პირისათვის — თეთრი, ელვარე, სხივოსანი, მოხლომილი, ფერადოვანი (ნათელი, მთვარე ანუ მარგალიტი, ბროლი, ვარდი, მინა).

ღაწვთათვის — წითელი (ლალე, ბადანში, ვარდი).

თვალთათვის — შავი, ელვარე, ლამაზი, მომხიბლველი (გიშერი, სათი, მელნის ტბა, მელნის მორევი, ნარგისი, ნუში).

წარბ - წამწამთათვის — შავი, გრძელი, ფართო, ხშირი (გიშერი, სათი, გიშრის შუბები, გიშრისა სარები, გიშრისა ხენი, ყორანის ბოლო ფრთანი, ყორანის ფრთა, გიშრისა ჯოგნი, გიშრისა წნელნი).

ბაგეთათვის — წითელი ლეიე და ბრწყინვალე (ძოწი, აყიყი, ვარდი).

კბილთათვის — თეთრი, შუქთა მაფენი (მარგალიტი, ბროლი, ელვა).

თმისათვის — შავი, გრძელი, სხილი, სქელი (გიშერი, ყორანისა ბოლო, გიშრისა ტეერი, გველნი).

უღლისათვის — მაღალი, ნათელი (ბროლი).

მკერდისათვის — მაღალი, ამოზურთხული, გამოქპრილი ვით ქანდაკება (ბროლი - ფიქალი).

თითთათვის — გრძელი, თლილი (ბროლი).

ასეთი არის ვეფხისტყაოსანის დედაკაცთა ნაკეთი — ტანისა და სახის ფერთა გაწყობილება, სილამაზის ხატი.

როგორილა მამაკაცთა სილამაზის ნიშნები?

VII. ავთანდილის სილამაზე

ვეფხისტყაოსანის მამაკაცთა სილამაზის დამახა-

სიათებელ თვისებებს უფრო ხშირად ვხვდებით, ვიდრე ეს დედაკაცთა სილამაზის აღწერის შემთხვევაშია, ხომ არ აიხსნება ეს იმ მოვლენით, რომ ვტ. ში მამაკაცთა სილამაზეს უპირატესობა ეძლევა? იმ გარემოებით, რომ მამაკაცთა სილამაზეს უფრო ოველ საჩინო ადგილი ჰქონდა მიმჩნეული? იქნებ მართალ არის გერმანელი მეცნიერი შერცბახერ, რომელი ამბობს, — სილამაზით დასავლეთ საქართველოში მამაკაცები უფრო ლამაზი არიან, თუმცა ორივე — მამაკაცი და დედაკაცი მთელს მსოფლიოში ერთ უუღამაზეს ტიპს წარმოადგენსო?! — ვნახოთ.

ავთანდილის სილამაზის თვისებათა აღწერისას მხედველობაში არ ვღებულობთ, რომ იგი არის მზე, მთვარე, გმირი, კბუჭი, ვეფხი, ლომი და სხვა შედარებანი, რომელთა ძალით მას არაფერი არ აქვია — სრული არის.

1. ავთანდილის ტანი

ავთანდილი არის —

საროსა მჯობი, ნაზარდი, მსგავსი მზისა და მთვარისა (40)

ამიტომ ავთანდილია კენარი —

ადგეს სოგრატ და ავთანდილ ტანითა ში კენართა (59)

ანუ: ავთანდილის ტანია: კენარი ესე იგი, კეთილ - სანახავი და მოხლომილი, შნოიანი (ს. ს. ორბ.), ვინაიდან იგი არის აგრეთვე სოსანი —

დილასა ადრე მოვიდა იგი ნაზარდი სოსანი (72)

მაგრამ ამას გარდა, ავთანდილი ედემის ხეა, ანუ ალვა —

ავთანდილის შემხედველთა: «ჰგავსო ალვას, ედემის ხეს» (77)

და გასაკვირი აღარაა, მისი ტანი რომ მჭევრია — ბროლსა სეტყვს და ვარდსა აზრობს, ტანსა მჭევრსა ათრთოლებდა (138)

მჭევრი — მოყვანილი, მოხდენილი, შნოიანი.

თინათინი ავთანდილს ხეს ადარებს —

ქმარი არ მინდა უშენოდ, მომხედეს ხისაცა რგულისა! (153)

ანუ: შენს გარეშე სხვა ქმარი არ მინდა, შენა ხარ რგული, დარგული ხე (ედემის ხე, ალვა), რომელი მე შერგებო (მომხედეს).

ავთანდილია —

ტანად სარო და პირად მზე, მამაკად მსგავსი გმირისა (296)

ბედნიერი იყო ავთანდილი სანამ თინათინს ხედვდა, მაგრამ იგი მიდის სამი წლით, რათა უცხო მოცმე (ტარიელი) მოძებნოს და იგი წუთისოველს საყვედურობს, რომელმა ამდენი ცეცხლი გაუჩინა და სედა დააკისრა მას, —

ვინ უწინ ედემს ნაზარდი ალვა მრგო, მომრწყო, მახია (715)

სოფელმა მიაყენა ავთანდილს ეს ვნება — თინათინთან დაშორება — უწინ კი ეს სოფელი ანუ საწყუთო მას ზრდიდა; იგი დარგო, გაზარდა და ხედ აქცია (მახია), ანუ მაღალი ტანი მისცა მას.

სეგდით შეწუხებული ავთანდილი —

გულ - ამოსკენით, ოხერა - სულთქმით, მიხრის ტანსა, მიაწარებს (716)

ანუ: იგი ცხენზე მჯდომი ტანს მიჰხრის, ცხენის მოძრაობას აყოლებს და ტანს მიაწარებს ანუ მიაწანწარებს, წვრილ ტანს მიაქანებსო.

როსტევანი როდესაც ვაზირს ეჩხუბება, როგორ მითხარი ავთანდილის წასვლის ამბავი, იგი ავთანდილს ალვას უწოდებს —

ვით მიაშვე წასლვა მისი, ვინ ალვისა მორჩი ხე წნა (760)

როსტევანის სიტყვით, ავთანდილმა მოწნა, დაწნა თავისი ტანი ვით ალვის მორჩი ანუ ნორჩი ხე.

როდესაც ავთანდილმა ვაზირს ძღვენი გაუგზავნა, ნათქვამია —

შეკრა წითელი ასი ათასი პირად მზემან და ტანად სარომან (771)

ავთანდილის ტანია სარო ანუ კვიპაროსი, კიპარისი, სიპრეს.

გაპარულ ავთანდილს როსტევანი მისტარის —

ველარ გიჭვრეტ ნაბურთალსა, ტანსა მჭევრსა, ჯავარ - სრულსა (823)

ბურთობა არის — პოლღოს თამაში (იხილეთ ჩემი ნარკვევი: «ზნენი სამამაცონი»).

ჩვეულებრივი უბრალო ხალხი, მენავენცი ავთანდილს საროს ადარებენ —

აქადალმა ათ დღე მიხვალ ნაკეთად სარო, ფერად ლალო (973)

ხოლო, ოდეს ავთანდილი ფრიდონის ლაშქარში იმყოფება, მისი —

ნახვა მჭერეტელთა ახელებს, ტანი ლერწამობს რხევითა (979)

ფრიდონის მონა განცვიფრებულია —

მონა ფიცხლად მოეგება, ჰნახა სარო, მორჩი ტანი (983)

ავთანდილი ფრიდონს ემშვიდობება და —

ფრიდონ დადგა, ყმა წაიდა, შემხედველთა მკლველი ტანი (1024)

და —

ზღვა გაიარა ავთანდილი, მივა ტანითა მჭევრითა (1061)

საროსა მსგავსი ნაზარდი და მთვარე დღისა შვიდისა (1073)

ავთანდილი ოდეს ფატმანთან პავმანზე მივიდა —

ფატმან ზის წყენით, შევიდა აეთანდილ მარტო
 ხე ვითა (1098)

და მერმე —
 აეთანდილ გაელო ქალაქი მით უებროთა ტა-
 ნითა (1112)

უებრო = უტოლო, რომლის მსგავსი არაა.
 ქაშნაგირის მოსაკლავად —
 ხელ - სისხლიანი აეთანდილ შედგა ტანათა ჯა-
 ნითა (1115)

ფატმანი მოსთქვამს აეთანდილისადმი სიყვარუ-
 ლისა გამო —
 იტყოდა: «მომკლავს უცილოდ ტანი ალვისა,
 მო, — ხისა (1260)

ანუ: მომკლავს აეთანდილის ალვისებური ტანი, მო-
 მკლავს (მო) მისი ხესაეით მალალი ტანიო.
 და დაბოლოს, როცა გახარებულა ასმათი აეთან-
 დილს მოეხვევა —
 მან მიჰყო ხელი ალვასა, შტო მოჰყვა მოსარ-
 ხეველად (1358)

ასმათი აეთანდილს მოეხვია, ალვა - ტანს მოეხვია
 და მისი შტო, ანუ მკვლავები ხელთ მოჰყვა მოსა-
 რხეველად; მას შტოსაეით გრძელი მკლავები ჰქო-
 ნდაო.

ამგვარად: აეთანდილის ტანი არის — მალალი,
 მაგარი, კენარი, წერწყეტი, მქვერი, შტკიეუ, მერხე-
 კი, უებრო, შემხედველთა მკვლეელი, ჯანიანა (ხე,
 ალვა, სარო, სოსანი).

2 და 8. აეთანდილის პირი და ღაწენი

ეთანდილი ყმაწვილია, ახალგაზრდა, მორჩი ანუ
 ნორჩი —
 ჯერ უწვერული, სადარო ბროლ - მინა საცნო-
 ბარისა (40)

ნადირობას წასვლისას აეთანდილი იყო —
 ძოწეულითა მოსილო, პირად ბროლ - ჰადაზ-
 შოსანი (72)

ეთანდილი —
 ბროლსა სეტყეს და ვარდსა აზრობს ... (138)

ეთანდილის —
 ბროლისა ველსა სტურფობდეს გიშრისა მუნ
 საყენია (193)

ვარდისა ბაღსა მოგუბდა ცრემლისა საგუბარია
 (244)

ქარი, ველთა მონაქროლი, ლალის ფერსა ვარ-
 დსა ზრეიდა (860)

ვარდმან ფერი განანათლა, ბროლი ბროლდა,
 სათი სათდა (867)

და მერმე —
 ბაგეთათ ვარდსა ანათებს ბროლი ძოწისა ძი-
 რითა (953)

ხოლო თინათინზე წუხილისა გამო —
 ვარდი ქნებოდა, ღრგბოდა, ალვისა შტო ია-
 ხეოდა (954)

ნარგისნი ქუხან, ცრემლსა წვიმს, ჩარცხის ბრო
 ლსა და მინასა (975)

ფრიდონი ც ვარდად სახავს აეთანდილს, როდესაც
 იგი მას ეუბნება —
 არ წაიტან, გაირჯები, ღაწვი - ვარდი, ცრემლ-
 ნადენი (1018)

ფატმანთან სტუმრობის დროს, აეთანდილზე ნა-
 თქვამია —
 შემოვიდა ღაწვი ვარდი, ბროლ - ბადაზში, მი-
 ნა, სათი (1074)

ეთანდილს —
 ვარდისა ბაღსა უჩრდილობს ჩრდილი წამწამთა
 ქობისა (1260)

ეთანდილმა —
 მისცა ფრიდონის მონათა ვარდმან და ვითა ია-
 მან (1324)

ეთანდილმა ტარიელზე შეწუხებისა გამო —
 გახეთქა ლალი, გათლილი ანდამატისა კეერი-
 თა (1342)

ამგვარად: აეთანდილის პირია — თეთრი, ელვა-
 რე, ფერადი, ვარდი, ვარდის ეელი, — და ღაწენი
 — წითელი (ბროლი, მინა, ვარდი, ვარდის ეელი,
 ვარდის ბაღი, ბადაზში, ლალი).

4. აეთანდილის თვალნი

თინათინისადმი სიყვარულისა გამო აეთანდილს —
 ცრემლი ცხელი ასოელებდის ნარგისთაგან ვა-
 რდსა ზრულსა (152)

აქ: აეთანდილის თვალებია ნარგისი, ლამაზი; იგი
 არის შავი ვითარცა მელნის ტბა —
 მელნისა ტბათა მიჯარვით ბურავს გიშრისა ქე-
 რითა (1009)

ეთანდილის თვალებია: მელანი —
 შიგან მელნისა მორეცსა, ცურავს გიშრისა ნა-
 ვი სად (1253)

ხოლო აეთანდილი —
 გიშრისა ტევრსა აგუბებს, ვარდისა ველსა ფო-
 ნია (1254)

ამგვარად: აეთანდილის თვალებია — ღრმა შავი,
 მჭეინვარე, ლამაზი (გიშერი, მელნის ტბა, მელნის
 მორევი, გიშრისა ნავი, ნარგისი).

5. აეთანდილის ბაგენი

ეთანდილმა გალიმებისას ტუჩნი გახსნა და გაღე-
 ბული კარდან გამოჩნდა კბილი - მარგალიტი —
 მათ მარგალიტი უჩვენის ძოწისა კარმან ლი-
 მან (1324)

გალიმდის, ძოწი გაალის, კბილთაგან ელვა
კრთებოდა (137)

ავთანდილმა —

ვარდთა აკოცა ბაგითა, მითვე ვარდისა დარი-
თა (1329)

ამგვარად: ავთანდილის ბაგეა — წითელი (ძოწი,
ვარდი).

6. ავთანდილის კბილნი

ავთანდილის კბილები არის თეთრი, ოღონდ არა
უბრალო თეთრი, არამედ ელვარე, შუქთაჰაფენი,
ელვა - თეთრი —

თეთრთა კბილთათ გამომკრთალსა შუქსა
ველსა მოაფენდა (64)

თეთრთა კბილთათ გამოჰკრთების თეთრი ელვა
ვითა ქვარი (136)

ავთანდილს საუბარის დროს —

ბაგეთა გასქვირის ბროლი - ლალი, მათ კბილთა
ელვა ჰკრთებოდა (723)

და შემდეგ: ავთანდილის —

ბაგეთათ ვარდსა ანათობს ბროლი ძოწისა ძი-
რითა (953)

ამგვარად: ავთანდილის კბილებია — თეთრი,
შუქთა ჰაფენი, ელვა მკრთომელი, და მარგალიტი.

ამას გარდა, ტარიელისა და ავთანდილის შესახებ
ნათქვამია —

კბილნი — ვითა მარგალიტნი, ბაგე — ვარდი
ნაპობარი (901)

ავთანდილს ვაჟრები —

მას მარგალიტსა, მას ყმასა კბილთავე უფრსა
სძლენიდიან (1060)

ავთანდილმა მონებს —

მათ მარგალიტი უჩვენის, ძოწისა კარჰან ლი-
ჰან (1324)

გალიმდის, ძოწი გააპის, კბილთაგან ელვა
ჰკრთებოდა (1337)

და დასასრულ, ტარიელი ავთანდილის კბილებს
ბროლის ყორეს ადარებს —

მან უთხრა: ჯაგრე ნუ უბნობ, შეცევე ბროლასა
ყორები (1564)

ამგვარად: ავთანდილის კბილებია — თეთრი, ელ-
ვარე, შუქმფენი, ელვისა გამომცემელი (მარგალი-
ტი, ელვა, ბროლი, ბროლის ყორე).

7. ავთანდილის წამწამნი

ავთანდილის წარბ - წამწამნი არიან: შავი, ხში-
რი, გრძელი და ფართო —

მელნისა ტბათა მიჯარვით ბურავს გაშრისა ქე-
რითა (1009)

ფატმანი ავთანდილის შესახებ ამბობს —

გული ვერ გასძლებს ნიადაგ შავთა წამწამთა

და ბოლოს, წამწამნი ვით ქობი, რომელი ავთა-
ნდილის ბაღს = პირს თავისი სიჯრძითა და სიფარ-
თით უჩრდილებს —

ვარდისა ბაღსა უჩრდილობს ჩრდილი წამწამთა
ქობისა (1260)

ამგვარად: ავთანდილის წამწამი არის — შავი,
გრძელი, ფართო (გიშრისა ქერი, ისარი დაჰასობე-
ლი, გიშრისა ქობი).

8. ავთანდილის თმა

ავთანდილი ტირილის დროს —

ყორანსა გაჰგლეჯს ხშირ - ხშირად, აფრთხობს
ბროლისა ქერიითა (1342)

ყორანსა გაჰგლეჯს, ანუ: შავ თმებს ხშირ - ხში-
რად იგლეჯავს; აფრთხობს ბროლისა ქერიითა, ანუ:
თმის ხელის დაქვრით, თმაზე ხელის ტაკებიით.

ამგვარად: ავთანდილის თმაა — მჭვინევარე (შა-
ვი ელვარე. ს. ს. ორბ.). (ყორანი).

9. ავთანდილის ყელი

ავთანდილი ფატმანთან წევს და მას —

ყმა უნდო - გვარად ეხვევის ყელსა ყელითა ბრო-
ლითა (1252)

ამგვარად: ავთანდილის ყელია — თეთრი, ელ-
ვარე (ბროლი).

10. ავთანდილის მკლავი და ხელი

ავთანდილის მკლავია უფრო გრძელი, და მაშასა-
ღამე, უფრო ძლიერი, ვიდრე როსტომისა —

ისრითა მოკლის ნადირი, როსტომის მკლავ -
უჯრძესითა (195)

მან მიჰყო ხელი ალვასა, შტო მოჰყუა მოსარ-
ხეველად (1353)

ავთანდილი —

... აფრთხობს ბროლისა ქერიითა (1342)

ამგვარად: ავთანდილის მკლავია — გრძელი,
ძლიერი და მისი ხელია — ბროლისა.

ყველა ამ ნიშანთა გარდა, ავთანდილს შვენის ლი-
მილი —

თავ- მოდრეკით გაიღიმნა, გაცინება დაუშენ-
და (64)

ავთანდილია ენა-წყლიანი და სიტყვა-ლამაზი —
ესე სიტყვა დაასრულა წყლიანმა და სიტყვა
ნაზმა (170)

ავთანდილს აქვს ლამაზი ხმა —

ველარ ვისმენ ხმასა შენსა, სასმენელად მე მას
რულსა (823)

მოსთქვამს როსტევანი ავთანდილის გაპარვის შემ-
დეგ — შენს ხმას, სასმენელად რულს ანუ როგორ

(კარგს) ველარ ვისმენო.

და ეს გასაგებია, ვინაიდან აეთანდილი შესანიშნავი ხმის პატრონია —

მიიმღერის ხმასა ტკბილსა, არ დასწყევდის
 ცრემლთა რუსა,
 მისსა ხმასა თანა ხმაცა ბულბულისა ჰვეანდის
 ბუსა (966)

ამიტომ ბუნებრივია, აეთანდილს ტირილშიაც კი ხმის სილამაზე ახლდეს —

ათანდილ დაჯდა ტირილად, ტარს ხმათა შე-
 ნიერთა (1342)

11. აეთანდილის შეენება

ამგვარად: აეთანდილის შეენება აქ ჩამოავლილნიშანთა მიხედვით შემდეგ სურათს იძლევა —

ვიხილეთ: აეთანდილის პირია — თეთრი, მოელვარე (ბროლი), და ფერადი (მინა), ლამაზი (ვარდი); დაწვები — წითელი (ბადანში, ლალი, ვარდი).

ათანდილის თვალია — შავი ელვარე ანუ მკვიწვარე (მელნის ტბა, მელნის მორევი, გიშერი), და ლამაზი (ნარგისი).

ათანდილის ბაგვა — წითელი ელვარე (ძოწი და ვარდი).

ათანდილის კბილია — თეთრი, მოელვარე (მარგალიტი, ელეა).

ათანდილის წამწამია — შავი, გრძელი, ხშირი, ფართო (ისარი, გიშრისა ქერი, გიშრისა ქოხი).

ათანდილის თმაა — შავი ელვარე (ყორანი)

ამნაირად: აეთანდილის შეენება დახატულია სამი ფერით: 1) თეთრი, 2) წითელი და 3) შავი.

ათანდილის ამ შეენებას ემატება მისი ტანადობა.

ათანდილის ტანია — ძალი, მაგარი, წერწყუტი, კენარი ანუ მოხდომილი, შნოიანი, მოქნილი, მერხევი, ლამაზი და ნაზი (ხე, ალვა, სარო, ლერწამი, სოსანი).

ათანდილის ყელია — თეთრი ელვარე (ბროლი)

ათანდილის მკლავია — გრძელი და ძლიერი; ხელი მისი არის ბროლი.

ამგვარად დახატულია: ტანადობა და შეენება აეთანდილისა — ტანის გაწყობით და ფერთა სათანადო შეხამებით, რომელიც საბოლოოდ, აეთანდილის სილამაზეს გვიჩვენებს.

და რა გასაკვირია — აეთანდილის ჭკრეტად სპანი იქით - აქათ იქმნენ ჯრასა,

თქვეს: «ასეთი ხორციელი შეუქმნია ნეტარ რასა (990)

ასეთია აეთანდილის სილამაზე!

ტარიელი, ვით ეტ-ის სხვა მოქმედი პიროვნებაც, არის მზე, მთვარე, ღომი, გმირი, და სხვა, ოღონდ როგორც წინა შემთხვევაში, ამნაირ შედარებათა განხილვა ცალკე საკითხია და ცალკედაცაა შესრულებული.

1. ტარიელის ტანი

ტარიელის ტანის შესახებ პირველად მაშინ გვესმის, როდესაც უცხო მოყმე მეფე როსტევეანს მოზოდების გამო გაურბის —

იგი ლალი და უკადრი მივა ტანისა მრხეველად (96)

და შემდეგ, ასმათს აეთანდილი ეკითხება — მისი რამ მითხარ, ვინ არის ტან - სარო, პირ - ბაკმიანი (233)

რაზედაც მას ასმათი უპასუხებს ისი მინდორს არონინებს ტანსა მკვერსა, მემაჯანსა (261)

ანუ: ტარიელი ცხენით ატარებს ტანსა მკვერსა (მოხდენილს, შნოიანს) და მემაჯანსა (მაჯანი — მამაბუნებელი. ს. ს. ორბ.) ანუ სხვის მომსპობს, დამჩაგვრელსა, სხვისა არარად მქცეველსა..

და ეს ბუნებრივია, ვინაიდან, როგორც ტარიელი ამბობს, მეო —

ძალად ღომსა, თვალად მზესა, ტანად ეკვეანდი ედემს ზრდილსა (332)

ედემს ზრდილი არის ხე ალვა, ედემში დარგული და იქ გაზრდილი.

და მართლაც, ტარიელს მისნი მკვერტნი, თუ მისნი ტოლნი ალვას უწოდებენ —

ჩემნნი სწორნი წაეიტანენ, ჩემსა დაეჯე, მთქვიან ალვად (369)

ტარიელის ტანი ისეთია, რომ ხატაველი ერთი დიდებული თავის ღალატს ამით ასაბუთებს —

მკედარი მიმძიმ სანახაეად, ტანი მკვერი, პირი ვარდი (433)

ნესტანსაც ტარიელი ალვის მსგავსად მიაჩნია — წიგნი მომართვა, ეწერა: «ვიან სჩან ალვისა ტანისად (517)

ფრიღონი ტარიელს ალვას ადარებს —

კელაცა მითხრა: «ვისცა ღმერსა საროს მორჩა ტანად უხებს (633)

ანუ: მერმე მითხრა: ვისაც ღმერთი საროს, კვიპაროსს მორჩის ანუ ნორჩს ტანად უხებს, ესე იგი, მის ტანს ხესავით ზრდისო, ვისაც სარო = 'შენა ტანი, ხედ შეუქმნიაო; და ამ შედარებას ფრიღონი კვლავ იმეორებს —

მერმე ფრიღონ მოიყვანა, მიძღვნა ესე ჩემი

ცხენი,
მოთხრა: «ჰხედავ, პირი მზისა, თქვენ საროსა
ეგეც ხენი (647)
ანუ: ხედავ, ტარიელ, შენ პირო მზისაო, რომელს
ტანი ვით საროს (კიპარისს) ეგ ხენი გაქვსო.
ავთანდილი ტარიელის შესახებ თინათინს მოუთხრობს —

ვპოვე ხე, ტანი ალვისა, სოფლისა წყალთა
რწყულისა (696)
ტარიელის ტანია ხე = ალვა, რომელი გაზრდილია და მორწყული სოფლისა წყალით (იხილეთ ნაკვეთი: «წყალი»).

ავთანდილი ტარიელს განმეორებით ალვას უწოდებს —
მაგრა მან ყმამან ცეცხლითა დამწვა, ალვისა
სახემან (738)

შემდეგ უკვე ტარიელი არის ლერწამი —
აწ მეცა მიჯობს მონახვა მის მზისა, ლერწამ -
ტანიას (863)

ოდეს ტარიელს გული შეუწუხდება, ავთანდილი, მისი მოსულიერების შემდეგ, მას ეხვეწება, ცხენზე შეჯგუქო, რადგან იგი დარწმუნებულია, ტარიელს ცხენზე შეჯდომა სევდას განუქარებდსო.

ლერწმისა სარსა დასდრეკდა, გიშერსა დააკარგებდა (891)

ანუ: ლერწმისა სარი არის ტარიელის ტანი და ეს შედარება აქ განზრახაა ნათქვამი — ლერწამი მოქნილია, ზნექილი, ლბილი, მდრეკი, ხოლო ლერწმისა სარი უკვე გამხმარია, ხმელი, უდრეკი. ავთანდილი ფიქრობს, ტარიელი როცა ცხენზე შეჯდება, მის ლერწმისა სარს ანუ გახევებულ ტანს დასდრეკს და გააღბილებს, ვინაიდან იგი ცხენის ჰომორობას უნდა აპყვესო და თან გიშერს დააკარგებდსო. დაკარგება გიშრისა არის დაწყობა, დალაგება, ვით აშენება კარავისა, — ტირილის შემდეგ, არეულ წამწამთა დალაგება, დაწყობა.

ავთანდილმა ტარიელი დაითანხმა და იგი ცხენზე შესეა და მერმე —

მინდორთაკე წაიყვანა, ტანი მქვერი აძერევიანა (892)

და მართლაც, ამ მოძრაობის შედეგად, ტარიელი კარგ გუნებაზე დადგა.

ტარიელს ოდეს ავთანდილი ნესტანის ამბავს მოუთხრობს, იგი სიხარულისაგან სტირის და ამით —
ალვასა წყარო ცრემლისა მორწყავს, ნაკადი ბევრები (1336)

მერმე, ქაჯეთის ციხის დასაპყრობად მიდიან —
ტარიელ შავსა ზედან ზის ტანითა მით წერწყტითა (1409)

როდესაც ტარიელი ნესტანს ათავისუფლებს, მას

იგი ეხვევა, და ავთანდილ - ფრიდონი ხელავენ ტარიელს, რომელს —

მუზარადი მოეხადა, ჰშეენის აკერა თმისა ლელსა (1420)

ანუ: მუზარადი = თავის დასაცველი რკინა-ქელი მოეხადა, და მას, ლელს შეენოდა თმის აკერა, უკან გადაგდებო. ლელი არის წვრილი ლერწამი (ს. ს. ორბ.); და ამგვარად: ტარიელის ტანი არის ლელი, წერწყტი.

ციხის დაპყრობის შემდეგ, მეგობრებმა —

ტარიელსა უსალამეს, მას ალვისა მორჩა ვით ხეს (1424)

ცნა მეფემან, ტარიელი მოვა, მოჰხრის ტანსა...
გაეკვირვა მეფე მისსა თვალადობა - სიტურფესა (1514, 1516)

ამნაირად: ტარიელის ტანია — მაღალი, წვრილი, წერწყტი, ნაზი, მქვერი, მემაჯანი, ვდემს გაზრდილი, მოქნილი (ხე, ალვა, სარო, ლერწამი, ლელი).

2. და 8. ტარიელის პირი და ლაწენი

როდესაც როსტევეანმა და ავთანდილმა პირველად ტარიელი (მაშინ: უცხო მოყმე ვინმე) დაინახეს, იგი სტიროდა და —

ცრემლსა ვარდი დაეთრთვილა, გულსა მდულად ანატირსა (84)

ასმათისათვისაც ტარიელი არის ვარდი —
ეგონა თუ, დაბრუნდაო პირი ვარდი, ბროლ -
ბაკმული (230)

ავთანდილიც ასე ჰგონებს და ასმათს ეკითხება —
მისი რამ მოთხარ, ვინ არის ტან - სარო, პირ -
ბაკმიანი (233)

ოღონდ მწუხარებათა შედეგად, ტარიელის პირი ბროლი ხშირად უყვითლდება —

ამარტის ფერად შეცვალა ბროლი ცრემლის ბანამან (266)

ზაფრანის ფერად შეცვალა ბროლი ცრემლის ბანამან (258)

ხოლო ნესტანის სიყვარულის დასტურზე —

მუნ პირი ჩემი გაბროლდა და ლაწვი გამელალოდა (380)

ტარიელი მალე საომრად მიდის, ნესტანს შორდება და ამიტომ —

ბროლი და ლალი შევიქმენ მე ულურჯესლილისა (399)

ხატაველი მოციქული ტარიელს ვარდს ეძახის —
მკვდარი მიმძიმს სანახავად ტანი მქვერი, პირ ვარდა (433)

გარნა ეს ვარდი ტირილის შემდეგ ფერმიხდილხდება —

ფერმიხდილ - გვარად ვშვენოდი ვარდი, ცრემლითა ნაზანი (476)

და ტარიელს ფრიდონი ამიტომ ეკითხება —
რამან შექმნა მოყვითანოდ, ვარდ - გიშერი
რომე ჰრგავსო(599)

ტარიელმა თავგადასავალის მოთხრობისას —
პირსა იცა, გაიხეთქა ლაწვი, ვარდი აიხეწა,
ლალი ქარვად გარდაიქცა, ბროლი სრულად
დაილეწა (659)

და ტარიელი არის —
მუნ პირი მსგავსი ვარდისა, მაგრა აწ ფერ-ნაკ-
ლულისა (697)

ვპოვე ვარდი მოყვითანო, შუქ - მკრთალი და
ფერ - მიხილი (927)

ტარიელმა ნესტანის წერილი —
პირსა დაიდვა, დაეცა, ვარდმან ფერთა მკრთა
ლამან (1340)

და შემდეგ: სიხარულისაგან —
ვარდსა ზედა ყორნის ბოლო ნამსა თხელსა აპ-
კურებდა (1362)

ამნაირად: ტარიელის პირი არის — ვარდისფერი,
სსივოსანი, თეთრად მოელეარე და მისი ლაწვები —
წითელი; ხოლო ხანდახან, წუხილის შედეგად: ფერ
ნაკლული, გაყვითლებული, გალურჯებული (ვარ-
დი, ლალი, ბროლი, ამარტა, ზაფრანა, ქარვა).

4. ტარიელის თვალნი

ტარიელის თვალები ნარგისავეთ ლამაზია —
დაგრჯიდა დენა ცრემლისა, ნარგისთათ ნაგუ-
ბარისა (411)

ეუბნება ტარიელს ნესტანი: შეგაწუხებდა (დაგრ-
ჯიდა) ცრემლის დენა თვალებში ნაგუბარისო.
როდესაც ტარიელმა ნესტანის ამბავი ავთანდი-
ლისაგან შეიტყო —

შეჰხედნის, თვალნი ამართნის, შავ -თეთრი
ელვა კრთებოდა (1352)

ანუ: ტარიელი შეხედავდა ხოლმე ავთანდილს და
თვალებს აღმართავდა მისკენ; მას თვალებიდან შა-
ვი და თეთრი ელვა კრთებოდა, გამოუცემდა. ელვა
არის შუქი. მაშასადამე, ტარიელის თვალთაგან შა-
ვი ბრწყინვალეობა და თეთრი ელვარება მოსჩანდა,
შავი — თვალის გუგისაგან, ხოლო თეთრი კი —
გუგის გარეშემოდან.

და ტარიელი ავთანდილს ეუბნება —
დამწყვიდე დენა ცრემლისა, ნარგისთა ნაგუბა-
რისა (1353)

როდესაც დალუპულ გმირებს მისტირიან —
ნარგისთათ იძვრის ბოროთ, ვარდსა ზრავს იან-
ვარია (1456)

ამნაირად: ტარიელის თვალებია — შავი, ბრწყი-
ნვალე (მჰყინვარე), ლამაზი (ნარგისი).

6. ტარიელის ბავენი

ტარიელის ბავენი არიან ვარდის ფერნი, —
არცა გახლიჩა ბავეთათ თავი ვარდისა კანა-
მან (89)

გარნა ოდეს ტარიელი და ავთანდილი საუბრო-
ბენ, მათი —

კბილნი — ვითა მარგალიტნი, ბაგე — ვარდი
ნაპობარი (901)

გახარებულ ტარიელსო —
ხმა შექრის - ფერად გაუხდა ვარდსა, ხშირ -
ხშირად პობილსა (1335)

შაქარი — სიტკბოს სიმბოლოა, ხოლო ნაპობი
ვარდი არის გახსნილი, მოსაუბრე ტუჩები.

ამნაირად: ტარიელის ბაგეა — ვარდის ფერი, წი-
თელი (ვარდის კონა, ვარდი).

8. ტარიელის კბილნი

ტარიელის კბილებიც მარგალიტია, როგორც ეს
ზემოდ მოტანილი ლექსებიდანაც სჩანს.

7. ტარიელის წამწამნი

ტარიელმა როს ტირილი შეწყვიტა, ამის დასაბუ-
რათებლად ნათქვამია —

დადუმნეს, ცრემლნი მოჰკვეთა შეემან გიშრი-
სა დანამან (266)

ანუ: გაჩუმდა (დადუმნეს); შეემა გიშრის დანამ
(წამწამებმა) ცრემლები მოჰკვეთა ანუ მოსკრა, შე-
წყვიტაო, და შემდეგ —

სისხლისა ცრემლსა გაეწნა შუა გიშრისა სატე-
ბი (267)

გიშრისა სატები, შავი წამწამები (სატი = საჩრდი-
ლობელი). სისხლს. ეს შავი წამწამები ერთმანეთზე
გადაეწნა, გადაებლანდაო.

ტარიელის წამწამები ვით დარგული გიშერია —
რამან შექმნა მოყვითანოდ, ვარდ - გიშერი
რომე რგავსო (599)

და ეს დარგული გიშერი ისეა აგებული, რომ საჩ-
რდილობელს ანუ კარავსა ჰქმნის —

ლერწმისა ტანსა დასდრეკდა, გიშერსა დააკარ-
ვებდა (891)

ამ გიშერის წამწამთაგან სატის ანუ საჩრდილო-
ბელის გაკეთება, კარავის აგება, ქოხის აშენება შე-
საძლებელია მხოლოდ იმიტომ, რომ ტარიელს ხში-
რი, სქელი და გრძელი წამწამები აქვს, ვით გაუვალნი
ტყე ანუ ტევრი, ვით ყორანის ფრთები —

ლონე წამწმისა ხშირისა, ყორნის ფრთებ - ნა-
ფუშავისა (1265)

ანუ: ავთანდილმა როს ტარიელს ნესტანის ამბავი
მიართვა, ამაზე ტარიელმა მას უთხრა: შენ ხარ ჩემი
წამალი და ღონე (ღონე — ნაწილი სიმხნისა და
ძლიერებისა. ს. ს. ორბ.), ჩემ ხშირ, ბევრ წამწამთა

დამლაგებელი, რომელი აქამდე ყოჩნის ფრთები-
ვით ნაფუშავი ანუ არეულ - დარეული იყო, ვრ-
ნიდან ტარიელი ტირილით და სისხლისა ცრემლთა
ღვრით გიშრის წამწამებს ბლანდაედა, ერთმანეთს
აწებებდაო.

სისხლსა ღვარამან შეღება წითლად გიშრისა
ტეერები (1336)
და ყორნის ბოლო ანუ წამწამები ნამს, ცრემლს აპ-
კურებდა —

ვარდსა ზედან ყორნის ბოლო ნამსა თხელსა აპ-
კურებდა (1362)
ავთანდილმა როცა ტარიელს მკერდზე სიახლი
დაასხა მის გონზე მოსაყვანად —

ტარიელ შეკრთა, შეიძრა რაზმი ინდოთა ტო-
მისა (1346)
ინდოთა რაზმი არის წამწამნი; ამით წამწამთა
სიმრავლეა აღნიშნული.

ამნარად: ტარიელის წამწამი არის შავი, გრძე-
ლი, ფართო, ხშირი (გიშერი, სატები, კარაევი, ყო-
რანის ფრთები, ყორანის ბოლო, ინდოთა რაზმი,
ტეერი).

ტარიელის მკლავი არის გმირული, ვაეკატური —
პირსა უპკრეტს გაკვირვებით, უქებს მკლავთა
სიაღფესა (1516)

ამას გარდა ტარიელი არის ტკბილად მოუბარო,
მომღერალი ვით იადონი.

ტარიელმა როდესაც გრძნობა დაეარგა, მას ავ-
თანდილი —

შეფრინდა, შევლად მიმართა მას, ტკბლად
მოუბარესა (1341)

და შემდეგ, ავთანდილი და ტარიელი ერთად გა-
ლობენ —

ორნივე ტურფად იმღერდეს, ვით იადონი მგო-
სანი (1355)

ამასთანავე ტარიელი არის ნაზი —
მასთანა მგდომსა ტარიელს ჰშვენნიან სინაზე-
ნია (1549)

ამით ჩვენ საშუალება გვეძლევა წარმოვიდგინოთ
ტარიელის სილამაზის ხატი.

8. ტარიელის შვენება

ტარიელის პირია — ვარდის ფერი, სხივოსანი,
თეთრი, ელვარე (ვარდი, ლალი, ბროლი, ბაკმული)
და ლაწვები — წითელი (ვარდი, ლალი).

გარნა მწუხარებათა გამო იგი ხშირადაა გაფით-
რებული, გაყვითლებული, შუქ მკრთალი, ფერ ნა-
კლული (ამარტა, ზაფრანა, ქარეა).

ტარიელის თვალია — შავი და ლამაზი (გიშერი,
ნარგისი).

ტარიელის ბაგეა — ვარდის ფერი, წითელი (ვა-
რდის კონა, ვარდი).

ტარიელის კბილია — თეთრი და ელვარე (მარ-
გალიტი, ელვა).

ტარიელის წამწამია — შავი, გრძელი, ფართო,
ხშირი (გიშერი, სატი, კარაევი, ტეერი, ინდოთა რა-
ზმი, ყორანის ფრთები, ყორანის ბოლო).

ამგვარი არის ტარიელის შვენება რომელიც სამი
ფერით არის დახატული: თეთრი, წითელი, შავი, —
ყველა ელვარე და შუქთა მათენი! ტარიელის ამ
შვენებას ერთვის ტანადობა —

ტარიელის ტანია მაღალი, მაგარი, წერწეტი, მო-
ქნილი, წვრილი, მერხვევი (ხე, ალვა, სარო, ლერწა-
მი, ლელი).

ტარიელის შვენება და მისი ტანადობა, ერთად,
მისი სილამაზის სურათს გვიჩვენებს. ამიტომ —

მისსა მნახავსა ნახული აღარა მოეწონების
(699)

ასეთია ტარიელის სილამაზე!

IX. ფრიდონის სილამაზა

ფრიდონის შესახები ცნობა ცოტაა. ფრადონი
არის ნაზი და ტარიელა ამბობს —

მე გავეკვირეე ჰერეტასა მის ყმისა სინაზეთა-
სა (507)

ამასთანავე, ფრიდონი არის ალვა —
იბრძვის ლომი და პირად მზე, იგი ალვისა
ხენია (616)

ფრიდონსაც აქვს კარგი ხმა და ლამაზი სიტყვა —
ფრიდონ თქენა ესე სიტყვანი მოთქმითა შვე-
ნიერთა (1009)

X. მტ.-ის ბმირთა სილამაზა

ვეფხისტყაოსანის გმირები დასურათებული არი-
ან ცალკეულად და ერთადაც.

ნესტანი და ტარიელი ისეთი მხიარული არიან,
რომ მათ —

ბროლ - ბადახში გააღვაწეს და გიშერი აწამ-
წამეს (1541)

ნესტან და ტარიელ —
ზახილით თავსა იცემდეს, ყორნის ფრთა ბრო-
ლსა სტენია (1622)

როდესაც ავთანდილი პირველად ტარიელს შეხვ-
და —

რომე მათთანა ალვისა ხეცა ვარგიყოს ხედ არ-
ად (281)

და ამ შეხვედრის დროს ისინი —
ვარდსა ხლეჩდეს, ბაგეთაგან კბილნი თეთრნი
გამოსკვირდეს (282)

ხოლო ოდეს ისინი ერთმანეთს აუტირდნენ —
ქარეად შექმნეს იაგუნდნი მათნი, თუცა ლა-
ლად ღირდეს (282)

მათი იყვნენ —

კბილნი — ვითა მარგალიტნი, ბაგე — ვარდი
ნაპობარი (901)

მათი სიმღერა იადონისაა —

ორნივე ტურფად იმღერდეს, ვით იადონი მგო-
სანი (1355)

და ბოლოს, მათი —

კბილნი ბროლნი და ბაგენი, სადაფთა მოსადა-
ფენი (1445)

ავთანდილი, ტარიელი და ფრიდონი ქაჯეთზე გა-
მარჯვების შემდეგ გახარებული არიან და მათ —
პშეენის მღერა და სიცილი მათ, მისთა არ უი-
ცართა,

ბაგეთათ შუქი შეადგის ზედან ბროლისა ფი-
ცართა (1448)

ავთანდილს, ტარიელს და ფრიდონს სიხარულით
მზის ფერი ჰქონდათ ლოყებზე —

მათ სამთავე გოლიათთა მზისა ფერად ლაწენი
ლებნეს,

მიძხედეს მათსა საწადელსა, იგი პოვეს, რაცა
ქებნეს (1535)

გამარჯვება მათია და სიხარულის ფერი!

XI. უსენის სილამაზე

უსენის სილამაზეზე ლაპარაკიც არაა უსენი არის
მდიდარ ვაქართა, დიდ - ვაქართა წარმომადგენე-
ლი, ფატმანის მეუღლე. უსენი მკლე არას და თვა-
ლად ნასი ანუ უშნო, გონჯი, ვერ კეთილი, თუქცა
იგი დიდი კაცთა, მეფის ამხანაგია და მისი არიფი,
თანამეინახე, თანამესუფრე —

უსენ, არიფი მეფისა, მეფეცა მისი მდომელი....

მაშასადამე, დიდ ვაქართა წარმომადგენელი უსენ
არის ულამაზო! ეს ნასობა ანუ ულამაზობა ვაქართა
წრეს ახასიათებს — ლამაზი მხოლოდ არისტოკრა-
ტიული წრეა. და როდესაც ავთანდილი, ვაქრულად
გადაცმული ქალაქს შედის —

ზარი გახდა და შემოკრფეს ქალაქისა ერნი
სრულად...

იქით - აქათ იჯრებოდეს: «ეუქვრიტოთო ამას
რულად»;

ზოგნი ნდომით შეპფრეინვიდეს, ზოგნი იყენეს
სულ - წასრულად;

მათთა ცოლთა მოიძულევს, ქმარნი დარჩეს გა-
ბასრულად (1075)

ავთანდილის ქალაქს შესვლისას ხმაურობა და
ფორიაქი შეიქმნა; ქალაქის მცხოვრებნი სრულიად
შემოკრბნენ ავთანდილის, ამ «ლამაზი ვაქარის» სა-
ნახადად; აქეთ - იქით გროვდებოდნენ, აწევდოდნენ
ერთმანეთს, რათა იგი კარგად დაენახათ და მისთ-
ვის სიამოვნებით ექვრიტათ; ზოგი ქალი გაიტაცა

მისმა სურვილმა, ნდომით შეფრფინვიდნენ; მ-სი
ცოლა ზოგმა მოისურვა; სხვა კიდევ სულ - წასული
გახდა, მოუთმენარი და სულ - მოკლე, და ესეც დ-
დაკაცთ ეხება, რომელთაც ავთანდილის დაატრო-
ნება ფიცხლავ მოუწდათ; ამიტომ ცოლებმა მოი-
ძულეს მათნი ქმარნი, რომელნი ამნაიბად, შერტ-
ვენილი ანუ გაბასრული დარჩნენო.

აქ წარმოდგენილია არისტოკრატიული და ვაქ-
რული სილამაზე განსაკუთრებული სიმძაფრით და-
წინააღმდეგებელი: არაეის უნახავს აეთო ლამაზი
«ვაქარი», როგორც გახლდათ ავთანდილი, სინამ-
დელით: დიდებული, დიდი კაცი მეფე ფეოდალი!

XII. მტ.-ის მამაკაცთა სილამაზე

როგორც უკვე აღინიშნა, ნაკეთი არის: ტანადო-
ბა - შვენებით გაწყობა.

ს. ს. ორბელიანის თქმით, ტანადობა არას ზრო -
შვენეერობა ტანთა. ზრო არის ისარის ტანი; მამა-
სადამე: ტანი სწორი, შეეტი. და შეენება ხომ ვერ-
თა შეზავენა და გაწყობა არის, ფერთა გაუხედევაა
აღამიანის პირის სახეზე!

ვეფხისტყაოსანის გმირთა სილამაზის კერძო თეი-
სებათა აღნუსხვის შემდეგ, შენაძლებელია სილამა-
ზის თვისებათა შეჯამება; უკვე მოსახერხებელია
დაიხატოს ზოგადი წარმოდგენა ვეფხისტყაოსანის
კაცთა, ანუ დედაკაცთა და მამაკაცთა, სილამაზის
შესახებ.

ამ მიმოხილვამ გვაჩვენა, რომ ვეფხისტყაოსანის
მამაკაცთა და დედაკაცთა სილამაზის თვისებანი
ერთი და იგივე არიან, — რასაკვირველია, იმ თეი-
სებათა გარეშე, რომელნიც ცალკეულ სქესს ახა-
სიათებენ: გმირობა, მამაცობა, ლომობა და სხვა.

ვეფხისტყაოსანის საზოგადოების წარმოდგენა,
მაშასადამე, ქართული შეხედულება კაცის (მამა და
დედაკაცის) შესახებ შემდეგია: კაცი (დედაკაცი და
მამაკაცი) მხოლოდ იმ შემთხვევაშია ლამაზი, თუ
მას აქვს: —

1. ტანი — შეეტი, წერწეტი, შქეერი
2. პირი — თეთრი, ელვარე
3. ლაწვი — წითელი
4. თვალი — შავი
5. ბაგე — წითელი
6. კბილი — თეთრი ელვარე, მიჯრით მიწყობალი
7. წამწამი — შავი, გრძელი, ხშირი
8. თმა — შავი
9. ყელი — მაღალი, ელვარე
10. მკერდი — მაღალი, აზნექალი
11. მკლავი — გრძელი, ძლიერი, სიალფით
12. თითი — გრძელი, ბროლისა

13. ხმა — ტკბილი

13. სინაზე

14. სინატიფე.

ასეთია ვეფხისტყაოსანის გმირთა, მამაკაცთა და დედაკაცთა სილამაზის ნიშნები.

სილამაზის ამ თვისებათა შორის ვერ ვხედავთ — როგორია ადამიანის პირის მოყვანილობა, ანუ სახე, აქ მხოლოდ ფერებსა ვხედავთ.

არ ვიცი, როგორი არის გმირთა პირი — სახე — გრძელი თუ მოგრძო, მრგვალი თუ მომრგვალო, ამობურთული თუ ბრტყელი...

არ ვიცი, როგორია ნიკაპი — გრძელი თუ მოკლე, მრგვალი თუ შეწეული...

არ ვიცი, როგორია ცხვირი — გრძელი თუ მოკლე, კეხიანი თუ არწივისებურია, აცქვეტილი თუ ნერბი (ნერბ-ცხვირი — ცხვირ-მალალი. ს. ს. ორბ.), პაკუა თუ ჩამოშეებული ან გაბერილი...

არ ვიცი, როგორია ღაწვი — ბრტყელი, თუ ძვალ ამოწეული, ფართო თუ ვიწრო...

არ ვიცი, როგორია ტუჩი — სქელი თუ თხელი, გრძლად გაჭრილი, გათხლამული თუ ვიწრო, ფუნჩულა თუ დაშვებული...

მაგრამ ვიცი, როგორია ტანი და მისი ხაზები. და ვიცი: მკერდის მალღობა, მისი ქანდაკება — სინატიფე, მკლავისა და თითის გრძელობა.

ამ უკანასკნელ ნიშნებს რომ გავაყვეთ, და ამგვარად ტანი შემოიხაზოს, თვალ წინ წარმოდგება ანტიფერა ბერძნული ქანდაკება, მთელი თავისი ნაკვეთითა და მომაჯადოებელი სილამაზით.

ამას გარდა: ვეფხისტყაოსანის სილამაზე-შეგნება — ნაკეთის განხილვის შედეგად, თავის თავად, სრულიად მიუდევნელად, ვეფხისტყაოსანის სურათთა ენასაც გავვეცანით.

სურათთა ენა ანუ სურათოვანი ენა პოეტურ შემოქმედებაში პირველ ადგილს იკავებს და პოეზიაში მის გარეშე არ არსებობს; სურათოვანი ენით ეტყობა საუკუნეთა მსოფლიო მწერლობაში პირველთა შორის დგას.

XIII. სილამაზე

აღმოსაპლეთის მწერლობაში

ღროა აღმოსაველეთის მწერლობას მივებრუნდეთ და იქაც ვნახოთ, თუ ფერებს საერთოდ, და სილამაზის ნიშნებს რა გვარად ახასიათებდნენ. ამ შემთხვევაში დიდად მნიშვნელოვანია, რუსთაველის ალბათ თანამედროვე, სპარსი გენიოსი მწერალი, პოეტი ნიზამ განჯელი (1114-5-6 — 1203/11 წ.), რომლის ხუთ პოემაში ამ მხრივ ბევრ მასალას ვეცნობით. საერთოდ, აღმოსაველეთის მწერლობას და

დასაველეთის მწერლობას ფერთა თანაბარი ვაგება და ერთნაირი შეგრძნობა ჰქონდათ.

სხვათა შორის აღენიშნავ, რომ ქება ქებათა-შა, სილამაზის აღსაწერად გამოყენებულია: თეთრი, წითელი და შავი ფერი. 177.

სპარსულ ენაზე არსებობს ერთი შესანიშნავი კრებული, რომელს ეწოდება ლაბაბუ 'ლ — ალბაბ.

ეს წიგნი ევროპის განათლებულმა და სპარსულის მკოდნე წერმ მხოლოდ 1848 წელს გაიცნო. აღნიშნული წიგნი, რომელს მოკლედ ლაბაბუ-ს ეძახიან, არის სპარსელ ძველ პოეტთა რჩეული ნაწარმოების კონა, რომელიც შედგენილია მუშაჰმად აფი-ს მიერ, მეთორმეტე საუკუნის მეორე ნახევარში. ამ კრებულში არა ერთსა და ორ ცნობას ვხედავთ, რომელიც ფერთა საკითხის გასაშუქებლად მნიშვნელოვანია.

სპარსელი მგოსანი აბუ ისაჟ, ცნობილი სახელით: კისაი, რომელიც უმღეროდა ვარდებს, ქალებს და სიცოცხლის ღვინს, — თავისი სატრფოს შესახებ ამბობს —

შეგნების დედოფალო, რომელს შეყვარებულნი გცავენ,

შენ, რომლის ღაწვეებს მთვარე ანათებს, სადაც შენი ბრწყინვალეება და ნარგისი ჰყვავის... მთვარე ამოდის, სადაც შენ გააველი...

ო, შენი პირი და თმა, უშვენიერესი წიგნი თეთრისა და შავისა არის მასში.

ღაწვნი და კულულნი არიან ცოდვა და მონანება, ბაგენი და თვალნი — ჰირო და ნეტარება...

სპარსი მგოსანი მთიჯი (1150 წ.) ასულის ღაწვეებს აღარებს ვარსკვლავედს; ბაგეთ — ძოწისა და ვარდის ფურცელთ; პარს — ყაყაჩოს; კბილთ — მარგალიტებს; ტანს — ალვის ხეს; და ერთი ლექსში კიდევ: ტუჩებს — ლალს. 178.

სპარსი მგოსანი რაფი მერველი ასულის ღაწვეებს ვარდს აღარებს. (იქვე, გვ. 26).

სპარსი მგოსანი ანვარი (1189 წ.) ტანს აღარებს ალვის ხეს; ტუჩებს — ლალს; ღაწვთ — სავეს მთვარეს; სიყვარულით შემოხედვას — ისარს. (იქ. გ. 29) მასსურ იზნ მუშაჰმად თალიჟანელი ღაწვეებს აღარებს დამასკურ ვარდს.

უნსური ლალს აღარებს სისხლის ცრემლთ, რომელი შეყვარებულს გარდმოსცვივა თვალთაგან ღაწვეებზე, რომელნი ოქროს ფერნი არიან (იქვე, გვ. 30).

ამაჟ ბუხარელისათვის ვარდნი არიან ჰურთა ღაწვნი; ცრემლნი — მარგალიტნი. (იქვე, გვ. 32).

ვარდთან სილამაზის შედარება მსოფლიო პოეზიის საგანია. ვარდის სილამაზე, მისი წითელი ფერი, მისი სურნელება ქალს შეგნებას ეღარება. ასეთ შე-

დარებას ვხედვებით როგორც სახალხო, ისე მწერ-
ლობით პოეზიაში.

სპარსეთის უდიდესი მგოსანი ფირდაუსი (941 --
10120) ვარდს ხშირად იყენებს შედარებისათვის თა-
ვის ცნობილ შაჰ-ნამე-ში, ვით მაგალითად -- ჯემ-
შიდის ორმა ასულმა მორწყო ვარდისებური ლაწე-
ნი; ჩეპრიზანის ლაწენი არიან ვარდნი; ზაალას შო-
ნის ლაწენი არიან ვარდნი; როცა ვარდის ფერი პი-
რი გახდება ზაფრანის ფერად; ასულთა ლაწენა არ-
იან ვარდნი... ასეთი შედარება ძალიან ხშირია შაჰ-
ნამე-ში.

ფირდაუსი სითეთრის დასახასიათებლად ქალის
კანის სითეთრეს რუმის ქალის სითეთრეს ადარებს
(მეფეთა წიგნის ფრანგული თარგმანი. წ. 6. გვერ-
დი 492) და მარგალიტსაც — ირეჯის ასულის პირი
იყო მარგალიტი. (წ. 1. გვ. 165).

მაჰმადიანურ სამღეთო წერილში: ყურანი: კანის
სილამაზე მარგალიტთან არის შედარებული --

მათ ახლოს იქმნებიან ჰურნი ლამაზი შაეი თვა-
ლებით; მათი კანის სითეთრე თანაბარია მარგალი-
ტთა ბრწყინვალეებისა (ყურანი 56-2).

ფირდაუსი თვალებს ნარგისს ადარებს: თვალნი
არიან ზაალისა ნარგისნი და სხვა ასე მრავალჯერ.
ბაგენი და ლაწენი არიან ლაღნი; შედარებისათვის
ნახშირია აგრეთვე ძოწი — გმირი დასტანის ბაგენი
იყენენ ვით ძოწნი და სხვა ასე. თმანი არიან შაენი,
წამწამნიც; ლაწენი არიან აგრეთვე წითელი, ვ-
თ ყვავილი არღავანისა; კბილნი — მარგალიტნი;
ხშირად აქვს ფირდაუსს ტანის შედარება ალვის
ხესთან, საროსთან...

ოშარ ზაიიამ (1017/1020 — 1123) ერთ თავის
რუბაჰში (ლექსი -85) ამბობს --

არაფერი არ მიზიდავს, არაფერი... აღსდგე და
დამისხი ღვინო! ამ ღამეს ბაგენი შენნი არიან ულა-
მაზესნი ვარდნი მთელს ქვეყანაზე... მომეციოთ ღვი-
ნო! ღვინო წითელი, ვით შენნი ლაწენი. 170.

ოჰ, ბაგენო ლაღნი, სურნელოვანო თმანო, რამ-
დენ არსებობდნენ ამ მიწაზე? ... გრთნი მიდიან, შე-
ორენი მოდიან... (იქვე, გვ. 179).

შერატელი (გარდაიცვალა 1268 წ.) ლაწეებს ად-
არებს ვარდს, თვალებს — ნარგისს; ტანს — საროს.

შაჯუედ - დინ შამგარ (გარდ. 1279 წ.) თავისი
ლექსის შესახებ ამბობს: ყოველი ლექსი მარგალიტი
არისო. 100. გვ. 117.

საადი შირაზელი (1184 — 1291) ვაეის ტანის სი-
ლამაზეს ალვის ხეს ადარებს, ხოლო პირი არის ვა-
რდი, ლამაზი პირი ვარდის ფერებით... 171.

სპარსი ჩინებული მგოსანი ნიზამი განჯელი (1141
— 1203) დიდად მდიდარია სურათოვანი ენით —

ლურჯი ფერი ნიზამისათვის მწუხარებისა და გლო-
ვის ფერია. 97. გვერდი 41. სიმაგრე ლურჯი — ცის
ფერია (გვ. 67). ცრემლნი — მარგალიტნი (გ. 92);
ღვინო — ლალი (გვ. 125); წყარო — ფირუზი; ალ-
მასი — ვარსკვლავნი; ყოვანი — გიშერი და სხვა.

ნიზამის პოემაში: «ხოსროე და შირინ», — ბავშვი
ხოსრო... იყო მარგალიტი სამეფო ზღვიდან; ანათე-
ბდა ვით ასანთი, ბაძვედა რა ლეიურ მნათობთ (გვ
63); როდესაც ხოსრო ეზოში შევიდა, ქვეყანა გაბრ-
წყინდა; (გ. 71); ასეთი სილამაზე ჯერ ვარსკვლავთ
არ შეუქმნიათო (გვ. 72), ნათქვამია შირინზე; ამ ას-
ულის ტანი არის თეთრი პალმისა; თმანი მისი —
თითქო ნეგრები ჰკრეფენ ფინიკებს სიმაღლეში; ბა-
გენი მისნი არიან წითელნი; კბილნი: მარგალიტნი,
შუქით მოელვარენი; სახე მისი ყარყუმია — თეთ-
რი; ბობრი — შვიი თმა; ორი წითელი შაქარა ორი
ლალია — ბაგენი; ნიკაბი მისი ტკბილი ვაშლია;
მკერდი მისი — ვერცხლია; ორი პატარა ბროწეუ-
ლი დირპემებით მდიდრულად მორთულია (ძეძუე-
ბი); კისერი მისი არის შევლისაზე უმჯობესი; წყა-
რო სიტკბოთა; ხუთი კალამი — ხუთი თათი; თვა-
ლთა მისთა გამოხედვა არის ქაზელისა, რომელია უძ-
ლიერეს ღმრისა და აბრმავებს; წარბი მისი ნაღის
დააშვენებს... მისი ბეჭებისა და მკერდის ბროლი
— სასწაულის ანარეკლია; იგია სარო, იგია ბალი;
მის თვალთა სილამაზე ლურჯ ცის სწევას და სხვა
და სხვა... ასევე მდიდარია პოეტური შედარებებით
პოემა «ლეილ და მეჯნუნ», პოემა «შეიდ ლამაზ
ასულთა» შესახებ, პოემა «ესკანდერ. ნამე»



ფერთა გამოყენება და პოეტური შედარებანი ეს-
პანურ - არაბულ პოეზიაშიც იგრევე, რაც სპარსულ-
სა და ქართულ მწერლობაში. და იგივეა, რაც ევ-
როპიულ მწერლობაში.

მართალია, ესპანურ - არაბულმა პოეზიამ პრო-
ვანსული პოეზიის განვითარებას ბიძგი მისცა, მაინც
არა მგონია, პროვანსული ტრუბადურული პოეზია
ფერთა და სილამაზის საკითხში მის გავლენას გა-
ცილდეს. ფერთა შეგრძობა და გავება, მათი ხმარე-
ბა მწერლობაში, საერთოდ თეთრა რასის ხალხისა-
თვის თითქმის ერთნაირია, და ამიტომ ვხედვით
ფერის ზოგად მნიშვნელობას ყველა მწერლობაში.

ესპანეთში, კორდოვას სამეფოს პატრონი, არაბი
მეფე აბდ - არ - რაჰმან მეორე (822 — 852) თვით
იყო მგოსანი და თავისი სასახლის მგოსანს, შამრს,
მის ლექსზე უპასუხებს —

ამ ასულის ლაწეებზე შეგიძლია დაინახო აყვავე-
ბული ვარდი იასამანისა, ვით ბალი, რომელი საყ-
ვირეელი ყვავილებითაა დაფარული. 180.

ამ მეფის შვილიშვილიც, აბდალლაჰ (888 —

912) მგოსანი იყო და იგი ერთ თავის ლექსში ამბობს: —

ჩემი ვაება მოდის შავ - თვალა ირემისაგან,
ლაწენი მისნი არიან ვით გაფურჩქვეილნი ვარდნი,
შერეული მზეუმზირასთან და თეთრ შროშანთან...

მგოსანი იზნ აბღ რაბბიმ (860 — 940) თავის აატრფოს მიმართავს —

ო, შენ, რომლის ბრწყინვალეებას შეუძლია განკურნება ან დასნეულება, ვარდს აქვს თავისი დრო, მაგრამ შენთა დაწვთა ვარდნი მარად ჰყვავიან...

იზნ ისა (გარდაიცვალა 948 წ.) სატრფოს უმღერის —

შენი ღიმილი ცისარტყელას სურნელებას ანიჭებს, და ეაშლნი ადიდებენ შენთა დაწვთა სიწათლეს... ოდეს ღამე დაფარულია სიბნელეში, ბრწყინვალეება პირისა შენისა მისში ჩირაღდანაა...

იზნ ფარაჯ აღ - ჯაჰითანი (მეთათე საუკუნეში) სატრფოს შესძახის —

წალკოტი სავსეა შევინებით, დარჩი ახლოს მასთან და მიუშვი ვნებათა აღვირნი მისკენ; არა ჰხედავ ნორჩ ნარგისს, რომელი გიმზერს თავისი ფართო თვალებით! ჩემი შეყვარებული ღზინი არის მის მწვანე ბუჩქზე, ჩემი სიყვითლე მის მოყვითანო ღაწვებზე...

მგოსანი ზაიდუნი ასულის შესახებ ამბობს —

მის დაწვთა ძოწის ფერი ჰგავს სხივისან, შშიდა ღვინოს...

აღ - მუ 'ტალიდ ბი - ღლაში (1016 — 1069), ანღალღუზიის მეფე, თავის სატრფოზე ამბობს —

მისნი თვალნი ჰაზელისა არიან, მზის დარაა მათი ბრწყინვალეება... შტოა მისი ტანი... მე ვუთხარ მას: მაკოცნიე შენს თეთრ კბილებზე, მიჩვენე იან აყვავებულნი თეთრნი ყვავილნი წითელ ვარდთ...

იზნ ბაყ ერთ თავის ლექსში გალობს —

შენი სახის დაწვებზე — ამომავალი მზე — არის ვარდი, რომლის სიწითლე გაფაცხებულია ღვინით, ან მორცხვობით...

ბრმა მგოსანი აღ - ა 'მა ატ - ტუტიღ (გარდაიცვალა 1126 წ.) ერთი პატარა ლექსით ამბობს —
დაპიკუნ, ან ჯუმან
საფირუნ, ან ბადრა...

ანუ: სიცილი მარგალიტებით (კბილნი); დაუფარაუ ბადრი, სავსე მთვარე (ღამაზი პირი)...¹⁸⁰

ესპანურ - არაბულ პოეზიაში ვაეებისადმი მიძღვნილ ლექსებს ხშირად ვხვდებით და აქაც სიღამაზის დახასიათება იმავე პოეტური ფერებითა და შედარებებით ხდება, როგორც სხვა შემთხვევაში, ოღონდ რაც აღენიშნეთ ჩვენთვის ესეც საკმაოა.

შეიძლება კიდევ ამ საკითხის უფრო ფართო გაშუქება თვით არაბული და თურქული მწერლობის მიხედვით, მაგრამ მიჩვენეა სიტყვა აქ მოკლედ მოვექრა და სიღამაზის საკითხის სრული გამოკვეთისათვის უკვე ცნობილ ნარკვევს მივმართოთ, სახელდობრ ფრანგულ დიდ დიკსიონერს, ლარუსს... ლარუსის დიდებულ დიკსიონერში აღწერილია არაბულ - სპარსულ მწერლობათა მიხედვით ეს ტიპური სიღამაზე, რომელიც აღმოსავლეთის ხალხთა გემოვნებას გვიჩვენებს.

არაბთათვის სიღამაზის მთავარი გამოსახვაა: — ბრწყინვალეება, სიდიდე, მკვიარცხოება თვალთა, რომელთა გუგა უნდა იყოს სრულებით შავი, და გუგის არე კი, სავსებით თეთრი (სწორედ ამას ნიშნავს სიტყვა «პურა»); ქუთუთონი უნდა იყვნენ გრილი და ნდომის მაჩვენებელი, ნაღვლიან - მიწედილი; თმა შავი და ისეთი შავი, რომელი პირის სითეთრეს საესებით ეწინააღმდეგება, — და ეს პოეტებს საშუალებას ანიჭებს: პირა მთვარეს შეადარონ, სავსე მთვარეს (ბედრ; ქართულში: ბადრა) დაადარონ; თმანი — შავნი ვით ჩრდილი ღამისა (ზულმატ - ელ - ლეილ); პირი : რგვალი ვით სავსე მთვარე (ბადრი); სიღამაზის მთავარი ნიშანია აგრეთვე — ხალი; და ეს ხალი (რომელი ვტ.-ში სრულებით არ იხსენება!) დიდად მოწონებულია და შექებული, შედარებული მუშკთან და ქარვასთან...

პოეტები სხეულის ნაწილთ, ტანის წვერებს ასე ხშირად რაიმეს აღარებენ, რომ ეს შედარებანი განვსვენებულ ცნებად გადაიქცნენ და მათი თქმით, ესა თუ ის ნაწილი ტანისა თავის თავად იგულისხმება, მაგალითად: წარბნი — მშვილდნი; გრძელად გაქრილი ქუთუთონი — მხლებელნი, ჰაჯინი; წამწამნი — ხრამალნი; გამობედვა — ისარნი; კბილნი — მძიენი მარგალიტთა; ღრძილნი — ღვინო, ან გემრიელი წყალი; თვალნი — ნარგისნი; დაფრქვეულნი ცრემლნი — ნაწნი, ცვარნი; პირი — სავსე მთვარე; თმის ნაწნავნი — სუმბულნი, გულთა დამპყრობნი ბადენი; თითთა ბოლონი — ყუყუბის ხილნი (რადგან თითებს ინი იღებავდნენ); ძუძუნი — ბროწეულნი; წელნი — შუბნი მოქნილნი... და სხვა. რაც შეეება თვით ტანის მოყვანილობას, ტანის სიღამაზეს, რომელს ბერძენნი ასე დიდად აფასებდნენ, ანტიური თვალსაზრისით, არაბთათვის სრულებით არ არსებობს; მათ არა აქვთ იდეა წმიდა და განყენებული სიღამაზისა, რომელიც ხაზებით, გაწყობითა და დაწყობით, სიმეტრიითა და პარპონიით, გამოიხატება. არაბნი სიღამაზეს უყურებენ, ასე რომ ვთქვათ, პირველად ყოვლისა პრაქტიკული თვალსაზრისით. სპარსელებმა და თურქებმა, რომელთაც მამადიანური სარწმუნოება, და მის შემდეგად: არაბთა ზნე და ჩვეულებანი, და მათი ბუნებაც შეითვისეს, აგრეთვე სიღამაზის საკითხშიც გადმო-

იღეს საეცხბით არაბული ესთეტიკის ნიშნებაც, მხოლოდ მცირე შესწორებით..

ეს ნიშნები თავმოყრილი და შეჯგუფებულია და მათი საშუალებით სილამაზის სურათიც მოცემული — ესაა აღმოსავლური გემოვნება სილამაზის შესახებ: —

დედაკაცს უნდა ჰქონდეს ოთხი რამ შავი: თმა, წარბნი, წამწამნი, თვალთა გუჯა;

ოთხი რამ თეთრი: პირის კანი, თვალთა ვაშლა, კბილნი და ფეხნი;

ოთხი რამ წითელი: ენა, ბაგენი, ღრძილნი და დაწენი;

ოთხი რამ რგვალი: თავი, ყელი, იდაყვას წინათა, კოჭნი;

ოთხი რამ გრძელი: ზურგი, თითნი, მკლავნი, კანკნი;

ოთხი რამ ფართო: შუბლი, თვალნი, თარკმელნი (?), თეძონი;

ოთხი რამ ვიწრო: წარბნი, ცხვირი, ბაგენა, თითნი;

ოთხი რამ მსუქანი: დაწენი, ბარკალნი, საჯდომნი, ფეხის კუნთები;

ოთხი რამ პატარა: ყურნი, ძუძუნნი, ხელნი, ეგრბნი. 170. წიგნი 2. გვერდი 449.

ასეთი არის არაბულ - სპარსულ - თურქული გემოვნება სილამაზის შესახებ, — და თუ მას ვეფხისტყაოსანის სილამაზის გემოს შევადარებთ, დიდ განსხვავებას ვნახავთ.

როგორც ვნახეთ, სპარსულ - არაბულ მწერლობაში ნახშიარი პოეტური შედარებანი და ფერთა გამოყენებანი ვეფხისტყაოსანშიც მოიპოვებიათ, — გავიხსენოთ მაგალითები: თვალნი — ნარჯისნი; წარბნი — მშვილდნი; პირი — ვარდი; კბილნი — მარგალიტნი; ბაგენი — ლალნი და სხვა და სხვა. ხოლო თვით სილამაზის შეგრძნობაში, არაბულსა და სპარსულ გემოვნებასა და ვეფხისტყაოსანის საზოგადოების გემოვნების შორის შემდეგი განსხვავება უნდა აღინიშნოს: არაბულ - სპარსულში: ტანის მოყვანილობას ანტიური თვალსაზრისით, მნიშვნელობა არა აქვს; ვეფხისტყაოსანში ტანის მოყვანილობა პირველ ადგილზეა და აქ ყველა მას ეთაყვანება

არაბულ - სპარსული მწერლობიდან არა გვაქვს იდეა წმიდა სილამაზის შესახებ, სილამაზე ვით სილამაზე; მაშინ როცა ასეთ სილამაზეს ვეფხისტყაოსანში ვხედავთ: აქ სილამაზე პრაქტიკულად არ განიხილება; აქ სილამაზეს ეთაყვანებიან... აღვირთებენ...

საიდან მოდის ვეფხისტყაოსანის ეს წარმოდგენა სილამაზეზე? სად იყო ვეფხისტყაოსანის სილამაზის ნიმუში? გამოგონილია ვეფხისტყაოსანის იდეა სი-

ლამაზეზე, არის იგი მხოლოდ ნატრიონი, თუ არის იგი სინამდვილის ამხატველი? არსებულს მაჩვენებელი?

XIV. სილამაზე

დასავლეთის მწერლობაში

გერმანული წარმოდგენა სილამაზეზე, საერთო მოხაზვით, როგორც ამას აღწერს შუა საუკუნეთა მწერლობის მიხედვით, ცნობილი ისტორიკოსი გერმანელ დედაკაცთა: კარლ ვინჰოლდ, შემდეგაა —

დედაკაცი უნდა ყოფილიყო მალალი, შენაირი პირისა, თეთრი კანითა და ქერა თმით.

მაგრამ რა არის ეს შეენიერი პირი?

ამ საკითხის გამოსარკვევად უნდა მივმართოთ, რასაკვირველია, მეთორმეტე და მეცამეტე საუკუნის მწერალთა და მგოსანთა თხზულებებს, სადაც ეს ქალური შეენება შექმნილია.

იმ ხანის მგოსანთა შორის დედაკაცის სილამაზეს მთლიანად აღწერენ მგოსნები: ჰერბორტ, ვირნტ, კონრად ფლეკე, კონრად ფონ ეურცბურგ, ულრიჰ ფონ ეშენბაჰ, ვალტერ ფონ რიანაუ, ვალტერ ჟონ ფოგელეაიდენ, აილასტ, ველდეკე, ჰარტმან და ნაწილობრივ კიდევ ჰარტმან (იყენ-ში) გოტფრად (ტრისტან-ში) და სხვანიც.

ბევრი მგოსანი, ამბობს ვინჰოლდ, ჩერდება სილამაზებით დედაკაცის სილამაზის ქებაზე და აცხადებს: ასეთი სილამაზის აღწერა შეუძლებელიაო.

კონრად ფლეკეს აღწერილობა ბლამფურის სილამაზისა ასეთია: ოქროსებრ ზრწყინვალე თმა, ამბობს მგოსანი, ეცემოდა თოვლზე, უფრო თეთრ საფეთქლებზე; წერილნი სწორნი წარბნი გადაჭრული იყენენ თვალებზე; დაწენი და ბაგენი იყენენ ლამაზად წითელნი და თეთრნი; კბილნი — შეუდარებელნი, უნაკლონი და სპილოს ძვალის ფერისა; ყელი და კისერი — გედისა; მკერდი — სრული, სავსე; გვერდნი — გრძელი; სხეული — ნაზი და სხვი.

თუ სილამაზის ცალკეულ ნიშნებს აღვნიშნავთ, შემდეგი სურათი აღმოჩნდება —

თმა უნდა ყოფილიყო ქერა, გრძელი. მე12 და მე13 საუკუნეში განთქმული იყო ბუჭუჭა თმა. აგრეთვე დიდად აფასებდნენ გრძელ კულულქას ან ლამაზად დაწნულ თმას; ლექსებში იშვიათად არის წაბლის ფერი და შავი თმა შექმნილი;

დაწენი უნდა ყოფილიყო ჯანმრთელობის მაჩვენებელი — თეთრი და წითელი. შესადარებლად იხმარებოდა: ვარდი, გაშლილი ან კუკურა, კოკობი; სამაგიეროდ, ინგლისში მოწონებული იყო: უფრო მკრთალი ფერი; საფრანგეთში კი, ისე როგორც სხვა რომანულ ქვეყნებში, თეთრ — წითელ დაწენებს

ჰქონდა მოწონება: პირი — წითელი ვით ვარდა და ცეცხლისებური ბაგენი. და მათგან გამომჭვირვალე თეთრი, სპილოს ძვალის ფერი კბილნი, რომელთ თეთრ შროშანს ადარებენ ხოლმე.

თვალთა ფერს მგოსნები განსაკუთრებით არ აღნიშნავენ, მაგრამ საერთოდ მაინც გერმანულსა და ფრანგულ ქვეყნებში, უფრო ნაირ, გაურკვეველი პრელობა თვალის გუგისა იყო კეთილად მიღებული. ოღონდ გამოხედვა, ქერცთა შედარებულია ვარსკვლავთა ბრწყინებასთან, სანთლის სინათლესთან ან ქიქისა და სარკის ნათელთან.

წარბები უნდა ყოფილიყო გადმოწეული, წვრილი და მკაცრად მოხაზული. განსაკუთრებით ლამაზ წარბებად ითვლებოდა წაბლის ფერი. წარბები გაერთიანებული არ უნდა ყოფილიყო.

შუბლი — კამარული და თეთრი.

ცხვირი — ზომიერი გრძელი, არა - ფართო, არა - კუხიანი, არამედ სწორი, შეიძლება მხოლოდ ცოტა მოღუნული ყოფილიყო.

ნიკაპი — რვეალი (იგი შეედარება სპილოს ძვალის ფერს, თოვლს ან თეთრ შროშანს), რომელსაც უნდა აშვენებდეს პაწაწა ორმო.

ფეხები — ვიწრო და პატარა, და ისეთი თალიანი, რომ მის ქვეშ, ფეხის გულის ქვეშ, ჩიტს შეეძლოს დამალვა.

და საერთოდ: დედაკაცის სილამაზის ნიშნებაა კიდევ: ბრწყინვალეობა, მზესავით ნათლობა, თოვლისებური ელვა, მზინავი თვალები და სხვა. ¹⁶¹.

ყელი — რვეალი, არც ძალიან გრძელი, და არც ძალიან სავე, და ისეთი ფაქიზი, რომ წითელი დეონის ფერი, დაღვეის დროს, უნდა მოსჩანდეს.

მხარი და ქედი სითეთრით უნდა ბრწყინავდეს და თანასწორად ლამაზად ეშვენებოდეს.

მკლავები — თეთრი, მრგვალი, ზომიერად გრძელი.

ხელები — ლამაზი და თეთრი თოვლივით.

თითები — გრძელი, ვიწრო, ნაზი.

ფრჩხილები — მბრწყინავი.

ტანი — მაღალი.

მკერდი — სავესე.

წელი — წვრილი.

თქოები — სავესე.

გერმანული იდეალი მამაკაცის სილამაზის შესახებ შემდეგი იყო —

მამაკაცი უნდა ყოფილიყო: მაღალი, ელვარე თვალებით, თეთრი კანით, ქერა თმითა და მოხდენილი ნაკეთით. ამ თვალსაზრისით არიან აღწერილნი მეცხრე საუკუნედან: გერმანულ ქვეყანათა მეფენი და თავადნი. კონრად ფონ მეგენბერგმა სავალდებულო შეხედულობა შექმნა მამაკაცის სი-

ლამაზეზე: საშუალო და მოხდენილი ტანადობა, პირის სითეთრე, რომელს დაწვებზე წითელი ფერი გადაჰკრავს; თმა — ქერა და ცოტა მოწითანო; ამაყი გამოხედვა; თვალები — შავსა და მწვანე ფერს შორის.

ამგვარივე წარმოდგენისაა მამაკაცის სილამაზეზე ვალტერ ფონ ფოგელეაიდე, რომელი თავის ლექსებში მამაკაცის სილამაზეს უგალობს.

დასაეღეთი ევროპის, კერძოდ, ფრანგთა და გერმანთა შორის საკარისკაცო პოეზია, ტრუბადურთა და მენენზინგურთა გალობა სილამაზეს მიეძღვნება.

ძველ ფრანგულ, მეთორმეტე საუკუნის, სიყვარულის თხზულებაში «ფლორ ე ბლანშ», რომელი გერმანულად ითარგმნა კ. ფლეკის მიერ იმ ხანადე, სილამაზეზე წარმოდგენა ასეა აღწერილი: —

ქერა, ხუჭუქი თმა; ფართო, თეთრი შუბლი; ლამაზი წარბები თმის ფერისა; დიდი ელვარე თვალები, სასიამო და მზგობრული გამომეტყველებით; ლამაზად მოკვეთილი ცხვირი, სწორი; დაწვები — თეთრი და წითელი, ვითარცა სძე და სისხლი; ვარდის ფერი ლამაზი ბაგენი; თანაბარი, მოხდენილი კბილები; მრგვალი ნიკაპი; შეენიერი ყელი; მაგარი მკლავები; გრძელი და თეთრი, ლამაზი ხელები, უმწიკვლო თითებით და გამჭვირვალე ფრჩხილებით; გადმოწეული მკერდი; წერწყენი წელი; მრგვალი თქოები და დაბოლოს, ტერფის სილამაზე.

ამგვარადევა აღწერილი გოტფრიდ ფონ სტრანბურგის (გარდაიცვალა დაახლოებით 1220 წელს) განთქმული ტრისტანი, რომელი მან შეთხზა ფრანგ თომას-სის ნაწარმოების მიხედვით, და მას დაუსრულებელი დაურჩა: ვარდის ფერი წითელი ბაგენი; თეთრი პირი; ნათელი თვალები; ღია წაბლის ფერი თმა... და სხვა.

კონრად ფონ ეურცბურგ (გარდაიცვალა ბაზელში, 1287 წელს) თავის ნაწარმოებში «ტროელთა ომი» ასე აღწერს გმირს პარისს: ოქროს ფერა ხუჭუქა თმა; პირის ფერი — სძე და სისხლი; ვარდის ფერი დაწვები; მიმანოსებური თვალები, რომელთ ამკობს ორი ვიწრო, მუქი წარბა; ცხვირი და შუბლი, როგორც ამას სილამაზე მოითხოვს; ტუჩები ვით ლალი, რომელთა შორის გამოსკვივის თეთრი და ელვარე კბილები; ტანი სწორი, ნაკეთიანი.

ვირტ ფონ გრაფენბერგის გმირი ვილაგუა (არტუს ზაგათა წრიდან), გმირი გაეან, (ბრეტონული ზაგის), კრეტინან დე ტრუას მიერ დაწერილი, ამ ძველი ფრანგული ეპოსის, და აგრეთვე ვოლფრამ ფონ ეშენბაჰის (ცხოვრობდა დაახლოებით 1200 წ.) მიერ აღწერილ პარსიფალ და სხვაგანაც, ყველგან, ყველა გმირი წარმოდგენილია და აღწერილია იმ იდეალის მიხედვით, რომელიც ზემოდ გავიცანით.

ხმის აღნიშვნა უფრო იშვიათია შუა საუკუნეთა მწერლობაში, მაგრამ როცა მას მგოსანი ყურადღებას აქცევს, — ხმა არის მამაკაცური: მაღალი და მკაფიო, ისე როგორც აღწერს ლუი ქველის ხმას მგოსანი და ანგულემის (საფრანგეთშია) ეპისკოპოსი სენ ველე ოქტავიან და თევან. ტბილი ხმა აქვს კარლ ფონ ვუერცბურგის გმირს და კოედიცის ლენდგრაფ დიუერენგს, ხოლო მეგნებერგი ამტკაცებს ხმის მიხედვით ადამიანის ხასიათი გამოიცნობაო.

თავის თავად ცხადია, შუა საუკუნეთა მწერლობა დასავლეთ ევროპაში, უფრო დაწერილებით, განსაკუთრებით მეთორმეტე საუკუნედან, დედაკაცთა სილამაზეს განუწყვეტლივ აღწერს და ამ შემთხვევაში სილამაზის კანონიც დაწესდა — თეთრი ჰირი, წითელი ლოყები, მუქი წარბ-წამწამები, წითელი ტუჩები, ელვარე თვალები, სპილოს ძეაღას ფერი კბილები, სწორი ცხვირი, გედისებური თეთრი ყელი, სრული ქალური მკერდი, წვრილი წელი, გრძელი და თანასწორი ხელები, გრძელი თითები.

დასაწყისში, დედაკაცთა სილამაზის დამახასიათებელ ნიშანად ითვლებოდა შვიდი წვერი: მოყვანილობა და ფერი პირისა, თვალები, ბაგენი, თმა, მკლავები ხელითურთ, ფეხები, ტანი. სილამაზის ნიშანთა აღწერილობა შემდეგ უკვე უფრო იზრდება: 13, 14, 22, 25; და რომანულ მწერლობაში, მაგალითად ფრანგულში, ამ ნიშანთა რიცხვი ოცდაათამდე ავიდა და ამასთან ერთად დაეიწყებულ არ იქმნა სხეულის სასიარტო ნაწილები, ანუ როგორც ს. ს. ორბ. იტყვის: სასიარტო! ტანის ოცდაათი ნაწილის აღწერამ შეჩვიდმეტე საუკუნეშიც იტოცხლა და გაფართოვდა კიდევ მით, რომ მგონებმა არა — ჩვეულებრივსა და უცნაურ შედარებებს მიმართეს: თავი — ქალაქი პრაგა; ფეხები — მღონარე ჩაინი; მკერდი — ავსტრია; ზურგი — მხარე ბრამანტისა; ხელები — ქალაქი კოელნი, და ამ გვიანი კიდევ უმსგავსო გადაჭარბებანი...

რამდენად მართლა მიუღწეველია ვეფხისტყაოსანის კალამი სილამაზის აღწერაში! რამდენად უფრო ფაქიზია და კეთილშობილი ვტ.-ის სილამაზის სურათი, რომელს სამარცხვინო კილო სრულებით არ ეკარება! რამდენად მაღალი გრძნობებითა და უმწიკვლო სულით არის დახატული ვტ.-ის გვირთა სილამაზის ნიშნები, რომელი არ წვრილმანდება და უწმამურობამდე არ ჩადის! რამდენად უფრო მაღალი ხორციელი და სულიერი არისტოკრატები არიან ვეფხისტყაოსანის გმირები!

სილამაზის ზემოდ ჩამოთვლილი ნიშნები ისე აავალდებულო იყო მწერლობაში, რომ მეთორმეტე საუკუნის ერთი მწერალი ქრისტესაც კი ამის მიხედვით აღწერს: მისი წარმოდგენით ქრისტე იყო —

საშუალო ტანისა, ხუჭუქა ქერა თმით, სწორი ზუბლით, წითელი ლოყებით, უებრო სწორი ცხვირით, წაბლის ფერი თვალებით, ქერა წვერებით...

ასევე აღწერილი იოანე ნათლისმცემელიც. მკითხველი მიხედვება, ეს აღწერა გერმანელ მწერალს უნდა ეკუთვნოდეს!

სილამაზის ყველა აღწერილობაში ღირს შესამჩნევია ის მეტად საყურადღებო მოვლენა, რომ სილამაზე დაკავშირებულია მხოლოდ და მხოლოდ მაღალი წოდების ხალხთან, არისტოკრატასთან. ლამაზი არის მართოდ მაღალი წრის ხალხი; ლამაზი არის მხოლოდ მაღალი ფენის საზოგადოება; მაგრამ არა — ლამაზი ანუ ნასი არის დამალი ხალხი, მდობრორი საზოგადოება, უმდარესი ფენები.

უბრალო ხალხი შავი ფერისა არის, და არა მართა შავი ფერისა, არამედ მსხვილი ძეაღით, სქელი ტანადობით, უხამსა სახით, მოღუნული ზურგით, ჩაქვლეტილი ან აცქეტილი ცხვირით... და სხვა.

ამ გეარად არის აღწერილი ევროპის შუა საუკუნეთა მწერლობაში: მდამიონი და ამ ნაიაღდე არიან ისინი დახატული ფერწერითი მხატვრებია მიერ, სურათებზე ასე მოსჩანან ისინი.

არისტოკრატის პირის პირ სდგას უბრალო ხალხი, თავმდაბლობითა და მორჩილების გამომეტყველებით; და მაშინდელი სურათები თუ მინანქრები, მინიატურები მდამიო ხალხის წარმომადგენელთა მოღუნული თავით ასახავენ. ეს იყო «ფაცივს რუსტიკანა» სოფლური, გლეხური პირი სახე, რომელი სობჩავეს, დაღონებას, და ამასთანავე მტკიცე ნებას ყოფას, მოხერხებასა და ცბიერობა — უღრკობას ამჟღავნებს.

რაც სავაჭრო წოდებას შეეხება, ამის შესახებაც არსებობს სათანადო ცნობები.

ქალაქთა ზრდასა და განვითარებასთან ერთად, ქალაქში არა — თავისუფალნი უკვე თავისუფალნი ხდებოდნენ (ქალაქის პაერი კაცს ათავისუფლებს!, როგორც იტყოდნენ მაშინ); და არამც თუ თავისუფალნი ხდებოდნენ, არამედ სიმდიდრესა და პოლიტიკურ ძალასაც მოიპოვებდნენ.

მოქალაქისა და ვაჭრის ტიპი მეთორმეტე და მეცამეტე საუკუნეში, და შემდეგაც, უკვე ცნობილია: ამ მოქალაქეთა შორისაც უკვე განსხვავებაა: ღიდ ვაჭართა წარმომადგენელი დახატული არიან ბატონური, ბრძანებლობითი გამოხედვითა და ზნე-კეთილობითა, კვიანური, საქმიანი გამომეტყველებით; ოღონდ საშუალო და კიდევ უფრო წვრილი ვაჭრები თავისი გარეგნობით გლეხთა გარეგნობას უახლოვდებიან.

საერთოდ, გონებრივი და სულიერი ანაბეჭდი არ მოსჩანს დასავლეთი ევროპის შუა საუკუნეთა ადა-

მიანის აღწერაში, მით უმეტეს დედაკაცთა აღწერაში. თვით ღვთისმშობელი მარიაში ისეა აღწერილი, ან დახატული ფერებით, თითქო იგი გერმანელი კერის დედაკაცი ყოფილიყო, ამბობენ მკვლევარნი. 182. და 189., მაშინ როცა ვეფხისტყაოსანში თინათინი, ნესტანი და ასმათი ფილოსოფოსთა და ღვთისმეტყველთა ენით ლაპარაკობენ, შუა საუკუნეთა კულტურას გვაცნობენ... მით უმეტეს ავთანდილი და ტარიელი...



თუ ვეფხისტყაოსანის წარმოღვევნას სილამაზეზე შევადარებთ შუა საუკუნეთა დასავლეთი ევროპის მწერალთა მიერ დახატულ სილამაზეს, ამ შედარებით მიანიც და მიანიც საპატივო განსხვავებას ვპოულობთ.

გერმან ხალხთა კულტურის ცნობილი ისტორიკოსი დრ. ჰენნე ამ რკინ თავის მეცნიერულ შიშობილებაში შუა საუკუნეთა მწერლობის შეხედულებას ფეოდალური საზოგადოებას სილამაზის შესახებ შემდეგ დასკვნას აძლევს და ამით ზემოდ მოტანილ ცნობებსაც გვიდასტურებს. 183. —

ევროპის ქაბუკთა ანუ რიტერთა ხანაში, მეთათე საუკუნედან დაწყებული, სილამაზის შესახებ მგოსანთა მიერ ნაქები და შემკულა წარმოდგენა სილამაზეზე ბატონობდა. დედაკაცის სილამაზე მაშინდელი წარმოდგენით, განსაკუთრებით გერმანულ ქვეყნებში, შემდეგ ნიშნებს შეიცავდა: — ქალი უნდა ყოფილიყო საკმაოდ მაღალი; თმა — ოქროს ფერი, და ბრწყინვალე, ბუნებრივ კულულებად დიხუქუქებული; წარბები — მუქი; არაშეერთებული; თვალები — ნათლად მშინაივი; ლოყები — ვარდის ფერი; ტუჩები — ლბილი და ცეცხლებრ წითელი; კბილები — თოვლივით თეთრი და სწორად ჩაწყობილი; ყურები — პატარა და რგვალა... ასეთ მოთხოვნილებას ურდგენდნენ მამაკაცსაც. აქ ქაობობდა ფერი: თეთრი, წითელი და ოქროს ფერი ან ქერა.

შუა საუკუნეთა ევროპაში, ფერთა სიმბოლიკას ეკუთვნოდა: თეთრი, წითელი და შავი ფერი, ხოლო გერმანიაში, კერძოდ, — თეთრი, ოქროს ფერი, ან ქერა და წაბლის ფერი. ამ ფერებით გამოხატულ სილამაზეს უმღეროდნენ ფრანგი ტრუბადურება და გერმანელი მინნენგერები. ამ ფერებს შესტრუოდა რაინდული საზოგადოება. და ეს ფერები იყო მაღალი საზოგადოების, არისტოკრატიული ფერები და მით იხატებოდა სილამაზე არისტოკრატიული.

შუა საუკუნეთა პროვანსული პოეზია (პროვანსი — საკარისკაცო პოეზიის აკვანი, ტრუბადურთა სამშობლო, სამხრეთ საფრანგეთში, სადაც მწერლობა ჰყვავოდა პროვანსულ ენაზე — ლანგედოკ)

ცნობილია სათაყვანებელ ქალთა შექებით, ოღონდ სილამაზის აღწერა, ისე ვით ბუნებისა. იქაურ ჰგონებს არ მოუხდენიათ, გარნა არსებობს ერთი ლექსი იმ ხანიდან (მეთორმეტე საუკუნე) რომელი არნო მარუელის ეკუთვნის —
შენი შევნიერი თმა მუქი წაბლის ფერის, შუბლი თეთრი და სპეტაკი შროშანსავით, თვალი აღზნებული, რომელიც იცინის, ცხვირი სწორი და გაწყობილსავით,

აყვავებული ნორჩად სახე შენი, და ასეთ თეთრი - წითელი ყვავილიც არაა, პაწაწა ბაგე, შიგ ლამაზი კბილებით, ასე ნათელი და წმიდა ვერცხლიც არაა,

და ნიკაპი, ყელი, მკერდი ისე, ვით ფიჭვი თოვლი და ნორჩი ყვავილი, შევნიერი ხელები წმიდა, ლამაზი, თითებთან ერთად, ნაზი და გათლილი...

გული ჩემი ამაზე ფიქრობს რაოდენ, შემოპყრობს ესოდენ დიდი განცუფრება, და აღარ ვიცი მეტად საიდან, საით, მივიწერს თავის კიდევ არსებობა. 187. გვ. 159.

პროვანსული პოეზიის გემოვნება აქ ფერებით სავსებით გადმოცემულია: თეთრი: პირი, კბალები, შუბლი, ნიკაპი, ყელი; წითელი: ლოყები; სწორი ცხვირი, შევნიერი ხელები, ნაზი და ლამაზი თითები, წაბლის ფერი თმა... (წაბლის ფერი შავი ფერის წრისა არის).



ვეფხისტყაოსანისა და თვით ქართული სილამაზის ფერთა სიმბოლიკა ხასიათდება ფერებით: წითელი, თეთრი, შავი; თავისი ნაერთით, ეს ფერები: თეთრი, წითელი და შავი — თეთრი პირი, წითელი ლოყები, ტუჩები, და შავი თვალ — წარბ — წამწამები — აქ სილამაზის უმადლესი გამოხატულებია მიღწევა. ამ სამი ფერის სიმბოლიკა არისტოკრატიული სილამაზის შევნიება გამოსახული და ტანის ნაკეთობა სათაყვანებელად არის გადაქცეული.

ევროპიული სილამაზის იდეალი იხატება აგრეთვე სამი ფერით. გერმანული სიმბოლიკა შეიცავს ფერებს: თეთრი წითელი და ოქროს ფერი ან წაბლის ფერი. ხოლო რომანულ ქვეყნებში სილამაზე ნაჩვენებია ფერებით: თეთრი, წითელი და შავი ან წაბლის ფერი.

მაშასადამე, ვეფხისტყაოსანის ანუ ქართული, და ევროპიული წარმოდგენა სილამაზეზე ერთი და იგივე არის, ერთნაირია, თუ მხედველობაში არ ვივლინებთ გერმანულ ეროვნულ ფერს: ოქროს ფერს, ქერას; ხოლო რომანულ (ფრანგულ, ესპანურ და

იტალიურ) ქვეყანათა სილამაზის გემოვნება და ქართული სავსებით თითქმის იგვეგობას აღნიშნავს. მაგრამ განსხვავება მაინც ერთი არის: ეფუხისტკაოსანში სილამაზე ტანისა და თვით სილამაზე ათაყვანებელ მოვლენად არის ნაჩვენები და ისეთი მაღალი აღფრთოვანებით გადმოცემული, რომ სილამაზის თაყვანებაში ყველა და ყველა მონაწილეობას ღებულობს...

XXV. მტ.-ის სილამაზის თაყვანება

ეფუხისტკაოსანში სილამაზის დასახატავად, როგორც ვიხილეთ, გამოყენებული არიან ფერნი, არა მარტო ფერნი ქსოვილთა, ვარდ - ყვავილთა, თვალთა პატიოსანთა, არამედ ნათელთა და მათ მოპნიქებელთა: ცა, ვარსკვლავნი, მნათობნი, და მათ შორის განსაკუთრებით მზე, ვით შეენების განსახიერება, ელეა შუქნი, სინათლისა სვეტნი...

ბუნებრივი ფერნი, ვარდ - ყვავილთა ფერნი, თვალთა პატიოსანთა ფერნი, და ციურ სხეულთა ფერნი, თავისი ნათელი შევენებით — ყველაფერი ეს, მხატვრული ხელოვნებით შეზავებული და გაწყობილი, იძლევა იმ მომაჯადოებელ სილამაზეს, რომელს ყველა, ყველა, ყველა ეთაყვანება.

ეფუხისტკაოსანი სილამაზის ნამდვილი თაყვანებაა — ნამდვილი კულტა.

თინათინისა და ნესტანის სილამაზე რომ არა-ჩვეულებრივია, წარმტაცი და დამაპყრობელი, გულის, გონების და სულის წამართმეველი, — ეს ბუნებრივი და გასაგებია. დედაკაცის განსაკუთრებული სილამაზე მამაკაცში ბუნებრივად თაყვანებას აწვევს და ეს მოვლენა ჩვეულებრივად უნდა ჩაითვალოს.

ეფუხისტკაოსანში არა ჩვეულებრივია მამაკაცთა სილამაზე და მის აღწერას იქ დიდი ადგილი უკავია, უფრო მეტი, ვინემ დედაკაცთა.

ტარიელისა და ავთანდილის სილამაზეც არა ჩვეულებრივია და ამგვარად, ეფუხისტკაოსანში, მამაკაცთა და დედაკაცთა სილამაზე თანაბარია, თანახვორი, სილამაზეში ორივე სქესი ერთნაირია.

მამაკაცისათვის თვალად სიტურფე განსაკუთრებით მიჯნურისათვის სავალდებულოა —

მიჯნურსა თვალად სიტურფე ჰმართებს, ჰართვითა მზებობა.

ეს არის ღებულება, რომელზეც აგებულია ავთანდილისა და ტარიელის შესახებ მოთხოვნაილება.

რა შთაბეჭდილებას და განწყობილებას აწვევს მაკქერალში ავთანდილის სილამაზე?

თინათინის ტახტზე აყვანის ნადიმზე —

თავსა ზის პირ - მზე ავთანდილ, მქვერტთაგან მოსანდომია (57)

რა არის ეს მქვერტთაგან მოსანდომია? მოსანდომი არის სასამოვნო, სანახავად საამო; მაშასადამე, ავთანდილი მაყურებელთათვის სასამოვნო სანახავი იყო; მისი სილამაზე მქვერტელში საამოვნების განცდას იწვევდა. ამავე მოვლენას მეორე ლექსიც აღნიშნავს —

რა გათენდა, შეეკახმა მისთა მქვერტთა სალამაზოდ (141)

ტარიელს ავთანდილი მოეწონა (და პირიქითაც), და ეს იყო მათი შეგობრობის დასაწყისი; და ავთანდილს ტარიელი ეუბნება —

შენმან ქვერტა - სიხლემან მომაქარვოს სევედა, მითხოს (677)

ანუ: შენთან ახლოს ყოფნამ და შენმა ქვერტამ მე სევედა გამქარვოს, გამითხლოაო (მითხოს). ავთანდილის სილამაზე ტარიელში ესთეტიურ სიამოვნებას იწვევს და მას სევედას უქარვებს — სილამაზე ავთანდილისა არის ტარიელის გულის წამალი.

ავთანდილი ვაზირ სოგრატთან არის სტუმრად — დაჯდა, მისთა შემხედველთა გული მათი მართლად ხელეს,

მისთა მქვერტთა მისთვის ბნელა თავისათვის ისახელეს,

სულთქმა ბევრი აათასეს, აღარა თუ აერთხელეს (731)

ანუ: ავთანდილის შემხედველთა გული მართლა გაუუცივდათ, გაუხელდათ; მისთვის ბნელა, გულის წასვლა სასახელოდ მიიჩნდათ; მისთვის სულთქმა და ოხერა ბევრჯერ ათასი ქმნეს და არა ერთხელ (აერთხელეს). აქ, რასაკვირველია, უმალღესი განცდით არის აღწერილი ავთანდილის სილამაზის მიერ გამოწვეული ესთეტიური გრძნობა.

მენავენი ავთანდილს ეუბნებიან —

მათ მოახსენეს: ტურფთაო სახით და ანაგებთა გვეუცხოვე და გვეკეთე, მით გეუბნებიან ქებთა...

ჩვენცა მისი ვართ, გიამბობთ, თუ ქვერტით არ დაეზნდებითა;

ვა, რად დაგვწვენ უცხომ უცხო, რად მოგვიღვე ცეცხლებრ ალი (973)

ამაზე ავთანდილი მენავეთ უპასუხებს —

ყმამან უთხრა: მძიკერს, მმანო, რად ხართ ჩემთვის გულ - მოკლულნი,

ანუ ეგრე ვით გეკეთეს ზამთრის ვარდნი დურნაკლულნი?

თქვენმცა მაშინ გენახენით, ლალნი ესხედით, არ - საპყრულნი,

ჩვენნი მქვერტნი დავაშვენით, ჩვენგან ხლიან მხიარულნი (974)

შემდეგ, მგზავრობისას ავთანდილს —

ვინცა გზას ნახნის უცხონი, კმსახურებდიან,
 კუმობუიან,
 მოვიდოდიან საქერეტლად, ვას ზედა სტრუა-
 ლობიანი,
 ეძნელებოდეს გაშვება, გაყრასა ძლიერ დათმო-
 ბდიან (976)

და როდესაც აეთანდილი ფრიდონის ლაშქარს
 მიუახლოვდა —
 გამზიარულდა; შეენება მის ყმისა ეთქვიმუა მე
 ვითა!
 მისთა გამყრელთა დააზრობს, შემყრელთა და-
 სწავას მზე ვითა,
 ნახვა მქვერეტელთა ახელებს, ტანი ლერწამობს
 რხევითა (979)

ფრიდონის ლაშქარმა აეთანდილის დანახვაზე —
 ალყა დაშალეს, მოვიდეს, მოეხეოდეს, ბნდუ-
 ბოდეს,
 იქით და აქათ უვლიდეს, ზოგნი უკანა ჰყვე-
 ბოდეს (975)

ხოლო ფრიდონის მიერ ამბავის გასაგებად გამო-
 გზავნილი მონა, აეთანდილის ნახვაზე —
 დადგა, თვალნი გაურეტლეს, დაავიწყდეს სიტ-
 ვის თქმანი (983)

და შემდეგ ეს მონა ფრიდონს ეუბნება —
 ვაზრობ, იგიცა დაშმაგდენ, თუ ბრძენთა ნახონ
 ისი სად (985)

და როდესაც ფრიდონმა აეთანდილი იხილა —
 მას ჰმეტობდა, რაცა ქება მონისაგან მოესმი-
 ნა (987)

და —
 თვით უსახო ფრიდონს ყმა და მოეწონა ყმასა
 ფრადონ;
 რა მქვერეტელთა იგი ნახონ, მზე მათთანა გააფ-
 ლიდონ (988)

ეთანდილის ქვერეტად სპანი იქით - აქათ იქ-
 მნენ ჯრასა,
 თქვეს: დასეთი ხორციელი შეუქმნია ნეტარ რა-
 სა (990)

ეთანდილ მქვერეტთა აშვენებს ტურფათა აერ-
 ფერათა (1009)

და ფრიდონის სასახლეში —
 შეპფრფინვიდიან აეთანდილს გულითა სულ -
 წასრულითა (1010)

ხოლო აეთანდილის წასვლისას —
 ზარი მის ყმისა გაყრისა გახდა, მიეცნეს წუხი-
 ლსა,
 მოატყდეს მოქალაქენი, ლარსა ვინ ჰყილდა, აუ
 ხილსა (021)

და როცა აეთანდილი ფრიდონს გამოეთხოვა —
 ფრიდონ დადგა, ყმა წაიღია, შემხედველთა

მკლველი ტანი (1024)

ეთანდილმა საზღვაო ბრძოლაში —
 ვითა მქვერეტელნი ქვერეტითა, მტერნი დახოც-
 ნა ხრმალითა (1041)

და გამარჯვების შემდეგ მას ეაქარნი —
 მოეგებნეს, აკოცებდეს თავსა, პირსა, ფერხთა,
 ხელსა;
 ჰკადრეს ქება უსაზომო მას ტურფასა საქებელ-
 სასა;
 მისი ქვერეტა გააშმაგებს კაცსა ბრძენსა, ვითა
 ხელსა (1049)

და ყველანი —
 შეპფრფინვიდიან აეთანდილს, ქებასა შეაახმი-
 დიან (1060)

გულანშაროში, ფატმანის მებაღე აეთანდილა —
 მას ყმასა უქვერეტს შეფრფინვით პირსა, ეღვა-
 თა მკრთომელსა (1063)

და იგივე მებაღე ფატმანს ამბავს მიუტანს —
 ყმა მოვა, მისთა მქვერეტელთა შეუქნი მზედ გა-
 რცადიან (1072)

თვით ქალაქში კი —
 ზარი გახდა, შემოაკრფეს ქალაქისა ერი სკუ-
 ლად,
 იქით - აქათ იჯრებოდეს: ღვეუქვიროთო ამას
 რულად;
 ზოგნი ნდომით შეპფრფინვიადეს, ზოგნი ყყენეს
 სულ - წასრულად;
 მათთა ცოლთა მოიძულევეს, ქმარნი დარჩეს გა-
 ბასრულად (1075)

და შემდეგ, ფატმანი აეთანდილსა სწერს —
 შენ გრტფიალობენ მქვერეტელნი, შენთვის სა-
 ბრალოდ ბნდებიან (1086)

ქაჯეთის ციხეში ნესტანს აეთანდილის შესახებ
 ფატმანის მონა - ზანგი მოუთხორობს —
 აწ ვინმე მოყმე მოვიდა შეენიერითა პირითა....
 (1283)

როდესაც როსტევან მეფეს ტარიელი მოეწონება,
 იგი მას ამაზე უპასუხებს —
 მიკვირსა, თუ ვერე სიყეთე თქვენ ჩემი რად გე-
 გონების!
 რათგან აეთანდილ შენია, სხვა რად ვინ მო-
 გეწონების (1517)

როსტევანთან შეხვედრისას აეთანდილი ხელმან-
 დილით სახეს იფარავს, დარცხენილი —
 მაგრა მისსა შეენებასა რამცა ვითა დაფარვირ
 და?! (1530)

ასეთია აეთანდილის სილამაზე, რომელი თაყვა-
 ნების გრძნობებს იწვევს!

☸

როგორია ტარიელის სილამაზე? იგიც აეთანდი-

ლსავით თაყვანების გრძნობას იწვევს?
 ტარიელის შესახებ ხატაელნი ამბობენ —
 ჯერ მისი მსგავსი შეენება კაცთაგან უნახავია (204)
 ხოლო ხატაელი ერთი მოციქული თავის ლალატს
 ამით ამართლებს —
 მკედარი მიმძიმ სანახავად, ტანი მქვერა, პირი
 ვარდი (433)
 და თვითონ ტარიელი თავისი თავის შესახებ ამ-
 ბობს, ფარსადან მეფესო —
 გაეხარნეს მისვლა ჩემი ტურფისა და ლამაზი-
 სა (474)
 და ფარსადანი თავის მეუღლეს ეუბნება —
 ომით მოსრული ტარიელ საქვერეტლად სასურ-
 ველია,
 მან განანათლოს მქვერეტელთა გული, ჩაზომ-
 ცა ბნელია (475)
 ნადირობიდან დაბრუნებული ტარიელ ამბობს —
 ჩემთა მქვერეტელთა მოეცვა ქალაქი, შუკა და
 ბანი...
 ვინცა მიქვერეტდის, ბნდებოდის, — მართალ
 არს, არ კატაბანი (478)
 ტარიელს რიდენი ეხვიენეს —
 იგი მეხვიენეს, მშვენოდეს, ვახელებ გულთა
 ხელთასა (479)
 და ნესტანიც სწერს ტარიელს —
 შენნი მქვერეტნი ჩემთა მქვერეტთა ავინებენ, არ
 იდენო (495)
 ანუ: ტარიელის მქვერეტნი ნესტანის მქვერეტთ ავი-
 ნებენ, არ ერიდებიან გინებითო, ეპე იგი: ტარიელას
 სილაამაზე ნესტანისაზე უკეთესიაო.
 ფრიდონთან პირველი შეხვედრის შესახებ ტარი-
 ელი ამბობს, ფრიდონმაო —
 შემომხედნა, მოვეწონე, სიარული დაითმინა
 (595)
 კვლა მოვეწონე, ვეტურფე მე მისი გარდნაკი-
 დარი (612)
 ასმათ და მონანი ტარიელს ეუბნებიან, გესურს—
 თქვენ გიქვერეტდეთ საქვერეტელსა შეენიერსა,
 სატურფალსა (652)
 ავთანდილი ტარიელზე ამბობს —
 ვინ უნახავ ქმნის გონება ყოველთა კაცთა მნა-
 ხისა (688)
 და იგი თინათინს ეუბნება ტარიელის შესახებ —
 ნუ მკითხავ, ქება რა გკადრო, ჩემგან ვით გავ-
 გეგონები; მისსა მნახავსა ნახული აღარა მოვეწონების;
 თვალნი მქვერეტელთა, ვით მზისა ცააგასა, და-
 ელონების (699)

ვაზირ სოგრატს ავთანდილი ტარიელის შესახებ
 მოუთხრობს —
 გული წამსავე წამილო, — ვერათ ვერ შევინა-
 ხე, — მან (738)
 ავთანდილი ტარიელს ეუბნება —
 ერთხელ შეუჯე, ცხენოსანი გნახო ჩემი სულთა
 მბდელი,
 ნუთუ მაშინ მოვიქარვო სეედა ესე აწინდელი
 (890)
 ავთანდილი ტარიელსა სთხოვს, ჩემს მობრუნებო-
 სას ქებაში დამხედო —
 მაგა ქცევითა ტურფითა, ანაგებითა ნაგითა
 (935)
 ანუ: მაგ შეენიერი ქცევით, მაგ მოყვანილი, აგებუ-
 ლი ნაგით, ანაგებით, ტანიოთ.
 მელიქ-სურხაეი, ზღვითა ხელმწიფე ტარიელს მო-
 ასხენებს —
 მოახლეთა სიცოცხლეო, ვერ მქვერეტელთა შო-
 რით მკლველო,
 მსგავსი თქვენი რამცა მეძღვნა, შეენიერო სა-
 ნახელო!
 რა მოგშორდე, რა შერგების, საქვერეტელად სა-
 სურველო?! (1442)
 ფატმანიც ეუბნება ტარიელს —
 რა მოგშორდე, რა ვიქმნები, მე დამაგდებ ერთა
 რეტსა.
 ახ, ნეტარძი მოახლეთა! ვაგლახ თქვენსა ვერა
 მქვერეტსა! (1444)
 ტარიელს —
 დიდებულთა თაყვანი სცეს, მოახსენეს დიდი
 ქება...
 ჩვენ გვიჩვენა პირი თქვენი, აღარა ვეწვავს ცე-
 ცხლთა დება (1454)
 ხოლო ფრიდონი ებნება ტარიელს —
 ჩემი ლხინი მუნამდის ა, ვირე ვიყო შენი
 მქვერეტა (1501)
 და როდესაც როსტევან მეფემ ტარიელი ნახა —
 გაეკვირვა მეფე მისსა თვალადობა - სიტურფე-
 სა,
 პირსა უქვერეტს გაკვირვებით, უქმებს მკლავთა
 სიალფესა (1516)
 როსტევანის მხლებელთ კი —
 ქვერეტა ახელებს მქვერეტელთა, ყოფა - ქცე-
 ვისა და ზმისა (1519).
 ასეთია ტარიელის სილაამაზე, რომელი თაყვანე-
 ბას იწვევს!
 ❀
 ფრიდონის შესახებ ტარიელი გვაცნობებს —
 მე გავეკვირვე ქვერეტასა მის ყმისა სინაზეთა-
 სა (597)

გამარჯვებულ გმირებს, როდესაც ისინი ქაჯეთ-
ში დახოცილ გმირთა გამო სტირიან, ეუბნებოდნენ --
თქვენთა მკერეტთა მღერა ჰმართებს, რასათ-
ვისმცა ივაგლახენს (1457)
და ყველა ერთად: ავთანდილ, ტარიელი, ფრიდონ
და ნესტანი —

სადაცა დახვდის ქვეყანა, მკერეტელთა მოაღ-
ხინებდეს,
მოეგებიან, სძლენობდიან, აქებდეს, არ ავანებ-
დეს (1494)

ხოლო ინდოეთში —

ავთანდილ და ფრიდონის თვის ორნი ტაბტანი
დაამზადნეს;
ზედა დასხდეს ხელმწიფურად, დიდებანი უდი-
ადნეს,
ღმერთმან სხვანი ხორციელნი მათებრნი და
რად დაბადნეს! (1639)

და მათ წასვლას —

სრულად ინდონი მისტირან, ცრემლჰან მინდო-
რი დალამა (1660).



ამგვარად, როგორც ვნახეთ, ავთანდილისა და ტა-
რიელის სილამაზე ისეთი არა - ჩვეულებრივია, რომ
იგი მკერეტელთ იპყრობს და იმონებდა. მათი სილა-
მაზის ნახვა მკერეტელთ მოაღხინეს, ახარებდა; და
ეს სილამაზე თვითონ მაცქერალთაც აშვენებს და
ალამაზებს; ხოლო ვერ - მკერეტელთ და დაშორე-
ბულთ მწუხარებას აყენებს და აზგლოვიარებს, ვაგ-
ლახ ქმნის; მათ სილამაზეს შესტრფიან, შეფრუნი-
ვიან, თავზე ევლებიან და მას სიამითა და აღტაცე-
ბით უცქერიან; მათი სილამაზის გამო მათ ემსახუ-
რებიან და ემონებიან; მათი სილამაზე სევდას აქარ-
ვენს, ბნელად იწვევს, სულთქმა-ოზერას აათასებს და
ხელობა-სიგივე მომზერალისათვის სასახელთა; მათი
ტანი მაცქერალისათვის მკვლელია; მათი სილა-
მაზე მაყურებელთ სწევას; შემხედველნი გაურას
ვერ ითმენენ, მათ გაშვებას ეძნელებიან; მათი სი-
ლამაზე ქებას აღმატება; ყველა მირბას მის სანა-
ხადად; ბრძენსაც, ვითარცა ხელს ახელებს და აგი-
უებს იგი, გონებას ართმევს; მან სულ - წასრულად
ეფოფინებიან და დასკვნა: — ასეთი ხორციელი შე-
უქმნია ნეტა რასა?!

ვეფხისტყაოსანის გმირთა სილამაზე ხორციელია
— ზედმიწევნითი შეენება და უებრო ნაკეთობა, —
და იგი ყველას აჯადოებს, ყველაში თავყანების
გრძნობასა და სურვილს ჰბადებს, შეენების უმაღ-
ლეს სიამოვნებას წარმოშობს. და ვეფხისტყაოსანის
შემომქმედის მიზანიც ეს არის — დახატოს უუმაღ-
ლესი სილამაზე, რომელი ადამიანს ამონებს. ეს სი-
ლამაზე ხორციელია, ადამიანურია და მოპაჯადოე-

ბელი, კაცურია და შემპყრობი.

ვეფხისტყაოსანში გაბატონებულია არა მარტო
დედაკაცის სილამაზე, არამედ იმავე საფუძველზე,
მამაკაცის სილამაზეც.

ვეფხისტყაოსანში დახატული სილამაზე არის
კლასიკური, რომელი სიყვარულს, აღტაცებას, აღ-
ფრთოვანებულ მოწიწებას და თავყანებას მოით-
ხოვს, რომელი იპყრობს და რმონებს.

ვეფხისტყაოსანი არის სილამაზის თავყანება, სი-
ლამაზის კულტი.



ვეფხისტყაოსანის სილამაზის თავყანება ძველი
საბერძნეთის, ელინური სილამაზის კულტს შავო-
ნებს, რომელიც იქ ქანდაკებებით გამოიხატა.

ელინური ღმერთნი: ღმერთნი - მამაცნი და ღმე-
რთნი - დიაცნი განთქმულმა ხელოვანებმა ძველ-
ბად გამოკვეთეს და ეს ღმერთნი ნაკეთის სახით
შექმენს. ეს არის მოვლენა, რომელს უწოდებენ —
ღმერთთა გამოცხადება სილამაზეში. ანუ როგორც
პროფ. ფ. ზელინსკი ამბობს: ღმერთთა გამოცხადე-
ლებაში მიღწეულ იქმნა სილამაზის იდეალი. 184.

ფიდიას, პოლიკლეტოს, ალკამენოს, პრაქსიტელ-
ეს და სხვა განთქმულნი მოქანდაკენი თავისი წა-
ხნაგით ცივ ქვას სჭირდნენ და სთლიდნენ; და ამ
ცივ ქვას ისინი სილამაზის უმაღლესი იდეალით
აცოცხლებდნენ.

ოლიმპელ ღმერთთა გვარი, მარმარალოთა და
ბრინჯაოთი გამოკვეთილი, ამბობს ზელინსკი, ყო-
ვამოცხადება ღმერთობისა სილამაზეში. ელინურ
ღმერთთა გადარჩენილმა და მუზეუმებში შეხაზულ-
ლმა ქანდაკებებმა, ასლ - ქანდაკებებმა, ქრისტიანო-
ბის მკვლევარს რენანს გულწრფელად წამოაძახე-
ბინა — ქეშმარიტი ღმერთები! ქეშმარიტი ღმერთ-
დიაცები!-ო. და როგორი უნდა ყოფილიყო ქველად,
ნამდვილ ქანდაკებათაგან გამოწვეული შთაბეჭდი-
ლება იმ ხალხზე, რომლისათვისაც ისინი მზადდე-
ბოდდნენ, კითხულობს პროფ. ზელინსკი.

და მართლაც, — ცივი მსჯელობის მოყვარული
არისტოტელესიც კი იტყოდა: «ჩვენ რომ ოდესმე
შეგვხვდებოდეს ადამიანი იმგვარი სახისა, როგორც
მოქანდაკენი ღმერთებს გამოსახავენ, უექველთა,
ყველა მზად ვიქნებოდით მისთვის თავყვანი გვეცა,
მისთვის გვემსახურა, ვით უმაღლესი არსების წინა-
შეა-ო.

და არისტოტელესის ეს სიტყვა ზედგამოჭრალია
ვეფხისტყაოსანის გმირებზე.

ვეფხისტყაოსანის თინათინი, ნესტანი, ავთანდი-
ლი, ტარიელი და ფრიდონი არიან არა ქანდაკეანი
ღმერთთა, არამედ ცოცხალი ადამიანნი, რომელთა
სილამაზე არის ღმერთური.

ძველმა საბერძნეთმა თავისი წარმოდგენა აილა-
მაზეზე ქანდაკებებით გადმოგვცა.

ძველმა საქართველომ თავისი წარმოდგენა სილა-
მაზეზე ვეფხისტყაოსანის სიტყვით დაგვიხატა.

ძველი საბერძნეთის იდეალი სილამაზისა ღმერთ-
თა ქანდაკებებით გამოისახა.

ძველი საქართველოს იდეალი სილამაზისა ცოც-
ხალი ადამიანებით გამოისახა.

ელინური შეხედულება სილამაზეზე იყო იდეალი
და ლეთიური.

ქართული შეხედულება სილამაზეზე იყო ცოცხა-
ლი და ადამიანური.

სილამაზე ვეფხისტყაოსანში არ არის იდეალ; —
იგი არის სინამდვილე — სილამაზე ადამიანური, —
ოღონდ ლეთიურობის შემცველი... და ქართული...



ახლა, როდესაც მახსენდება, რომ ვეფხისტყაოსან-
ის მკვლევართა რიგმა, პროფ. ნიკო მარჩის ზერუ-
ლედ წარმოთქმული შეხედულების თანახმად, შო-
თა რუსთაველი ნეოპლატონიანად გამოაცხადა, —
მივიჩინო, თუ ეს როგორ მოხდა. როგორ შეიძლება —
და განუსაზღვრად და განუკითხავად ასეთი დებუ-
ლების წარმოდგენა, ან როგორ შეიძლება და ასე
ბრმად მისი მიდევნება; როგორ შეიძლება და პროფ.
ნ. მარჩის აზრი ასე განუხილავთ მიეღოთ და მას
გაპყრობდნენ მკვლევარნი, ისეთი კი, როგორც
ცა პროფ. კ. ქეკელიძე? ყველამ განიგეო: ვეფ-
ხისტყაოსანი ნეოპლატონური ნაწარმოებია! მაგა-
ლითისათვის აქ მხოლოდ სარგის კაკაბაძის მიერ გა-
ნმეორებულ დებულებას მოვიტანთ. 1927 წელს მის
მიერ გამოცემულ ვეფხისტყაოსანში იგი ამბობს შე-
მდეგს —

ქრისტიანული კულტურა, როგორც ასეთი, სა-
თანადო პირობებს ქმნიდა ქალის და მიჯნურობის
კულტის განვითარებისათვის, როგორც ჩვენში, ისე
დასავლეთ ევროპაში. ამით აიხსნება ალბად ამ მო-
ვლენის საერთო ხაზები ძველ ქართულ და კერძოდ
რომანულ დასავლეთ ევროპის რაინდობაში. მაგრამ
მეორეს მხრივ ქრისტიანობა, როგორც საეკლესიო
ორგანიზაცია, ქართულ შემოქმედებას მე - 11 —
12 საუკუნეშიც განსაზღვრულ ჩარჩოებში ათავსებ-
და და თუ მე - 12 საუკუნეში ვხედავთ ქართული
რაინდობის ფრთათა იდეურ გაშლას, კერძოდ ქა-
ლის კულტის საქართველოში ასეთ არაჩვეულებრი-
ვად განვითარებას, ეს თვალსაჩინოდ უნდა მიეწე-
როს იმ სულიერ თავისუფლებას, რომელიც ქარ-
თულ მოაზროვნე და ლიტერატურულ წრეებში შე-
ქმნა ნეო-პლატონურ იდეების შემოტანამ მე - 11
საუკუნის დასასრულიდან. ქართველი ნეო-პლატო-
ნიკის იოანე პეტრიწის ღვაწლი ამ მხრივ ფრიალ ნა-

ყოფიერი გამოდგა, რადგან ნეოპლატონურ მსოფლ-
მხედველობამ გააფართოვა ქართველი საზოგადოე-
ბის გონებრივი ჰორიზონტი. ნეოპლატონიზმმა და-
ამსხვრა ქართველების სარწმუნოებრივ - ნაციონა-
ლურ აზროვნების ჩარჩოები და გაადვილა მკიდრო
ლიტერატურულ ურთიერთობის დამყარება ჰესუ-
ლმანურ სამყაროსთან» (ნ. მარჩ — იოანე პეტრიწ-
სკი. 1909). ნეოპლატონიზმის ერთ - ერთი მთავარი
დამახასიათებელი დებულება — სიყვარულის სიბ-
ლიერის რწმენა (პლატონის მოძღვრებასაც ახასია-
თებს ეს რწმენა განუსაზღვრელ სიყვარულის საბ-
ლიერეში) კერძოდ ქართულ ლიტერატურულ შე-
მოქმედებას უხსნიდა ახალს ასპარეზს. ხოლო ქარ-
თულ სოციალურ - კულტურულ ცხოვრების განვი-
თარების მაღალი დონე ამ შემოქმედებას კერძოდ
პოეზიაში, მკვეთრად ჩამოყალიბებულ რაინდულ
იდეოლოგიასთან დაკავშირებით, ფრიალ მნიშვნე-
ლოვან, საყურადღებო და თავისებურ მიმართულე-
ბას აძლევდა. ასეთ პირობებში წარმოიშვა რაინდო-
ბის და მიჯნურობის აპოლოგია — შოთა რუსთა-
ველის პოემა».

მკვლევარი სარგის კაკაბაძე იმეორებს ამას, რაც
პროფ. ნ. მარჩმა ნაქტაფივად დასწერა, რაც მკრძმე
იუსტინე აბულაძემ განიგეორა, და მეჩმე პროფ. კ.
ქეკელიძემ და ალბათ სხვებმაც.

როგორ შეიძლება ვეფხისტყაოსანის ნეოპლატო-
ნიანობის შესახებ ლაპარაკიც კი, თუ იცით, რომ
ნეოპლატონიზმი არამც თუ ამ - ქვეყნიურ სიყვარ-
ულის უარპყოფს, არამედ ხოცთ და მათ ვნებათ
სასტიკად ჰგმობს?!

ნეოპლატონიზმისათვის არსებობს მხოლოდ ერთი
უღრდესი და უძლიერესი სიყვარული, — ესაა: სი-
ყვარული ღმერთისადმი, რომლის შესახებ ვეფხის-
ტყაოსანის შესავალში შემდეგია ნათქვამი —

ვთქვა მიჯნურობა პირველი და ტოპი გვართა
ზენათა,

ძნელად სათქმელი, საჭირო გამოსაგები ენათა,
იგია საქმე საზეო. მომცემი აღმაფრენათა;

ვინცა ეცდების, თობადაჲ ჰქონდა მრავალთა
წყენათა (20)

მას ერთსა მიჯნურობასა ჰქვიანნი ვერაჲ მიჰხვ-
დებიან,

ენა დაშვრების, მსმენლისა ყურნიცა დავალდე-
ბიან... (21)

აი ეს არის სიყვარული მისტური, სიყვარული
«ერთისა»-დმი, სიყვარული ღმერთისადმი, რომელი
როგორც ნეოპლატონიზმში, ისე ქრისტიანულ
ღმთისმეტყველებაში და მონაზონურ ცხოვრებაში
უდავოდ გაბატონებული იყო.

ნეოპლატონიზმი და მისი გავლენითაც ქრისტი-

ნული სამონასტრო მოძღვრება მატერიას უარსა ჰყოფდა, როგორც ამას გარკვევით აღნიშნავს ზინბანტიური ფილოსოფიის მკვლევარი ბასილიოს ტატაკის¹⁸⁵, და რასაკვირველია, საესებით და შეურიგებელად იგი ხორციულ სიყვარულს ჰკომბდა.

ნეოპლატონიზმის სულის ჩამდგმელი, პლოტინოსი, როგორც ამბობს პროფ. ფ. ბრენტანო, სირცხვილით იწოდა იმის გამო, რომ ჩემი სული ტანში ბინადრობსო. იგი არ ითმენდა, როდესაც მას წინაპართა, მშობელთა ან სამშობლოს შესახებ ეკითხებოდნენ; დიდად გაჯავრდა, როდესაც მისი სუათის დახატვა მოისურვეს, ოღონდ მოწაფეებმა ერთ მის მოხსენებაზე მალულად მხატვარი მიიყვანეს, რომელმაც იგი შემდეგ ზეპირად დახატა. მხოლოდ მისი სრულების დროს აქიმმა შესძლო გამოერკვია, თუ იგი რამდენი წლისა იყო, მაგრამ დაბადების დღე მას მაინც ვერ ათქმევინა. ასე უარყოფდა პლოტინოსი სააქაოს და ამქვეყნიურობას!¹⁸⁶

საერთოდ, ნეოპლატონიზმს არა სწამდა მატერია. არა სწამდა ხორცი, მით უმეტეს ხორციელი სიყვარული, გარნა სწამდა სიყვარული ღვთისადმი, — ამ მისტიური სიყვარულისაგან, რომელმა ქრისტიანურ მოძღვრებაზე დიდი გავლენა მოახდინა, კერძოდ ბერ - მონაზონურ მსოფლმხედველობაზე, — როგორ განვითარდა ხორციელი სიყვარული, მიჯნურობა და რაინდობა, $\frac{1}{2}$ ეს გაუგებარია და მხოლოდ ზემო დასახელებულ მკვლევართა საიდუმლოებას შეადგენს!

ვეფხისტყაოსანი არის ხორციელი სილამაზის ხოტბა და ქება; იგია შევენების გალობა, დიდება ხორცთა; სიმღერა ხორციელ სიყვარულზე! და რა კავშირი აქვს მას სიკვდილის მოტრფიალ ნეოპლატონიზმთან?, «ერთი»-ს ანუ ღმერთის სიყვარულთან, რომელიც ნეოპლატონიზმის შეგნების საფუძველია და გრძობათა გამომხატველი?

ვეფხისტყაოსანის შესავალი და მთელი ვეფხისტყაოსანი გვეუბნება — მისტიური სიყვარული, სიყვარული ღვთისადმი საზეო საქმეა, მას ჰქვანანი ვერ მიჰხედებიანო, ხოლო მეო, ამბობს მწერალი — ვთქვენ ხელობანი ქვენანი, რომელნი ხორცთა ჰხედებიან;

მართ მასვე ჰბაძვენ, თუ ოდეს არ სიძვენ, შორით ბნდებიან (21)

ვეფხისტყაოსანის შემომქმედი ამით ამბობს — მე ის სიყვარული აღეწერე, რომელი ხორცთ ეხება, და ეს ხორციელი, «ქვენა» სიყვარული ჰბაძავს «ერთის» ანუ ღვთის სიყვარულს, სიყვარულს «საზეო»-ს, მისტიურს, თუ ამ ხორციელ სიყვარულში არაა სიძვა და არის შორით ბნდება!

ვეფხისტყაოსანი — სილამაზისა, შევენებისა და

ნაკეთის შესახებ დიდებული გალობა! ვეფხისტყაოსანი — ამქვეყნიურ სიყვარულზე გალობა!

ვეფხისტყაოსანს ამ მხრივ, ნეოპლატონიზმიან არავითარი კავშირი არა აქვს.

(დაწერილებით ამის შესახებ, იხილეთ ჩემი ნარკვევი: «ვეფხისტყაოსანის სიყვარული»).

XVI. ვეფხისტყაოსანის სილამაზის ცოცხალი ნიმუში

ვეფხისტყაოსანში დახატული სილამაზე არის ქართული სილამაზე, ხალასი ქართული.

ქართული გემოვნება სილამაზისა და ქართული გემო შევენებისა არის დასურათებული ვეფხისტყაოსანში, და ეს ხატი ქართული სილამაზისა არ არის მარტო წარმოდგენითი, ფიქრათი გამოსახულება, არ არის ოცნებითი დასახვა და ნატრიონი. ეს სილამაზითი ჩვენება და შევენებითი გამოჩვენება, რომელს ვეფხისტყაოსანი გვაძლევს, არის სინამდვილე, მხატვრულად გადმოღებული ქართული სინამდვილე — დან, რომელს ჩვენ მე-17 და მე-18 საუკუნეშიც და დღესაც ვხედავთ.

ბატონიშვილი ვახუშტი (1696 — 1772), როცა იგი თავის საქართველოს გეოგრაფიაში ქართულ ტომებს გვისურათებს, ქართლის შესახებ ამბობს —

«ხოლო ანაგებით არიან კაცნი და ქალნი შეენიერნი, ჰაეროვანნი, შავ - თვალ - წარბ - თმოსანნი, თეთრ - ყირმიზ (ყირმიზი — წითელი), იშვიათ შავგრემან და მოყვითან, იშვი(ა)თ თვალ - ქრელ და გრემანი და მწითურ ანუ თეთრ. ქალთა თმა გარდაშვებული და დაწნული, ხოლო კაცთა ყურთა ზედა მოკვეცილნი. წერწებნი, უმეტეს ქალნი. იშვი(ა)თ სქელნი, მხნენი, მუშაკნი, ჭირთა შინა კაღნაიჯნი, მკვირცხლნი, მსწრაფლნი...»¹⁸⁷.

კახეთისათვის — «ხოლო კაცნი და ქალნი შეენიერნი, ჰაეროვანნი...»¹⁸⁷. გვერდი 131.

მესხეთისათვის — «ხოლო კაცნი და ქალნი არიან მზგავსნი ქართულთასი (ქართლებოსა), არამედ უმეტეს ნელაად და ენა - ტკბილ მოუბარნი, ახოვანნი, მხნენი, შემპართებლნი (გამბედავნი, ვაჟკაცი), შეენიერნი...» (იქვე, გვერდი 205).

იმერეთისათვის — «ხოლო კაცნი და ქალნი, ვითარცა ესთქვით, ეგრეცა იუწყე, განა უშვენიერესადცა და უჰაეროვნესადცა, ვინაიდან გლხეთაცა შეილნი მიგვანნი წარჩინებულთა შეილთა...» (იქვე, გვერდი 259).

ასე ახასიათებს ქართულ სილამაზეს ბატონაშვილი ვახუშტი.

პოლანდელი მოგზაური ეან სტრუის, მეჩვიდმეტე საუკუნეში, ქართველ დედაკაცთ გადაჭარბებითაც აქებს და ხოტბა - დიდებას უგალობს მათ (იხილეთ გ. მერცხაშვილი). 188.

ცნობილი გერმანელი მეცნიერი გოტტფრედ მიკსტახერი ქართველ მამაკაცთა სილამაზეს უფრო მალა აყენებს ვიდრე ქართველ დედაკაცთა; "გი განსაკუთრებით მამაკაცთა ტანთ აქებს, რომელთა მსგავსი სხევაგან არსად მოიპოვებიან; თვით: ძუ-შა, გლეხი, თავადი თავისი თავდაქერით, მოძრაობით და ქცევით, ყველა არისტოკრატი არისო. 188.

როგორც ეხედავთ, ვეფხისტყაოსანის ადაპაციას სილამაზე არ არის მოგონილი - შეთხზული; იგი ქართული და ვეფხისტყაოსანში დახატულია ქართული შენებებითი გემოვნების გრძობა, ბუნებრივად მოცემული მაღალი რასიული გემო, გამოშუშებული ქართული რასიული სილამაზის ნიადაგზე.

და ამიტომ იყო და არის ევროპიელი მოგზაური, არა ერთი და ორი, აღტაცებული და გატაცებული ქართველი ადამიანის სილამაზით, ფრანგი და იტალიელიც, გერმანელი და ინგლისელიც, ესპანელი და ამერიკელიც, პოლონელი და რუსიც. ამიტომაც თითქმის ყველა ევროპიული ენის ენციკლოპედიაში ქართველი ერი რომ დახასიათებულია ვითარცა ერთი ულამაზესი ერი მთელს მსოფლიოში...

ქართული სილამაზე თავიდანვე ისე განთქმული და სასურველი იყო, რომ იგი ქართველი ერისათვის ეროვნული უბედურების ერთ მიზეზადაც გარდაიქცა: — ქართული სილამაზე გასაზიდი საგანი გახდა, და ძვირფასი ხარკი, რომელსა ქართველი ხალხი მტერს აძლევდა. ამ საშინელმა მოვლენამ ხელი შეუწყო ქართველი ერის სისხლისაგან დაცლას, თავი რომ დავანებოთ განუწყვეტელ ომებსა და ზრძობებს, რომლებიც გარედან და შიგნით ხდებოდნენ.

ჯერ კიდევ უძველესი ცნობით, რომელს პეროდოტე გვიმოწმებს, — კოლხიდასა და მისი ზეობილი ქვეყნების მცხოვრებნი თითო ხუთწლედში ას (100) ასულსა და ას ვაჟს სპარსეთს უგზავნიდნენ და ეს გრძელდება დღემდე (პეროდოტე — 500 — 424 წ. ქრისტეს წინ).

სტრაბონმაც, რომლის დედა ქანი ანუ ლაზი იყო, აღნიშნა ქართული სილამაზე; სხვათა შორის, იგი ამბობს: ხალხი ალბანეთში, იბერიის შემდეგ, აგრეთვე განირჩევა სილამაზითა და დიდი მოყვანილობითაო (სტრაბონ ანუ სტრაბონ — 66 წ. ქრისტეა წინ და 24 წ. ქრისტეს შემდეგ). 189.

მიხედავთ ფსელოსი, ბერძენი ფილოსოფოსი, მე-თერთმეტე საუკუნეში, განსაკუთრებით აღნიშნავს

არა - ჩვეულებრივ სილამაზესა და მოყვანილობას ქართველ მოლაშქრეთა, და მათ მხედრულ სულს აქებს. 190.

ცნობილი მოგზაურის, მარკოს პოლოს (1254 — 1323) თქმით, ქართველები არიან «ძალიან ლამაზი, საუკეთესო მოისარნი და უმხნესნი მეომარნი».

ერთი საუკუნის შემდეგ, რუი გონზალეზ დე კლავიო ამბობს: ქართველები არიან «შვენიერი ზაპა ადამიანთა»-ო.

იოსაფატ ბარბარო, ვენეციელი ელჩი, რომელიც საქართველოში 1471 — 74 წწ. იმყოფებოდა, ამბობს: ქართველნი მამაკაცი «არაინ შვენიერი და დიდნი»-ო. 144. გვერდი 340.

ქართული სილამაზე იმდენად განთქმული იყო, საქართველოს დამპყრობელნი შემდეგაც ქართველ მეთეთაგან ხარკად ქართველ ასულთა და ეიყუპს მოითხოვდნენ ხოლმე, თვით მეთურამეტე საუკუნის შუამდე, რასაც ბატონიშვილი ვახუშტიც ვკვადსტურებს —

ლევან, კახეთის მეფემ 1518 წელს «წარაელანა ძე თვისი იესე წინაშე ყვენიას ძღვენითა და ტყეითა ქალ - ყრმითა და აუწყა თვისი არა რისა შეტოდება»-ო. 191.

«ამან ალექსანდრემ (კახეთის მეფემ, 1574 წ.), წარუვლინა შაჰ ისმაილს შირვანს ძე თვისი დიმიტრი ძღვენითა დიდითა და ტყეითა ქალ - ყრმითა და უმცნო მორჩილება». (იქვე, გვერდი 159).

«არამედ კვლავ შესძინა როსტომ (1654 — 1658) რამეთუ სვიმონ მოყიდულ ტყვეთა წარუდგინა ყენსა (სპარსეთში). ხოლო ესე (როსტომ) გამოაყვანდა მთავართა და აზნაურთა შვილთა ეყუთა და ქალთა და წარუგზავნიდა» (იქვე, გვერდი 74).

და როცა შაჰ ნადირმა ქართლს გამგეს, გივი ამილახვარს, 1744 წელს, მოსთხოვა ქერიენი ქალნი, ქალწულნი და ეყენი სამას - სამასნი, შაჰნი უკვე ქართლში დიდი აჯანყება მოხდა. (იქვე, გვ. 143).

ფრანგი მოგზაური შვეალიე შარდენ გვიდასტურებს ამ მოვლენა: იგი 1671 წელ სწერდა —

«აღმოსავლეთ საქართველოს ხარკად აწვა ეძლია სპარსეთისათვის თავისი საუკეთესო ნაწარმოები — «შესანიშნავი ღვინო, საამური ხილი, ულამაზეაი პირნი ორივე სქესისა. იგი (საქართველო) იძულეული იყო, ყველა ამ ჩამოთვლილიდან, რაც შეიძლება მეტი გაეგზავნა»-ო. 192.

გერმანელი მოგზაური, ენგელბერტ კაემპფერი, რომელიც 1684 — 1685 წ. სპარსეთის სასახლეში იმყოფებოდა, ამბობს —

«შაჰი თათვისი წინცეთილი ჯამუშების შეწყობით ყველგან ეძებს ულამაზეს ქართველ, სომებს და სპარსული მოდგმის ქალებს, რათა შემდეგ ისინი გა-

ხაღონ ჰარამხანაში თავის ხარკად-ო. ეს ძეგლი და შექმნა ხდებოდა ან მოსყიდვით, ან ძალით, ზოტაცებით, ან მოპარვით. 192.

განსაკუთრებით ბევრი ქართული სისხლი შეერია სპარსულ არისტოკრატის, და ამის შესახებ სომეხი პროფესორი პატკანოვი ამბობს —

«შაჰ აბაზ პირველის შემდეგ... მათი (ქართველები) რიცხვი, ჩვენ ვგულისხმობთ, რასაკვირველია, ქართველ ქალებსაც, შაჰისა და დიდებულთა პარტნიორებში ისე დიდი იყო, რომ მათ (ქართველებმა) მწიგნულოვანი გავლენა იქონიეს სპარსულ მალაქურეთა რასიულ თვისებებზე»-ო. 194.

ფრანგი პიკო-უ ამბობს —

ქართული სისხლი სპარსულში შესაქმნევია, განსაკუთრებით, ჩრდილოეთ სპარსეთში. სპარსელები, და წინა აზიის სხვა ხალხები ქართული ტიპის შეუდარებელ სილამაზეს აღიარებენ-ო. 195.

არქანჯელო ლამბერტი (მე-17 საუკუნეში), ქებას ასხამს ქართულ სილამაზეს, უფრო დედაკაცთა სილამაზეს, და განსაკუთრებით პირის თეთრ ფერს აღნიშნავს, მას მოსწონს ქართველის გარეგნობა, შევნიერი სისხლი და სხვა.

პიეტრო დელლა ვალე 1745 წ. მოგვითხრობს — სპარსეთის შაჰის სასახლე საესე იყო ქართველი ქალებით და მათ დიდი გავლენა ჰქონდათ იქ, თავისი სილამაზისა და მორალური ძალის შედეგად. ქართველი ქალები არიან კეკელუცნი, ზრდალნი, პატრისკემნი. ისინი არიან ულამაზესი არსებანი მთელს აზიაში (ლე პლაზე ბელ კრეატაჟურ დე ტუტლ'ანი) და სპარსული სილამაზე მათ ვერ შეედავებო. ქართველი ქალები, მისი თქმით, იყვნენ ქალიან მალაღი, შავი თმითა, ლამაზი სასიამოვნო თვალებით; მათი კანის ფერი იყო თეთრი და წითელ (ლე ტენ ბლან, ვერმეაღ). 196.

იოსებ დელაპორტ 1768 წ. სწერდა —

საქართველო ის ქვეყანაა, სადაც ცხოვრობენ სამომოვნებითა და მცირე ულუფით... აქაურ ქალებზე შევნიერი არა არის - რა. განუცვიფრებელად ვერ უცქერით მათ. ამ ქვეყანას შეიძლება ვუწოდოთ: შევნიერების სამკვიდრებელი. აქ ისევე იშვიათად შეხვდებით ულამაზო ქალს, ვით სხვაგან ლამაზს... ეს შევნიერი ლამაზი ქალები თითქო იმიტომ გაჩენილან, რომ შეიყვარონ და შეაყვარონ თავისი თავი-ო.

შარდენი, რომელიც საქართველოს ეწვია მე - 17 საუკუნეში, გავლით სპარსეთისაკენ, და ქართველებით, ცოტა არ იყოს, უკმაყოფილო დარჩა, რადგან მას მისი საქონელი უბაჟოდ არ გააზიდვინეს, ქართულ სილამაზეს აღტაცებით აქებს და ამბობს —

გასაგიებელია ქართული ტიპის სილამაზე... თი-

თოულ სპარსელ დიდ კაცს ცოლად ჰყავს ქართველი ქალი და შაჰთა დედები ქართველები იყენებო. ქართველთა ტომი არის ულამაზესი აღმოსავლეთში, და შემიძლია კიდევ ვთქვა, მთელს მსოფლიოში. მე არ მინახავს ამ ქვეყანაში არც ერთი მახანჯი სახე, არც ერთი სქესის შორის, მაგრამ ვიხილე კი ანგელოსთა სახენი. ბუნებამ ამ ქალთა უმრავლესობა დააჯილდოვა მიმზიდველობით (მომზიბლველობით), რომელს ვერსად სხვაგან ვერ ნახავთ. შეუძლებელია: ისინი იხილოთ და არ შეგიყვარდეთ; ქართველ ქალთა სახის მიმზიდველობას, მათ შევნიერი ტანადობას ვერ დახატავს ადამიანი»-ო. 197.

მეთერამეტე საუკუნეში, ფათერაქთა მადიებელი სომეხი (ინგლისელი), ოსებ ემინ თავის თავგადასავალში ეხება იმერეთის მეფე სოლომონთან შეხვედრას და ამბობს —

მას თან მოჰყვა სამასი აზნაური, ყველა 25 - 26 წლისა. ასე ბევრი შევნიერად მოხდენილი ტანი არასოდეს არ მინახავს, თუ არ ჩავთვლი ინგლისის ოქსფორდის სამეფო მცველ გუნდს-ო. 198. გერდი 206.

იმპერატორი ნაპოლეონის ელჩი ჟობერ, რომელი იყო სპარსეთში 1806 წელს, ამბობს —

მეინც არსებობენ სპარსეთში წარჩინებულნი (უპირატესობის მქონე) არსებანი, რომელნიც თუბცა უცხო წარმოშობისა არიან, პოულობენ მნიშვნელოვან გავლენას სახელმწიფო საქმეებზე; სახელდობრ, ახალგაზრდა ქალები, რომელნიც მოჰყავთ სა-ქართველოდან, ჩერქეზეთიდან და სამეგრელოდან. და ვინაიდან ისინი უფრო ლამაზნი არიან, ვიდრე სპარსელნი ქალები, ამიტომ ისინი უფრო ფიცხელ სიყვარულს იწვევენ, და მათ ეძებენ, რათგან მათთან კავშირით ლამაზ ბავშვთა ყოლას იმედოვნებუ-ო. 199.

გობინო, რომელმაც რასიულ მოძღვრებას საფუძველი ჩაუყარა, ქართულ სილამაზეს დიდად აქებს და ამბობს —

საქართველოს დასავლეთში, რიონის ხეობაში, ქართული ტიპი ულამაზესია მთელს მსოფლიოში-ო. 200.

ბიზანტიის ისტორიკოსები ჩვენი დროისა (ფალს მერაიერ, მილლერ, უსპენსკი და სხვანიც) აღნიშნავენ, აგრეთვე ქართული ტიპის სილამაზეს და ამბობენ: ბიზანტიის კეისარნი და თავადნი ხშირად რთავდნენ ლამაზ ქართველ ქალებს-ო. 201.

გერმანელი მწერალი ბოედენშტაედტი (1819 — 1892) თავის ნაწარმოებში არა ერთხელ ქართული სილამაზის მაქებათა. 201.

გერმანელი მეცნიერი შვაიგერ - ლერჰენფელდ ქართულ ტიპს პოეტურად აღწერს: იგი არის ლამაზი, სიცოცხლით სავსე ქართველი, და კიდევ უფრო

ლამაზა და სიციცხლით აღსავსე ჭარბველი ქალიო.

ცნობილი მოგზაური გაგმა, მეცხრამეტე საუკუნის დამდეგს საქართველოში რომ იმყოფებოდა, ჭარბველ ქალთა შესახებ ამბობს -- ჭარბველნი დედაკაცნი არ ჩამოურჩებდნენ იმ ჰალალ (დიდ) სახელს, რომელიც მათ სილამაზეს აქვს: ეს სწორზომიერება სახის ხაზთა, რომლის ნიმუში ჩვენ ბერძნულმა ლამაზმა ქანდაკებებმა დაგვიტოვა, ტანის აღნაგობა, სითეთრე კანისა, სიტკობა გამოხედვისა, -- ყველაფერი ეს ჭარბველ დედაკაცთ ახასიათებს-ო. ²⁰².

ინგლისელი სერ რობერტ კერ პორტერ (1817 -- 20 წ.) სწერს --

«ქართველ დედაკაცთა სილამაზე ყოველი დავის გარეშეა. მათ აქვთ ლამაზი, შავი დიდი თვალები, ძალიან სწორი და ზომიერი მოყვანილობა, და სახეზე საამო ნაზი გამომეტყველება»-ო. ²⁰³.

გერმანელ ნაინერს მოაქვს ქართული სილამაზის დახასიათება შორის ვაგნერისა --

იმერეთის მცხოვრებლებში ხედავთ ქართულ ძირითად ტიპს, მაგრამ მათი ნაკვთები უფრო მეტყველი და კეთილშობილურია. იმერეთის მამაკაცთა და დედაკაცთა სილამაზე საქვეყნოდ განთქმულია. მათ აქვთ ზედმიწევნით ზომიერი, სწორი, მოხდენილი, კეთილშობილური მოყვანილობანი, რომელნიც ბუნებრივ ნიმუშს წარმოადგენენ, და ისე გამოიყურებიან, თითქო იმ ბერძენ ხელოვანთ შექმნათ, რომელთაც ანტონიუსის და აპოლო გამოაქანდაკეს. პირის სახის სილამაზის მიხედვით, მსოფლიოში, ცოტა ქვეყანას შეუძლია შეეძაროს ძველი კოლხეთის მცხოვრებთ: იმერეთის, სამეგრელოს, გურჯისტისა და აჭარის ხალხს-ო. ²⁰⁴.

გერმანელი დიდი მეცნიერი, პროფესორი კობი ამბობს (1842 წ.) --

კავკასიაში მოგზაურობის დროს ხშირად გაკვირვებულვარ ქართველი ქალების სილამაზათ-ო. ²⁰⁵.

გერმანელი მეცნიერი ჰერმან აბის სწერს (1896 წელს) --

ქართველნი დედაკაცნი ლამაზნი არიან. მათი შევნიერი, უმთავრესად თაფლის ფერი ან შავი თვალები, მათი კეთილშობილური და სწორ ზომიერი ნაკვთი და ნაზი კანის ფერი მათ ეროვნულ თავდაბურობას წარმოადგენს-ო. ²⁰⁶.

ამერიკელი ჰანრი ნორმან ქართველ ქალებს აქებს და აღიბებს --

მოყვანილობა იდეალურად გამოსახული... დიდი მშვიდი თვალები, საესე სახე, თეთრი კანი, შავი თმა... ²⁰⁷.

ამერიკელი უილიამ კურტის (1911 წ.) ამბობს -- საქართველოს მამაკაცთ და დედაკაცთ რაც უფრო უცქერით, მით უფრო შეგიძლიათ დააფასოთ

ის სახელი, რომელიც მათ დაჰკვიდრებული აქვთ მთელი მსოფლიოს შევნიერთა შორის. მთელს მსოფლიოს ვერც ერთ ქალაქში ვერ შეხედვებით აძენს საუკეთესო მოყვანილობისა და შესახედაობის მამაკაცთ, როგორც თბილისის ქუჩებში; და ქალეზსაც აქვთ ყველა ეს სილამაზე, რომლის გამო მათ აქებენ-ო. ²⁰⁸.

შეიძლებოდა კიდევ «მაქებართა» სიის გაგრძელება, ოღონდ ესეც კმარა, ხოლო აღვნიშნავ კიდევ ორი მკვლევარის აზრს ქართული სილამაზის შესახებ.

ცნობილი გერმანელი მეცნიერი, მკვლევარი, ო. გ. ვეზენდონკი, საქართველოში იმყოფებოდა 1925 წელს, თუ ცოტა უფრო ადრე, ყოველ შემთხვევაში, მან 1926 წელს დაბეჭდა წიგნი სათაურით: «აუს დერ კაუკაზიშენ ველტ»; იგი საქართველოს რატორიას და მის კულტურას ზედმიწევნით იცნობს, იცნობს ქართველ ხალხს, და სწორედ ამიტომ არის უფრო მნიშვნელოვანი მისი შეხედულება ქართული ერის შესახებ. იგი სწერს --

«ქართველთა სილამაზე ანდაზად არის გადაქცეული.

ქვეყნის მნახენი სილამაზის აღწერაში ჭანაობენ ყოველ შემთხვევაში აღფრთოვანებულ ქებადიდებასა და ძლიერ გულგამტებ გამოთქმებს შორის. ოღონდ ადამიანური შევნიების შესახები იდეალა ძალიან სხვა და სხვა გვარია; ამას გარდა მნიშვნელობა აქვს პირადულ განწყობილებასაც; ცოტა თუ ბევრად სასიამოვნო განცდანი, რომელთაც თვითუული რომელიმე ქვეყანაში ღებულობს, ხშირად გადამწყვეტნი არიან მისი მიდგომიანათვის. ქართველთა შორის არავითარ შემთხვევაში ღბილ სილამაზეს არ უნდა მოველოდეთ, როგორც ამას მე18 საუკუნის სპარსული მხატვრობა წარმოადგენს, სადაც ნაღვლიან - თვალებიან, კულულებიან ყმაწვილთ ეპოულობთ. არა, ქართველი სავსებით კაცურა... მათი სილამაზისათვის ქართველები სრული უფლებით არიან განთქმული. ²⁰⁹.

«გურულები, იმერლები და მეგრელები მართლაც არიან გამორჩეული ლამაზი მოდგმისა... მახვილი ცხვირი, რომელი ყველა კუთხის ქართველთ ახასიათებს, მათ სწორ ხაზებს ენერგიულ გამომეტყველებას ანიჭებს. მაგრამ ნამდვილი სასწაულია, როგორც ვთქვით, მათი წელი (ტალია): მას, შეიძლება ბევრმა ქართველმა ქალმა შურათ უცქიროს. ტანს ეთანხმება -- დგომა; შეეფერება -- სიარული (მიხეა - მოხერა)... (იქვე, გვერდი 79, 80)...

«როდესაც მეჩვიდმეტე საუკუნეში, სწორედ საქართველო შინაური ჩხუბით იწვევებოდა და საგარეო მტერთა შემოსევას განიცდიდა, უცხო მოგზა-

ურნი იქ ნახულობდნენ, რომ უბრალო ყმა კეთილ-
შობილს უდრიდა; ეს დახასიათება დღესაც სიპარ-
თლეს გამოხატავს... იქვე, გვ. 80).

«ძველს ქრონიკაში ნათქვამი მტკიცება მართა-
ლია, რომ იმერეთში გლეხებისა და კეთილშობილ-
თა ერთი მეორესაგან გარჩევა შეუძლებელია, ეიწა-
იდან თვითული ისე გამოიყურება ვით დიდი ბა-
ტონი. (იქვე, გვერდი 196).

«ქართველთა ქვეყანისა და მისი მოსახლეობის
არც ერთი აღწერა ნახევრადაც სრული არ იქნე-
ბოდა, თუ იგი საქართველოს ნაყოფთა გვირგვინს
— ქართველს დედაკაცთ არ მოიხსენიებდა. მათი
სილამაზის შესახებ ბევრი უზღაპრიათ და უყბედო-
ათ. ისტორია გეაცნობებს, რომ დიდად ძლიერ შაჰს
სულეიმანს ერთი ქართველი თავადის ასული უსა-
თუოდ ცოლად უნდოდა მხოლოდ იმიტომ, რომ მას
როგორც ქართველს: შევნიერების მწერვალად
სთვლიდა. მაშინ ქართლის სამეფოს უზენაეს ბა-
ტონს, მეფეთა მეფეს ნათხოვნა ქალმა განზრახ
იმაზე მიუთითა, რომ დიდი ხანია უკვე პარემის
წლოვანებან გადაცილებული და ხანდაზმული ე-
რო. მხოლოდ ამ გარემოებამ ათქმევინა შაჰს უარა,
თორემ დასაწყისში იგი სამხედრო ძალითაც კი იმუ-
ქრებოდა.

«მცნება სილამაზის შესახებ ცვალებადია და სხვა
და სხვა ნაირი დროთა და ხალხთა მიხედვით. აპო-
ტომ განაჩენი ქართველ ქალთა სილამაზის შესახებ
აგრეთვე ერთნაირად არ იქნება გამოტანილი. აღ-
ფრთვანებულ ხობტა-გალობასთან ერთად გულ-
გატეხილობისა და გამოფხიზლების ხმასაც გააგო-
ნებთ. მაგრამ ეს ხმა უსამართლოა, ეიწაიდან იგი
წუთიერი განწყობილებიდანაა წარმოშობილი და
ხშირად ქართველ ქალთა საზოგადოების არ - ცოდ-
ნაზეა დამყარებული. ამასთანავე ქალაქებში წმიდა
ქართული ელემენტი მრავალ რიცხოვანად არაა წა-
რმოდგენილი, რომ მან ქუჩათა სურათზე პირდაპირ
იბატონოს. გამოუცდელ და ზერელე სტუმარს ქვეყა-
ნისა არ ძალ უძს ერთმანეთისაგან ცალკეული ხალ-
ხური ტიპები გაარჩიოს და ასე წარმოსდგება ძა-
ლიან იოლად აღმაცერი განაჩენი. მაგრამ გაბრძნ-
დით სოფელში. სწორედ იქ არაან, განსაკუთრებით
ახალგაზრდობაში, ნერვიული, თანშეზომილი გა-
მოსახულებანი ტანთა, რომელთა შეხედვა ნამდ-
ვილ სიხარულს იწვევს. ქალები სოფელში ადრე
ქცნებიან, რასაკვირველია, ეიწაიდან ხალხურ წრე-
ებში მათ ზურგზეა შინაური სამუშაოს მთავარი
ტვირთი. ბავშვთა მდიდრული წყალობა ჩვეულებ-
რივია; უამისოდ ქართული მოდგმა დიდი ხანია მი-
წის პირიდან აღვილ იქნებოდა და უკვალოდ გა-
ჰქრებოდა. უფრო თანაშეზომილი (სიმეტრული)

და უფრო გაწყობილის შთაბეჭდილების მომცემნი
არიან დასავლეთ საქართველოს ქალები. მათ შო-
რის მოიპოვებიან სახენი, რომელნი ნამდვილად პა-
რემის სილამაზეს შეეფერებიან, ვით ეს ევროპი-
ელებს თავის ფანტაზიაში სურთ წარმოიღვიონ
ხოლმე. დიდი შავი თვალები და შავი თმა ჩვეულებ-
რივია; პირის სახის ხაზნი გვიჩვენებენ სრულოვან
განვითარებას, რომელიც აგრეთვე იტალიასა და
საბერძნეთს გვაგონებს, და წინააღმდეგ, აღმოსა-
ვლეთში მოგზაურთათვის ცნობილ ლევანტანურ ქა-
ლურ ტიპთან კი არაერთი საერთო არა აქვთ. გან-
საკუთრებით მიმზიდველობა ქართველ ქალთა გა-
მოწყვეულია არა მარტო მისი ტანით. ქართველ
ქალს თავის გარეგან სილამაზესთან გაერთიანებუ-
ლი აქვს მაღალი სულიერი თვისებანი (გვ. 111).

«სომხნი და ქალური შეგნება, გაერთიანებული
ერთმანეთთან, ერთი საბედნიერო შეთხზეთაა ქარ-
თველ ქალში, რომელიც, როგორც მთელი ქართვე-
ლი ხალხი ყველა თავისი ფენებით, დაბადებული
არისტოკრატი არის...». 200. გვერდი 114.

მეტად საინტერესოა გერმანელი მკვლევარი, რ.
ლეონპარდის მტკიცება: თითქო ძველი საბერძნე-
თის ხელოვნება, კერძოდ, ქანდაკება და სილამაზის
იდეალი ქართული ტიპის სილამაზესთან იყო და-
კავშირებული; იგი ამბობს: ძველ ბერძნულ ქანდა-
კებათა ცნობილი პროფილები მოიპოვებიან მხო-
ლოდ კავკასიის ერთ ნაწილში, ქუთაისსა და თბი-
ლისს შორისო. «როცა მე იქ თვითონ ვნახე ეს ტი-
პები, მოგზაურობის დროს, ჩემთვის აშკარა გახდა
(ძველ) ბერძენ მოქანდაკეთა მასთან კავშირი. აქა-
ური მცხოვრებნი ძველდაც განსაკუთრებულ ლა-
მაზად ითვლებოდნენ...». 210.

და დაბოლოს ცნობა 1953 წლისა. არგენტინელი
მწერალი ქალი სულმა ნაუნეს, რომელი საქართვე-
ლოში ამ წელს იმყოფებოდა, ბუენოს აირესის გა-
ზეთში «ელ მუნდო» სწერდა ქართული ნადიშის შე-
სახებ და იგი ქართულ სილამაზესაც ეხებოდა --

ახლანან დაებრუნდი საქართველოდან... სადაც
როგორც ძველნი ნაწერნი ამბობენ: ცხოვრობს მსო-
ფლიოში ყველაზე უფრო ლამაზი რასა, — ქტკო-
ცება, რომლის შესახებ ახლაც არ არსებობს საბუთო
მის უარსაყოფელად... 211.

როგორც ვხედავთ, ქართული სილამაზის ეს აღ-
წერანი არაფრით არ განსხვავდებიან იმ აღწერათა-
გან, რომელთაც ჩვენ ვეფხისტყაოსანში გავიცანით.
და ეს კიდევ ადასტურებს იმ დასკვნას, რომ ვეფხის
ტყაოსანის სილამაზე ქართულია, ქართულია იმ ხა-
ნიდან, როცა იწერებოდა ეს შესანიშნავი და შეუ-
ღარებელი რომანი — ვეფხისტყაოსანი — ქართვე-

ლი ერის სიბრძნისა და გემოვნების შეენიერი ნაყოფი.

ვეფხისტყაოსანის სილამაზე — ქართული სილამაზეა; ამ პოემაში დახატული სილამაზის ნიმუში ქართული სილამაზეა.

უკმოხილვა

განვიკითხე და განვიხილე ვეფხისტყაოსანი ფერთამეტყველების მიხედვით.

არ ეიცო, ეს განკითხვა შეეასრულე თუ არა ვეფხისტყაოსანისათვის სათანადო ღირსებით, გარნა ჩემი გონებისა და ცოდნის მცირე ძალები არ დამაზოგავს, არც შრომა დამიკლია ვეფხისტყაოსანის სიპაღლეს ავწვდომოდი, მის სიღრმეს ჩავწვდომოდი, გამეგო მისი სული, გამეგებინებინა იგი მკათხეელისათვის და ნათელ მეყო ეტ.-ს ფერთამეტყველება.



თუ უკან მივბრუნდებით, უკმოდ პირს ვიზამთ, და ნახულს სიტყვით გავიმეორებთ, ჩვენი წარმოდგენის წინაშე ქართული კულტურის შესანაშნავი ხატი დაგვეხატება.

ვეფხისტყაოსანში ფერნი გამოყენებულნი არიან განწარახული პოეტური მიზნით და თითოეული ფერი თავისი საკუთარი მეტყველებითაა ახმაურებული, და თავისი კერძო სიმბოლიზმით გამხილებული და ნაჩვენები.

თვით სიტყვა ფერი, ერთი მხრივ, სხეულებრივ სულიერ სიმშვიდე - კმაყოფილებას და სისაღე - სიმართლეს გამოხატავს; მეორე მხრივ: ბედნიერებას — სიცოცხლის ღმინს გვიჩვენებს. ეს უსათუოდ დიდად მნიშვნელოვანია, რადგან უფერული, ფერ - ნაკლები არა - სისაღის, არა - სიმართლის, არა - სილამაზის გამოხატულება არის, — ხორციელი და სულიერი თანასწორობის დარღვევაა, სნეულებისა და უბედურების მაჩვენებელია.

ამაინარად, ფერი ვეფხისტყაოსანში განუყენებულად, არის სიცოცხლის სიმართლისა და სილამაზის ჩვენება.

ფერი ვეფხისტყაოსანში სიცოცხლისა და სილამაზის ყოველმხრივი და სრული თანაშენამება და შეთანხმებაა, საცხებიითი თანაშეწყობაა.

ფერთა სიმბოლიზმი ვეფხისტყაოსანში საერთოდ მისი თანამედროვე მსოფლიო კულტურის ხურათითაა გადმოცემული და ფერთა სიმბოლიზმი მაშინდელი კულტურის სახეს გვიჩვენებს.

ვეფხისტყაოსანის ფერთა სიმბოლიზმი შუა საუკუნეთა ფერთა ზოგადი სიმბოლიზმისაგან არ განს-

ხვადება. როგორც აღმოჩნდა, ისე დახვედრი სიმბოლიზმი, ისე ქართული კულტურის ერთ კალამტში თავსდება, ოღონდ არ მეგულება არც ერთი ისეთი სხვა ნაწარმოები, რომელშიც ფერთა სიმბოლიზმი ასეთი მთლიანი სურათით იყოს ნაჩვენები.

ვეფხისტყაოსანი ფერთა გალობაა და ფერთა შექებაა, რომელს ვერც ერთი გალობა ფერზე ვერ შეედარება.



თუ ცალკე ფერთ თვალს გადავავლებთ, ვეფხისტყაოსანის და ევროპული და აგრეთვე ონა აზიურის ფერთა შეგრძობასა და ღირებულებათა საერთო ნათესავობას ვიხილავთ.

ფერნი მსთებიური და მსიქოლოგიური თვალსაზრისით —

თეთრი არის ნათელის, სიხარულის, სულიერი სიმშვიდის, ბედნიერების ფერი.

წითელი არის სიხარულის, ღმინის ფერი.

წითელი არის ხელისუფლების, ბატონობისა და მეფობის ფერი.

წითელი არის სისხლის, ვაების, ომის, სიკვდილის ფერი.

შავი არის ვარამის, ჭირის, გლოვის, უბედურების, სიკვდილის ფერი.

შავი არის ულამაზობის ფერი.

მწითელი (ხალასი) არის დიდებულების, მეფური ფერი.

მწითელი (ცული) არის სევდის, მწუხარების, სნეულობის, გულწასულობის ფერი.

ლურჯი არის წუხილის, ნაცემობის, გრძნობის დაკარგვისა და გლოვის ფერი.

მწვანე არის იმედის, მუდმივობისა და ეროვნულების ფერი.

თეთრ - წითელი არის სიხარულის, სიყვარულის, დიდებულების, მეფური ფერი.

შავ - თეთრი არის, ჭირის შემდეგ, სიხარულის ფერი.

შავ - მწვანე არის გლოვისა და მანთან ერთად იმედის, სიყვარულზე სევდის ფერი.

წითელ - შავი არის ომის და სიკვდილის ფერი

წითელ - მწითელი არის სიხარულის, ბედნიერების, მეფური ფერი.

წითელ - მწვანე არის სიყვარულის, ერთგულება - სიმტკიცისა და მუდმივობის ფერი.

მწითელი - შავი არის სევდისა, წუხილისა, მაგრამ ამასთანავე დიდებულების, მეფური ფერი.

მწითელი - მწვანე სევდისა და ვაების ფერია.

ლურჯ - მწვანე არის სევდის, მწუხარების, ერთგულების, იმედის ფერი.

ფერნი ასტროლოგიური საზრისით: —

მემ არის ნათელი, ოქროს ფერი — სიცოცხლისა და სიხარულის, სილამაზის ფერი.

მუშალი შავი — უბედურების ფერია.

მარინი სისხლის ფერი — უბედურების ფერია.

მთვარე ახალი, შვიდი დღის, სავსე -- სილამაზის ფერია.

მთვარე მკლე - ყვითელი — სევდის, სნეულების ფერია.

რასიული და წოდებრივი მიდგომით —

თეთრ - წითელ - შავი არისტოკრატიული სილამაზის ფერია, მაღალ წრეთა; თეთრი რასისა.

შავბრძანანი — არისტოკრატიულზე დაბალი ფერია; ვაჟართა წრისა.

შავი — მღაბალი რასის, მღაბიო ხალხის ფერია.

სოციალ - პოლიტიკური საზრისით —

თეთრი — მეფური ფერია.

წითელი — მეფური ფერია.

ყვითელი — მეფურია.

შავი — დაბალი წოდების ფერია.

სოციალ - ეკონომიური საზრისით —

სოციალ - ეკონომიურ მოვლენას აგვისახავენ ძვირფასი ქსოვილი და მოკაშმულობანი —

ტურფა, კრელი, ფარდაგი, ნოხი, ოქსინო, სტაფრა, ხატაური, შარდი, ლარი, ჯუბა, ყაბაჩა... რომელი მაღალ წრეთ და მდიდრებს ეკუთვნით

ძოწვეული, ჭეჭი, პორფირი, ყარყუმი ხომ მეფეთა და დიდკაცთა სამოსელია.

ბაბუქური სამოსელი — მაღალი წრის პართა, რიტტერთა, კავალერთა სამოსელია, ძვირფასი და ფერადი.

ვაჭრული სამოსელი — მხოლოდ ვაჭრების საკუთრებაა.

მონური სამოსელი — მხოლოდ მონებს აცვიათ.

ხამი — მღაბიორთა სამოსელია, უხეში, მსხვილი ძაფით ნაკეთები.

შავი, ლურჯი, რუხი — უბრალო ხალხის ქვემო ფენათა სამოსელის ფერია.

რელიგიური მოსაზრებით —

შავი — გლოვის ფერია.

ძაძა — გლოვის სამოსელია, შავი.

ფლასი — გლოვის შავი სამოსელია.

ხლა — შავი მანდილია, სამგლოვიარო.

სუდარა — გარდაცვალებულთა შესახვევია, — თეთრი. აგრეთვე ზეწარიც.

მსთებრივი მოსაზრებით —

ვეფხისტყაოსანის ფერთა სიმბოლიზმი ესთეტიური თვალსაზრისით განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს, რადგან აქ ფერთა სიმბოლიზმს დიდი და ფართო გასაქანის ასპარეზი უკავია. ვეფხისტყაოსანის გმირთა სილამაზე დახატულია ფერებით და ამ ფერთა შორის, რასაკვირველია, თეთრი, წითელი და შავი პირველ რიგზეა წარმოდგენილი..

..თეთრი, წითელი და შავი, ერთად შანთხენი — სილამაზის უმაღლესი გამოხატულებაა. და ეს ფერნი სილამაზის დასახატავად მოიხმარებიან.

თვით ფერთა ხმარების გარდა, ვეფხისტყაოსანში გამოყენებული არიან აგრეთვე ციური სხეულნი და მათი ნათელნი, ვარდ - ყვავილნი და თვალნი პათიოსანნი.

თვით ფერთა მეოხებით ვეფხისტყაოსანში ნაჩვენებია —

პირი — თეთრი; ღაწვი — წითელი; თვალი — შავი; ბაგე — წითელი; კბილი — თეთრი; წარბ - წამწამი — შავი; თმა — შავი.

თეთრი, წითელი და ყვითელი გამოხატულნი არიან ვარდ - ყვავილებითა და ძვირფასი ქვებით — პარდი ყველგან არის სილამაზის გამომსახველი.

სოსანი, ია, ნარგისი, შაჰაჩო — სილამაზის დამასურათებელია.

ზაფრანა, სპატი, ნახვა — უშნობის, სისუტის, ფერის დაკარგვის, სიმდაბლის გამოსახება.

ლალი, ბადახში, იაზუნდი, აშიში — ვით წითელი ფერი, ღაწვთა, ბაგეთა, და საერთოდ პირის ხანის ფერთა დახატვისათვისაა ნახმარო.

მარგალიტი და ბროლი — თეთრი, ელვარე, კანისა და კბილთა დასურათებისათვისაა გამოყენებული.

მინა — ფერადობისათვისაა ნახმარო.

გიშმარი, სატი — შავი ფერი — წარბ - წამწამთა და თმათა მკვინვარების გამოხატველია.

მარვა, ამარტა, ლაშვარდი — სილამაზის წახდენის, დაუშნობის, სნეულების მაჩვენებელია.

რასაკვირველია, თვალნი პათიოსანნი სიმდიდრესა, და მასთან გადაბმულობით, ხელისუფლების სიმდიდრის აღმნიშვნელიც არიან.

სურათთა ენის მიხედვით —

ვეფხისტყაოსანის ფერთამეტყველებამ თავის თავად გვიჩვენა სურათთა ენა, როგორც ამგვარ ენას გერმანული კრიტიკა უწოდებს: ბილდერშპრახე.

ვეფხისტყაოსანის სურათოვანი ენა, ანუ სურათთა დახატვა კაშმული სიტყვით, პოეტური ნიქისა და გემოვნების ჩვენებაა, და ამ მხრივ ვეფხისტყაოსანი ჭარბად მდიდარია.

აშხაიროად: ფერთა სიმბოლოში ვეფხისტყაოსანში ფერთა შეცნობის, შეგრძნობის, დაფასების, — ხაერთოდ, ფერთა კულტურის მეტყველია და ეს ფერთა მეტყველება შესანიშნავი სურათოვანი ენითა და მგონსური აღმადრენითაა ნათქვამი, გენიოსური ულამითაა დახატული.

სილამაზის ჩვენებით —

ვეფხისტყაოსანში დახატული სილამაზე არის — ქანდაკებებით გარდმოცემული, ძველი ბერძნული, ანტიური ელზური სილამაზე, საქართველოში ცოცხალი აღამიანით განამდილეული; ვეფხისტყაოსანის სილამაზე არის ნამდილი ქართული სილამაზე, ქართველი ერის ტიპური სილამაზე.

ვეფხისტყაოსანი — სილამაზის ზოტბაა და თაყვანისცემა.

ვეფხისტყაოსანი — სილამაზეზე და სიყვარულზე მუდმივი ვალობაა, რომელი არ გაჰქრება არასოდეს, რამეთუ სილამაზე სიყვარულის საფუძველია, და ვიდრე კაცი იარსებებს, მარად და მარად მოისმის იგი: ყველგან, ყოველ უამს, ყველა ერში, — იგია მსოფლიური, კოსმოსური, და სილამაზის ქებისა და სიყვარულის ვალობის მოსასმენად, არამც თუ ზოლო კაცი, არამედ —

... სმენად მხეცი მოვიდიან ...

... წყლით ქვანიცა გამოსხდიან ...

... ისმენდიან, გაჰკვირდიან ...

მოვიდიან შესამკობლად ქვეყნით ყოვლი სულიერი,

კლდით ნადირნი, წყალშიც თევზნი, ზღვით ნიანგნი, ცით მფრინველნი,

ინდო - არაბ - საბერძნეთით, მაშრიყით და მალრიბელნი,

რუსნი, სპარსნი, მოფრანგენი და მიხრეთით მეგვიპტელნი ...

ესაა ვაღმერთება სილამაზისა და სიყვარულისა — და საქართველოში მათი ვამადმერთებელია: — ვეფხისტყაოსანი ... და თვით ქართველი ერი...

დასასრული წიგნისა

«ვეფხისტყაოსანის ფერთამეტყველება».



მასალათა მათითებელი:

1. Prof. Dr. R. Reitzenstein — Altgriechische Theologie und ihre Quellen. Leipzig, 1927. Seite 19. Bibliothek Wartburg. Vorträge 12 - 24 - 25.

2. O. G. von Wesendonk — Aus der kaukasischen Welt.

Berlin, 1926. S. 250.

3. Dr. Sigfried Nadel — Georgische Gesänge. Berlin, 1933.

4. 5. История Юншова С. С. С. Р. т. 1. стр. 136.

6. Dr. Juris Baltrušaitis — Art summerien, art roman. Paris. Librairie Lerux.

7. John A. Symonds — Dante. Paris, 1891. page 100.

8. Ed. Jannetaz — Diamant et pierres précieuses. Paris, 1881. p. 157.

9. Helmuth von Glasenap — Buddhistische Mysterien. Stuttgart, 1941. S. 113.

10. Пушкин — Пять поэм. Москва, 1946.

11. Prof. Dr. Alfred Jeremias — Handbuch der altorientalischen Geisteskultur. Berlin, 1927. S. 173 — 181.

12. Mengis — Farbe, in Handwörterbuch des deutschen Aberglaubens. Band 2. S. 1150.

13. V. J. von Veldege — Horoskop und Schicksal. Leipzig, 1923. Kap. 2.

14. Das grosse Buch der Nativitätslehre des Vahara Mihira. Hamburg, 1926. S. 33.

15. H. Brugh - Pascha — Aus dem Morgenlande. Leipzig, 1693. Kap. 1.

16. Mengis — Aberglaubenlexikon.

17. Prof. V. Henry — Le Parsisme. Paris, 1905. p. 182.

18. J. Abrahams — Jewish Symbolism. Encyclopaedia of Religion and Ethics. t. 3. p. 144.

19. Walter Reinicke — Einführung in die griechische Plastik. Berlin, 1931. S. 8.

20. Mengis — Farbe, in Aberglaubenlexikon. B. 2.

21. Prof. Dr. W. Wackernagel — Abhandlungen

22. Migne — Dictionnaire d'Esthétique chrétien. Paris, 1856. p. 214.

23. Saint Denys L'Aréopagite — Oeuvres, trad. par Darboy. Paris, 1932. p. 67.

24. Prof. Dr. A. Jeremias — Handbuch der altorientalischen Geisteskultur. Leipzig-Berlin 1927. S. 394.

25. M. Prawdin — Dschingis-Chan und seine Erbe. Stuttgart-Berlin, 1938. S. 209.

26. Handwörterbuch des Islam. Leiden, 1914. S. 755-758.

27. V. E. Osterley — Jewish Budge, Encyclopaedia of Religion and Ethics, edited by J. Hastings. Edinbourg, 1909. t. 2. p. 323..

28. Prof. Dr. W. Wackernagel — Abhandlungen zur deutschen Altertumskunde und Kunstgeschichte. Leipzig, 1872.

29. Moritz Heine — Körperpflege und Kleidung bei der Deutschen. Leipzig, 1903. S. 303.

30. Paul Lacroix — La Chévalerie et le Croisade. Paris, 1887. p. 182.

31. Ludwig Weniger — Feralis exercitus, in Archiv für Religionswissenschaften, Band 9, S. 222.

32. Friedrich von Duhn — Rot und Tot, in Archiv für Religionswissenschaften. B. 9. Leipzig, 1906.

33. Mengis — Die Farbe, in Aberglaubenlexikon. S. 1215.

34. V. Seelmann — Farbentracht, im Jahrbuch des Vereins für niederdeutschen Sprachforschung. Jahrgang 1902. Band 28. Norden und Leipzig, 1902. S. 118.

35. Charms and Amulets, in Encycl. of Religion and Ethics by Hasting. 1908.

36. Goethe — Farbenlehre.

37. ივანე ჯავახიშვილი — საქართველოს ეკონომი-

მიური ისტორია. წიგნი მეორე, გვერდი 489. თბილისი, 1934.

38. Prof. Dr. Ludwig Baur — Die philosophische Werke des Robert Grosseteste. Münster, 1912. S. 76-77.

39. A. Joannis — Couleurs phisyque, dans La Grande Encyclopédie. t. 3. p. 41.

40. S. Horowitz — Ueber den Einfluss des Stoizismus auf die Entwicklung der Philosophie bei den Arabern, in der Zeitschrift der Deutschen Morgenländischen Gesellschaft. B. 57. Leipzig, 1903. S. 181.

41. ივანე ჯავახიშვილი — საქართ. ეკონ. ისტორია. წიგნი მეორე, გვერდი 122.

42. შ. საბინინი — საქართველოს სამოთხე. პეტერბურლი, 1882. გვერდი 426.

43. ფირდაუსი. წ. 1. გვ. 285.

44. ИВЗАМН — Пять Поэм. Москва, 1946. стр. 201.

45. Ka'ba, in Handwörterbuch des Islam. Leiden, 1941.

46. Radjm, in Handw. d. Islam. Leiden, 1941. S. 606.

47. Tracht, im Reallexikon der deutschen Altertümer. Leipzig, 1885. S. 1015.

48. Handwörterbuch des Islam. Leiden, 1941. S. 313.

49. Firdousi, trad. par J. Mohl. Paris 1838. p. 161.

50. ИВЗАМН — Пять Поэм. Москва, 1946. стр. 41.

51. Prof. de Harlez — Manuel de la langue de l'Avesta. Paris, 18828. p. 361.

52. Alexandre Chodzko — Grammaire persane. Paris, 1852.

53. D. S. Margoliouth — Muslim Symbolism, in Encycl. or Religion and Ethics. t. 12. p. 145.

54. Firdousi — Le Livre des Rois, traduit par M. Jules Mohl. Paris, 1838. t. 1. p. 19.

55. Prof. Ludwig Ideler — Untersuchungen über den Ursprung der Sternennamen. Berlin, 1809. S. 316.

Prof. Alfred Jeremias — Handbuch der altorientalischen Geisteskultur. Berlin, 1929.

Betzold - Boll — Sternglaube und Sternbilder im Glauben des Altertums und der Neuzeit. Bonn und Leipzig, 1922.

ზურაბ ავალიშვილი — ვეფხისტაროსანას საკითხები. პარიზი, 1931.

55a. Dr. E. Götzinger — Reallexicon der deutschen Altertümer. Leipzig, 1885. S. 992.

56. Prof. Dr. K. Brockelmann — Geschichte der islamischen Völker und Staaten. Berlin, 1943.

57. Moritz Heyne — Körperpflege und Kleidung bei der Deutschen. Leipzig, 1903. S. 303 — 306.

58. E. Crowley — Dreas, in Encycl. of Rel. V. 5. p. 47-67.

58a. Dr E. Götzinger — Reallexicon der deutschen Altertümer. Leipzig, 1885. S. 627.

59. R. P. Dozy — Dictionnaire détaillé des noms des vêtements chez les Arabes. Amsterdam, 1845. p. 6.

59a. Fr. Malek - Karam — Dictionnaire français - iranien, Téhéran, 1937.

60. ივანე ჯავახიშვილი — საქართველოს ეკონომიური ისტორია. გვერდი 30. ქუთაისი, 1907.

61. ივ. ჯავახიშვილი — საქ. ეკონ. ისტორია, გვ. 39. ქუთაისი, 1907.

62. პოლ. კარბელაშვილი — ქართული საერო და სასულიერო კალოები. გვ. 34. თბილისი, 1898.

63. ძველი საქართველო. თბილისი, 1909. გვერდი 34, 38, 40.

63a. F. Vigouroux — Dictionnaire de la Bible. Paris, 1895. t. 1. p. 1938.

64. François Malek-Karam — Dictionnaire Français-Iranien. Téhéran, 1937. p. 48, 153.

65. შაპ-ნამე-ს ქართული ეერსიები. თბილ. 1934.

66. ი. გრიშაშვილი — ძველი ტფილისის ლიტერატურული ბოქმეა. ტფილისი, 1927. ლექსიკონში სიტყვა «ორხოვა».

67. Harlez — Manuel de Avesta... p. 322.

68. ქართლის ცხოვრება. გვ. 470. თბილისი, 1906.

69. Der Grosse Brockhaus — Atlas.

69a. Encyclopaedia Britannica. London, 1898. V. 29. p. 310.

70. Rescherelle Aine — Grand Dictionnaire de Géographie Universelle Ancienne et Moderne. Paris, 1857. p. 526.

71. Enciclopedia Universal Ilustrada. Barcelona, 1930. tomo 54. p. 569.

72. T. K. Cheyne and J. Sutherland-Black — Encyclopaedia Biblica. London, 1907. V. 4. p. 4286.

73. E. Levesque - Lin — Dictionnaire de la Bible, publié par F Vigouroux. Paris, 1908. t. 4. p. 258.

74. Тексты и Разыскания. Книга 5. Петербург, 1903. стр. 67-8.

75. Der Grosse Brockhaus.

76. D'Herbelot — Bibliothèque Orientale. Paris, 1783. t. 3. p. 519.

77. Chardin — Voyages. Paris, 1783. t. 3. p. 519.

Dozy — Dictionnaire. p. 352 — 362.

78. Dozy — Dictionnaire détaillé des noms des vêtements chez les Arabes. Amsterdam. 1845. p. 107.

79. Handwörterbuch des Islam. Leiden, 1941. S. 631.

80. ივანე ჯავახიშვილი — საქ. ეკ. ისტ. გვ. 30.

81. Тексты и Разыскания. Петербург, 1902. Кн. 4. стр. 104.

82. Dr. E. Götzinger — Reallexicon der deutschen Altertümer. Leipzig, 1885. S. 760.

83. Тексты и Разыскания. Петер. 1902. Книга 4.

84. Antoine-Ives Goguet — De l'origine des lois, des arts et sciences. Paris, 1809. t. 2. p. 87.

85. C. Alexandre — Dictionnaire Grec - Français. Paris, 1888. p. 1168.

86. Encyclopaedia Biblica, edited by T. K. Cheyne and J. S. Black. London, 1899. — 1901. Vol. 3. p. 3983.

87. H. Baudriault — Histoire de lux. Paris, 1878. t. 1. p. 409.

88. Franz Cumont — L'Egypt des astrologues. Bruxelles, 1937. p. 87 - 89.

89. Prof. Louis Bréhier — La civilisation byzantine. Paris, 1952. p. 214.

90. John Kitto — Cyclopaedia of Biblical Literature. London. p.-690.

91. Jean Ebersolt — Les arts somptuaires de Byzance. Paris, 1923. p. 4.

Dictionnaire des Dictionnaires. t. 5. p. 939 - 40.

91a. Clement - Mullet — Essai sur la minéralogie arabe. Journal Asiatique. Paris, 1868. p. 202.

92. Grand Dictionnaire universel du XIX siècle. t. 5. p. 95.

94. T. K. Cheyne and J. Sutherland Black — *Encyclopaedia Biblica*. London, 1907. Vol. 1. p. 895; Coral.
95. F. Vigouroux — *Dictionnaire de la Bible*. Paris, 1912. t. 5. p. 584.
96. J. Kitto — *Cyclopaedia of Biblical Literature*. p. 690.
97. Низамп — Пять Поэм. Москва, 1946. стр. 68.
98. *Encyclopaedia Biblica* by Cheyne and Black. V. 4. p. 4810.
99. ნემესიოს ემესელი — ბუნებისათვის კაცისა. თბილისი, 1914.
100. Prof. Dr. R. Hartmann — *Die Religion des Islam*. Berlin, 1944. S. 86.
101. Sir Bertram Thomas — *The Arabs*. London.
102. Prof. Karl Brockelmann — *Geschichte der islamischen Völker und Staaten*. München, 1943.
103. Тексты и Разыскания. Петербург, 1910. Книга 12. стр. XX. Прил. 3.
104. *Grand Dictionnaire*. Paris. t. X. p. 1100.
105. Сборник Материалов. Тифлис, 1909. стр. 27.
106. Karl Weinhold — *Die deutschen Frauen in dem Mittelalter*. Wien, 1882. Band 2. S. 319ff.
- Dr. Otto Henne am Rhyn — *Kulturgeschichte des deutschen Volkes*. B. 1. S. 322ff.
- Moritz Heyne — *Körperpflege und Kleidung bei der Deutschen*. Leipzig, 1903.
107. *Grand Dictionnaire*. t. 14. p. 1198.
108. Новый Русско - Персидский Словарь. Составил Шарфеддин - Кахреман. Тегеран, 1932. стр. 56.
109. პროფ. კარ. კეკელიძე — ავტორი ვეფხის - ტყაოსანისა და დრო მისი დაწერისა. «მნათობა», ნომერი 9 - 10. თბილისი, 1931.
110. ფირდოუსი. — თავები «შაჰ - ნამე»-დან, თარგმანი 15 — 16 ს. ს. პოეტის სერაპიონ საბაშვილისა. «მნათობი», ნომერი 9. გვ. 136. თბილისი, 1934.
111. Dr. E. Götzinger — *Reallexicon der deutschen Altertümer*. Leipzig, 1885. S. 408, 598, 970, 973.
112. Walter J. Dilling — *Girdle*. *Encycl. of Religion and Ethics*. New York, 1913. Vol. 6. p. 227.
113. Prof. C. de Harlez — *Avesta*. Paris, 1882. p. 285.
114. C. Alexandre — *Dictionnaire Grec - Français*. p. 643.
115. H. Brugsch-Pascha — *Aus dem Morgenlande*. Leipzig, 1893. Kap. 1.
116. Karl Weinhold — *Die deutsche Frauen in dem Mittelalter*. Wien, 1882. Band 2. S. 254.
117. *Les Petits Poèmes Grecs*, publié par E. Falconnet. Paris, 1843. p. 55.
118. *Historiae Naturae*. B. 2. Kap. 37,1.
119. შ. ჯანაშვილი — თამარ მეფე. თბილისი, 1917
120. Moritz Heyne — *Körperpflege und Kleidung bei der Deutschen*. Leipzig, 1903. S. 329.
121. Iulius Ruska — *Griechische Planetendarstellungen in arabischen Steinbüchern*. Heidelberg, 1919.
122. Prof. Karl Brockelmann — *Geschichte der arabischen Literatur*. Weimar, 1898. B. 1. S. 243.
123. Brugsch-Pascha — *Aus dem Morgenlande*. Leipzig, 1893. S. 25.
124. W. Crook — *Indian Charms and Amulets*. *Encycl. of Religion and Ethics*. B. 3. p. 444.
125. Fr. S. von Weldege — *Horoskop und Schickal*. Leipzig, 1928. Kap. 4.
126. M. L'Abbé Migne — *Dictionnaire d'Estretique Chrétien*. Paris, 1856. p. 208.
127. Prof. Dr. Wilhelm Gundel — *Sterne und Sternnglauben des Altertums und der Neuzeit*. Leipzig, 1922. S. 82.
128. Karl Schroeder — *Varia aus Wiener Handschriften, im Jahrbuch des Vereins für Niederdeutsche Sprachforschung*. Jahrgang 1878. S. 57.
129. Prof. Ed. Jannettaz — *Diamants et pierres précieuses*. Paris, 1881. p. 157 - 177.
130. Der Grosse Brockhaus. Art.: Edelsteine.
131. Goethe — *Farbenlehre*.
132. *Journal Asiatique*. Paris, 1868. t. XI. p. 16.
133. *Handwörterbuch des Islam*. Leiden, 1942. S. 263, 275.
134. Nicolas et Andrée Metta — *Les pierres précieuses*. Paris, 1953. p. 90.
135. Wilhelm von Freygang — *Reisebericht über Persien*. Hamburg, 1817. S. 287.
136. W. Th. Tucker — *A pocket dictionary of English and Persian*.
137. Ch. Morel — *Dictionnaire des Antiquités Grecques et Romaines*, par Prof. Ch. Daremberg et Saglio. Paris, 1881. p. 65.
138. Тексты и Разыскания. 1902. Кн. 4..
139. Der Kleine Beckmann. Leipzig, 1927. S. 1722, 1940.
140. ვახტანგ მეექვსე — ლექსები და პოემები. გვ. 36. თბილისი, 1947.
141. ბესიკი — მეოთხე გამოცემა. გვ. 9. თბ. 1932.
142. Franz Cumont — *L'Egypte des Astrologues*. Bruxelles, 1937. p. 96.
143. A. E. Krowley — *Metals and minerals, in Encycl. of Religion and Ethics*, by Hasting. Vol. 8.
144. W. E. D. Allen — *A History of Georgian People*. London, 1932. p. 303.
145. Prof. Ed. G. Browne — *A History of Persian Literature under Tartar Dominion*. Cambridge, 1920. p. 139.
146. Der Grosse Brockhaus. Leipzig, 1935. B. 14. S. 334.
147. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოამბე წიგნი მეორე. თბ. 1922 — 23.
148. Тексты и Разыскания. Пет. 1902. том 4.
149. Сборник Материалов. Основа Мусульманского права. Тифлис, 1909. стр. 40.
150. Armand Kahn — *La Littérature Arabe*. Paris. p. 37.
- 150a. Firdousi — *Le Livre des Rois*, trad. par. Prof. J. Mohl. Paris, 1877. t. 6. p. 374.
151. Gulistan de Sadi de Chiraz, par N. Semelet. Paris, 1834. p. 322.
152. ამ. კელიძე — ირანელი ლირიკოსები. გვ. 131 და შენიშვნანი. თბილისი, 1936.
153. Visramiani, translated from the Georgian version by Oliver Wardrop. London, 1914.
154. ზ. ავალიშვილი — ეტ.-ის საკითხები. პარიზი, 1931.

155. Prof. C. de Harlez — Manuel de Pehlevi des Livres religieux et historiques. Paris, 1880.
156. ივანე ჯავახიშვილი — ქართული სამართლის ისტორია. წ. 1. გვ. 20.
157. Prof. Fr. Dierz — Die Poesie der Troubadours. Zwickau, 1826. S. 28, 124.
158. Jakob Burchardt — Geschichte der Renaissance in Italien. Stuttgart, 1868. S. 203.
159. Prof. Dr. W. Wackernagel — Abhandlungen zur deutschen Altertumskunde und Kunstgeschichte. Leipzig, 1872.
- 159a. Flowers, in Encyclop. of Rel. and Eth.
160. Prof. A. de Gubernatis — La Mythologie des Plantes. Paris, 1882. t. 2. p. 320
161. Prof. Victor Hahn — Kulturpflanzen und Haustiere Berlin, 1911. S. 251.
162. Ch. Joret — La rose dans l'Antiquité et au Moyen Age. Paris, 1892. p. 194.
163. Reynold Alleyne Nicholson — Studies in Islamic Poetry. Cambridge, 1921.
164. სოლომონ ყუბანეიშვილი — ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია. თბილისი, 1945.
165. ივ. ჯავახიშვილი — საქ. ეკონ. ისტორია, წ. 1. გვერდი 278. თბილისი 1930.
166. Prof. L. Ideler — Untersuchungen über den Ursprung der Sternnamen. Berlin, 1809.
167. Prof. de Harlez — Manuel de Pehlevi. Paris, 1880. p. 277.
168. Encyclopaedia Britannica. Larousse du XXme Siècle, Paris, 1929. t. 2. p. 84.
169. Prof. Ed. Browne — A History of the Persian Literature under Tartar Dominion Cambridge, 1920. p. 117.
170. A. R. Nykl — Hispano - Arabic Poetry... Baltimore, 1946. p. 44.
171. Les Quatrains de Khéyam, trad. par I. Nicolas. Paris, 1867.
172. Encyclopaedia Britannica. London, 1929. V. 14. p. 124.
173. Enciclopedia Biblica. by Cheyne... V. 3. p. 2798.
174. Enciclopedia Universal Ilustrada Europeo - Americana. t. 6. p. 1354.
175. Prof. C. de Harlez — Manuel de la langue de l'Avesta. Paris, 1889. p. 438.
176. Grand Dictionnaire du XXme s. t. 2. p. 449.
177. ქება ქებათა სოლომონისა. თარგმანი პროფესორ გრიგოლ ფერაძისა. «ჯვარი ეზისთა», ნუმერი 2. პარიზი, 1932.
178. Reynold Alleyne Nicholson — Studies in Islamic Poetry. Cambridge, 1921. p. 17, 23ff.
179. Enrique Ubire White — Rubaiyata de Omar Khayyam. Bogotá, 1936. p. 118.
180. A. R. Nykl — Hispano - Arabic Poetry and its Relation with the Old Provençal Troubadours. Baltimore, 1946.
181. Karl Weinhold — Die Deutschen Frauen... Wien, 1882. B. 1. S. 222ff.
182. Moritz Heyne — Körperpflege und Kleidung bei der Deutschen von den Aeltesten geschichtlichen Zeiten zum Sechszehnten Jahrhundert. Leipzig, 1903. S. 1 - 35.
183. Dr Henne am Rhyn — Kulturgeschichte des Deutschen Volkes. B. 1. Dritte Auflage. Berlin. S. 235.
184. Ф. Ф. Зелинский — Древне-греческая религия. Петроград, 1918. стр. 48.
185. Basilio Tatakis — Filosofia Bizantina. Buenos Aires, 1952. p. 60, 142.
186. Franz Brentano — Die vier Phasen der Philosophie. Leipzig, 1926. S. 39.
187. ბატონიშვილი ვახუშტი — საქართველოს გეოგრაფია. გვ. 36 — 37. თბილისი, 1904.
188. G. Merzbacher — Aus den Hochregionen des Kaukasus. Leipzig, 1901. S. 1818, 275.
189. Ган — Пзвестия древних греческих и римских писателей о Кавказе. стр. 70.
190. Michael Pselos — Kryptographie et Histoire d'un Siècle de Byzance. Paris, 1928.
191. ბატონიშვილი ვახუშტი — საქართველოს ცხოვრება. გვ. 185. თბილისი, 1913.
192. Chev. Chardin — Voyage de Chevalier Chardin en Perse. Amsterdam 1735. vol. 3. p. 344.
193. Engelbart Kaempfer — Am Hofe des persischen Grosskönigs. Leipzig, 1940. Kap. 13.
194. Проф. Патканов — Дневник осады Испанава Аванцами. стр. 5.
195. Ch. Picault — Histoire de Revolution de Perse. vol. 2. p. 47.
196. Voyage de Pietro della Valle. Paris, 1745.
197. I. Chardin — Voyage en Perse. Paris, 1888.
198. P. Amédé Jobert — Reise durch Armenien und Persien. Ethnographisches Archiv. 16 B. Iena, 1882.
199. Gaubineau — Nouvelle Asiatique. Paris, 1847.
200. Tamara Talbot Rice — The role of Georgia, in Asiatic Revue. London, 1930.
201. Friedrich Bodenstedt — Die Völker des Kaukasus... Frankfurt am Mein. 1848.
202. Gamba — Voyage dans la Russie meridional... Paris, 1826. p. 184.
203. Porter — Voyage de Sir Robert Ker-Porter en Géorgie, en Arménie. 1817 - 20. p. 142.
204. Nayer — Der Kaukasus in den Jahren 1843 bis 1846. Dresden, 1848.
205. Karl Koch — Reise durch Russland nach dem kaukasischen Isthmus in den Jahren 1836 - 38. Stuttgart, 1842 — 43. S. 130 - 136; 190 - 194.
206. Hermann Abich — Aus dem kaukasischen Ländern. Wien, 1896. p. 56.
207. Henry Norman — All the Russians. New York, 1903. p. 209.
208. William E. Curtis — Around the Blacksea. New York, 1911. p. 121.
209. O. G. von Wescendonk — Aus der kaukasischen Welt. Berlin, 1926.
210. R. Leonhard — Paphlagonia. S. 330.
211. "El Mundo".-13 de Agosto de 1953.

ეს ნარკვევი ვეფხისტყაოსანის ფერთამეტყველების შესახებ ისეთ ადგილზე დასრულდა, რომ მისი სარჩევის დაბეჭდვისათვის საჭირო გახდა ზედმეტ ფურცელთა დამატება; ამიტომ ვისარგებლე ამ შემთხვევით და მას ოთხი დანართიც მიეუმატე.

პირველი დანართი ფერთა იმ სახელთ ეხება, რომელნი სულხან საბა ორბელიანს. თავის ჩინებულ ლექსიკონში აქვს მოხსენებული. თუმცა მას ფერთა სახელნი ანბანზე აქვს ჩამოთვლილი, მაინც ზოგი ფერის სახელი სხვა რომელიმე სიტყვის განმარტებაშია მოქცეული და ანბანს აცალეებული. ყველა ასეთი სახელი ანბანზე მოვათავსე.

მეორე დანართი თვალთა პატიოსანთა იმ სახელთ ეხება, რომელნი სულხან საბა ორბელიანს აქვს თავის შესანიშნავ ლექსიკონში აღნიშნული.

მესამე დანართი კვიპრელი ეპისკოპოსის ეპიტოპნეს თხუზულეებაში მოთავსებულ თვალთა და ფერთა სახელთ ეხება, როგორც ეს ჩამოთვლილი და რუსულადაც აქვს ნათარგმნი მოსე ჯანაშვილს, და დაბეჭდილი დღეს იშვიათ და მუწვდომელ «სბორნიკ მატერიალოვ»-ში.

მეოთხე დანართი თვალთა პატიოსანთა არაბულ სახელთ ეხება.

წინამდებარე ნარკვევში არა ერთჯერ მქონდა აღნიშნული ფრანგი მკვლევარის კლემან შაულლეს შრომა, რომელი მან 1868 წელს «ჟურნალ აზიატიკ»-ში დაბეჭდა, ამ მეცნიერს გამოკვეული აქვს არა მარტო არაბულ ნაბეჭდ, არამედ ხელნაწერთა სახელნი თვალთა პატიოსანთა; ოლონდ ყველა სახელი მას არა აქვს ლათინური ასოებით გადმოცემული. ამიტომ ვთხოვე ქართველ ზერს, მკვლევარსა და მეცნიერს, ჩემ ძველ ნაცნობს, შალვა ვარდიძეს: ეს არაბულნი სახელნი ქართული გამოთქმით, ჩემთვის მოეწოდებინა. ჩემი თხოვნა მან გადაჭარბებით შემისრულა. აქ მთლიანად ებეჭდავ მამა შალვა ვარდიძის წერილს, რომელი აღძრულ საკითხს შეეხება. გარჯისათვის მას გულითად მადლობას მოვახსენებ.

დასასრულ მოთავსებულია ჩემი «ბოლოსიტყვა» და სარჩევი.



დანართი პირველი

ფართა სახელნი

სულხან საბა ორბელიანის ლექსნიკონში:

ალის ფერი — ცეცხლის ფერი
ამბრის ფერი — ძველი ვახის ფერი
ამბრის ფერი — მუშავაზი
ამლაკი — ქრელი ცხენი
არღვენის ფერი — მეწამული
ალიელი — თვალ თეთრი
ბიბინა — ფოთელთ ფერად-ფეროვანი
ბიბინი — ყვავილთ ფერადობა
გრემა — მქრქალ ფერი
გრემან — რომელთა თვალნი არცა აქვს შავნი და
ცხოვართა ფერა აქვს.
გრემლობა — წარბის ღებვა (იგრემლებოდა, მო-
იგრემლნა, საგრემილელი).
დადედა — საღებავის შეფერვის დამტკიცება
დაფერადება — სხვა და სხვა ფერად შექმნა
დაღებვა — დაფერადება
დახივდებოდა — ნაცრის ფერად იქმნებოდა
დახივება — ნაცრის ფერ კმნა
ვეენა — წითელ შავი
ვეენი — ლომის ფერი
ზანგელა (უცხ.) — შავ წითელი
ზერდაგი — ყვითელ შავი (მოყვითელფერო)
ზღვის ფერი
თეთრი — სპეტაკი
თეთრობა
თვალქრელი — მახი
ის ფერი — იის ფერი
ინდუშა — შავ წითელი
კაპრაში — ყვითელ მოწითლო
ლაქვარდის ფერი
ლეგა — ყომრალი
ლიბრი — ჩალურჯებული
ლურჯი — ცის ფერი
ლილო — თოვლ ქრელი
ალიელი და მარდი — თეთრსა და უშვერსა (თვალ-
სა) ეწოდების.
მარდი — თვალ თეთრი
მარჩხი — მოთეთროსა და შვენიერსა (თვალსა)
ეწოდების.
მაფერებელი — არს ფერებთა მის ადგილს შემაწ-
ყობელი.
მაჩხი — თვალ ქრელი
მეწამული — სისხლის ფერი (არღვენის ფერი)

მიხაკის ფერი
მოთეთრო
მოთეთროდ წითელ ნარევი
მოიგრემლნა — თვალწარბი შეიღება
მოისფრო
მოლაქვარდო
მომაჩხო
მომწვანო
მონაცრისფერო
მოყვითანო — მოყვითლო ფერი
მოყვითლოფერო
მოყვითლო
მოყვითლული — ოქროთი მოფერილი
მოშავო
მოწითანო
მოწითანო მოშავო
მოწითლო
მოჯიგრო ფერი
მრეში — წაბლის ფერი, მოსისო (ოთხფ.). (ნახე
რუხა,, შდრ. მურეშა).
მურა — შავ წითელი ძალღი (ნ. რუხა)
მრეში — წითელი სისევი
მურეშა — წითელ შავი (მრეში) ზროხა (შდრ.
მრეში).
მურა — შავ წითელი
მური — სომხურია, კვამლისაგან გაშავებულს
ჰქვია, ქართულად ფარულს უწოდენ.
მუშავაზი — ძველი ვახის ფერი, ამბრის ფერი
მქარე — მქრქალ ღებილი
მქრქალი — ფერ ნაკლები
მწვანე — ბალახის ფერი
მწითური — მოწითლო ფერი
მყიე — ნაცრის ფერი
მქვინვარე — შავი ელვარე
მქიხე — წამოწითლებული
მხიე — მყიე — ნაცრის ფერი
ნავანდარი — ყარამფილის ფერი (მიხაკის ფერი)
ნაცრის ფერი
პალიო — შავ წითელი
ქალი — შავ მოწითლო
ქიქვაი — საშუალ თვალ შავისა და მახისა
ქიქვაი — თვალ მომაჩხოდ მოხდენილი
ქიქვაი — რომელთა (თვალნი) გრემანთაგან უფ-
რორე მოთეთრო, შვენიერ იყოს.
პორფირი — სისხლის ფერი
პორფირი და ბისონი — სისხლის ფერია (I)
პორფირის ქვის ფერი
რაყა — ფერი თხელი
რახა — შავ მოწითლო ცხენი
რუხა — ყომრალ ქრელი

სითერე — თეთრობის წინაბჭე
სინგური — სინგორი — წითელი სახატავია, ვერცხლის წყალთა და გოგირდთა ცეცხლში გამოადნობენ.

არიკა — ალის ფერი წითელი
სირიკონი — ალის ფერი
სისვი — თეთრ შავი არეული
სესვი — შავ თეთრი ნარევი
სისხლის ფერი
სიკრელე — კრელობის ქონება (შეტყეება)
სპეტაკი — თეთრი
არელა — პირუტყვთა რომელსაცა ზურგზედ გრძელად სხვა ფერი წასდევს

ტიტანო — თეთრი, სპეტაკი
ფერადი — სხვა და სხვა ფერი
ფერად ფერადი — იგივე
ფერი — თეთრი, წითელი, შავი და სხვა მისთანა (ალის ფერი, გააფერადა, დაფერადება, ვფერაუ, ვფერევილი, იის ფერი, ორფერი, საფერი, შეაფერა, შეეფერა, შეფერება, შეფერვა, ცის ფერი).

ფერ მიხდელი — ფერ წარსული
ფეროჲ — საშუალ თეთრისა და შავის
ფეროჲ — თეთრსა და შავს საშუალ
ღაქდაჲ — ფურცელთ ფერადობა
ღვივის — წითლად ქვირის
ღებვა — დაფერადება
ღებილი — შეღებული
ყარამფილის ფერი — მიხაკის ფერი — ნავენდარი
ყვითელი — ოქროს ფერი (გაყვითლა, მოყვითა-ნო, მოყვითლული, ყვითლობა)

ყვითლობს — ოქროსფერობს
ყვითელ შავი — ზერდაგი
ყვიყილი — შავ მოისფრო
ყვიყილი — ლურჯსა და იის ფერს საშუალი
ყვიცინი — ყვითელფეროვანი
ყვირჭი — შავი ფერი
ყომრალი — ლეგა
ყორნის ფერი
ყურჭი — ძლიერ შავი (ყვირჭი)
ყუყა — მეტად შავი
შავი — ყორნის ფერი (ბოლოშავი, გააშავე, დააშავე, დანაშაული, დაშავება, მიშავს, სელ-შავი, შავი ნაველი, ხეშავი, თავშავა, თვალშავა, ხილშავა).

შავ წითელი
შავ მოწითლო

შეაფერა — ფერები შეაწყო
შეენიერი — შეფერებული
შენის — ჰფერობს, გინა უხდება, ცუერების, შე-ეფერების.

შეფერება — ფერების შეწყობა
შეფერვა — ფერის მიცემა
შეხამება — ფერად ფერადი რომელი რომელს მო-უხდეს, მისი ქმნა.
შუენიერ (შვენიერი) — შეფერებული
ჩატეტკილი — ანაზღუელად ფერ მიხდელი, გინა ფერ მკრთალი

ჩინი — ზეთის ხის ფოთლის ფერი
ცის ფერი — ლურჯი
ცისხეული — ლურჯი
ძველი ვაზის ფერი
წაბლის ფერი
წამოქვებება — კაცთ გაწითლება
წარნაქი — ესე წითელი საღებავია, კაპადოქიას გამოვა. ერთი უწითლესია, — მე-ორე — უმჭრქალესი, მესამე — ცუდია.
წითელი — ცეცხლის ფერი (ნ. გააწითლა, მოწით-ლო, მწითური, მწითურა ნაველი (ზაფ-რანასთან), სოკოწითელი, ყელწითელი, ძირწითელი, წითს).

წითელ ნარევი
წითელ შავი
წითს — წითლობს
წყალფერი — ჯავარი
ქურანი — წაბლის ფერი ცხენი
ქარმაგი — თეთრზედ შავი დაწმწკლული (ოთხფ.)
ქარმაღა — ქალარა
ქალარა — წვერ კრელი
კიმკიმი — წვრილად კრელი
კილრიკა — მაჩხ თეთრ. მორეული
კორფლი — წვრილად შავი აჩნდეს
კრელი — სხვა და სხვა ფერი (თვალ კრელი, ნა-კრელები, სიკრელე, ყაყაჩოკრელა, კრე-ლებული, ხეკრელა).
ხვიფლი — ესე არს ქვათა, კლდეთა და მისთანათა ნოტიოდ მომწივანოდ ანუ მოწითლოდ რა-მე აღმოაჩნდეს.

ხვიფლოვანი — ხვიფლ ნაჩენი
ხზედი — წაბლის ფერი, გინა ქურანი
ხივი — ნაცრის ფერი
ჯავარი — წყალ ფერი, გინა მოხდომილობა
ჯილღაო — შავი ძელი (ოთხფ.), წითელი და შე-ღებულად ჯილღაოდ ითქმის.

დანართი მერკო

ტვალთა პატიოსანთა სახელნი

სულხან საბა ორბელიანის ლექსიკონში

ადამასი — ალმასი
ადამატი — ანდამატი
აილანური — აინალური (ნახე აკატი)
აკატი = აქატი — ესე არს, რომელსა აინალურად (აილანურად) უხმობენ, რომელსამე სულიმანად, რომელსამე იამანად, სამ-ოთხ გვარია (ნ. ანთრაკი, აქატი).

ალმასი — (თეთრი) — თვალის პატიოსანი
ამარტა — შივივა ქვათაგან
ამეთვისტომი — (ამეთისტომი)
ამეთვისტომი (ამეთისტომი) — წითელი და ის ფერია, იაგუნდსა ჰგავს. (ამეთისტომი — იაკინთე ის ფერთა სრავის მსგავსია წითელთა რავეყისათა; პარონის სამოსელთა ათორმეტნი ესე თვალნი ისხნეს: ამეთვისტომი, ანთრაკი, აქატი, ბივრილიონი, იასპი, ლიგვირი, ოქროს ქვა, პაზიონი, სამარაგდე, საფირონი და ფრჩხილი. 28,17 გამოსლევთა. ეს თვალი წითელია, ბაბილოვნის ქვეყანასა იპოვებინ; ამ ათორმეტს თვალთა, რომელი პარონის სამოსელზე ისხდეს, სახელი ეს წერიან წმიდათ წერილში ფერიცა და, სადაცა იპოვებოდა, ადგილიცა, მაგრამ ახლა აღარც იპოვება და ძნიად სადმე აქვსთ დიდთა მეფეთა.

ანდამატი — (ანდამატი) — ალმასი
ანთრაკი — ესე თვალი ნაკვერცხლის ფერია, ლამეცეცხლებრ ელავს, ღია ძვირფასია (და ძნელად საშოვარი, აფრიკეთს იპოვბის). პარონის შესამოსელთა ზედა ისხნეს ათორმეტნი ესენი: ამეთვისტომი, ანთრაკი, აქატი, ბივრილიონი, იასპა, ლიგვირი, ოქროს ქვა, ტაპიზიონი, სამარაგდე, საფირონი, სარდაონი და ფრცხილი.

აქატი — აკატთან ნახე (ეს აქატი ლურჯი თვალი არს, ისკუთს იპოვბის).

აღრალეების ქვა არს: ძოწი, ამარტა, ბროლი, ლაქვარდი, ქარვა და მისთანანი ქვები, ხოლო სპეკალი: ალმასი, იაგუნდი, ლალი და მისთანა ქვები. (აღრალეების ქვა არიან ძოწი, ამარტა, ქარვა და მისთანა ქვები, ხოლო სპეკალი — ყოველავე ძვირფასი ქვები.)

ბეჟმედი — თვალის მწვანე, რომელსა სპარსნი ზებერჯათს უხმობენ.

ბივრილი — ეს თვალი ზღვისა და ცის ფერია (იპოვბის ტაეროს, ეფთრატის გასაქალსა)

ბივრილიონი — ნახე ამეთვისტომი, ანთრაკი

ბივრიტი — ბივრილი
ბროლი — ბუნებით თეთრი ქვაა არს და ქიქისაგანა ც შეიმზადების გამოწახნაგებული — გამოთლილი სპეკალი (ნ. წახნაგი, სპეკალი)
გამქვირვალი — ქვა ბროლის მსგავსი (ქვა პროლსა გიშერი — სათი და სარკესავით)
გუპარი — სპარსულია, მარგალიტი
დანეიფრანგი — ოქროს მადანში იპოვიან, თვალის ლაქვარდით ცისფერი, ინმარება ესე თვალის ბინდისათვის.

ვიაკინთე — იაკინთი (იაგუნდი, სინდისი, ტრინახაბარჯადი — თვალის ბეჟმედი პოტი).

ზებერჯათი — ბეჟმედი
ზურმუხტი — მწვანე თვალის პატიოსანი

თეთრი იაგუნდი — ნახე ტოპაზიონი
თილია — ნახე ტოპაზიონი

იაგუნდი — თვალი პატიოსანი (ნ. აღრალეების ქვა)
იაკინთი — იაგუნდი (ნ. ვიაკინთი)

იამანი — ნახე აკატი
იასპი — ეს თვალი მოწითლოა და ქრელი (თორქომედ მდინარის პირს იპოვბის კასპიას

კაპოეტი — ნახე ქვა-კაპოეტი ზღვასთან).
ლალი — წითელი (ნ. აღრალეების ქვა, დაალაქე — ლალად გახადე)

ლაქვარდი — ნ. აღრალეების ქვა
მანგი — მარგალიტი გინა მთოვარე

მანიაკი — საყულო მოთვალულ-მომარგალიტე და (მოოქვილი)

მარგალიტი — ნ. სამარგალიტე
მინა — ქიქა არს (ქიქათა მსგავსად ფერადი ელვარედ შემზადებული, ილეკროთა ზედა მხატვრულად ქმნად შემზადებული (მხატვრულად ქმნა დადნობით)

მოოქვილი — მოთვალული
კიდონტი — შავი ქვა (პერაგონისა, მაგარი); (ოქროსა და ვეცხლის გამომცდელი); (მისცა შავი, ვითარცა კიდონტი. ანდრია სალოსის); (კიდონტი არს ქვა გიშრის ფერი, ოქროსა და ვეცხლის გამომცდელი).

მურასა — სპარსთა ენაა, ქართულად მოოქვილი მულარბარა — ინდოური მურასა ჰქვიან ნამრუდი (ნამურდი) — ქვა ცის ფერი (მძივის სახელია)

ოქროს ქვა — ესე არს ყვითელი იაგუნდი და თილია (რომელ არს ხრვისოლინთოს); (ნახე ამეთვისტომი, ანთრაკი)

ოქვა - თვალვა — (ნ. მოოქვილი, მურასასთანა, შეიოქვა)

პაზიონი — ეს თვალი თეთრი იაგუნდია, ინდოეთს

თვალთა და ფერთა სახელნი

ეპიფანე კვიპრელის თხუთულობაჲნი: --

სადაფი — მარგალიტის კეცტყაე
 სათი — გიშერი
 სამარაგდე — ზურმუხტი
 სამარგალიტე — მარგალიტის ადგილი
 სამფირონი — საფირონი
 საჰფირი — 9,2 ეზეკია
 საფირონი — ლურჯი იაგუნდი, იის ფერი და მყინი
 ფერი, სამსავე ჰქეიან
 საცხინეელი — ესე არს მარგალიტთა სამკაულთა
 სარევედ თვალნი დათლილნი და ოქროს
 მძივები (ოქრონი მომძივებულნი).
 სინდისი — იაკინთი (ეიაკინთი, ტრინაპოტი, იაგუნ-
 სოფირი — ლურჯი იაგუნდი (ლი).
 სოქალი — სპეკალი
 სპეკალი — ყოელი თვალი პატიოსანი
 სულეიმანი — ნახე აკატი
 სუნიდისი — ნ. სეინდისი
 ტოპაზიონი — (ტოპაზი) — თეთრი იაგუნდი, და
 თილია ტოპაზიონი არიან, პაზიონი
 ტრინაპოტი — სინდისი (ეიაკინთი, იაგუნდი)
 ფაზარი — ეს არს ქვაჲ ნაეღველთა (ანუ ღვიძლთა
 შინა, რომელი ნიაპორთა (კლდის თხათა)
 უფროსად გვარობს, სამკურნალოდ სახმა-
 რი; ქვათაგანც იქმნების ფაზარი რომელ-
 თამე თემთა.
 ვარლული — მარგალიტის ყელსაბამი
 წარჩხილი — ნახე ამეთისტომი, ფრცხილი
 ფრცხილი (ფრცხილ-თვალი) — თვალია. ეს თვალი
 მოწითლოა, ინდოეთს იპოებას
 ქარვა — ესე არს ნიეთი რამე ყვითელი, რომელი
 გამოიღების ლიტოვიის ზღვიდამე...
 ქვაკამოეტი — ზურმუხტი
 ქვამწვანე — ზურმუხტი
 ყანჩი — ქალთა მოსართაეი იარალი თავზედ შემო-
 საკრავი, თვალითა და მარგალიტით მო-
 ოქეილი
 ყელსაბამი — ფარლული
 შთამოსატეეებელი — გულის პირის მარგალიტი
 (საკრებელი, საკერებელი გულის პირთა).
 შიბი — ყელის ჯაჭვი თვალ-მარგალიტისა
 წახნაგი — გათლილი თვალი (ნ. გამოწახნაგებული)
 ხრვისოლინთოს — (ხრვისოლითოს) — ოქროს ქვა,
 ყვითელი იაგუნდი და თილია (ნ. ოქროს
 ქვა)
 ხარყანჩო — არს ცვარნი წვიმისანი, რომელსა მი-
 იღებს სადაფი და იცუალება მარგალიტად
 ხარხანჩო — სადაფის შიგნითი
 ჯავარი — წყალფერი, გინა მოხლომილობა

- | | |
|--------------------------|--------------------------|
| 1. სარდიონი | сердолик |
| 2. სარდიონი მოლოზოს | сердолик |
| 3. სარდიონი ძოწეული | сердолик-порфира |
| 4. ქაქუნტალი | свекловичного цвета жем. |
| 5. სარდაკი | сердолик-сардаки |
| 6. ტბაზიონი | топаз |
| 7. ზმური | смарagd |
| 8. ნერონიანოს | смарagd-перовнянос |
| 9. დუმენტანოს | смарagd дументанос |
| 10. კაპუტი, კაპუეტ- | капutti |
| 11. ძოწეულის ფერი | цвет порфира |
| 12. მწუანე | зеленый цвет |
| 13. იაკინთე | яконт |
| 14. კარქედონი | халцедон |
| 15. საფირონი | сапфир |
| 16. ჭრისე | сапфир крисе |
| 17. ტიგე | сапфир тига |
| 18. ბასილიკე | сапфир басилике |
| 19. ალექსიპონონ | сапфир алексинонон |
| 20. იასპინი | яспис |
| 21. იასპინი სისხლის ფერი | яспис кровавой |
| 22. იასპინი ღვინის ფერი | яспис винного цвета |
| 23. მარგალიტი | жемчуг |
| 24. უპაელიოს (?) | упавлиос |
| 25. ბნობის ფერი (?) | |
| 26. პერუს ზღვის ფერი | цвет Перусского моря |
| 27. ალის ფერი | цвет пламени |
| 28. კვამლის ფერი | дымчатого цвета |
| 29. იის ფერი | фиолетового цвета |
| 30. ფეტვის ფერი | просяной цвет |
| 31. მემრუმე | тускый, темный |
| 32. ელურ ზროხის ფერი | цвет дикой корови |
| 33. დეკეულის ფერი | цвет телки |
| 34. ლიგვირიონი | лигвирый |
| 35. ასკლიპიონი | ? |
| 36. კერინონ | ? |
| 37. როდვოს | ? |
| 38. ქაენიეოს | ? |
| 39. ნატიბოს | ? |
| 40. მხიის ფერი | серый |
| 41. აკატი | агат |
| 42. მარმარინო | порфира |
| 43. ამეთისტონი | мрамор |
| 44. სისხლის ფერი | аметист |
| 45. ძოწეული | кровавой цвет |
| 46. ბიერილი | берилл |

47. გუგა ვეშაპის თვალის	ядро китового глаза
48. ცვილის ფერ	цвет воска
49. ფრცხილი	опяк
50. გოლეულის ფერ	цвет медового сота
51. ზღვის ფერ	морской цвет
52. ღრუბლის ფერ	облачный цвет
53. თაფლის ფერ	медовый цвет
54. ანთრაქი	антракс
55. გიშერი	гагат
56. ქარვა	янтарь
57. ბადახში	рубин
58. ალმასი	алмаз
59. ლალი	лал
60. ფირუზი	бирюза
61. სადაფი	перламутр
62. სეაღანი	гпацпнт
63. ყირმიზი იაგუნდი	красный лхонт
64. ლაქვარდი	лазурнк
65. მარჯანი	коралл
66. ბრილიანტი	бриллиант
67. ობოლა	опал
68. ანდამანტი	адамант
69. ბროლი	хрусталь
70. რვალი	халкопнт
71. ცის ნატეხი	аеропнт
72. ზურმუხტი	изумруд.

თარგმანი მოსე ჯანაშვილისა —

Сборник Материялов для описания местностей и племен Кавказа. Выпуск 24. Тифлис, 1898. стр. 50.



ღანართი მემოსხა

თვალთა პატიოსანთა არაბულნი სახელნი

.... «ამ უმად არ შეიძლება მეტად დაგვიანება — ვგონებ გეჩქარებათ — რაც საჩქაროდ აღმოვაწერე ღრანგულათე გიგზავნი. რაც კი საჭიროთ დაინახოთ, გამოიყენეთ როგორც გსურსთ. ამოკრეფალი სიტყვების ქართულათ დაწერასათვის მამა ა. ჯემელთან ერთად განვიხილე. ლათინური ასოებით დაწერა არაბული სიტყვებისა შეუძლებელია. თვით ქართული ასოებით ზოგიერთ ხმოვანი თუ უხმო არაბული ასოები კარგად არ დაიწერება, რადგან არაბულში მარტო ი ხმოვანია და ა. სხვა ხმოვანი ასოები არ აქვთ. მ, ე, უ ასოების მაგივრად მ-ს ხმარობენ. ვინმემ თუ ენა არ იცის, ვერ წაიკითხავს. მ-უხედავდაც ამისა, მსოფლიო არაბებში იგივე გამოთქმა არ აქვთ: მაგ. ზოგან ამბობენ კოლ, და ზოგან: კულ (სქამე), როცა სიტყვა ყველგან ერთნაირად იწერება.

Clement-Mullet-ს ბევრი საყურადღებო ცნობა აქვს ძვირფასი ქვების წრამოშობაზედ, თვისებებზედ, ფერადებზედ და ზოგანაც საკმარისად აღნიშნავს, სად უფრო მეტად მოიპოვებიან. რამდენადაც გავეცანი, იმდენად ღრმად დავრწმუნდი, რომ მსგავსი ქვების დიდი ნაწილი საქართველოშიც მოიპოვება, თუმცა ძველი და ახალი მწერლები, არაბები, როგორც ევროპელები, არ იხსენიებენ საქართველოს. ფრანგულ - ქართულად გაძლევეთ ცნობებს.

თვალთა პატიოსანთა სახელნი:

1. არაბულად: ჯაჰუარ, ჯაჰვარ. 2). სპარსულად: კუარ, საზოგადოდ დიდი თვალი: დურვათ, და პატარა თვალი: ლულუ.

ი. იაკუტ: ქართულად: იაგუნდი (იაკინთი, ვაკინთი). ფრანგულად: hyacinthe. ფერია, სიმაგრის და სხვა თვისების მიხედვით, ამ სიტყვას იაკუთ ოცნებდ მეტად სხვა და სხვა ნაირად ხმარობენ. ევროპელებსაც არ აქვთ და ხშირად იაკუთ-ს სხვა და სხვა სახელით იხსენიებენ.

იაკუთ ასმან = saphir და იაკუთ ხარხ = rubis. ბალურ (კიდევ: ბალაურ, ბალაორ) = spinnelle et rubis balais. იაკუთ ახმარ = rubis rouge ou thélésie. იაკუთ ასფარ = rubis jaune, la topaze. იაკუთ ქაზრაყ = rubis bleu, le saphir. იაკუთ აბმად = rubis blanc, le corindon limpide. იაკუთ ახდარ = rubis vert, le saphir vert ou l'émeraude. იაკუთ ზა-

ითი — rubis de couleur olive. იაკუთ როჰმანი = rubis d'un rouge pur, le grenadin. იაკუთ ლახში = le corindon vermeil. იაკუთ ბანაფსიან = de couleur violette. იაკუთ ჯერნაირი = jaunâtre, le balustrier. იაკუთ ვარდს = blanche de couleur ou rose claire. ბეგრი სხვა იაგუნდია კიდევ.

II. ბალურ (ბალურ, ბალაორ) = rubis balais, უკვე ზემოდ აღვნიშნეთ. ხოლო ეს rubis balais, ანუ spinelle, ლათინური spinella, მრავალ ნაირია და ამ ქვას სხვა და სხვა სახელიც აქვს; ბალხაშ, ბალახშ, ბაუშად, ბანფაშ (სპარსელები ღალს- ეძახიან) = spinelle. ამათი ფერია: მორიელის ფერი, წითელი მეტად მღვივე; ყვითელი ან მოყვითანო; მწვანე ბარილის; ცეცხლის ფერი, მცირედ მღვივე; ყვითელი ფერი, რომელი იაგუნდს ანუ კორინდონ ყვითელს წააგავს; ბროწეულის ფერი — ჰქვია ნარი; სპარსულად: ნარ; ნარზედ ნაკლებ წითელს ეძახიან: ნიაჯი. — ეს ქვა მოიპოვება განსაკუთრებით თურქესტანის მთებში, ქალაქთან. ამიტომ იმ ქალაქს სახელიც აქვს. ქალაქს სხვა და სხვა გამოთქმით ეძახიან: ბადახშან, ბალაკშან, ბალახშან, ბალხშან.

III. მრუან = მარუან — corail et émeraude.

IV. ჰაყიყ = la cornaline. კიდევ ძველად ამბობდნენ: ჰაკაიყ. ხუთნაირი ფერის და სიმეგრის მიხედვით: წითელი, წითელი მღვივე, ლურჯი, შავი, თეთრი, ყვითელი — მეტად ძვირფასია.

V. აღმას — არაბულად და სპარსულადაც — diamant. ცნობილია მისი რამოდენიმე გვარი: წითელი, ყვითელი, მწვანე, ლურჯი, შავი, ვერცხლის ფერი, მოყვითანო ზეთისფერისა და სხვა.

VI. ბალადი — le grenat. სირიული გრენატი არის ლამაზი ფერი იისა, ბოჰემიის — ჰიაცინთისებური წითელი; სეილონისა — ღვინის ფერი. გრენატი ღრმა ყვითელი: — აზიაჯაშთ; ძალიან წითელი — მაჯამბაჯ; უბრალო ყვითელი: — სერანდიში; გრენატი ანუ ბალადი-ამავე ფერისა დასავლეთიდან: — ყარუი.

მარვარიდ — perle. მარგალიტი.

VII. ლაჟუარდ — lazulite, bleu d'azur. cornaline. agate.

VIII. ბენეფშ — hyacinthe ou diamant jaune მას სთარგმნიან აგრეთვე სახელით: ზირკონ და ვარგონ. ოღონდ თავისი იის ფერობის გამო, ბენეფშ, ჰიაცინტს უდრის. ბერძნული იაკინთოს = იაგუნდი, რომელიც ერთნაირი იაკუთ არის; თუ იგი ფერით წმიდაა და ღრმა. თუ იგი წითელია, მას ფერო.

მამინ აღარ ეძახიან ბენეფშს, არამედ: მალჯანაბი. ეს ბენეფშ კიდევ ორგვარია: 1) იისფერი მოშავო და 2) ყვითელი მოზნელო; და ზოგნი ეძახიან აზიაჯაშთს-საც.

IX. აინე ელ ჰერა — rai - de - chat. Une espèce de saphir chatoyant opal...

X. ბენჯაირი — ძველად ხმობდნენ ბალჯჰირ, ახლა საზოგადოდ კიდევ ამბობენ: ბაჯჰირ. არის ორგვარი: 1. მინერალური და ცხოველური; გამჭვირვალე და ბნელი. მინერალური ბანჯაირი მნიშვნელოვანია ყვითელი და მწვანე ფერისა. ჩინური ბაჯჰირი (ფაჯარი) არის ღრმა და წმიდა ფერის ყვითელი. ცხოველურ ბაჯჰირს სწულდებათა და მორიელის ნაკბენის წინააღმდეგ ხმარობენ.

XI. ფეირუჯაჰ — tourquoise. ორა სახისაა: 1. სვესებით გლუვი, ლურჯი ბრწყინვალე. 2. ფაჯანაჯი — არის კიდევ ერთნაირი ფერუხი, რომელს სპარსელები უწოდებენ: ბაჯახშანი და ლაჰაიყა.

XII. ზემურროდ — émeraude. სპარსული ზმრუდ. კიდევ ნიშნავს — corail.

XIII. ლაჯაჯ — ამ სიტყვის გამოთქმა და დაწერა არც ერთი ენის ასოებით არ შეიძლება. არც მ არის და არც ლ. ფრანგულად — onyx და agate. იგი არის ხუთი სახის, იმის მიხედვით, თუ სად პოველობენ მათ.

XIV. მალნათი — l'aimant.

XV. სონდაბა და სონბაჟ — l'émeri.

XVI. ღამხნაჟ — la malachite.

XVII. ლაჯაურდ — la lazulite. ლაჟუარდი.

XVIII. ხამაჯ — სპარსულად: შამახ და შავუახ — jayet ou obsidienne; jais.

XIX. ღალ — (სპარსულიცა): rubis.

XX. ჯამაშთ, ჯამასთ, ჯემეშთ, ჯემესთ — მოიგავს იაგუნდს = იაკუტს. ფრანგულად — améthyste. ოთხნაირია: 1. ვარდის ფერი, ვარდის ფერი მოლურჯო ძლიერ, ვარდის ფერი ძლიერობს ლურჯზე, ვარდის ფერი და ლურჯი ერთად, ორგვე უსტად.

XXI. მინა — émail, perle d'émail.

XXII. ზუჟაჟ (ფარაონისა) — ფარაონის შუშა

XXIII. ხამაჰხან — l'émailite, ხუთ გვარია.

XXIV. ააშმ — jade, ქვა მომწვანო და მოზეთის-

XXV. მახვ, მასბ — ებრაული — მაშპამ — jaspe.
ფერი: თეთრი, ყვითელი, შავი, მწვანე...

XXVI. ბალლაერ, ბილლაერ, ზულლაერ (არაბულ-
ად), ბალლაერ, ბილლაერ, ბოვლლურ, ბულლურ
(სპარსულად) — ქართული: ბროლი.

XXVII. თალუ — le talc et mica.

XXVIII. ზებერგედ — le béryle; მქრქალი მწვანე
— რიზხანი; მწვანე ძლიერი — ხილყი და მწვანე
მჭვირვალე საბუნია.

ამაზედ მეტად შემოკლება ვერ მოვახერხე. ამას-
თან ერთად საპირდაპირო ქართული სიტყვების
ძებნას თავი დავანებე, რადგან საამისოდ ლექსიკო-
ნია საჭირო.

კლემან მამულეს წერილას დასასრულს მხო-

ლოდ 11 სიტყვაა. სხვაც ამოკრიფე. ვგონებ, შე-
სძლებთ დაიკმაყოფილოთ სურვილი.

გისურვებთ თქვენ და ყველა თანამემამულეს ბე-
დნიერებას და შორით ჩვენ ისტორიულ ძახილს მო-
გაწოდებთ:

ქრისტე აღსდგა! ქრისტე აღსდგა!

ქართველი ერი არ მოკვდება და აღსდგება! ამი-
ტომ ყველას გისურვებთ ხანგრძლივ ცხოვრებას,
რათა სამშობლოში დაბრუნდეთ.

სალამი ქართული ყველას

მესხი მწირი

ს. შალვა ვარდიძე

ბერიუთი — ლიბანი, 29 აპრილი, 1954 წ.

ბოლოსიტყვა

დასრულდა ამ გვარად წიგნი ვეფხისტყაოსანის
ფერთამეტყველების შესახებ. არც ისე მოკლე გა-
მოდგა იგი, როგორც მეგონა, ხოლო სიგრიძისათვის
და განმეორებათათვის შენდობას ვითხოვ.

ამ რვეულთა გამოცემის დროს საგრძნობი დახმა-
რება გამოიწვია თბილისელმა მოქალაქემ, ივანე სვი-
მონის ძე მატინიანმა. რასაკვირველია, მას მადლობა
მოვახსენე, რაზედაც მან მახვილად მიპასუხა: —
როცა რუსთაველს საიჭიოს შევხვდები, მადლობა
მან მითხრას-ო! ჩემი სიტყვის გებაც მოკლე იყო: —
ვექვობ-მეთქი!

როგორც მკითხველისადმი უწყებულებაში აღე-
ნიშნე, ცხადია, ამ ნარკვევით არ ამოიწურება აქ
აღძრული საკითხები. და გამოძიება უნდა კიდევ
გაგრძელდეს, ეინაიდან შეცდომისაგან არავინ და-
ზღვეული არ არის.

ამ წიგნის რვეულებად დაბეჭდვამ ის შედეგა
მინც გამოიღო, რომ მკითხველნი გამოუმხმართნენ
და შექებითაც გამამხნევეს. ვიეთმა მკითხველმა
ქებასთან ერთად საყვედური მიძღვნა და ეინაიდან
ყველა ასეთ საყვედურს მთლიანად და დასაბუთე-
ბულად ჩვენი მეცნიერი და მკვლევარი, მამა მიქელ
თარხნიშვილი გამოთქვამს, ამიტომ აქ მას ეუპასუ-
ხებ და ეს იქნება დანარჩენთათვისაც გასაგონი.

პატივეცემული მიქელ თარხნიშვილი (რომადან)
მწერს: —

«ერთი დიდი თხოვნა მაქვს: დიდად გთხოვ და გე-
მუდარები ნუ ლანძღავთ თქვენს მოწინააღმდეგეთ,
ვეფხისტყაოსანის მკვლევართ: ეს ყალბის მქნელია,
ეს უფიცია, ის უგუნურია. მოწინააღმდეგის ასეთი
გამასპინძლება არავისთვის არის სასარგებლო და
საპატიო: არც თქვენთვის, არც მათთვის. ასეთი რამ
მარტო შურსა და მტრობას სთესავს. კმარა სთქვათ,
ბატონი იკსი სცდება ან ამისი მსგავსი რამ. უცხო-
მელი ხომ არავინ არის. ერარაე პუმანუმ ესტ-
თქვენი საუკეთესო იარაღი თქვენივე გამარჯვება
იქნება, სიმართლისა და ნამდვილის მიგნება»...

მამა მიქელ, სიტყვა «ლანძღვა» აქ გადაქარბე-
ბულ გამოთქმად მიმაჩნია. მართალია, ზოგ მკვლე-
ვარს ეუწოდებ «ყალბის მქნელნი», «უგუნური» და
«უფიცია»- ამით მე სინამდვილე მხოლოდ შესაფე-
რისი სახელით მოვნათლე. სხვა გვარ არ შეიძლება
მოვეპყრა ვტ-ის იმ მკვლევართ, რომელთაც ვეფ-
ხისტყაოსანი თავის გასართობ და საჩხიკედელო
ქაბუჩად ასაგდებ რამეთ მიაჩნიათ. მე გამწარებული
და აღშფოთებული ვარ მხოლოდ იმის გამო, რომ
«მკვლევარნი» ზერეულე, უპასუხისმგებლოდ, ქა-
რაფშუტულად, უვიცად და უდიერად ეპყრობიან
და აგონჯებენ ვ.ტყაოსანს. მე ის კი არ მამბრაზებს,
რომ ზოგ მკვლევარს ვტ-ის რომელიმე შიკრი ვერ
გაუგია, ვერ განუმარტავს (არც მე გამეგება ყველა!)
ან ცუდად განუმარტავს, — ერთმა ვერ ახსნა რო-

მელიმე შაირი სწორად, არა უშავს რა, სხვა ვინმე მართლად განმარტავს მას! აღწფოთებული ვარ იმ «მკვლევართა» წინააღმდეგ, რომელნიც «ყალბის-მქმნელობას» ეწევიან, და ვტ-ში უვიცობისა და სირეგვენის გამო თავისი საკუთარი შესწორებითი ლექსები შეაქვთ, ან ახალ სიტყვებს ურთავენ.

ვიეთმა მკვლევარმა ლექსი ვერ გაიგო, და რადგან მან ვერ გაიგო, ამიტომ მან მის გასაგებად თავისი საკუთარი შესწორება შიგ შეიტანა და ვეფხის ტყაოსანის შაირი დაამახინჯა, დაასახიჩრა..

მიბრძანეთ, მამაო, განა შესაწყნარებელია ის შესწორება, რომელი არა ერთსა და ორს მოუხდენია: სრულიად უსაფუძვლოდ, მხოლოდ უვიცობისა და რეგვენობის გამო! თქვენ სასულიერო პირი ჰრძანდებით და ასეთ «მკვლევართ» შეუძლობთ, — თუ გინდ იმ იმედით, რომ სხვა გამოსწორებს ამ «შეცდომას!»! მაგრამ მე ასეთი «პატივება» არ შემიძელია, რადგან ჩემი ყმაწვილობიდანვე ვეფხისტყაოსანს ვსწავლობ და გაგიყვებით მიყვარს იგი. ვით შეყვარებული, ველარ ვითმენ იმ უხამსობასა და უმსგავსობას, სირეგვენს, რომლის მსხვერპლი ვეფხის ტყაოსანი გამხდარა. აშკარა უვიცობა და ყალბის-მქმნელობა არაა შესანდობელი და ამის გამო ნუ დამძრახავთ.

სამაგალითოდ აქ მხოლოდ ერთი შაირის «შესწორებას» გაგაცნობთ.

ვეფხისტყაოსანის გამომცემელი და რედაქტორი კონსტანტინე ჭიჭინაძე სწერს: —

«1523. — გასწორება შეეხება მეორე სტრიქონს, რომელსაც ასე კითხულობდენ აქამდე: «ბოლოდ ასრე განაცხადნა გონებამან დაფარულნი». გაუგებარია, თუ რა დაფარული გააცხადა გონებამ, ან ვისმა გონებამ გააცხადა დაფარული. მთელი ეს ტაეპი წარმოადგენს ასმათის სიტყვებს ნესტანისადმი, როდესაც ის ქაჯეთის ციხიდან მოიყვანეს ფრიდონისას. ზოგიერთ რედაქტორს, რომ ვერ გაურკვევია ამ სტრიქონის შინაარსი, ისე წარმოუდგენია, თითქოს თვითონ რუსთაველის სიტყვებში იყოს ჩართული ასმათის სიტყვებში, მაგრამ არც ეს ყოვლად შეუწყნარებელი საშუალებაა დასწობს გაუგებრობას, ვინაიდან ასმათის გონებამ აჩრადერი დაფარული არა აქვს და არც აქ გაუცხადებია რაიმე დასაფარავი. უველაფერს არც ვცხადებთ იმ გამოცვლილი სიტყვის აღდგენა. რუსთაველს ჰქონია უთუოდ ამ სტრიქონში არა «გონებამან», არამედ განგებამან; მთელი სტრიქონი უნდა წავიკითხოთ ასე: «ბოლოდ ასრე გააცხადნა განგებამან დაფარულნი» (ან დაფარული, როგორც ზოგიერთ ხელნაწერშია). აქ ასმათის აზრი

«უკვე ნათელია საესებით: ბოლოს განგებამ ასე გააცხადა, ანუ გამოაჩინა, მის მიერ დაფარული, ესე იგი მთელი ათი წლის განმავლობაში უკვე ლოდ დაკარგული ნესტან-დარეჯანი»-ო.

ეტ. კონსტანტინე ჭიჭინაძის გამოცემა. მისივე გასწორება, გვერდი 288.

მაშასადამე, კ. ჭიჭინაძემ ჰრძანა — ეს ლექსი გაუგებარია, ამიტომ მასში შესწორება უნდა შეეტანო! აქ «გონება» კი არ უნდა იყოს, არამედ «განგება»-ო!

ეთქვათ, მან ლექსი ვერ გაიგო, მაგრამ რა შუაშია აქ ვეფხისტყაოსანი! როგორ თავებდურად და მართლა ბრიყვულად «ასწორებს» ვეფხისტყაოსანის ამ ლექსს?! აი, მამაო, ასეთ «უპასუხისმგებელო», ასეთ «უვიც» დოსტაქარებს ვებრძვი და როგორც თქვენ მწერთ: «ვლანძლავ».

ეთქვათ: ასმათის სიტყვა ნესტანისადმი გაუგებარია! ვინ შეეხვეწა ჭიჭინაძეს ეს «გაუგებრობა» საკუთარი «შესწორებით» გაეგებინებინა ჩვენთვის? კ. ჭიჭინაძემ ვერ გაიგო იგი, მაგრამ იქნებ სხვა ვინმემ განმარტოს?! არა! მას «შესწორება» შეაქვს და ვეფხისტყაოსანს ამახინჯებს და სახიარ ჰხდის.

თუ ასმათის სიტყვა ნესტანისადმი «გაუგებარია», როგორღა არის გასაგები: ნესტანის წერილში ტარიელისადმი საჩრადი, რომელიც იმავე თქმას წარმოადგენს? რატომ იქ აღარ გაასწორა და არ გაგვაგებინა?

თავის წიგნში ნესტანი ტარიელის მიმართ სწერს:

ჰხედაე, ჩემო, ვით გაგვეყარნა სოფელმან და
ვამმან კრულმან,
ველარ გნახე საყვარელი მხიარული მხიარულ-
მან,
ნეტარ რა ქმნას უშენომან გულმან, შენგან
დალახერულმან,
გაგიცხადა დამალული გონებამან დაფარულ-
მან (1295)

რა «დამალული» განუცხადა «გონებამან დაფარულმან»?

«დამალული» აქ არის ცნობა ნესტანის ყოფნის შესახებ. ნესტანი ტარიელისათვის იყო «დამალული», დაკარგული, და ახლა კი ტარიელი გაიგებს ნესტანის არსებობის შესახებ, და ამგვარად მას, ტარიელს ამ ამბავს «გაუცხადებს გონება დაფარული».

რა არის ეს «დაფარული გონება»?

ეს ის «გონება» არის, რომლის შესახებ ასმათი ნესტანს ეუბნება, როდესაც ისინი პირველად ერთმანეთს შეხვდებიან —

ნესტან - დარეჯან ეხვევის, პირსა აკოცებს პირითა;
უბრძანა: ჩემო, ვაგლახ ჰე, შენცა აგავსე პირითა;
აწ ღმერთმან მოგვცა წყალობა, ვცან მისი არ სიძვირით ა;
მე გულსა შენსა ეზომსა, არ ვიცა გარდენიხდი რითა!» (1453)

საპასუხოდ —

ასმათ ჰკადრა: მადლი ღმერთსა, ვარდნი ენახენ არ - დაზრულნი,
ბოლოდ ასრე გააცხადნა გონებაჲმან დაფარულნი,
სიკედლილიცა სიკოცხლეთ მიჩნს, ოდეს გნახენ მხიარულნი,
სჯობან ყოვლთა მოყვარულთა პატრონ - ყმა-ნი მოყვარულნი (1453)

პირველ ლექსში ნესტანი ლაპარაკობს «დაფარული გონების» შესახებ, ამ ლექსში კი ასმათა ლაპარაკობს «გონების» შესახებ. ორივე ერთსა და იმავეს ამბობს: «გონებაჲ» გაგვიცხადა «დაფარული»-ო; ნესტანის სიტყვით «დაფარულმა გონებაჲ» განაცხადა «დამალული»; ხოლო ასმათის სიტყვით: «გონებაჲმან» გააცხადა «დაფარულნი». ეს ორივე თქმა ერთსა და იმავეს ეხება: «გონებაჲ»-ს.

რა არის ეს «გონება დაფარული»? რა არის ეს «გონება»?

საჭირო არ იყო აწ სიბრძნისა და არც ღვთისმეტყველების შესწავლა, რათა ეს ორი ლექსი გასაგები გამხდარიყო!

(იხილეთ ჩემი: «ვეფხისტყაოსანის ღვთისმეტყველებათ»).

არავითარი ეჭვიც კი არ შეიძლება აღიძრას იმის შესახებ, თითქო ეს ორი ლექსი ვინმე გადამწერს დაემახინჯებოდეს, და იქ «განგების» ნაცვლად «გონება» ჩაეწეროს! ყველა ძველ გადამწერს კარგად, ძალიან კარგად გაეგებოდა, თუ რა არის «გონება», და ამ სიტყვას «განგებად» არავინ ვადააკეთებდა! ასეთი რამ მხოლოდ მეოცე საუკუნის უვიცებს შეუძლიათ მოიმოქმედონ!

მერმე რა ადვილი იყო იმის გამოკვლევა, თუ რა არის «გონება»!

ეს მცნება: «გონება» თეოლოგიური ფილოსოფიას ეკუთვნის, და მამათ ჩემო, ვისაც ღვთისმეტყველებათზე სულ მცირეოდენი წარმოდგენა აქვს, მას იოლად შეიგებდა. მაგრამ თეოლოგიას რომ თავი დაეანებოთ და სულხან საბა ორბელიანის ლექსი-

კონში ჩაიხედოთ?! ჩვენ იქ შემდეგს წავიკითხავთ: «გონება არს ხედვა უხორცო და დაუშრომელი მომვლელი ყოვლისა. სამ სახედ ითქმის გონება: გონება — ღმერთი, გონება — ანგელოზი, და გონებაცა ჩვენი, საცნაურ არს მოგონებითა მოსაგონებელითა»-ო.

ამ განმარტების მიხედვით, ვეფხისტყაოსანის ეს ორი ლექსი ძალიან ადვილი გასაგებია, და ბრც ერთი ეს შირი არავითარ შესწორებას არ საჭიროებს, «დაფარული გონება», ნესტანის სიტყვით, და «გონება», ასმათის თქმით, არის ღმერთი, «დაუშრომელი მოვლელი ყოვლისა», ყოვლისა მცოდნე და ყოველის გამომაცხადებელი.

მხოლოდ უვიცთ და ბრიყვთ შეუძლიათ ასეთი თავხედობა და უღიერობა გამოიჩინონ ვეფხისტყაოსანის მიმართ... თავისი საკუთარი ლექსებით...

კიდევ ერთი შესწორება ყალბის მქნელი რედაქტორის კონსტანტ-ნე ჭიჭინაძისა —

როდესაც ტარიელი ხატაეთს ილაშქრებს, მას ხატაელთა მეფე რამაზ არა ერთჯერ ძღვენს უგზავნის დამშვიდების საბაბთ, და ამის გამო ტარიელი ამბობს —

მე შემომძღვნეა რამაზისგან ძღვენად საქურჭლე საშინელი

უვიც რედაქტორს ეს სიტყვა «საშინელი» არ მოწონებია და მას ასწორებს:

«გასწორება შეეხება პირველი სტრიქონის სარაქთმო სიტყვას: «მე შემომძღვენეს რამაზისგან ძღვენად საქურჭლე საშინელი». სრულიად უადგილოა აქ სიტყვა «საშინელი». არავითარ საშინელე-ბას ეს ძღვენი არ წარმოადგენდა»-ო, ბრძანებს კ. ჭიჭინაძე, და რქვე ასაბუთებს — «ეს იქიდან სჩანს, რომ რამოდენიმე ტაებით ქვემოდ კიდევ არის აღნიშნული რამაზის მიერ კარგი ძღვენის გამოგზავნა ტარიელისათვის: «კვლა უძღვნა ძღვენი მრავალი შესამოსელი ტანისა» (470). ალბათ რუსთაფელის დედანში ეწერა არა «საშინელი», არამედ «საჩინელი» ესე იგი გამოჩინებული, შესანიშნავი»-ო (გვერდი 278 ვტ.-ისა).

კეთილ ინებოს კ. ჭიჭინაძემ და ეს ადვილი მონახოს იმ ოციოდე ხალხწერში ვტყ., რომელნი დაგეჩენია! ამ ხელს დაედებ მოსაქრელად, თუ იგი რომელიმე ხელწერში სიტყვისა «საშინელი» ნაცვლად იპოვნის სიტყვას «საჩინელი»! ალბათ ეწერათ! მაშასადამე, იმ წაწყმედილ გადამწერლებს გადაუმახინჯებიათ ეს სიტყვა! და აი, კ. ჭიჭინაძე, ვტ.-ის გამომცემელ-რედაქტორი, თავის თავს ვალდებულად რაცხს შესწორება გააკეთოს! დალოცვილის შეილი, ჯერ გარჯილიყო, ეს სიტყვა «საშინელი» შე-

ესწავლა, და მერმე გადაეწყვიტა მისი მოსობა?! და მერმე რა ხშირად იხმარება ეს სიტყვა ძველ ქართულ მწერლობაში!

გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში (მეთათე საუკუნე): «ღმრთისა საყდართა საშინელთა»...

იოანე მტბევეარის საგალობელში (მეთათე საუკუნე): «უცხო არს სახე შობისაი და საშინელ სამდიდრე შენისა სახიერებისაი» (ქრისტეო!)...

პაბოს მარტილობაში: «რამეთუ საშინელ და წმიდა არს ყოვლად ძლიერი და საკვირველ და უფალ და ყოვლისა მპყრობელ არს სახელი მისი» (ქრისტესი)...

იოანე ანჩელის გალობაში (მეთორმეტე საუკუნე) «საშინელსა ანჩის ხატსა უგალობ»... «მაცხოვრისა ხატსა საშინელსა»... «სახელი შენი წმიდაი და საშინელი»... «ანჩის ხატო საშინელი»... «მაცხოვრის ხატო საშინელი»... «ხატო საშინელი, სახიერო და მოწყალე»... «ხატო საშინელი»... «ტყბილი, სახიერი და მოწყალე პირი შენი დაატკებ ჩემ ზედა, ხატო საშინელი»... და სხვა ასე მრავალჯერ...

კათოლიკოს არსენ ბულმაისის ძის მიერ დაწერილ ქებაში: «მონაიქე მეფესა ჩვენსა ძლევაი, ქრისტე ღმრთისა ხატო საშინელი»...

ანჩის ხატის წარწერაში: «ხელ ვეავ საშინელისა მის ხატისა პატაეით მოქედად»... «ხატი ესე საშინელი ჩვენ მოსათა მოგვანიკა»...

ექვ. თაყაიშვილს მოაქვს წარწერა ერთი ხატისა — «ქრისტე საშინელი და სამების წმიდისა»... (არხეოლ. ეკსკურსიონ. თბილისი, 1913. გვერდი 93).

«საქართვ. მუზეუმის მოამბე»-ში დაბეჭდილია ძველი წარწერა: «ყოვლად პატიოსანო და საშინელი ღმრთის მშობელო ულხინე სულსა»... (თბილისი, 1926 წ. წიგნი 3: გვ. 118) და სხვა.

«ქართლის ცხოვრება»-შიც არის ეს სიტყვა «საშინელი» ნახმარი: «ღმერთო და საშინელი სვეტო ცხოველო, დაიცე»... (მარიამ დედოფლის ქართლის ცხოვრება. გვ. 281). და სხვა და სხვა.

რედაქტორ კ. ქიქინაძის განმარტების მიხედვით: «საშინელი» ხატი იქნებოდა საშინელების ხატო ში

შის დამტეხი და ზარის დამტეკი — ხატი, ანგლოსა, ქრისტე, ღმრთისმშობელი, სვეტოცხოველი და სხ. თურმე შიშის გამომწვევი და ზარდაძეკეი ყოფილან! რასაკვირველია, სიტყვას «საშინელი» ერთი ძირითადი დედა აზრი აქვს: დიდა, დიდებული და სხვა ამგვარი.

მაშასადამე, ვეფხისტყაოსანის ლექსი —

მე შემომძღვენეს ჩამაზისგან ძღუნად საქურკლე საშინელი (122)

ნიშნავს: — ხატეთის მეფის ჩამაზისგან ძღუნად მივიღე საქურკლე (განძეულობა) საშინელი ანუ დიდა, დიდებული. შესანიშნავიო! და რა უფლება აქვს კონსტ. ქიქინაძეს დაასახიჩროს ეს ლექსი, გააყალბოს იგი, როდესაც რვა საუკუნის მანძილზე იგი არავის დაუგონჯებია?! მხოლოდ იმიტომ, რომ გამომწერლებსაც და მკითხველებსაც კარგად ესმოდათ ამ სიტყვისა «საშინელი» მნიშვნელობა, რაც დღევანდელ «მკვლევარს» აღარ გაეგება!

ჩემდამი თქვენს წერილში, მამაო მიქელ, ერთი «შემასწორებელი» «შესწორება» აღნიშნავთ. რომელი თქვენ არ მოგწონებდათ. კანნიერებით წინასწარ მოგახსენებთ, რომ ყველა «შესწორება», რომელს თქვენ გაცნობიხართ, შეუწყნარებელია და დასაგმობიც...

უეციობისა, უპასუხისმგებლობის გრძნობისა და ზერელობის შედეგად ვეფხისტყაოსანში არა ერთი და ორი «შესწორება» შეუტანიათ, — ამ წიგში მხოლოდ რამოდენიმე შარბი აღენიშნე, რომელიც აქ გასარჩევ საკითხს ეხებოდა, თორემ სხვა მრავალია და მათ შესახებ თვე თვის აღვიღებ იქნება მსჯელობა, და წინასწარ მოვიზოდიშებ, მამაო, თუ ყალბის მქნელთ და აშკარად მევირალა უეციო ჯასტიკად მოვეპყრობი, მათ თავზე ხელს არ გადაქუსვამ, — წინაუტმოდ: «გაელანძღაე»!

ამას ვეფხისტყაოსანის სიყვარული და მეცნიერების ღირსების დაცვა მავალეღს.

3. ნოზაძე

ბუენოს აირეს, ივლისი, 1954 წ.

სარჩემი

		ბ. ნარინჯის ფერი	31
		დ. ზაფრანის ფერი	31
		ე. სპეტი	32
	გვერდი	მ. ამარტის ფერი	32
		ნ. სასუს ფერი	32
უწყებულება მკითხველისათვის	3	4. ლურჯი	32
ქარი პირველი		ბ. ლაქვარდის ფერი	32
ვეფხისტყაოსანის ფერნი		ა. ლურჯი — ლურჯი	
I. მნიშვნელობა სიტყვისა «ფერი»	19	ბ. იის ფერი	33
ა. ფერი — წითლობა	19	დ. ლილის ფერი	33
ბ. ფერი — სხედასხვაობა	21	5. მწვანე	33
დ. ფერი — ლამაზობა	21	6. ფერად-ფერადი	33
ე. ფერი — მსგავსება და განსხვავება	21	ა. თეთრ-ძოწვეული	33
ვ. ფერი — წოდებრივი ნიშანი	22	ბ. შავ-თეთრი	33
ზ. ფერი — არსი	22	ბ. შავ-მწვანე	34
დასკვნა	23	ბ. წითელ-შავი	34
II. ფერნი ვეფხისტყაოსანში	23	ე. წითელ-ყვითელი	34
1. შავი	23	ვ. წითელ-მწვანე	35
ა. შავი — მწუხარება	23	ზ. ყვითელ-შავი	35
ბ. შავი — სამოსელი	23	თ. ლურჯ-მწვანე	35
გ. შავი — რიდე	24	7. მნათობთა ფერნი	35
დ. შავი — ბედი	24	8. ვტ.-ის ფერთა სიმბოლიზში	35
ე. შავი — გული	24		
ვ. შავი — ცხენი	24	ქარი მეორე	
ზ. ფერი — ფერადობა, ფერთა ნაირობა	20	ვეფხისტ.-ნის ქსოვილნი და სამოსელნი	
თ. შავი — ქვა	24	I. ქსოვილნი და სამოსელნი საერთოდ	36
თ. შავი — მონა-ზანგი	25	II. ვტ.-ის ქსოვილნი	39
ი. შავი — სიმახინჯე	25	1. ტურფა	39
ი. შავი — გრძნეული	26	2. ჭრელი	43
ი. შავი — სილამაზის ნიშანი	26	3. ფარდაგი	45
ი. ბური	26	4. ნოხი	46
ი. ბნელი	26	5. ოქსინო	46
ი. ლები	27	6. ორხაული	47
2. თეთრი	29	7. სტაერა	47
ა. თეთრი — ცხენი	29	8. ხატაური	48
ბ. ზეზი	29	9. ატლასი	48
3. წითელი	29	10. შარდი	48
ა. წითელი — წითელი	29	11. ზეზი	49
ბ. სოსხლის ფერი	30	12. ლარი	52
ბ. ძოწის ფერი		III. ვეფხისტყაოსანის სამოსელნი	53
დ. არღაფანის ფერი	30	1. კაბა	53
ე. ლალის ფერი	30	2. ჯუბა	54
4. ყვითელი	31	4. ყაბაჩა	55
ა. ყვითელი — ყვითელი	31	4. ნახლი	55
		5. ზარქში	55

6. ყარყუმი	55
7. ძოწი და ძოწეული	57
8. ძოწი	65
9. პორფირი	67
10. რიდე	68
11. საბურავი	72
12. აჯილა	72
13. ზეწარი	72
14. პერანგი	72
15. ხაში	73
16. სამოსელი ქაბუკური და ვაქრული	73
17. ძაძა	74
18. ფლასი	74
19. სუდარა	74

IV. შეთელილნი

1. ნაბადი	75
2. მოლი	75
3. ხარგა და მაზრები	78

Y. სარქველნი და სარტყელნი

1. ქუდი	79
2. ხლა	79
3. სარტყელი	79
4. სამხრე	81
5. ხელმანდილი	81

VI. ქსოვილთა და სამოსელთა სიმბოლიზმი

ქარი მესამე.

თვალმარბალიტნი

I. თვალი და თვალნი პატიოსანნი	83
II. თვალნი	86
1. თვალი	87
2. სინათლე	87
3. თვალი რეტი	87
4. თვალით განცდა	87
5. თვალი მლალავი	87
6. თვალის წუხილი	87
7. თვალი შეგნება, გონება	87
8. თვალი ღმრთისანი	88
9. წამი	88
10. თვალის მოწყვედა	88
11. თვალნი ცრემლთა საგუბარნი	88
12. თვალი ნარგისი	88
13. თვალად	88
13. წუაროს თვალი	88
15. ქერეტა	88

16. თვალი პატიოსანი	88
17. თვალი ანუ თვალი პატიოსანი	89
18. თამარის დროს	90

III. თვალნი პატიოსანნი

1. ჯაგარი	90
2. ლალი	92
ა. ლალი — რუბინ	92
ბ. ლალი მწერლობაში	92
ბ. ლალი — ლაწენი	93
დ. ლალი — პირისახე	93
ე. ლალი — ნიეთი	93
3. ბადახში	93
ა. ბადახში და ბალახში	93
ბ. ბადახში — ნიეთი	93
ბ. ბადახში — პირისახე	94
დ. ბადახში — ლაწენი	94
4. იაგუნდი	94
ა. იაგუნდი წითელი	95
5. აყიყი	96
6. ლამე მზეებრ გაანათლოს	96
ა. ზღაპრული თვალი	96
ბ. ანთრაკი	97
7. მას ფერი ეზარდებოდა	100
8. კელა ერთი თვალი	100
9. ზურმუხტი	101
10. ფეროზი	101
11. ლაქვარდი	101
12. ალმასი	101
ა. ალმასი — გული	101
ბ. ალმასი — შედარება	101
ბ. ალმასი — ნიეთი	101
13. ადამანტი	104
14. გასტეხს ქვასაცა მაგარსა	104
15. ბროლი	109
ა. ბროლი — პირისახე	109
ბ. ბროლი — ბაკმი	109
ბ. ბროლი — კბილი	109
დ. ბროლი — ყელი	109
ე. ბროლი — თითები	110
ვ. ბროლი — ცრემლი	110
ზ. ბროლი - მინა	110
ც. ბროლი და ლალი	110
თ. ბროლი-სათი-ლალი	110
16. ყვითელი იაგუნდი	10
17. ქარვა	111
18. ამარტა	112
19. გიშერი	113
ა. გიშერი — მელანი	113
ბ. გშიერი — თმა	113

ბ. გიშერი — წამწამნი	114	12. ნესტანი — ვარდი	145
20. სათი	114	13. ტარიელი — ვარდი	145
21. თვალი თლილი	116	15. ვარდი — პიროვნება	146
22. თვალი მრთელი	118	14. ფრედონი — ვარდი	145
23. ფაზარი	118	II. ყაყაჩო	
IV. არა-თვალნი	118	III. არღაენი	146
1. მინა	118	IV. ნარგისი	148
2. ჩინის ქვა	118	V. სოსანი	150
V. თვალთა რაობა	120	VI. ია	150
VI. მარბალიტნი		VII. ზაფრანა	151
1. მარგალიტის ამბავი	122	VIII. სპეტი	152
2. მარგალიტი — სამკაული	123	IX. ნეხვა	153
3. მარგალიტი — ძღვენი	125	X. ყვავილნი	153
4. მარგალიტი — სიტყვა	125	XI. ვარდყვავილთა სიმბოლიზმი	153
5. მარგალიტი — ცრემლი	126		
6. მარგალიტი — კბილი	126	ქარბი მისხუთი	
ა. თინათინის კბილნი	126	ვეფხისტყაოსანის სილამაზე	
ბ. ნესტანის კბილნი	126	I. სილამაზე და შეენება	154
ბ. ავთანდილის კბილნი	126	II. თინათინის სილამაზე	155
დ. ტარიელისა და ავთანდილის კბილნი	126	1. თინათინის ტანი	155
7. მარგალიტნი ტყუზნი	126	2. თინათინის პირი	155
8. მარგალიტი — ლალის ფერი	127	3. თინათინის ლაწენი	156
9. მარგალიტი აღმოსავლურ მწერლობაში	127	4. თინათინის თვალნი	156
10. მარგალიტი — შეუღლების სიმბოლო	128	5. თინათინის ბაგენი	156
11. გვარი	133	6. თინათინის კბილნი	156
12. მანგი	134	7. თინათინის წარბწამწამნი	156
13. სადაფი	134	8. თინათინის თმა	157
14. მარგალიტის რაობა	135	9. თინათინის ყელი	157
IV. თვალმარგალიტთა სიმბოლიზმი	135	10. თინათინის შკერდი	157
		11. თინათინის შეენება	157
ქარბი მემოთხე		III. ნესტანის სილამაზე —	157
I. ვ.ტ.-ის ვარდყვავილნი	136	1. ნესტანის ტანი	157
II. ვტ.-ის ვარდი	140	2.3. ნესტანის პირი და ლაწენი	158
1. ვარდი — ყვავილი	140	4. ნესტანის თვალნი	158
2. ვარდი — სიკოცხლის სიმბოლო	140	5. ნესტანის ბაგენი	159
3. ვარდი და მზე	141	6. ნესტანის კბილნი	159
4. ვარდი — სურნელება	142	7. ნესტანის წარბწამწამნი	159
5. ვარდი და იადონი	142	8. ნესტანის თმა	159
6. ვარდი და ყვავი	143	9. ნესტანის თითები	160
7. ვარდი — პაემანის ნიშანი	143	10. ნესტანის შეენება	160
8. ვარდის წყალი	143	IV. ასმათი	161
9. ვარდი და ეკალი	144		
10. თინათინი — ვარდი	144		
11. ავთანდილი — ვარდი	144		

V. ფატმანი	161	XII. ვტ.-ის მამაკეთა სილამაზე	169
VI. ვტ.-ის დედაკეთა სილამაზე	161	XIII. სილამაზე აღმოსავლეთის მწერლ.	170
VII. ავთანდილის სილამაზე	161	XIV. სილამაზე დასავლეთის მწერლობ.	173
1. ავთანდილის ტანი	162	XV. ვტ.-ის სილამაზის თაყუანება	177
2. 3. ავთანდილის პირი და ლაწენი	163	XVI. ვტ.-ის სილამაზის ცოცხალი ნიმუში	182
4. ავთანდილის თვალნი	163		
5. ავთანდილის ბაგენი	163	უკმოხილვა	187
6. ავთანდილის კბილნი	164	მასალათა მათითებელი	189
7. ავთანდილის წამწამნი	164	დანართი პარეელი	194
8. ავთანდილის თმა	164	დანართი მეორე	195
9. ავთანდილის ყელი	164	დანართი მესამე	197
10. ავთანდილის მკლავი და ხელი	164	დანართი მეოთხე	198
11. ავთანდილის შეენება	165	ბოლოსიტყვა	200
VIII. ტარიელის სილამაზე	165	სარჩევი	
1. ტარიელის ტანი	165		
2. 3. ტარიელის პირი და ლაწენი	166		
4. ტარიელის თვალნი	167		
5. ტარიელის ბაგენი	167		
6. ტარიელის კბილნი	167		
7. ტარიელის წამწამნი	167		
8. ტარიელის შეენება	168		
IX. ფრიდონის სილამაზე	168		
X. ვტ.-ის გმირთა სილამაზე	168		
XI. უსენის სილამაზე	169		



|||

წიგნისა «ვეფხისტყაოსანის ფერთა მეტყვე-
ლება» გამოწერა შეიძლება შემდეგი მისა-
მართით: —

Dr. Victor Nosadse
Blanco Encalada 5196
Buenos Aires ARGENTINA